სულიერი

იანვარი
აპრილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა, პოეზია

ერიხ მარია რემარკი. ბიჭვარდის მოჭვასი შენი. რომანი. გაგრძელება.
გერმანულიდან თარგმნა **ზაზა მხეიძემ** 3
ფრანგული და რუსული პოეზია. თარგმნა **ლელა მეტრეველმა** 77
ჯენის ელიოტი. კიმნელესის სიმღერა.** ინგლისურიდან თარგმნა **ზურაბ გემაზაშვილმა** . 84
თამარ გელაევა. ლაღატი. აზერბაიჯანულიდან თარგმნა **იმირ მამედლიმ** . . . 92
ფან მარსანი. მა-ფუნი. პიესა. თარგმნა **თამაზ მეტრეველმა** 113
რუსული პოეზია. თარგმნა **სტეფანე მხარგრძელმა** 157
ტატიანა სუხოტინა. ქალიშვილის მონონებები. დასაწყისი.
თარგმნა **ნანა დარჩია-ბოლქვაძემ** 163

პირველი ნაბიჯები

ჟილდა ენდრიუს რუსიკი. კოლექციონერები. ინგლისურიდან
თარგმნა **რუსუდან ფიცალაშვილმა** 256
ჯორჯ ბორდონ ბაირონი. ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა **მარიკა ნიკლაურმა** . . 268

წერილები

ნიკოლოზ ბოგოლი. წერილები. თარგმნა **ლევან აბულაძემ** 272
ნუდოლფ შტაინერი. რობოტ გადავიანოთ ადამიანები მშვინვიერი გასაჭირი?
ბულგარულიდან თარგმნა **რუსუდან ბეჟაშვილმა** 288
მის ჰასე. ძილი და სიზმარი. მთარგმნელები' ნინო ციცქიშვილი, **ფატმან ქოიავა** . . 311

გახსენება

ვაჟა ჩოხელი. გივი ძნელაძე – მარადი მგზავრი 318

საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული
კავშირის ორგანო
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი

2003, № 1—2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი

ნანა დარჩია-გოლქვაძე

სარედაქციო საბჭო:

ელზა ახვლედიანი
ნანა ახოგაძე
მანანა ამისულაშვილი
ჯემალ აჯიაშვილი
ნანა გართაია
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
რუსუდან ქეგულაძე
დალი ფანჯიკიძე
ეთერ ყურაშვილი
გივი შაკნაზარი

ვაჟა ჩორდელი
(მთავარი რედაქტორის
მოადგილე)

**გარეკანის პირველ გვერდზე მე-7 საუკუნის ძეგლი „ძველი შუამთა“.
გარეკანის მეოთხე გვერდზე — „შატბერდი“ (ტაო-კლარჯეთი).
ფოტოგრაფია თამაზ ქიქავასი.**

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონი: 99-73-41.

გადაეცა წარმოებას 20. 01. 2003 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. 04. 2003 წ., ქაღალდის ზომა 70X108¹/₁₆, სააღრიცხვო თაბახი 16,5. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფორმა. ტირაჟი 300. შეკვეთა № 26.

შ. პ. ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.

პროზა, პოეზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრის მარია რემარკი

ბოჟვარდის მოჟვასი შენი

რომანი. გერმანულიდან

თარგმნა ბადრი მხეიძემ

VII

მარილი სასტუმროს ბეტონის ტერასაზე იჯდა და გაზეთით სახეს ინიავებდა. წინ ორიოდე წიგნი ედო.

— აქ მოდით, კერნ! — დაუძახა მან. — მოსაღამოვდა. ამ დროს პირუტყვი განმარტოებას ელტვის, ადამიანი კი კომპანიას. რა ქენით, გაგიგრძელეს ბინადრობის ნებართვა?

— ერთი კვირით. — კერნი მასთან დაჯდა.

— ერთი კვირა საპყრობილეში ბევრია, გარეთ ცოტაა. — მარილმა წიგნებს დაჰკრა ხელი. — ემიგრაცია განათლებას ხელს უწყობს! სიბერეში ფრანგულისა და ინგლისურის შესწავლას შევუდექი.

— ხოგჯერ „ემიგრაციისა“ და „ემიგრანტის“ გაგონებაზე გუნება მიფუჭდება, — უსიამოვნოდ შეიშმუშნა კერნი.

მარილმა გადაიხარხარა.

— სისულელეა! თქვენ შესანიშნავ კომპანიაში მოხვდით. დანტე ემიგრანტი იყო. შილერს სამშობლო დაატოვებინეს. ჰაინე, ვიქტორ ჰიუგო... მე მხოლოდ რამდენიმე სახელი გითხარით. ახედეთ მაღლა ჩვენს თანამგზავრს — მთვარეს, ისიც დედამიწიდან გადახვეწილი ემიგრანტია. თავად მშობელი დედამიწაც ძველი ემიგრანტია, მზეს მოწყვეტილი. — მან კერნს თვალი ჩაუკრა. — იქნებ ჯობდა, ეს ემიგრაცია სულაც არ მომხდარიყო და ჩვენ ახლაც გაჯარვარებული გაზივით გვექროლა ან ისევ მზის ლაქებად დავრჩენილიყავით. მეთანხმებით?

— არა, — მიუგო კერნმა.

— სწორი ხართ. — მარილმა კვლავ გაინიავა სახე გაზეთით. — იცით, ამას წინათ რა წავიკითხე?

— ებრაელების ბრალი ყოფილა, წვიმა რომ არ მოდის.

— არა.

— თურმე მუცელში ჭურვის ნამსხვრევის მოხვედრა ნამდვილი ვაქცინისათვის ნაღდი ბედნიერებაა.

— არც ეგ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 5-6, 2002 წ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

— ებრაელები იმიტომ გახდნენ ბოლშევიკები, რომ ამ გზით უფრო ადვილად მოიხვეჭენ ქონებას.

— კარგი ნათქვამია! განაგრძეთ!

— ქრისტე თურმე არიელი ყოფილა, გერმანელი. ლეგიონერის უკანონო შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარილმა გადაიხარხარა.

— არა, თქვენ ამას ვერ გამოიცნობთ. ესაა დაოჯახების მსურველთა განცხადებები. დამიგდეთ ყური: „სადა ხარ მომხიბვლელო, სიმპათიურო მამაკაცო, ჩემო გამაბედნიერებელო? მე — თავადაც მომხიბვლელი, მგრძნობიარე სულის, კეთილშობილი, სასიამოვნო ბუნების, სიკეთისა და მშვენიერების მოყვარული, სასტუმროს მეურნეობის მაღალ დონეზე მცოდნე ქალიშვილი ვეძებ ანალოგიურად განწყობილ და მატერიალურად უზრუნველყოფილ ოცდათხუთმეტიდან ორმოცამდე მამაკაცს“... — მარილმა თავი მაღლა ასწია. — გესმით, ოცდათხუთმეტიდან ორმოცამდე! ორმოცდაერთისა უკვე აღარ გამოდგება. აი მესმის თავდაჯერებულობა! ანდა ეს: „სად გიპოვო, ჩემო შემავსებელო? ყოველდღიური საზრუნავის მიუხედავად, ლაღად ფრთაგაშლილი, მხიარული, ხალისიანი, ტემპერამენტიანი, ღრმად თანამგრძნობი, ლაშაზი სულის, მეგობრულად განწყობილი მანდილოსანი და სანაქებო დიასახლისი ეძებს სიყვარულისთვის განწყობილ, ხელოვნებისა და სპორტის მოყვარულ, მყარი შემოსავალის მქონე ჯენტლმენს, რათა დაუახლოვდეს მას“... ბრწყინვალეა, არა? ან ავიღოთ ეს: „სულიერად მარტოხელა ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი, გარეგნულად გაცილებით ახალგაზრდა, მგრძნობიარე სულის პატრონი, დედ-მამით ობოლი“... — მარილი შეყოვნდა. — „დედ-მამით ობოლი!“ — გაიმეორა მან. — რა საბრალოა, არა, ეს ორმოცდაათიოდე წლის ნაზი მამაკაცი? აქ, ჩემო კარგო, — მან კერნს გაზეთი უჩვენა, — ორი გვერდია გავსებული ასეთი განცხადებებით, კვირაში ორი სრული გვერდი ამ ერთ გაზეთში! თვალი გადაავლეთ მხოლოდ სათაურებს, როგორ ვაჰყვირიან სულიერებაზე, სიკეთეზე, თანაგრძნობაზე, სიყვარულზე! ნამდვილი საამოთხეა! ედემის ბაღია დღევანდელ პოლიტიკურ უდაბნოში! ადამიანს ეს სიცოცხლის ხალისს მატებს! ეს იმაზე მეტყველებს, რომ კარგი ადამიანები მთლად არ გამქრალან ამ უბედურ ხანაში. ასეთი რამ ძალას გმატებს ადამიანს... — მან გაზეთი დააგდო. — ერთხელ მაინც რატომ არ გამოაქვეყნებენ ასეთ განცხადებას: „საკონცენტრაციო ბანაკის კომენდანტი, კეთილი, ნაზი სულის პატრონი...“

— იმ კომენდანტს ალბათ ასეც ჰგონია, — ჩაურთო კერნმა.

— ნამდვილად! რაც უფრო პრიმიტიულია ადამიანი, მით უკეთესი ჰგონია თავი. ეს აქ მოთავსებული განცხადებებიდანაც ჩანს. ბრმა თავდაჯერებულობა, — ცალყბად გაიღიმა მარილმა, — იძლევა ცხოვრებაში გზის გაკაფვის ენერგიას! ყოყმანი და დამთმობლობა კულტურული ადამიანის თვისებებია, რომლებსაც იგი მუდამ დაღუპვის კარამდე მიჰყავს. ცნობილი სიზიფეს შრომა კაცობრიობის უბრძნესი ქარაგმაა!

— ბატონო კერნ, ერთ კაცს თქვენთან დალაპარაკება სურს, —

მოულოდნელად მოვარდა აღელვებული სასტუმროს უმცროსი კელნერი. — ეტყობა, პოლიციელი არ უნდა იყოს!

კერნი ზეზე წამოიჭრა.

— კარგი, მოვდივარ.

გასაცოდავებული მოხუცი ერთი შეხედვით ვერ იცნო. ფიქრობ ფოტოგრაფის მქრქალი მინის ქვეშ ამოდებულ ფერდაკარგულ, გახუნებულ სურათს ხედავდა, რომელიც თანდათან გამკვეთრდა და ნაცნობ სახედ გადაიქცა.

— მამა! — წამოიძახა გულშეძრულმა კერნმა.

— მე ვარ, ლუდვიგ. — უფროსმა კერნმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. — ძალზე ცხელა, — თქვა მან და მორიდებულად გაიღიმა.

— ჰო, ცხელა. მოდი, დარბაზში შევიდეთ, სადაც როიალი დგას. იქ გრილა.

ისინი დასხდნენ. კერნი მაშინვე წამოხტა და მამას ფორთოხლის წვენი მოუტანა. ძალზე ღელავდა.

— დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს, მამა, — ფრთხილად დაიწყო მან.

უფროსმა კერნმა თავი დაუქნია.

— მოახერხებ აქ დარჩენას, ლუდვიგ?

— მე მგონი, ვერა. ეს შენც იცი. მათ ერთი წესი აქვთ: მოგცემენ თოთხმეტდღიანი ბინადრობის ნებართვას და მერე, შესაძლოა, ორი ან სამი დღე დაგიმატონ... ესაა სულ.

— და მერე აქ არალეგალურად დარჩები?

— არა, მამა. ახლა აქ ძალზე ბევრი ემიგრანტია. მე ეს არ ვიცოდი. ვნახოთ, ალბათ, ისევ ვენაში დავბრუნდები. მიმალვა იქ უფრო ადვილია. შენ როგორა ხარ, მამა?

— ავად ვიყავი, ლუდვიგ. გრიპით. ორი დღეა რაც ავდექი.

— აი თურმე რა... — კერნმა ამოისუნთქა. — ავად იყავი? ახლა კარგადა ხარ?

— დიახ, თავადაც ხედავ...

— რას საქმიანობ, მამა?

— ერთგან საცხოვრებლად მოვეწყვე...

— და კარგადაც გდარაჯობენ, — უთხრა კერნმა და გაიღიმა.

მოხუცს ისეთი ტანჯული, საცოდავი სახე გაუხდა, რომ კერნი შეკრთა.

— ცუდად ხომ არა ხარ, მამა? — ჰკითხა მან.

— არა, კარგადა ვარ, ლუდვიგ. განა რა არის ჩვენთვის კარგად ყოფნა? მცირეოდენი სიმშვიდე, და ეს უკვე კარგია. რაღაცას ვსაქმიანობ. ალრიცხვას ვაწარმოებ. ისე, დიდი არაფერია. მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც საქმეა. ქვანახშირის საავჭრო კანტორაში.

— ეს ხომ დიდებულია. რამდენს გაძლევენ?

— თითქმის არაფერს. მხოლოდ ჯიბის ფულს. სამაგიეროდ კვებითა და ბინით უზრუნველყოფილი ვარ.

— არც ესაა ცოტა. ხვალ გესტუმრები, მამა!

— არა, შენ ნუ შეწუხდები. მე თავად მოვალ... ლუდვიგ... — უფროსმა კერნმა ნერწყვი გადაყლაპა. — მირჩევნია, მე თავად გესტუმრო.

კერნმა გაკვირვებით შეხედა და უცებ ყველაფერს მიხვდა. ამის მიზეზი ის ჯანიანი ქალი იყო, რომელმაც სახლში ან შეუშვა, გულმა უცბად ბაგაბუგი დაუწყო. უნდოდა წამომხტარიყო, მამისთვის ხელი მოეკიდა, მასთან ერთად გაქცეულიყო. არეულ გონებაში დედის სახე ამოუტივტივდა, დრეზდენი, ერთად გატარებული მშვიდი კვირა დღეები... მერე შეხედა უბედობით განადგურებულ კაცს, რომელიც გულისშემძვრელი მორჩილებით შესცქეროდა თვალებში, და გაიფიქრა: მორჩა! დაიღუპა! კრუნჩხვამ გაუარა და გულში მხოლოდ უსაზღვრო შეცოდების გრძნობა დარჩა.

— ორჯერ გამაძევეს ქვეყნიდან, ლუდვიგ. როგორც კი დავბრუნდებოდი, მეორე დღესვე მომაგნებდნენ. ცუდად არ მეპყრობოდნენ. მართლაც, ყველა ჩვენისთანას ხომ ვერ შეიფარებენ. წვიმაში მოვყევი, ავად გავხდი. ფილტვების ანთება გამირთულდა. ამ მდგომარეობაში... იმ ქალმა მომიარა... თორემ ფეხებს გავჭიმავდი, ლუდვიგ. თანაც ცუდად არ მეპყრობა...

— ვიმედოვნებ, მამა, — მშვიდად მიუგო კერნმა.

— ცოტას მეც ვმუშაობ. იმდენს ვიღებ, რაც მეკუთვნის. ეს ის არ არის, რაც... შენც იცი... ნამდვილად არ არის. მაგრამ ბაღში მერხზე წოლას და მუდმივ გულის ხეთქვას ველარ ავიტან, ლუდვიგ...

— გასაგებია, მამა.

მოხუცი მიწას ჩასჩერებოდა.

— ზოგჯერ ვფიქრობ, ჯობდა დედა გამყოლოდა. მაშინ გერმანიაში დაბრუნების უფლება ექნებოდა.

— ეს შენც გინდა?

— არა, ჩემთვის არ მინდა. მისთვის მინდა. ყველაფერი ხომ ჩემს გამო მოხდა. ის რომ ჩემზე დაქორწინებული არ იყოს, სამშობლოში დაბრუნებას შეძლებდა. მე ვარ დამნაშავე. შენთანაც. ჩემი მიზეზით შენ სამშობლო ალარა გაქვს.

კერნს გუნება მოეწამლა. ეს მისი მხიარული, ხალისიანი მამა ალარ იყო. მის წინ იდგა დაბერებული, გულაჩვილებული, უსუსური კაცი, რომელიც მას ენათესავებოდა, და რომელიც ცხოვრებას თავს ველარ ართმევდა. ადგა და ისეთი რამე გააკეთა, რაც მანამდე არასდროს გაუკეთებია: მამას ვიწრო, მოხრილ მხრებზე მოხვია ხელი და ლოყაზე აკოცა.

— შენ გესმის ჩემი, ხომ, ლუდვიგ? — ალუღლუღდა ზიგმუნდ კერნი.

— ჰო, მამა. ეგ არაფერია, სრულიად არაფერი. — კერნი ნაზად უსვამდა ხელისგულს მამის გამხდარ ზურგს და მზერა მის მხრებს ზემოთ როიალთან დაკიდებული სურათისკენ გაექცა, რომელზეც ტიროლის მთებში გაზაფხულზე თოვლის დნობა იყო გამოსახული.

— ახლა მე წავალ.

— კარგი.

— ფორთოხლის წვენის ფულს მე გადავიხდი. ერთი კოლოფი სიგარეტი მოგიტანე. გაზრდილხარ, ლუდვიგ, დიდი, ღონიერი ვაჟკაცი დამდგარხარ.

ჰო, მართალია, შენ კი მოხუცდი და კანკალებ, გაიფიქრა კერნმა. ერთი მათგანი მაინც ჩამაგდებინა ხელში, ვინც შენ ამ მდგომარეობამდე მიგიყვანა, რომ მაძღარი, თვითკმაყოფილი, ბრიყვული სიფათი დავუქექო!

— შენც კარგად გამოიყურები, მამა, — გაამხნევა კერნმა. — ფორთოხლის წვენის საფასური უკვე გადავიხადე. ახლა ცოტა ფულს ვმოულობ, და იცი, რით? ჩვენი ძველი ნაწარმით. შენი ნუშის კრემითა და ტუალეტის წყლით. ერთ აქაურ პროვიზორს მათი დიდი მარაგი აქვს. მისგან ვყიდულობ.

ზიგმუნდ კერნს თვალები გამოუცოცხლდა. მერე სევდიანად გაიღიმა.

— და კარდაკარ დაგაქვს, არა? უნდა მაპატიო, ლუდვიგ.

— შენც იტყვი რაღა! — კერნმა გაჭირვებით ჩააბრუნა უკან ყელში მობჯენილი ბურთი. — ეს საუკეთესო სკოლაა ამქვეყნად, მამა. ცხოვრებას ქვევიდან ვეცნობი. ადამიანებსაც. ამის შემდეგ იმედგაცრუება ველარაფერს დამაკლებს.

— თავს მიხედე, ავად არ გახდე.

— ნუ გეშინია. კაჟივით გავხდი.

ისინი ქუჩაში გავიდნენ.

— რა დიდი იმედები გქონდა, ლუდვიგ...

ღმერთო ჩემო, რა დროს იმედებზე ლაპარაკია, გაიფიქრა კერნმა.

— ყველაფერი მოწესრიგდება, — დააიმედა მამა. — შეუძლებელია სულ ასე იყოს.

— ჰო... — მოხუცი ძირს იყურებოდა. — ლუდვიგ, — უთხრა მერე ძლივს გასაგონად, — როდესაც ისევ შევიკრიბებით... და როდესაც დედაც დაბრუნდება... — მან ხელი უკან გაიქნია, — მაშინ ყველაფერ ამას დავივიწყებთ... ამაზე აღარ ვიფიქრებთ. ასე არაა? — იგი ბავშვივით მინდობილად, ხმადაბლა ლაპარაკობდა, თითქოს დაღლილი ჩიტი ეღურტულებსო. — ახლა უჩემოდაც შეგიძლია ისწავლო, ლუდვიგ, — ანგარიშმიუცემლად განაგრძობდა ვიშვიშს, იმ ადამიანივით, რომელსაც იმდენად ბევრჯერ უფიქრია ამ თემაზე, რომ საკუთარი დანაშაულის განცდა ლამის ჩვევად გადაქცევია.

— უშენოდ ამქვეყნადაც ვერ გავჩნდებოდი, მამა, — უპასუხა კერნმა.

— კარგად იყავი, ლუდვიგ. სიგარეტს არ დაიტოვებ? მე ხომ მამა ვარ შენი. მინდოდა რამე მომეცა შენთვის.

— კარგი, მამა, დავიტოვებ.

— სულ ნუ დამივიწყებ, — უთხრა ბერიკაცმა და მოულოდნელად ტუჩები აუთრთოლდა. — კარგის გაკეთება მინდოდა, ლუდვიგ. — ეტყობოდა, შვილის სახელს ვერ ელეოდა, იმეორებდა და იმეორებდა. — თუმცა ვერ მოვახერხე, ლუდვიგ. მინდოდა თქვენზე მეზრუნა, ლუდვიგ.

— შენ ჩვენზე ზრუნავდი, ვიდრე შეგეძლო.

— მაშ, მე ახლა წავალ. ყოველივე სიკეთეს გისურვებ, ჩემო პატარავ.

ჩემო პატარაო, მწარედ გაჰკრა კერნს გულში. საკითხავია, ვინ არის ჩვენს შორის პატარა? იგი უყურებდა ქუჩაში ნელა მიმავალ მამას, უნდოდა დაპირებოდა, მოგწერ და კვლავაც [illegible], მაგრამ კარგად იცოდა, რომ ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო. თვალს არ აცილებდა მამას, სანამ ის არ გაუჩინარდა. მერე ირგვლივ სიცარიელემ დაისადგურა.

კერნი სასტუმროში დაბრუნდა. მარილი ისევ ტერასაზე იჯდა და გაზეთის კითხვას განაგრძობდა. მისი სახე ზიზღსა და დაცინვას გამოხატავდა. რა საოცარია, გაიფიქრა კერნმა, რა სწრაფად შეიძლება დაემხოს ის, რაც ადამიანს ურყევი ჰგონია... თუნდაც იმ მცირე დროში, რომლის განმავლობაში გაზეთის წაკითხვასაც ვერ მოასწრებ. დედ-მამით ობოლი, ორმოცდაათიოდე წლისა... მან მწარედ, ნაღველნარევი ირონიით გაიღიმა. თითქოს, თუ მშობლები არ დაგეხოცა, ისე დედ-მამით ობოლი ვერ იქნები.

სამი დღის შემდეგ რუთ ჰოლანდი ვენაში გაემგზავრა. მეგობარმა ქალმა დეპეშა გამოუგზავნა, თავისთან საცხოვრებლად ეპატიჟებოდა. რუთმა გადაწყვიტა, ვცდი, ეგებ იქ სამუშაო ვიშოვო და თან უნივერსიტეტშიც ვიაროო.

გამგზავრების წინა საღამოს კერნმა იგი რესტორან „შავ გოჭში" დაპატიჟა. მანამდე ორივე საჭმელად ყოველდღე სახალხო სასადილოში დადიოდა. კერნმა შესთავაზა რუთს გამოსათხოვარი საღამო განსაკუთრებულად აღენიშნათ.

„შავი გოჭი" პატარა, გაბოლილი, არცთუ ძვირი, მაგრამ კარგი რესტორანი იყო. იგი კერნს მარილმა ურჩია. ზუსტი ფასებიც უთხრა და განსაკუთრებით რესტორნის საფირმო კერძი — ხბოს გულიაში უქო. კერნმა ფული გადათვალა, საჭოკვერას შეკვეთისთვისაც ჰყოფნიდა. ერთხელ რუთმა უთხრა, საჭოკვერა მიყვარსო. ხბოს გულიაშს ველარ მიუსწრეს და გული დაწყდათ. შეფიქრიანებული კერნი გულმოდგინედ შეუდგა მენიუს შესწავლას. ყველა კერძი ძვირი იყო. მათ მაგიდას კელნერი არ სცილდებოდა... შებოლილი ხორცი ბოსტნეულით, ღორის კატლეტი სალათით, პილპილიანი ქათამი, ბატის ღვიძლი...

ჰმ, ბატის ღვიძლი, გაიფიქრა კერნმა, ამ ბრიყვს მულტიმილიონერი ვგონივარ. მან მენიუ რუთს გადააწოდა.

— რას ისურვებ გულიაშის მაგიერ? — ჰკითხა ქალიშვილს. კერნმა გონებაში იანგარიშა, თუ კატლეტს შეუკვეთავდნენ, საჭოკვერაზე ფიქრს უნდა გამომშვიდობებოდნენ.

რუთმა მენიუს თვალი გადაავლო.

— სოსისს კარტოფილით, — უპასუხა მან. ეს კერძი ყველაზე იაფი იყო.

— გამორიცხულია, — კატეგორიულად განუცხადა კერნმა. — ასე რა გამოსათხოვარი ვახშამი გამოვა.

— სოსისი ძალიან მიყვარს. სახალხო სასადილოს წვნიანებთან შედარებით ნამდვილი სადღესასწაულო კერძია.

— ღორის კატლეტზე რას იტყვი?

— ძალზე ძვირია.

— ბატონო კელნერო, — მიმართა კერნმა, — ორი ღორის კატლეტი. ოღონდ დიდები!

— ყველა ერთნაირია, — გულგრილად მიუგო კელნერმა, მანამდე რა მოგართვათ: საუზმეულობა, ბულიონი თუ ლაბა?

— არაფერი, — დაასწრო რუთმა კერნს.

ერთი გრაფინი იაფი ღვინოც შეუკვეთეს, რის მერეც კელნერი აშკარად აიმრიზა, თითქოს სვდებოდა, რომ კერნს მისთვის ფეხის ქირად მისაცემი ნახევარი კრონა აღარ დარჩებოდა.

რესტორანი თითქმის ცარიელი იყო. კუთხის მაგიდასთან ერთადერთი კაცი იჯდა, რომელსაც ნაჭრილობევ სახეზე მონოკლი ეკეთა. წინ კათხა ლუდი ედგა და კერნსა და რუთს თვალს არ აცილებდა.

— ნეტავ ეგ აქ არ იჯდეს, — თქვა კერნმა.

რუთმა თავი დაუქნია.

— ვინც გინდა, ის ყოფილიყო! მაგრამ ეგ... ეგ იმათ მაგონებს...

— ჰო, აშკარაა, ემიგრანტი არ იქნება, — თქვა კერნმა, — პირიქით, უფრო მისი ანტიპოდი...

— მოდი, მისკენ ნუ გავიხედავთ...

კერნმა მაინც გაიხედა და შეამჩნია, რომ უცნობი თვალის დაუხამხამებლად მისჩერებოდა მათ.

— არ ვიცი, რა უნდა, — გაღიზიანებით თქვა კერნმა. — თვალს არ გვაცილებს.

— ვაითუ გესტაპოს აგენტია. ამბობენ, ქალაქში ჯაშუშების შემოსევაა.

— ხომ არ ავდგე და ვკითხო, რა უნდა ჩვენგან?

— არა! — დაფრთხა რუთი და კერნს მკლავში ჩაეჭიდა.

კელნერმა კატლეტები მოიტანა, დაბრაწული, ნახი კატლეტები. გარნირი ახალი მწვანე სალათი იყო. და მაინც ისეთი გემო ვერ ჩაატანეს, როგორსაც ელოდნენ. აფორიაქებული იყვნენ.

— შეუძლებელია ის აქ ჩვენს გამო იყოს, — თქვა კერნმა. — არავინ იცოდა, აქ რომ მოვდიოდით.

— მართალი ხარ, — უპასუხა რუთმა. — ალბათ შემთხვევითაა მოსული. მაგრამ აშკარად გვითვალთვალებს...

კელნერმა ცარიელი თეფშები წაიღო. კერნი უხალისოდ გამოიყურებოდა. რესტორანში დაპატიჟებით უნდოდა რუთისთვის პატარა სიამოვნება მაინც მიენიჭებინა, მაგრამ მონოკლიანმა ტიპმა ყველაფერი ჩაუშხამათ. ბოლოს რაღაც გადაწყვიტა და ფეხზე წამოდგა.

— ერთი წუთით, რუთ...

— რას აპირებ? — შეშინდა რუთი. — არ წახვიდე!

— არა, არა, მასთან მისვლას არ ვაპირებ. რესტორნის მეპატრონეს მინდა დაველაპარაკო.

სასტუმროდან გამოსვლისას თავის დაზღვევის მიზნით ჯიბეში ორი პატარა ფლაკონი სუნამო ჩაიდო. ახლა უნდოდა ბედი ეცადა, ეგებ რესტორნის მეპატრონისათვის ერთი ფლაკონი ორ ცალ ხაჭოკვერაში გა-

ეცვალა. სუნამო გაცილებით მეტი ღირდა, მაგრამ ახლა ამას არ დაგიდევდათ. რაკი გულიაშით ვერ გაუმასპინძლდა რუთს, უსდრდა ისეთი ჩარიზი მაინც შეეთავაზებინა, მას რომ ესიამოვნებოდა. თან იმედოვნებდა, ეგებ რესტორნის მეპატრონეს ორი ფინჯანი ყავაც დავტყუოო. მაგრამ როცა მივიდა და თავისი წინადადება გააცნო, რესტორნის მეპატრონე მყისვე წამოენთო.

— რაო, რას მიჰქარავთ! საჭმელი მიირთვით და ახლა ფულის გადახდა აღარ გინდათ? არა, ჩემო კარგო, არაფერი გამოგივათ. ახლავე პოლიციას გამოვიძახებ!

— თქვენ ვერ გამიგეთ. რაც შევჭამეთ, იმის საფასურს გადაგიხდით! — გულმოსულმა კერნმა ფული მაგიდაზე დაუყარა.

— გადათვალეთ, — უთხრა მეპატრონემ კელნერს. — მომაშორეთ აქედან თქვენი ხარახურა, — შეუბღვირა კერნს. — ბოლოს და ბოლოს, რა გნებავთ? რესტორნის სტუმარი ხართ თუ ხელზე მოვაჭრე?

— ამჟამად სტუმარი ვარ, — მიუგო გაცხარებულმა კერნმა, — ხოლო თქვენ კი...

— ერთი წუთით! — გაისმა ხმა მის ზურგს უკან.

კერნი შებრუნდა. მის უკან მონოკლიანი უცნობი იდგა.

— შეიძლება ერთი წუთით? რაღაც უნდა გკითხოთ.

უცნობი რამდენიმე ნაბიჯით მოსცილდა დახლს. კერნიც უკან გაჰყვა. გული ბაგაბუგით უცემდა.

— თქვენ გერმანელი ემიგრანტი ხართ? — ჰკითხა უცნობმა.

კერნმა გაკვირვებით შეხედა.

— ეს რა თქვენი საქმეა.

— მართალი ხართ, — მშვიდად მიუგო უცნობმა, — მაგრამ თქვენს ლაპარაკს მოვკარი ყური შემთხვევით. ერთ ფლაკონს ხომ არ მომყიდდით?

კერნი დარწმუნებული იყო, რომ უცნობის განზრახვას მიხვდა: თუ სუნამოს მიყიდდა, ნებადაურთველ ვაჭრობაში დასდებდნენ ბრალს, დაუყოვნებლივ დააპატიმრებდნენ და ქვეყნიდან გააძევებდნენ.

— არა, — უპასუხა კერნმა.

— რატომ?

— გასაყიდი არაფერი მაქვს. მე არ ვვაჭრობ.

— თუ ეგრეა, მაშინ გამიცვალეთ. სანაცვლოდ იმას მოგცემთ, რაზეც რესტორნის მეპატრონემ უარი გითხრათ: ნამცხვარსა და ყავას.

— საერთოდ არ მესმის, რაზე ლაპარაკობთ, — თავი მოიკატუნა კერნმა.

უცნობს გაეღიმა.

— ჩემთვის გასაგებია, რატომ არ მენდობით. მომისმინეთ: მე ბერლინიდან ჩამოვედი და ერთ საათში უკან უნდა დავბრუნდე. თქვენ კი დაბრუნება არ შეგიძლიათ..

— არა, — უპასუხა კერნმა.

უცნობმა თვალი გაუსწორა.

— სწორედ ამ მიზეზის გამო ვდგავარ თქვენ წინაშე და მინდა პატარა დახმარება გაგიწიოთ, რაც მეც სიამოვნებას მომანიჭებს. ომის

დროს ასეულის მეთაური ვიყავი. ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო ხელქვეითი ებრაელი იყო. ძალიან ვაფასებდი. არც ახლა დამითმობთ ერთ პატარა ფლაკონს?

კერნმა ფლაკონი გაუწოდა.

— მაპატიეთ, — მოუბოდიშა მან, — თქვენზე სულ სხვანირი წარმოდგენა მქონდა.

— გასაგებია, როგორიც, — გაიცინა უცნობმა. — ახლა ჯობს ქალიშვილთან დაბრუნდეთ, დიდხანს ნუ ალოდინებთ. დარწმუნებული ვარ, შეშინებულია. ორივეს ყველანაირ სიკეთეს გისურვებთ! — უცნობმა კერნს ხელი გაუწოდა.

— გმადლობთ. დიდი მადლობა.

დაბნეული კერნი მაგიდასთან დაბრუნდა.

— რუთ, — მიმართა ქალიშვილს, — ან ახლა შობაღამეა, ან მე გავგიჟდი.

სულ მალე კელნერი გამოჩნდა. დიდი სინი მოჰქონდა, რომელზეც ყავა და ვერცხლის სადგამზე ერთმანეთზე სამ სართულად დალაგებული ნამცხვრები ეწყო.

— ეს რაა? — იკითხა განცვიფრებულმა რუთმა.

— ეს საოცრება კერნის „ფარ“ სუნამომ მოახდინა! — სახეგაბადრულმა კერნმა ყავა დაასხა. — უფლება გვაქვს თითო-თითო საყვარელი ნამცხვარი ამოვირჩიოთ. შენ რომელი გიყვარს, რუთ?

— ხაჭოკვერა.

— ინებე ხაჭოკვერა. მე შოკოლადიან ღვეზელს ავიღებ.

— დანარჩენი გაგიხვიოთ? — ჰკითხა მათ კელნერმა.

— რა დანარჩენი?

კელნერმა ხელი სამი სართულისკენ გაიშვირა.

— ეს ყველაფერი თქვენთვისაა შეკვეთილი!

გაოცებულმა კერნმა კელნერს შეხედა.

— ყველაფერი ჩვენთვის? სადაა ის ბატონი... ხომ არ მოვა...

— ის კარგა ხანია წავიდა. ყველაფერი რიგზეა. მაშასადამე...

— შეჩერდით, — სწრაფად გააწყვეტინა სიტყვა კერნმა, — შეჩერდით, ღვთის გულისათვის! რუთ, ერთ კრემიანსაც ხომ არ ინებებ? ან რულეტს? ან ვანილიანს?

მან რუთს თეფში აუვსო და თავადაც რამდენიმე ნაჭერი გადაიღო.

— ასე, — ამოიქშინა მერე, — დანარჩენი ორ პარკში ჩაგვიწყვეთ. ერთს შენ წაიღებ საგზლად, რუთ. რა კარგი გრძნობაა, ხელცარიელს რომ არ გიშვებ!

— შამპანური უკვე გაცივდა, — შეატყობინა მათ კელნერმა და ხელოვნების ნამდვილი შედევრი — ვერცხლის სადგამი ხელში აიღო.

— შამპანური! რა კარგი ხუმრობაა! — კერნმა გაიცინა.

— ხუმრობა რა საკადრისია, — კელნერმა კარისკენ მიახედა. თვით რესტორნის მეპატრონეს მოჰქონდა ყინულიანი სათლი, საიდანაც შამპანურის ბოთლს ამოეყო მოვერცხლილი თავი.

— საწყენად ნუ დაგრჩებათ, — დაშაქრული ენით მიმართა მათ მეპატრონემ და გაიღიმეა. — წელან, რასაკვირველია, ვიხუმრე...

თვალებდაჭყეტილი კერნი სვამის საზურგეს მიეყრდნო.

კელნერმა თავი დაუკრა.

— ანგარიში ძალიანად გასწორებულია.

— სიზმარში ვარ, — კერნმა თვალებზე ხელი ... — შამპანური როდესმე გაგისინჯავს, რუთ?

— არა. შამპანური აქამდე მხოლოდ ფილმებში მინახავს.

კერნი ძლივს მოეგო გონს.

— ბატონო მეპატრონევ, — მიმართა ამაყად, — ხომ ხედავთ, რა მომგებიან გარიგებას გთავაზობდით. მსოფლიოში განთქმულ კერნის „ფარ" სუნამოს სულ რაღაც ორ ხაჭოკვერაში გიცვლიდით! ხომ დაინახეთ, რა გადაიხადა მასში სუნამოების ნამდვილმა დამფასებელმა!

— ყველაფრის ცოდნა შეუძლებელია, — იმართლა თავი მეპატრონემ. — მე სასმელებში უფრო ვერკვევი.

— რუთ, — მიმართა კერნმა, — დღეიდან სასწაულისა მჯერა. ახლა აქ ფანჯარაში თეთრი მტრედი რომ შემოფრინდეს, ნისკარტით ორი ნამდვილი, ხუთი წლის ვადის მქონე პასპორტი მოგვიტანოს ან მუშაობის უფლება შეუზღუდავი ვადით — სულაც არ გამიკვირდება!

ბოთლი ბოლომდე გამოცალეს. თავს დიდ ცოდვად ჩაუთვლიდნენ, წვეთიც რომ დაეტოვებინათ. გემო არცთუ მაინცდამაინც მოეწონათ, მაგრამ მაინც დალიეს, გახალისდნენ და ბოლოს ცოტა შეთვრნენ.

წასასვლელად გაემზადნენ. კერნმა ნამცხვრიანი პარკები აიღო და კატლეტის საფასურის გადახდა დააპირა. მაგრამ კელნერმა ფულის აღება იუარა:

— ყველაფრის ანგარიში გასწორებულია...

— რუთ, — ენის ბორძიკით უთხრა კერნმა, — ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე. ერთი ასეთი დღეც და რომანტიკოსი გავხდები.

კერნი რესტორნის მეპატრონემ შეაჩერა.

— სუნამო კიდევ ხომ არ დაგრჩათ? ვიფიქრე ჩემს ცოლს...

კერნი მთლად გამოფხიზლდა.

— შემთხვევით ერთი ფლაკონიღა დამრჩა. უკანასკნელია. — თქვა და ჯიბიდან ფლაკონი ამოიღო. — მაგრამ არა იმ ფასად, ახლახან რომ გთავაზობდით, ჩემო კარგო. თქვენ მშვენიერი შესაძლებლობა გაუშვით ხელიდან! ოცი კრონა! — მან სუნთქვა შეიკრა. — ისიც თქვენი სათრით!

მეპატრონემ გონებაში ელვისუსწრაფესად გაიანგარიშა: შამპანურსა და ნამცხვრებში როტმისტრს ოცდაათი კრონა ზედმეტი ააფცქვნა, ასე რომ, ათი კრონა ზემოგება მაინც რჩებოდა.

— თხუთმეტი, — მაინც შეევაჭრა იგი.

— ოცი. — კერნი ვითომც ფლაკონის ჯიბეში ჩადებას აპირებდა.

— თანახმა ვარ. — მეპატრონემ ჯიბიდან დაჭმუჭნილი ბანკნოტი ამოიღო. გადაწყვიტა, თავისი საყვარლისათვის, ტანახოვანი ბარბარასათვის ეჩუქებინა და ეთქვა, ეს ფლაკონი ორმოცდაათი კრონა დამიჯდაო. ამრიგად ორმოცდარვა კრონას აღარ დახარჯავდა იმ შლაპის საყიდლად, რომელსაც ქალი რამდენიმე კვირა იყო სთხოვდა. ასე რომ, ორმაგ ბიზნესს გააკეთებდა.

კერნი და რუთი სასტუმროში დაბრუნდნენ. რუთის ჩემოდანი აიღეს და ვაგზალზე გავიდნენ.

რუთი ჩუმად იყო.

— ნუ დარდობ, — გაამხნევა კერნმა. — მეც მალე ჩამოვალ შენთან. დიდი-დიდი ერთ კვირაში აქედან უნდა ავიბარგო. შენ? მდგომარეობა ჩემთვის ნაცნობია. მეც ვენაში ჩამოვალ. ხომ გინდა ვენაში ჩამოვიდე?

— ჰო, ჩამოდი! ოღონდ მაშინ, როცა შენ მოგიხერხდება.

— რატომ უბრალოდ არ მეტყვი: ჰო, ჩამოდიო!

რუთმა დამნაშავესავით შეხედა.

— განა, რაც მე გითხარი, მეტი არაა?

— ჰო, — დაეთანხმა რუთი და ნაღველი შემოაწვა, მართალი ხარ, უფრო ფროხილად ყლერს.

— ოღონდ ნუ იდარდებ, — დაამშვიდა კერნმა. — აკი ახლახან მხიარულ გუნებაზე იყავი!

რუთმა უმწეოდ შეხედა.

— ყურადღებას ნუ მომაქცევ, — წაილუღლუღა მან. — ზოგჯერ ძალზე დაბნეული ვარ. შეიძლება ეს ღვინის ბრალია. ჩათვალე, რომ ღვინის ბრალია. წავიდეთ, ორიოდე წუთი კიდევ დაგვრჩა.

ისინი სკვერში მერხზე დასხდნენ. კერნმა მხრებზე ხელი მოხვია.

— მთავარია, ხალისი არ დაკარგო, რუთ. სხვა დანარჩენი არაფრად გვარგია. თითქოს ეს ბრიყვულად ყლერს, მაგრამ ჩვენთვის ბრიყვული არაა. ჩვენ ცოტაოდენი ხალისი ოჰ, რომ იცოდე; როგორ გვჭირდება. სწორედ ჩვენ.

რუთს თვალი გაუშტერდა.

მინდა ხალისიანი ვიყო, ლუდვიგ, მაგრამ რაღაცნაირ სიმძიმეს ვგრძნობ. არადა, როგორ მინდა მსუბუქი ვიყო და ყველაფერი კარგად გამომდიოდეს. მაგრამ როგორღაც მძიმე და მოუხერხებელი ვარ. — რუთი სიმწრით ლაპარაკობდა, და კერნმა მოულოდნელად შეამჩნია, რომ სახე ცრემლით დასველებოდა. ქალიშვილი უხმოდ, უსასოოდ ტიროდა. — არ ვიცი, რა მატირებს, — თქვა მან. — ასლა ხომ ამისთვის ყველაზე ნაკლები საბაბი მაქვს. თუმცა იქნებ სწორედ ამიტომაც ვტირი. ნუ მიყურებ... ასე ნუ მიყურებ...

რუთმა თავი ჩაღუნა და კერნს კისერზე ხელები მოხვია. ვაჟმა მკერდში ჩაიკრა, ქალიშვილმა აკოცა — ბრმად, თვალებდახუჭულმა, მკვრივი, მოკუმული ტუჩებით, ვნებიანად, ცხარედ, თითქოს მისი თავიდან მოცილება უნდაო.

— აჰ... — რუთი ოდნავ დამშვიდდა, — შენ რა გაგეგება... — თავი ვაჟს მკერდზე მიადო, თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა. — შენ რა გაგეგება... — ბაგე გახსნა და ტუჩები მწიფე ატამივით რბილი გაუხდა.

გზა განაგრძეს. ვაგზალზე კერნი სადღაც წავიდა და ვარდების თაიგულით დაბრუნდა. გულში ერთხელაც დალოცა მონოკლიანი უცნობი და „შავი გოჭის" მეპატრონე.

ყვავილების დანახვაზე რუთი შეცბუნდა, სახე წამოუწითლდა, დარდი ერთბაშად გულიდან გადაეყარა.

— ყვავილები! — აღტაცებით წამოიძახა მან. — ვარდები! ნამდვილი კინოვარსკვლავივით მივემგზავრები.

— შენ მიემგზავრები როგორც დიდად წარმატებული ბიზნესმენის მეუღლე, — ამაყად გაუსწორა კერნმა.

— ბიზნესმენები მეუღლეებს ყვავილებს არ ჩუქნიან, ლუდვიგ.

— როგორ არა. ახალი თაობა ახლა ასე იქცევა.

კერნმა რუთის ჩემოდანი და ნამცხვრებიანი პარკი საბარგულის ბადეზე დააწყო. მერე ვაგონიდან ჩამოვიდა. რუთიც ჩამოჰყვა. ვაჟის თავი ხელებში მოიქცია და თვალებში სერიოზულად ჩახედა.

— კარგია, რომ გამაცილე. — აკოცა ვაჟს. — ახლა კი წადი. აქედან წადი, ვიდრე მატარებელში ჩავჯდები. აღარ მინდა მტირალი მნახო, თორემ გეგონება, თითქოს მართლაც მტირალა ვარ. წადი...

კერნმა ფეხი არ მოიცვალა.

— გამომშვიდობების შიში არა მაქვს, — უთხრა რუთს. — შეჩვეული ვარ. თანაც ჩვენ ხომ ერთმანეთს საბოლოოდ არ ვშორდებით.

მატარებელი დაიძრა. რუთი ხელს უქნევდა. კერნი არ განძრეულა, ვიდრე მატარებელი მოსახვევში თვალს არ მიეფარა. შემდეგ გამობრუნდა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მთელი ქალაქი დაცარიელებულიყო.

სასტუმროს შესასვლელში რაბე შემოხვდა.

— საღამო მშვიდობისა, — შეესალმა კერნი, სიგარეტის კოლოფი ამოიღო და გაუწოდა. რაბემ უკან დაიხია და სახეზე ხელი აიფარა, თითქოს დარტყმისგან თავს იცავდა. კერნმა გაკვირვებით შეხედა.

— მაპატიეთ, — მოუბოდიშა დარცხვენილმა რაბემ. — ეს მხოლოდ ისე... ისე... უნებურად გამომივიდა... — და სიგარეტი გამოართვა.

ორი კვირა გავიდა, რაც შტაინერი კელნერად მუშაობდა რესტორან „მწვანე ტყეში". გვიანი ღამე იყო. მეპატრონეს კარგა ხანია ეძინა. დარბაზში ორიოდე სტუმარილა იჯდა.

შტაინერმა დარაბები ჩამოუშვა.

— კმარა, ვკეტავთ! — გამოაცხადა მან.

— ერთიც დაგვალევინე, იოჰან, — მიმართა ერთ-ერთმა სტუმარმა, პროფესიით დურგალმა, რომელსაც ცხვირი მჟავე კიტრს მიუგავდა.

— კეთილი, — მიუგო შტაინერმა. — მიკოლაშს დალევ?

— არა. უნგრული სასმელი მომყირჭდა. მოდი, ახლა სლივოვიცა ვსინჯოთ.

შტაინერმა ბოთლი და სირჩები მოიტანა.

— მოდი, შენც დალიე, — შესთავაზა დურგალმა.

— დღეს ვერ დავლევ, უფრო სწორად, აღარ დავლევ, თორემ დავთვრები.

— შენც დათვერი, რა გენაღვლება. — დურგალმა კიტრივით ცხვირი მოიფხანა. — მეც დავთვრები! წარმოგიდგენია, მესამე ქალიშ-

ვილი შემეძინა! დღეს დილით ბებიაქალი გამოდის გარეთ და მეუბნება: მოგილოცავთ, ბატონო ბლაუ, მესამე ჯანმრთელი ქალიშვილი შეგეძინათო! მე კი იმედი მქონდა, ამჯერად მაინც ბიჭი მეყოლებოდა! როგორი საქმეა სამი გოგო და არც ერთი გვარის გამგრძელებელი? ეს ხომ გასაგიჟებელია! მითხარი, გასაგიჟებელი არაა, იოჰან? შენ ხომ კაცი ხარ, შენ ჩემი უნდა გესმოდეს!

— მესმის და მერე როგორ, — დაეთანხმა შტაინერი. — უფრო დიდი ჭიქები ხომ არ მომეტანა?

დურგალმა მუშტი მაგიდას დაარტყა.

— ეშმაკმა დალახვროს, რა კარგად თქვი! ახლა მართლაც ეგ გვჭირდება! დიდი ჭიქები — გენიალური აზრია! რატომ აქამდე არ მოვიფიქრე!

ერთი საათი სვამდნენ დიდი ჭიქებით. მერე დურგალს ყველაფერი აერია და ახლა იმაზე აწუწუნდა, ცოლმა სამი ვაჟი დაბადაო. დანახარჯი გაჭირვებით გადაიხადა და თანამეინახეებთან ერთად გარეთ გაბარბაცდა.

შტაინერმა მაგიდა აალაგა. კიდევ შეივსო ჭიქა სლივოვიცათი და ბოლომდე დაცალა. თავი უბრუოდა. მაგიდასთან დაჯდა და ჩასთვლიმა. მერე ადგა და თავის ოთახში შევიდა. ნივთები გადაქექა, ქალის ფოტო მონახა და დიდხანს უყურებდა. ცოლის შესახებ კარგა ხანია არაფერი იცოდა. თვითონ ცოლს წერილს არ სწერდა, ეჭვი ჰქონდა, მის საფოსტო გზავნილებს ჩხრეკდნენ. შტაინერი დარწმუნებული იყო, რომ ცოლი მას გაეყარა.

— წყეულიმც იყოს! — გაჭირვებით წამოდგა ზეზე. — ვინ იცის, იქნებ დიდი ხანია სხვასთან ცხოვრობს და მე აღარც ვახსოვარ! — ფოტო გადახია და ძირს დააგდო. — გარეთ უნდა გავიდე, თორემ გავაფრენ! მე მარტოხელა კაცი ვარ, იოჰან ჰუბერი და არა შტაინერი. მორჩა და გათავდა!

ერთი ჭიქაც გადაკრა, რესტორანი დაკეტა და ქუჩაში გავიდა. ბაზრის მოედანთან ვილაც ახალგაზრდა ქალი გამოელაპარაკა.

— წამოხვალ ჩემთან, ოქროვ?

— სიამოვნებით.

ისინი ჯვერდიგვერდ მიდიოდნენ. ქალი ჩუმ-ჩუმად აკვირდებოდა შტაინერს.

— შენ ხომ ჯერ ერთხელაც არ შემოგიხედავს ჩემთვის.

— როგორ არა, — შტაინერს თავი მაღლა არც აუწევია.

— არ მჯერა. მოგწონვარ?

— დიახ, მომწონხარ.

— რა სწრაფი ხარ.

— ჰო, — მიუგო შტაინერმა, — სწრაფი ვარ.

ქალმა მისი ხელი აიღო და მკლავქვეშ ამოიდო.

— რას მაჩუქებ, ოქროვ?

— არ ვიცი. შენ რა გინდა?

— მთელი ღამე დარჩები?

— არა.

— ოც შილინგზე რას იტყვი?

— ათი. მე კელნერი ვარ და ბევრს ვერ ვმოულობ.

— კელნერს არ ჰგავხარ.

— არიან ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოს პრეზიდენტს არ ჰგვანან და მაინც პრეზიდენტები არიან.

ქალმა გაიცინა.

— მხიარული კაცი ყოფილხარ. მიყვარს მხიარული სალხი. კარგი, ათზე თანახმა ვარ. მშვენიერი ოთახი მაქვს. იცოდე, გაგაბედნიერებ.

— მართლა? — გამოეპასუხა შტაინერი.

ოთახი წითელი პლუშით გაწყობილ ბუდუარს წარმოადგენდა ფაიფურის სამშვენისებით, სუფრაგადაფარებული მაგიდითა და შალითიანი სავარძლებით. დივანზე ჩამოემწკრივებინათ დათუნიები, საკარნავალო სამოსიანი თოჯინები და ნაჭრის მაიმუნები. დივანთან კედელზე ეკიდა ულვაშაწკეპილი, თვალებგადმოქაჩული, სრულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ფელდფებელის გადიდებული ფოტოსურათი.

— შენი ქმარია? — ჰკითხა შტაინერმა.

— არა. დიასახლისის გარდაცვლილი ქმარია.

— ალბათ, თავს ბედნიერად გრძნობს, მისგან რომ გათავისუფლდა.

— ვერ მოგართვეს! — ქალმა ბლუზა შეიხსნა. — დიასახლისი ახლაც მისტირის, ისეთი კარგი ქმარი ყოფილა. მაგარი ვინმე. ხომ გესმის რაზეც გეუბნები?

— შენს ოთახში რატომ ჰკიდია?

— დიასახლისს მისი მეორე სურათიც აქვს, უფრო დიდი და ფერადი. რასაკვირველია, ფორმაა ფერადი, ხომ გესმის? მოდი, საკინძს გახსნაში მომეხმარე!

შტაინერს ხელში მისი მკვრივი მხრები მოჰყვა, რამაც გააკვირვა. ჯარში ყოფნის დროიდან ახსოვდა, როგორი მობოშებული, დუნე სხეული ჰქონდათ მეძავებს.

ქალმა ბლუზა დივანზე დააგდო. დიდრონი, მკვრივი ძუძუები გამოუჩნდა, რაც ფრიად ჰარმონიულად ეხამებოდა ძლიერ მხრებსა და კისერს.

— დაჯექი, ოქროვ, — შესთავაზა ქალმა. — დაისვენე. კელნერებსა და ჩვენი პროფესიის ხალხს ფეხები ელლება.

მან კაბა თავზე გადაიძრო.

— დალახვროს ეშმაკმა, — წამოსცდა შტაინერს, — რა მშვენიერი ხარ!

— მაგას ხშირად მეუბნებიან! — ქალმა კაბა გულდასმით დაკეცა. — თუ შენ ეს ხელს გიშლის...

— აბა რა, ხელს მიშლის და თან როგორ.

ქალმა თავი ოდნავ მიაბრუნა მისკენ.

— ხუმრობა გყვარებია. მხიარული ყმაწვილი ყოფილხარ...

შტაინერმა გულმოსულად შეხედა.

— რატომ მიბღვერ? — ჰკითხა ქალმა. — ეგრე ხომ ადამიანს შეაშინებ. იესო მაცხოვარო, შეხ შეგვიწყალე, ახლა ნამდვილი მკვლელის სახე გაქვს! გეტყობა, დიდი ხანია ქალთან არ ყოფილხარ.

— რა გქვია? — ჰკითხა შტაინერმა.

— არ გაგეცინოს: ელვირა. დედაჩემის ახირება იყო. მუდამ მალალი საზოგადოებისაკენ მიილტვოდა. მოდი დაწექი.

— არა, — უთხრა შტაინერმა, — რამე დავლიოთ.

— ფული გაქვს? — გახალისდა ქალი.

ეროვნული

შტაინერმა თავი დაუქნია. გაშიშვლებული ელვირა მრუმდებლად მივიდა კართან.

— ქალბატონო პოშნიგ! — გასძახა მან. — სასმელი მოგვიტანეთ.

დიასახლისი ისე ჩქარა გამოჩნდა, თითქოს კარზე იყო მოყურადებული. ლოყაწითელ, თვალებგადმოკარკლულ ქალს ჩამრგვალებულ ტანზე შავი ხავერდის კაბა შემოტმასნოდა.

— შამპანური გვაქვს, — ლაქუცით მიმართა სტუმარს, — შაქარივით ტკბილია!

— შნაპსი, — ისე მოუჭრა შტაინერმა, ზედაც არ შეუხედავს. — ლიკოვიცა, ალუბლის არაყი, ენციანი — სულერთია რომელი.

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ალუბლის არაყი, ზედა თაროზე რომაა, საუკეთესო ხარისხის, ის მოიტანეთ, — გადაწყვიტა ელვირამ. — ათი შილინგი ღირს, ოქროვ, — მიუბრუნდა შტაინერს.

შტაინერმა ფული მისცა.

— რა კარგი კანი გქონია! — აღტაცება ვერ დამალა კაცმა.

— ხომ ხედავ, მეჭეჭის ნასახი არ მაქვს! — ელვირა მის წინ დატრიალდა. — ასეთი კანი მხოლოდ ჟღალთმიან ქალებს აქვთ.

— ჰოო, — აღიარა შტაინერმა, — აქამდე არ შემიმჩნევია, თურმე ლამაზი თმა გქონია.

— შლაპის ბრალია, საყვარელო. — ელვირამ დიასახლისს ბოთლი გამოართვა. — თქვენც დალევთ ჩვენთან ერთად, ქალბატონო პოშნიგ?

— თუ დამპატიჟებთ... — დიასახლისი დაჯდა. — თქვენ რა გიჭირთ, ღვთიერებაინ ელვირა! — დიასახლისმა ამოიოხრა. — ჩვენ კი, საწყალი ქვრივები... მუდამ მარტონი...

საწყალმა ქვრივმა სასმელი გადაკრა და მაშინვე კვლავ დაისხა.

— თქვენი ჯანმრთელობისა იყოს, ხელგაშლილო ბატონო!.. — დიასახლისი წამოდგა და კეკლუცად გაუღიმა შტაინერს. — დიდი მადლობა! სიამოვნებას ვისურვებთ.

— ხომ ხედავ, ოქროვ, მოეწონე, — უთხრა ელვირამ შტაინერს.

— წყლის ჭიქა მომეცი, — მოსთხოვა შტაინერმა. ჭიქა შეავსო და ბოლომდე დაცალა.

— ღმერთო ჩემო! —შეშფოთებულმა ელვირამ შტაინერს შეხედა. — არაფერი დაამტვრიო, საყვარელო. ხომ ხედავ, როგორი ბინაა? ეს ყველაფერი ძალზე ძვირი დაჯდა, ოქროვ!

— აქ დამიჯექი, გვერდით, — უთხრა შტაინერმა.

— ჯობს გარეთ გავიდეთ. პრატერში* ან ტყეში გავისეირნოთ.

***ბუნებრივი ტყე-პარკი ვენაში უამრავი გასართობი ატრაქციონით, ბაზრობით და ფეხბურთის სტადიონით.**

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შტაინერმა თავი ასწია. გრძნობდა, როგორ უკაკუნებდა სლივოვიცა ფაფუკი ჩაქუჩებით შუბლში და თვალის კაკლებში.

— ტყეში? — გაუკვირდა მას.

— ჰო, ტყეში ან მინდორში. ახლა ხომ ზაფხულია.

— მინდორში?.. სად იპოვი ახლა ქალაქში მინდორს?

— იქ, სადაც პოულობენ, — შეუსვენებლად ჭიკჭიკებდა ელვირა. — ახლა ხომ ზაფხულია, ოქროვ! ახლა ხომ სიამოვნებით დასეირნობენ მინდორში. ეს არ იცოდი?

— ბოთლს ნუ მიმალავ. ნუ გეშინია, ბუნაგს არ დაგინგრევ. რაო, რა თქვი... ზაფხულიო?

— რა თქმა უნდა, ოქროვ. ზამთარში ხომ ცივა.

შტაინერმა ჭიქა აივსო.

— წყეულიმც იყოს, რა სურნელი აგდის...

— ელალთმიან ქალებს ყველას ასეთი სუნი აგვდის, ოქროვ.

ჩაქუჩების ცემა აჩქარდა. ოთახი შექანდა.

— მინდორი... — გაჭიანურებით ამოილუღლუღა შტაინერმა. — და ქარი ღამეში...

— მოდი დაწექი, საყვარელო, გაიხადე...

— ფანჯრები გააღე...

— ფანჯრები ღიაა, ოქროვ. მოდი, ბედნიერებას განგაცდევინებ!

შტაინერმა შნაპსი გადაკრა.

— საერთოდ, ბედნიერება თუ განგიცდია როდისმე? — ჰკითხა ელვირას და მაგიდას ჩააშტერდა.

— ცხადია, და ხშირადაც.

— აჰ, კარგი ერთი. შუქი ჩააქრე.

— ჯერ გაგეხადა.

— შუქი ჩააქრე!

ელვირა დაემორჩილა. ოთახში დაბნელდა.

— დაწექი, ოქროვ.

— არა, საწოლი არ მინდა. წყეულიმც იყოს საწოლია თუ რალაცა! საწოლი არ გამაგონო!

შტაინერმა აკანკალებული ხელით სლივოვიცა დაისხა. თავი უგუგუნებდა. ქალი ფანჯარასთან მივიდა, წამით შეჩერდა და გარეთ გაიხედა. ქუჩის ლამპიონების სუსტი სინათლე მხრებზე დაეფინა. ფანჯარაში ღამე მოჩანდა. ქალმა თმაში ხელი შეიცურა.

— მოდი ჩემთან, — ჩახლეჩილი ხმით მოუხმო შტაინერმა.

ქალი შემობრუნდა და მსუბუქი ნაბიჯით უხმაუროდ წავიდა მისკენ. თითქოს ჯეჯილი მიღელავდა, ბნელი და შეუცნობელი, და თან მიჰქონდა სურნელი და კანი ათასობით ქალისა და ერთადერთისა...

— მარი, — წაიჩურჩულა შტაინერმა.

ქალმა მკერდისმიერი ხმით ნაზად ჩაიკუჭკუჭა:

— აი, ხომ ხედავ, როგორ დათვერი, ოქროვ... გეშლება, მე ელვირა მქვია...

VIII

კერნმა ბინადრობის ნებართვის ხუთი დღით გაგრძელება მოახერხა, მერე კი ქვეყნიდან გააძევეს. საზღვრამდე უფასო სამგზავრო ბილეთი მისცეს და ისიც თავისი ფეხით საბაჟო პუნქტში გამოცხადდა.

— საბუთები არა გაქვთ? — ჰკითხა ჩეხმა მებაჟემ.

— არა.

— შიგნით შედით. იქ უკვე რამდენიმე კაცია. დაახლოებით ორ საათში გადასვლისათვის ხელსაყრელი დრო დადგება.

კერნი საბაჟოს ოთახში შევიდა. იქ სამი ადამიანი დახვდა: ერთი ძალზე ფერმიხდილი კაცი, მისი ცოლი და მოხუცი ებრაელი.

— სალამო მშვიდობისა, — მიესალმა მათ კერნი.

დამხვდურებმა რალაც ჩაიბუტბუტეს.

კერნმა ჩემოდანი იატაკზე დადო და ჩამოჯდა. დაღლილობისგან თვალები ესუჭებოდა. წინ შორი გზა ედო და უნდოდა ცოტა წაეძინა.

— ჩვენ საზღვარზე გადავალთ, — გაიგონა მან ფერმიხდილი კაცის სიტყვები, — და შენ ნახავ, ანა, რომ ყველაფერი რიგზე იქნება.

ქალმა ხმა არ გასცა.

— ეჭვი არაა, საზღვარზე გადავალთ, — კვლავ წამოიწყო კაცმა, — რა თქმა უნდა, ეჭვი არაა! შეშვებაზე უარს რატომ გვეტყვიან.

— იმიტომ რომ არაფრად ვეპიტნავებით, — უპასუხა ცოლმა.

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ ადამიანები ვართ...

შე საცოდავო ბრიყვო, გაიფიქრა კერნმა. ერთხანს კიდევ ესმოდა კაცის ბუტბუტი და მერე ჩაეძინა.

კერნს მყისვე გაელვიძა მებაჟის შემოსვლაზე, რომელმაც მათ წასაყვანად მოაკითხა. გადაიარეს მინდორი და ფოთლოვან ტყეში შევიდნენ, რომელიც ვეებერთელა შავი გველეშაპივით გაწოლილიყო სიბნელეში.

მოხელე შეჩერდა.

— ამ ბილიკს გაჰყევით. მარჯვენა მხარე დაიჭირეთ. ავტომაგისტრალს ხომ მიადგებით, მერე მარცხენა მხარეს გადადით. ყოველივე კარგს გისურვებთ.

მოხელე სიბნელეში გაქრა.

ოთხი ადამიანი ფეხს ითრევდა.

— ახლა რა ვქნათ? — იკითხა ქალმა. — გზა არავინ იცის?

— მე წინ წავალ, — თქვა კერნმა. — აქ უკვე ვიყავი შარშან.

ისინი ბნელში ხელის ცეცებით მიდიოდნენ. მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. ნამიანი ბალახი უხილავი უცხო არსებასავით ედებოდათ ფეხებში. მერე ტყემ ხახა დააღო და ისინი შთანთქა.

დიდხანს იარეს. კერნს უკან მომავალთა სუნთქვა ესმოდა. მოულოდნელად მათ წინ პროჟექტორები აინთო და უხეში ხმა გაისმა:

— სდექ! არ გაინძრეთ!

კერნმა ბუჩქებში ისკუპა. იგი სიბნელეში გარბოდა, ხეებს ეჯახებოდა, მერე მაყვლის ბარდებში გაიხლართა და ჩემოდანი გადააგდო. უკან ვილაც მისდევდა. შემობრუნდა. ქალი აღმოჩნდა.

— დაიმალეთ სადმე! — ჩურჩულით უთხრა კერნმა. — მე ხეზე ავცოცდები!

— ჩემი ქმარი... ო, ის დოყლაპია...

კერნი სწრაფად მიძვრებოდა მაღლა. ხე რბილ ფოთლებს აშრიალებდა. კერნი განტოტებაზე ჩამოჯდა. ხის ძირში ქალი უძრავად იდგა. კერნი მას ვერ ხედავდა, მხოლოდ გრძნობდა, რომ ქალი იქ იყო.

შორიდან მოხუცი ებრაელის ლაპარაკი მოესმა.

— ეგ მე ფეხებზე მკიდია, — უპასუხა უხეშმა ხმამ. — უპასპორტოდ ვერ შეგიშვებთ. მორჩა და გათავდა!

კერნმა ყურები ცქვიტა. მაღლე სხვა კაცის წყნარი ხმაც შემოესმა, რომელიც ჟანდარმს პასუხობდა. აშკარა იყო, ორივე დაეჭირათ. ამ დროს ქვემოდან შრიალი მოისმა. ქალმა რაღაც ჩაიბურტყუნა და ხეს მოსცილდა.

ერთხანს სიჩუმე იდგა. მერე ხეებს შორის ჯიბის მაშუქის სინათლემ გაიელვა. ნაბიჯების ხმა მოახლოვდა. კერნი ხეს მიეკრა. ფართო, ხშირი ფოთლებით ქვემოდან კარგად იყო დაფარული. მოულოდნელად ქალის აღელვებული, მკვეთრი ხმა შემოესმა:

— აქ უნდა იყოს! ხეზე აძვრა, აი აქ...

შუქი ზემოთ აცოცდა.

— ჩამოდით! — უბრძანა უხეშმა ხმამ. — თორემ გესვრით!

კერნი შეყოყმანდა. წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იქნებოდა. იგი ძირს ჩავიდა. მაშუქების შუქი სახეში მიებჯინა.

— პასპორტი გაქვთ?

— პასპორტი რომ მქონდეს, ხეზე რა მინდოდა.

კერნმა ქალს შეხედა, რომელმაც იგი გასცა. ქალი ისე იყო ნერვებაშლილი, გიჟი გეგონებოდათ.

— თქვენ გინდოდათ მარტო გადასულიყავით! — წაისისინა. — ჩვენ კი აქ გვტოვებდით! თუ დარჩენაა, ყველა აქ დარჩება! — დაიწივლა მან. — ყველა!

— ხმა ჩაიწყვიტეთ! — დაუღრიალა ჟანდარმა. — შეჯგუფდით! — მან დაჭერილებს მაშუქი მიანათა. საზღვრის დარღვევისათვის საპატიმროში უნდა მიგაბრძანოთ. ეს თქვენც კარგად იცით! მაგრამ ჩვენ სულაც არ გვინდა უფასოდ გკვებოთ! ზურგისაკენ! წაბრძანდით უკან, ჩეხოსლოვაკიაში. ოღონდ დაიხსომეთ: თუ კიდევ ჩაგვივარდით ხელში, ადგილზევე დაგხვრეტთ!

კერნმა ბარდებში თავისი ჩემოდანი მოძებნა. ოთხი საზღვრის დამრღვევი ხმის ამოუღებლად, დაწყალიკებით გაბრუნდა უკან. მათ მაშუქიანი ჟანდარმები მიაცილებდნენ. თითქოს ლანდების თეატრიაო, დამტყვევებელნი უჩინარნი იყვნენ, დევნილები მხოლოდ მათი მაშუქების სინათლის წრეებს ხედავდნენ. მათ გარშემო მხოლოდ ხმები და შუქი იყო, რამაც ისინი ტყვედ აიყვანა და უკან გააბრუნა.

შუქის წრეები შედგნენ.

— ნაბიჯით იარ, წინ, ამ მიმართულებით! — ბრძანა უხეშმა ხმამ. — ვინც დაბრუნდება, დახვრეტა არ ასცდება!

დევნილებმა გზა განაგრძეს, შეუჩერებლივ მიდიოდნენ, ვიდრე მაშუქების ხინათლე ტყეში არ ჩაიკარგა.

კერნს უკნიდან იმ კაცის წყნარი ხმა შემოესმა, რომლის ცოლმაც დაასმინა:

— გვაპატიეთ... ის ხომ ჭკუაზე აღარ იყო... გვაპატიეთ... ახლა ამაზე ძალიან წუხს...

— ეგ ჩემთვის სულ ერთია, — უთხრა კერნმა.

— უნდა გაუგოთ, — ჩურჩულებდა კაცი. — შიში, ელდა...

— კარგი, გავუგებ! — კერნი მისკენ შებრუნდა. — პატიება მიძნელდება. მირჩევნია დავივიწყო.

კერნი შეჩერდა. დანარჩენებიც შეჩერდნენ. ისინი მცირე ველობზე იმყოფებოდნენ. კერნი ბალახზე წამოწვა, თავქვეშ ჩემოდანი ამოიდო. სამნი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. მერე მათ ქალი გამოეყო.

— ანა, — მიაძახა ქმარმა.

ქალი კერნის წინ აიშოტა.

— უკან დასაბრუნებელ გზას არ გვიჩვენებთ? — ჰკითხა მკაცრად.

— არა, — მიუგო კერნმა.

— ეი, თქვენ! თქვენი ბრალია, ჩვენ რომ დაგვიჭირეს! გარეწარო!

— ანა! — დაუყვავა ქმარმა.

— დააცადეთ, — ურჩია კერნმ — ჯობს, ადამიანმა სათქმელი თქვას.

— ადექით! — დაუყვირა ქალმა.

— მე აქ ვრჩები. თქვენ როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით. წადით პირდაპირ, ტყის შემდეგ გზა მარცხნივ გაუხვევს, ჩეხეთის საბაჟოსკენ.

— დეგენერატო ურჯა! — დაუყვირა ქალმა.

კერნს მწარედ გაეცინა.

— ესლა გვაკლდა!

გაფითრებულმა ქმარმა ცოლს რაღაც უჩურჩულა და ძალით მოაშორა იქაურობას.

— ეგ ხომ აუცილებლად დაბრუნდება! — აქვითინდა ქალი. — ვიცი, ეგ უკან წავა და საზღვარზე გადავა. მაგან ჩვენც... ეგ მოვალეა ჩვენც...

ქმარმა ქალი ნელა წაიყვანა ტყისკენ. კერნმა სიგარეტი ამოიღო. უცებ ორიოდე მეტრში რაღაც მუქი არსება წამოიმართა, თითქოს მიწიდან ჯუჯა ამოძვრაო. მოხუცი ებრაელი აღმოჩნდა, თურმე ისიც იქვე იწვა. მოხუცმა თავი გააქნია.

— უყურეთ ერთი მაგ გოიმს!*

კერნმა ხმა არ გასცა. სიგარეტს მოუკიდა.

— ღამით აქ დავრჩეთ? — მცირე ხნის შემდეგ წყნარად ჰკითხა მოხუცმა.

---

* **არაებრაელი (ძველ ებრაულ.).**

— სამ საათამდე. ეს ყველაზე ხელსაყრელი დროა. ახლა ისინი ფხიზლად არიან. მერე კი, თუ საზღვრის დამრღვევი არ გამოჩნდა, ყურადღება უდუნდებათ.

— რამდენ ხანსაც საჭიროა, დაველოდოთ, — მორჩილად დაეთანხმა მოხუცი.

— აქედან საზღვრამდე შორია. გზის ნაწილი ხოხვით უნდა გავიაროთ, — გააფრთხილა კერნმა.

— რას იზამ. სიბერეში იუდეველი ინდიელის როლის შესრულება მომიწევს.

ისინი მდუმარედ ისხდნენ. ცა თანდათან ვარსკვლავებით მოიჭედა. კერნმა დიდი დათვი და პოლარული ვარსკვლავი იცნო.

— ვენაში მივდივარ, — თქვა მოხუცმა კარგა ხნის შემდეგ.

— მე კი არსადაც არ მინდა წასვლა, — უთხრა კერნმა.

— ასეც ხდება ხოლმე. — მოხუცი ბალახის ღეროს ღეჭავდა. — დრო გავა და ისევ მოგინდებათ სადმე წასვლა. ასეთი განწყობილება წარმავალია. მხოლოდ ლოდინია საჭირო.

— მართალია, — დაეთანხმა კერნი. — ლოდინია საჭირო. მაგრამ რას ველოდებით?

— სინამდვილეში არაფერს, — მშვიდად მიუგო მოხუცმა. — დრო გადის, არაფერი კი არ იცვლება. მერე ადამიანი ისევ ელოდება რაღაცას.

— ჰო, ალბათ. — კერნმა კვლავ ბალახზე წამოწვა. თავი ჩემოდანზე დადო. ნაცნობი საგნის შეხება ესიამოვნა.

— მე მორიც როზენტალი ვარ რაინის გოდესბერგიდან, — გაეცნო მოხუცი. ზურგჩანთიდან თხელი, ნაცრისფერი მოსასხამი ამოიღო და მხრებზე მოიხურა, რის გამოც კიდევ უფრო დაემგვანა ჯუჯას. — ზოგჯერ ადამიანს გიკვირს გვარი და სახელი რომ გაქვს. განსაკუთრებით ლამეში...

კერნმა ბნელ ცას ახედა.

— და მაშინაც, როცა პასპორტი არ გაქვს. გვარი და სახელი სადმე უნდა იყოს ჩაწერილი, თორემ ისე არავისია.

ქარი ხეებში დათარეშობდა და ტყე ისე ხმიანობდა, თითქოს მის უკან ზღვა ბობოქრობსო.

— გჯერათ, რომ ისინი საზღვარზე გვესვრიან? — ჰკითხა კერნს მორიც როზენტალმა.

— არ ვიცი. არა მგონია.

მოხუცმა თავი გვერდზე გადახარა.

— როცა ადამიანი სამოცდაათს გადასცდება, ერთი უპირატესობა უჩნდება: საკუთარი სიცოცხლიდან გასარისკავი ბევრი აღარა რჩებარა...

შტაინერმა როგორც იქნა გაიგო, სად იმალებოდნენ მოხუცი ზელიგმანის შვილები. მისამართი, რომელიც ებრაულ ლოცვანში იდო, სწორი აღმოჩნდა. მაგრამ ამასობაში ბავშვები სხვაგან გადაეყვანათ. დიდი ხანი დასჭირდა გაერკვია, თუ სად... სადაც მივიდოდა, ყველგან ჯაშუში ეგონათ და უმალავდნენ.

პანსიონიდან ჩემოდანი გამოიტანა და გზას გაუდგა. ის სახლი ვენის აღმოსავლეთ რაიონში მდებარეობდა. ერთ საათზე მეტი დრო დასჭირდა იქამდე მისაღწევად. კიბეს აუყვა. ყოველ ბაქანზე სამი ბინის კარი გამოდიოდა. ასანთს ანთებდა და გვარებს კითხულობდა. ბოლოს მეხუთე სართულზე თითბრის ოვალური ფირფიტა დახვდა წარწერით: „სამუელ ბერნშტაინი. მესაათე". დააკაკუნა.

კარს უკან ფაჩუნი და ჩახველება მოისმა. შემდეგ ფრთხილმა ხმამ იკითხა:

— ვინ არის?

— რაღაც უნდა გადმოგცეთ, — უთხრა შტაინერმა, — ჩემოდანი... — უცებ იგრძნო, რომ უთვალთვალებდნენ, და სწრაფად შეტრიალდა.

მის ზურგს უკან ბინის კარი უხმაუროდ გაიღო და ღიობში უპიჯაკო გამხდარი კაცი გამოჩნდა. შტაინერმა ჩემოდანი ძირს დადო.

— ვინ გნებავთ? — ჰკითხა კაცმა. შტაინერმა ყურადღებით შეხედა. — ბერნშტაინი შინ არაა, — დაურთო კაცმა.

— მოხუცი ზელიგმანის ნივთები მოვიტანე, — უთხრა შტაინერმა. — მისი შვილები აქ უნდა იყვნენ. მე მის გვერდით ვიყავი, უბედურება რომ შეემთხვა.

კაცმა დაკვირვებით შეათვალიერა.

— შეგიძლია მშვიდად იყო, მორიც, — დაიძახა მერე.

გაისმა ჯაჭვის რაჩხუნი, კლიტის ჩხაკუნი და ბერნშტაინის ბინის კარი გაიღო. შტაინერი მკრთალად განათებულ ღიობს დააკვირდა.

— რაო?.. — გაუკვირდა მას. — შეუძლებელია... ეს ხომ მამილო მორიცია!

კარში მორიც როზენტალი იდგა. ხელში ხის ჩამჩა ეჭირა, მხრებზე წამოსასხამი მოეხურა.

— დიახ, მე ვარ... — უპასუხა მან. — მაგრამ თქვენ ვინ... შტაინერ! — თქვა მოულოდნელობით გახარებულმა. — როგორ ვერ გიცანით! თვალები მღალატობს. ვიცოდი, ვენაში რომ იყავით. როდის შევხვდით ბოლოს ერთმანეთს?

— თითქმის ერთი წლის წინათ, მამილო მორიც.

— პრაღაში?

— ციურიხში.

— მართალია, ციურიხში, საპატიმროში. კარგი ხალხია იქ. ბოლო დროს ყველაფერი ერთმანეთში მერევა. ნახევარი წლის წინ ისევ ვიყავი შვეიცარიაში, ბაზელში. კარგად გვკვებავდნენ. ოღონდ სიგარეტიც რომ ეძლიათ, როგორც ლოკარნოს საქალაქო საპატიმროში... იქ საკანში კამელიის ბუჩქიც კი იდგა. გული დამწყდა, როცა გამომიშვეს. მილანი მასთან ვერ მოვა. — იგი შეჩერდა. — შინ შემოდით, შტაინერ. რა ძველი ყაჩაღებივით დავმდგარვართ დერეფანში და მოგონებებისთვის ბიგვიცია თავი.

შტაინერი შევიდა. ბინა ერთი ოთახისა და სამზარეულოსგან შედგებოდა. ოთახში ორიოდე სკამი, მაგიდა და კარადა იდგა, იატაკზე ოთხი ლეიბი იყო გაშლილი საბნებიანად. მაგიდაზე ხელსაწყოები ეწყო.

ხელსაწყოებს შორის იდგა რამდენიმე იაფფასიანი მაღვიძარა საათი და ერთიც ბაროკოს სტილის სადგარი ანგელოზებით, რომლებსაც ალმართული ხელებით ძველებური საათი ეჭირათ. საათს წამების მაჩვენებელი ისრის მაგივრობას ცელიანი სიკვდილის ფიგურა [illegible] ამზარეულოში, გაზქურასთან ძველი მომწვანო-თეთრი [illegible] ქვაზე. გაზქურის რკინის რგოლზე დიდი ქვაბი იდგა, საიდანაც ორთქლი ამოდიოდა.

— სწორედ ახლა ბავშვებს სადილს ვუმზადებდი, — თქვა მორიც როზენტალმა. — ისინი აქ დამხვდნენ სათაგურში გამომწყვდეული თაგუნიებივით. ბერნშტაინი საავადმყოფოშია.

გარდაცვლილი ზელიგმანის შვილები ქურასთან ჩაცუცქულიყვნენ. შტაინერისთვის ყურადღება არც მიუქცევიათ. ისინი წვნიანის ქვაბს მისჩერებოდნენ. უფროსი ალბ თოთხმეტი წლისა იქნებოდა, მთლად უმცროსი შვიდი-რვა წლისა.

შტაინერმა ჩემოდანი იატაკზე დადო.

— ეს მამათქვენის ჩემოდანია, — უთხრა ბავშვებს.

სამმა ბავშვმა ერთდროულად შემოხედა, თითქმის არც განძრეულან, თავიც არ შემოუბრუნებიათ.

— მე მამათქვენი ვნახე, — განაგრძო შტაინერმა. — თქვენზე მელაპარაკა.

ბავშვები სახეში შეაჩერდნენ, ხმას არ იღებდნენ. თვალები შავი გიშერივით უბრწყინავდათ. გაზის სანთურა შიშინებდა. შტაინერი თავს უხერხულად გრძნობდა. უნდოდა რამე თბილი, ადამიანური ეთქვა ბავშვებისათვის, მაგრამ, რაც ენაზე მოადგა, ყალბი და სულელური ეჩვენებოდა. სამი მდუმარე ბავშვის შემხედვარეს უსუსურობის გრძნობა დაეუფლა.

— რა დევს ჩემოდანში? — იკითხა კარგა ხნის შემდეგ უფროსმა ბიჭმა. მას ულიმლამო ხმა ჰქონდა, ნელა, დამარცვლით, ფრთხილად ლაპარაკობდა.

— კარგად აღარ მახსოვს. მამათქვენის კუთვნილი ნივთებია... ცოტა ფულიც.

— ახლა ჩვენია?

— რა თქმა უნდა. ამიტომაც მოგიტანეთ.

— შეიძლება ავიღოთ?

— რა თქმა უნდა! — უპასუხა გაკვირვებულმა შტაინერმა.

მაღალი, გამხდარი, შავგვრემანი ბიჭი ნელი ნაბიჯით, შტაინერისათვის თვალმოუცილებლად, ფრთხილად მიუახლოვდა ჩემოდანს, მტაცებელი ცხოველივით ჩააფრინდა და მყისვე უკან გადახტა, თითქოს შიშობდა, შტაინერმა არ წამართვასო. ჩემოდანი დაუყოვნებლივ გაათრია ოთახში. დანარჩენი ორი ბავშვი, დიდი შავი კატასავით, სწრაფად მიპყვა უკან.

გაოცებულმა შტაინერმა მამილო მორიცს შეხედა.

— ასეა საქმე, — შვებით ამოისუნთქა მოხუცმა, — ეტყობა, კარგა ხანია ყველაფერს ხვდებოდნენ...

მორიც როზენტალმა წვნიანს ამოურია.

— მაგათზე დიდად აღარაფერი მოქმედებს. დედა და ორი ძმა მათ თვალწინ მოკვდნენ. ამიტომაც მაინცდამაინც აღარაფერს განიცდიან. ის, რაც ხშირად ხდება, ადამიანზე მწვავედ აღარ მოქმედებს.

— ან პირიქით, ზოგჯერ უფრო მწვავედაც, — შეეპასუხა შტაინერი.

მორიც როზენტალმა დანაოჭებული სახე მისკენ შეაბრუნა.

— ყმაწვილებზე არ მოქმედებს, არც მოხუცებზე. მათ შუა ასაკია ცუდი.

— ჰო, — დაეთანხმა შტაინერი, — სულ რაღაც ორმოცდაათიოდე უსარგებლო წელიწადი...

მორიც როზენტალმა მშვიდად დაუქნია თავი.

— ახლა ჩემზე აღარაფერი მოქმედებს. — ქვაბს სახურავი დააახურა. — ჩვენ ბავშვები დავინაწილეთ, — თქვა მან. — ერთს მაიერი წაიყვანს რუმინეთში, მეორეს ბავშვთა თავშესაფარში მოვაწყობთ ლოკარნოში. იქ ერთ კაცს ვიცნობ, რომელიც ამის საფასურს გადაიხდის უფროსი აქ, ბერნშტაინთან დარჩება...

— უკვე იციან, ერთმანეთს რომ უნდა დაშორდნენ?

— დიახ. არც ეს ადარდებთ მაინცდამაინც. პირიქით, თითქოს უხარიათ კიდეც. — როზენტალი შემობრუნდა. — შტაინერ, — მიმართა სტუმარს, — ოცი წელია მას ვიცნობდი. როგორ დაიღუპა? გადმოხტა?

— დიახ.

— არ გადმოუგდიათ?

— არა. ყველაფერი ჩემ თვალწინ მოხდა.

— ეგ ამბავი პრაღაში გავიგე. ამბობდნენ, გადმოაგდესო. მაშინვე აქეთ გამოვეშურე ბავშვების საპატრონოდ. ასე ვიყავი შეპირებული. ის ჯერ ხნიერი არ იყო, სამოცისაც კი არ იქნებოდა. რას წარმოვიდგენდი, თუ ასე მოხდებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც რახელი მოუკვდა, ჭკუაზე აღარ იყო. — მორიც როზენტალმა შტაინერს შეხედა. — ბევრი შვილი ჰყავდა. ებრაელებში ეს ხშირია. მათ უყვართ ოჯახი. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, შვილებს საერთოდ არ უნდა აჩენდნენ. — მოსასხამი მხრებზე მოიხურა, თითქოს შესცივდაო, და უეცრად დაჩაჩანაკებულ, დაძაბუნებულ ბერიკაცად გადაიქცა.

შტაინერმა ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო.

— რამდენი ხანია, რაც აქა ხართ, მამილო მორიც? — ჰკითხა მოხუცს.

— სამი დღეა. საზღვარზე დამიჭირეს. ერთ ახალგაზრდასთან ერთად ჩამოვედი. მას თქვენც იცნობთ. თქვენზე მელაპარაკებოდა. გვარად კერნია.

— კერნი? დიახ, ვიცნობ. სად არის ახლა?

— სადღაც აქ, ვენაში. ზუსტად არ ვიცი.

შტაინერი წამოდგა.

— წავალ. უნდა ვიპოვო. ნახვამდის, მამილო მორიც, ძველო მოგზაურო. ღმერთმა უწყის, კიდევ როდის შევხვდებით ერთმანეთს.

შტაინერი ოთახში გავიდა ბავშვებთან გამოსამშვიდობებლად. ბავშვები ლეიბზე დამსხდარიყვნენ, წინ ჩემოდნიდან ამოლაგებული ნივთები ეწყოთ. ცალ-ცალკე კოხტა გროვად დაეწყოთ შალის ძაფის გორგლები, საკერავი მანქანის აბრეშუმის ძაფის კოჭები, ფეხსაცმლის თასმები, ქისა შილინგიანი მონეტებით. საცვლები, ფეხსაცმელი და მოხუცი ზელიგმანის სხვა ნივთები ისევ ჩემოდანში იყო. უფროსმა ბიჭმა თავი ასწია. ოთახში შემოსული შტაინერისა და მორიც როზენტალის დანახვაზე უნებურად ხელები გაშალა და ლეიბზე დაწყობილ ნივთებს გადაეფარა. შტაინერი შეცბა.

ბიჭმა მორიც როზენტალს შეხედა. ლოყებაწითლებულმა ჩემოდნიდან ამოლაგებულ ნივთებზე მიუთითა.

— ამით დაახლოებით ოცდაათ შილინგს ვიშოვით. მერე მთელ ამ ფულს დავაბანდებთ, ქსოვილებს ვიყიდით — ველვეტს, საკაბე შალს, წინდებს, და უფრო მეტს მოვიგებთ. ხვალვე დავიწყებ. ხვალ, დილის შვიდი საათიდან დავიწყებ საქმეს. — ბიჭი სერიოზულად, დაძაბულად შესცქეროდა მოხუცს.

— კეთილი! — მორიც როზენტალმა წოწოლა თავზე გადაუსვა ხელი. — ხვალ, დილის შვიდი საათიდან შეუდექი საქმეს.

— მაშინ ვალტერის რუმინეთში გაგზავნა აღარ დაგვჭირდება, არა? — თქვა ბიჭმა. — ის მე დამეხმარება. როგორმე თავს გავიტანთ. მხოლოდ მაქსს გავგზავნით თავშესაფარში.

სამი ბავშვი მორიც როზენტალს შეაცქერდა. მაქსმა, ყველაზე პატარამ, თავი დააქნია. გადაწყვეტილებას ეთანხმებოდა.

— ვნახოთ. ამაზე მერე მოვილაპარაკოთ.

მორიც როზენტალმა შტაინერი კარამდე მიაცილა.

— დარდის დროც აღარა მაქვს, შტაინერ, — უთხრა მოხუცმა. — ისედაც დიდი გაჭირვება გვადგია.

შტაინერმა თავი დაუქნია.

— იმედია, ბიჭს პირველსავე დღეს არ დაიჭერენ.

მორიც როზენტალმა თავი გააქნია.

— ფრთხილად მოიქცევა, უკვე ბევრი რამე გაეგება. ცხოვრება ახლა ადრიანი ასაკიდან წრთვნის ყმაწვილებს.

შტაინერმა კაფე „შპერლერს" მიაშურა. დიდი ხანია იქ არ ყოფილა. რაც ყალბი პასპორტი იშოვა, მას შემდეგ იმ ადგილებს თავს არიდებდა, სადაც მანამდე იცნობდნენ.

კერნი კედელთან მიდგმულ სკამზე იჯდა, ფეხები ჩემოდანზე დაეწყო, თავი კედლისთვის მიედო და ეძინა. შტაინერი უხმაუროდ დაჯდა. მის სიახლოვეს, არ უნდოდა გაელვიძებინა. გაზრდილა, ასაკი მომატებია, გაიფიქრა მან, დაღვინებულა კიდეც.

შტაინერმა დარბაზს მოავლო თვალი. კართან ახლოს უმაღლესი სასამართლოს ყოფილი წევრი ეპშტაინი იჯდა. მის წინ მაგიდაზე ორიოდე წიგნი იდო და წყლით სავსე ჭიქა იდგა. კლიენტებს ელოდებოდა, რომლებიც მუჭში ჩაბღუჯული ათგროშიანით მოდიოდნენ და სახეშემკრთალი დაუსხდებოდნენ ხოლმე პირისპირ. მაგრამ მომსვლელი არ

ჩანდა და იგი ხასიათზე ვერ იყო. შტაინერმა დარბაზი გულდასმით მოათვალიერა. გაიფიქრა, ალბათ მისი კლიენტურა კონკურენტმა — ადვოკატმა ზილბერმა გადაიბირაო. მაგრამ ზილბერი დარბაზში არ აღმოჩნდა.

კელნერი დაუძახებლად მიეახლა. შტაინერის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა.

— ისევ დაბრუნდით? — ძმაბიჭურად ჰკითხა მან.

— გახსოვართ?

— მაშ, როგორ! თქვენი დარდი მქონდა. ახლა რეჟიმი ძალზე გაამკაცრეს. ამჯერადაც კონიაკი მოგართვათ, ბატონო?

— ჰო. სადაა ადვოკატი ზილბერი?

— ისიც ჩავარდა, ბატონო. დააპატიმრეს და ქვეყნიდან გაასახლეს.

— აჰა! ბატონ ჩერნიკოვს ამ დღეებში ხომ არ გამოუვლია?

— ამ კვირაში არ გამოჩენილა.

კელნერმა კონიაკი მოუტანა და ლანგარი მაგიდაზე დადო. ამ დროს კერნმა თვალები გაახილა, დაახამხამა და ფეხზე წამოიჭრა:

— შტაინერ!

— მოდი, ჯერ ეს კონიაკი გადაკარი, — მშვიდად მიუგო შტაინერმა. — არაფერი ისე არ აფხიზლებს ნამძინარევ ადამიანს, როგორც სასმელი.

კერნმა კონიაკი დალია.

— აქ ორჯერ ვიყავი შენს სანახავად, — უთხრა მან.

შტაინერმა გაიღიმა.

— ფეხები ჩემოდანზე შემოგიწყვია. მაშასადამე, თავშესაფარი არა გაქვს. ასე არაა?

— ჰო.

— ღამე ჩემთან შეგიძლია გაათიო.

— მართლა? შესანიშნავი იდეაა. აქამდე ოთახს ვქირაობდი ერთი ებრაელის ოჯახში. მაგრამ დღეს იძულებული გავხდი წამოვსულიყავი. ძალზე ეშინიათ, ორ დღეზე მეტ ხანს არავის შეიკედლებენ.

— ჩემთან ნურაფრის შეგეშინდება. მე გარეუბანში ვცხოვრობ. ახლავე წავიდეთ. სახეზე გეტყობა, ძილი გაკლია.

— ჰო, — მიუგო კერნმა, — გადავიღალე. თუმცა არ ვიცი, რატომ.

შტაინერმა კელნერს მოუხმო. იგი დაოთხილი მოიჭრა ძველი, ნაომარი ტაიჭივით, რომელმაც თავშეყრის სიგნალს მოჰკრა ყური.

— გმადლობთ, — უთხრა შტაინერს იმედმოცემულმა, სანამ ის ანგარიშს გაუსწორებდა, — გულითადად გმადლობთ, ბატონო!

კელნერმა ფეხის ქირას დახედა.

— გიკოცნით ხელებს, — ალუღლუღდა იგი გრძნობამორეული. — მუდამ მზად ვარ გემსახუროთ, ბატონო გრაფო!

— პრატერში მივდივართ, — უთხრა შტაინერმა კერნს ქუჩაში.

— სადაც გინდა, იქ წავიდეთ, — უპასუხა კერნმა. — ახლა მთლად გამოვფხიზლდი.

— ტრამვაიში ჩავსხდეთ. რაკი ჩემოდანი გვაქვს, ასე აჯობებს. ისევ ტუალეტის წყლითა და საპნით ვაჭრობ?

კერნმა თავი დაუქნია.

— მე ახლა სხვა სახელი და გვარი მაქვს. თუმცა შეგიძლია უშიშრად კვლავ შტაინერი დამიძახო. ეს გვარი ყოველ-შემთხვევისთვის შევინარჩუნე, რათა საჭიროების დროს თავი ვიმართლო, ჩემი ფსევდონიმია-მეთქი, ან, პირიქით, მეორე გვარია-მეთქი ფსევდონიმი. გააჩნია, როგორ დამჭირდება.

— ამჟამად რას საქმიანობ?

შტაინერმა გაიცინა.

— ერთხანს კელნერს ვცვლიდი რესტორანში. მერე ის ჰოსპიტლიდან დაბრუნდა და მეც გამომაბრძანეს. ამჟამად პოტცლოხის ატრაქციონში ასისტენტად ვარ. ტირშიც ვდგავარ და თან სცენაზე ნათელმსილველის როლშიც გამოვდივარ. შენ რას აპირებ?

— არაფერს.

— ეგებ ჩვენთან მოგაწყო. ბედზე სწორედ ამჟამად დამხმარე მუშები სჭირდებათ. ხვალვე ბებერ პოტცლოხს მივადგეთ. ეს კარგი იმითაა, რომ პრატერში არავინ შეგამოწმებს. პოლიციაში აღრიცხვაზე გამოცხადება არ დაგჭირდება.

— ღმერთო, შენი ჭირიმე, — გაუხარდა კერნს. — რა კარგია, თუ ეგ საქმე გამოვიდა. ძალიან მინდა, ვენაში ცოტა ხანს მაინც დავრჩე.

— ჰოო? — შტაინერმა ალმაცერად გადახედა. — მაშ, ვენაში დარჩენა გინდა?

— დიახ.

ისინი ტრამვაიდან ჩამოვიდნენ და ღამის სიბნელეში პრატერში შევიდნენ. შტაინერი ბაზრის მოედნის განაპირას მდებარე საცხოვრებელ ფურგონთან შეჩერდა, კარი გააღო და ლამპა აანთო.

— აი, ბალღო, მოვედით. მოდი, ჯერ შენთვის საწოლი გავამზადოთ.

მან ფურგონის კუთხიდან ძველი ლეიბი და ორიოდე საბანი გამოაძვრა და თავის საწოლთან იატაკზე დააგო.

— ალბათ გშია, არა? — ჰკითხა კერნს.

— ალარც ვიცი.

— პატარა ყუთში პური, კარაქი და ძეხვის ნაჭერია. ერთი ბუტერბროდი მეც გამიკეთე.

ვილაცამ კარზე ფრთხილად დააკაკუნა. კერნმა დანას ხელი გაუშვა და სმენად გადაიქცა. თან თვალით ფანჯარა მოძებნა. შტაინერს გაეცინა.

— ძველი შიში სისხლში გაქვს გამჯდარი. ასე არაა? მაგისგან თავის დახსნას ვერ ველირსებით. შემოდი, ლილო! — გასძახა მან.

ფურგონში მაღალი, ამოლტილი ქალი შემოვიდა და კართან დადგა.

— სტუმარი მყავს, ლუდვიგ კერნი. — გააცნო ქალს. — ახალგაზრდაა, მაგრამ უცხოეთში ყოფნის დიდი გამოცდილება აქვს. ჩემთან იცხოვრებს. ყავას ხომ არ მოგვიდუღებდი, ლილო?

— ახლავე.

ქალმა სპირტქურა აანთო, ზედ პატარა ქვაბით წყალი დადგა და ყავის დაფქვას შეუდგა. უხმაურო, აუჩქარებელი, ნარნარი მოძრაობები ჰქონდა.

— მეგონა, კარგა ხნის დაძინებული იყავი, ლილუ, — მიმართა შტაინერმა.

— არ მეძინება.

ქალს დაბალი, ჩახლეჩილი ხმა ალმოაჩნდა. მოგრძო სახე და შუაზე გაყოფილი შავი თმა ჰქონდა. იტალიელს ჰგავდა, მაგრამ გერმანულად ლაპარაკისას მკვეთრი სლავური აქცენტი ეტყობოდა.

კერნი ფეხმოტეხილ წნულ სკამზე დაჯდა. ძალზე დაიქანცა. თითქოს დაბანგულიაო, მთელი სხეული მოუდუნდა. აღარც შიში აწუხებდა.

— ბალიში, — თქვა შტაინერმა, — ერთადერთი, რაც გვაკლია, ბალიშია.

— არა უშავს, — უპასუხა კერნმა. — თავქვეშ პიჯაკს და საცვლებს ამოვიდებ.

— ბალიში მე მაქვს, — თქვა ქალმა.

ქალმა ყავა აადუღა, ადგა და აჩრდილივით უჩქამოდ გავიდა გარეთ.

— მოდი, ჭამე! — მიმართა შტაინერმა კერნს და ყავა ორ უყურო ლურჯ ფინჯანში ჩაასხა.

პურსა და ძეხვს შეექცნენ... ქალი დაბრუნდა. მოტანილი ბალიში კერნის ლოგინზე დადო. თავად ბაგიდას მიუჯდა.

— ყავას დალევ, ლილო? — ჰკითხა შტაინერმა.

ქალმა თავი გააქნია. იგი მშვიდად იჯდა. უყურებდა, როგორ ჭამდნენ და სვამდნენ კაცები. შტაინერი წამოდგა.

— ძილის დროა. დაიღლებოდი, ბალლო.

— ჰო. ახლა თანდათან ვგრძნობ, რომ ძალზე დავქანცულვარ, — მიუგო კერნმა.

შტაინერმა ქალს თავზე ხელი გადაუსვა.

— შენც წადი. დაიძინე, ლილო...

— ჰო. — ქალი მორჩილად ადგა. — ღამე მშვიდობისა.

კერნი და შტაინერი დასაძინებლად დაწვნენ. შტაინერმა ლამპა ჩააქრო.

— იცი, რას გეტყვი, — გაისმა მცირე ხნის შემდეგ მისი ხმა თბილ ოთახში, — ისე უნდა იცხოვრო, თითქოს საზღვარგარეთიდან შინ დაბრუნებას აღარ აპირებდე.

— ჰო, — გამოეხმაურა კერნი. — მაგის წარმოდგენა ჩემთვის სულაც არ არის ძნელი.

შტაინერმა სიგარეტს მოუკიდა. ნელა ეწეოდა. ყოველი მოქაჩვის შემდეგ სიბნელეში წითელი წერტილი კიაფობდა.

— არ მოსწევ? — ჰკითხა კერნს. — სიბნელეში სიგარეტს სულ სხვა გემო აქვს.

— კი. — კერნმა შტაინერის ხელის შეხება იგრძნო, რომელშიაც სიგარეტის კოლოფი და ასანთი ეჭირა.

— როგორაა საქმე პრალაში? — ჰკითხა შტაინერმა.

— კარგად. — კერნმა ცოტა შეიცადა, მოსწია და შერე განაგრძო. — იქ ერთი ვინმე გავიცანი.

— ამიტომ ჩამოხვედი ვენაში?

— მარტო მაგიტომ არა. თუმცა ისიც ვენაშია.

შტაინერმა სიბნელეში გაიღიმა.

— არ დაივიწყო, უთვისტომო, უსახლკარო რომ ხარ. ბუნებრივია, შენს მდგომარეობაში მყოფიც ვერ იტყვის უარს რომანტიკულ თავგადასავალზე, მაგრამ ისე ღრმად არ უნდა შეტოპო, რომ განშორებამ გული გატკინოს.

კერნი დუმდა.

— ისე არ გამიგო, თითქოს სიყვარულის წინააღმდეგი ვიყო, — განაგრძო შტაინერმა. — არც თანაგრძნობის წინააღმდეგი ვარ. საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს მათ მიმართ, ვინც ცოტაოდენ გულის სითბოს მაინც გვიწილადებს. საყვედური, პირველ რიგში, ჩვენ გვეთქმის, რადგან მიღებით კი ვიღებთ, მაგრამ თავად ბევრს ვერაფერს გავცემთ.

— საერთოდ, ასე მგონია, არაფრის გაცემის უნარი არ გამაჩნია, სულ მცირედისაც კი, — კერნს უეცრად უსუსურობის განცდა დაეუფლა. მართლაც, რა შეეძლო? რისი მიცემა შეეძლო რუთისთვის? მხოლოდ საკუთარი გრძნობის. ეს კი თითქმის არაფერი იყო. საკუთარი ახალგაზრდობა და გამოუცდელობა — აი, სულ ეს იყო, რისი შეთავაზებაც შეეძლო.

— არაფერია მცირედზე მეტი, ბალღო, — დინჯად დამოძღვრა შტაინერმა. — ეს თითქმის ყველაფერია.

— გააჩნია, ვისგან...

შტაინერმა გაიღიმა.

— ნუ შიშობ, ბალღო. გულწრფელი გრძნობა ჭეშმარიტია. გულს მიენდე, მაგრამ გონება არ დაკარგო. — მან სიგარეტი ჩააქრო. — ძილი ნებისა. დილით პოტცლოხს უნდა მივაკითხოთ...

— გმადლობ. ვატყობ, აქ კარგად დამეძინება...

კერნმა სიგარეტი გვერდზე გადადო და თავი უცნობი ქალის ბალიშში ჩარგო. მართალია, სევდა არ განქარვებოდა, მაგრამ მაინც თავს თითქმის ბედნიერად გრძნობდა.

IX

დირექტორი პოტცლოხი პატარა, ჩასუქებული კაცი აღმოჩნდა. გაფარჩხული ულვაში და დიდი ცხვირი ჰქონდა. ზედ პენსნე ეკეთა, რომელიც ყოველ წუთს უვარდებოდა. ერთთავად ფუსფუსებდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გასაკეთებელი თითქმის არაფერი იყო.

— რა მოხდა? მითხარით ჩქარა! — იკითხა მან, როგორც კი შტაინერი და კერნი მიუახლოვდნენ.

— ჩვენ ხომ დამხმარე გვჭირდება, — უთხრა შტაინერმა, — რომელიც დღისით დარბაზს დაასუფთავებს, საღამოს კი ტელეპათიურ ექსპერიმენტში მიიღებს მონაწილეობას. აგერ, მოგიყვანეთ, — და კერნზე მიუთითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეუძლია რამე?

— ყველაფერს გააკეთებს, რაც ჩვენ გვჭირდება.

პოტცლოხმა თვალები მოჭუტა.

— თქვენი ნაცნობია? რას ითხოვს?

— კვებას, საცხოვრებელს და ოცდაათ შილინგს თვეში, რასაკვირველია, თავდაპირველად.

— ეს ხომ მთელი ქონებაა! — იყვირა დირექტორმა პოტცლოხმა. — ეს ხომ კინოვარსკვლავის ჰონორარია! თქვენ ჩემი გაკოტრება გსურთ, შტაინერ? ამდენივეს ვუხდი ლეგალურად ჩაწერილ მუშას, — დაურთო უფრო მშვიდად.

— მე უფულოდაც ვიმუშავებ, — სწრაფად ჩაურთო კერნმა.

— ბრავო, ახალგაზრდავ! აი ასე იწყებენ მომავალი მილიონერები! მხოლოდ თავმდაბალი ადამიანი აღწევს წარმატებას ცხოვრებაში. — პოტცლოხმა ულვაშებში ჩაიღიმა, პაერი ხმაურით შეისრუტა და ჩამოვარდნილი პენსნე მარდად დაიჭირა. — მაგრამ თქვენ ჯერ არ იცნობთ ლეოპოლდ პოტცლოხს — კაცობრიობის უკანასკნელ მეგობარს! მე თქვენ დაგინიშნავთ ჰონორარს — თხუთმეტ შრაშუნა შილინგს თვეში. ჰონორარს! გესმით, ძვირფასო მეგობარო, და არა ხელფასს! დღეიდან თქვენ არტისტი ხართ. თხუთმეტი შილინგი ჰონორარი ათას შილინგ ხელფასზე მეტია. რაიმე განსაკუთრებული უნარი გაქვთ?

— ცოტა როიალზე ვუკრავ, — უპასუხა კერნმა.

პოტცლოხმა პენსნე ენერგიული მოძრაობით დაიმაგრა ცხვირზე.

— შეგიძლიათ დაბალ ხმაზე დაუკრათ? მაგალითად, მსუბუქი მუსიკა განწყობილების შესაქმნელად?

— დაბალზე უკეთ ვუკრავ, ვიდრე მაღალზე.

— ძალიან კარგი! — პოტცლოხი ფელდმარშალივით გაიჯგიმა. — რამე ეგვიპტური მოტივები აითვისეთ! მუმიის გადახერხვისას და წელში გადაჭრილი ქალის დემონსტრირების დროს დაუკრავთ.

პოტცლოხი სადღაც გაქრა. შტაინერმა კერნს თავის ქნევით უსაყვედურა:

— შენ ჩემს ძველ თეორიას ამტკიცებ. ებრაელები ყოველთვის მიმაჩნდა მსოფლიოში ყველაზე ფრთხილ და დამთმობ ხალხად. ადვილად შეგეძლო ოცდაათი შილინგი დაგეთრია.

კერნმა გაიღიმა.

— შენ ერთი რამე გავიწყდება: პანიკური შიში, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში დარბევებისა და გეტოების ნიადაგზე აღმოცენდა. თუ ამას გავითვალისწინებთ, ებრაელები, პირიქით, ყველაზე მამაც ერად უნდა ჩაითვალოს. ეგეც არ იყოს, მე ხომ ნამდვილი ებრაელი კი არა, საცოდავი ჰიბრიდი ვარ.

პოტცლოხის ატრაქციონში კარუსელი, ტირი და მსოფლიო საოცრებათა პანორამა შედიოდა. შტაინერმა დილითვე გააცნო კერნს მისი მოვალეობების ერთი ნაწილი. კერნს კარუსელი უნდა დაეხვეტა და ხის ცხენების სპილენძის აღკაზმულობა გაეპრიალებინა.

კერნი საქმეს შეუდგა. მან არა მარტო ცხენები და მათი აღკაზმულობა გააკრიალა საგულდაგულოდ, არამედ მოქანავე ირმებიც, გედებიცა და სპილოებიც. ისე ჩაეფლო მუშაობაში, რომ შტაინერის მოსვლა არ გაუგია.

— წამო, ბალღო, ვისადილოთ!

— რაო? კიდევ უნდა ვჭამოთ?

შტაინერმა თავი დაუქნია.

— ჰო, კიდევ. რაო, გეხამუშება? შენ ახლა არტისტებთან ხარ. იცოდე, ბურჟუაზიული ჩვევები ყველაზე მყარად ამ წრეშია ფეხმოკიდებული. ნაშუადღევს სამხარიც გველოდება — ყავა ნამცხვრით.

ზღაპრულ ქვეყანაში მოვხვედრილვარ და ეგაა! — კერნი გონდოლიდან გამოძვრა, რომელშიც ვეშაპი იყო შებმული. — ღმერთო ჩემო, ეს რა საოცრებაა! შტაინერ, ხანდახან შიში მეუფლება, — განაგრძო კერნმა, — ისე კარგად აეწყო ჩემი ცხოვრება უკანასკნელ ხანებში. ჯერ იყო და პრაღაში გამიმართლა, ახლა კი აქ. გუშინ ისიც არ ვიცოდი ღამე სად გამეთია, ხოლო დღეს სამუშაოც მაქვს, საცხოვრებელიც და სადილზეც მპატიჟებენ! ამის დაჯერება შეუძლებელია!

— უნდა დაიჯერო, — უპასუხა შტაინერმა. — ნუ ჭოჭმანობ. ყველაფერი ისე მიიღე, როგორც არის. ასეთია ძველი მოხეტიალე ხალხის დევიზი.

— იმედია, ეს სასწაული ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდება!

— ასეთი ცხოვრება სამი თვე მაინც გვექნება, მანამ, სანამ აციედება!

ლილომ მაგიდა ფურგონთან ბალახში ჩადგა. დიდი ჯამით ბოსტნეულის წვნიანი და მათლაფით ძროხის ხორცის კერძი მოიტანა და შტაინერსა და კერნთან ერთად მაგიდას მიუჯდა. ცა გამჭვირვალე იყო, ჰაერში მოახლოებული შემოდგომის სურნელი ტრიალებდა, მდელოზე, თოკზე გაფენილ სარეცხს შორის ჭრელი პეპლები დაფრინავდნენ. შტაინერმა ხელები გაშალა.

— რა კარგია ჯანსაღი ცხოვრება! აბა, ახლა ტირში წავიდეთ.

შტაინერმა კერნს თოფების დაჩენვა ასწავლა.

— ტირში მსროლელის ორი ტიპი არსებობს, — აუხსნა კერნს, — პატივმოყვარე და ხარბი.

— ისევე როგორც ცხოვრებაში, — ჩაიბურდღუნა ახლოს ჩავლილმა დირექტორმა პოტცლოხმა.

— პატივმოყვარე კარტებსა და ნომრებს ესვრის. — მოძღვრავდა შტაინერი. — ის საშიში არაა. ხარბს კი სურს აუცილებლად რამე მოიგოს. — მან კერნს ტირის სილრმეში დადგმული სტელაჟები დაანახა, რომლებზედაც დახვავებული იყო პლუშის დათუნიები, თოჯინები, საფეიერფლეები, ღვინით სავსე ბოთლები, ბრინჯაოს ფიგურები, საოჯახო ნივთები და სხვა წვრილმანი.

— დიახ, იგი მიისწრაფვის რამე მოიგოს, ქვედა თაროდან მაინც. მაგრამ თუ კლიენტმა ორმოცდაათი ქულა მოაგროვა, მაშინ ის ავტომატურად ზედა თაროებზე გადაინაცვლებს, რომლებზედაც ისეთი ნივთები აწყვია, ფასით ერთ შილინგს რომ აღემატება. აი, სწორედ ამ მომენტში თოფი უნდა დატენო დირექტორ პოტცლოხის მიერ გამოგზავნილი ჯადოსნური ტყვიებით. ისინი არაფრით გამოირჩევიან ჩვეულებრივისაგან. ისინი აქ, ამ კუთხეში აწყვია. მსროლელი, რასაკვირველია, გაოცდება, მოულოდნელად ორიანში ან სამიანში რომ მოასვენებს. ამ ტყვიებში ნაკლები დენთია. ხომ გესმის, რატომ?

— დიახ.

— დაიხსომეთ, თოფი არასოდეს გამოცვალოთ, ახალგაზრდავ! — ბაერია დირექტორი პოტცლოხი, რომელიც მოულოდნელად მათ ზურგს უკან აღმოჩნდა. — თოფის გამოცვლა კლიენტს დააეჭვებს. ტყვიაზე ის არ დაეჭვდება. და შემდეგ — არც დაბალანსების პრინციპს უნდა ვუღალატოთ! კლიენტს რამე უნდა მოვაგებინოთ, ოღონდ ისეთი ღირებულების ნივთი, რომ ჩვენც ზარალში არ დავრჩეთ. თქვენ თუ ამას მოახერხებთ, მაშასადამე ცხოვრებაში იცარგებთ. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მას, ვინც ბევრჯერ გაისვრის, რამე ნივთი სულ ზედა თაროდანაც უნდა ვარგუნოთ.

— ვინც ხუთ შილინგს დახარჯავს, ბრინჯაოს ერთ-ერთი ქალღმერთი მაინც უნდა მოვაგებინოთ, — უთხრა კერნს შტაინერმა. — ქალღმერთი ერთი შილინგი ღირს.

მაგრამ ახალგაზრდავ, — მოულოდნელად პათეტიკურად მიმართა პოტცლოხმა კერნს, — კარგად დაიხსომეთ: მთავარი ჯილდო არავის მოაგებინოთ. ხომ გესმით? ის ჩემი საკუთრებაა, ოჯახიდან მოვიტანე. ნამდვილი შედევრია!

პოტცლოხმა ვერცხლის სახილე კალათაზე მიუთითა, რომელსაც თორმეტი ვერცხლისავე თეფში და დანა-ჩანგალი ახლდა.

გიჯობთ თავი მოიკლათ და სამოცი ქულა არავის მოაგროვებინოთ. პირობას იძლევით?

კერნმა პირობა მისცა. პოტცლოხმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ჩამოვარდნილი პენსნე ჰაერში დაიჭირა.

— ამის გაფიქრებაზეც კი ტანში მზარავს, — ჩაიბურტყუნა მან. — ცოლი მომკლავს! მემკვიდრეობით გადმოცემული ოჯახური რელიქვიაა, ყმაწვილო! — წამოიძახა მან. — ოჯახური რელიქვიაა ამ უტრადიციო ეპოქაში! გესმით, რას ნიშნავს ოჯახური რელიქვია? გაჩუმდით, ხმა გაკმიბდეთ, თქვენ ამისი არაფერი გაგეგებათ.

პოტცლოხი გარეთ გავარდა. კერნმა თვალი გააყოლა.

— ნუ გეშინია, — დაამშვიდა შტაინერმა კერნი. — ჩვენი თოფები ტროას ომის დროინდელია. თანაც, თუ საჭოჭმანო ვითარება შეიქნა, ლილო მოგეშველება.

ისინი მსოფლიო საოცრებათა პანორამასთან მივიდნენ. ეს იყო სამსაფეხურიან ცოკოლზე დადგმული დიდი პავილიონი, რომლის კედლებიც ფერადი ფიშებით იყო აჭრელებული. შესასვლელთან მდგარი პალაროს ჯიხური ჩინურ პაგოდას მოგაგონებდათ. ეს ლეოპოლდ პოტ-

ცლოხის იდეა გახლდათ. შტაინერმა კერნი აფიშასთან მიიყვანა, რომელზე გამოსახული კაციც თვალებიდან ელვის ისრებს ისროდა.

— ეს ალვაროა — გასაოცარი ტელეპათი. მის როლში მე გამოვდივარ. შენ ჩემი ასისტენტი იქნები, ბალლო.

ისინი პავილიონში შევიდნენ. ცხვირში შმორის სუნი ეცათ. ბინდში მიმოფანტული ცარიელი სკამების სილუეტები მოჩანდა. შტაინერი სცენაზე ავიდა.

— ყური დამიგდე! დარბაზში ერთ-ერთი მაყურებელი რამე ნივთს დამალავს მეორე მაყურებელთან. ძირითადად ეს სიგარეტის კოლოფი, ასანთი, საპუდრე ან, რაც ყველაზე საოცარია, ქინძისთავი იქნება. კაცმა არ უწყის, სად შოულობენ ამდენ ქინძისთავს! მე დამალულ ნივთს უნდა მივაგნო. დარბაზს ვთავაზობ, სცენაზე რომელიმე მოხალისე მაყურებელი ამოვიდეს. მე მას ხელს ჩავჭიდებ და ერთად ჩავდივართ დარბაზში. როცა მოხალისის როლში შენ იქნები, დამალული ნივთისკენ უნდა წამიყვანო. ხელის მოჭერით მიმახვედრებ, რომ მას ვუახლოვდებით. ხელზე შუათითის მსუბუქი დაკაკუნებით მანიშნებ, რომ სწორ გზაზე ვარ. ეს ძალზე ადვილია: მე მანამ ვეძებ, სანამ შენ მიკაკუნებ. ნივთი ზევით არის თუ ქვევით, ამას ხელის აწევ-დაწევით მანიშნებ.

კარი ხმაურით გაიღო და პავილიონში დირექტორი პოტცლოხი შემოიჭრა.

— სწავლობს?

— სწორედ ახლა ვაპირებდით გვესინჯა, — უპასუხა შტაინერმა. — დაბრძანდით, ბატონო დირექტორო, და რამე დამალეთ. ქინძისთავი ხომ არა გაქვთ?

— რასაკვირველია მაქვს! — პოტცლოხმა ხელი სერთუკის ლაცკანზე იტაცა.

— ვიცოდი, რომ გექნებოდათ! — შტაინერი დარბაზისკენ ზურგით დადგა. — სადმე დამალეთ. ახლა მოდი, კერნ, და წამიყვანე.

ლეოპოლდ პოტცლოხმა თვალები ეშმაკურად ააციმციმა და ქინძისთავი ფეხსაცმლის ლანჩაში გაურჭო.

— დაიწყეთ, კერნ! — ბრძანა მან.

კერნი სცენაზე ავიდა, შტაინერს მკლავში ხელი ჩასჭიდა და პოტცლოხთან მიიყვანა. შტაინერმა ძებნა დაიწყო.

— შელიტინების მეშინია, შტაინერ, — ჩაიფხუკუნა პოტცლოხმა და წამოიკივლა.

ორიოდე წუთში შტაინერმა ქინძისთავს მიაგნო. ექსპერიმენტი კიდევ რამდენჯერმე გაიმეორეს. კერნი სწრაფად ითვისებდა სიგნალებს. დრო, რომელიც სჭირდებოდა შტაინერს პოტცლოხის ასანთის ან სხვა ნივთის საპოვნელად, თანდათან მცირდებოდა.

— ძალზე კარგია, — შეაქო პოტცლოხმა. ვარჯიში ნაშუადღევსაც განაგრძეთ. ახლა, რაც მთავარია: როცა თქვენ მაყურებლის როლში გამოხვალთ, ყოყმანი უნდა შეეტყოთ, გესმით? რათა ხალხი ვერაფერს მიხვდეს. ყოყმანი ამისთვისაა საჭირო! ერთხელაც გაიმეორეთ, შტაინერ. მე გიჩვენებთ, ეს როგორ უნდა გააკეთოთ! — პოტცლოხი კერნის გვერდით დაჯდა სკამზე.

შტაინერი ფიცარნაგზე ავიდა.

— ახლა მე გთხოვთ, — ქადაგივით გაიძახოდა იგი ცარიელ პავილიონში, — ერთ-ერთი პატივცემული ბატონი ამოვიდეს ჩემთან სცენაზე. მხოლოდ ხელის შეხებით ამოვიცნობ მის აზრებს და დამალულ ნივთს მივაგნებ!

დირექტორი პოტცლოხი წინ გადაიხარა, თითქოს ფეხზე წამოდგომას და რაღაცის თქმას აპირებსო. მერე ვითომც შეეყოყმანდა. ერთხანს ცქმუტავდა, პენსნე ცხვირზე დაიმაგრა და დარცხვენით მიმოიხედა. შემდეგ დამნაშავესავით გაიღიმა, სკამიდან სანახევროდ წამოდგა, ერთი ჩაიხიხითა და კვლავ სკამზე დაეშვა. ბოლოს ძალა მოიკრიბა, ფიქრიანი, ცნობისმოყვარე და თანაც მოჭოჭმანე გამომეტყველება მიიღო და შტაინერისკენ გაემართა, რომელიც სიცილით იჭაჭებოდა.

ფიცარნაგთან მისული პოტცლოხი შემობრუნდა.

— ახლა თქვენ სცადეთ, ახალგაზრდავ! — თვითკმაყოფილი იერით მიმართა კერნს.

— მაგის გამეორება წარმოუდგენელია! — წამოიძახა შტაინერმა.

ნასიამოვნებმა პოტცლოხმა ჩაიღიმა.

— მე, ძველმა მსახიობმა, კარგად ვიცი: სიმორცხვის გამოსახვა ძალზე ძნელია. მე დამაჯერებელ სიმორცხვეს ვგულისხმობ.

— ის ბუნებით არის მორცხვი, — აუხსნა შტაინერმა. — ამიტომ ამის გამოსახვა არ გაუჭირდება.

— ძალიან კარგი! ახლა კარუსელს უნდა მივხედო.

პოტცლოხი გარეთ გავარდა.

— ვულკანივით ტემპერამენტი აქვს! — აღფრთოვანება ვერ დამალა შტაინერმა. — არადა, სამოცს გადააბიჯა. ახლავე გიჩვენებ, როგორ უნდა მოიქცე, თუ ყოყმანი გაგიგრძელდა და სხვა მაყურებელმა დაგასწრო. დარბაზში სკამების ათი რიგია. თმაზე პირველად ხელის გადასმისას გაშლილი თითებით მიჩვენებ რიგის ნომერს, სადაც ნივთია გადამალული. მეორედ ხელის გადასმისას მიჩვენებ, რომელი სკამია მარცხნიდან. შემდეგ სხვათა შეუმჩნეველად იმ ადგილზე მიიდებ ხელს, სადაც დაახლოებით არის ნივთი. მერე მე თავად მივაგნებ...

— სულ ეს არის?

— სულ ეს არის. მაყურებელი საოცრად ღარიბ ფანტაზიას ავლენს ამ საქმეში.

— ყველაფერი რაღაც ძალზე მარტივი მეჩვენება.

— მოტყუება მარტივი გზით უფრო ხერხდება. ჩახლართული თაღლითობა თითქმის ვერასოდეს აღწევს მიზანს. ნაშუადღევს კიდევ წავივარჯიშოთ. ლილოც დაგვეხმარება. წამოდი, ჩვენს დაფეხვილ როიალს გიჩვენებ. ნამდვილი სამუზეუმო ნივთია. ერთ-ერთი პირველი როიალია, რომელიც ოდესღაც გაუკეთებიათ ამქვეყნად.

— ვფიქრობ, არც მე ვუკრავ გადასარევად.

— სისულელეა! რამდენიმე კეთილხმოვანი აკორდი შეარჩიე. მუმიის გადახერხვის დროს ნელი, საზეიმო მელოდია დაუკარი, ნახევარქალის დემონსტრირებისას — თამამი, მკვეთრი. მაინც არავინ მოგისმენს.

— კარგი. ჯერ წავივარჯიშებ და მერე დაგიკრავ.

კერნი სცენის ფარდის უკან შეძვრა. იქ ძველი როიალი დახვდა დაკრეჭილი ყვითელი კბილებით. მცირე დაფიქრების შემდეგ მუმიისათვის ტაძარში ცეკვა შეარჩია „აიდადან“, ხოლო წელში გადაჭრილი ქალისათვის მსუბუქი მელოდია „მაისის ხოჭოს საქორწილოდ ბმანებიდან“. კერნი როიალს უბრახუნებდა, თან ფიქრობდა რუთზე, შტაინერზე, მომავალ მშვიდობიან დღეებზე და ვახშმებზე. ისეთი განწყობა ჰქონდა, თითქოს ასე კარგად არასდროს ყოფილა.

ერთი კვირის შემდეგ პრატერში რუთი გამოჩნდა. „მსოფლიო საოცრებათა პანორამის“ ღამის წარმოდგენა იწყებოდა. კერნმა იგი პირველ რიგში დასვა, თვითონ კი ფაცხაფუცხით როიალს მიაშურა, რომ ნომერი უიმისოდ არ დაეწყოთ. განსაკუთრებული მოვლენის აღსანიშნავად მუსიკალური პროგრამა შეცვალა. მუმიის ჩვენებისას „იაპონური ფარნის სერენადები“ დაუკრა, ხოლო წელში გადაჭრილი ქალის ჩვენებისას „ციციანათელა, ანათე“. ეს ოპუსები უფრო ეფექტურად ელერდა. მოგვიანებით მუნგოს ანუ ავსტრალიელი ტარზანის გამოსვლისას თავისი ინიციატივით „ჯამბაზების“ პროლოგი დაუმატა, რომელიც მისი საუკეთესო ნომერი იყო, რადგან საშუალებას აძლევდა თავი გამოეჩინა არპეჯიებითა და ოქტავებით.

გარეთ გამოსულს ლეოპოლდ პოტცლოხი გადაეყარა.

— შესანიშნავია! — შეაქო დირექტორმა. — დღეს გაცილებით მეტი გრძნობით უკრავდით, ვიდრე წინა წარმოდგენებზე! რა დალიეთ?

— არაფერი, — უპასუხა კერნმა. — უბრალოდ, კარგ გუნებაზე ვარ.

— ახალგაზრდავ! — პოტცლოხმა პენსნეზე იტაცა ხელი. — მგონი, თქვენ მე გამაცურეთ! წესით ჰონორარი მე უნდა მომცეთ! დღეიდან ვალდებული ხართ, მუდამ კარგ გუნებაზე იყოთ. არტისტს ეს უნდა შეეძლოს. ხომ გესმით?

— დიახ.

— საკომპენსაციოდ ამიერიდან გაწვრთნილი ზღვის ლომების გამოსვლის დროსაც დაუკრავთ, რამე კლასიკურს. თანახმა ხართ?

— კარგი, — დეთანხმა კერნი. — მეცხრე სიმფონიის ნაწილი ვიცი. მე მგონი, ეს ძალიან მოუხდება.

კერნი პავილიონში შევიდა და ერთ-ერთ ბოლო რიგში დაჯდა. წინ, შორს, სიგარეტის ბოლში, ფარფლებიან ქუდსა და მელოტ თავს შუა რუთის თავი დაინახა. უეცრად ის მსოფლიოში ყველაზე ნატიფ, ლამაზ თავად მოეჩვენა. ზოგჯერ, როცა მაყურებლები ხარხარებდნენ და ცქმუტავდნენ, თავი გაქრებოდა ხოლმე, მერე მოულოდნელად კვლავ გამოჩნდებოდა შორეულ, მკრთალ ჩვენებასავით, და კერნს უჭირდა იმის წარმოდგენა, რომ ამ თავის პატრონი სპექტაკლის შემდეგ გვერდით გაჰყვებოდა და დაელაპარაკებოდა...

სცენაზე შტაინერი გამოვიდა. ასტროლოგიური ნიშნებით მოპატული ტრიკო ეცვა. ერთმა სქელმა ქალმა თავისი პომადა ახალგაზრდა კაცის პიჯაკის ჯიბეში დამალა. შტაინერმა მაყურებლებს შესთავაზა, ვინმე ასულიყო სცენაზე.

კერნმა „ყოყმანი“ დაიწყო. მართლაც ოსტატურად ყოყმანობდა. რიგებს შორის გასასვლელის შუაში მისულმა უკან დაბრუნება დააბირა. პოტცლოხმა მოწონების მზერა ესროლა. თურმე სულ ტყუილ-უბრალოდ, რადგან ეს წინასწარ მოფიქრებული არტისტული ხერხი ყოფილა. უბრალოდ, კერნს რუთის ახლოს გავლა შეეშინდა. [illegible] თავს მოერია და ყველაფერი კარგად გამოუვიდა.

ჩარმოდგენის შემდეგ დირექტორმა პოტცლოხმა კერნი თავისთან ჩიიხმო.

— ყმაწვილო, — მიმართა მან, — რა დაგემართათ დღეს? თქვენ უმაღლეს დონეზე „ყოყმანობდით“. თან დაბნეულობისგან შუბლზე ოფლიც გამოგივიდათ. ოფლის გამოდენის იმიტაცია ძალზე ძნელია. ეს მე კარგად ვიცი. როგორ მოახერხეთ? სუნთქვის შეკავებით?

— მე ვფიქრობ, ეს სცენის ციებ-ცხელების ბრალი იყო.

— სცენის ციებ-ცხელების? — პოტცლოხი გაიბადრა. — როგორც იქნა, მივაღწიე! ნამდვილი არტისტი სცენაზე გასვლისას ნამდვილ მღელვარებას უნდა განიცდიდეს. აი, რას გეტყვით: ამიერიდან თქვენ ზღვის ლომებისა და ნოიკელნის ტყის კაცების გამოსვლისასაც დაუკრავთ. პონორარს ხუთი შილინგით გაგიზრდით. თანახმა ხართ?

— თანახმა ვარ! — უპასუხა კერნმა. — ოღონდ ახლა ათი შილინგი მომეცით ავანსად.

პოტცლოხმა თვალები დააჭყიტა.

— რათ? სიტყვა „ავანსი“ უკვე ისწავლეთ? — მან ჯიბიდან ათშილინგიანი ამოიღო. — როგორც გეტყობათ, თქვენ ნამდვილი არტისტი ბახდით!

— აბა, ბავშვებო, გაიქეცით! — უთხრა შტაინერმა კერნსა და რუთს. — ოღონდ იცოდეთ, ერთ საათში აქ გაჩნდით, სადილზე არ დაიგვიანოთ, დღეს ცხელი ღვეზელი გვექნება. რუსების ღვთიური კერძი. ასე არაა, ლილო?

ლილომ თავი დაუქნია.

კერნმა და რუთმა მდელო გადასერეს, ტირი უკან მოიტოვეს და ახმაურებულ კარუსელს მიაშურეს. ვეებერთელა მოედანი შუქითა და მუსიკით აელვარებულ, ბრჭყვიალა ტალღად შემოასკდათ და მხიარული უდარდელობის შხეფები შემოაფრქვიათ.

— რუთ! — კერნმა ქალიშვილს მკლავში მოჰკიდა ხელი. — დღეს შენი საღამოა! სულ ცოტა, ორმოცდაათი შილინგი მაინც უნდა დაგახარჯო.

— შენ ამას არ იზამ! — შედგა შეშფოთებული რუთი.

— დიახაც, ვიზამ! ორმოცდაათ შილინგს დავხარჯავ, ოღონდ ისე, როგორც ამას გერმანიის იმპერია აკეთებს: დავხარჯავ ფულს, რომელიც არ გამაჩნია. ახლავე გიჩვენებ. წამოდი!

მათ „საშინელებათა გზის“ ატრაქციონს მიაშურეს. გრანდიოზული რკინის ნაგებობის რელსები ცაში იყო აზიდული. მასზე პატარა ვაგონეტები დასრიალებდნენ. იქიდან წივილ-კივილი და სიცილ-ხარხარი ისმოდა. შესასვლელთან დიდი რიგი იდგა. კერნი ხალხში გაძვრა და თან რუთიც გაიყოლია. მოლარემ კერნი შეამჩნია.

— სალამი, გეორგ! — მიმართა მან კერნს. — ისევ აქა ხარ? შედი!

კერნმა დაბალი ვაგონეტის კარი გამოაღო.

— ჩაჯექი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუთმა გაკვირვებით შეხედა.

კერნმა გაიცინა.

— ასეა საქმე! აი, რას ნიშნავს ჯადოსნობა! ხომ ხედავ, ფულ არავინ გვთხოვს!

ვაგონეტი დაიძრა, ჯერ შვეულ რელსებზე ავარდნენ, მერე ბნელ გვირაბში ჩაინთქნენ. ჯაჭვით დაბმული ურჩხული ბურდღუნით წამოდგა და რუთისკენ გაიწია. ქალიშვილმა დაიკივლა და კერნს მიეკრა. იმავე წამს კუბოს სახურავი გადაეხადა, ადამიანთა ჩონჩხები წამოიმართნენ, ძვლები სამგლოვიარო მარშის მონოტონურ მოტივზე ააჩხარუნეს. ვაგონეტი გვირაბიდან გამოვარდა, მარყუჟივით გადახლართულ რელსებზე გადაიგრუხუნა და უფსკრულში ჩავარდა. მათ შესახვედრად ვაგონი მოქროდა. მასში ორი ერთმანეთს ჩახუტებული ადამიანი იჯდა და შეშინებული იყურებოდა, რადგან შეჯახება გარდუვალი ჩანდა. მაგრამ ამ დროს ვაგონეტმა მკვეთრად მოუხვია, სარკეში არეკლილი გამოსახულება გაქრა და ისინი ორთქლის ქვაბში ჩაეშვნენ. ვილაცამ სველი ხელები მოუსვათ სახეზე. ბოლოს მკვნესარე ბერიკაცს გადაუარეს და დღის სინათლეზე გამოვიდნენ. ვაგონეტი გაჩერდა. ისინი გადმოვიდნენ. რუთმა თვალებზე მოისვა ხელი.

— რა მშვენიერი გახდა უეცრად ყველაფერი! — თქვა რუთმა და გაიღიმა. — დღის ნათელი, ჰაერი... და კიდევ ის, რომ ვსუნთქავთ და დავდივართ...

— რწყილების ცირკში ყოფილხარ? — ჰკითხა კერნმა.

— არა.

— მაშ წავიდეთ.

— სალამი, ჩარლი! — უთხრა კერნს შესასვლელთან მდგომმა ქალმა. — დღეს თავისუფალი ხარ? შედით! სწორედ ახლა ალექსანდრე II გამოსვლა იწყება.

კმაყოფილმა კერნმა რუთს შეხედა.

— აქაც უფასოდ! — განუმარტა მას, — შევედით!

ალექსანდრე II ღონიერი, მოწითალო რწყილი აღმოჩნდა. ის სოლო ნომრით პირველად გამოდიოდა მაყურებლის წინაშე. მომთვინიერებელი ცოტა ღელავდა. ალექსანდრე II აქამდე ოთხცხენიანი ეტლის მხოლოდ წინა მარცხენა ცხენის როლს ასრულებდა და ფიცხი, გაუთვალისწინებელი ტემპერამენტის პატრონი გახლდათ. პუბლიკა კერნისა და რუთის ჩათვლით სულ ხუთი ადამიანისგან შედგებოდა. ისინი დაძაბული შეჰყურებდნენ სანახაობას.

ალექსანდრე II უნაკლოდ მუშაობდა. ჯერ ჩორთით იარა, მერე ტრაპეციაზე აძვრა, ივარჯიშა და თავისი მთავარი ნომერიც — ბალანსირზე გავლა — თვალდაუხამხამებლად შეასრულა.

— ბრავო, ალფონს! — კერნმა ამაყად მოღიმარ მომთვინიერე-

ბელს ხელი ჩამოართვა. მომთვინიერებელს ხელის ზურგზე რწყილის ნაკბენები აჩნდა.

— გმადლობთ. თქვენ თუ მოგეწონათ, ქალბატონო?

— საოცრებაა! — რუთმაც ხელი ჩამოართვა მომთვინიერებელს. — წარმოუდგენელია, როგორ მიაღწიეთ ამას.

— ეს სულ ადვილია. ყველაფერი წვრთნისა და მოთმინების შედეგია. ერთმა კაცმა მითხრა, მოთმინებით ქვის გაწვრთნაც შეიძლებაო. — მომთვინიერებელმა თვალები ეშმაკურად მოწკურა. — იცი, ჩარლი, პატარა ეშმაკობა ვიხმარე: წარმოდგენის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ალექსანდრე II ქვემეხი ვათრევინე. მძიმე მორტირა. ამით დავქანცე. დაქანცულობა კი მორჩილებას ბადებს.

— ქვემეხი? — გაუკვირდა რუთს. — როგორ თუ ქვემეხი? რწყილი და ქვემეხი?

— ეგ რაა, რწყილებს მძიმე საველე არტილერიაც აქვთ. — მომთვინიერებელმა ალექსანდრე II ჯილდოდ ხელზე აკბენინა. — ეს ატრაქციონი ახლა ძალზე პოპულარულია, ქალბატონო, პოპულარობას კი შემოსავალი მოაქვს.

— ოღონდ რწყილები ერთმანეთს არ ესვრიან, — აუხსნა კერნმა რუთს. — ისინი ერთმანეთს არ ჟლეტენ, ადამიანებზე უფრო გონიერები არიან.

კერნი და რუთი მექანიკურ ავტოდრომთან მივიდნენ.

— მოგესალმებით, პეპერლ! — დაიღრიალა შესასვლელში მდგომმა კაცმა, რათა ლითონის ჯახაჯუხი გადაეფარა. — მეშვიდე ნომერი აირჩიეთ, კარგად ტარნავს.

— თანდათან არ გეჩვენება, თითქოს მე ვენის ბურგომისტრი ვიყო? — ჰკითხა კერნმა რუთს.

— უფრო მეტიც: პრატერის მფლობელი მგონიხარ.

მანქანა გაქანდა, მეორე მანქანას დაეჯახა და უცბად შუაგულ ოროპტრიალში აღმოჩნდნენ. კერნი იცინოდა. საჭეს ხელი გაუშვა. წარბშეჭმუხნილი რუთი მონდომებით ცდილობდა მანქანის მართვას. ბოლოს მანაც თავი მიანება, კერნისკენ შებრუნდა და მორცხვად გაუღიმა. იშვიათმა ღიმილმა სახე გაუნათა. მოულოდნელად ბავშვური გამომეტყველება მიიღო. კერნი მხოლოდ ქალიშვილის დაბურცულ, ალუბლისფერ ტუჩებს უცქეროდა, მის სქელ წარბებს სრულიად ველარ ამჩნევდა.

ისინი კიდევ ექვსიოდე ატრაქციონსა და სანახაობას დაესწრნენ. მათ შორის მოანგარიშე ზღვის ლომებისა და ინდოელი წინასწარმეტყველის გამოსვლებს. ფული არსად გადაუხდიათ.

— ხომ ხედავ, — ამაყად უთხრა კერნმა, — მართალია, ჩემი სახელი ყველას ეშლება, მაგრამ ყველგან თავისუფლად მიშვებენ. აი, ეს არის პოპულარობის უმაღლესი ნაყოფი!

— „ეშმაკის ბორბალზეც“ უფასოდ შეგვიშვებენ? — ჰკითხა რუთმა.

— მაშ როგორ! ეგ კი არადა, როგორც დირექტორ პოტცლოხის დასის მსახიობს, განსაკუთრებული პატივითაც მიმიღებენ. წავიდეთ.

— სალამი, შანი, — უთხრა მოლარემ. — საცოლესთან ერთად ხარ?

კერნმა თავი დაუქნია, გაწითლდა და რუთს თვალი აარიდა.

მოლარემ მის წინ მაგიდაზე დახვავებული ფასტიდან ორი ფერადი საფოსტო ბარათი ამოიღო და რუთს გაუწოდა. ბარათზე აღბეჭდილი იყო „ეშმაკის ბორბალი“ ვენის პანორამის ფონზე.

— სამახსოვროდ, ფროილაინ.

— დიდი მადლობა.

ისინი კაბინაში შევიდნენ და ფანჯარასთან დასხდნენ.

— საცოლე არაა-მეთქი, ახსნა-განმარტება აღარ დავუწყე, — თავი იმართლა კერნმა. — დიდი დრო დამჭირდებოდა, ვიდრე სიმართლეს გავაგებინებდი.

რუთმა გაიცინა.

— სამაგიეროდ განსაკუთრებული პატივი გვერგო — საფოსტო ბარათები. ეგაა ოღონდ, არცერთმა არ ვიცით, ვის გავუგზავნოთ.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა კერნი. — მე ასეთს არავის ვიცნობ. ჩემს ნაცნობებს მისამართი არ გააჩნიათ.

კაბინა ნელა მიიწევდა მაღლა, მათ ქვემოთ კი ვენის პანორამა იშლებოდა უშველებელ მარაოსავით. ჯერ პრატერი გამოჩნდა ლამპიონებით გაჩახჩახებული ხეივნების წითელი ხაზებით, რომლებიც მარგალიტების ორმაგ მძივად გასდევდნენ ჩამუქებულ ტყე-პარკს, მერე ატრაქციონები აკიაფდა ზურმუხტებისა და ლალების უზარმაზარი გულქანდივით, ბოლოს აბრიალებული უკიდეგანო ზღვა — თვით ქალაქი, რომლის უკან თალხ ნისლში დაბალი მთაგრეხილი მოჩანდა.

ისინი მარტონი იყვნენ კაბინაში. ჯერ მაღლა-მაღლა ავიდნენ, მერე ძირს დაეშვნენ. უეცრად მოეჩვენათ, თითქოს კაბინაში კი არა, უხმაურო აეროპლანში ისხდნენ, მათ ქვემოთ კი ნელა ბრუნავდა დედამიწა. მერე თითქოს ამ მოჩვენება-აეროპლანით დედამიწას მოსწყდნენ და ცაში აღმოჩნდნენ. მათ ათასობით ქვეყანას, სახლს, ოთახს გადაუფრინეს თავზე. ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე მთელ სივრცეში სალამოს ალერსიანი, თბილი შუქი ლივლივებდა. მათ ქვემოთ, სახურავებქვეშ, ბინებში კი უკვე აენთოთ მათთვის ესოდენ სანუკვარი, საოცნებო და უცხო სინათლეები... ისინი დაფრინავდნენ ყოველივე ამის თავზე მიუსაფარ მრუმე სივრცეში, და ერთადერთი, რაც გულებს უთბობდათ, იყო სამშობლოს მონატრების დაუცხრომელი და ჩაუქრობელი ალი...

საცხოვრებელი ფურგონის ფანჯრები მოლიავებული იყო. დახუთული ჰაერი არ იძვროდა. ლილოს კერნის ლეიბზე ჭრელი საბანი გადაეფარებინა. ქვეშაგების წინ ტირიდან წამოღებული ხავერდის ფარდა გაეჭიმა. ფანჯარაში ორი ლამპიონი ქანაობდა.

— ნამდვილი ვენეციური ღამეა თანამედროვე მომთაბარეთათვის, — თქვა შტაინერმა. — პატარა საკონცენტრაციო ბანაკშიც იყავით?

— რას გულისხმობთ?

— „საშინელებათა გზის“ ატრაქციონს.

— დიახ.

შტაინერმა გაიცინა.

— ბუნკერები, დილეგები, ჯაჭვები, სისხლი და ცრემლი — ეს ეგრეთ წოდებული „საშინელებათა გზა“ მოულოდნელად ძალზე მოდური გახდა. ასე არაა, პატარა რუთ? — შტაინერი წამოდგა. — არაყი ხომ არ დაგველია?

მან მაგიდიდან ბოთლი აიღო.

— თქვენც დალევთ, რუთ?

— დიახ. დიდი სირჩით.

— შენ, კერნ?

— ორმაგს.

— ბავშვებო, თქვენ მაკვირვებთ! — „აღშფოთდა“ შტაინერი.

— მე მსოლოდ ხასიათზე მოსასვლელად ვსვამ, — თავი იმართლა კერნმა.

— ერთი სირჩა მეც დამისხით, — ითხოვა ლილომ, რომელმაც ლანგრით დაბრაწული ღვეზელები შემოიტანა.

შტაინერმა არაყი დაასხა. სირჩა ასწია და ჩაიღიმა.

— გაუმარჯოს სულიერ დეპრესიას — ცხოვრების ხალისის პირქუშ დედას!

ლილომ ლანგარი მაგიდაზე დადო. მერე სუფრას მჟავე კიტრი და სინით რუსული შავი პურიც შემოამატა. სირჩა აიღო და ნელ-ნელა დაცალა. ლამპიონების შუქი გამჭვირვალე სითხეში ისე ელვარებდა, თითქოს ქალს ხელში ვარდისფერი ბრილიანტის სასმისი ეჭირა.

— ერთსაც დამისხამ? — ჰკითხა ლილომ შტაინერს.

— რამდენსაც ისურვებ, სტეპის მელანქოლიურო ასულო. რუთ, თქვენთან როგორ‌ია საქმე?

— ერთს მეც დავლევდი.

— ერთი მეც დამისხი, — სთხოვა შტაინერს კერნმა. — ჯამაგირი მომიმატეს.

არაყი შესვეს და კომბოსტოსა და ხორცის თბილი ღვეზელები დააყოლეს. მერე შტაინერი საწოლზე ჩამოჯდა და გააბოლა. კერნი და რუთი იატაკზე დაგებულ ლოგინზე დასხდნენ. ლილო ოთახში დაფუსფუსებდა, მაგიდას ალაგებდა. მისი დიდი აჩრდილი ფურგონის კედლებზე დახტოდა.

— გვიმღერე რამე, ლილო, — სთხოვა შტაინერმა.

ქალმა თავი დაუქნია და კედლიდან გიტარა ჩამოიღო. ქალის ჩვეულებრივ ჩახლეჩილი ხმა ახლა სუფთა, დაბალ ტონში აჟღერდა. მისი მუდამ უძრავი სახე გამოცოცხლდა, თვალებში ველური, უძირო ნაღველი ჩაუდგა. ლილომ რუსული ხალხური სიმღერები და ძველებური ბომური იავნანა იმღერა. მერე უცებ დადუმდა და შტაინერს შეხედა. მის თვალებში ლამპიონების შუქი ირეკლებოდა.

— კიდევ იმღერე, — სთხოვა შტაინერმა.

ქალმა თავი დაუქნია და გიტარაზე რამდენიმე აკორდი აიღო. მერე აღიღინდა. მღეროდა მოკლე-მოკლე, მარტივ მელოდიებს, ხოლო დროდადრო სიტყვებსაც რომ ჩაურთავდა, გეგონებოდა, უკიდეგანო სტეპების ღამიდან რაღაც ფრინველი ამოფარფატდაო. მღეროდა მომ-

თაბარეებზე, კარავში ხანმოკლე დასვენებაზე, და უეცრად ლამპიონე-ბის შუქზე მათი ფურგონიც თითქოს კარვად გადაიქცა, დამეში სახელ-დახელოდ რომ გაშლიან, დილით აკეცავენ და მერე გზას გაუდგებიან.

რუთი კერნის წინ იჯდა იატაკზე და ზურგით მის აკეცილ მუხლებ-ეყუდებოდა. მერე უკან გადაიხარა და თავი ვაჟის ხელებში ჩარგო. ვა-ჟმა იგრძნო, ქალის ზურგის სითბო ხელებიდან როგორ გადაელვარ-სისხლში და უცნობი სურვილები აღუძრა. მისი სხეულიდან თითქოს რა-ღაც იდუმალი ლამობდა თავის დახსნას და გარეთ გამოსვლას. იდუმა-ლება იყო მის შიგნით და მის გარეთაც. იდუმალება იგრძნობოდა ლა-ლოს გაბმულ, ვნებიან სიმღერაში, ღამის სუნთქვაში და კერნისავე აბ-ნეული ფიქრების სწრაფ ცვალებადობაში. მოულოდნელად რაღაც მო-კაშკაზე ტალღა მოვარდა და თან წარიტაცა იგი. კერნმა ჯამიანით შე-მოამრგვალა ხელისგულები და რუთის ვიწრო კეფას ქვემოდან შემო-აჭდო. ქალიშვილი მინდობილად დაეყრდნო მის ხელებს.

კერნი და რუთი გარეთ გავიდნენ. ირგვლივ სიჩუმე იდგა. პავი-ლიონებისთვის ბრეზენტი გადაეფარებინათ, ხმაური მიმწყდარიყო, და ატრაქციონების აურზაურისა და ყვირილის, სროლისა და გამკივანი შეძახილების ადგილზე უჩუმრად ისევ ტყე აღმართულიყო, რომელიც კეთრის ლაქებივით მოდებულ ჭრელ და ნაცრისფერ კარვებს გადაფა-რებოდა.

— შინ გეჩქარება? — ჰკითხა კერნმა.

— არ ვიცი. არა.

— მოდი, ცოტა კიდევ გავიაროთ. ნეტავ, არასოდეს გათენდებო-დეს.

— ჰო. დილას მუდამ შიში და გაურკვევლობა მოაქვს. რა ლამაზია აქაურობა!

ისინი სიბნელეში მიაბიჯებდნენ. ხეები არ იძვროდნენ. ირგვლივ, თითქოს უხილავი ბამბაიო, ბლანტი სიჩუმე იდგა. ფოთლები ოდნავაც არ შრიალებდნენ.

— ალბათ, ჩვენ გარდა ახლა ყველას სძინავს...

— არ ვიცი. თუმცა პოლიციელები ხომ ყოველთვის ფხიზლობენ...

— აქ პოლიციელებს რა უნდათ. აქ ხომ ტყეა. რა კარგია აქ სია-რული. ნაბიჯის ჩქამიც არ ისმის.

— ჰო, არ ისმის.

— თუმცა არა, მე შენი ფეხის ხმა მესმის. მაგრამ იქნებ ეს ჩემი ფეხის ხმაა. ვერ წარმომიდგენია, როგორ ვარსებობდი უშენოდ.

გზა განაგრძეს. ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს თვით სიჩუმე სუნ-თქვაშეკრული ელოდა შორეული უცხო ურჩხულის მოსვლას და საცაა თვითონაც აგუგუნდებოდა.

— ხელი მომეცი, — უთხრა კერნმა. — მეშინია, უცბად არ დამე-კარგო.

რუთი მიეკრა. კერნმა სახეზე მისი თმის შეხება იგრძნო.

— რუთ, — უთხრა ქალიშვილს, — ვიცი, ეს მხოლოდ ჩვეულებ-რივი ურთიერთლტოლვაა ამ დევნილობისა და მიუსაფრობის ჟამს...

მაგრამ ეს ჩვენთვის გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა ყველაფერი, რასაც მყვირალა სახელით ამკობენ...

რუთმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ლუდვიგ, — უთხრა რუთმა, — ხანდახან არსად წასვლა ალარ მინდა. უბრალოდ, მსურს მიწაზე დავეგდო და გავქრე...

— ალბათ, გადაიღალე.

— არა, სულაც არ დავღლილვარ. შემიძლია ასე დაუსრულებლად ვიარო. ირგვლივ რა ხავერდოვანი სივრცეა. არაფერი შეგეჯახება.

ნიავმა წამოუბერა, ფოთლები ააშრიალა. კერნს წვიმის თბილი წვეთი დაეცა ხელზე. მეორე სახეზე ჩამოუცურდა. მაღლა აიხედა.

— გაწვიმებას აპირებს, რუთ.

— ჰო.

წვეთები გახშირდა და გამსხვილდა.

— ჩემი პიჯაკი მოიხურე, — შესთავაზა კერნმა. — მე არაფერი მიშავს. შეჩვეული ვარ.

პიჯაკი რუთს მხრებზე მოახურა. ქალიშვილს პიჯაკში ჩარჩენილი ვაჟის სითბო ესიამოვნა და თავი როგორლაც დაცულად იგრძნო.

ქარი ჩადგა. წამით ტყემ თითქოს სული განაბა, მერე სიბნელეში უხმოდ, თეთრად გაიელვა, რასაც ქუხილი მოჰყვა და ისეთი თქეში წამოვიდა, თითქოს ცა გაიხაო.

— გავიქცეთ! — დაიძახა კერნმა.

ისინი კარუსელისკენ გაიქცნენ, რომელიც ზემოდან გადმოფარებული ბრეზენტის კალთებით ყაჩაღთა მდუმარე კოშკს წააგავდა წკვარამში. კერნმა ბრეზენტი გადასწია და ისინი გადახურულში შეძვრნენ. აქლიმინებულებმა უეცრად თავი სამშვიდობოს იგრძნეს უზარმაზარი დოლის ქვეშ, რომელსაც ტყაპატყუპით ეცემოდა წვიმის წვეთები.

კერნმა რუთს მკლავში ჩასჭიდა ხელი და თან გაიყოლა. თვალები მალე შეეგუა სიბნელეს. მოჩვენებებივით წამოიმართნენ ყალყზე შემდგარი ცხენების სილუეტები, ირმები მარადიულ რბოლაში გაქვავებულიყვნენ, გედებს გასაფრენად გაეშალათ ფრთები, ხოლო ვეება სპილოები მშვიდად იდგნენ იდუმალებით მოცულ ბინდში.

— წამოდი! — კერნმა რუთი გონდოლასთან მიიყვანა. ვაგონეტებიდან და ეტლებიდან ხავერდის ბალიშები აკრიფა და გონდოლაში დაფინა. მერე სპილოს ოქრომკედით მოქარგული ასალი გადააძრო. — ესეც შენ პრინცესას საკადრისი ჰლედი...

გარეთ განუწყვეტლივ ქუხდა. ელვის შუქი მკრთალად გაკრთებოდა ხოლმე კარავში და ყოველ ჯერზე სიბნელიდან ცხოველების აჭრელებულ რქებსა და აღკაზმულობას ამოატივტივებდა, ცხოველებისა, რომლებიც უსასრულო წრეზე მშვიდობიანი სვლით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, თითქოსდა რაღაც შორეული, ჯადოსნური ზმანება არისო. კერნი რუთის ფერმკრთალ სახესა და შავ თვალებს უყურებდა და, როცა ასალს ახურავდა, ხელი მის მკერდზე მოუხვდა. კვლავ ეწვია ის უცხო და ამაღელვებელი გრძნობა, პირველად იმ ღამეს პრაღაში, სასტუმრო „ბრისტოლში" რომ დაეუფლა.

ელვა-ჭექა უფრო გახშირდა. გრგვინვა-ქუხილში წვიმის ტყაპა-ტიუპი აღარ ისმოდა კარვის ბრეზენტზე და წყალი ჩანჩქერივით გადმოჩქეფდა. მერე ერთი ისე დაიგრგვინა, რომ მიწა აძაგძაგდა და წამით ჩამოვარდნილი სიჩუმის შემდეგ კარუსელი აიძრა, ავორდა. კარუსელი უფრო ნელა მოძრაობდა, ვიდრე დღისით, რაღაც უხალისოდაც კი, ძაგრამ თან თითქოს იდუმალი ძალა ამოძრავებდა. მუსიკაც უფრო ნელა უკრავდა, ვიდრე დღისით, და პაუზებიც უცნაურად ენაცვლებოდა ერთმანეთს. კარუსელის მოულოდნელი გამოფხიზლება სულ რაღაც სახევარი წრე გაგრძელდა. მერე ისევ დადგა, ორგანიც დადუმდა, თითქოს ქანცი გაუწყდაო. მხოლოდ სამყაროს უძველესი იავნანა — წვიმის ბუტბუტილა ისმოდა.

მეორე ნაწილი

X

შუადღის მზით გაჩახჩახებული უნივერსიტეტის მოედანი უკაცრიელი იყო. სასლების თავზე მერცხლები დაუღლელად სერავდნენ გამჭვირვალე, ლურჯ ცას. კერნი მოედნის განაპირას იდგა და რუთს ელოდა.

მალე კარიბჭიდან სტუდენტები გამოვიდნენ და კიბეზე დაეშვნენ. კერნმა კისერი წაიგრძელა, რუთის ყავისფერ ბერეტს ეძებდა. საერთოდ, რუთი ერთ-ერთი პირველთაგანი გამოდიოდა, მაგრამ ამჯერად რატომღაც აგვიანებდა. უეცრად გამომსვლელთა ნაკადი შეწყდა. პირიქით, გარეთ მყოფთა ნაწილი უკან გაბრუნდა. ეტყობა, შიგნით რაღაც მოხდა.

უეცრად, თითქოს აფეთქებამ გამოსტყორცნაო, კარიბჭეში ერთმანეთში გადახლართული სტუდენტების გორგალი გამოგორდა. ჯგუფური ჩხუბი გაეჩაღებინათ. კერნმა წამოძახილებს მოჰკრა ყური: „ურიებო, წაეთრიეთ!“ „სიფათში სთხლიშეთ მოსეს ნაშიერთ!“ „წაეთრიეთ პალესტინაში!“

კერნმა მოედანი გადაირბინა და შენობის კუთხესთან დადგა. იცოდა, არეულობისთვის თავი უნდა აერიდებინა, მაგრამ ახლოს ყოფნა უნდოდა — ეგებ რუთს მისი დახმარება დასჭირვებოდა.

ოცდაათამდე ებრაელი სტუდენტი თავის დაცვას ლამობდა, ერთმანეთს მხარში ამომდგარნი ნელა ჩამოდიოდნენ კიბეზე. მათ გარს ასამდე მოწინააღმდეგე შემოხვეოდა და ყოველი მხრიდან უმოწყალოდ სცემდა.

— ერთმანეთს დააცილეთ! — დაიყვირა ბრგე, შავთმიანმა სტუდენტმა, რომელიც თავად უფრო ჰგავდა ებრაელს, ვიდრე ისინი, ვისაც თავს ესხმოდნენ. — დააცალკევეთ!

შავგვრემანი სათავეში ჩაუდგა მოძალადეთა ჯგუფს, რომელიც ღრიალით შეიჭრა ებრაელთა რიგებში. თითო-თითოდ გამოჰყავდათ ისინი, რათა თავიანთ მომხრეთათვის მიეგდოთ საცემლად. ეს უკანასკნელ-

ნიც შეუბრალებლად უბათქუნებდნენ თავში მუშტებს, წიგნებსა თუ ჯოხებს.

აფორიაქებული კერნი გაფაციცებით ეძებდა რუთს, მაგრამ თვალი ვერსად მოჰკრა. იმედი მიეცა, იქნებ უნივერსიტეტში დარჩაო. მაღლა, კიბის თავში, ორი პროფესორი იდგა. ერთი, რომელსაც ფრანციოსებივით შუაზე გაყოფილი თეთრი წვერი და ღაღადაჟა ხანე ჰქონდა, ღიმილით იფშვნეტდა ხელებს, ხოლო მეორე — ხმელი კაცი — მკაცრი, უმეტყველო თვალებით შესცქეროდა ჩხუბს.

მოედნის ბოლოში აჩქარებით მომავალი სამი პოლიციელი გამოჩნდა. წინ მომავალი კერნის ახლოს შეჩერდა.

— სდექ! — უბრძანა მეთაურმა დანარჩენებს. — არ ჩაერიოთ.

პოლიციელები შედგნენ.

— ებრაელები არიან? — იკითხა ერთმა მათგანმა.

მეთაურმა თავი დაუქნია. მერე კერნს მოჰკრა თვალი და სახეზე დააკვირდა. კერნმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი გაუგონიაო, აუჩქარებლად მოუკიდა სიგარეტს და ადგილი მოინაცვლა. პოლიციელებმა გულხელი დაიკრიფეს და ცნობისმოყვარეულ შეაცქერდნენ მოჩხუბრებს.

ზედახორიდან პატარა ტანის ებრაელი სტუდენტი გამოძვრა. ერთ წამს დაბრმავებულივით იდგა, მერე პოლიციელები შეამჩნია და მათკენ გაიქცა:

— წამოდით! — დაუძახა პოლიციელებს. — მიეშველეთ! ჩქარა, სანამ დაუხოცავთ!

პოლიციელები კი უხმოდ შეჰყურებდნენ როგორც იშვიათ მწერს. არც ერთმა პასუხი არ აღირსა. პატარა სტუდენტი ერთხანს დაბნეული იდგა, მერე უსიტყვოდ გაბრუნდა და მოჩხუბრებისკენ წავიდა. ათიოდე ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ დიდ შეჯგუფებას ორი სტუდენტი გამოეყო და მისკენ გამოემართა.

— მე ბინძური ებრაელი, სამართლიანობაზე ჩიხი? — დაულრიალა წინამ. — აბა, მიიღე!

მან პატარა სტუდენტს სახეში მუშტი უთავაზა და ძირს დაანარცხა. ემაწვილმა წამოდგომა სცადა, მაგრამ მეორემ წიხლი ჩაარტყა მუცელში და გადააყირავა. მერე ორივემ ებრაელ სტუდენტს ფეხებში ჩაავლო ხელები და ქვაფენილზე ურიკასავით გაათრია. პატარა სტუდენტი ამაოდ ცდილობდა ქვებს ჩაბღაუჭებოდა. გაფითრებული სახე საზარელი ნიღაბივით პოლიციელებისკენ მიებრუნებინა. პირი შავ, ღია ორმოს მიუგავდა, საიდანაც სისხლი ნიკაპზე გადმოსდიოდა. იგი არ ყვიროდა.

კერნს პირი გაუშრა. ერთი სული ჰქონდა, მოძალადეებს ყელში სწვდომოდა. მაგრამ ატყობდა, პოლიციელები უთვალთვალებდნენ და ამიტომ დაბოლმილი, შინაგანად გაქვავებული მოედნის საპირისპირო კიდისკენ წავიდა.

მოძალადეებმა მსხვერპლი მის სიახლოვეს გაათრიეს. კბილები დაეკრიჭათ, იცინოდნენ, სახეზე ოდნავი გაბოროტების კვალიც კი არ აჩნდათ. უბრალოდ, კარგ გუნებაზე იყვნენ, ნამდვილ უცოდველ სიამოვნებას განიცდიდნენ, თითქოს ქვებზე გასისხლიანებულ ადამიანს კი

არ მიათრევენ, არამედ სპორტის რომელიღაც სახეობაში ვარჯიშობენო.

უეცრად მშველელი გამოჩნდა. მაღალ, ქერა სტუდენტს, რომელიც მანამდე ჩხუბში არ ერეოდა, ზიზღით მოექცა სანე, როცა პატარა ებრაელი მის წინ გაათრიეს. კურტაკის სახელოები დაიკაბიწა, დინჯად გაემართა მათკენ და ორი სწრაფი, მძლავრი დარტყმით მოძალადეები ძირს დასცა. ქერა სტუდენტმა გასისხლიანებულ პატარა ებრაელს ხელი საყელოში ჩაავლო და ფეხზე წამოაყენა.

— აბა, ახლა აქედან მოუსვი, ჩქარა, თავს უშველე! — ჩაიბურღღუნა მან. მერე დინჯად, აუღელვებლად, ისე როგორც აქამდე ირჯებოდა, აბორგებული გროვისკენ გაემართა, თვალით მოძებნა თავდამსხმელთა შავთმიანი ბელადი და საშინელი ძალით ელვისუსწრაფესად სთხლიშა მუშტი ჯერ ცხვირში და მერე ნიკაპში. მოწინააღმდეგე მოცელილივით დაასკდა ქვაფენილს.

როგორც იქნა, კერნმა რუთი დაინახა. ქალიშვილს ქუდი დაჰკარგოდა. დაბნეული იდგა ზედახორის სიახლოვეს. კერნი მისკენ გაიქცა.

— ჩქარა! ჩემკენ გამოიქეცი, რუთ! აქაურობას გავეცალოთ!

რუთმა უცბად ვერ იცნო.

— პოლიცია! — ამოილუღლუღა შიშისგან გაფითრებულმა ქალიშვილმა. — პოლიცია გვიშველის!

— პოლიცია ვერ გვიშველის! ცუდია, აქ თუ დაგვაპატიმრეს! აქაურობას სასწრაფოდ უნდა გავეცალოთ, რუთ!

— ჰო. — რუთი გამოფხიზლდა. სახე შეეცვალა, თითქოს ტირილს აპირებდა. — ჰო, ლუდვიგ, — უთხრა კერნს საოცრად აკანკალებული ხმით, — აქედან წავიდეთ!

— აბა, ჩქარა! — კერნმა მკლავში ხელი ჩასჭიდა და გაიყოლა. მათ უკან ყვირილი ისმოდა. ებრაელი სტუდენტების ერთმა ჯგუფმა ალყა გაარღვია და მოედანს მოეფინა. ბრბო ამოძრავდა. კერნი და რუთი მოულოდნელად არეულობის შუაგულში აღმოჩნდნენ.

— აა, რებეკა! სარა! — ერთმა თავდამსხმელმა რუთს შეუტია.

კერნმა რაღაც ზამბარისებური ბიძგი იგრძნო. ფრიად გაკვირვებული დარჩა, მოძალადე ნელ-ნელა რომ ჩაიკეცა. ვერც კი მიხვდა, რომ თვითონ დაარტყა.

— მშვენიერი პირდაპირი დარტყმა იყო! — მოუწონა ვიღაც მის ახლოს მდგომმა. ეს იყო მაღალი, ქერა სტუდენტი, რომელმაც ერთდროულად ორ მოძალადეს ქოჩორში ჩაავლო ხელი და ერთმანეთს თავებით მიახეთქა. — ნუ გეშინიათ! სხეულის კეთილშობილი ნაწილები გადაგირჩათ! — დაამშვიდა ისინი და ხელი გაუშვა. ორივე მოძალადე მოცელილივით დაეცა ძირს. მერე ორ მომდევნოს სტაცა ხელი.

კერნს მკლავში კეტი მოხვდა. თვალებზე წითელი ნისლი გადაეფარა. გამწარებული ვიღაცას მიეჭრა, მუშტი უთავაზა, სათვალე ჩაუმსხვრია და გადააყირავა. უეცრად თავი აუგუგუნდა. წითელი ნისლი შავით შეიცვალა...

კერნი პოლიციის უბანში გამოფხიზლდა. საყელო მოეგლიჯათ, ლოყა გასისხლიანებოდა და თავი კვლავ უბრუოდა. გაჭირვებით წამოჯდა.

— სალამი! — მიესალმა ვილაც. ეს მაღალი, ქერა სტუდენტი აღმოჩნდა.

— დასწყევლოს ეშმაკმა! — გამოეხმაურა კერნი. — სად ვიმყოფებით?

სტუდენტმა გაიცინა.

— საპატიმროში, ძვირფასო. ორიოდე დღეში ვაგვიშვებენ.

— მე არა. — კერნმა საკანს თვალი მოავლო. საკანში რვანი იყვნენ. ქერას გარდა ყველა ებრაელი იყო. რუთი მათ შორის არ აღმოჩნდა.

სტუდენტმა კვლავ გაიცინა.

— რას იყურებით აქეთ-იქით? თქვენ გგონიათ, აქ შეცდომით მოხვდით? ცდებით, ჩემო კარგო! თავდამსხმელები კი არა, დაზარალებულები არიან დამნაშავენი! დაზარალებული არეულობის მიზეზია. ასეთია თანამედროვეობის ფსიქოლოგია.

— ხომ არ იცით, რა დაემართა ქალიშვილს, ჩემ გვერდით რომ იდგა? — ჰკითხა კერნმა.

— ქალიშვილს? — ქერა დაფიქრდა. — რა უნდა დამართოდა? არაფერი, ჩხუბში ხომ ქალებს ხელს არ ახლებენ.

— დარწმუნებული ხართ?

— დიახ, მტკიცედ. გარდა ამისა, პოლიცია მაშინვე მოვიდა.

კერნი კედელს მიაჩერდა. სწორია, გაახსენდა მას, პოლიცია ბოლოს მართლაც ჩაერია. კიდევ კარგი, რუთის პასპორტს ვადა ჯერ არ გასვლოდა. ასე რომ, მას არაფერი ემუქრებოდა. თუმცა, რაც მოხდა, ესეც საკმარისზე მეტი იყო.

— ჩვენ გარდა სხვებიც დააპატიმრეს? — ჰკითხა ქერა სტუდენტს.

ქერამ თავი გააქნია.

— არა მგონია. მე ბოლო ვიყავი. ჩემს დაპატიმრებაზეც ყოყმანობდნენ.

— ნამდვილად არავინ დაუპატიმრებიათ?

— არა. ასე რომ იყოს, აქ იქნებოდნენ. ჩვენ ხომ ჯერჯერობით საპორიგეოში ვიმყოფებით.

კერნმა შვებით ამოისუნთქა. იმედი გაუჩნდა, ეგებ რუთს მართლაც არაფერი მოსვლიათ.

ქერა სტუდენტი ირონიული ღიმილით შესცქეროდა.

— ჰა, გული ხომ არ გეთანაღრებათ? ასეთ დღეშია ყველა, ვისაც დანაშაული არ ჩაუდენია. ისევ ისა სჯობს, რამე დანაშაულზე იჯდე. ისე, მართალი რომ ითქვას, ისევ ის ძველი, წესიერი სამართალი რომ იყოს, ერთადერთი, ვინც აქ უნდა იჯდეს, მე ვარ. მე ხომ ჩემი ნება-სურვილით ჩავერიე ჩხუბში. ამიტომაც მშვენიერ ხასიათზე ვარ.

— თქვენ კეთილშობილურად მოიქეცით.

— აჰ, კეთილშობილურად! — ქერამ დაუდევრად აიქნია ხელი. — მე ჩამოყალიბებული ანტისემიტი ვარ, მაგრამ უდანაშაულოთა ცემას

ვერ ვიტან. ჰო, მართლა, თქვენ მშვენიერი მოკლე, პირდაპირი დარტყმა გქონიათ, მკვეთრი და სწრაფი. კრივში ვარჯიშობდით?

— არა.

— მაშ, უნდა ივარჯიშოთ. კარგი მონაცემები გაქვთ. ოღონდ ძალზე გაფიცხება გცოდნიათ. ებრაელთა პაპი რომ [illegible] თითო საათს კრივში ვარჯიშს დაგაალებდით. მერე ნახავდით, როგორ შეეშინდებოდათ თქვენი ვიგინდარებს.

კერნმა თავზე ფრთხილად მოისვა ხელი.

— ახლა როგორლაც კრივის ხასიათზე ვერა ვარ.

— რეზინის კეტი ჩაგარტყეს, — აუხსნა სტუდენტმა, — ჩვენმა ყოჩაღმა პოლიციელებმა. ისინი მუდამ გამარჯვებულის მხარეს იჭერენ. საღამომდე ტკივილი გაგიელით. მერე ვარჯიშს შევუდგეთ. რაღაცით ხომ უნდა გავერთოთ. — მან გრძელი ფეხები ტახტზე შემოიკეცა და გარშემო მიმოიხედა. — უკვე ორი საათია აქა ვართ! დასწყევლოს ეშმაკმა, რა მოსაწყენი დაწესებულებაა! კარტი მაინც გვქონდეს! ვითამაშებდით... — ქერამ ებრაელ სტუდენტებს გადახედა.

— მე მაქვს კარტი. — კერნმა ჯიბეში ჩაიყო ხელი. შტაინერმა შულერის დანატოვარი კარტი აჩუქა. მას მერე ავგაროზივით მუდამ თან ატარებდა.

სტუდენტმა მოწონებით შეხედა.

— აი, ეს მესმის! ახლა არ მითხრათ, რომ მხოლოდ ბრიჯს თამაშობთ! თუმცა ყველა ებრაელი მხოლოდ ბრიჯს თამაშობს, სხვას არაფერს!

— მე ნახევრად ებრაელი ვარ! ვთამაშობ სკატს, ტაროკს, იასსა და პოკერს. — ერთგვარი სიამაყით აუწყა კერნმა.

— ბრწყინვალეა! გამოდის, ჩემზე მეტი გცოდნიათ. მე იასი არ ვიცი.

— ეს შვეიცარიული თამაშია. თუ გნებავთ, გასწავლით.

კეთილი. სამაგიეროდ მე კრივის გაკვეთილებს ჩაგიტარებთ. ამრიგად სულიერ ფასეულობებს გაეცვლით ერთმანეთს.

ისინი საღამომდე თამაშობდნენ. ებრაელმა სტუდენტებმა კი მთელი ეს დრო პოლიტიკაზე და სამართლიანობაზე კამათს მოანდომეს, თუმცა საერთო აზრამდე მაინც ვერ მივიდნენ. კერნმა და ქერა სტუდენტმა ჯერ იასი ითამაშეს, მერე პოკერი. კერნმა პოკერში შვიდი შილინგი მოუგო. იგი შტაინერის ნიჭიერი მოწაფე აღმოჩნდა. გონება თანდათან დაეწმინდა. ცდილობდა რუთზე არ ედარდა. მაინც ვერაფრით დაეხმარებოდა. უაზრო დარდი კი გამოფიტავდა. არადა, საჭირო იყო ნერვების სიმტკიცე შეენარჩუნებინა, საცაა მოსამართლესთან წაიყვანნენ დაკითხვაზე. ქერამ კარტი შეაქუჩა და კერნს წაგებული თანხა გადაუხადა.

— ახლა მეორე განყოფილება დავიწყოთ, — განუცხადა მან. — აბა, ავდგეთ! ირბინეთ, თუ გსურთ მეორე დემპსი გახდეთ!

კერნი ადგა. თავს ისევ სუსტად გრძნობდა.

— მე მგონი, არაფერი გამოვა, — თქვა მან. — დღეს ჩემი თავი კიდევ ერთ დარტყმას ვერ გაუძლებს.

— შვიდ შილინგს რომ მიგებდით, მაშინ თავი არ გიბრუოდათ, — ჩაილიმა ქერამ. — წინ გასწით, დასძლიეთ მდაბალი ინსტინქტები! გამოალვიძეთ თქვენში მთვლემარე არიელი ჩხუბისთავი! განაგდეთ თქვენი ბუმანური ებრაული ნასევარი!

— ერთი წელია მაგას ვცდილობ.

— მშვენიერია. ასე, ჯერჯერობით თავს მოვუფრთხილდეთ და-ვიწყოთ ფეხებით. კრივში მთავარია ფეხების სიმსუბუქე. უნდა ცეკვავდეთ. ცეკვა-ცეკვით მოწინააღმდეგეს კბილები უნდა ჩაუმტვრიოთ. ესაა ნიცშე პრაქტიკაში!

ქერა მოკრივის პოზაში დადგა, მუხლებში დაირწა და წინ და უკან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— მომბაძეთ.

კერნმა მიბაძა.

ებრაელმა სტუდენტებმა კამათს თავი ანებეს. ერთი მათგანი, სათვალიანი ყმაწვილი, წამოდგა.

— მეც მასწავლით? — იკითხა მან.

— რა თქმა უნდა! სათვალე მოიხსენით და შემოგვიერთდით! — ქერამ მხარზე დაჰკრა ხელი. — ჰა, ჩანს, ძველი მაკაბის სისხლი აგიჩუხჩუხდათ!

კიდევ ორი სტუდენტი შემოუერთდათ. დანარჩენებმა არ ინებეს, მაგრამ ცნობისმოყვარეულ იყურებოდნენ ტახტიდან.

— ორი მარჯვნივ, ორი მარცხნივ! — დირიჟორობდა ქერა. — ახლა მოკლე ლექცია მოისმინეთ! ჩხუბისთავის გამოზრდის ათასწლეულობით ჩამორჩენა უნდა გამოვასწოროთ. ურტყამს არა ხელი, არამედ ფანი...

ქერამ კურტაკი გაიხადა. მას სხვებმაც მიბაძეს. ქერამ ტანის რამდენიმე მოძრაობა უჩვენა და მერე მათ მოსთხოვა გაემეორებინათ. ოთხი ყმაწვილი მონდომებით დაქროდა ნახევრად ბნელ საკანში.

ქერამ მზრუნველი თვალი გადაავლო თავის გაოფლიანებულ შეგირდებს.

— კმარა! — გამოაცხადა მან მალე. — ეს უკვე აითვისეთ. ვარჯიშისათვის ის რვა დღე გამოიყენეთ, რომელსაც სუფთა არიელებში რასობრივი სიძულვილის გამოწვევის მიზეზით მოგისჯიან. ახლა ორი წუთი ღრმად ისუნთქეთ! ცოტა სული მოითქვით! მერე კრივის მთავარ შემტევ ილეთს — მოკლე პირდაპირ დარტყმას შეგასწავლით.

ქერამ შეგირდებს უჩვენა, როგორ უნდა შეესრულებიათ ეს დარტყმა. მერე თავისი კურტაკი დააგორგოლავა, სახესთან დაიკავა და შეგირდებს მასზე დარტყმაში ავარჯიშებდა. გახურებული ვარჯიშის დროს საკნის კარი გაიღო და კალფაქტორი შემოვიდა, თან ჯამებით ოხშივარიანი კერძი შემოიტანა.

— ეს ხომ... — სიტყვა არ დაუმთავრებია, ჯამები სწრაფად დააწყო და დერეფანში გასძახა: — გუშაგებო, ჩქარა აქეთ! ეს ბანდიტები პოლიციაშიც ჩხუბობენ.

საკანში ორი გუშაგი შემოვარდა. ქერა სტუდენტმა კურტაკი მშვიდად დადო საწოლზე. მისი ოთხი შეგირდი სწრაფად მიიყუჟა საკნის კუთხეში.

— რქიანო! — შეუტია ქერამ კალფაქტორს. — გამოტვინებულო გოგრავ! დოყლაპიავ! — შემდეგ გუშაგებს მიუტრიალდა. — თქვენ რასაც აქ უყურებთ, ესაა მეცადინეობა თანამედროვე ბუმანიზმში. თქვენი აქ შემოსვლა, თანაც საცემად მომზადებული რეზინის ჯოხებით, საჭირო არაა. გასაგებია?

— არა, — უპასუხა ერთ-ერთმა გუშაგმა.

ქერამ ისე გადახედა, თითქოს ეუბნებოდა, ვაი შე უბედუროო.

— სხეულის გაჯანსაღება, გიმნასტიკა, თავისუფალი ვარჯიშები — გაგიგიათ როდესმე? ეს რა, ჩვენი ვასშამია?

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა კალფაქტორმა.

ქერამ ჯაბი დაყნოსა და სახე ზიზღით დაემანჭა.

— მოაშორეთ აქედან! — დაიღრიალა უეცრად გაჯავრებულმა. — როგორ გაბედეთ ამ სალაფავის მოტანა? როგორ მაკადრეთ ქვაბის ნარეცხი მე — სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის შვილს? თქვენ რა, ჩამოქვეითება მოგინდათ? მან მკაცრად შეხედა გუშაგებს. — მე თქვენ გიჩივლებთ! ახლავე დამალაპარაკეთ უბნის უფროსთან! სასწრაფოდ წამიყვანეთ ქალაქის პოლიციის უფროსთან! ხვალვე მამაჩემი იუსტიციის მინისტრს თქვენი გულისთვის მაგრად შეახურებს!

ორივე გუშაგი პირდაღებული მიშტერებოდა. არ იცოდნენ, უხეშად მოპყრობოდნენ, თუ სიფრთხილე გამოეჩინათ. ქერა დაჟინებით შესცქეროდა მათ.

— ბატონო, — დაყვავებით მიმართა ასაკით უფროსმა გუშაგმა, — ეს პატიმრის ნორმალური კერძია.

— რაო, მე პატიმარი ვარ? — ქერა ამჯერად ნამდვილად აღშფოთდა. — მე დაკავებული ვარ! ნუთუ განსხვავება არ გესმით?

— მართალი ხართ, მართალი ხართ... — აწრიალდა გუშაგი. — რა თქმა უნდა, ბატონო, თქვენ შეგიძლიათ თქვენს ხარჯზე იკვებებოდეთ. ეს თქვენი უფლებაა. თუ გადაიხდით, კალფაქტორი გულიაშს მოგართმევთ...

— როგორც იქნა, გონივრულ სიტყვას ველირსე! — მოლბა ქერა.

— შეიძლება ლუდიც მოაყოლოს...

— აი ეს მომწონს! მე თქვენ რეკომენდაციას გაგიწევთ. რა გქვიათ? — შეაქო ქერამ გუშაგი.

— რუდოლფ ეგერი.

— ასე განაგრძეთ. იმოქმედეთ! — სტუდენტმა ჯიბიდან ფული ამოიღო და კალფაქტორს მისცა. — ორი ძროხის ხორცის გულიაში კარტოფილთან ერთად. ერთი ბოთლიც სლივოვიცა.

გუშაგმა რუდოლფ ეგერმა პირი გააღო.

— ალკოჰოლი...

— ნებადართულია, — დაასრულა ქერამ. — ორი ბოთლი ლუდი: ერთი გუშაგებისათვის, ერთიც ჩვენთვის!

— გმადლობთ, გმადლობთ! დიდად დავალებული ვართ! — ალუღლუღდა რუდოლფ ეგერი.

— თუ ლუდი ახალი და ყინულივით ცივი არ იქნება, — გააფრთხი-

ლა სასამართლოს თავმჯდომარის შვილმა კალფაქტორი, — იცოდე, ფეხებს მოგამტვრევ. თუ ივარგებ, ხურდა შენი იყოს.

კალფაქტორს სახე გაუნათდა.

— ამწუთას ყველაფერს მოგართმევთ, ბატონო გრაფო! — თვალები უბრწყინავდა. — აი მესმის ჭეშმარიტი, ბაჯაღლო ბენური იუმორი!

სასმელ-საჭმელი მოიტანეს. ქერა სტუდენტმა კერნი მიიპატიჟა. თავდაპირველად კერნმა იუარა. ეუხერხულა ებრაელების შემხედვარეს, რომლებიც მადიანად შეექცეოდნენ ქვაბის ნარეცხს.

— მოდით, ღალატი ჩაიდინეთ! ეს ხომ დღეს მოდაშია! — შეაგულიანა ქერა სტუდენტმა. — ეგეც არ იყოს, ეს საჭმელი კარტის მოთამაშეებს ეკუთვნის.

კერნი დაჯდა. გულიაში ძალზე ეგემრიელა. ბოლოს და ბოლოს, გაიფიქრა მან, ამათ ყველას პასპორტი აქვთ, მე კი არა, და თანაც მე ნაჯვარი ვარ.

— მამათქვენმა იცის, აქ რომ ხართ? — ჰკითხა კერნმა ქერას.

— ღმერთო დამიფარე! — ქერამ გაიცინა. — მამაჩემი! მამაჩემს თეთრეულის მაღაზია აქვს ლინცში.

კერნმა გაკვირვებით შეხედა.

ჩემო კარგო, — მშვიდად აუხსნა სტუდენტმა, — გატყობთ, არ იცით, რომ ჩვენ ბლეფის ხანაში ვცხოვრობთ. დემოკრატიამ დემაგოგიას დაუთმო ადგილი. ბუნებრივი მოვლენაა. მოდი შევსვათ!

სლივოვიცას ბოთლს საცობი ამოაძრო და ერთი სირჩა სათვალიან სტუდენტს შესთავაზა.

— გმადლობთ, არ ვსვამ, — დაირცხვინა სათვალიანმა.

— რა თქმა უნდა! ამას თავადაც უნდა მივმხვდარიყავი! — ქერამ სასმელი გადაკრა. — თუნდაც იმიტომ, რომ არ სვამთ, სხვები მუდამ შეეცდებიან თქვენს დაჩაგვრას! ჩვენ როგორღა მოვიქცეთ, კერნ? დავაბრუნოთ ბოთლი?

— რა თქმა უნდა.

ბოთლი გამოცალეს. მერე ნარზე წამოწვნენ. კერნს ეგონა დაეძინებოდა, მაგრამ ჩასთვლემდა თუ არა, წამსვე ელვიძებოდა. ღმერთო ჩემო, ფიქრობდა იგი, ვინ იცის, რა დაემართა რუთს. კიდევ რამდენ ხანს მაყურყუტებენ აქ?

კერნს ორი თვის პატიმრობა მიუსაჯეს. ბრალად დასდეს სხეულის დახიანების მიყენება, წესრიგის დარღვევა, ხელისუფალთადმი წინააღმდეგობის გაწევა, ქვეყანაში არალეგალურად განმეორებით შემოსვლა — უკვირდა, ათი წელი რატომ არ მომისაჯესო.

კერნი გამოემშვიდობა ქერა სტუდენტს, რომელიც დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს. კერნი ძირს ჩაიყვანეს, სხვა საკანში, ნივთები ჩამოართვეს და პატიმრის სამოსი ჩააცვეს. საშხაპეში მოაგონდა, რა მძიმედ ვანიცადა, პირველად რომ ხელბორკილი დაადვეს. მას მერე თითქოს საუკუნე გასულიყო. ახლა პატიმრის სამოსი ძალზე პრაქტიკული მოეჩვენა. ასე ხომ საკუთარი ტანსაცმელი შეინახებოდა.

საკანში მის გარდა ქურდი, წვრილფეხა აფერისტი და ყაზანელი

რუსი პროფესორი ისხდნენ. ეს უკანასკნელი საზღვრის დარღვევისას დაეპატიმრებინათ. ოთხივე საპატიმროს სამკერვალოში გაამწესეს სამუშაოდ.

პირველ საღამოს გაუჭირდა. გაიხსენა შტაინერის ნათქვამი, საპატიმროს მიეჩვევიო, მაგრამ მთელი საღამო ნარზე ტანჯვა-ძრწოლვა და კედელს მისჩერებოდა.

— ფრანგულად ლაპარაკობთ? — მოულოდნელად ჰკითხა მეზობელ ნარზე წამოწოლილმა პროფესორმა.

კერნი შეკრთა.

— არა.

— გინდათ ისწავლოთ?

— დიახ. თუნდაც ახლავე დავიწყოთ.

პროფესორი წამოჯდა.

— საჭიროა რამეთი გაერთოთ, თორემ ფიქრები შეგჭამენ.

— დიახ, — დეთანხმა კერნი. — თანაც ფრანგული ძალზე დამჭირდება. აქედან რომ გამიშვებენ, ალბათ საფრანგეთში მომიწევს გადაბარგება.

ისინი ქვედა ნარზე ჩამოსხდნენ. ზედა ნარზე აფერისტი ფხაკურობდა — ფანჯრის ნატეხი ეშოვა და კედელზე ბინძურ სურათებს ხატავდა. პროფესორი ხმელი კაცი იყო. პატიმრის სამოსი თავისუფლად ეკიდა ტანზე. წითური, გაბურძგნილი წვერი და ლურჯთვალება ბავშვის სახე ჰქონდა.

— დავიწყოთ ამქვეყნად ყველაზე მშვენიერი და ყველაზე უქმი სიტყვით, — მომაჯადოებელი ღიმილით, ყოველგვარი ირონიის გარეშე, მიმართა მან კერნს. — ...სიტყვით — თავისუფლება — la liberté.

კერნმა ბევრი რამ აითვისა. სამეოდე დღის შემდეგ შეეძლო ეზოში მწკრივად სეირნობის დროს მის წინა ან უკანა კაცთან ისე ესაუბრა, რომ ტუჩები არ ემოძრავებინა. სამკერვალოში ამავე ხერხით პროფესორთან ერთად ბეჯითად აუღლებდა ფრანგულ ზმნებს. საღამოს, ფრანგულის სწავლით დაღლილი, ქურდისგან ითვისებდა მაგთულისგან გასაღების გაკეთების ხელოვნებას და ფხიზელი ძაღლების დაშოშმინების ხერხებს. მისგანვე ისწავლა, რა დროს რომელი ნაყოფი მწიფდა ბაღმინდვრებში, როგორ შემძვრალიყო თივის ზვინში კვალის დაუტოვებლად. აფერისტს ეშმაკი და საკანში ჟურნალის „ელეგანტური სამყარო“ რამდენიმე ნომერი შემოეპარებინა. ბიბლიის გარდა, მხოლოდ ეს ჟურნალი ჰქონდათ საკითხავად. სწორედ მისი მეშვეობით გათვითცნობიერდნენ და შეიტყვეს, როგორ უნდა გამოწყობილიყვნენ დიპლომატიურ მიღებებზე და რა შემთხვევებში უნდა ეტარებინათ წითელი ან თეთრი მიხაკი ფრაკზე. ქურდმა გაჭირი ფორიკით აიხირა: გინდა თუ არა, ფრაკზე მხოლოდ შაფ პეპელა-ჰალსტუხს იკეთებენო, ოა საბუთად კელნერები მოჰყავდა, რომლებსაც კაფესა თუ რესტორანში ყველგან ასე ეცვათ.

მეხუთე დღეს, როცა ეზოში სასეირნოდ გაჰყავდათ, კალფაქტორმა კერნს ისე უბიძგა, რომ კედელს მიაჯახა, თან დაუღრიალა:

— თვალი გაახილე, ვირო!

კერნმა თავი მოაჩვენა, ვითომც ფეხზე ველარ დგებოდა. ამ ხერხით აპირებდა კალფაქტორისთვის სამაგიერო გადაეხადა — ისე ჩაერტყა ფეხი წვივში, თითქოს შემთხვევით მოუვიდაო. მაგრამ ვიდრე საქმე აქამდე მივიდოდა, კალფაქტორმა მკლავზე მოეჭიჩა და წასჩურჩულა:

— ერთ საათში წრიდან გამოსვლის ნებართვა მოითხოვე. თქვი, ვითომ მუცლის გვრემა დაგემართა. მერე დაუყვირა, — იარე! რა გგონია, შენ დაგელოდებიო?

სეირნობის დროს კერნი გონებაში წოხიდა, კალფაქტორი რამე ხრიკს ხომ არ მიწყობსო. ისინი ერთმანეთს ვერ იტანდნენ. ამიტომაც მალულად, ტუჩების შეუტოკებლად რჩევას დაეკითხა ქურდს, რომელიც ბატიმართა შორის პროფესიონალად ითვლებოდა.

— წრიდან გამოსვლა ყოველთვის შეიძლება, — აუხსნა ქურდმა. — ეს ყველას ადამიანური უფლებაა. ამით ვერაფერს გავნებს. ზოგი ხშირად გამოდის, ზოგი იშვიათად, გააჩნია ხასიათს. მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი.

— კეთილი. ვნახოთ ერთი, რა უნდა. ასე თუ ისე, ცოტას მაინც გავერთობი.

კერნმა მუცლის უეცარი ატკივება გაითამაშა. კალფაქტორმა წრიდან გაიყვანა, ტუალეტში შეუძღვა და აქეთ-იქით მიმოიხედა. — სიგარეტი გინდა? — ჰკითხა მან.

სიგარეტის მოწევა აკრძალული იყო. კერნმა გაიცინა.

— აი, თურმე რა! არა, ძვირფასო, ვერ გამაბრიყვებ!

— მოკეტე ერთი! გგონია, შენი ჩაგდება მინდა? შტაინერს იცნობ?

კერნმა გაკვირვებით შეხედა კალფაქტორს.

— არა, — უთხრა მერე. ეშვობდა, მახეს არ მიგებდეს შტაინერის დასაჭერადო.

— ესე იგი, შტაინერს არ იცნობ?

— არა.

— ძალიან კარგი. მაშ ყური დამიგდე. შტაინერმა შემოგითვალა, რუთს საფრთხე არ ემუქრებაო. მასზე ნუ იდარდებო. საპატიმროდან რომ გაგათავისუფლებენ, ჩეხეთში გაგზავნა ითხოვე და მერე იქიდან აქ დაბრუნდიო. ახლაც არ იცნობ?

კერნს უეცრად გააჟრჟოლა.

— სიგარეტი არც ახლა გინდა? — ჰკითხა კალფაქტორმა.

კერნმა თავი დაუქნია. კალფაქტორმა ჯიბიდან „მემფისის“ კოლოფი და ასანთი ამოიღო.

— ჰა, აიღე! შტაინერმა გამოგიგზავნა. თუ გიპოვნეს, იცოდე, მე არ მომიცია. ახლა აქ დარჩი და მოსწიე. უნიტაზში ჩააბოლე. მე გარეთ ვიქნები.

კერნი უნიტაზზე დაჯდა. სიგარეტი ამოიღო, შუაზე გატეხა და ნახევარს მოუკიდა. ნელა, ღრმა ნაფაზით ეწეოდა. რუთი სამშვიდობოს ეგულებოდა. შტაინერი ყურადღებას არ მოაკლებდა. კერნი ბინძურ კედელს მისჩერებოდა, რომელზეც უწმაწური ნახატები იყო, და ქვეყნად ამაზე ლამაზი ოთახი არ ეგულებოდა.

— რატომ თავიდან არ მითხარი, თუ შტაინერს იცნობდი? — ჰკითხა ტუალეტიდან გამოსულმა კერნმა კალფაქტორს. — აიღე სიგარეტი, — შესთავაზა მერე.

კალფაქტორმა თავი გააქნია.

— მაგაზე ლაპარაკიც ზედმეტია!

— მაინც საიდან იცნობ? — არ მოეშვა კერნი.

— ერთხელ მაგარ ამბავში გადამარჩინა. ორივე ფეხით გაბმული ვიყავი. დროა წავიდეთ!

ისინი სამკერვალოში დაბრუნდნენ. პროფესორმა და ქურდმა კითხვით მიაპყრეს თვალები. კერნმა თავი დაუქნია და დაჯდა.

— ყველაფერი წესრიგშია? — უხმოდ ჰკითხა პროფესორმა.

კერნმა კვლავ თავი დაუქნია.

— მაშინ განვაგრძოთ, — ჩაიჩურჩულა პროფესორმა წითურ წვერში. — Aller. უწესო ზმნა. Je vais, tu vas, il...*

— არა, — უპასუხა კერნმა. — დღეს სხვა ზმნა ავიღოთ. როგორ ითქმის ზმნა: სიყვარული?

— სიყვარული? Aimer. მაგრამ ეს ხომ წესიერი ზმნაა...

— სწორედ მაგიტომ, — გააწყვეტინა კერნმა.

ოთხ კვირაში პროფესორი გაუშვეს, ექვს კვირაში ქურდი, ორიოდე დღის შემდეგ კი აფერისტიც. ბოლო დღეებში მან კერნთან ჰომოსექსუალური კავშირის დამყარება სცადა, მაგრამ კერნს საკმაო ძალა ეყოფნდა მისი ძალადობის ასალაგმავად. ქერა სტუდენტისგან ნასწავლი მოკლე მარცხენა დარტყმით ნოკაუტში ჩაგდო და სიმშვიდეც მოიპოვა.

რამდენიმე დღე საკანში მარტო იყო. მერე ორნი შემოემატნენ. კერნი თავიდანვე მიხვდა, ემიგრანტები იყვნენ. ერთი, უფრო ასაკოვანი, გამუდმებით დუმდა. მეორე, შედარებით ახალგაზრდა, ასე ოცდაათიოდე წლისა იქნებოდა.

უფროსი მაშინვე ნარზე წამოწვა.

— საიდან ჩამოხვედით? — ჰკითხა კერნმა ახალგაზრდას.

— იტალიიდან.

— იქ როგორი მდგომარეობაა?

— ადრე არა უშავდა. ორი წელიწადი იქ გავატარე. ახლა შეიცვალა. ყველაფერს ფაშისტები აკონტროლებენ.

— ორი წელიწადი! — გაოცდა კერნი. — აი, ეს მესმის!

— დიახ. სამაგიეროდ აქ რვა დღეში დამიჭირეს. აქ მუდამ ასე იყო?

— ნახევარი წელიწადია მდგომარეობა გაუარესდა.

ახალგაზრდამ თავი ხელებში ჩარგო.

— მდგომარეობა ყველგან გაუარესდა. ვინ იცის, წინ რა მოგველის? ჩეხოსლოვაკიაში როგორი მდგომარეობაა?

— იქაც ცუდი. ძალზე ბევრი ემიგრანტი მიაწყდა. შვეიცარიაში ხომ არ ყოფილხართ?

---

* წასვლა. მე მივდივარ, შენ მიდიხარ, ის...

— შვეიცარია პატარაა. იქ ვერსად დაიმალები. — უცნობს თვალი გაუშტერდა. — ჯობდა საფრანგეთში წავსულიყავი.

— ფრანგული იცით?

— კი, რასაკვირველია. — უცნობმა თმა აიჩეჩა.

კერნმა ინტერესით შეხედა.

— ფრანგულად ხომ არ გველაპარაკა? ახლახან ვისწავლე და არ მინდა დამავიწყდეს.

უცნობმა გაკვირვებით შეხედა.

— ფრანგულად ვილაპარაკოთ?! — მან ცივად გადაიხარხარა. — არა, არ შემიძლია! საპყრობილეში ვიჯდე და თან ფრანგულად ვიმასლაათო... ეს ხომ აბსურდია! გეტყობათ, თავში უცნაური აზრები გიტრიალებთ.

— სრულიადაც არა. მე მხოლოდ უცნაური ცხოვრებით ვცხოვრობ.

კერნმა ცოტა ხანს შეიცადა, ეგებ მოსაუბრე დამთანხმდესო. მერე ზედა ნარზე აძვრა და დიდხანს იმეორებდა უწესო ზმნებს, ვიდრე ძილმა ყინწი არ მოსწყვიტა.

კერნს გაბოელვიძა, რადგან ვიღაცამ შეანჯღრია. ის პატიმარი აღმოჩნდა, რომელმაც ფრანგულად ლაპარაკზე უარი უთხრა.

— დამეხმარეთ! — უთხრა აქლოშინებულმა. — ჩქარა! კაცმა თავი ჩამოიხრჩო!

ძილ-ბურანში მყოფი კერნი საწოლზე წამოჯდა. ადრიანი დილის ნაცრისფერ რიჟრაჟში ფანჯარაზე ჩამოკიდებული შავი სხეული დაინახა. თავი გვერდზე ჰქონდა გადავარდნილი. კერნი ნარიდან ჩამოხტა.

— ჩქარა დანა!

— დანა არა მაქვს, თქვენ?

— წყეულიმც იყოს, არც მე! ჩამოვხსნათ! მე მაღლა ავწევ, თქვენ ქამარი გადააძვრეთ თავზე.

კერნი ნარზე დადგა და ჩამომხრჩვალის მაღლა აწევას შეეცადა. მკვდარი ლოდივით მძიმე აღმოჩნდა, გაცილებით მძიმე, ვიდრე ცოცხალი ჩანდა. მისი ტანსაცმელიც მისივე სხეულივით ცივი იყო. კერნი დაიძაბა, რის ვაივაგლახით ასწია მაღლა.

— მიდი! — ხვნეშოდა იგი. — ქამარი შეხსენით! დიდხანს ვერ დავიჭერ.

— ჰო. — მეორე პატიმარი მაღლა აძვრა და ჩამომხრჩვალის კისერზე ქამარს წაეპოტინა. უცბად ხელი გაუშვა, წაბარბაცდა და გული აერია.

— ჯანდაბას თქვენი თავი! — დაუღრიალა კერნმა. — სულ ეგა ხართ? გაინძერით, ჩქარა!

— ვერ შევხედავ! — ამოიკვნესა პატიმარმა. — თვალები! ენა!

— მაშინ აქ მოდით! თქვენ მაღლა ასწიეთ, მე კი ჩამოვხსნი!

მძიმე სხეული პატიმარს გადასცა და ზედა ნარზე შეხტა. სანახაობა მართლაც საზარელი იყო. გასივებული, გადათეთრებული სახე, გადმოცვენილი, თითქმის დამსკდარი თვალები, სქელი, შავი ენა... კერნი

წვრილი ტყავის ქამარს დაებლაუჭა, რომელიც მკვდრის გამობერილ ყელში ჩაფლულიყო.

— უფრო მაღლა! — დაუყვირა მან დამხმარეს. — უფრო მაღლა ასწიეთ!

ქვემოდან ბუყბუყი შემოესმა. პატიმარს ისევ ... მან მოულოდნელად ხელი გაუშვა თავისმკველელს, რომელიც იატაკისკენ დაქანდა და უეცარი ბიძგისგან ენა და თვალები უფრო გადმოქაჩა, თითქოს ამ შემაძრწუნებელი ჟესტით უსუსურ ცოცხლებს დასცინისო.

— წყეულიმც იყოს! — კერნი გამალებით ფიქრობდა, როგორ მოეყვანა ჭკუაზე ქვევით მყოფი პატიმარი. უეცრად გონებაში ელვასავით გაუელვა სცენამ ქერა სტუდენტსა და კალფაქტორს შორის. თუ შენ, დამპალო დედალო, ახლავე გონს არ მოეგები, — დაულრიალა პატიმარს, — იცოდე, წელებს დაგაყრევინებ! გაინძერი, შე უმაქნისო! — თან ფეხი გაიქნია და იგრძნო, რომ პატიმარს მოარტყა. ერთხელაც ღონივრად უთავაზა წიხლი, — თავს გავიხეოქავ! — დაუყვირა ისევ. — ახლავე მაღლა ასწიე!

პატიმარს ხმა არ ამოუღია და ჩამომხრჩვალი მაღლა ასწია.

— უფრო მაღლა! — დაუჯაჯღანა კერნმა. — უფრო მაღლა, შე ჩვარო!

პატიმარმა ჩამომხრჩვალი უფრო მაღლა ასწია. კერნმა შესძლო მარყუჟის მოშვება და მკვდარს თავზე გადააძრო.

— ასე... ახლა დაბლა დაუშვი!

ორივემ ერთად მოდუნებული სხეული ნარზე დაასვენა. კერნმა ჟილეტი გახადა და შარვლის სათავე გაუხსნა.

— კარის საფარი გადასწიეთ! — უთხრა მან პატიმარს. — გუშაგებს დაუძახეთ! მე ხელოვნურ სუნთქვას დავუწყებ.

კერნმა ჭაღარაშერეულ თავთან ჩაიმუხლა და თბილი, სიცოცხლით სავსე ხელები კაცის გაყინულ, გახევებულ ხელებს ჩასჭიდა. მოუხრიდა, მკერდთან მიუტანდა, დააწვებოდა, მერე გაუშლიდა და ამ პროცედურას კვლავ თავიდან იწყებდა. ჩამომხჩვალის მკერდიდან მკვეთრი, ხრინწიანი წკლაპუნი მოისმოდა. კერნი ძალ-ღონეს არ ზოგავდა, მაგრამ სუნთქვა მაინც ვერ აღუდგინა. პატიმარმა, რომელმაც ფრანგულად ლაპარაკი იუარა, საკნის კარზე საფარი გადასწია და დაიყვირა:

— გუშაგებო! გუშაგებო!

კერნი ცდას არ აკლებდა, იცოდა, ეს მოქმედება შესაძლოა საათობით გაგრძელებულიყო... ცოტა ხნის შემდეგ გაჩერდა.

— სუნთქავს? — ჰკითხა პატიმარმა.

— არა. — კერნმა უეცრად საშინელი დაღლილობა იგრძნო. — თანაც ეს ფიზრობაა. ამ კაცს ხომ სიკვდილი უნდოდა. ხელი რატომ უნდა შევუშალოთ?

— რას ამბობთ, ღმერთო...

— ხმა ჩაიკმინდეთ! — ხმადაბლა, მუქარით უთხრა კერნმა. იმ წამს ისეთ გუნებაზე იყო, ერთ ზედმეტ სიტყვასაც ვერ აიტანდა. წინასწარ იცოდა, რას ეტყოდა აფორიაქებული პატიმარი. მაგრამ ისიც კარგად იცოდა, ის კაცი კიდეც რომ გადაერჩინათ, თავს მაინც მოიკ-

ლავდა. — თავად სცადეთ მისი გადარჩენა, — უფრო მშვიდად ურჩია ბოლოს. — მან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა.

ამასობაში საკანს გუშაგი მოადგა.

— რა აურზაურია? გაგიჟდით?

— აქ კაცმა თავი ჩამოიხრჩო.

— რას ამბობთ! რა უსიამოვნო ამბავია! სუნთქავს? — გუშაგმა კარი გააღო და საკანში ძეხვისა და ღვინის სუნი შემოიტანა. გუშაგმა ხელის ფარანი აანთო. — მოკვდა?

— როგორც ჩანს.

— მაშ ეს საქმე დილამდე მოიცდის. დაე, შტერნიკოშმა იმტვრიოს თავი. მე არაფერი ვიცი. — გუშაგმა წასვლა დააპირა.

— შეჩერდით! მიმართა კერნმა. — ახლავე სანიტრებს გამოუძახეთ სასწრაფო დახმარების პუნქტიდან.

გუშაგმა გაკვირვებით შეხედა.

— თუ ხუთ წუთში სანიტრები არ მოგიყვანიათ, საკანდალს ავტეხ და თქვენ თანამდებობას დაგატოვებინებენ.

— იქნებ კიდევ გადარჩეს! იქნებ ჟანგბადის ბალიშმა უშველოს! — დაიყვირა მეორე პატიმარმა, მოჩვენებასავით რომ დასდგომოდა თავს ჩამომხრჩვალს და ხელოვნურ სუნთქვას უტარებდა.

— დასწყევლოს ეშმაკმა, რა ნავსი დღე გათენდა! — აბუზღუნდა გუშაგი და საკნიდან გავიდა.

ორიოდე წუთში სანიტრები მოვიდნენ და გვამი წაიღეს.

წუთს არ გაუვლია და გუშაგი ისევ მოადგათ.

— აჭიმები, ქამრები და ფეხსაცმლის თასმები ჩამაბარეთ!

— მე თავის ჩამოხრჩობას არ ვაპირებ, — განუცხადა კერნმა.

— სულ ერთია, მაინც უნდა ჩამაბაროთ.

პატიმრებმა მოთხოვნილი ნივთები ჩააბარეს გუშაგს და ნარებზე ჩოიკალათეს. საკანში ნარწყევის მეავე სუნი იდგა.

— ერთ საათში ინათებს და მაშინ გაწმინდეთ, — უთხრა კერნმა თანამესაკნეს.

ყელი უშრებოდა. ძალზე სწყუროდა. შიგნეული ერთიანად გამომშრალი და თითქოს დამტვერილი ჰქონდა. თავს ისე გრძნობდა, გეგონება, ნახშირი და ბამბა უყლაპია, და ჭუჭყსაც ველარასოდეს მოიშორებსო.

— რა საშინელებაა, არა? — უთხრა თანამოსაკნემ.

— არა, — მოკლედ მიუგო კერნმა.

მეორე საღამოს ისინი უფრო დიდ საკანში გადაიყვანეს, სადაც ოთხი პატიმარი დახვდათ. კერნს მოეჩვენა, რომ ისინი ყველანი ემიგრანტები იყვნენ, თუმცა ამაზე ფიქრით თავი აღარ შეუწუხებია. ძალიან დაღლილი იყო და მაშინვე ზედა ნარზე აძვრა, მაგრამ ვერ დაიძინა. თვალგახელილი იწვა, გისოსიანი სარკმლის პატარა ოთხკუთხედებს მისჩერებოდა. მოგვიანებით, შუაღამისას, ორი კაცი კიდევ შემოემატათ. კერნი მათ ვერ ხედავდა. მხოლოდ მათი ბურტყუნი ესმოდა.

— რამდენ ხანში გაგვიშვებენ აქედან? — სიბნელეში გაისმა ერთ-ერთი ახალმოსულის გაუბედავი ხმა.

იმავ წამს ვილაცამ ბოხი ხმით უპასუხა:

— გააჩნია, რა ჩაიდინეთ. ყაჩაღური თავდასხმისას ჩადენილი მკვლელობისათვის სამუდამო პატიმრობა გელით, პოლიტიკური მკვლელობისათვის — რვა დღე.

— მე მხოლოდ საპასპორტო რეჟიმი დავარღვიე მეორედ.

— ეგ უარესია, — წაიბურდღუნა ბასმა. — ოთხი კვირა გარანტირებული გაქვთ.

— რას ამბობთ! მე კი ჩემოდანში ქათამი დამრჩა, შემწვარი ქათამი! ხომ აყროლდა, ვიდრე აქედან გავალ!

— ნაღდად! — დაუდასტურა ბასმა.

კერნმა ყურები ცქვიტა.

— ქათამი ადრეც ხომ არ დაგრჩენიათ ჩემოდანში? — ჰკითხა უცნობს.

— ჰო, ეგრე იყო! — უპასუხა მცირე ხნის შემდეგ განცვიფრებულმა უცნობმა. — თქვენ ეს საიდან იცით, ბატონო?

— მაშინაც დაპატიმრებული იყავით?

— რასაკვირველია! ვინ კითხულობს? ვინა ხართ? თქვენ საიდან იცით, ბატონო? — კითხულობდა დაბნეული ხმა სიბნელეში.

კერნს სიცილი აუტყდა. ისე ახარხარდა, კინაღამ გაიგუდა. ეს სიმწრის სიცილი იყო, მტკივნეული კრუნჩხვა. ამ სიცილში ჰპოვა გამოსავალი ყველაფერმა, რაც ორი თვის განმავლობაში დაუგროვდა: პატიმრობის სიმწარემ, უსასოობამ, დარდმა რუთზე, ბრძოლამ თავის გადასარჩენად, ჩამომხრჩვალის შემაძრწუნებელმა ამბავმა. ის იცინოდა და იცინოდა, სული შეეხუთა, ჩაბჟირდა, მაგრამ თავს მაინც ვერ იკავებდა.

— პულე! — ლულლულებდა იგი. — რა თქმა უნდა, პულეა! და კვლავ ქათამი ჩემოდანში! აი, მესმის დამთხვევა!

— თქვენ ამას დამთხვევას ეძახით? — გაწიწმატდა პულე. — ეს დაწყევლილი ბედია!

— ეტყობა, ქათმებთან ბედი არ გწყალობთ, — თქვა ბასმა.

— გაჩუმდით! — აბუზღუნდა ვილაც. — ჭირსაც წაულია თქვენი შემწვარი ქათამი! ნამუსი არა გაქვთ, კუჭს რომ მილიზიანებთ ღამით ამ დამშეულ უთვისტომო ადამიანს!

— ეტყობა, ღრმა კავშირი არსებობს თქვენსა და პულეს შორის, — ივარაუდა ბასმა.

— ეგებ ერთხელ შემწვარი კარუსელის ცხენებიც გესინჯათ! — აროხროხდა უთვისტომო პატიმარი.

— ანდა კუჭის კიბო, — აჭიხვინდა ჟღრიალა ტენორი.

— ეტყობა, წინა ცხოვრებაში მელა იყავით, — დაასკვნა ბასმა, — და ახლა ქათმები შურს იძიებენ თქვენზე.

პულემ ისევ ამოიღო ხმა.

— ნამდვილად უღმერთობა და უნამუსობაა — გაუბედურებულ ადამიანს დასცინო.

— აბა, სხვას ვის დავცინოთ? — ფარისევლურად იკითხა ბასმა.
— გაჩუმდით! — დაიყვირა გარედან გუშაგმა. — ეს წესიერი საპატიმროა და არა ღამის კაბარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI

კერნმა ხელი მოაწერა მისი ავსტრიიდან გაძევების დადგენილებას. მას სამუდამოდ აძევებდნენ. მაგრამ ამჯერად ეს არ ადარდებდა. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ხვალ შუადღისას ალბათ კვლავ პრატერში ვიქნებით.

— ვენაში რამე ნივთი ხომ არ გრჩებათ? — ჰკითხა მოხელემ.
— არა, არაფერი.
— ხომ იცით, სამთვიანი პატიმრობა მაინც გემუქრებათ, თუ კვლავ ავსტრიაში დაბრუნდებით.
— დიახ.

მოხელე ერთხანს გამომცდელად უყურებდა კერნს. მერე ჯიბეში ხელი ჩაიყო და ხუთშილინგიანი ამოიღო.

— ჰა, აიღეთ, რამე გადაკარით. მე კანონების შეცვლა არ შემიძლია. გუმპოლდკირხნერის ღვინოს გირჩევთ. წელს ჩამოსხმულ ღვინოებში საუკეთესოა. თავისუფალი ხართ!

— გმადლობთ! — უთხრა განცვიფრებულმა კერნმა. ეს პირველად იყო, პოლიციაში რამეს რომ ჩუქნიდნენ. — დიდი მადლობა! ფული ძალზე მჭირდებოდა.

— კარგი, გეყოფათ! ყურადღებით იყავით საზღვარზე გადასვლისას! გამყოლი დერეფანში გელოდებათ.

კერნმა ფული ჯიბეში ჩაიდო. ეს ფული ნახევარი ლიტრი გუმპოლდკირხნერის ღვინის საყიდლადაც ეყოფოდა და ვენაში რკინიგზით დასაბრუნებლადაც. ეს უფრო ნაკლებ საფრთხეს უქადდა.

ამჯერადაც იმ გზით აგზავნიდნენ, რომელიც პირველად მან და შტაინერმა ერთად განვლეს. კერნს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მას შემდეგ ათი წელი გასულიყო.

სადგურიდან ერთხანს ფეხით იარეს. მალე გზაზე სამიკიტნო გამოჩნდა. ბაღში ორიოდე მაგიდა და სკამები იდგა. კერნს მოხელის რჩევა მოაგონდა.

— თითო ჭიქა ხომ არ დაგველია? — შესთავაზა მან გამყოლს.
— რა დავლიოთ?
— გუმპოლდკირხნერის ღვინოს აქებენ. ამბობენ, წელს საუკეთესოაო.
— სიამოვნებით! მით უმეტეს, ჯერ ადრეა, საბაჟოში რომ გამოვცხადდეთ.

ისინი ბაღში დასხდნენ და კამკამა, მწკლარტე ღვინოს შეექცნენ. გარემო წყნარი და მშვიდი იყო. მალალ, ნათელ ცას შაფრანისფერი დაჰკრავდა. თვითმფრინავს შევარდენივით გაეშალა ფრთები და გუგუნით მიიწევდა გერმანიისკენ. მიკიტანმა შუქფარიანი შანდალი მოიტანა და

მაგიდაზე დადგა. ეს იყო კერნის პირველი საღამო საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ. ორი თვე გაშლილი ცა და შიშველი მიწა არ ენახა. ამდენი ხნის შემდეგ პირველად ამოისუნთქა თავისუფლად. უხმოდ იჯდა და განგების მიერ ნაწყალობევი მშვიდობით ტკბებოდა. ერთი-ორი საათიც და საზრუნავ-საფარდებელი მოაკითხავდა.

— ეს მართლაც აუტანელია! მოულოდნელად ჩაიბურტყუნა გამყოლმა.

კერნმა გაკვირვებით შეხედა.

— მეც ეგრე ვფიქრობ!

— მე სხვა რამეს ვგულისხმობ.

— მე მგონია, ყხვდები, რასაც.

— მე თქვენზე, ემიგრანტებზე ვამბობ, — ბუზღუნით აუხსნა მოხელემ. — თქვენ გამო კაცმა შეიძლება პროფესიული სიამაყე დაკარგოს! ახლა ემიგრანტების ბადრაგობის გარდა სხვა საქმე აღარა გვაქვს! ყოველდღე ერთი და იგივეა! ვენიდან — საზღვრამდე, და ასე დაუსრულებლად! ესაა ცხოვრება? სად ესა და სად ხელებდაბორკილი დამნაშავეების ბადრაგობა!

— არაა გამორიცხული, რომ ერთ-ორ წელიწადში ჩვენც, ემიგრანტები, ხელებდაბორკილი წაგვიყვანოთ საზღვრისკენ, — ცივად უთხრა კერნმა.

— ეგ ვერაფერი შეღავათია! — მოხელემ ამრეზით შეხედა კერნს. — პოლიციის თვალში თქვენ არარაობა ხართ! მე ოთხი კაცის მკვლელ მიულერ II ვბადრაგობდი ჩახმახზე შეყენებული რევოლვერით ხელში... და კიდევ, ორი წლის წინათ ბერგმანს, ქალებს რომ სადისტურად ხოცავდა... მოგვიანებით ბრუსტს, რომელიც თავის მსხვერპლთ დანით მუცლებს უფატრავდა... აღარას ვამბობ გვამების შემბილწველ ტედი ბლიუმელზე! ეჰ, რა დრო იყო! დღეს კი მხოლოდ თქვენ... თქვენი გამოისობით მოწყენილობისგან ლამის ფეხები გავჭიმო. — მან ამოიოხრა და ღვინო დაცალა. — ეს ერთი კია: ღვინოებში ერკვევით. თითოც ხომ არ დაგველია? ოლონდ ამჯერად ჩემს ხარჯზე.

— კეთილი.

ის ბოთლიც დაცალეს და გზას გაუდგნენ. ამასობაში ბინდი ჩამოწვა. დროდადრო გზას ღამურები და ღამის პეპლები გადაუფრენდნენ.

საბაჟოს შენობა გაჩახჩახებული იყო. ამჯერადაც მაშინდელი მებაჟეები მორიგეობდნენ. გამყოლმა კერნი მათ გადასცა.

— სადმე დაჯექით, — უთხრა ერთ-ერთმა მებაჟემ. — ჯერ ადრეა.

— ვიცი, — უპასუხა კერნმა.

— რაო, ესეც იცით?

— რა თქმა უნდა. საზღვარი ხომ ჩვენი მეორე სამშობლოა.

გარიჟრაჟზე კერნი კვლავ პრატერში იყო. შტაინერის ფურგონთან მისვლა ვერ გაბედა. ფრთხილობდა, ვაითუ ამასობაში რამე შეიცვალაო. შორიახლოს პარკში დადიოდა. ხეები ნისლში იყო გახვეული. სანამ კერნი საპატიმროში იჯდა, შემოდგომა დამდგარიყო. ერთხანს ნაცრისფერი ბინდით დაფარულ კარუსელთან იდგა, მერე ბრეზენტი ას-

ნია და შიგ შეძვრა. გონდოლაში ჩაჯდა. პოლიციის პატრულმა აქ ვერ მოაგნებდა.

კერნი ხარხარმა გამოალვიძა. ირგვლივ ნათელი იდგა. პრეზენტი აეკეცათ. კერნი ზეზე წამოიჭრა. მის წინ ლურჯ კომბინიზონში გამოწყობილი შტაინერი იდგა. კერნი გონდოლიდან გადმოვიდა. უეცრად იგრძნო, რომ შინ იყო.

— შტაინერ! — დაიყვირა თვალებგაბრწყინებულმა. — მადლობა ღმერთს, კვლავ თქვენთანა ვარ!

— ამას რას ვხედავ! დაკარგული შვილი დაგვიბრუნდა პოლიციის ფილეგიდან! მოდი, კარგად შეგათვალიერო! ცოტა გამხდარხარ და ფერიც დაგკარგვია საპატიმროს სალაფავისგან! ფურგონში რატომ არ მოხვედი?

— დარწმუნებული არ ვიყავი, ისევ აქ იყავი თუ არა.

— ჯერჯერობით აქა ვარ. მოდი, ჯერ ვისაუზმოთ. მაძღარ კუჭზე კაცი სხვა თვალით უყურებს ცხოვრებას. — შტაინერმა ფურგონისკენ გაიხედა და ლილოს გასძახა, — ჩვენი ბიჭი დაგვიბრუნდა! ნოყიერი საჭმელი მოამზადე! მერე კვლავ კერნს მიუბრუნდა. — გაზრდილხარ და კიდეც დავაჟკაცებულხარ! ამ ხნის განმავლობაში ისწავლე რამე, ბალლო?

— დიახ. ის, რომ კაჟივით უნდა გამაგრდე, თუ არ გინდა ფეხები უდროოდ გაჭიმო. ამიერიდან ითლად ველარავინ დამჩაგრავს. ამის გარდა, ტომრის შეკერვა და ფრანგული ვისწავლე. ისიც შეკითხვისე, რომ ზოგჯერ ბრძანებით უფრო მეტს მიაღწევ, ვიდრე თხოვნით.

— აი, ეს მესმის! — შტაინერს თვალები აუციმციმდა. — აი, ეს მესმის, ბალლო!

— რუთი სადაა? — ჰკითხა კერნმა.

— ციურიხში. აქედან გაასახლეს. ეს აკმარეს. შენთვის გამოგზავნილი მისი წერილები ლილოსთან ინახება. ის ჩვენი საფოსტო ყუთია. მხოლოდ მას აქვს ნამდვილი საბუთები. ამიტომ რუთი მის მისამართზე სწერდა.

— ციურიხშია... — გაიმეორა კერნმა.

— ჰო, ბალლო. განა ეს ცუდია?

კერნმა გაკვირვებით შეხედა.

— არა.

— იქ ნაცნობებთან ცხოვრობს. მალე შენც გაემგზავრები ციურიხში. სულ ესაა. აქ ისედაც აღარ დაგვედგომება.

— ჰო...

ლილო მოვიდა. კერნს ისე მიესალმა, როგორც სეირნობიდან დაბრუნებულს. მისთვის ორი თვე სალაპარაკოდაც არ ღირდა. თავად თითქმის ოცი წელიწადი რუსეთის გარეთ ცხოვრობდა და ჩინეთიდან თუ ციმბირიდან დაბრუნებულ ადამიანებსაც შეხვედროდა, რომლებიც ათი, თხუთმეტი წელი დაკარგული ეგონათ. მაგიდაზე აუჩქარებლად დადგა ლანგარი, რომელზედაც ყავადანი და ფინჯნები ელაგა.

— წერილები მოუტანე, ლილო, — მიმართა შტაინერმა. — თორემ მანამდე არაფერს შეჭამს.

ლილიმ ლანგარზე მიუთითა. წერილები ფინჯანზე მიეყუდებინა. კერნმა წერილებს ხელი დასტაცა. კითხვას შეუდგა. [illegible] ყველაფერი გადააავიწყდა. ეს რუთისგან გამოგზავნილი წერილები [illegible] პირველი სასიყვარულო წერილები მის ცხოვრებაში. უეცრად რაღაც ჯადოსნური ძალით ყოველგვარი სიმძიმილი მოეხსნა: იმედგაცრუება, რუთს რომ ვერ მოუსწრო, აფორიაქება, შიში, უიმედობა, მარტოობის განცდა. კითხვისას შავი სტრიქონები აკიაფდნენ და ნათება დაიწყეს. ცხოვრებამ მოულოდნელად ისეთ ადამიანს შეახვედრა, ვინც მასზე დარდობდა, ვინც სასოწარკვეთილებას მისცემოდა მისი ბედუკულმართობის გამო, ვინც მას სიყვარულში უტყდებოდა. „შენი რუთი"! „შენი რუთი"! ღმერთო დიდებულო, ფიქრობდა კერნი, ეს რა მესმის: შენი რუთიო! შენი! შენი! ეს დაუჯერებელია. შენი რუთი! რა გააჩნდა აქამდე? რა იყო აქამდე მისი? ორიოდე ფლაკონი სუნამო, რამდენიმე საპონი და ის, რაც ტანთ ეცვა. ახლა კი მისია ადამიანი! მთელი ადამიანი! სქელი თმა, შავი თვალები!.. ამის დაჯერება თითქმის შეუძლებელი იყო.

კერნმა თავი ასწია. ლილო ფურგონში შესულიყო. შტაინერი სიგარეტს ეწეოდა.

— ყველაფერი რიგზეა, ბალლო? — ჰკითხა მან.

— დიახ. მწერს, არ ჩამოხვიდეო. ჩემი გულისთვის თავი საფრთხეში არ ჩაიგდოო.

შტაინერმა გაიცინა.

— ქალები რას არ იწერებიან! — კერნს ფინჯანში ყავა დაუსხა. — ბოდი, ახლა საუზმეს მიხედე!

შტაინერი ფურგონს მიეყუდა და უყურებდა, როგორ ჭამდა კერნი. მზემ თეთრი, თხელი ღრუბელი გაარღვია. კერნს სახეზე სხივი მიელამუნა. ჰაერში თითქოს ღვინის მათრობელა სურნელი ტრიალებდა. ჯერ კიდევ წინა დილით აყროლებულ სადგომში თუნუქის ჯამიდან გულისამრევ ნელთბილ სალაფავს ხვრეპდა მაწანწალა ლეოს ნაწლავების ქარის კონცერტის თანხლებით. ლეო ამ საქმის დიდი სპეციალისტი იყო. ახლა კი დილის ცინცხალი, მსუბუქი ნიავი უბერავდა, თვითონ კი თეთრ პურს მიირთმევდა, ზედ ყავას აყოლებდა, ჯიბეში რუთის წერილები უშრაშუნებდა, მხარში შტაინერი ედგა, რომელიც იქვე, ფურგონს მიყუდებოდა.

— ციხეში ჯდომას ერთი უპირატესობა გააჩნია, — თქვა კერნმა. — გარეთ გამოსულს ყველაფერი გაოცებს!

შტაინერმა თავი დაუქნია.

— შენ რა, ამ სალამოსვე აპირებ გამგზავრებას? — ჰკითხა მან.

კერნმა შეხედა.

— წასვლაც მინდა და დარჩენაც. რა კარგი იქნებოდა, სამივე ერთად წავსულიყავით!

შტაინერმა სიგარეტი მიაწოდა.

— გირჩევ, ორი-სამი დღე აქ დარჩე, — უთხრა მან. — ძალზე გასაცოდავებული ჩანხარ. ეტყობა, საპატიმროს საჭმელმა დაგასუსტა.

ცოტა ხანს აქ გამოგკვებავთ. უნდა მომაგრდე, თორემ გზებზე ხეტიალს ვერ გაუძლებ. ჯობს, ორიოდე დღე აქ დაყოვნდე, ვიდრე გზაში ავად გახდე და პოლიციას ჩაუვარდე ხელში. შვეიცარია სახუმარო საქმე არ ყოფილა. უცხო ქვეყანაში გაასკეცებული სიფხიზლე გმართებს.

— აქ საჩემო საქმე გამოიძებნება?

— დღისით ტირში შეგვეშველები, საღამოობით ტუალეტებსა და სეანსზე. მართალია, შენს არყოფნაში სხვა დამხმარე ავიყვანეთ, მაგრამ ორი დამხმარე უკეთესია.

— კეთილი, — დაეთანხმა კერნი. — ეტყობა, მართალი ხართ. ცოტა მოწესრიგება არ მაწყენდა გამგზავრებამდე. რაღაცნაირი მწვავე შიშშილი მაწუხებს. მარტო კუჭში კი არა — თვალებშიც, თავშიც, ყველგან... მართლაც ცოტა უნდა მოვსულიერდე.

შტაინერმა გაიცინა.

— სწორია! აგერ, ლილოც მოდის თავისი ცხელი ღვეზელებით. კარგად დანაყრდი, ბალლო. მე წავალ, პოტცლოხს გავალვიძებ.

ლილომ კერნს წინ ლანგარი დაუდგა. კერნმა ჭამა განაგრძო. დროდადრო ჯიბეზე ისვამდა ხელს, სადაც წერილები ეწყო.

— დარჩებით აქ? — ჰკითხა ლილომ თავისებური მკვეთრი გერმანულით.

კერნმა თავი დაუქნია.

ეტყობა, ქალი ფიქრს მიუხვდა.

— ნუ შიშობთ, — დაამშვიდა ლილომ. — სანამ მეგობარი გვერდში გიდგათ, ნურაფრის შეგეშინდებათ.

— ნუ შიშობთ, — უთხრა ლილომ, — ნუ შიშობთ, რუთს არაფერი დაემართება. ის ყველაფერს გაუძლებს. მე კარგად ვიცნობ ადამიანის ბუნებას.

კერნს უნდოდა ეთქვა, სულაც არ ვშიშობ, მხოლოდ ის მაფიქრებს, ვაითუ, სანამ მე აქ ვარ, რუთი დააპატიმრონო... მაგრამ რუსი ქალის სევდით დაჩრდილულ, შავგრემან სახეს რომ შეხედა, სიტყვა ვერ დაძრა, ამ დიდ სევდასთან შედარებით ყველაფერი პატარა და უმნიშვნელო ეჩვენა.

ეს მეორე დღეს, ნაშუადღევს მოხდა ტირში. ლილო ყმაწვილების ჯგუფს ემსახურებოდა და ახალმოსულებმა კერნს მიაშურეს.

— მოიცადეთ, ერთი გვასროლინეთ!

კერნმა წინა კაცს თოფი მიაწოდა. მოსულებმა თავდაპირველად ფიგურებს ესროლეს, რომლებიც ხმაურით გადაყირავდებოდნენ ხოლმე და ქანაობდნენ. მერე თხელი შუშის ბურთულები ამოიღეს მიზანში, შადრევნის ჭავლში რომ სტუნავდნენ. ბოლოს საპრიზო ცხრილს გაეცნენ და სამიზნის დაყენება მოითხოვეს, რათა მოგებაზე ესროლათ.

ერთმა მსროლელმა ოცდათოთხმეტი, ხოლო მეორემ ორმოცდათხუთი ქულა დააგროვა. მათ შესაბამისად პლუშის დათუნია და მოვერცხლილი პორტსიგარი ერგოთ. მესამე, დაბალი კაცი, რომელსაც ვაწკარა, სქელი, წითური ულვაში ჰქონდა, დიდხანს გულდასმით უმიზნე-

ბდა სამიზნეს და საბოლოოდ ორმოცდარვა ქულა მოაგროვა. მისმა მეგობრებმა გამარჯვება ხმაურით მიულოცეს. ლილომ სწრაფად გადმოხედა კერნს.

— მომეცით კიდევ ხუთი ტყვია, — მოითხოვა დაბალმა და ქუდი კეფაზე მოიგდო. — და იგივე თოფი.

კერნმა თოფი დატენა. კაცმა სამი გასროლით ოცდათექვსმეტი ქულა დააგროვა. ყოველ გასროლაზე თორმეტიანში ახვედრებდა. კერნი მიხვდა, რომ ვერცხლის სახილე კალათას — პოტცლოხების საოჯახო რელიქვიას საფრთხე დაემუქრა. ამჯერად თოფი დირექტორ პოტცლოხის ჯადოსნური ტყვიით დატენა, დაბალმა კაცმაც ისროლა და ექვსიანში მოახვედრა.

— ეჰე! — წამოიძახა მან და თოფი ბარიერზე დადო. — აქ რაღაც ეშმაკობაა. მე ხომ გულდასმით დავუმიზნე.

— იქნებ გასროლისას ოდნავ შეკრთით, — უთხრა კერნმა. — თოფი ხომ არ შეგვიცვლია.

— მე შეკრთომა არა მჩვევია, — გაღიზიანებით მიუგო დაბალმა. — სტაჟიანი პოლიციის ფელდფებელისათვის შეკრთომა წარმოუდგენელია. მე ვიცი, როგორც ვისვრი.

თავად კერნი კი ნამდვილად შეაკრთო მისმა სიტყვებმა. ნებისმიერი პოლიციელი, თუნდაც სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, შიშს ჰგვრიდა. დაბალი ბრაზიანად უყურებდა.

— რაღაცას თაღლითობთ! გესმით? — მუქარით მიმართა მან კერნს.

კერნმა არაფერი უპასუხა. თოფი ხელახლა დატენა და გაუწოდა. ამჯერად ჩვეულებრივი ტყვია ჩადო. ფელდფებელმა ერთხელაც შეიბღვირა კერნს და სამიზნეს დაუმიზნა. ტყვია თორმეტიანში მოახვედრა და თოფი ბარიერზე დადო.

— ახლა რაღას იტყვით?

— ხდება ხოლმე, — უპასუხა კერნმა.

— ხდება ხოლმე? არა, ასე არ ხდება! ოთხჯერ თორმეტიანში და ერთხელ ექვსიანში! თქვენ ეს თავადაც არ გჯერათ. ასე არაა?

კერნი დუმდა. დაბალმა წამოწითლებული სახე ახლოს მიუტანა.

— საიდანღაც მეცნობით...

მეგობრებმა სიტყვა გააწყვეტინეს. ისინი ხმამაღლა მოითხოვდნენ დამატებით გასროლას, ექვსიანში ნასროლი არ ითვლებაო.

— ტყვიას რაღაც უქენით, თქვე თაღლითებო! — გაყვიროდნენ ისინი.

მათკენ ლილო გამოეშურა.

— რა მოხდა? — იკითხა მან. — მე დაგეხმარებით. ეს ყმაწვილი ამ საქმეში გამოუცდელია.

ფელდფებელის მეგობრები ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. თავად ფელდფებელი საუბარში არ ერეოდა, ის კერნს შესცქეროდა და რაღაცის გახსენებას ლამობდა. კერნი თვალს არ არიდებდა. მან მთელ თავის გამოცდილებას მოუხმო, რაც ხანმოკლე მოუსვენარი ცხოვრების განმავლობაში შეიძინა.

— დირექტორ პოტცლოხს უნდა დავეკითხო, — მოჩვენებითი სიმშვიდით უთხრა ფელდფებელს. — მე მარტო ვერ გადავწყვეტ. — ერთი პირობა კერნი პოლიციელისთვის დამატებითი ტყვიის მიცემას აპირებდა, მაგრამ როცა წარმოიდგინა, როგორ გაცოფდებოდა პოტცლოხი, თუ ცოლის ოჯახურ რელიქვიას დაკარგავდა, განზრახვაზე ხელი აიღო. კერნი სკილასა და ქარიბდას შორის აღმოჩნდა. ჯიბიდან ხელსაგარეტი ამოიღო და ნელა მოუკიდა. თავს ძალას ატანდა, ხელები არ აკანკალებოდა. მერე აუჩქარებლად შებრუნდა და დინჯად წავიდა ლილოს სამუშაო ადგილისკენ.

მისი ადგილი ლილომ დაიკავა. მან სტუმრებს კომპრომისი შესთავაზა: პოლიციელი ხელმეორედ გაისროდა ხუთჯერ, რასაკვირველია, უფასოდ. მაგრამ მეორე მხარე არ თანხმდებოდა. ლილომ კერნისკენ გაიპარა მზერა. მის გადაფითრებულ სახეს რომ შეხედა, მიხვდა, საფრთხე გაცილებით სერიოზული იყო, ვიდრე პოტცლოხის თაღლითურ ტყვიებზე დავა. ლილომ პოლიციელს გაუღიმა და მის წინ მაგიდაზე შემოსკუპდა.

— ისეთი ჩაუქი მსროლელი, როგორიც თქვენა ხართ, მეორეჯერაც ზუსტად მოარტყამს მიზანს. — უთხრა მან ფელდფებელს. — აბა, სინჯეთ! ხუთი უფასო გასროლა თქვენია, მსროლელთა მეფევ!

ნასიამოვნებმა ფელდფებელმა გახამებული საყელოდან თავი ამოაჭყელყელავა.

— ასეთი ხელის პატრონისათვის, ალბათ, შიში უცხოა, — მიეპირფერა ლილო და თავისი თხელი ხელი ფელდფებელის წითურ, სქელ ველს დაადო.

— ხელი არასდროს ამიკანკალდება! — გაიბღინძა პოლიციელი და აროხროხდა. — ეგაა მხოლოდ, ცოტა სილამაზე არ აწყენდა.

— ვიცოდი დამთანხმდებოდით! — აღტაცებით უთხრა ლილომ და თოფი გაუწოდა.

პოლიციელმა გამოართვა, გულდასმით დაუმიზნა და გაისროლა. თორმეტიანში მოარტყა. კმაყოფილი სახე ლილოსკენ მიაბრუნა. ქალმა გაუღიმა და თოფი კვლავ დაუტენა. პოლიციელმა ორმოცდათვრამეტი ქულა დააგროვა.

ლილო აღტაცებით შეჰყურებდა.

— რამდენი ხანია თქვენისთანა მსროლელი არ გვსტუმრებია! — განუცხადა პოლიციელს. — თქვენს მეუღლეს ალბათ არაფრის შიში არა აქვს.

— ჯერჯერობით მეუღლე არა მყავს.

ქალმა თვალებში შეხედა.

— ეტყობა, იმიტომ, რომ ჯერ უღლის ტარება არ გინდათ.

ფელდფებელმა ჩაიღიმა. მისი მეგობრები აროხროხდნენ. ლილომ თაროდან პოლიციელის მოგებული კალათა ჩამოიღო. პოლიციელმა ულვაშზე ხელი გადაისვა და წვრილი, ცივი თვალებით კერნს მიაშტერდა:

— თქვენს ამბავს მალე გავარკვევ! მე კვლავ გეწვევით, ოღონდ ამჯერად მუნდირით! — მერე ისევ გაილრიჭა, მოგებული კალათა იღლიაში ამოიჩარა და მეგობრებთან ერთად გარეთ გავიდა.

— გიცნოთ? — სწრაფად ჰკითხა ლილომ კერნს.

— არ ვიცი. ვგონებ, არა. არსად შევხვედრივარ. შესაძლოა, თავად მნახა სადმე.

— ჯობს დროებით აქაურობას მოსცილდეთ. ... უნდა გნახოთ. ეს ამბავი შტაინერს შეატყობინეთ.

იმ დღეს პოლიციელი აღარ გამოჩენილა. მაგრამ კერნმა გადაწყვიტა, საღამოს მაინც აბარგებულიყო პარტერიდან.

— უნდა მოვცილდე აქაურობას, — უთხრა შტაინერს. — ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რაღაც უნდა მოხდეს. უკვე ორი დღეა აქა ვარ. ვფიქრობ, საკმაოდ მოვლონიერდი. შენ რას მირჩევ?

შტაინერმა თავი დაუქნია.

— გაემგზავრე, ბალღო. ორიოდე კვირაში მეც გუდა-ნაბადს ავიკრავ. ჩემი პასპორტით ყველგან თავს გავიტან. ახლა აქ, ავსტრიაში, ცხოვრება საშიში გახდა. ამ ბოლო დროს ცუდი ამბები მესმის. წამო, პოტცლოხს მივაკითხოთ.

დირექტორი პოტცლოხი ხილის კალათის დაკარგვამ ძალზე გააცეცხლა.

— ოცდაათი შილინგი დამიჯდა, ყმაწვილო, ზუსტად ოცდაათი. ბითუმად შევიძინე. ასე თქვენ გამაჩანაგებთ! — აბობოქრდა იგი.

— ის ჩვენგან მიდის, — დააშოშმინა შტაინერმა და უამბო, რაც მოხდა. — გამოუვალ მდგომარეობაში იყო, — უთხრა ბოლოს. — თქვენს საოჯახო რელიქვიას დაკარგვა არ ასცდებოდა.

პოტცლოხი აშკარად ნაწყენი იყო, მაგრამ მალე გამოიდარა.

— კეთილი, საქმე სხვაგვარად ყოფილა. — კერნს ხელფასი მისცა და ტირის ბუდრუგანასთან მიიყვანა. — ახალგაზრდავ, — პათეტიკურად მიმართა კერნს, — თქვენ ახლა გაიცნობთ ლეოპოლდ პოტცლოხს — უკანასკნელ ფილანთროპს! ამ ნივთებიდან რამე აირჩიეთ! საშახსოვროდ. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ გაყიდოთ. ჭკვიანი კაცი სახსოვარს არც ინახავს. სახსოვარი მხოლოდ ცხოვრებას გვიწამლავს. თქვენ ალბათ რამეს გაყიდით, არა? აირჩიეთ! რიდი და კრძალვა არ გამაგონოთ...

პოტცლოხი მსოფლიო საოცრებათა პანორამისკენ ვავარდა.

— გულდასმით ამოირჩიე, — უთხრა კერნს შტაინერმა. — ხარახურას მუდამ დიდი გასავალი აქვს. პატარა, მსუბუქი ნივთები გირჩევნია. დროზე გაინძერი, ვიდრე პოტცლოხს არ გადაუფიქრებია.

მაგრამ პოტცლოხს მსგავსი რამ აზრადაც არ მოსვლია, პირიქით, კერნის მიერ არჩეულ საფერფლეებს, სავარცხლებსა და კამათლებს საკუთარი სურვილით შიშველი ქალღმერთის სამი ბრინჯაოს ქანდაკებ დაუმატა.

— ესენი დიდ წარმატებას მოგიტანენ პატარა ქალაქებში, — ირონიულად ჩაიქირქილა მან და ჩამოვარდნილი პენსნე პაერში დაიჭირა. — პატარა ქალაქის მცხოვრებთ ფარული ვნებები სტანჯავთ. ლაპარაკია, რასაკვირველია, ისეთ ქალაქებზე, სადაც საროსკიპო არაა! ღმერთი იყოს თქვენი შემწე, კერნ! ახლა სანახაობათა მაღალი დაბეგვრის საწინააღმდეგო კონფერენციას უნდა დავესწრო. სანახაობათა და-

ბეგვრა! რა ნიშანდობლივია ამ საუკუნისათვის! იმის მაგიერ, რომ გვაჯილდოვებდნენ!

კერნმა ჩემოდანი ჩაალაგა. წინდები და პერანგი გარეცხა და გასაწრობად თოკზე გაფინა. მერე ლილოსთან და შტაინერთან ერთად ვახშამს მიუჯდა.

— თუ გეტირება, იტირე, ბალლო, — ურჩია შტაინერმა. — შენ ამის სრული უფლება გაქვს. ძველი ბერძენი გმირები უფრო ხშირად იცრემლებოდნენ, ვიდრე ახლანდელი სანტიმენტალური ტუტუცი გოგონები. ბერძნებმა იცოდნენ, დარდი გულში არ უნდა ჩაიხვიო. ჩვენი იდეალი კი ქანდაკების სიმაგრე და სიმტკიცეა, რაც სრულიად უსარგებლოა. იტირე და გულზე უფრო ჩქარა მოგეშვება.

— ცრემლი ზოგჯერ უკანასკნელი ნუგეში და ბედნიერებაა, — ძმაცდად თქვა ლილომ და კერნს არაჟნიანი ბორშით სავსე ჯამი დაუდგა წინ.

შტაინერმა გაიღიმა და კერნს თავზე ხელი გადაუსვა.

— უპირველესი ბედნიერება შენთვის, ნორჩო კოსმოპოლიტო, იცოდე, ჯერჯერობით ნოყიერი საჭმელია. ასეთია ძველი ჯარისკაცული სიბრძნე. და შენ ჯარისკაცი ხარ — გახსოვდეს ეს. შენ ხარ მზვერავი, პატრული, კოსმოპოლიტთა მოსაგრე. თვითმფრინავი ერთ დღეში ათი სახელმწიფოს საზღვრებს გადაუფრენს. ყოველ მათგანს მეორის ვადაყლაპვა უნდა და ამიტომ კბილებამდე იარაღდებიან. მაგრამ მუდამ ასე არ იქნება. არ დაგავიწყდეს: შენ ერთ-ერთი პირველი კოსმოპოლიტი ევროპელი ხარ. იამაყე ამით.

კერნმა გაიღიმა.

— ყველაფერი რიგზეა. აკი ვამაყობ კიდეც. მაგრამ ამალამ რა ექნა, მარტო რომ დავრჩები.

კერნი ღამით გაემგზავრა. ბილეთი ყველაზე იაფი მატარებლის ყველაზე იაფი კლასის ვაგონში აიღო და შემოვლითი გზით ინსბრუკში ჩავიდა. იქიდან ფეხით უნდა ევლო. იმედოვნებდა, ვინმე მანქანას გაუჩერებდა და წაიყვანდა. მაგრამ არ გაუმართლა. საღამოს ერთ პატარა სასტუმროამდე მიაღწია და შემწვარი კარტოფილი ჭამა. დასანაყრებლად ესეც კმაროდა, თანაც ფული დაზოგა. ღამით თივის ზვინში ეძინა. საპატიმროში ქურდისგან ნასწავლი ხერხი გამოიყენა ზვინში შესაძრომად. დილით გამვლელ მანქანას დაემგზავრა ლანდეკამდე. მანქანის პატრონს დირექტორ პოტცლოხის ერთი ქალიშვილი შეასალა ხუთ შილინგად. საღამოს წვიმა წამოვიდა. კერნი სოფლის სასტუმროში გაჩერდა და ტის მეზობლებთან ტარიკი ითამაშა. სამი შილინგი წააგო. ბუნება გაუფუჭდა, შუალამემდე ვერ დაიძინა. ისიც აბრაზებდა, საწოლში ორი შილინგი რომ ჰქონდა გადახდილი, ძილს კი ვერ ახერხებდა. გვიან ჩაეძინა. დილით გზას გაუდგა. უცნობმა მანქანა გაუჩერა და წაყვანაში ხუთი შილინგი მოსთხოვა. ავსტრო-დაიმლერის ფირმის ძვირფასი მანქანა იყო, თხუთმეტ ათას შილინგად ღირებული. კერნმა უარი უთხრა. მოგვიანებით ერთმა გლეხმა ჩაისვა მანქანაში და გადასახვევამდე მიიყვანა, თანაც გზაში უშველებელი ბუტერბროდით გაუმასპინძლდა. კე-

რნმა ღამე ისევ თივის ზვინში გაატარა. წვიმდა. იგი დიდხანს უგდებდა ყურს წვეთების მონოტონურ ტყაპატყუპს და სიდამპლე შეპარული, ნოტიო თივის მწკლარტე, ალმგზნებ სურნელს იყნოსავდა. მეორე დღეს ციცაბო ფერდობზე აბობღდა და არლბერგის ულელტეხილი გადალახა. სულის მოთქმა ვერ მოასწრო, რომ ჟანდარმმა დაიჭირა. დიდლილი იყო. მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, ველოსიპედზე მჯდარ ჟანდარმს ფეხით უნდა გაჰყოლოდა სენტ ანტონამდე. იქ ღამით საკანში დაამწყვდიეს. თვალს რული არ მოეკიდა, ფიქრი არ ასვენებდა, ვაითუ გამიგონ, ვენიდან რომ ჩამოვედი და დასასჯელად ისევ უკან გადამაგზავნონო. მაგრამ მის ნათქვამს დაუჯერეს, საზღვარზე გადასვლას ვაპირებდიო, და მეორე დილით გაუშვეს. ამჯერად ჩემოდანი საბარგო ვაგონით გაგზავნა ფელდკირხამდე, რათა ჟანდარმების ყურადღება არ მიეპყრო. ერთი დღის შემდეგ ფელდკირხში ჩავიდა, ჩემოდანი გამოიტანა, დალამებას დაუცადა, ტანთ გაიხადა და მდინარე რაინში გატოპა. ჩემოდანი და ტანსაცმელი თავზემოთ ეჭირა. ასე მოხვდა შვეიცარიაში. ორი დღე შეუსვენებლად იარა, სანამ საშიში ზონა უკან არ მოიტოვა. მერე ჩემოდანი ისევ საბარგო ვაგონით გაგზავნა, თვითონ კი ერთ მანქანას დაემგზავრა, რომლითაც ციურიხში ჩავიდა.

შუადღისას მთავარ ვაგზალზე გავიდა. ჩემოდანი შემნახველ საკანში ჩააბარა. რუთის მისამართი იცოდა, მაგრამ დღისით მასთან ბინაში მისვლას უფრთხოდა. ერთსანს ვაგზალზე დარჩა. მერე ებრაელთა მაღაზიებს ჩამოუარა, რომ ლტოლვილთა დახმარების ორგანიზაციის მისამართი გაეგო. ერთგან, წინდების მაღაზიაში, რელიგიური საზოგადოების მისამართი მისცეს და ისიც იქით გაეშურა.

საზოგადოებაში ახალგაზრდა კაცი დახვდა. კერნმა აუწყა, გუშინ გადმოვედი საზღვარზეო.

— ლეგალურად? — ჰკითხა ახალგაზრდამ.

— არა.

— საბუთები გაქვთ?

კერნს გაუკვირდა.

— საბუთები რომ მქონდეს, აქ რა მინდა.

— ებრაელი ხართ?

— არა, ნახევრად ებრაელი.

— რელიგია?

— ევანგელისტი ვარ.

— ევანგელისტი? აი, თურმე რა! ასეთ შემთხვევაში ჩვენ ბევრს ვერაფერს დაგეხმარებით. თანხები ძალზე შეზღუდული გვაქვს. ჩვენი რელიგიური საზოგადოების მთავარი საზრუნავი, ბუნებრივია... ეს თქვენც გესმით... ჩვენი რწმენის ებრაელები არიან.

— გასაგებია, — უთხრა კერნმა. — გერმანიიდან იმიტომ გამომაძევეს, რომ ებრაელი მამა მყავს! თქვენ კი დახმარებაზე უარს იმიტომ მეუბნებით, რომ ქრისტიანი დედა მყავს. რა უცნაური სამყაროა!

ახალგაზრდამ მხრები აიჩეჩა.

— ძალზე ვწუხვარ, მაგრამ რა გიყოთ. ჩვენ მხოლოდ კერძო შემოწირულობებით ვარსებობთ.

— ეგებ მიმასწავლოთ მაინც, სად შეიძლება ორიოდე დღე ჩაუწერლად ვიცხოვრო? — ჰკითხა კერნმა.

— სამწუხაროდ, არ ვიცი და უფლებაც არა მაქვს მივასწავლოთ. ძალზე მკაცრი მითითებები გვაქვს და ჩვენც ზედმიწევნით ზუსტად უნდა შევასრულოთ. თქვენ პოლიციაში უნდა მიხვიდეთ და დარჩენის ნებართვა ითხოვოთ.

— რას ამბობთ, — უთხრა კერნმა. — მაგის მწარე გამოცდილება გამაჩნია.

ახალგაზრდამ შეხედა.

— გთხოვთ, ერთი წამით დამელოდოთ. — იგი ოთახის სიღრმეში მდგარ ბიუროსთან მივიდა და მალე გამობრუნდა. — გამონაკლისის სახით, ოცი ფრანკით დაგეხმარებით. სამწუხაროდ, მეტი არ შეგვიძლია.

— დიდად გმადლობთ! ამასაც არ ველოდი!

კერნმა ფული გულდასმით დაკეცა და საფულეში ჩაიდო. ეს მისი ერთადერთი შვეიცარიული ბანკნოტი იყო.

ქუჩაში დადგა. არ იცოდა, საით წასულიყო.

— რას აპირებთ, ბატონო კერნ? — მოესმა ვილაცის ოდნავ დამცინავი ხმა.

კერნი შებრუნდა. მის წინ დაახლოებით მისი ასაკის საკმაოდ ელეგანტურად ჩაცმული ახალგაზრდა იდგა და ულიმოდა.

— არ გაგიკვირდეთ! მეც ახლა ■ ვიყავი. — უცნობმა რელიგიური საზოგადოების შესასვლელისკენ მიუთითა. — პირველად ხართ ციურიხში?

კერნი ერთხანს ეჭვიანად აკვირდებოდა.

— დიახ, — უპასუხა მერე. — საერთოდ შვეიცარიაში პირველად ვარ.

— მეც ასე ვიფიქრე. მაპატიეთ და თქვენი ვერსია არ ვარგოდა. რად გინდოდათ, რომ განაცხადეთ, ევანგელისტი ვარო. თუმცა დახმარება მაინც მიიღეთ. თუ ინებებთ, რამდენიმე სასარგებლო რჩევას გაგიზიარებთ. ჩემი გვარია ბინდერი. ყავა ხომ არ დაგველია?

— სიამოვნებით. სადმე ემიგრანტთა კაფე ან რამე ამდაგვარი ხომ არ გეგულებათ?

— ბევრი. ჯობს, კაფე „გრიფში“ წავიდეთ. აქედან ახლოსაა და თანაც პოლიცია იქაურებს ჯერჯერობით მაინცდამაინც არ აწუხებს. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ჩხრეკა ერთხელაც არ ჩაუტარებიათ.

ისინი კაფე „გრიფში“ შევიდნენ, რომელიც გაჭრილი ვაშლივით წააგავდა ვენის კაფე „შპერლერს“.

— საიდან ჩამოხვედით? — ჰკითხა ბინდერმა.

— ვენიდან.

— აქ ზოგიერთი რამის ხელახლა სწავლა მოგიწევთ. ყურადღებით მომისმინეთ! პოლიციაში თუ გამოცხადდებით, იმედი გქონდეთ, აქ დარჩენის ნებართვას მიიღებთ. ოღონდ იცოდეთ, მხოლოდ ორიოდე დღით, რის მერეც აქედან უნდა აიბარგოთ. საბუთების გარეშე ცხოვრების ნე-

ბართვის შანსი ორი პროცენტია, გაძევების შანსი კი ლამის ოთხმოცდათვრამეტი. გარისკავთ?

— არავითარ შემთხვევაში.

— სწორია! თანაც არც ისაა გამორიცხული, თავიდანვე აგიკრძალონ ქვეყანაში შემოსვლის უფლება — ერთი წლით, სამი წლით, ხუთი წლითა და მეტი ვადითაც, გააჩნია ვითარებას. ამის შერეულიც დაგიჭირეს, საპატიმროში გიკრავენ თავს.

— ეგ ვიცი. — უპასუხა კერნმა. — ასეა ყველგან.

— კეთილი. თუ არალეგალურად დარჩებით, ქვეყნიდან გაგაძევებენ. ბუნებრივია, პირველადვე გამოჭერის შემთხვევაში. ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს მოხერხებასა და იღბალზე.

კერნმა თავი დაუქნია.

— აქ სამუშაოს შოვნა თუ შეიძლება?

ბინდერმა გადაიხარხარა.

— გამორიცხულია. შვეიცარია პატარა ქვეყანაა და თავისი უმუშევრებიც კარგა ბლომად ჰყავს.

— მაშ, აქაც ჩვეულებრივად ყოფილა საქმე: ლეგალურად თუ არალეგალურად შიმშილით სული ამოგხდება, ისევ ჯობს კანონი დაარღვიო.

— მართალი ხართ! — დაუდასტურა ბინდერმა. — ახლა ზონებზე ვილაპარაკოთ. ციურიხი ცხელი ზონაა. აქ ფრიად მუყაითი პოლიციაა. რაც ყველაზე არასასიამოვნოა, გადაცმული დადიან. აქ მხოლოდ გამოცდილი ხალხი თუ მოიკიდებს ფეხს. დილეტანტებს არ დაედგომებათ. ამჟამად კარგი ვითარებაა ფრანგულ შვეიცარიაში. უპირველეს ყოვლისა, ჟენევაში. იქ სოციალისტური მთავრობაა. არც ტესინშია ცუდი, მაგრამ ძალზე პატარა ქალაქებია. თქვენ როგორ მოღვაწეობთ? მარტივად თუ კომბინირებულად?

— ეს რაღაა?

— ეს ისაა, რომ თქვენ ან მხოლოდ დახმარებას თხოულობთ, ან ამასაც აკეთებთ და თან რამეს ჰყიდით.

— მინდა რამე გავყიდო.

— საშიშია. მუშაობად ითვლება. ორმაგად ისჯება: როგორც არალეგალურად ცხოვრება და არალეგალურად მუშაობა. განსაკუთრებით მაშინ, თუ დაგასმინეს.

— დამასმინეს?

— ჩემო კარგო, — მოთმინებით აუხსნა პროფესიონალმა ბინდერმა. — ერთხელ ერთმა ებრაელმა დამასმინა, რომელსაც უფრო მეტი მილიონი აქვს, ვიდრე თქვენ ფრანკები. აღშფოთდა, ბაზელში გასამგზავრებელი ბილეთის ფულის თხოვნა როგორ გამიბედეო. მაშ ასე, თუ რამეს გაყიდვას აპირებთ, პატარა ნივთები სჯობს: ფანქრები, თასმები, ღილები, საშლელი რეზინები, კბილის ჯაგრისები და სხვა ამდაგვარი. არავითარი ჩემოდანი, არავითარი ყუთი, არც ხელჩანთა არ დაიჭიროთ. მხოლოდ ამ მიზეზით რამდენი ხალხია ჩავარდნილი. უმჯობესია ყველაფერი ღიბეებით ატაროთ. ახლა, შემოდგომაზე ეს არ გაგიძნელდებათ, რადგან პალტო გეცმევათ. რას ყიდით?

— საპონს, სუნამოს, ტუალეტის წყალს, საკარცხლებს, ქინძისთავებს და ასე შემდეგ.

— ძალიან კარგი. რაც უფრო იაფფასიანია საქონელი, მით უფრო მეტია მოგება. მე თვითონ პრინციპის გამო არ ვეაჭრობ. მე, უბრალოდ, დახმარებაზე ვნადირობ. ამით თავიდან ვირიდებ არალეგალური მუშაობის ამკრძალავ პარაგრაფს და მხოლოდ მათხოვრობასა და მაწანწალობაში თუ დამადანაშაულებენ. როგორა გაქვთ მისამართების საქმე? რამდენი გაქვთ?

— რა მისამართები?

ბინდერმა თავი უკან გადახარა და გაკვირვებით შეხედა კერნს.

— ღვთის გულისათვის, — აღშფოთდა იგი. — ეს ხომ უმთავრესია ჩვენს საქმეში! რა თქმა უნდა, იმ ხალხის მისამართებზე გეკითხებით, რომლებსაც უნდა მიაკითხოთ. ალალბედზე ხომ ვერ ირბენთ ერთი სახლიდან მეორეში! ასე სამიოდე დღეში წირვა გამოგივათ. ბინდერმა კერნს სიგარეტი შესთავაზა. — მე მოგცემთ რამდენიმე სანდო მისამართს, — განაგრძო მან, — სამი კატეგორიის ხალხისას: მორწმუნე ებრაელების, შერეულებისა და ქრისტიანების. გჩუქნით. მე თვითონ პირველ სიაში ოცი ფრანკი გადავიხადე. მართალია, ამ ხალხს ჩვენისთანები ყელში ამოუვიდათ, მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, გასაწირად არ გაგიმეტებენ.

ბინდერმა კერნის ჩაცმულობა შეათვალიერა.

— ტანსაცმელი წესრიგში გაქვთ. შვეიცარიაში ამას ყურადღება არ მოაკლოთ. გადაცმული აგენტების გამო. პალტო მაინც უნდა გეცვათ კარგი. გაცვეთილ კოსტიუმს დაგიფარავთ, რომელმაც შეიძლება ვინმე დააეჭვოს. თუმცა ისეთებიც არიან, რომლებიც დახმარებას არ აძლევენ იმას, ვისაც კარგად შენახული და მოვლილი კოსტიუმი აცვია. ლეგენდა კარგი გაქვთ, მსმენელს რომ გული აუჩუყოს? — ბინდერის მზერა კერნის გაოცებულ სახეს წააწყდა. — ჩემო კარგო, — განაგრძო მან, — ვიცი, ახლა რასაც ფიქრობთ. ერთ დროს მეც ასე ვფიქრობდი. მაგრამ დამიჯერეთ, გაჭირვებაში თავის გადარჩენა ხელოვნებას მოითხოვს, ქველმოქმედება კი ისეთი ძროხაა, რომელიც ძნელად და ცუდად იწველება. მე ვიცნობ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც მარქაფად სამი განსხვავებული ლეგენდა აქვთ: სანტიმენტალური, შემაძრწუნებელი და საქმიანი; იმისდა მიხედვით, თუ რისი მოსმენა სურს ადამიანს, ვინც მზადაა ორიოდე ფრანკი მოწყალება გაიღოს. რა თქმა უნდა, თქვენ ცრუობთ. მაგრამ იმიტომ, რომ იძულებული ხართ. მოთხრობის ფონი მუდამ ერთნაირია: გაჭირვება, დევნა, შიმშილი.

— ვიცი, — უპასუხა კერნმა, — თქვენზე ცუდი არაფერი მიფიქრია. მე მხოლოდ იმან გამაოცა, რა ბევრი რამე და რა დაწვრილებით გცოდნიათ.

— ეს სიცოცხლისათვის სამწლიანი ბრძოლის მისხალ-მისხალ დაგროვილი გამოცდილებაა. დიახ, მე კვაჭი ვარ. ჩემნაირი ცოტაა. ჩემი ძმა მე არ მგავდა. მან შარშან თავი მოიკლა. — ბინდერს წამით სახე მოელრუბლა. მაგრამ მალე ჩვეულებრივი იერი დაუბრუნდა. იგი ზეზე წამოდგა. — თუ თავშესაფარი არსად გაქვთ, შეგიძლიათ ორმე ჩემთან გა-

ათენოთ. სრულიად შემთხვევით ერთი კვირით უსაფრთხო ბინა ვიშოვე. ის ჩემს ციურიხელ ნათესავს ეკუთვნის, რომელიც ახლა შვეიცარიაშია. თერთმეტი საათიდან აქ დაგელოდებით. თორმეტზე საპოლიციო საათი იწყება. თორმეტიდან ფრთხილად იყავით. ამ დროს ქუჩა სავსეა გადაცმული აგენტებით.

— როგორც ვატყობ, შვეიცარიაში კაცს მშვიდად არ ეცხოვრება, — თქვა კერნმა. — ღმერთს მადლობას ვწირავ, თქვენ რომ შეგხვდით. თქვენ რომ არა, ალბათ დღესვე ჩავვარდებოდი. დიდი მადლობა! თქვენ გადამარჩინეთ!

ბინდერმა ხელი აიქნია.

— ეს ხომ ასეც უნდა იყოს. ცხოვრების ფასკერზე მყოფნი ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ. ურთიერთგატანა არალეგალურებმაც ისეთივე იციან, როგორც კრიმინალთა სამყაროში. ნებისმიერი ჩვენგანი ხვალ შესაძლოა ჩავარდეს და შველა დასჭირდეს. მაშ ასე, დაახლოებით თერთმეტზე აქ შევხვდეთ!

მან ყავის ფული გადაიხადა, კერნს ხელი ჩამოართვა და თავაწეული ელეგანტურად გაემართა გასასვლელისკენ.

კერნმა კაფე „გრიფში" შებინდებამდე შეიცადა. ქალაქის გეგმა მოატანინა და რუთის სახლის გზა მოინიშნა. კაფედან გავიდა. ერთიანად დაძაბული ჩქარი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. სახლს ნახევარ საათში მიაგნო. ის ვიწრო შუკებიან წყნარ უბანში იდგა, მთვარის შუქზე თეთრად გაქათქათებული. კერნი შესასვლელთან შეყოვნდა. სპილენძის მასიურ სახელურს რომ შეხედა, უეცრად გულზე მოეშვა. უჭირდა იმის წარმოდგენა, რომ ერთი სართულიღა აშორებდა რუთს. ამდენი ხნის განშორების შემდეგ ეს ძნელი დასაჯერებელი იყო. ფანჯრებს ახედა, ვაითუ რუთი შინ არაა ან საერთოდ ციურიხში არ იმყოფებაო.

კერნი სახლს მოშორდა და ქუჩას გაუყვა. ორიოდე კვარტალის შემდეგ თამბაქოს მაღაზიას მიადგა. დახლთან სახემოღუშული ქალი იდგა.

— ერთი კოლოფი „პარიზიენი" მომეცით, — სთხოვა კერნმა.

ქალმა სიგარეტის კოლოფი წინ დაუდო. მერე დახლის ქვეშ ყუთში ჩაყო ხელი, ასანთის ორი შეწებებული კოლოფი ერთმანეთს დააცილა და ერთი სიგარეტთან დადო, მეორე კი ისევ ყუთში ჩააბრუნა.

— ორმოცდაათი რაპენი, — მოსთხოვა კერნს.

კერნმა გადაიხადა.

— ტელეფონზე შეიძლება დავრეკო? — ჰკითხა ქალს.

ქალმა თავი დაუქნია.

— აპარატი მარცხნივ, კუთხეში დგას.

კერნმა ტელეფონების ცნობარში ნოიმანს დაუწყო ძებნა. აღმოჩნდა, რომ ქალაქში ასობით ნოიმანი ცხოვრობდა. ბოლოს იპოვა, ვისაც ეძებდა, ყურმილი აიღო და ნომერი დაასახელა. ქალი დახლთან იდგა და უთვალთვალებდა. გულმოსულმა კერნმა ზურგი შეაქცია. კარგა ხანს მოუწია ლოდინი, ვიდრე ვინმე უპასუხებდა.

— თუ შეიძლება, ფროილაინ ჰოლანდს სთხოვეთ! — ჩასძახა კერნმა შავ ხვრელში.

— ვინ კითხულობს?

— ლუდვიგ კერნი.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ლუდვიგ! — გაისმა მერე ნიავივით ნაზი ხმა. — შენ ხარ, ლუდვიგ?

— ჰო... — კერნს გულმა ბაგაბუგი დაუწყო. — ჰოდა შენ ხარ, რუთ? ხმაზე ვერ გიცანი. ჩვენ ხომ აქამდე ერთმანეთთან ტელეფონით არ გვილაპარაკია.

— სადა ხარ? საიდან რეკავ?

— აქვე ვარ, ციურიხში, თამბაქოს მაღაზიაში.

— აქვე?

— ჰო, იმ ქუჩაზე, სადაც შენ ცხოვრობ.

— ჩემთან რატომ არ მოხვედი? მოხდა რამე?

— არა, არაფერი. დღეს ჩამოვედი. ვეჭვობდი, ვაითუ აქ აღარ დამხვდეს-მეთქი. სად შეგვიძლია შევხვდეთ ერთმანეთს?

— აქ, ჩემთან! ჩქარა მოდი! სახლი იცი? მესამე სართულზე ვცხოვრობ.

— ჰო, ვიცი. უხერხული ხომ არ იქნება იმ ხალხთან, ვისთანაც შენ ცხოვრობ?

— სახლში არავინ არის. მარტო ვარ. ყველა წასულია კვირის ბოლომდე. მოდი!

— მოვდივარ!

კერნმა ყურმილი დადო. უაზროდ მიმოიხედა. მაღაზია გადასხვაფერებული მოეჩვენა. დახლთან მივიდა.

— რა ღირს ტელეფონზე დარეკვა? — ჰკითხა ქალს.

— ათი რაპენი.

— მხოლოდ ათი?

— ეს არცთუ ისე ცოტაა. — ქალმა ნიკელის მონეტა დახლიდან აიღო. — სიგარეტი არ დაგავიწყდეთ.

— აჰ, ის... ჰო...

კერნი ქუჩაში გავიდა. არ უნდა გავიქცე, არწმუნებდა თავს. ვინც გარბის, ეჭვს იწვევს. თავი უნდა დავიოკო. შტაინერი არ გაიქცეოდა. უმჯობესია, აუჩქარებლად ვიარო, რამე რომ არ შემეტყოს. თუმცა რა მოხდება, ნაბიჯს რომ ავუჩქარო? თუნდაც ძალიან ავუჩქარო? ასე ხომ მალე მივალ. თითქოს მირბენიაო.

რუთი კიბეზე ელოდა. ბნელოდა. კერნი ბუნდოვნად არჩევდა მის სახეს.

— მხედველობაში იქონიე, რომ დაუბანელი ვარ! ჩემი ნივთები ჯერაც ვაგზალზეა. დაბანვა და ტანსაცმლის გამოცვლა ვერ მოვასწარი! — სხაპასხუპით მიაყარა აღელვებულმა.

რუთმა არაფერი უპასუხა. კიბის ბაქნის მოაჯირზე გადმოყუდებული ელოდა. კერნმა სწრაფად აირბინა საფეხურები, და უეცრად მკერდში საყვარელი ქალიშვილი, თბილი და რეალური, სიცოცხლეზე მეტად ძვირფასი არსება ჩაეკრა. რუთი ვაჟის მკლავებში გაინაბა. კერნს მისი სუნთქვა ესმოდა, მისი თმა სახეზე ელამუნებოდა. გაუნძრევლად იდგა, მოეჩვენა, თითქოს მათ გარშემო გამეფებული მრუმი სიბნელე

ირწეოდა. მერე იგრძნო, რუთი ტიროდა. სცადა გათავისუფლებულიყო. მაგრამ ქალიშვილმა თავი გააქნია და არ გაუშვა.

— ცოტა დამაცადე. ახლავე დავმშვიდდები.

ქვემოთ კარი გაიღო. კერნი ფრთხილად, ისე რომ შეუმჩნეველი დარჩენილიყო, წინ გადაიხარა, კიბის დანახვა უნდოდა. გაისმა ნაბიჯების ხმა. ჩაბრეველი გაჩხაკუნდა და კიბე განათდა. რუთი შეკრთა.

— შემოდი, ჩქარა შემოდი! — და კერნს მოქაჩა.

ისინი ნოიმანების სასტუმრო ოთახში შევიდნენ. აქეთ-იქით გაფენილ თაველელი ხეტიალის შემდეგ პირველად იყო, რომ კერნი ნამდვილ ბინაში იმყოფებოდა. სასტუმრო ოთახი ბურჟუაზიულ სტილში გაეწყოთ. საკმაოდ უგემოვნოდაც — არც მასიური წითელი ხის ავეჯს ჰქონდა ლაზათი, არც მოდურ სპარსულ ხალიჩას და არც რეპსგადაკრულ სავარძლებსა თუ ფერადი აბრეშუმის აბაჟურიან ლამპებს. თუმცა კერნს იგი სიმშვიდისა და უსაფრთხოების კუნძულად მოეჩვენა.

— რა ხანია, რაც შენს პასპორტს ვადა გაუვიდა? — ჰკითხა რუთს.

— შვიდი კვირაა, ლუდვიგ. — რუთმა ბუფეტიდან ბოთლი და ორი სირჩა გამოიღო.

— ვადის გასაგრძელებლად განცხადება შეიტანე?

— ჰო. საკონსულოში ვიყავი აქ, ციურიხში. უარით გამომისტუმრეს. სხვას არც ველოდი.

— მართალი გითხრა, არც მე ველი რამეს. თუმცა რაღაც სასწაულის იმედი მაინც მაქვს ხოლმე. ჩვენ ხომ სახელმწიფოს მტრები ვართ. საშიში მტრები. უფრო სწორად რომ ვთქვათ, უნდათ საფრთხობელად წარმოგვაჩინონ.

— ჩემთვის ეგ სულ ერთია, — უთხრა რუთმა და მაგიდაზე ბოთლი და სირჩები დაალაგა. — ახლა შენთან შედარებით აღარავითარი უპირატესობა არ მაქვს, ამიერიდან ერთნაირ მდგომარეობაში ვართ.

კერნმა გაიცინა, მხრებზე ხელი მოხვია და ბოთლზე მიუთითა.

— ეს რა არის? კონიაკი?

— დიახ, ნოიმანების საუკეთესო კონიაკია. მოდი, შენი აქ ჩამოსვლა აღვნიშნოთ. უშენოდ საშინელ დღეში ვიყავი. იმის გაფიქრებაც კი, რომ შენ საპატიმროში ხარ, აუტანლად მტანჯავდა. შენ ხომ იმ გარეგნრებმა გცემეს! და ყველაფერი ეს ჩემი მიზეზით მოხდა!

რუთმა კერნს შეხედა. იღიმებოდა, მაგრამ კერნმა შეამჩნია, რომ ძალზე ღელავდა. მის ხმაში გულისწყრომა გამოკრთოდა. სირჩებს შევსებისას ხელი უკანკალებდა.

— საშინელი დღეები გადავიტანე, — განაგრძო ქალიშვილმა და კერნს სირჩა მიაწოდა. — მაგრამ მთავარი ახლა ისაა, რომ შენ აქა ხარ.

კონიაკი დალიეს.

— ცუდი არ იყო, — შეაქო კერნმა, — ნამდვილად არა!

რუთმა ერთბაშად გადაკრა კონიაკი და სირჩა მაგიდაზე დადგა. მერე კერნს კისერზე მოეხვია და აკოცა.

— ამიერიდან არსად გაგიშვებ, — წაილუღლუღა მან, — არსად!

კერნმა თვალებში ჩახედა. ასეთი არასოდეს ენახა. იგი სრულიად შეცვლილი ეჩვენა. ერთგვარი გაუცხოება, რომელიც უხილავი ტიხარი

ვით აღმართულიყო მათ შორის, სადღაც გაქრა. ახლა მის წინ გულთბილი, ახლობელი ადამიანი იდგა, და ერთმანეთის გაცნობის შემდეგ პირველად იგრძნო, რომ ქალიშვილი მას ეკუთვნოდა, რაშიც მანამდე დარწმუნებული არასოდეს ყოფილა.

— რუთ, — უთხრა მან, — რა კარგი იქნებოდა, [illegible] გადაიხსნას, თვითმფრინავი მოვიდეს და პალმებიან და მარჯნიან კუნძულზე ვადაგვაფრინოს, სადაც არც პასპორტსა და არც ვიზას არ ითხოვენ!

რუთმა კიდევ აკოცა.

— ვშიშობ, ლუდვიგ, რომ იქაც მოგვთხოვენ. პალმებსა და მარჯნებში, ეჭვი არაა, ქვეშეხები და სამხედრო გემები ექნებათ ჩაყენებული, და უფრო მეტად შეგვავიწროვებენ, ვიდრე ციურიხში.

— ჰო, ალბათ ეგრეა! მოდი თითოც დავლიოთ, — კერნმა კონიაკი ჩამოასხა. — მაგრამ ციურიხი დღესვეა საშიში. აქ დიდხანს ვერ დავიმალები.

— მაშ, მოდი, აქაურობას გავცილდეთ!

კერნმა ქამხის ფარდები, რბილი სავარძლები და ყვითელი აბრეშუმის აბაჟურიანი ლამპები შეათვალიერა.

— რუთ, — მიმართა ქალიშვილს და ოთახის მორთულობაზე მიუთითა. — შენთან ერთად წასვლას რა სჯობს. უშენოდ ყოფნა ვერც წარმომიდგენია. მაგრამ იცოდე, ეს ყველაფერი სიზმარივით გაქრება. იქნება მხოლოდ სამალავები, შარაგზები, თივის ზვინები, პანსიონების უსახური ოთახები — ისიც მაშინ, თუ ბედმა გაგვიღიმა. ამას დაუმატე პოლიციის მუდმივი შიში, საპატიმრო.

— ყველაფერი ვიცი. ჩემთვის სულ ერთია. ჩემი დარდი ნუ გექნება. მე ისედაც აქ აღარ დამედგომება. ჩემს მასპინძლებს პოლიციის ეშინიათ, რადგან აღრიცხვაზე აყვანილი არა ვარ. ჩემი წასვლით გაიხარებენ. ცოტა ფულიცა მაქვს, ლუდვიგ. ვაჭრობაშიც შეგეშველები. არც ჩემი შენახვა დაგიჯდება ძვირი. მჯერა, საქმეში გამოგადგები.

— მაშ, ფულიცა გაქვს და ვაჭრობაშიც დამეხმარები! — გაეღიმა კერნს. — ერთი სიტყვაც, და დედაბერივით ავქვითინდები. ბარგი ბევრი გექნება?

— არც მაინცდამაინც. რაც არ მჭირდება, აქ დავტოვებ.

— კეთილი. შენს წიგნებს რა ვუყოთ? განსაკუთრებით ქიმიის სქელ ტომს? დროებით აქ დავტოვოთ?

— წიგნები გავყიდე. შენს რჩევას დავყევი, პრაღაში რომ მომეცი: წარსულიდან არაფერი წამოიყოლოო. არაფერი. და არც უკან უნდა იყურებოდე — ეს ადამიანს ქანცს აცლის და ანადგურებს. წიგნებმა უბედურება მოგვიტანეს. მეც ავდექი და გავყიდე. სათრევად მეტისმეტად მძიმეა.

კერნმა გაიღიმა.

— მართალი ხარ. საქმიანი ქალი ყოფილხარ, რუთ. ვფიქრობ, ჯობს ჯერ ლუცერნში გავემგზავროთ. ეს გეორგ ბინდერმა, შვეიცარიის სპეციალისტმა, მირჩია. იქ ბევრი უცხოელია, ამიტომ თვალში საცემი არ ვიქნებით. თანაც არც პოლიციაა მაინცდამაინც ფხიზელი. როდის შეგვიძლია დავიძრათ?

— ზეგ დილაადრიან. მანამდე აქ დავრჩეთ.

— კეთილი. მე ღამის გასათევი მაქვს. ოლონდ თორმეტამდე კაფე „გრიფში“ უნდა მივიდე.

— შენ კაფე „გრიფში“ არ მიხვალ! შენ აქ დარჩები, ლუდვიგ! შეგვიძლია ზეგამდე ქუჩაში არც გავიდეთ. თუ წახვალ, იცოდე, შიშით გული გამისკდება!

კერნმა გაკვირვებით შეხედა.

— განა ეს შესაძლებელია! მოსამსახურე გოგომ ან სხვა ვინმემ რომ გაგვცეს?

— მოსამსახურე გოგო ორშაბათამდე დათხოვილია. თორმეტი საათისთვის ჩამოვა მატარებლით, ნოიმანები კი ნაშუადღევს, სამ საათზე დაბრუნდებიან. მანამდე დრო გვაქვს.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! — წამოიძახა კერნმა. — მაშ, ზეგამდე ბინა მარტო ჩვენი იქნება?

— დიახ.

— და ჩვენ აქ ვიცხოვრებთ, თითქოს ეს ყველაფერი ჩვენი იყოს: სალონი, საძილე ოთახები, სასადილო, თოვლივით ქათქათა სუფრა, ფაიფური, ვერცხლის დანა-ჩანგალი, ვაშლის გასაფცქვნელი დანები, ყავის პატარა ფინჯნები, რადიომიმღები.

— დიახ, ყველაფერი! მე ვახშამს მოვამზადებ და მერე სილვია ნოიმანის ძვირფას კაბას ჩავიცვამ შენთვის!

— მე კი ამ საღამოს ბატონ ნოიმანის სმოკინგში გამოვეწყობი, თუნდაც დიდი მომივიდეს! მე ზომ საპატიმროში ჟურნალ „ელეგანტური სამყაროს“ მეშვეობით გავეცანი ჩაცმის ხელოვნებას!

— ვგონებ, მისი სმოკინგი უნდა მოგერგოს!

— ბრწყინვალეა! მაშ ვზეიმობთ! — აღტაცებული კერნი ზეზე წამოიჭრა. — ეგებ აბაზანაშიც გვებანავა სურნელოვანი საპნით? კარგა ხანია ამ სიამოვნებას მოკლებული ვარ. საპატიმროში მხოლოდ ლიზოლინიან წყალში ვიბანდით.

— რა თქმა უნდა! ცხელი აბაზანა მსოფლიოში ცნობილ კერნის „ფარ“ ფირმის სურნელოვან ნაწარმთან ერთად!

— სწორედ ახლახან უკანასკნელი ცალი გავყიდე.

— მე კი ერთი ცალი შემოვინახე! აი ის, პრაღაში, კინოში, რომ მაჩუქე, ჩვენი პირველი შეხვედრის საღამოს. აქამდე ვინახავდი.

— ნეტარების მწვერვალზე ვარ! — წამოიძახა კერნმა. — დაილოცოს ციურიხი! რუთ, შენ მე ჭკუაზე შემშლი! ჩვენი შეხვედრა კარგად დაიწყო!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ახალი თარგმანები

თარგმნა ნელა მეტრეველმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანგული პოეზია

პოლ ვერლენი

სახურავზე ულრუბლო ცა...

სახურავზე ულრუბლო ცა
ლურჯ ანარეკლს ტოვებს,
ალბურავთან ხე ირწევა,
ანანავებს რტოებს.

ხეზე ჩიტი ტკბილად მღერის,
ზარი რეკავს ციდან,
ო, ეს შფოთვა დამქანცველი
მოდის ქალაქიდან.

აქ კი სულ სხვა სამყაროა,
მარტივი და მშვიდი,
მადლობა ღმერთს, აქ ცხოვრება
თავისი გზით მიდის.

— ეს რა ჰქენი? ღამეებთან
ცრემლს რომ ინაწილებ,
რა უყავი, სად წავიდა
შენი სიყმაწვილე?

ჭაკ პრევერი

საუზმე

ფინჯანში
ყავა დაასხა
ყავიან ფინჯანში
რძე ჩაამატა
რძიან ყავაში
შაქარი ჩაყარა
პატარა კოვზით
ბოლომდა
ყავა დალია
ფინჯანი
უსიტყვოდ
დადგა
სიგარეტს
მოუკიდა
კვამლის
რგოლები გამოუშვა
ფერფლი
საფერფლეში ჩაყარა
უხმოდ
თავაუღებლად
ადგა
ქუდი დაიხურა
საწვიმარი ჩაიცვა
ვინაიდან წვიმდა
წვიმაში გავიდა
ხმა არ გაუცია
არ შემოუხედავს
მე კი თავი
ხელებში ჩავრგე
და ავტირდი.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲮᲐᲢᲝ ᲩᲘᲢᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ᲔᲚᲖᲐ ᲰᲔᲜᲠᲘᲙᲔᲡ

ჯერ დახატე
კარლია გალია
მერე დახატე
რაიმე ლამაზი
რაიმე მარტივი
რაიმე მიმზიდველი
რაიმე სასარგებლო
ჩიტისათვის
მერე ტილო ხეზე მიამაგრე
ბალში
ტყეში
თუნდაც ჭალაში
თვითონ კი ხეს მოეფარე
არ გაინძრე
არ იხმაურო...
ჩიტი ხან ჩქარა მოფრინდება
ხან კი წლობით გალოდინებს
სანამ გამოჩენას ინებებს
ლოდინისას
მხნეობა არ დაკარგო
ელოდე თუნდაც წლობით
ჩიტის მოფრენამდე გასული დრო
პორტრეტის ღირსებაზე არაა
დამოკიდებული
ჩიტი რომ მოფრინდება
(თუ მოფრინდება)
დააკვირდი უძირო სიჩუმეს
დაიცადე სანამ ის გალიაში შევა
და როცა შევა
კარი ფუნჯით ფრთხილად მიკეტე,
მერე სათითაოდ წასმალე
ყველა გისოსი
ისე რომ ჩიტის
ერთი ბუმბულიც არ შეარხიო
მერე დახატე ხე
შეურჩიე ჩიტს
მისი ყველაზე ლამაზი ტოტი,
დახატე აგრეთვე
ფოთლების სიმწვანე
ქარის სიგრილე,
მზის ათინათი
და ზაფხულის ხვატში
ბალახში მოფუთფუთე
მწერების ხმები
შემდეგ კი დაელოდე
როდის დაიწყებს ჩიტი გალობას
თუ ჩიტი არ გალობს
ეს ცუდი ნიშანია
ნიშანი იმისა
რომ პორტრეტი არ გამოვიდა
მაგრამ თუ ის გალობს
ეს კარგი ნიშანია
ნიშანი იმისა
რომ პორტრეტი დასრულებულია
მაშინ ძალიან ფრთხილად ამოაძვრე
ჩიტს ერთი ბუმბული
და სურათს კუთხეში
შენი სახელი მიაწერე.

ᲒᲘᲝᲛᲐ ᲐᲞᲝᲚᲘᲜᲔᲠᲘ

ᲛᲘᲠᲐᲑᲝᲡ ᲮᲘᲓᲘ

ᲛᲘᲠᲐᲑᲝᲡ ᲮᲘᲓᲥᲕᲔᲨ,
ᲛᲘᲠᲐᲑᲝᲡ ᲮᲘᲓᲥᲕᲔᲨ ᲛᲘᲚᲔᲚᲐᲕᲡ ᲡᲔᲜᲐ,
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲘᲪ
ᲗᲐᲜ ᲛᲘᲰᲧᲕᲔᲑᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲜᲐᲡ
და სანამ მოვა სიხარული, ჯერ მოდის წყენა.

ᲨᲔᲛᲝᲚᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲖᲐᲠᲘ ᲠᲔᲙᲐᲕᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ,
ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲠᲑᲘᲐᲜ, ᲓᲠᲝ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑ.

ხელი ხელს მივცეთ, ერთმანეთის პირისპირ
დავრჩეთ,
მაშინ როდესაც
გადაჯაჭვულ მკლავების თაღქვეშ
დაღლილი ტალღა მდინარის წყნარ ზედაპირს
არხევს.

შემოღამების ზარი რეკავს ბოლოს და ბოლოს,
დღეები რბიან, დრო მიდის და მე მაინც ვცხოვრობ.

და სიყვარულიც, ვით მდინარე, მიედინება,
მასაც არ ინდობს
ამ ცხოვრების მდოვრე დინება,
მხოლოდ იმედი ცოცხლობს გულში, არ ეძინება.

შემოღამების ზარი რეკავს ბოლოს და ბოლოს,
დღეები რბიან, დრო მიდის და მე მაინც ვცხოვრობ.

არც სიყვარული, არც დღეები გარდასულები
არ ბრუნდებიან,
ხუნდებიან გაზაფხულები
და კვირტთა სკდომას ენაცვლება ფოთოლთა
ცვენა...
მირაბოს ხიდქვეშ ძველებურად ირწევა სენა.

შემოღამების ზარი რეკავს ბოლოს და ბოლოს,
დღეები რბიან, დრო მიდის და მე მაინც ვცხოვრობ.

რუსული პოეზია

ათანას ფეტი

[illegible] ძველი დროიდან ერთი
[illegible] მახსოვს
[illegible]ერარგამკრთალი —
[illegible]ენი ოთახი, შენ და სიჩუმე
[illegible] მობრიალე ბუხარში ალი.

[illegible]ენთავდა ცეცხლი
[illegible]ებში წასულს,
[illegible] ჯადოსნურ წრეებს ქარგავდა
[illegible] მიჭარბებულ ბედნიერებას
[illegible]ტომლაც მწარე გემო დაჰკრავდა.

რად ვყოყმანობდი მიზანთან ახლოს?
დღემდე სიგიჟე სად დამატარებს?
რამდენ ქარბუქში და ქარიშხალში
მე შენი სითბო გამოვატარე?

სადა ხარ? ნუთუ გონდაკარგული,
ყინვით დამზრალი,
სამოსზე ჭირხლით,
შენს გულთან ვდგავარ
და მის კარებზე
ჩემი გვიანი კაკუნი ისმის?

●

მძინავს. ცაზე მუქ-მუქად
გაზაფხულის ხუჭუჭა
ღრუბლები ირევიან.
მათი ცელქი ჩრდილები,
მწკრივად გაწელილები,
მინდვრებს მიუყვებიან.

მიირბინეს ტბორამდე,
როგორც გულისსწორამდე
და გარემოც გაბრწყინდა,

უკვე არა ქუფრები —
სიფრიფანა ღრუბლები
მიყურებენ ფანჯრიდან.

მძინავს. გამოკიდულან
გაუმჭვირვალ ქსოვილად
ოცნებები მწუხარი;
უცებ ღრუბლის ქულიდან
ღიმილს მაფრქვევს გულითადს
ეგ სახე სანუკვარი.

ანა ახმატოვა

●

ბევრს ითხოვს სატრფო.
არაფერს არ გთხოვს
მიტოვებული ოდესღაც ქალი.
მე მიხარია, რომ გამჭვირვალე
ყინულქვეშ აღარ ხმაურობს წყალი.

ფეხით შევდგები მყიფე საფარზე,
მხოლოდ უფალსღა
შევთხოვ წყალობას,
შენ კი მიხედე წერილებს ჩემსას —
დაე, განგვსაჯოს შთამომავლობამ,

შენზე — ესოდენ ბრძენზე, მამაცზე
რომ წარმოდგენა

ჰქონდეს ნათელი...
მაგ შენს დიდებულ ბიოგრაფიაში
ვით ეკადრება თეთრი ლაქები.

ვერ გავექეცით მიწიერ ვნებებს,
სასიყვარულო მჭიდროა ქსელი.
სკოლაში, წიგნში ამოიკითხონ,
დაე, ბავშვებმა ჩემი სახელი.

დაე, გაეცნონ სევდიან ამბავს
და გაიღიმონ ანცად
ან კრძალვით —
ბედნიერება თუ არ მაღირსე,
მაჩუქე მწარე დიდება მაინც.

●

ო, მე სიყვარულს არა გთხოვ უკვე—
ის საიმედო ადგილას არის,
არც შენს საცოლეს არ შეაწუხებს
ეჭვები შენგან წასული ქალის.

ოღონდ ერთ რჩევას
მოგცემ მეგობრულს
(საქმროს ზრდილობა
ყოველთვის შვენის!):
მას წააკითხე ჩემი ლექსები,
დე, შეინახოს პორტრეტიც ჩემი!

ამ სულელ ქალებს ახარებთ მხოლო
დამარცხებული მეტოქის ხილვა
ხოლო პირველი ნაზი დღეების
მოგონებანი არ ულირთ ჩირად.

და როს ცხოვრება
ახალ სატრფოსთან
ველარ მოგიკლავს
უგონო წყურვილს,
როს მოიყირჭებს ყველაფერს ერთა
კმაყოფილი და მაძღარი სული,

ნუ შეამფოთებ ღამეებს ჩემსას,
ნუ მოხვალ — მე შენ
არ გიცნობ სულაც
და სენისაგან „ბედნიერება“,
გულითაც მსურდეს,
მე ვერ განგკურნავ.

●

ვიცი: არცა წყალს,
არცა ტკბილ ღვინოს
არასდროს დავლევთ ერთი ჭიქიდან,
არ დავიძინებთ ერთ ჭერქვეშ ღამე,
ამბორს ვერ ვუძღვნით
ერთურთს ცისკრისას.
შენ მზითა სუნთქავ,
მე ვსუნთქავ მთვარით,
მაგრამ ორივე ტრფობით
ვართ მთვრალი.

შენ მხიარული
სატრფო გყავს გვერდით,
მე — მეგობარი ერთგული, ნაზი,
მაგრამ თვალებში
შიშის კვალს გამჩნევ
და მას ნაცნობი ბეჭედი აზის.
სულ ერთი წამით
ერთმანეთს ვხვდებით,
თავს არა ვკარგავთ უგონო ვნებით.

მაგრამ შენს ლექსში სუნთქვაა ჩემი,
ხოლო ჩემსაში — შენი ხმა ისმის,
ხომ არის ცეცხლი,
რომ ვერ ჩააქრობს
დრო, დავიწყება, რაღაცის შიში.
სულ მახსოვს
(ხსოვნას ვერ ვეურჩები!)
ეგ ვარდისფერი, მშრალი ტუჩები

●

მე იშვიათად გიგონებ ახლა,
შენს ბედს არა ვჭვრეტ,
როგორც მისანი,
იმ უმნიშვნელო შეხვედრამ შენთან
გულს დააჩნია მაინც ნიშანი.

განგებ გვერდს ვუვლი
შენს წითელ სახლს და
მღვრიე მდინარეც
თავისთვის ღელავს,
მზით გაჯერებულ სიმშვიდეს მაინც
მწარედ გიშფოთებ
— ვიცი და მჯერა.

„შენ არ ხარ კაცი,
ვისაც ვუყვარდი,
სწვავდა სურვილი ჩემი შეხების,
არც ის კაცი ხარ, ვინც ჩემი ტანჯვა
მოავარაყა ოქროს ლექსებით.

მაგრამ მომავლის
ანარეკლს ვხედავ,
როს ცისფერ სამოსს საღამო იცვამს
და ხელმეორე ჩვენი შეხვედრის
გარდუვალობას მე გული მითქვამს.

●

ახალმთვარობის ღამეს დამტოვა,
ერთადერთი რამ წასვლისას მკითხა:
როგორ ვიცოცხლებ აწი ბაგირზე,
ანდა უმისოდ თუ გავძლებ დიდხანს.

მე ვუპასუხე, ვით ძმას საყვარელს,
მშვიდად, გარეშე
ცრემლის ღვარღვარის,
რომ დანაკარგს ვერ შემიმსუბუქებს
ოთხი ლაბადა ახალთახალი.

სახიფათოა ჩემი გზა, მაგრამ
უფრო საშიში სევდის გზა არის,
მხიარულ ჰანგებს ორკესტრი უკრავს
და ილიმება ბაგე მრავალი.

პრიალებს ჩემი ფეხსაცმელები,
ბრდღვიალებს ჩემი ჩინური ქოლგა,
გულმა კი იცის, გულმა კი იცის —
ცარიელია მეხუთე ლოჟა.

იაკობ პოლონსკი

კ ო ც ნ ა

განსჯის, გრძნობების და თვით ხსოვნის უარმყოფელი,
შენ არ გეგონოს, რომ მხურვალედ ტყუილად გკოცნი,
მე შენა გკოცნი ახლა ყველა იმ ქალის ნაცვლად,
ვისკენაც წინათ მიილტვოდა სული და ხორცი.

მის ნაცვლად გკოცნი, შეხედვას რომ ვერ ვუბედავდი,
სურვილს ვმალავდი, სიყვარულის ცეცხლით დამწვარი,
მის ნაცვლად, ვისი ერთგულებაც დამიფარავდა,
მაგრამ ახლა თვით მას იფარავს საფლავის ჯვარი.
მის ნაცვლად, ვინც მე ჯოჯოხეთის სამსალა მასვა,
ჩემზე მზაკვრულად იცინოდა და მაწამებდა.

... ეს ყველაფერი, რაც იმათთვის ჩემს გულში ენთო,
იქნებ ჩააქროს შენთან ყოფნის ტკბილმა წამებმა.

ივან ტურგენევი

გ ზ ა შ ი

დილა ნისლიანი, დილა ნაცრისფერი,
მწუხარე მინდვრები, თოვლით დაფარული,
ერთად გაგონდება ახლა ყველაფერი,
რაც უკვე გეგონა გულში დამარხული.

იხსენებ მის სახეს და მზერას ნათელს,
მღელვარე საუბრებს, ეჭვსა და ტკივილს,
შესვედრას პირველსა და უკანასკნელს,
და განშორებისას უცნაურ ღიმილს.

ბევრ რამეს იგონებ შორეულს, ძვირფასს,
როდესაც ბორბლების ყრუ ხმაურს ისმენ,
ფიქრობ და სიტყვაც კი ვერვისთვის გითქვამს
და მზერა გაგირბის მაღალი ცისკენ.

ფიოდორ ტიუტჩევი

უკანასკნელი სიყვარული

ო, სიყვარული რარიგ ნაზია
სიცოცხლის ბოლოს, სიბერის
ზღურბლზე,
ვამოსათხოვარ შუქით ანთია
დაისის მზე და აწითლებს
ღრუბლებს.
ცა ჩამობნელდა. შორს, დასავლეთით
ძლივსშესამჩნევი სინათლე როკავს.

ნუ მიმატოვებ, მშვენიერებავ,
შემოლამებავ, მაცალე ცოტა.

ალარ ჩქეფს სისხლი. გულს ავსებს
ნდობა,
სევდა — უსიტყვო და უსახელო...
ნეტარებაც ხარ, უიმედობაც,
შენ, სიყვარულო უკანასკნელო!

სერგეი ესენინი

●

„მშვიდობით იყავ“, — ყვავილები ჩამჩურჩულებენ,
თან მორცხვად ხრიან მიწისკენ თავლებს,
მეუბნებიან, რომ შენს სახეს ველარ ვიხილავ,
ველარ ვიხილავ სამშობლო მხარეს.

რა გაეწყობა, ჩემო კარგო, რა გაეწყობა,
მე უკვე ვნახე დედამიწაც, ყვავილთ მშვენებაც,
ამიერიდან სასიკვდილო ციებ-ცხელება,
ვიცი, მე მხოლოდ ნაზ ალერსად მომეჩვენება.

სწორედ იმიტომ, რომ შევიცან სიცოცხლის მადლი,
სწორედ იმიტომ, რომ ღიმილით ავცდი ცხოვრებას,
მე ვიმეორებ: არაფერი არ იკარგება,
ამქვეყნად, ალბათ, ყველაფერი განმეორდება.

მე არ ვიქნები? სულ ერთია, სხვა ვინმე მოვა
(წარსულ დროს ველარ დააბრუნებს სევდა-ნაღველი),
სხვა ვინმე მოვა და იმღერებს ახალ სიმღერას,
უფრო უკეთესს, ვიდრე იყო ჩემი ნამღერი!

საღამოს ბინდში შენ მოისმენ მგოსნის სიმღერას,
ტკბილი ჰანგები გაგახსენებს დღეებს გაფრენილს
და, უკვე ახალ სიყვარულით გატაცებული,
მეც მომიგონებ, როგორც ყვავილს,
ფურცლებდაცვენილს.

ჯენის ელიოტი

ჰიმნევსის სიმღერა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა ზურლან გემაზაშვილმა

სიუზანა ედენი ფერმაში მიემგზავრება საცხოვრებლად. იგი ფერმერს მისთხოვდა. ფერმა მაღალ მთის ფერდობზეა გაშენებული, მაგრამ — ჩემი ქალიშვილი დაბლა დაეშვაო, — ასე ამბობს სიუზანას დედა, ექიმის ცოლი. მართალია, მას მთელი ცხოვრება ფერმების მეზობლადა აქვს გატარებული, მაგრამ შიგ ფერმაში არასოდეს უცხოვრია. სიუზანა ჯესესთან ერთად მიემგზავრება. „ჯესე! — ტუჩს იბზუებს სიდედრი. — გოგოს უფრო მოუხდებოდა, ეს რა მამაკაცის სახელია?“.

— ახალი ცხოვრება უნდა დავიწყო, — მტკიცედ განაცხადა სიუზანამ, რამაც ძალიან ბუნებრივად გაიჟღერა. — დიახ, ახალი.

ეს იმიტომ თქვა, რომ ასე მიაჩნდა და მოსწონდა.

ეკლესიაშიც ნათესაობა ცალ-ცალკე იდგა. აქეთ სიუზანას მხარე — ედენები, მეტისმეტად ცივნი და თავდაჭერილნი, ტანზე ვიწროდ მორგებულ, შემოტმასნილ ტანსაცმელში გამოწყობილნი, იქით აიკენები, ჯესეს ნათესავები, უშუალო და უბრალო ყოფაქცევის ხალხი, სულ მღვდელს რომ შესციცინებდნენ და უტრიალებდნენ გარშემო. კოლონა, ცრემლები, ცხვირსახოცები, კამფეტები და უცებ ედენების სიურპრიზი, ისამნისა და ფლერდორანჟის' უზარმაზარი თაიგულები. ყვავილებს ფეხქვეშ უყრიან ახლად დაქორწინებულებს, ლამის გააგსებს მათი ოთხთვალა. „დალახვროს ეშმაკმა!“ — ბუზღუნებს სიძე და ლამის ყურებამდე ყვავილებში ჩაფლული თვალებსა ჭუტავს. ედენების პაპა ჯო არსად ჩანს, მაგრამ უცებ გზაზე თოვლივით ქათქათა ყვავილების უზარმაზარი ბუჩქი გამოჩნდა. გაბარჯღული ბუჩქი თავზე გადაიკიდა ნეფედედოფალს და ოთხთვალაში ჩავარდა. ჭარხალივით გაწითლებულმა ჯომ, ახლად ჯვარდაწერილებს ჯერ ერთი თვალი ჩაუკრა, მერე მეორე. ჰოდა, სწორედ იმ დროს, როდესაც განშორების ცრემლების რიტუალი ასე აუცილებელია, მაშინ შემოუტყაპუნებს ხელს ზორბა ფა-

---

* ჯენის ელიოტი — ინგლისის ცნობილი მწერალი ქალი (დაიბ. 1931 წ.).

** ჰიმნევსი — ქორწინების მითოლოგიური ღმერთი.

1. ფლერდორანჟი, ყვავილია „უბიწოების ნიშანი“, პატარძალს მიართმევენ ხოლმე.

შატს გავაზე, გეგონება, ბარის ოფიციანტ ქალს შემოკრა დუნდულაზე ხელი. ცხენმა ტლინკები აყარა და ადგილიდან დაიძრა.

ვილაცა ფაშატს მოსართავებზე პატარა თაიგულს უმაგრებს, ბოლო ალვირზე ეკვნებს კიდებს. თეთრი ყვავილების მტვრისაგან სიუზანას ყურები ექავება. ოთხთვალა მსუბუქია, ცხენი ჩორთზე გადადის, ეკვნები ჟღარუნობენ. შიშველ მთასა და სოფელს შორის ხშირი ხეებია და ბუჩქნარის ბუნებრივი ხეივანია. სიუზანა ქმრის მხარს ეყრდნობა. ისიც ცალ ხელს მასხვევს, მეორეში ალვირი უჭირავს.

— ნეტავ ვის მოუვიდა თავში ასეთი კარგი აზრი, — ნაამები ღიმილით ამბობს სიუზანა, მაგრამ მაშინვე ხვდება, ქმარმა ვერ გამიგოო, და ამატებს, — ყვავილებზე ვამბობ.

სიტყვები რაღაც ხელოვნური, მფარველი კილოთი ჟღერს. ქალს ერჩია ეს სიტყვები ასე არ დასცდენოდა. ქმარი გაბრუებულია თავისი ფიქრებით. ჩია, შავგვრემანი, ხმელ-ხმელი კაცი თავს უხერხულად გრძნობს, რცხვენია კიდეც, რომ ეს მშვენიერი გოგო ცხვირწინ ააცალა უფრო ღირსეულ ახალგაზრდებს. ახლა ცოლს უნდა აჩვენოს, თუ რისი მაქნისია. ახალგაზრდა ქალს კი უხარია, რომ ასეთი არჩევანი გააკეთა. მას სურს დაარწმუნოს ქმარი თავის სიყვარულში და აგრძნობიოს, რომ იგი ღირსია კიდეც ამის.

— ახლა ჩვენ უნდა გადმოვიპატიჟოთ ისინი, არა? — თითქოს უკმაყოფილო კილოთი ჰკითხა ცოლს.

— რა თქმა უნდა, — უთხრა ქალმა. — ჩვენს მოპატიჟებას ყველა ელოდება. ეს აუცილებელია.

— ალბათ შენისთვისაც, არა? ყველაფერი კარგად იქნება.

— კი, ჩემთვისაც. თუმცა ასეთი მისვლა-მოსვლა სულაც არ მაინტერესებს.

— რა უცნაური ქალი ხარ...

ჯვრის წერის შემდეგ ქმარმა პირველად შეხედა ცოლს სახეში გაოცებული, სიყვარულით სავსე თვალებით.

— იცი კი, რა გელის, და რა დაკარგე? — მოეფერა ლოყაზე.

ქალი იცინის სუფთა, წკრიალა ხმით. აი, თურმე რა აწუხებს.

— რომ იცოდე, რა მოსაწყენი ხალხია ჩემი შინაურები და რისგან დამიხსენი...

— ვითომ?..

— ჩქარა გარეკე ცხენები, — ეუბნება ქალი. — მინდა ყველაფერი ჩქარა დაიწყოს.

ოთხთვალა ხეივნიდან გამოდის. წინ პატარა ბორცვი და სახლი ჩანს. სიუზენს უნდა ყურთამდე გააფრიალოს ფანჯრები, ყვავილები შეიტანოს სახლში, ცხენი ჩორთიდან მძიმე ნაბიჯზე გადადის.

— გაუჯავრდი, რაღას უყურებ?.. მათრახს იმიტომ არ ურტყამ, ფაშატია რომ ეს არა?

— როგორ არ ვურტყამ, — ამბობს ქმარი. — რა განსხვავებაა, პირუტყვი პირუტყვია.

ქალი აღგზნებულია, უნდა ქმარიც აიყოლიოს. სიამოვნებს, ქმარს რომ, მტკიცედ უჭირავს ალვირი. მამამისი ასე ვერ დაიჭერდა. საკუთარ

თავს უმადლის, გულმა რომ სწორად უკარნახა ეს კაცი აერჩია ქმრად. ახლა მხოლოდ ის უნდა, რომ მისი აგზნება კაცსაც გადაედოს. ქმარი ნაზად კოცნის ლოყაზე, მერე ცხენს მათრახს გადაუჭერს. ისევ ჩორთით ადიან მთაზე, გზადაგზა ყვავილები ებნევათ.

ეზო, იმაზე პატარა ჩანს, ვინემ ქალს ახსოვდა. [illegible] ბალახებით ჩაშავებული, უშნო ბელელი დგას. გაძვალტყავებულ [illegible] ყვავით გამორბის. ქმარი ჩუმად უტატანებს. ძაღლი ღრენითა და კუდის ქიცინით ისევ თავის ადგილს, ბელლის ქვეშ ბრუნდება.

— მოდი, სადარბაზოდან ავიდეთ, — ამბობს კაცი.

კარს ძლივს აღებენ, ქმარი ჩაყანგულ ანჯამებზე უკაკუნებს — ამ კარს არასოდეს იყენებდნენ.

სახლსა და ღობეს შორის ნახევარი აკრი მიწაა გადაბარული. კაცს სახეზე სიამაყისა და კმაყოფილების იერი დაედო. ქალმა იცის, რომ მანაც სიამოვნება უნდა გამოხატოს, თუმცა ვერ წარმოუდგენია, აქ რა უნდა აკეთოს. ქმარმა თავისი ნაკვეთი უჩვენა, გასულ თვეს ყოველ საღამოს რომ ბარავდა ცხრიდან თერთმეტამდე.

— აი, ეს შენი ბაღია, — ოდნავი შეშფოთებით ეკითხება ქმარი. — შენ ხომ გიყვარს ყვავილები? ასე არ მითხარი?

— მიყვარს, — პასუხობს ქალი და კოცნის. — გმადლობთ. ძალიან მომწონს.

„მიყვარს", „საყვარელო", ამ სიტყვების გარდა ქალს დღეს არაფრის წარმოთქმა არ სურს, თუმცა მათ რაიმე განსაკუთრებული აზრი არა აქვთ. აზრი გრძნობასთან შედარებით გაფერმკრთალებულია, მაგრამ ქმარი ამას ვერ ამჩნევს. ქალი სიტყვებს ხელთარალივით ხმარობს. რაც ხელში მოხვდება და რომელიც უფრო ახლოა, იმას სტაცებს ხელს. მისი უბრალოების წყალობით ზოგი სიტყვა სიახლეს იძენს. ფრთხილად უნდა მოიქცე, აფრთხილებს ქალი საკუთარ თავს, ისე უნდა წარმართო ყველაფერი, არაფერი წაახდინო. ახლა იგი ყვავილებზე ლაპარაკობს, შენც უნდა აჰყვე...

ცოლ-ქმარი სახლში შედის. მერე გაციებულ შემწვარ წიწილას მირთმევენ. საღილის შემდეგ ქალი თავის ტანსაცმელსა და წიგნებს ალაგებს. იცის, რომ ეს უცხო სახლი თავისად უნდა აქციოს. ოღონდ ამას დრო და ტაქტი სჭირდება. მამის სახლში წიგნებს როცა აწყობდა, დედამ უთხრა:

— მაგათ წასაკითხად დრო არ გექნება.

— როგორმე გამოვნახავ.

— შენი წიგნები, — მოწიწებით ჩურჩულებს კაცი და ისე ეხება თითებით ყდებს, თითქოს მათ მიღმა დიდი საიდუმლო იყოს მიმალული. — მე კი თითქმის არ ვიცი წერა-კითხვა. მხოლოდ საკუთარი სახელისა და გვარის დაწერას ვახერხებ.

— თუ გინდა, გასწავლი.

— თუ გვექნა დრო... კი, ცუდი არ იქნებოდა. — ქმარი გაოცებით შესცქერის ცოლს. — იცი, შენ დედოფალი ხარ.

ქალს ეღიმება, იგი ბედნიერია და სწამს, რომ სწორი არჩევანი გააკეთა.

— შენც ბევრი ისეთი რამ გეხერხება, რაზედაც მე წარმოდგენაც არა მაქვს. ფერმაში უვიცი და უმაქნისი ვიქნები, აი აქ კი შენ უნდა მასწავლო ყველაფერი.

— გასწავლი.

ჩაის შემდეგ (ქალს ყავა ერჩია, თუმცა ჩაიც სასიამოვნოსასმელია) ისინი მეორე სართულზე ადიან. აქ არც ელექტრონული შუქია და არც გაზი. ახალგაზრდა ქალი აღტაცებულია დაბალჭერიანი ოთახითა და ნავთის ლამპით. იგი აქრობს სინათლეს და სიბნელეში ელის ქმარს, ასე დაიმორცხვოსო. ქმარს საპნის სუნი უდის.

— გაიპარსე?

— კი.

— მაკოცე.

ისინი უსასრულოდ კოცნიან ერთმანეთს. ქალმა უცებ ტკივილი იგრძნო, მერე თანდათან მიეჩვია. მოსწონს კიდეც და უნდა ეს დიდხანს გაგრძელდეს. გრძნობს საკუთარი თავის ძალას, იმას, რომ შეუძლია სიამე მიანიჭოს კაცს.

— კიდევ...

ქმარი ყოვნდება, იდაყვებზე წამოიწევს, ზემოდან დასცქერის ქალს.

— რატომ გამომყევი ცოლად? — უკმაყოფილოდ და თითქმის წყენით ეკითხება ქალს.

ქალს არ უნდა ეს კითხვა სერიოზულად ჩათვალოს.

— მე?... მოიცა მოვიფიქრო, — სუმრობის გუნებაზე დგება იგი.

— ქონებისათვის არ გამომყოლიხარ, არც ჩემი გარეგნობისთვის, — ფრიად მკაცრი კილოთი ამბობს კაცი, — არც ჩემი სწავლა-განათლებისთვის. ეს უბრალო ხუმტური იყო?

— შენ მე ვინ გგონივარ, ჯესე?

— ვიცი, ვიცი, რომ ჭკვიანი ქალი ხარ, მაგრამ ალბათ არჩევანი არა გქონდა, რომ ოდესმე გათხოვდებოდი. თუმცა არც ისე ჭკვიანი გამოდექი, როგორც შენ გგონია. არც აქ მარტოობა მოგეწონება ისე, როგორც შენ წარმოგიდგენია. ცუდი დრო დაგვიდგება, გაგიჭირდება...

ასეთმა სერიოზულმა განცხადებამ ქალი შეაშფოთა.

— ცუდი დრო არასოდეს დაგვიდგება. ისეთი, რომ ვერ მოვერიოთ. მე ეს ვიცი.

ქმარი თითქოს არ უსმენდა.

— შენ გინდოდა, რომ რაღაც შეგეცვალა საკუთარ თავში. საკუთარი თავით ამაყობ კიდეც, მაგრამ ეს არ იცი. უნივერსიტეტში მასწავლებლობაც შეგეძლო, შენ კი მე მარჩიე.

— რასაც შენ ამბობ, საშინელებაა! — ქალი ლამის ატირდა. ახლა ისინი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, თითქოს ეკლესიაში არიანო. ქალს კი ეგონა, რომ ქმარს თავისი ხუთი თითივით იცნობდა, — ასეთ წყენარსა და პატარა კაცს.

— არა, ბევრისთვის საქმე რაღაც ჟინი და ახირებულობა. იმისი თქმა მინდა, სიუზან, რომ ჩემზე დიდი წარმოდგენა ნუ გექნება. ჩემი იმედი ყოველთვის გქონდეს, მაგრამ ერთი წუთითაც არ გაივლო გულში, რომ ოდესმე სხვა ადამიანად გარდავიქმნები.

— არ მესმის!

— მერე გაიგებ, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას, ასე აჯობებს.

კაცი ილიმებოდა. თვალებზე აფარებული ხელები მოაცილა ქალს, მერე გულიანად გაიცინა და ლეკვივით გაელაქუცა. არ ჩქარობდა, კოცნიდა, ცდილობდა ნაზად მოპყრობოდა, თუმცა ყველაფერი უფრო მტკივნეული იყო, ვიდრე ქალს ეგონა. მერე კაცს უცებ ჩაეძინა. ის კი ძილგამკრთალი იწვა, რაღაც სტკიოდა, რაღაც ვერ გაერკვია. ღამით კაცი კვლავ დაეუფლა, ისე რომ თვალებიც არ გაუხელია. საქორწინო სარეცელი ისეთი არ გამოდგა, ქალს რომ ეგონა.

მომდევნო სამი დღე, — გრძელი უიკენდი, — სასიამოვნო დღეები იყო. ეს პატარა ფერმა, მერე, ასე ორმოც წელიწადში, გაიზრდება, გაფართოვდება. მანამდე ჯესეს შეუძლია თავს დასვენების უფლება მისცეს.

თაფლობის თვის ოთხი დღის განმავლობაში საქმეს ჯესეს ბიძაშვილი და ვიღაც კაცი უძღვებოდნენ. ისინი სახლს ახლოს არ ეკარებოდნენ, მაშინვე თვალს არიდებდნენ, როცა სოფლის ხმაურით გაღვიძებული სიუზანა დილით ფანჯარას მოადგებოდა.

— ის ტემია? მგონი, უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდე.

— ტემისთვის შენ, არც მეტი და არც ნაკლები, ინგლისის დედოფალი ხარ. — ჯესემ თავი წყლით სავსე თასში ჩაყო, ყურებიდან საპონი ჩამოიბანა.

— შენთვის?

— ახლავე გეტყვი, ჩემთვის ვინცა ხარ, ოღონდ ჯერ პირსახოცი მომაწოდე.

— მინდა მოგაწვდი, მინდა არა.

ჯესე ცოლს გამოედევნა, საპონი თვალებს უწვავდა და ვერაფერს ხედავდა, ხელის ცეცებით ცდილობდა დაეჭირა ცოლი.

— ო, შე ჩხავანა ფისო!

ქალი გვერდს უქცევდა, ქმარი ფეხდაფეხ მისდევდა ფრუტუნ-ბურდღუნით. მისგან რაღაც საფრთხე იგრძნობოდა. სიუზანას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ბუღას დაატარებდა ჯაჭვით. ბავშვებივით ანცობდნენ. ეს ყველაზე საუკეთესო წუთები იყო, რაც კი აქამდე წილად რგებიათ.

— მომეცი!

— ჯერ მითხარი, რომ ინგლისის დედოფალი ვარ.

— მაგის თქმას ენის მოკვნეტა მირჩევნია.

ბოლოს კაცმა სტაცა ხელი და საწოლზე გადააწვინა. თვალებს ზეწრით იწმენდა და სულელური ცელქობა ინტუიციით, დახვეწილი ბუნებრივი აღქმის წყალობით (რაც, ცოლის აზრით, კაცს არ გააჩნდა). ქმარი ყოველგვარ აბდაუბდას ებუტბუტებოდა თავის ახალგაზრდა ცოლს, რაც ახლა მას ძალიან სჭირდებოდა, თუმცა კაცმა ეს არ იცოდა. ცოლს კი ესაჭიროებოდა. შემდგომში ქალმა თავის თავის წინაშეც კი უარყო, თუ რაოდენ თავქარიანად მოიქცა. უნდოდა დაეჯერებინა, რომ ბრმად არ ვაყვა ამ კაცს, წინასწარ იცოდა, რომ ეს მტკიცე ქორწინება იქნებოდა და ბედნიერებას მოუტანდა. ქმარს ასწავლიდა წერა-კითხვას,

მუსიკას (რომლისადმი ამ კაცს ბუნებით ბოძებული, თუმცა განუვითარებელი მიდრეკილება ჰქონდა), თვითონ კი ისწავლიდა, როგორი უნდა ყოფილიყო ფერმერის ცოლი, რაზედაც ძალზე ბუნდოვანი, მაგრამ ერთობ ლამაზი წარმოდგენა გააჩნდა. ყოველთვის ყველაფერი გამოსდიოდა ხელიდან, ეს ხომ ტაქტზე, მოთმინებაზე და სიყვარულზე იყო დამოკიდებული. ასეთი ურთიერთობის წყალობით მათი კავშირი უფრო განმტკიცდებოდა, გამდიდრდებოდა. მან უხარმაზარი მზითევი მოუტანა. ამ მზითევს, ნათელ გონებას და მშვიდ ტემპერამენტს („სიუზანა ისეთი გონიერი გოგონაა!"), ისე ფრთხილად, მოკრძალებით შემოიტანდა ოჯახში, რომ ქმრის თავმოყვარეობას არ შელახავდა, არ აგრძნობინებდა თავის უპირატესობას. ქალი გამალებით ფიქრობდა ამაზე. იგი საკუთარ გარეგნობაზე მეტად თავის ჭკუას აფასებდა, საღი აზრის მიმართ ერთობ რომანტულად განწყობილი.

ამ ოთხ დღეში, — იმ პირველი, უცნაური ღამის შემდეგ, — ახალგაზრდა ცოლის მიხნები თითქოს ბედნიერებამ წალეკა. მეოთხე დღეს მან ქმარს ფარული შფოთვა და მღელვარება შეამჩნია. წმინდა, გაქათქათებულ სუფრაზე (დედის საჩუქარი), მისი მუშა ხელები შეუსაბამო და უცნაური ჩანდა. მას სამუშაოსკენ მიუწევდა გული.

— ფერმაზე წუხარ?

— დოლი დაიწყო. ტემს ამისი არაფერი გაეგება. ნამატი არ უნდა დაიღუპოს.

— წავიდეთ, ვნახოთ?

სახლის უკან ფერდობზე პატარა ბაკი იდგა. სახლის კუთხეს მოფარებული კედელი ქარისგან იცავდა.

— შენც წამოხვალ?

— სიამოვნებით.

— ყოჩაღი ქალი ხარ.

— ყოჩაღი არა ვარ, უბრალოდ, შენი ცოლი ვარ. თანაც არასოდეს მინახავს, ცხოველები როგორ იბადებიან, — თქვა სიუზანამ ჩვეული, წყნარი ხმით.

— მგონი, აჯობებდა დარჩენილიყავი.

— არა. წამოსვლა მინდა. თუ ხელს არ შეგიშლი.

— ჰოი, შე ცუგრუმელავ! — კაცმა ლოყაზე ხელი მიუთათუნა. — შე ცუგრუმელავ...

ისინი მთაზე ხელიხელჩაკიდებულნი ავიდნენ. ზემოთ ქარი სისინებდა. ვარსკვლავები თითქოს მიქროდნენ, მიფრინავდნენ და სადღაც ცვიოდნენ. ცოლ-ქმარი სულის მოსათქმელად შეჩერდა, ზეცას ახედეს.

— ძალიან ლამაზია, — თქვა კაცმა.

— კი, საოცრებაა. ვარსკვლავებს სცნობ?

— მხოლოდ ცისკარს და ირმის ნახტომს, — ჯესემ თითი იქით გაიშვირა, სადაც ცისკრის ვარსკვლავი კაშკაშებდა. — ტემმა იცის, თეგზაობის დროს ისწავლა.

ქალი მიხვდა, რასაც ამბობდა ქმარი. ისიც მოსწონდა, რომ ტემი სიტყვაძუნწი იყო, თავის ბიძაშვილზე უფრო ჩაფსკვნილი და შავგვრემანი. ... აი, ტემი მორევიდან მოათრევს ვარსკვლავებიო სავსე ბადეს,

გუნებაში წარმოიდგინა ეს სურათი. თვალები დახუჭა და უცებ წაბოიძახა:

— უცნაურია, მაგრამ ზოგი ვარსკვლავი უკვე ჩამქრალია. ჩვენ მის გამოსხივებულ შუქს ვხედავთ, მაგრამ თვით ის ვარსკვლავი აღარ არსებობს. სივრცის წარმოდგენა შეიძლება, დროის კი — სივრცე არ არის დრო.

ბაკში ტემს ფარანი ენთო. ცოლ-ქმარს მიესალმა, თავი დაუკრა. იქვე ცხვარი ეგდო, ეტყობა, მკვდარი. ოთხ გალეულ ფეხს შორის გაბერილი მუცელი უთრთოდა. ცხვრის ღიად დარჩენილი მწვანე თვალები თითქოს მათ მისჩერებოდა.

— ადრე მოვედი, მაგრამ სანამ მივაგნებდი, უკვე ფეხები გაეფშიკა, — უხერხულად გაიღიმა ტემმა.

— მოკვდა?

— ჰო.

— როდის? — ჯესე გაბრაზდა. სიუზანას ეგონა, რომ იგი ტემს გაარტყამდა.

— აი, ამ წუთას, დიდი-დიდი, ორი წუთის წინ.

— დანა ჩქარა.

ტემმა თვალები დააფახულა:

— უნდა გაფატრო?

ჯესემ პიჯაკი გაიხადა, ჩაიჩოქა და ცხვარს მუცელი გაუფატრა. ახლალა გაახსენდა სიუზანა.

— ჯობია შინ წახვიდე.

— იქნებ დაგეხმარო?

— თუ გადარჩა, ბატკანს ჭამა უნდა, სანამ სხვა დედალ ცხვარს ვუპოვიდეთ. წადი, რძე გაათბე.

ქალი არ წავიდა. ტემს ფარანი უკავია. სიუზანა ცხვარზე დახრილ კაცებს უყურებდა, თავს უხერხულად გრძნობდა, — იგი აქ სრულიად ზედმეტი იყო, მაგრამ ძალიან აინტერესებდა ყველაფერი. გამოფატრული მუცლის დანახვაზე შეძრწუნდა. ჯესე ისე ურევდა შიგ ხელებს, თითქოს ცომსა ზელსო. ბოლოს სისხლიანი რბილი გუნდა ამოაქვს, საზიზღარიც და თან მშვენიერიც. ჯესე იღიმებოდა, სიუზანამ პირზე ხელი მიიფარა და ფეხარეული გაეცილა იქაურობას. გულის რევამ რომ გადაუარა, დიდხანს იჯდა მოკრუნჩხული, ლოყით ჩხვლეტია შავ თივის ზვინს მიკრული.

— ხომ გითხარი, შინ წადი-მეთქი.

კაცის ხმა უხეშად ჟღერდა. თუმცა სახეზე სინაზე ეხატებოდა, როცა ჩვილ ბატკანს დახედავდა.

სიუზანა ქმართან ერთად დაეშვა ფერდობზე.

— სხვა დედას როგორ აიძულებ ეგ ბატკანი იშვილოს?

— ისეთს ვიპოვი, რომელსაც ბატკანი დაეხრჩო. გავატყავებ და მის ქურქში ამას გავახვევ, რომ იმ ბატკნის სუნი ასდიოდეს.

სიუზანამ ისევ რაღაცას წამოკრა ფეხი, მაგრამ ჯესეს ორივე ხელით ბატკანი ჰყავდა მკერდზე მიკრული. ქალი საოცრად ეულად

გრძნობდა თავს. იგი აქ ზედმეტი იყო. მერე საკუთარი თავისა შერცხვა. დაჭიმული და ყალბი ხმით თქვა:

— ისე სწრაფად გააკეთე ყველაფერი, თითქოს წინასწარ იცოდი, რაც უნდა გაგეკეთებინა.

— როგორ არ ვიცოდი, ჩემი სამუშაოც ეს არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მეგონა...

— ადვილია ის, რაც იცი. განსაკუთრებული არაფერია შენი წერა-კითხვასავით.

— წერა-კითხვა დიდი უაზრო რამეა. ვის რაში არგია ჩემ გარდა. სიცოცხლეს არავის შეუნარჩუნებს.

— სიცოცხლეს? — იკითხა ჯესემ. — არ გინდა მეტისმეტი გრძნობიერება. ბოლოსდაბოლოს ეს პირუტყვია. გასაყიდად და ფულის საშოვნელად ასევე იოლად დაეკლავ. — მიუხედავად ამისა მაინც მზრუნველად დაჰყურებდა ბატკანს, ისიც დედასავით ეხუტებოდა უბეში. — აი, შე ცელქო, შენა, კუნტრუში გინდა, არა? — ბატკანი მიწაზე ჩამოსვა, მანაც პატარა წრე ბარბაცით შემოიარა და ისევ ჯესეს დაუბრუნდა.

— მე შენი დედიკო არა ვარ, — გაიღიმა კაცმა და ბატკანი ისევ ხელში აიყვანა.

შინ რომ ბრუნდებოდნენ, ჯესემ თქვა, ბატკანს ღამით სახლში დავტოვებ, სუსტია, მაგრამ გადარჩება, იცოცხლებსო.

თაფლობის თვე დამთავრდა.

სიუზანა ცოტახნით ეზოში შეყოვნდა. გამალებით მიმქროლავი ზეცა თითქოს ბელელს აყირავებდა. ღამე ტალღებად მოგორავდა და სიუზანაც მკერდით ეგებებოდა. იგი მინდორს გასცქეროდა, სადაც ვარსკვლავები მინდორს თავზე დაკაშკაშებდნენ. ბაკში ფარანი ბჟუტავდა, ადამიანი, ეს ნამცეცა წერტილი სამყაროში, უეცრად ბოროტი და ცივი ეჩვენა. სიუზანას შეამცივნა და სახლში შევიდა, რათა ბატკნისთვის რძე გაეთბო.

თამარ გელაევა

ღალატი

აზერბაიჯანულიდან

თარგმნა იმირ მამედოვმა

ზაფხულის მიწურული იყო. ჯერ კიდევ მწველი მზის სხივებით განათებულ გზას მოხდენილი, ლამაზი აღნაგობის ახალგაზრდა ქალი აჩქარებული ნაბიჯებით სადღაც მიუყვებოდა.

ბუნებას აქ რაც კი რამ შეექმნა, ყველა სულდგმული, ქუჩებში მოფუსფუსე ადამიანებიც კი მიწის, უფრო სწორად, ამ ხრიოკი უდაბნოს ფერისანი იყვნენ, ხეებისა და ბალახების ბუნებრივ სიმწვანესაც კი უდაბნოს ეს რუხი ფერი დაჰკრავდა.

რუხი ფერი თითქოსდა ქალაქს სულსა და გულშიც გასჯდომოდა. იგი, ბუნებრივია, ზაფხულის ცხელ დღეებში უფრო მუქდებოდა და უფრო გულგამაწვრილებელი ხდებოდა.

არავინ იცოდა, რა ჰქმნიდა ამ რუხ ფერს, ბაქოს ზღვა, ქვიშა, დაუცხრომელი ქარი თუ უზარმაზარი ქარხნების შხამნარევი გამონაბოლქვი? — თუმცა ეს რა ჩვენი საქმეა. ერთი კია, ადამიანი ყველაფერს შელეოდა, ოღონდაც თავი დაეღწია უდაბნოს ამ რუხი საფარისათვის.

ეს ფერი სწრაფი ნაბიჯებით მიმავალი ქალის გუნება-განწყობასაც დაუფლებოდა. მიუხედავად ამისა, ქალი გარშემომყოფთ ყურადღებას არ აქცევდა და განაგრძობდა თავის გზას. მეზობლები დიდი ინტერესით უთვალთვალებდნენ ქალს, ყოველდღე რომ გიჟური სიჯიუტით სადღაც მიეშურებოდა. ის კი ამას ვერ გრძნობდა. ისე იყო ჩაძირული თავის სამყაროში, რომ ცხვირწინ ვერაფერს ამჩნევდა.

აქამდე მეზობლობასაც ვერ შეგუებოდა. ამ შეუგუებლობის მიზეზი კი ის იყო, რომ ქალი, რომელიც ხნიერ კაცისთვის მიეთხოვებინათ, თავისი იდუმალებით მეზობლების ინტერესის უშრეტ წყაროდ ქცეულიყო. „ეტყობა, ეს კაი ჩიტი არ უნდა იყოს. ყოველდღე ერთსა და იმავე დროს საით მიეჩქარება. მგონი, იმ მოხუცი კაცის ცოლობა ამას ხელსაც კი აძლევს, ჩუმ-ჩუმად სადღაც დაძვრება და თავისას არ იკლებს...“ ეს მეზობლების აზრი გახლდათ, იმ მეზობლებისა, რომლებმაც მის შესახებ არაფერი იცოდნენ და მხოლოდ მისი „საქციელის“ მიხედვით მსჯელობდნენ.

მალაჰათი კი ყოველდღე სკოლის შორიახლო, სადღაც მოფარებულში ჩერდებოდა და ჟივილ-ხივილით მომავალ ბავშვებს შორის თვალით თავის ორ პირმშოს ეძებდა. ყოველდღე გულისფანცქალით ადევნებდა თვალს სკოლიდან მომავალ თავის შვილებს, რომლებიც, იქვე მათ

მომლოდინე მანქანაში სხდებოდნენ და შინისაკენ მიეშურებოდნენ. იგი არ იღლებოდა ამ სურათის მზერით. ერთხელ იგრძნო, რომ ბავშვებმა მას თვალი ჰკიდეს. ვითომ თვალს არიდებდნენ. მაგრამ მზერა მაინც დედისკენ გაურბოდათ. შეეშინდა, ფარვიზს ამბავი არ მიეტანოთ, და ადგილი მოინაცვლა. მაგრამ ბავშვებს, როგორც ჩანდა, ეარყფერი უთქვამთ მამისთვის. რომ ეთქვათ, ფარვიზი მძღოლს აღარ ანდობდა, თავად მოვიდოდა ბიჭების წასაყვანად. მან იგრძნო, რომ ბოლო დროს ბავშვები სკოლიდან გამოსვლისას დედას თვალებით ეძებენ და, როცა ვერ პოულობენ, გულდაწყვეტილები გაემართებიან სოლმე მანქანისაკენ. ამან ქალი გააცარა კიდეც და გულიც დაუთუთქა. ის დღე გააცხენდა, როცა ქმარს გაეყარა. ფარვიზი ჯერ თავად მოელაპარაკა ბიჭებს, მერე კი ყველანი ერთად შეიკრიბნენ, რათა გადაეწყვიტათ. ისედაც შვილებთან საუბარი არაფერი ჰქონდა. დამნაშავე იყო, მორჩა და გათავდა.

როცა ფარვიზმა ბავშვებს უთხრა, დედათქვენი გვტოვებს, მასთან ერთად მიდიხართ თუ ჩემთან რჩებითოო, გულში რა უტრიალებდა, მისი სახის გამომეტყველებით ვერ გაიგებდი. შეშინებულმა ბავშვებმა ტირილი დაიწყეს და სლუკუნ-სლუკუნით თქვეს, შინ დარჩენა გვინდაო; თანაც დედას ევედრებოდნენ, ნუ წახვალ და მამასაც ნუ გაუშვებო. დედაც და მამაც გამოუვალ მდგომარეობაში იყვნენ. შვილების ვედრება გულს უთუთქავდათ, მაგრამ გამოსავალი არ ჩანდა. ქმარი ვერ ჰპატიობდა; იცოდა, რომ ქალის ცოდვა მიუტევებელია. ქალი გრძნობდა, რომ ქმრის მიერ წამოყენებული პირობები უსიტყვოდ უნდა მიეღო: სახლი და შვილები უნდა დაეტოვებინა, ცხოვრებაში მათკენ არ უნდა გამოეხედა. იგი იმ წუთში ისეთ მდგომარეობაში იყო, შიშს ისე შეეპყრო, რომ ყველა პირობა მართლაც უსიტყვოდ მიიღო. ეს კი არადა, მშობლებმა, გამონათხოვარი ქალი მითქმა-მოთქმის საბაბად არ იქცესო, სახელდახელოდ ორმოცდათხუთმეტი წლის კაცს რომ მიათხოვეს, მაშინაც არ დაუძრავს ხმა-კრინტი. თითქოსდა აღარავისთან ჰქონდა ხმის ამოღების უფლება, რაც უთხრეს, გააკეთა. ოღონდაც ახლობლების რისხვა დაეცხრო. მას არავინ აპატია ცხოვრებაში ჩადენილი ერთადერთი ცოდვა. რაც გამოუცდელობით თუ მოზღვავებული გრძნობების მოუთოკველობით მოუვიდა და რაშიაც თავადაც ვერ გარკვეულიყო.

როცა გონს მოეგო, ყველაფერი დამთავრებული იყო. ორ შვილს მონატრებული და ოჯახდაქცეული იმ კაცის ცოლი გახდა, რომელიც არ უყვარდა. ამდენი ტანჯვისა და დამცირების შედეგად თავისი თავიც კი შეიძულა. ვილას სჭირდებოდა მალაპათი?!

ფარვიზი, რომელსაც ერთ დროს არ აფასებდა და არც უყვარდა, ახლა მისთვის მიუწვდომელ არსებად ქცეულიყო. რას არ იზამდა, ოღონდ ოჯახი დაიბრუნოს და კვლავ მის დიასახლისად იქცეს. განა ეს შესაძლებელია? იგი ერთ თვეში გაათხოვეს. ფარვიზიც ერთ თვეში დაქორწინდა, რამეთუ ბავშვებს ვერ უვლიდა. ოჯახს ქალის ხელი აკლდა. მოუვლელობის გამო, ოორემ მეორედ ქალს არც ითხოვდა! ბავშვებს დედინაცვალს არ ჩაუგდებდა ხელში, მაგრამ რა ექნა, დილიდან საღამომდე საქმით დაკავებული და საშოვარისთვის თავგადადებული ფარვიზი ბავშვებსაც ხომ ვერ გასწვდებოდა. ალბათ ოჯახში დედინაცვალი

რომ შემოვიდა, ფარვიზმაც და ბავშვებმაც უფრო მეტად შეძულეს მალაჰათი, ყველაფერ ამაში ერთადერთი დამნაშავე მხოლოდ ის იყო.

ფარვიზი მეოჯახე კაცი გახლდათ. მის მონაგარსა და მოტანილს წუნს ვერ დასდებდით. მალაჰათსაც ძალზე სათნოდ ეპყრობოდა, მისთვის ხმა ერთხელაც არ აუწევია. ჩაისაც კი მოწიწებითა სთხოვდა და სამაგიეროდ ათას მადლობას სწირავდა ხოლმე. მალაჰათის ტანსაცმელ-ფეხსაცმელს ხომ სათვალავი აღარ ჰქონდა. ზოგჯერ თავისთვის ჩაილაპარაკებდა: „ამდენი რად მინდა, სად უნდა ჩავიცვა?" ერთმა დაქალმა ურჩია, სამსახურში მოეწყე სადმე, ამდენი ტანისამოსი გაქვს, ჩაიცვი და ირგვლივ ყველა შურით გახეთქეო. ჭკუაში დაუჯდა. თავისაზე დადგა და ფარვიზიც დაიყოლია. რომელიღაც ფირმაში მოეწყო. თანაც იქ მომუშავე ქალების ჯინაზე კაბებს ყოველდღე იცვლიდა. სამუშაო მისთვის ის ადგილი იყო, სადაც ისვენებდა და თავის მოსართავ-მოკაზმულობას დემონსტრირებას უკეთებდა. ახალი სიტუაციით ისე იყო მოხიბლული, რომ ქმარ-შვილიც კი გადაავიწყდა. ის კი არადა, თავიც აღარ ახსოვდა. ერთხელაც იგრძნო, რომ ფირმის უფროსი, ცოტა არ იყოს, სხვა თვალით უყურებს და უცნაური გრძნობები გაუღვივდა გულში, ისეთი გრძნობები, რომელთაც დიდი ხანია გულიცა და გონებაც გადასჩვეოდა. ერთმანეთს როგორ გაუგეს, ვერც მიხვდა. გონს რომ მოეგო, უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა. ქმარი მოატყუა, ბავშვების დასასვენებლად წაყვანა მოიმიზეზა და ზაფხული სადღაც გადაკარგულში, ფარვიზის ნაცნობების სახლში გაატარა. საზაფხულოდ ისიც იქ ჩავიდა. ამან კი ბავშვები დიასახლისს მიუყარა და დროს სატარებლად წავიდა. თავისი საქციელით ისე იყო ატაცებული, რომ დღისით მომხდარს საღამოთი ოლიას უამბობდა ხოლმე დაწვრილებით. როცა არდადეგების მიწურულს შინ დაბრუნდა, ნახეტიალევსა და დრონატარებს ქმარი თვალში აღარ მოუვიდა. გაუკვირდა, ამდენი წელი ამ კაცთან როგორ ცხოვრობდა. ქმართან თანაცხოვრება ისე გაუსაძლისი მოეჩვენა, რომ საწოლი ოთახი გამოიცვალა. ბავშვების საძინებელ ოთახში გადაბარგდა. ბოლოს ურცხვად ისიც კი განუცხადა, რომ აღარ მიყვარხარ, უნდა გაგეყაროო. ფარვიზის მაშინდელ მდგომარეობას რომ წარმოიდგენდა, ახლაც ეცოდებოდა იგი და გული ეთანაღრებოდა. მან ბავშვებს აკოცა, ცოლს არაფერი უთხრა, თვალებამღვრეული გავიდა სახლიდან, კაცმა არ იცოდა, სად მიდიოდა.

თურმე ნუ იტყვი, ბილეთი აეღო და დარდის განსაქარვებლად ისიც იმ ნაცნობთან გამგზავრებულიყო. თავსგადამხდარი უამბო და დასძინა რომ იქვე, სადმე სამსახურში მოწყობას ანუ დარჩენას აპირებს. მისტანჯვით გულდამძიმებულ ოლიას ყველაფერი დაწვრილებით უამბნია და ისიც უთქვამს, გაყრის მიზეზიც ეს გახლავსო.

ცოლის ღალატის ამბავი რომ შეუტყვია, ფარვიზი თვალსა და ხელს შუა ისე გამოცვლილა, რომ გაბოროტებულ მხეცს დამსგავსებია.

შინ დაბრუნებულმა მალაჰათი ისე სცემა, პირდაპირ სიკვდილის პირას მიიყვანა. მერე მოყვარეს უხმო, ყველაფერი მას მოუთხრო და დასძინა: ეს თქვენი ნაგავი აქედან მომაშორეთო. მას ერთი ბეწვიც არ არგუნა. პირიქით, რაც ჰქონდა, ისიც წაართვა, ორი შვილის ნატრუ-

ლად აქცია. ერთი დღის უკან კი ისე იქცეოდა, თითქოს, სახლსაცა და ბავშვებსაც მას უტოვებდა. ალბათ ჯამაგირსაც მათ მოუტანდა ხოლმე. მაგრამ ფარვიზმა ღალატი ვერ აპატია და შინიდან ძალლივით გააგდო.

●

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალაჰათი კვლავინდებურად იდგა სკოლის შორიახლოს და შვილებს მოელოდა. შემოდგომა იდგა. გაყვითლებული ხეები შეუმჩნევლად იძარცვებოდნენ. მიწა ფოთლებს დაეფარათ. მალაჰათი ვერ გრძნობდა, როგორ ეყრებოდა ფოთლები თავსა და მხრებზე. ირგვლივ ყველაფერსადმი გულგრილს მომლოდინე მზერა სკოლის კარისათვის მიეპყრო. როგორც იქნა, სკოლის კარი გაიღო. ბავშვებს უხაროდათ, რომ თავი დააღწიეს საკლასო ოთახის კედლებს, ამიტომაც ჟივილ-ხივილითა და ჩანთების ტრიალით გამორბოდნენ. მისები არ ჩანდნენ. მერე, როგორც იქნა, ერთი გამოჩნდა, სკოლის კართან შედგა და ძმას დაელოდა. ცოტა ხანში ძმაც გამოვიდა. ორივენი მანქანისაკენ გაიქცნენ. ხეს რომ გაუსწორდნენ, უნებლიეთ ნაბიჯს უკლეს და მზერა მისკენ გააპარეს. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. მათკენ სიყვარულითა და აუღწერელი სითბოთი მოპყრობილმა თვალებმა ბავშვები ააღელვა. წამით ადგილზე გაქვავდნენ. უფროსმა ვაჟმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა დედისაკენ. უმცროსმა მკლავში ხელი ჩაავლო და მანქანისაკენ გასწია:

— წამო!...

როგორც ჩანდა, დედის მიმართ ბრაზი არ ჩასცხრობოდა, ვერ პატიობდა. უფროსმა თავადაც ვერ გაიგო, ძმას ხელი როგორ გამოგლიჯა, დედისკენ გაიქცა და მის მკლავებში ჩაიკარგა. დიდხანს ორივე დუმდა. იგი ტიროდა, ბავშვს პირისახეს გიჟური ჟინით უკოცნიდა და გულში მაგრად იხუტებდა. ეს მღელვარე წამი უმცროსის ხმამ დაარღვია:

— ელშან, მოდი, თორემ მამას ვეტყვი...

ეს თქვა, გაბრაზებულმა პირი იბრუნა და მანქანისაკენ გაემართა. დედამ ელშანს ერთხელაც აკოცა და, წადი, უთხრა, თორემ მამას ეტყვის. ბიჭი უჩუმრად გაჰყვა უმცროს ძმას.

მას მერე ყოველდღე ხვდებოდა ელშანს, მოიკითხავდა და გულში იკრავდა. უმცროსი კი არა და არ ეკარებოდა. ბავშვს გულისწყრომა არ უცხრებოდა. ერთთავად კოპებშეკრული ჩაუვლიდა ხოლმე. ქალი კი ვერ ჰბედავდა, რომ ელხანისთვისაც მოეხმო და მასაც მოფერებოდა.

თუმცა ელხანს მის შესახებ მამასთვის არაფერი ეთქვა. ქალი შეპარვითა და ნელა ეკითხებოდა ელშანს იმას, რასაც გულით დაატარებდა:

— ზარიფა ხომ არ გაწუხებთ?

— არა.

— რამდენი ბავშვი ჰყავს?

— ერთი.

— ბიჭია თუ გოგო?

— გოგო.

— გიყვართ იგი?

— კი, ჩვენი დაიკოა და იმიტომ...
— მამას თქვენ უფრო უყვარხართ თუ ის?
— ყველანი ვუყვარვართ, თუმცა ჩვენ უფრო გვეფერება.
— რატომ?
— გვეუბნება, დედათქვენის მაგივრადაც გეფერებიო.
— ზარიფა არ გეფერებათ?
— მისი ძზერა შენსას არ ჰგავს. შენ სულ სხვანაირად გვიყურებ. შენი თვალები გვათბობს. გვახსოვს, ღამე შენთან ვიძინებდით. როცა ჩაგვეძინებოდა, ჩვენს საწოლში გადაგვიყვანდი ხოლმე. ზოგჯერ განგებ ვამბობდით, ცუდი რამ გვესიზმრაო, და დილამდე შენთან ერთად გვეძინა. ზარიფა კარგია, გვაჭმევს, გვასმევს, გვირეცხავს, მეგობრულად გვექცევა. შენზეც ცუდს არაფერს ამბობს, მაგრამ იგი შენნაირი ვერ იქნება. ელშანს უშენობა დიდხანს სტანჯავდა. ღამლამობით ტიროდა, მე ვამშვიდებდი.

მალაჰათი ატირდა. მან თავისი ორი პირმშო დედური სიყვარულის გარეშე დატოვა. მათ რომც აპატიონ, შესძლებს კი თავად აპატიოს თავისთავს?

●

ერთხელაც, შვილებს რომ მოელოდა, დაინახა მარტოდ მომავალი უმცროსი ბიჭი ჩანთას თითქმის მიწაზე მოათრევდა. მასთან ჩავლისას თავი ასწია და დედის თვალებში ჩაბუდებულ შეკითხვას უპასუხა:
— ელშანი ავადაა, დღეს გაკვეთილები გააცდინა.
მალაჰათი შვილს ხელებში ჩააფრინდა:
— რა მოუვიდა, რა სტკივა?
— სიცხე ჰქონდა, ზარიფამ არ გამოუშვა.
მალაჰათმა შვილის სიახლოვეს ვერ გაუძლო და მკერდში ჩაიკრა, პირისახე დაუკოცნა. ბავშვი ძეგლივით აყუდებულიყო, ოღონდ წამოწითლებულ ლოყებზე ორი კურცხალი ცრემლი ჩამოუსრიალდა. ნეტავ, ეს ორი კურცხალი მონატრების ცრემლი იყო თუ დამცხრალი რისხვის ბოლო გაელვება? ცრემლის ეს წვეთები მალაჰათს დაჭრილ სინდისზე დაელვენთა და საშინელი ტკივილითა და შიშინ-შიშინით იქ ჩაიჟღინთა. უეცრად ბავშვი მკლავებიდან დაუსხლტა და მანქანისაკენ გაიქცა. მალაჰათმა გულამოსკვნილი ქვითინი გულში ჩაიბრუნა და შემაძრწუნებელი ხმით დაიკივლა:
— როგორ გაგიმეტეთ! — და თავის თავისადმი უსაზღვრო ზიზღით აღივსო.

●

დღეს ფარვაზის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ელშანი ინიშნებოდა. ფარვიზმა რას ალარ გაუძლო, რა ალარ გადაიტანა ამ ორი ბავშვის გამო, ოღონდ კი ისინი ფეხზე დაეყენებინა. ბიჭები დედას რომ გაჰყარა, მაშინ შეპირდა, რომ უდედობას არ აგრძნობინებდა. იმხანად ისინი პა-

ტარები იყვნენ და არ იცოდნენ, ამ სიტყვებს მიღმა რა იგულისხმებოდა. ინსტიტუტი, მანქანა, სახლ-კარი, დაოჯახება — მაშინ ხომ ბიჭები ამაზე ფიქრადაც ვერ გაივლებდნენ. ვინ იცის, ეგებ მამამ ის სიტყვები რომ უთხრა, ბავშვებმა გულში სათამაშო მანქანები, კამფეტები და სხვა ბავშვური თავშესაქცევები გაივლეს. მაგრამ ფარვიზს გუნებაში ედო, რომ მათთვის არაფერი მოეკლო.

მამის გულში დედისადმი აბობოქრებულ რისხვას ბიჭები დაებნია. მისი შიშით დედას ვერც ახსენებდნენ. ბავშვებმა იცოდნენ, რომ ეს ყველაფერი დედის გამო მოხდა. მშობლების ჩხუბიდან მისვდნენ, რომ დედას მათთვის სხვა მამა მოუძებნია, და მაშინ ორივემ ერთხმად გადაწყვიტა, რომ თავიანთი მამა ურჩევნიათ. მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ მამასთან დარჩებოდნენ. მაგრამ უდედობის სიმწარე გვარიანად იწვნიეს ფარვიზმაცა და ბიჭებმაც. სახლის დალაგება, საჭმლის მომზადება, გარეცხვა და ბავშვების მოვლა რას ნიშნავდა იმ კაცისათვის, რომელიც შინიდან დილით გადიოდა და საღამოთი ბრუნდებოდა, მხოლოდ ღმერთმა უწყის. ფარვიზის დები რიგრიგობით მოდიოდნენ და საქმეში ეხმარებოდნენ, მაგრამ ამას დიდი შვება არ მოჰქონდა. ორ სახლს შორის ტრიალი მათაც მობეზრდათ. ბოლოს ძმას ხელახლა დაოჯახება ურჩიეს: „სიკვდილამდე ასე ქვრივივით ხომ ვერ ივლი. მალაჰათი გაგეყარა თუ არა, ერთი თვის თავზე გათხოვდა. შენ რა დაგემართა, რას ელოდები?“ ქალიც მოეძებნათ. თავმდაბალი, წყნარი ვოგოა. შენ თუ თანახმა ხარ, მაგას ჩვენ დავიყაბულებთო, უთხრეს. მართლაც ხომ სამუდამოდ ქვრივად ვერ დარჩებოდა. ბავშვები თუ იქნებიან თანახმანი? ესეც დებმა აიღეს თავიანთ თავზე. ბავშვებს აუხსნეს, რომ სახლი უქალოდ ვერ იქნება. სახლის მოვლა-პატრონობა, საჭმელ-სასმლის მომზადება კაცის საქმე არაა. ზარიფა ბიჭებმა ფარვიზზე ადრე გაიცნეს. იგი მასწავლებელი იყო. აქაოდა, ამეცადინეო, ბავშვები გაუშინაურეს. ბიჭებს ზარიფა მოეწონათ, ქალს მათთან საერთო ენა ადვილად გამოენახა. თუმცა სინანულით აღნიშნეს, რომ ზარიფა ლამაზი არაა. მამა კი დაიყოლიეს და უთხრეს, მიუხედავად იმისა, რომ ზარიფა ლამაზი ქალი არაა, მაინც შეირთეო. ზარიფა მათ გაკვეთილებს შესანიშნავად უხსნიდა, ტკბილ ნამცხვრებს უცხობდა და, რაც მთავარია, გულახდილად და დიდხანს ესაუბრებოდა.

არც ფარვიზისა და ზარიფას გაცნობა გამოდგა ძნელი საქმე. ბიჭები ზარიფასგან თვითონ მოჰყავდა ხოლმე. ამასობაში კი ურთიერთობა შეუმჩნევლად გაიბა. ზარიფა ბავშვებს აქებდა და ბიჭების მუყაითობით მოხიბლული მამას ეუბნებოდა, შრომისმოყვარენი არიანო. ბავშვები ხომ ფარვიზის ყველაზე სუსტი წერტილი იყო. ზარიფა კი ქების ოსტატი გახლდათ. როცა იგი ბიჭებს თავისებური ქათინაურებით ამკობდა, თავადაც ფარვიზის თვალში ულამაზესი ქალი ხდებოდა.

როგორც კი შეუღლდნენ, ოჯახში ყველაფერი თავის ძველ კალაპოტს დაუბრუნდა. მაგრამ ზარიფას სწყინდა, რომ ფარვიზს მთელი ყურადღება ბიჭებზე ჰქონდა გადატანილი. თუმცა განაწყენებული ზარიფას გულის მოგება ძნელი საქმე როდი იყო. გულთბილი ქალი გახლდათ, მალე მოლბებოდა ხოლმე. ფარვიზი კი მხოლოდ აწმყოზე კი არა,

ბიჭების მომავალზეც ფიქრობდა. ხელში შემთხვევა რომ ჩაუვარდებოდა, მათთვის საქორწინო სამკაულებს იძენდა. ელშანს სამოთახიანი ბინაც კი უყიდა. ზარიფა ხანდისხან ჩაილაპარაკებდა ხოლმე: „კი არ გეუბნები, ნუ უყიდიო, მაგრამ ხუთჯერ მათთვის რომ გაირჯები, ერთხელ ჩემი შვილებისთვისაც გაიმეტე რამე. ადრე, როცა მხოლოდ გოგო მყავდა, ბევრ რამეზე თვალს ვხუჭავდი, ახლა ხომ ერთი ბიჭი მეც გაგიჩინე. იმას რა, მომავალი არ უნდა?“ მიუხედავად იმისა, რომ ზარიფა მართალი იყო, ფარვიზი მაინც ბრაზობდა ასეთი საყვედურების გამო. ვითომ რაო, განა ფარვიზს ზარიფას მიერ გაჩენილი თავისი პირმშოები არ უყვარდა? მაგრამ მათი ბედი ხომ ელშანისა და ელხანის ბედს არ ჰგავდა. მათ დედაც და მამაც გვერდით ჰყავდათ. არაფერი უჭირდათ. ყველაფერი თავზე საყრელი ჰქონდათ, მაგრამ ელშანი და ელხანი ბედისგან დაჩაგრულნი იყვნენ. დედას ზურგი შეაქციეს და მამას მიეკედლნენ. ისინი რომ მაშინ მალაჰათს გაჰყოლოდნენ, ფარვიზი რა დღეში ჩავარდებოდა, ღმერთმა უწყის. იგი ამ ბიჭებმა აცოცხლეს, ამ ბიჭებმა გადაარჩინეს, რომ არა ეგენი, ზარიფასაც არ შეირთავდა. მაგრამ ახლა დაოჯახებულიცაა და ორი შვილიც შემოემატა. ეს ოჯახური სითბოა, ფარვიზს რომ დარდს ავიწყებს. იგი ყველაფერ ამას თავის ბიჭებს უმადლოდა. მათ პატარაობაშივე მამა ამოირჩიეს, ყველა ტკივილს გაუძღვეს და ამით მამის განუყოფელ ნაწილად იქცნენ.

ზოგჯერ ფარვიზი გულის სიღრმეში მალაჰათსაც მიუტევებდა ხოლმე. ის რომ გზას ასცდა, ამაში თავის თავსაც ამტყუნებდა და თავს ანცურ სისუსტეს უსაყვედურებდა. როცა მძღოლმა უამბო, რომ მალაჰათი ბავშვებს სკოლაში ხვდება, ჯერ გაწყრა, მერე კი ამ ბოლო დროს ბავშვების თვალებში გაჩენილი სიხარულის ნაპერწკალი გაიხსენა და მიხვდა ამის საბაბს. ამიტომაც ბიჭებს არაფერი უთხრა. გულში მიემხრო კიდეც დედისა და შვილების ამ მალულ შეხვედრებს. მალაჰათს ყოფილი ქმრის დებთან არ გაეწყვიტა ურთიერთობა. დები ზარიფას არ ერიდებოდნენ და მალაჰათის უბედურებაზე უყვებოდნენ, ეუბნებოდნენ რომ იგი ძლიერ ნანობს თავის საქციელს და რომ ბავშვების დარდი აღარ იცის, რა ქნას. ზარიფაც უცნაური ქალი იყო. როცა ამ ყველაფერს ისმენდა, გული უჩუყდებოდა და თვალზე მომდგარ მწარე ცრემლს იწურავდა: „ფარვიზ, ცოდოა, გაუშვი ბავშვებმა კვირაში ერთხელ დედა მოინახულონ...“ შენ ნუ ჩაერევიო, უთხრა! — მართალია, ფარვიზი წუთით ხვდებოდა მალაჰათის მდგომარეობას, იგი ეცოდებოდა, მაგრამ ღალატს ვერაფრით პატიობდა: სულ რომ არაფერი, იმ წუთში თავისი ორი შვილი მაინც გახსენებოდა, მათთვის მაინც გაეწია ანგარიში. მალაჰათი ხომ დედა იყო, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ჯერ შვილებზე უნდა ეფიქრა. ახლა გაახსენდა, როცა შვილები სადედინაცვლოდ გაიმეტა?! გულგატეხილნი დაიზარდნენ ელშანი და ელხანი. ფარვიზს მალაჰათის ისე სჯეროდა, რომ ვერც წარმოიდგენდა მის ღალატს. ეს რომ სცოდნოდა, სამუშაოდ არც მოაწყობდა. აბერ ზარიფაც მუშაობს, მერე რა? განა ყველა, ვინც მუშაობს, გზასაცდენილია? მაგას სისხლში ჰქონია და, შინ რომ იჯდა, ამიტომ არ ემჩნეოდა. ესაა და ეს, მეტი არაფერი!!! ნეტავ მის ამ სისუსტეს ფარვიზი თავიდანვე მიმხვ-

დარიყო და სამუდამოდ შიდა პატიმრობაში ჰყოლოდა. ბავშვებსაც დედის დარდით არ გასტანჯავდა, ცოცხალი დედის შემყურენი დედით ობლებად არ იქცეოდნენ.

ბიჭებთან ერთად ფარვიზის დაფლეთილი გულიც დაობლდა. ფარვიზი არ გასლდათ იმ კაცთაგანი, რომელთაც მალ-მალე შეუყვარდებათ ხოლმე ვინმე, მას მალაჰათი გულით უყვარდა და ამ სიყვარულის სილრმე, მალაჰათი რომ დაკარგა, მას მერე უფრო იგრძნო. ამ გრძნობამ გული დაუოუთქა. წლები გავიდა, მაგრამ ეს გრძნობა არ დაუძველდა. მიუხედავად იმ ქალისადმი უსაზღვრო სიყვარულისა, ვერ აპატია, თითქოს მასზე ფიქრსაც კი ემდუროდა.

●

ზარიფამ თავისი ცხოვრება მსხვერპლგაღებითა და ერთგულებით განვლო, მაგრამ ეს მსხვერპლგაღება მხოლოდ მან თავად იგრძნო. ეს არც შვილობილებმა, არც ქმარმა და არც მულებმა არ დაუფასეს.

თითქოს საბაბიც არ ჰქონდა, რომ ცხოვრებით უკმაყოფილო ყოფილიყო. როგორც კი მცირე უკმაყოფილებას გამოხატავდა, მაშინვე ბავშვები აიბუსხებოდნენ და ქმარს კოპი ეკვროდა, მულები კი პირში არაფერს ეუბნებოდნენ, მაგრამ ზურგს უკან საყვედურობდნენ: „მადლობელიც არაა, რომ ოჯახის და ქმარ-შვილის პატრონად ვაქციეთ. ჩვენ რომ არა, ალბათ დღემდე შინაურასავით მერჩებოდა მამისეულ კერიას“. ის კი მართალი იყო, რომ იგი ქმარშვილიან ქალად აქციეს. ზარიფას მონაპოვარი ხომ სწორედ ეს პატარები იყვნენ. ერთი ეგაა, ზარიფას შიგადაშიგ ეჩვენებოდა, რომ მის ნაშობ-გაჩენილებს ისე არ ელოლიავ-ეფერებოდნენ, როგორც ეს საჭირო იყო. თითქოსდა ქმრის ნათესაეების მხრიდან მათ სიყვარული და ყურადღება აკლდათ. ამიტომაც ზოგჯერ თავს ვერ იკავებდა და აბუზღუნდებოდა ხოლმე. თუმცა ამას ხეირზე უფრო ზიანი მოჰქონდა. ეგ კი არადა, როცა ზოგჯერ მეობაგათელილი სულიერ ტანჯვას ვერ უძლებდა, უნებლიეთ გაიფიქრებდა ხოლმე, ისეთ ქმარს უქმრობა და მამისას შინაბერობა სჯობდაო. გულს ისიც სტკენდა, რომ ქმრის სიყვარულსაც ვერ გრძნობდა. ზარიფას, რომელსაც ცხოვრებაში ფარვიზის გარდა კაცი არ ჰყოლია, ქმარი გულწრფელად უყვარდა. რას აღარ შვრებოდა, რომ მის თვალში მომხიბვლელი გამოჩენილიყო. ღამის საცვლებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. იმისათვის, რომ ფარვიზის ყურადღება მიექცია, თითქმის ყოველდღე იცვლიდა პერანგებს. მაგრამ ფარვიზი ქვასავით იყო. ეს ორი ბავშვიც რანაირად გაუჩინა, არ იცოდა. ქმრის გულგრილობა ქალს ტანჯავდა და აწამებდა. როცა ხედებოდა, რომ მისი ჭკუა-გონება კვლავ პირველ ცოლთან დაჰქრის, ბრაზისაგან ცეცხლი ეკიდებოდა. ასეთ წუთებში მალაჰათისადმი ზიზღით ივსებოდა. ყველაზე მეტად იმ ქალებისა შურდა, რომლებიც ქმრის ყურადღებითა და სიყვარულით იყვნენ გარემოცულნი. ფარვიზზე ძლიერ რომ მოუვიდა გული, რა ექნა მალაჰათს, ასეთი ცივი და პასიური მამაკაცების ცოლები, რასაკვირველია, სხვაგან დაიწყებენ თბილი საბუდრის ძებნასო, — გაიფიქრებდა ხოლმე. „ყვე-

ლაფერში თავად ყოფილა დამნაშავე!..." — კვერს უკრავდა თავისსავე ფიქრს. თუმცა მერე „ღმერთმა გვაშოროს", ფიქრდამფრთხალი დასძენდა. გეგონება, მალაჰათის თავსგაღამხდარი ამ წუთში ბევრაც გაღახდებოდა. და მალაჰათის საცოდავ მდგომარეობას რომ ფიქრში გაისიგრძეგანებდა, თავისი მდგომარეობის გამო ღმერთს მადლობას სწირავდა. მას ეს ოჯახი, ყველაფრის მიუხედავად, უყვარდა. შვილობილებს ღვიძლი შვილებივით ეპყრობოდა. როცა ხედავდა, რომ ელხანი და ელშანი თავიანთ პატარა და-ძმას სიყვარულით ეალერსებიან, სიხარულით ცას ეწეოდა ხოლმე. ზარიფასა და ამ ბიჭებს შორის რაღაცნაირი მეგობრული ურთიერთობა სუფევდა. გულისნადებს ფარვიზზე უწინ ზარიფას უმხელდნენ. ზოგჯერ კი საწყალი ფარვიზი საერთოდაც განზე რჩებოდა. ახლა ზარიფა ფარვიზთან ერთად სამაჭანკლოდ მიდიოდა, რათა უფროსი ვაჟის გულისსწორის მშობლების თანხმობა მიეღო და საპატარძლოსათვის თითზე ნიშნობის ბეჭედი წამოეცვა. იგი ამ წამის ბედნიერებით იყო აღვსილი. მათი ოჯახი უკვე ბოლომდე ჩამოყალიბებულ-განმტკიცებულიყო. მაგრამ თვითეულის გულნადები გულნადებად რჩებოდა.

●

მას მერე, რაც მალაჰათს ის უბედურება გადახდა, თხუთმეტი წელი გასულიყო. ბიჭები დაზრდილიყვნენ, მისი უფროსი ვაჟი უკვე ინიშნებოდა. მალაჰათს ეს სიხარულსაც ჰგვრიდა და სევდასაც. სევდას იმიტომ, რომ ბავშვები თავად ვერ დაზარდა, სასწავლებელში თვითონ ვერ გაგზავნა და დედობრივი მზრუნველობა მოაკლო. ვერც ქალი შეურჩია და ვერც ნიშნობის ბეჭედი წამოაცვა თითზე. ყველაფერი უმისოდ მოხდა. არ იცოდა, ვისთვის დაებრალებინა ყველაფერი ეს, ღმერთისთვის თუ კაცისთვის. მაგრამ იგი ხომ ყველაზე მეტად გაიტანჯა და ყველაფერი დაკარგა. მართალია, მალაჰათის მეორე ქმარი რუსთამი სნიერი იყო, მაგრამ ძალზე კარგი პიროვნება გახლდათ. მისთვის ეთქვათ, რომ მალაჰათი პირველ ქმარს უსაფუძვლო ეჭვიანობის ნიადაგზე გასცილდაო. მას კი ეს ნათქვამი ეჭვშეუვალ ჭეშმარიტებად მიეღო, რუსთამს გული შესტკიოდა მალაჰათზე, რომელსაც თვალებში უსაზღვრო სევდა ჩაგუბებოდა, ამ დიდ სახლში ვერ ეტეოდა და გული და გონება მუდამ საღლაც ეწეოდა. ზოგჯერ თავისთვის, ზოგჯერ კი მალაჰათის გასაგონად ჩაილაპარაკებდა ხოლმე: „ეს რა ვირი ვინმე ყოფილა, არ უშვებს, რომ ბავშვებმა ზოგჯერ დედაც მოიხახულონ". ამგვარ ლანძღვა-გინებას მალაჰათი ხან წაემხრობოდა, ხან კი ლამის რუსთამისთვის სიტყვა გაეწყვეტინებინა და ფარვიზს მიმხრობოდა. ასეთ წუთებში თავს ძლივს იკავებდა. როგორც მაშინ, როცა ფარვიზთან ცხოვრობდა, დედამისი ან ძმები ფარვიზზე აუგს თუ იტყოდნენ, ბრაზობდა და ქმარს უჭერდა მხარს. ფარვიზი დამნაშავე იყო თუ არა, ამას არაფითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მის აუგს არავის ათქმევინებდა. ფარვიზიც არავის ათქმევინებდა მალაჰათის შესახებ რაიმე ცუდს. მუდლები აბბობდნენ, ახლაც ეგრეა, მისი თანდასწრებით ვერავინ, ზარიფაც კი მალაჰათს აუგად ვერ მოიხსენიებსო. ერთხელ გულმოსულ ზარიფას მალაჰათზე აუგი წამოს-

ცდა. ფარვიზმა სიტყვა გააწყვეტინა და მკაცრად მიუგო: „იგი გამოუცდელობის მსხვერპლი გახდა“. მას მერე ამის შესახებ კრინტი არავის დაუძრავს. როცა ეს ამბავი მალაჰათის ყურამდე მივიდა, გული სინანულით და ფარვიზის მიმართ თაყვანისცემის გრძნობით [illegible] „ფარვიზმა რაც არ უნდა მიყოს, ღირსი ვარ, — თქვა, — [illegible] დავიქციე და თავისით წაქცეულმა არც უნდა იტიროს“. კიდევ კარგი, რომ ყოველივე ამის შემდეგ ბედად რუსთამივით კაცი შეხვდა. იგი მალაჰათს უგებდა, გული შესტკიოდა და ამიტომაც აგინებდა ფარვიზს. თავადაც სურდა მალაჰათის შვილების ნახვა, მოფერება და მათთან საუბარი. მათი ფოტოები ენახა, მალაჰათიც ხომ ერთთავად მათზე ლაპარაკობდა. რუსთამს არ ენახა ეს ბიჭები, მაგრამ მათდამი მშობლიურ გრძნობას განიცდიდა. ერთხელ ისიც კი გადაწყვიტა, რომ მივიდეს ფარვიზთან და კაცურად დაელაპარაკოს, მალაჰათის უფლებები დაიცვას და მოსთხოვოს ის, რაც ამ უმწეო ქალს ეკუთვნის. მაგრამ შეშინდა, ვაითუ ამით მალაჰათს გული ვატკინოო, და გადაწყვეტილება შეიცვალა. თუმცა ამქვეყნად ალბათ ყველაზე მეტად ფარვიზი სძულდა, რომლის სახელი გაეგონა, მაგრამ სახეზე ერთხელაც არ ენახა. ეს ასე იყო, მიუხედავად იმისა, რომ მასთან ფარვიზის აუგი არავის ელაპარაკა.

რუსთამს ორი ასული ჰყავდა, ორივე — გათხოვილი. რუსთამი მათ უკრძალავდა ჩარეულიყვნენ მალაჰათის საქმეში, რომელსაც ცხოვრებამ ისედაც დაღი დაასვა. ამ ქალის მიმართ მის გულში სიყვარულთან ერთად შემწყნარებლური გრძნობაც გაჩენილიყო. იგი ძალიან ეცოდებოდა. შვილებს მოცილებული ეს ქალი ამ ქვეყნიერებაზე ყველაზე უბედური არსება იყო რუსთამის თვალში. სინამდვილეში იგივე გრძნობა მალაჰათის გულშიც ბუდობდა. ათასში ერთხელ მალაჰათს რომ მოეღიმარს დაინახავდა, რუსთამი სიხარულით ცას ეწეოდა და მზესავით იბადრებოდა. მისი აზრით მალაჰათს რაიმე ცოდვაც რომ ჩაედინა, მისი შვილებისგან მოწყვეტა მაინც ულმერთობა იქნებოდა. მით უმეტეს, რომ მას ახლა ნამუსიანი ოჯახი და რუსთამისთანა ქმარი ჰყავდა.

ის, რომ რუსთამი შეძლებული კაცი იყო, მალაჰათს უზრუნველი ცხოვრებისათვის ყველა პირობას უქმნიდა. მაგრამ ეს ყველაფერი ქალს არად ულირდა. რუსთამის სახლში მისი სხეული ცხოვრობდა, სული კი ვერ მკვიდრდებოდა. სული შვილებთან ჰქროდა. ზოგჯერ ქალის მშობლებზე კაცი გამწყრალი გაიფიქრებდა: „მალაჰათი ასე მალე რომ არ გაეთხოვებინათ, შეიძლება ქმარს შერიგებოდა კიდეც“. რა იცოდა, რომ ასეთი აზრი თავად მალაჰათსაც გაუელვებდა ხოლმე. ქალი გულის სიღრმეში ემდუროდა მშობლებს სწორედ იმის გამო, რომ ასე ხელდახელ გაათხოვეს. ვინ იცის, ფარვიზს ბავშვების მოვლა-პატრონობა რომ არ გასჭირებოდა, ეგებ ზარიფას თხოვნა აზრადაც არ მოსვლოდა და მალაჰათი დაებრუნებინა შინ. საქმე საქმეზე თუ წავიდოდა, მალაჰათი მუსლებში ჩაუვარდებოდა ქმარს, შეევედრებოდა, სთხოვდა, რომ ის მიუტევებელი ცოდვა შვილების ხათრით ეპატიებინა. აპატიებდა კი? ზოგჯერ მულებიც ეუბნებოდნენ, ტყუილად აჩქარდი და ეგრე მალე გათხოვდიო. ვითომ რომ არ გათხოვილიყო, ყველაფერს მოაგვარებდნენ. მალაჰათმა იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. ფარვიზი მას ყველაფერს აპატიებ-

და, ღალატს კი — ვერა! ახლა ისიც არ იყო ურიგო, რომ ავად თუ კარგად ქმარი ჰყავდა. უქმროდ რომ დარჩენილიყო, ვინ იცის, როგორ გაჭორავდნენ. მაშინ შვილებსაც ველარ მოინახულებდა. ახლა კი იგი საზოგადოებაში ცნობილი პიროვნების კანონიერი ცოლი გახლდათ. დღეს-ხვალ ბიჭები რომ დაოჯახდებიან, მათთან მიმოსვლას დაიწყებს, ზოგჯერ შვილიშვილებს თავისთან მოიყვანს და იმ ფულსაც ეტოვებს, რომელიც შვილებს ვერ მისცა, შვილიშვილებს უწილადებს, მალაჰათი ასეთ ბედნიერ დღეს მოუთმენლად ელოდა. მთავარია, ღმერთმა რუსთამის თანადგომა არ მოაკლოს.

რუსთამი ხანდაზმული იყო და შაქრის ავადმყოფობა სჭირდა. მალაჰათი მთელი დღე მზრუნველობას არ აკლებდა. ამ ძნელბედობის ჟამს რუსთამი მის უახლოეს მესაიდუმლედ ქცეულიყო. თავისი დამამშვიდებელი ჩაგონებებით ცხოვრებაზე გულაყრილი ეს ქალი მრავალჯერ შემოუბრუნებია ცხოვრებისაკენ. „მოთმინება იქონიე, მალაჰათ, მოთმინება ყველაფერს კურნავს. დრო დადგება, შენი ბიჭები მოვლენ და მოგძებნიან. ჯერ დაოჯახდნენ. ისეთი კოხტა-ფუნჩულა შვილიშვილები გეყოლება, მათ როცა მოეფერები და გულში ჩაიხუტებ, ყველაფერი დაგავიწყდება“.

ასეთი ადამიანური დამოკიდებულება მალაჰათს ღვიძლი ძმებისგანაც კი არ ახსოვდა. ძმებს მისი დანახვაც კი ეზარებოდათ. მან ხომ თავისი აუგი საქციელით კაცური გრძნობა შეულახა მათ. მაგრამ უფროსი ძმის ასულმა ქორწინებიდან ზუსტად ოთხი თვის თავზე რომ იმშობიარა, ძმას ენა მუცელში ჩაუვარდა. ამბობდნენ, შიგადაშიგ სიძისას დაიარება და შვილიშვილს ტკბილ-ტკბილად ეთამაშებაო. ეგ რომ მალაჰათს ჩაედინა, მის ნაშობს ალბათ უკანონოდ გაჩენილის დამღას დაადებდა და სათოფეზეც არ გაეკარებოდა. მალაჰათსაც, როგორც ახლა, ხმას არ გასცემდა და შემთხვევით შემოყრილი ცხვირს აიბზეკდა და ისე ჩაუვლიდა. თავად ღირსების განსახიერებასავით თვალს ერთ წერტილს გაუმტერებდა, მალაჰათს კი უხერხულობის გრძნობა დასწვავდა, და მის მკაცრ მზერას რომ მორიდებოდა, კუთხე-კუნჭულს დაუწყებდა ძებნას. რამეთუ სისხლს უყინავდა ის მზერა, ზაფხულის პაპანაქებაშიც კი ძვალრბილში ატანდა.

მალაჰათს ბავშვობის დროინდელი ამბავი გაახსენდა: დედის შერყეული ჯანმრთელობის გამო მამა მას ყოველწლიურად თბილ წყლებზე აგზავნიდა. ბუნებრივია, დედას პატარა მალაჰათი და ბიჭებიც თან მიჰყავდა ხოლმე. ისინი ყოველ ჩასვლაზე ერთსა და იმავე სახლს ქირაობდნენ. მასპინძელი მამის ახლო ნაცნობი იყო. ერთხელ დიასახლისმა თავისი ქმრის შესახებ უცნაური ამბავი მოჰყვა. თურმე ნუ იტყვი, ეს სახელმოსანი, მოსიყვარულე ბიძია ნამდვილი მკვლელი ყოფილა. მას თავისი ღვიძლი დაიკო მხოლოდ იმიტომ მოუკლავს და მდინარეში გადაუგდია, რომ ეს უკანასკნელი თავის შეყვარებულ ბიჭთან ერთად გაპარულა. მალაჰათმა ეს რომ გაიგონა, გულში შიში ჩაებუდა და მოსიყვარულე ბიძას, რომელსაც მანამდე ყოველდღე ღიმილითვე ეგებებოდა, იმ დღიდან მოყოლებული ემალებოდა. შემთხვევით თუ შეეჩეხებოდა ამ პირმოსანი კაცს, უნებლიეთ თვალს არიდებდა. უფრო დიდი

უბედურება კი იმაში მდგომარეობდა, რომ ამ ბიძიას შინ სამი ქალიშვილი ეზრდებოდა. უფროსი ასული უკვე მომწიფებულიყო. მალაჰათი შიშობდა, ერთ-ერთი ეს ასულთაგანიც თავის რჩეულთან ერთად რომ გააპაროს, მასაც იგივე ბედი ეწევაო. სწორედ იმ ხანებში ამ კაცის უფროსი ქალიშვილი გაიპარა. ყველა დაძაბულობამ მოიცვა. კაცი თავის ასულს რას უზამდა, არავინ იცოდა. ან მოჰკლავდა ან საძულაძოდ მოიკვეთდა. სხვა რა შეიძლებოდა მომხდარიყო. მალაჰათს შეეცოდა უმწეობისგან და შიშისგან ატირებული დიასახლისი. გაიფიქრა, როცა გაიზრდება, არ გაიპარება, დედას არ აატირებს. რა იცოდა, რომ...

კაცმა თავის ცოლს შეუღრინა: „რას სლუკუნებ! ჩაიცვი, წავიდეთ ბავშვთან!“ ქალს ცრემლები წამსვე შეაშრა, გამოეწყო და ქმარს გაჰყვა. მათ დაბრუნებას ყველა მოუთმენლად ელოდა. დამწუხრებული მალაჰათი კი ამ ოჯახის ყველაზე ლამაზი ასულის ცხედარს მოელოდა. თვალზე მომდგარ ცრემლის ნიაღვარს ძლივს იკავებდა. ცოლ-ქმარი იმ ღამეს გვიან დაბრუნდა. კაცი უჩუმრად გაემართა თავისი ოთახისკენ. ქალს კი თვალები ულიმოდა. იქ მყოფთ უხმოდ ანიშნა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, და ქმარს მიჰყვა. შემდეგ ქორწილი, მიმოსვლა და დროსტარება ერთიმეორეს წაეწყო. ყოველწლიურად კურორტზე ჩასულებს ესმოდათ, რომ ამ კაცის ქალიშვილები ერთმანეთის მიყოლებით გაიპარნენ. ეს საქციელი თვითოეულს ეპატია. არადა, მან ამავე საქციელისათვის ღვიძლი და მოკლა და სული მარადიული ცოდვით დაიმძიმა. ეგებ დის მკვლელობას ნანობდა და ასულების საქციელს ამიტომ შეურიგდა? თუ შვილის სიყვარული ისეთი ძლიერი იყო, რომ მის წინაშე ყველა რისხვა უძლურდებოდა და მიტევება გარდაუვალი ხდებოდა?! ნუთუ ამ ძლიერ სიყვარულს შეუძლია, რომ ნამუსის გრძნობაც ჩაკლას?! ძმამ, რომელმაც თავის ასულს აპატია, მალაჰათი არა და არ შეიწყალა. არადა, ერთ დროს მალაჰათი უსაყვარლესი დაიკო იყო. დაც თავისი შვილივით რომ ჰყვარებოდა, უთუოდ აპატიებდა.

დედამ კი მხოლოდ ის მოახერხა, რომ თვალსა და ხელს შუა ვიღაც გამონახა და ფაციფუცით გაათხოვა, თორემ საწყალი ქალი ორი ვაჟისა და ქმრის საყვედურებს ვერ აუვიდოდა. მამამისის ძველი ჩვევა იყო, სახლში რაც არ უნდა გაფუჭებულიყო, ყველაფერი დედას ბრალდებოდა.

ეს საწყალი ქალი კი წელებზე ფეხს იდგამდა, მთელი დღე ცდილობდა, რომ ყველაფერი რიგზე ყოფილიყო და მისთვის საყვედური არ ეთქვათ. მართალია, მამას მალაჰათი შვილებში გამორჩეულად უყვარდა, ახლაც ყოველთვის იცავდა. უფრო მეტიც, როცა მალაჰათმა ის უმსგავსობა ჩაიდინა, თავისი ცოდვილი ასული კი არა, კვლავაც დედა გალანძღა. რა აღარ უთხრა, რა აღარ აკადრა. ვითომც მას წესიერად ვერ აღუზრდია ქალიშვილი. ვინც დაინდო ბავშვი, მუშტი ირტყა თავში, ეს ანდაზა რამდენიმეჯერ გაუმეორა. თვითონ მალაჰათს კი არაფერი უთხრა, გულში ჩაიკრა და მოგუდულად აქვითინდა. ჩემო უბედურო შვილო, ეს არ უნდა დაგმართნოდაო, ჩაიბურტყუნა. მალაჰათი კი გულამოსკვნილი ქვითინით აჰყვა მამის მოგუდულ ქვითინს. დედამაც ველარ შეიკავა თავი და, ჩემო ფუძემოშლილო შვილო, მოთქმა-გოდებას მო-

ჰყვა. მას აქვითინებული ქმარი არანაკლებ შეეცოდა, თანახმა იყო, ქმარს ყველაფერი მისთვის გადაებრალებინა, ოღონდაც თვითონ დამშვიდებულიყო. ოღონდაც კაცს არაფერი დამართნოდა, თორემ ორი ბანდელოსანი მიუსაფარი დარჩებოდა. ამ ქალის ყველაზე დიდი იმედი და საყრდენი ქმარი იყო. ქვეყნად მასზე ძლიერი არავინ ეგულებოდა. [illegible] ასეთი ძნელბედობის ჟამს უმისობა საშინელება იქნებოდა. [illegible] მას, მალაჰათიც მხოლოდ დედას უბედავდა საყვედურის თქმას. ბერდამწარებულს რამდენჯერ უთქვამს: „რა იყო, რომ ასე ფაციფუცით გამათხოვე?! ერთი ლუკმა პური არ გემეტებოდათ ჩემთვის?!“ დედა კი დამნაშავესავით პასუხობდა: „აბა რა მექნა?! უნდა დამეტოვებინე ეგრე გამოწათხოვარი, რომ ყველას გაეჭორ-გაეკენწლე?! მარტო შენი იმისცოლები რად ღირს! ახლა კი ვის რა უფლება აქვს შენზე რამე აუგი თქვას. ქმრიანი ქალი ხარ, დაოჯახებული. რუსთამი კაი კაცია. ცხონებული მისი ცოლიც კარგი ქალი იყო. რა ვქნათ ახლა, ყველას თავისი ბედი დაჰყვება. ეგეც რომ არ იყოს,ჩემო კარგო, თავისით წაქცეულს ტირილი არ ეგების. ფარვიზს კარგად ვიცნობ, იმ ამბის მერე ახლოს არ გაგეკარებოდა. შვილების გულისთვისაც კი არ გაგეკარებოდა. ვერ უყურებ, იმის მერე ყველას ფეხი ამოუკვეთა. ქმრიანი ქალი ხარ. ბავშვებს რატომ არ უშვებს შენთან? იმიტომ არ უშვებს, რომ ჯერაც ვერ გპატიობს იმ ულირს საქციელს“.

დედამისი მართალი იყო. ფარვიზი მას სიკვდილამდე ვერ აპატიებდა. ფარვიზი ერთგული მეუღლე იყო. რასაც შოულობდა, შინ მოჰქონდა და მალაჰათს ჩაუმარცვლავდა ხოლმე მუჭში. ფული რომ იშოვა, ზოგიერთებივით გზას როდი ასცდა, სხვა ქალებს როდი დაუწყო კურკური. როცა მისი ნაცნობი ქალები თავიანთი ქმრების მუსუსობასა და ფულების სხვა ქალებთან გაფლანგვაზე წუწუნებდნენ ხოლმე, მას შურით ეუბნებოდნენ: „შენ გაგიმართლა, ღმერთმა ასეთი პრობლემა არ გარგუნა, ასლობლის დაკარგვაც კი ამ დარდს ვერ გაუტოლდება“. მაგრამ მან ფარვიზს უარესი დარდი გაუჩინა. თავი როგორ მოატყუებინა ფირმის უფროსს; თვითონაც ვერ გაიგო, ისე უცებ აეწეწა მშვიდი დალაგებული ცხოვრება. ჟინაშლილ გრძნობათა გამო უმწეოდ დარჩენილი აცუნდრუკებულ კეკლუც გოგოდ იქცა. ძლიერმა გრძნობებმა, რომელთაც იმ კაცისადმი განიცდიდა, ქმარი შეაძულა. გაუკვირდა, იმ დღემდე როგორ ცხოვრობდა ფარვიზთან ერთად. ისე იყო ატაცებული, რომ ვერც ქმარს ამჩნევდა და ველარც ბავშვებს. ბოლო კი ასეთი ერგო. — მხოლოდ სამარემდე სატარებელი დარდი და სინდისის ქენჯნა შერჩა.

ქმარს როცა გაეყარა, მას დაურეკა. ყველაფერი დაწვრილებით უამბო. კაცი, რომელიც გუშინდლამდე ქვეყნიერებას პპირდებოდა, უცებ შეიცვალა. მეუღლე რომ ჰყავდა, მალაჰათს ისე აუწყა, თითქოს მალაჰათმა ამის შესახებ დღემდე არაფერი იცოდა. მერე ისიც დასძინა, რომ ცოლი ძლიერ უყვარს და მას ვერავისში გასცვლის. გუშინდლამდე კი მას მალაჰათის დარი არავინ ეგულებოდა. ნეღარ შემაწუხებო! — რომ უთხრა და ყურმილი დაუკიდა, გაოცებულმა მალაჰათმა ერთხანს ყურმილს ვერაფერი მოუხერხა. თითქოს გაქვავდაო, ვერც იძვროდა და ვერც ფიქრობდა. ამ სატელეფონო საუბრის შემდეგ იგი სამი დღე გონს

ვერ მოეგო, მადაც წაერთვა და ლაპარაკის უნარიც. ვერც ვერავის ამ-ტყუნებდა ყოველივე ამის გამო. გამტერებული თვალებით შეჰყურებდა ასევე გაუბედურებულ მშობლებს. მოგვიანებით კი მის ცრემლებს საკუთარი თავისადმი სიძულვილიც დაემატა. მასში იმ კაცისადმი სიძულ-ვილმაც ჩაიბუდა, რომელმაც ოჯახი მოუშალა და მერე გაბითურებულ! ისიც უთხრა, რომ მასზე გაცილებით ლამაზი ცოლი ჰყავს და მალაქათი მის ფრჩხილადაც არ ღირს. შეაჩვენა და ღმერთს მისგან მისი ხაკალ-რისი საზღაური. საყვარლის მოიმედე უქმროდ დარჩებაო — ეს ანდაზაც გაახსენა ბედმა. ნახე, ფარვიზისნაირი კაცი ვისზე გაცვალა? — ფარვი-ზის შეუმწყნარებლობა არ უკვირდა. პირიქით, მას რომ ეპატიებინა, ის გაუკვირდებოდა.

ახლახან დედამისმა გული დაქალივით გადაუხსნა და მალაქათს თა-ვისი ერთი უცნაური საიდუმლო გაანდო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ბავ-შვები პატარები იყვნენ, მამა ერთ ქალს შეუცდენია. დედას ამის შესა-ხებ თურმე ბევრჯერ ჩააწვეთეს, მაგრამ არ სჯეროდა. ბოლოს იმ ქა-ლის ბინის მისამართი მიეცათ და ეთქვათ, თუ არ გჯერა, მიდი და უთ-ვალთვალეო. თურმე ქმარიც ყოველდღე რაღაცას იმიზეზებდა და შინ გვიან ბრუნდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს, ქმარი სამსახურიდან რომ უნ-და გამოვიდეს, იმ დროისათვის მორთულ-მოკაზმულა, ბავშვები დისთ-ვის ჩაუბარებია და სწორედ იმ მითითებულ მისამართზე სადარბაზოს-თან დამდგარა. ერთიც ვნახოთ და, მეუღლის მანქანა სწორედ მის წინ გაჩერებულა. კარი გაღებულა. ჯერ თავად ჩამოსულა, მერე კი მეორე კარი გამოუღია და მანქანიდან უაღრესად მედიდური ქალბატონი ჩამო-უყვანია. ამ სცენის შემყურე დედა დაბნეულა. იგი ჰყვებოდა: „ადგილ-ზე ისე გავქვავდი, რომ კრინტიც კი ვერ დავძარი. უეცრად მან თავი ასწია და დამინახა. ფერი ეცვალა. მაგრამ ვითომც აქ არაფერიო, იმ ქალს ხელი არ უშვა, ასე ხელკავით ჩამიარეს. მე კი მეგონა, როცა და-მინახავს, ქალს ხელს უშვებს, ჩემკენ გამოქანდება და პატიებას მთხოვს, ხვეწნა-მუდარით ფეხებში ჩამივარდება. მე, რა თქმა უნდა, მის თხოვ-ნას ყურად არ ვიღებდი. მაგრამ ასე არ მოხდა. გაოგნებული რამდენ ხანს ვიდექი, არ მახსოვს. მერე გიჟივით ქალაქში რამდენი ვიხეტიალე, არც ეს მახსოვს. არც ის ვიცი, შინ როგორ დავბრუნდი. მარტო ის ვიცი, ჩემმა დამ რომ დამინახა, ადგილზე გაქვავდა: „ეს რა დღეში ხარ, ქალო? ხომ არ...“ აზრი ველარ დააბოლოვა. ისე ავქვითინდი, რომ სიტყვა გაუწყდა.

ამ ამბის შემდეგ, მართალია, ისინი ოფიციალურად არ გაყრილან, მაგრამ მამას ორი წელი იმ ქალთან უცხოვრია. და ერთ მშვენიერ დღეს კი, როგორც წავიდა, ისე დაბრუნებულა. ვერავის გაუგია, ვის მობეზ-რებია, ქალს თუ კაცს? ზოგმა თქვა, კაცი სამსახურიდან რომ დაითხო-ვეს, ქალმა იმიტომ გამოაგდოო. მამა კი თავის მხრივ იფიცებოდა, ჩემი საქციელი ვინანე და ოჯახს დავუბრუნდიო. დედისთვის კი ამას არავი-თარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო, რომ ქმარი დაუბრუნდა. ქალს ნათესავების შემწეობით ბავშვების რჩენა მობეზრებული ჰქონდა. მარტოხელა დედის ტვირთის სიმძიმე ამ დროისათვის უკვე კარგად ეგე-მნა. „დედა, შენ აპატიე მამას?“ დედამ ამოიოხრა: „ღალატი ისეთი რა-

მაა, ვერავის აპატიებ. ვერც დაივიწყებ. მაგრამ თქვენ მამა გჭირდებოდათ. თქვენ რომ დაიბადეთ, იმ დღიდან მოყოლებული მხოლოდ თქვენთვის ვცხოვრობდი. მამათქვენს ყოველთვის თავს დავფიფინებდი, ღმერთმა არ ქნას, რამე რომ მოუვიდეს, ბავშვები უმამოდ დარჩებიან-მეთქი. ჩემი თქვენდამი სიყვარული ჩემს მეობას აღემატებოდა. ცხოვრებაში მრავალი ახლობელი დამიკარგავს, დროს ყველა ის ჭრილობა მოუშუშებია, მაგრამ ღალატით მოყენებული იარა მოუშუშებელია".

დედის სიტყვებმა მალაჰათი შეაძრწუნა. თუ ქალს არ შეუძლია ღალატის პატიება, აბა ამას კაცი როგორ შესძლებს?! ესე იგი, მან ფარვიზს განუკურნავი ჭრილობა მიაყენა.

იგი ზოგჯერ იმაზე ფიქრობდა, ნეტავ მაშინ, მამა თავის საყვარელთან ერთად რომ დედას შეეჩეხა, რა იგრძნო, ნეტავ თუ განრისხდა? თუ ცოლი შეებრალა? აქაოდა, რატომ ესაა ჩემი გულის რჩეული და არა კანონიერი ცოლიო? ერთხელ ეს დედას ჰკითხა. მამაშენი ამბობს, რომ თავი ეგეთი უძლური, უმწეო არასოდეს მიგრძვნია. ტვინი გამეყინა. შენ როგორ ჩაგიარე და სადარბაზოში როგორ შეეედი, არ მახსოვს. შენ რომ შეგხვდი. იმ ქალისთვის არ მითქვამს. არ მინდოდა მასთან დამემცირებინე. შენთან მოსაბრუნებელი პირი აღარ მქონდა. ვერც მას ვთმობდი. შენ რომ ეს ამბავი არ გაგეგო და იმ დღეს პირისპირ არ შემომყროდი, ყველაფერი ძველებურად გაგრძელდებოდაო, მითხრა. დედაც ნანობდა, რომ ქმარს სადარბაზოსთან ჩაუსაფრდა. იმიტომ ნანობდა, რომ ამით საქმეს უფრო ავნო. მას მერე ნათესავთაგან ვინმე თავისი ქმრის ღალატის შესახებ თუ ეტყოდა, მაშინვე გააფრთხილებდა ხოლმე: „არავითარ შემთხვევაში არ უთვალთვალო, ეგეთი ურთიერთობები ისედაც დღემოკლეა ხოლმე. კაცს არ უნდა ჩაუსაფრდე, ეს ძლიერ სასიფათოა". მე გადამხდა თავსაო, სხვას ავაცდენ ავსაო — ასეთი პრინციპით ცხოვრობდა.

ზოგჯერ მალაჰათი დედას ძლიერ რომ მოაბეზრებდა თავს, ქალი თავისთვის ჩაილაპარაკებდა ხოლმე: „რაც გამიჩნდა ქალს შვილი, აღარა მაქვს საშველი. არ მგავს ეს გოგო და რა ვქნა. პირწავარდნილი მამამისია, რაც მამამ დამაკლო, ის ამან ამინაზღაურა. არადა, მთელი ცხოვრება ამათ შევწირე". როცა დედამისი ამბობდა „პირწავარდნილი მამაა", მალაჰათმა იცოდა, დედა რას გულისხმობდა, მამასთან რომელ მსგავსებაზე მიანიშნებდა. მან იცოდა, რომ დედა მართალი იყო, მაგრამ ასე ფაციფუცით რუსთამზე გათხოვებას დედას მაინც ვერ პატიობდა. თანაც ახლაღა გრძნობდა, რომ მხოლოდ ფარვიზი ყოფილა ის კაცი, რომელიც მართლა უყვარს. მართალია, ბავშვები ძლიერ ენატრებოდა, მაგრამ გუმანით ხვდებოდა, რომ ბავშვებზე არანაკლებ უფარვიზობა ჰკლავდა. მას ოჯახი უფარვიზოდ ვერც წარმოედგინა. და როცა გრძნობდა, რომ მათ ველარასოდეს გაეკარებოდა, უმწეობისგან სული ეხუთებოდა. სიმწრის ღვარძლს კი ვის მიანთხევდა, თუ არა დედას. თუმც დედა-შვილს ერთმანეთი როგორც არ უნდა გაემწარებინათ, ხუთი წუთის შემდეგ ერთმანეთის სულის მესაიდუმლეებად იქცეოდნენ ხოლმე. როცა მალაჰათი ფარვიზის ერთგულებას უსვამდა ხაზს, ქალბატონი

შუქუფა ბრაზობდა, ფარვიზიც კი ჩუმჩუმელა ვილაცაამ. ამაზე კი მალაჰათს მოსდიოდა ბრაზი.

ერთხელ შუქუფამ უცნაური ამბავი მოუთხრო. ეს ამბავი იმდენად უჩვეულო ყოფილა, რომ ერთხანობას შუქუფასაც გასჭირვებია გოზს მოგება. ამიტომაც მხოლოდ მალაჰათს გაანდო. მალაჰათი [illegible] მხრივ შეპირდა, რომ არავისთან გაამხელდა, ბავშვების თავი [illegible] დედა დაარწმუნა. სხვა რამეზე რომ დაეფიცა, შუქუფას ვერ დაარწმუნებდა. თურმე დედა ხსოვნის დღეს ახლობელთა სულების მოსახსენიებლად სასაფლაოზე გასულა. უეცრად იქვე ახლოს თავისი დის ქმარი კეისარი შეუმჩნევია. დედასთან ერთად სხვა ქალებიც ყოფილან და იგი მიმხვდარა, რომ საფლავი, რომელთანაც კეისარი დგას, ახლობელთაგან არავის ეკუთვნის. უფიქრია, ალბათ ვინმე ნაცნობის საფლავიაო. მოკლედ, ლოცვასა და სულის მოხსენიებაში გართულ ქალს კეისარი რომ გახსენებია, იქით გაუხედავს და სადღაა კეისარი, წასულა. ერთი გაფიქრება კი გაუფიქრებია: „კეისარი თუ სულთა მოსახსენიებლად მოდიოდა, რატომ სამაიაც არ გამოიყოლა“, თუმცა გულში შეუფერებელი არაფერი გაუვლია. რამეთუ კეისარი არა მარტო ახლო ნათესაობაში, არამედ მთელ ნაცნობ-უცნობებში ნამდვილი ერთგულებისა და სიწრფელის განსახიერება იყო. მის შესახებ ცუდი ფიქრი შუქუფას თავში არც მოუვიდოდა, თანაც სასაფლაოზე. კარგი, მაშ სანათესაოს საფლავები რატომ არ მოინახულა? ალბათ მოგვიანებით მოინახულებსო, — თავი დაუმშვიდებია. ახლობელთა საფლავები პირველად თავად შეემკო ყვავილებით და იცოდა, რომ მანამდე არავინ იყო ნამყოფი. მოლასთვისაც უკითხავს, ჩემამდე ხომ არავინ იყოო და ვინმეს სულისთვის ხომ არ გალოცვინაო? არაო, — უპასუხნია მოლას, თუმცა იმ საფლავზე, რომელთანაც კეისარი იდგა, ყვავილები უნახავს. როცა მოლა იმ მიცვალებულის სულისათვის ლოცულობდა, ძნელი არ იყო შეემჩნევა იმ დიდი მწუხარებისა, რომელიც კეისარს აღბეჭდვოდა სახეზე. ირგვლივმყოფთ კეისარი ვერ ამჩნევდა თურმე. თან არცთუ ახალი საფლავი ყოფილა. კეისარს აქ ვინმე ახლობელი თუ განუსვენებდა, აბა სამაია, რომელიც ხანგამოშვებით შუქუფასთან ერთად სასაფლაოზე ამოდიოდა, განა იმ საფლავს არ მოინახულებდა?! არა, სამაიამ არაფერი იცოდა ამ საფლავის შესახებ. შუქუფას ისეთი ცნობისწადილი დაუფლებია, რომ როგორც კი ახლობელთა სულის მოხსენიება მოუთავებია, პირდაპირ იმ საფლავისაკენ წასულა. იგი ქალის საფლავი აღმოჩენილა. ქვაზე ამოჭრილი თარიღიდან გაუგია, რომ ათიოდ წლის წინ გარდაცვლილიყო. იმხანად ორმოცი წლისა ყოფილა. საწყალი მთლად ახალგაზრდა წასულაო — მის უდროოდ სიკვდილს შუქუფასთვის გული აუჩუყებია, ოღონდ საფლავის ქვაზე ქალის სურათი არ ყოფილა. მისი ამ საფლავით დაინტერესება რომ შეუმჩნევია, სასაფლაოს მსახურთაგანს უკითხავს: „დაო, ეს ქალი თქვენი ახლობელი ხომ არაა? დიდი ხანია აქ ვმუშაობ და დღემდე ამ საფლავს წელან აქ მდგომი კაცის გარდა მომნახულებელი არავინ ჰყოლია. მხოლოდ ისაა, ყოველწლიურად რომ ამოდის და მოლას მისი სულისათვის ალოცვინებს ხოლმე. აქ მას ყველა იცნობს. იგრძნობა, რომ ძვირფასი ვინმე დაუკარგავს. აღრე თვეში ერთხელ მაინც ამოდიოდა...“

თურმე შუქუფას გულმა რეჩხი უყო. ათი წლის განმავლობაში კაცს ახლობლის საფლავის მონახულებაც კი გაუჭირდებოდა. ახლა მისთვის ყველაფერი დღესავით ნათელი გამხდარა, აი, თურმე სამაიასთან ერთად აქ ამოსვლას კეისარი თავს რატომ არიდებდა. კეისარი სამაიას შუქუფას ან სხვა ქალებს გამოაყოლებდა ხოლმე. მას ... ბოლოსვლელობას კი ყოველთვის მისი გულჩვილობით ხსნიდნენ. ბედნიერი კაცი იყო კეისარი. მის ყოველ ნაბიჯს თავისებური გამართლება ჰქონდა.

სწორედ ამ გულჩვილ კეისარს სასაფლაოზე, სადაც ეს ქალი განისვენებდა, ვინ იცის, რამდენი ახლობელი ჰყავდა... მაგრამ კეისარს მხოლოდ ის მოუნახულებია და თვალსა და ხელს შუა გამქრალა, ვითომც ამ დუნიაზე იმ ქალის გარდა არავინ ეგულებოდა.

როცა შუქუფა მიხვდა, თუ ის ქალი რას ნიშნავდა კეისარისთვის, საშინელმა გრძნობამ მოიცვა. მას კეისარიც შეეცოდა და სამაიაც. გამოდის, რომ არავინ იცოდა, რა იძალებოდა ოჯახში, რომელიც ყველას სამაგალითოდ მიაჩნდა. ეს თვით სამაიამაც არ იცოდა, რომელიც ქმარს მუდამჟამ სიამაყით ახსენებდა და შუქუფას დროგამოშვებით დაუნდობლად შეაფუცხუნებდა ხოლმე: „ეგეთი ქმარი უკაბ როგორ მიიღე? მე, მაგალითად, არ მივიღებდი!“ რა თქმა უნდა, ხელწამოსაკრავი არ იყო გრძნობა, კეისარი რომ ათი წლის განმავლობაში სასაფლაოზე ამოჰყავდა. მის მაგიერ სამაია რომ მომკვდარიყო, კეისარი წლისთავს გადაუხდიდა და ამით თავს ვალმოხდილად ჩათვლიდა. მორჩა და გათავდა...

შენ ამ კაცის მარიფათს უკურე, რომ შესძლო და ამხელა სიყვარული ყველას დაუმალა. ამასთან ერთად ოჯახიც წესისამებრ მართა. საბოლოო ჯამში ყველა კმაყოფილი დარჩა — მეუღლეც, ბავშვებიცა და საყვარელიც. კეისარი, რომელიც წყნარი და უწესიერესი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა, თურმე ყველაზე დიდი მოღალატე და თაღლითი ყოფილა. ესე იგი, სამაია მთელი ცხოვრების განმავლობაში მოუტყუებიათ, მისთვის ღირსება შეულახავთ და, რაც მთავარია, როგორც ქალი, არასოდეს ჰყვარებიათ. კეისრისთანა კაცს ღალატისაკენ რამ უბიძგა, რამ აიძულა? — სიყვარულმა!... კეისარს რომ სამაია ბავშვებიანად მიეტოვებინა და ის ქალი შეერთო, მაშინ რას იზამდა... სამაია თანაბმა იქნებოდა?.. არა და არა...

მალაჰათი ახლაღა მიხვდა, რატომ იყო, რომ ამ ბოლო დროს, როცა ქალები. ერთად შეიყრებოდნენ და კეისარს ერთგულებასა და ოჯახის კაცობას უქებდნენ, შუქუფა არ ერეოდა და პირში წყალდაგუბებულივით დუმდა. კეისარის ერთგულებით აღტაცებულ ქალებს უწინდებურად ხმას არ უერთებდა. ქმრის ქებით ნასიამოვნებ სამაიასაც შიგადაშიგ გულისწყრომით გახედავდა ხოლმე. ადრე მალაჰათს ეგონა, რომ დედას თავისი დის გამარჯვება ქალური შურით შურდა. ალბათ გარშემომყოფნიც ამასვე ფიქრობდნენ. ეს კი არადა, ერთხელ მალაჰათმა დედას აქ-ის თაობაზე უსაყვედურა კიდეც, რაზედაც დედამ გულგრილად მიუგო: „მე რა უნდა შევუქო, ჩემი ქმარი ყველას სჯობს. კაცს ჩემი უჭკუობის გამო დავუწყე თვალთვალი, იმასაც მოვჭერი თავი და ლამის ოჯახიც დავინგრიე“.

დედამ ეს ამბავი რომ უამბო, მალაჰათმა შემზარავი სიმართლე მაშინ გაიგო. აი თურმე რაში ყოფილა საქმე, აი, თურმე დედა რატომ არ აქებდა და ადიდებდა კეისარს. მიხვდა, რომ შუქუფას კეისარის სრულიად ვილიც სცოდნია. რას იზამ, შუქუფას ბედი ყოფილა ახლობელთა ცოდვების გაგება და მიტევება.

ნეტავ ამ დათაგან რომელი უფრო ბედნიერი იყო, შუქუფა თუ სამაია? შუქუფამ ქმრის ღალატი შეიტყო და დროებით გაეყარა. ორწლიანი გაყრის შემდეგ კი კვლავინდებურად შეუღლდნენ და ერთ ოჯახად იქცნენ. შუქუფა მიხვდა, რომ ქმრის ნდობა არ შეიძლება. მისი თვალთვალიც მოიშალა და ბედს შეურიგდა. საწყალი ქალი ზოგჯერ ყველაფერს ივიწყებდა და ქმარზე ლაპარაკი სურდა, მაგრამ ასეთ დროს ყველა, უპირველესად კი სამაია გააჩუმებდა ხოლმე: „კარგი, კარგი, ნუ ქებ შენს ქმარს, ის დღეები რა მალე დაგვიწყნია?! თუ აგიცუნდრუკდა, სახლ-კარს კვლავაც მიატოვებს და წავა“. შუქუფა პირს მიიქუფრავდა ხოლმე და ეს ბედნიერი ქალი თვალს და ხელს შუა უბედურ ქალად იქცეოდა. ასეთ წუთებში მალაჰათს დედა ისე ეცოდებოდა, რომ გულში ემდუროდა ქალებს, რომლებიც დედას წამიერ ბედნიერებასაც კი უწლიდნენ.

სამაია კი ტკბილ ძილს მისცემოდა. ეგონა, მისი ქმრის თვალში ყველა ქალი ნულს უდრიდა და ბედნიერი ქალის როლში ისე ღრმად იყო შესული, რომ მალაჰათს სამაიაც შეეცოდა. ისიც კი გაიფიქრა, რომ მის ნაცნობ ქალებს შორის სამაია ყველაზე ბედკრული იყო.

ისე, მალაჰათიც დეიდა სამაიასავით ფიქრობდა.

ფიქრობდა, რომ ფარვიზს მისთვის არასოდეს ულალატნია. რატომ ფიქრობდა ასე? ფარვიზი რით იყო მამამისსა და კეისარზე ნაკლები? ან თვითონ რით სჯობდა დედასა და ლამაზ დეიდა სამაიას? ეგებ კეისარივით ფარვიზსაც ჰქონდა თავისი ცოდვები? ეგებ ერთ მშვენიერ დღეს ეგეც გამჟღავნდება?! მალაჰათს უსიამოვნო ეჭვის ჭია გაუჩნდა. ამ გრძნობამ ლამის აატირა. დაგლეჯა დაუპირა მოღალატე ფარვიზის რატს, რომელიც წარმოსახვაში შექმნა. ამან ისე შეაძრწუნა, თითქოს წარმოსახვა კი არა, სინამდვილე იყო, იგი კი მოტყუებული ქალი გახლდათ. ნეტავ სინამდვილეში მოტყუებულნი რას განიცდიან? სინდისის ხმამ მალაჰათი უკიდურესად შეაწუხა და, მაპატიეო, ამოისლუკუნა.

კიდევ კარგი, რომ ასე გულდარდიან მალაჰათს რუსთამისთანა კაცი შეხვდა. მალაჰათს თუ საჭმელი დაეწვებოდა, რუსთამი — არა უჭირსო, ამხნევებდა. მალაჰათი ჩაის ვერ დააყენებდა და რუსთამი — კარგიაო, მოუწონებდა. პერანგზე ღილს უშნოდ მიაკერებდა, რუსთამი — ისედაც არ ჩანსო, — ამშვიდებდა. არ ეკითხებოდა, სად იყავი, საიდან მოდიხარო.

რუსთამი ძალზედ მგრძნობიარე კაცი იყო. მალაჰათს ბევრ რამეს ის უხსნიდა. მართალია, თავისი ასულები ძლიერ უყვარდა, მაგრამ მალაჰათის აუგს არც ერთს არ ათქმევინებდა. სახლი უკვე გადაეფორმებინა მალაჰათის სახელზე. ამბობდა: „იქ სადაც დედინაცვალ-მამრობაა, მრავლად მინახავს ქონების გამო ატეხილი დავა. ღმერთმა არ ქნას, რამე რომ დაგემართოს, გარეთ გაგისტუმრებენ. ეს სახლი შენი კუთვნი-

ლებაა, ისედაც ერთხელ უკვე დაგტოვეს უსახლკაროდ". კვლავ ფარვიზის აუვს ამბობდა რუსთამი, ვინც დასანახავად ეზარებოდა. მალაჰათმა იცოდა, რომ მას ანდერძიც ჰქონდა დაწერილი. ვერ გაეგო, არცთუ ხანდაზმული ეს კაცი სიკვდილზე ამდენს რატომ ფიქრობდა. ვინ იცის, ეგებ მალაჰათი რუსთამზე ადრე კვდება? თურმე ნუ [illegible], რუსთამის დედას ფაახლოებით ასეთი ამბავი გადახდენია თავს. როგორც კი ქმარი გარდაცვლია, საწყალი ქალი გერებს მაშინვე გარეთ გამოუძევებიათ. რუსთამი, რომელიც კარდაკარ ხეტიალით გამოწვეულ ტანჯვას ვერ ივიწყებდა, ახლავე იღებდა საჭირო ზომებს. იცოდა, მას რომ რამე დაემართოს, ქალიშვილები ამოდენა სახლ-კარს მალაჰათისთვის ვერ გაიმეტებდნენ.

●

ვერ და ვერ გაეგო, საქმე რაში იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს, ვისაც რაიმე გულნადები და ახალი სამხილი ჰქონდა, მალაჰათს უშლიდა გულს. ნეტავ რატომ? ეგებ მალაჰათის თავსგადამხდარი იმ ამბის გამო? უეჭველად!... ნამუსიან ქალთან ხომ ასეთ რამეებს არავინ გაამხელდა. როგორც წესი, ქალთა ასეთი ტიპები ნამუსის საკითხში არავითარ დათმობასა და გამონაკლისს არ სცნობენ. მათ წინაშე მდგომთ ყოველგვარი განსჯის გარეშე დასასჯელად იმეტებენ. მათთან საუბრისას ყველაზე გზასაცდენილნიც კი იძულებულნი არიან ნამუსზე ილაპარაკონ, რამეთუ ამ ქალებისათვის, რომლებიც თავიდან ბოლომდე ნამუსის განსახიერებას წარმოადგენდნენ, რაც არ უნდა გეთქვა, როგორი მიზეზიც არ უნდა დაგესახელებინა, აზრი არ ჰქონდა. სანამ ის ამბავი გადახდებოდა, მალაჰათიც ამგვარ წრეს განეკუთვნოდა. მაგრამ დღეს... დღეს მისმა უახლოესმა დაქალმა თავისი აზრი უთხრა:

— მილა, შენ თავში ჭკუა არ გაქვს, შენი საიდუმლო თავადვე გაამხილე. განა გათხოვილი ქალების ცხოვრებაში მეორე სიყვარული იშვიათია? მაგრამ გააჩნია, ვინ როგორ მოუვლის ამას. ისეთებიც არიან, რომ ქმრებს ღალატობენ და არავინ იცის. ქმარი კი ასეთებს ფუფუნებაში ინახავს, როგორც იტყვიან, თვალისჩინივით უფრთხილდება. ისეთებიც არსებობენ, ამ გრძნობას რომ გულში იხშობს, ყველაფერს ბავშვებსა და ოჯახს ანაცვალებენ. მაგრამ ის, რაც გულში იხშობა, ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე მოსვენებას არ აძლევს, საშინელ ტკივილად ექცევა, ისე, როგორც ჩემს შემთხვევაში მოხდა.

— რაო? — მალაჰათი შეცბა, — ვითომ შენს ცხოვრებაშიც მოხდა მსგავსი რამ?

— მოხდა! — თაჰმინამ თავისქნევით დაუდასტურა. — გახსოვს, გასულ ზაფხულს საბირმა ბავშვებითურთ კისლოვოდსკში გამაგზავნა. თავად კი საამსახურიდან ვერ დაეთხოვა და ამიტომაც ვერ წამოვიდა. მისთვის მთავარი ის იყო, რომ ბავშვებს დაესვენათ. ხომ იცი, კაცებს სულ ბავშვებით უდგიათ. ღმერთმანი, ისინი ბავშვების კულისათვის ისეთ მსხვერპლს ვაიღებენ, რომ ახსნას ვერ მოუძებნი. რომ ჩაეძიო, კაცების უმრავლესობა ოჯახს ბავშვების გამო არ ანგრევს. ქალთან, რო-

მელიც არ უყვარს, შვილების გულისთვის რომ ცხოვრობს, განა ასეთები ცოტანი არიან.

მალაჰათს კვისარი გაახსენდა.

— მართალსა ბრძანებ, — უთხრა, — ნეტავ კი ადამიანს თავისი გულის მოთოკვა შეეძლოს. — ეს სიტყვები ისეთი სინანულით დასძინა, თითქოს თავისთავს ემდუროდა. თაჰმინამ მის ნათქვამს წაუყრუა და განაგრძო:

— ერთი ამბავი უნდა გიამბო, ეს შენ გარდა არავისთვის გამიმხელია.

— ჰო, კურორტზე იყავი წასული, — გაახსენდა მალაჰათს, — მერე და თქვი, რა მოხდა, მოთმინების ფიალა ამევსო.

თაჰმინამ თვალები ერთ წერტილს გაუშტერა და გაწყვეტილი ამბის თხრობას მოჰყვა:

— იქ დასასვენებლად ჩამოსულ ერთ ბიჭსა და ჩემ შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა, როგორც იტყვიან, ერთმანეთს ადვილად გავუგეთ. მერე ვიგრძენი, რომ ეს განცდები უფრო და უფრო მიორმაგდება. იმასაც ვგრძნობდი, რომ არც ბიჭი იყო ჩემდამი გულგრილი. ბუნებით თავგადასავლების მოყვარული ახალგაზრდა არ გახლდათ, თუმცა ძნელი არ იყო მის თვალებში დაგენახა ანარეკლი იმ ცეცხლისა, რომელიც გულში უგიზგიზებდა. თუ არა სიყვარული, რა აიძულებდა დრო ჩემთვის და ჩემი ბავშვებისათვის შემოეწირა.

ერთ საღამოს ბავშვებმა ადრე დაიძინეს. რადგანაც მეზობელ სახლებში ვცხოვრობდით, ერთმანეთის ყველა მოძრაობას ადვილად ვუთვალთვალებდით. არ ვიცი, იმ დღეს რა მოხდა, ხმას არც ერთი ვიღებდით. თითქოსდა ერთმანეთის გულის ნაღურის ამოცნობით ვიყავით გართულნი. ამ დუმილმა ისე გამაბრუა, როცა უეცრად ჩემს ტუჩებზე მისი ტუჩები ვიგრძენი. ჯერ თითქოს ვერაფერს მივხვდი. იმ კოცნამ როგორ ამათრთოლა, ვერ გეტყვი. მისი ტუჩებიდან ჩემში გადმოღვრილი ვნების წინაშე უძლური აღმოვჩნდი. ახლაც, როცა გამახსენდება ხოლმე, იგივე გრძნობები მეუფლება. იმ წუთში ვიგრძენი, რაა სიცოცხლე. ცხოვრების ნამდვილი გემო მაშინ გავიგე. მაგრამ იმავ წამს ჩემში სხვა გრძნობამაც წამოწია თავი: შინაგანი ამბოხი ვიგრძენი — შენ ამისი უფლება არ გაქვს, თაჰმინა! შენ ეს უფლება დიდი ხანია ჩამოგართვა ქმარმა, რომელმაც ამ კურორტზე გამოგაგზავნა, და ბავშვებმა, რომელთაც ოთახში უშფოთველად სძინავთ. — მოულოდნელად წამოვიჭერი. ისე, რომ მისთვის არაფერი მითქვამს, სახლისკენ გავიქეცი. პირქვე დამხობილმა დილამდე ვიტირე. მას მერე იგი არ მინახავს. გამოუმშვიდობებლად წასულიყო. ვერა და ვერ ვივიწყებ იმ ბიჭს, რომელმაც მთვლემარე გრძნობები გამიღვიძა და ერთი კოცნით ის მაგრძნობინა, რაც არც მანამდე და არც მას მერე არ მიგრძვნია.

მალაჰათის აზრით, თაჰმინაც მოღალატე გახლდათ. სხეულით ქმართან, შვილებთან იყო, მაგრამ მისი სული და გული სულ სხვა სამყაროში დაჰქროდა. ვინ იცის, ეგებ ერთ მშვენიერ დღეს იმქვეყნად წასასვლელად გამზადებული ღრმად მოხუცებული თაჰმინა თავისი ახალგაზრდობის მხოლოდ იმ საღამოს გაიხსენებს და ბაგეებზე სიყვარულით ალებული იმ ერთადერთი კოცნით გამოესალმება წუთისოფელს.

ღვთის შექმნილ ამ მრავალფეროვან სამყაროში ყველა სულდგმული სიყვარულს ეძებს. ყველა სიყვარულის ნატვრით ტოკავს ამ ქვეყნიერებას. კაცს ეგონება, სიყვარული და ღალატი სამყაროს მთავარ პრობლემადაა ქცეული. ადამიანი კი თავის ცხოვრებას ამ პრობლემის გადაწყვეტას ახმარს.

თუმცა თაჰმინასხელა ჭკუაც არ აღმოაჩნდა მალაჰათს. გრძნობები ვერ მოთოკა. რას იზამ, ყველას ერთნაირს ხომ არ აჩენს უფალი. ეროს გრძნობების მოთვინიერების უნარს აძლევს, მეორეს კი გრძნობა-განცდის წიხაშე უძლურს სტოვებს. კვლავაც ყველა ცოდვა-ბრალი დიდ შემოქმედს მიეწერა. რალა თქმა უნდა, მას მალაჰათიც თაჰმინასავით ძლიერი უნდა შეექმნა. თაჰმინასავით ყველა ძლიერი რომ ყოფილიყო, მაშინ უბედურებაც არ იქნებოდა ამ დუნიაზე. მაგრამ ამ ქვეყანაზე ბედნიერებს თავისი ადგილი აქვთ მიჩენილი, ბედკრულებს — თავისი. მალაჰათის ადგილ-საძყოფელი, როგორც ჩანს, უბედურებს შორის ყოფილა.

რას იზამ. ბიჭები ავად თუ კარგად წამოიზარდნენ. უფროსი ვაჟი დღეს-ხვალ დაოჯახდება. მამამ მას სახლიც უყიდა და მანქანაც. როგორც იტყვიან, ყველაფერი აქვს. ახლა ისინი დედის თბილ უბეს მონატრებული პატარა ბიჭები ალარ არიან. როგორც თავად უყვართ ხოლმე თქმა, უკვე დაკაცდნენ და ახლა დედასთან შეხვედრისას დიდკაცური მედიდურობით ლაპარაკობენ. სულ მალე მათ არც ფარვიზი დასჭირდებათ და არც მალაჰათი. თავთავიანთი ოჯახები ეყოლებათ. ყოველდღიურ საზრუნავში ისე ჩაეფლობიან, რომ მშობლები ძნელად თუ გაახსენდებათ. ნეტავ შვილიშვილები თუ ეყოლა, შესძლებს კი მალაჰათი მათ მშობლიური სიყვარულით შეყვარებას? ეჰ, ვანა დედობა ელირსა, რომ ახლა ბებიობისთვისაც მოემზადოს? მალაჰათმი მხოლოდ შორიდან უთვალთვალებდა, თუ როგორ იზრდებოდნენ მისი ბიჭები. არადა, თავად უნდა აღეზარდა ისინი. დღე თუ ღამე მათთვის უნდა მიეძღვნა, მათთვის უნდა შეეწირა. თავისი ბუტია ბიჭების გული დედობრივი კოცნით უნდა მოეგო. ტანისამოსის გარეცხვა, კერძების მომზადება და ოჯახის მოვლა-პატრონობა ამასთან შედარებით მეორეხარისხოვანი საქმე იყო. მთავარი — შვილების სულიერ დასაყრდენად ყოფნა გახლდათ. მან კი სწორედ ეს ვერ მოახერხა და, როგორც ქალი, ბავშვის სუნთქვისა და სათუთი სიყვარულის ნატრული დარჩა. მისი ბრალი იყო, რომ ვერც ბავშვებმა იგრძნეს სათნო დედობრივი მზრუნველობა და დედის ხელი. ყველაზე მეტი მაინც მალაჰათმა დაკარგა. მთელი ახალგაზრდობა ამ ორი ბავშვის ნატრულმა გაატარა. მათი ერთი ნახვა, ერთი მოფერება მთელ სიცოცხლედ ულირდა. მალაჰათმა ყველაზე მეტად თავის თავს ულალატა.

ბიჭები ოჯახს რომ მოეკიდებიან, ალბათ ფარვიზის სურვილისამებრ ალარ მოიქცევიან. დედასთან ურთიერთობას დაამყარებენ. მალაჰათს ასეც უთხრეს, მაგრამ ეს ყველაფერი იმ დაკარგულ ღვთაებრივ დღეებს უკან ვერ დაუბრუნებს. მასში ჩაბუდებულ სევდას ვერ განაქარვებს. როცა თავის უკვე დაკაცებულ შვილებს ესაუბრება, უნებლიეთ პატარა ბიჭებს იხსენებს და უნდა ისინი დედური ჯინით ჩაიკრას მკერდში, თავადვე რომ დაეჭკნო. შვილების სუნთქვას მონატრებულ მის მკერდს ჯერაც არ გაჰყუჩებოდა ძველი ტკივილები.

ჟან მარსანი

მა-მური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიესა

თარგმნა **თამაზ მეტრეველმა**

სულ ახლახანს გასრულებული საუკუნის ცნობილი ფრანგი კომედიოგრაფი ჟან მარსანი თორმეტი პიესის და ორმოცამდე კინოსცენარის ავტორია. ამასთანავე ის მაღალი კლასის პროფესიონალი მსახიობიც იყო და ისეთ თეატრებში თამაშობდა, როგორიცაა „კომედი ფრანსეზი“ და „ოდეონი“.

გარდა აქ წარმოდგენილი პიესისა, აგრეთვე დიდი წარმატება ხვდათ მის ისეთ პიესებს, როგორიცაა „ოთხ კუთხეში“, „ზოია“, „გოგონა“. ხოლო კინოსცენარებიდან სცენარს რენე კლერის ბრწყინვალე ფილმისა „დიდი მანევრები“.

ჟან მარსანის პიესა „მაყურებლისათვის ამის ნახვა აკრძალულია“, რომლის დადგმაც რეჟისორმა დანო დოიამვილმა მარჯანიშვილის თეატრში განახორციელა, პირველად 1967 წლის 2 ოქტომბერს „სენტ-ჟორჟის“ თეატრში რეჟისორმა ჟან ლე პულენმა წარმოადგინა.

კომედია „მა-მური“, ათიოდე წლის წინ დიდი წარმატებით მიდიოდა მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე, სადაც მთავარ როლს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ელენა გოგოლევა თამაშობდა.

მთარგმნელი

მოქმედი პირნი

მა-მური	ესტელი
ანტუანი	ფრანკერი
ფერდინანდი	გრაციელა
ორასი	კლოუნესა
ალფონსი	პიერ მური
სონაი	პიერის მეუღლე
ჟერარი	ორასის მეუღლე
არმანდინა	ალფონსის მეუღლე
ვიქტორინა	კიურე
ელოიზა	ბოტერო
ესპრი	ჟურნალისტი
გილიომი	კლადილდა
ლორანი	აგნესა
ლეონარდო	ფილესეტე
მარი-ჟოზეფი	იჟენი
ეიზელი	ლე-ჟუა
	მა-იუ-კაო

I მოქმედება

თეთრი ბატკანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

I სურათი

სიბნელე. მუსიკა. მომღერალ გოგონათა გუნდი.

სონაი. ანტუან, ჩვენ გულით გვსურდა მონაწილეობა მიგველო... ბებია მურეს პატივსაცემად ჩვენი სკოლის გოგონებმა საგანგებოდ სიმღერაც კი შეისწავლეს.

ჟერარი. რა გადაწყვიტეთ, ბატონო ანტუან, სად ვდგამთ ტრიბუნას?

ანტუანი. მე, ბატონებო, არ გახლავართ სან-ვიოს მერი.

ალფონსი. ანტუან, გვაინტერესებს შენი აზრი. იუბილემდე რვა დღეა დარჩენილი, მეტი კი არა.

ანტუანი. მე უბრალო ამომრჩეველი ვარ, ჩვეულებრივი მოქალაქე და არა მუნიციპალური საბჭოს წევრი.

ფერდინანდი. მუნიციპალიტეტი სტუმრად გეწვიათ, როგორც ხედავთ.

ანტუანი. კი, მუნიციპალიტეტმა ოღონდ მუქთად გადაყლურწოს და, რა თქმა უნდა, არ გაუშვებს ასეთ შემთხვევას ხელიდან. არა, არა, თვითონ გადაწყვიტეთ, მე ხელები დამიბანია.

ფერდინანდი. მოიცა, მოიცა, მოითმინე, ანტუან. ეს სერიოზული საკითხია. ღირსეულად უნდა გადავიხადოთ ჩვენი ბებიის ასი წლისთავი. მასზე დედაქალაქის გაზეთებიც კი წერენ, ეხუმრები? უხუცესი ფრანგი ქალი, ასორმოცდაშვიდი შვილი და შთამომავალი.

ანტუანი. გილიომ! **(შემოდის გილიომი, გააქვს ლანგარი)** ჰოდა, რაც გინდათ, ის აკეთეთ. თუ არ გეწყინებათ, მე ცოტას წავუძინებ, დავიღალე.

ჟერარი. ბატონო ანტუან, ყური დამიგდეთ! დღესასწაულამდე სულ რაღაც რვა დღეა დარჩენილი. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება ტრიბუნის შესახებ. წესით ხელოსნები უკვე უნდა მუშაობდნენ.

ფერდინანდი. რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, ტრიბუნა მერიის წინ უნდა დაიდგას. მერია ქალაქის გულია, ამიტომ ტრიბუნაც მის წინ უნდა მოეწყოს, ასე არაა?

ორასი. დიახ... ერთი შეხედვით... ასეა...

ყველა. დიახ, დიახ...

ჟერარი. ჩვენ თანახმა ვართ.

ფერდინანდი. ბატონი მინისტრი და პრეფექტი ალბათ პატივს დაგვდებენ და გვეწვევიან. ჩვენ მათ საკადრისად მივიღებთ მერიაში. შემდეგ კი ტრიბუნაზე აბრძანდებიან... იქნება მუსიკა, ყვავილები, სიტყვები...

ანტუანი. მართალია. მუსიკა, სიტყვები... ისინი ტრიბუნაზე ავლენ და გამოთაყვანდებიან. შეიძლება დომინოც კი ითამაშონ, თუ სასიათზე იქნებიან.

შერარი. ამით რისი თქმა გსურთ, ბატონო ანტუან?

ანტუანი. იმას ვამბობ, რომ ჩვენი საყვარელი ბებია ტრიბუნაზე არ ავა.

ფერნანდო. ბოდიში...

ანტუანი. თქვენ ცუდად იცნობთ თქვენს ბებიას. მორჩა და გათავდა!

ფერდინანდი. მაგრამ ქალაქის მერს ხომ უფლება აქვს თქვას...

ანტუანი. როგორ არა, ენას ძვალი არა აქვს, ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ უნდა იცოდე, რა თქვა და როდის.

ფერდინანდი. კი მაგრამ, ბებია მური ხომ ყველა მურეს გვეკუთვნის, ასე ვთქვათ, ოჯახური რელიქვიაა.

ანტუანი. რა? რა უნდა ელაპარაკო კაცს, რომელსაც თავში ტვინის ნაცვლად ბრინჯი უყრია?!

ორასი. აბა, აბა, მგონი, აჭარბებ, ანტუან!

ალფონსი. სჯობს თავი შეიკავო.

ანტუანი. როგორ გეკადრებათ, მე მივმართავ არა ქალაქის მერს, არამედ ფერდინანდ მურეს, თანაც არა როგორც ამომრჩეველი, არამედ როგორც მისი ბიძაშვილი და მურეთა ოჯახის უფროსი.

ფერდინანდი. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მურეთა ოჯახის უფროსი, ჩემი აზრით, მაინც ბებია გახლავთ, არ დაგავიწყდეთ. თანაც საუბარი სწორედ მის დღესასწაულზეა. მართალია, ხშირად გვარიანადაც აფრენს...

ანტუანი. გესმით, რას ამბობს საკუთარ ბებიაზე? მე რომ არა, ეს ბებიას ნაღდად თავშესაფარში უკრავდა თავს.

ალფონსი. არ გინდა ახლა, ანტუან.

ანტუანი. რა არ მინდა, რა?.. მაშ, ისაა კაცობა, საცოდავ ას ექვსი წლის მოხუც ქალს რომ დასცინიან?

ფერდინანდი. ოჯახის უფროსიო... მაშინ ბიძაჩემი ესპრი რაღას მიკეთებს, მისი ვაჟიშვილი?

ანტუანი. პოლკოვნიკი? მაგან ოლონდ სანადიროდ და სათევზაოდ იაროს და კაცობრიობა თუნდაც ერთბაშად გადაშენებულა. თანაც, ბოლო-ბოლო, ის უკვე ოთხმოცი წლისაა. მთელი მისი კაპიტალი ჩვენს საქმეშია დაბანდებული და მე ის სულაც არ მიშლის არაფერში ხელს.

ალფონსი. მაინც სად უნდა დავდგათ ეს ტრიბუნა?

ანტუანი. ჩემი კარიბჭის წინ.

ალფონსი, ორასი და სონაი. — რა? სად?

ანტუანი. ახლავე მოგახსენებთ, რატომ... დაბრძანდით, თუ შეიძლება. რას დღესასწაულობენ თვრამეტში? ვის აჯილდოვებენ ორდენით?

შერარი. ჩვენს უხუცესულესს.

ორასი. უხუცეს ფრანგ ქალს.

ანტუანი. ჰოდა, ასე! უხუცესი ფრანგი ქალი პირველ ყოგლისა მურეთა ოჯახის უხუცესი გახლავთ. ღირსეული ქვრივი, „თეთრი ბატკნის“ დამაარსებელი.

ორასი. შეიძლება რაღაც ვთქვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტუანი. არა.

ორასი. მაგრამ მე...

ანტუანი. არა. ტრიბუნას ან „თეთრი ბატკნის“ წინ წამოვჭიმავთ ან იძულებული ვიქნები ბებიათქვენი სახლში გამოვკეტო იმ საბაბით, ვითომც ნიკრისის ქარები აწუხებს და თანაც ემოციებმა შესაძლოა გადაიყოლონ კიდეც.

ჟერარი. ყური დამიგდე, ანტუან!

ანტუანი. რა? გინდათ ბებიათქვენი დავაგირავო, არა? გინდათ ჩემმა მოწვეულმა სტუმრებმა ქალაქის მერიასთან იბოდიალონ და ჯიბეებიც იქვე ვიღაც-ვიღაცების ბარებსა და რესტორნებში ამოისუფთავონ, არა? ჩემს სახლს თორმეტი ფანჯარა აქვს და თორმეტივე ცხელი ღვეზელებივით გასაღდება. თორმეტი ფანჯარა! თუ ზედ არ მივათვლით ტერასას, რომელსაც მალე მივაშენებ. სამი ფრანკი ერთი ადგილი. ორასამდე კაცს მაინც დავტევ, როცა პატივი უნდა ვცეთ წლოვანებას, ოჯახს, პატიოსან შრომას. ყველაფერს მშვენივრად გავახერხებ.

ჟერარი. ააა... ახლა კი ვხედავთ, საითაც უმიზნებთ.

ფერდინანდი. ოჰო, აი ამაზე კი ნამდვილად არ მიფიქრია. ჰო, რა თქმა უნდა, პირველ რიგში კომერციული ინტერესებია გასათვალისწინებელი.

სონაი. მოგება ყველგან და ყველაფერში.

ანტუანი. რა თქვით?

სონაი. არაფერი, არაფერი...

ანტუანი. მაშასადამე... სად დაიდგმება ტრიბუნა?

ჟერარი. „ბატკნის“ წინ.

ფერდინანდი. წინააღმდეგი ხომ არავინაა? ყველა თანახმაა?

ყველამ ასწია ჭიქები.

სონაი. ძალიან კარგი! ტრიბუნის საკითხი გადაწყვეტილია.

ფერდინანდი. კიდევ ერთი საკითხი. მე უკვე ვესაუბრე იმ ცირკის დირექტორს, ჩვენს ქალაქში რომ ჩამოდის.

სონაი. ოჰო! რა ხანია ჩვენთან ცირკს არ ჩამოუვლია.

ფერდინანდი. „პროფესორი მარკუსი“... „მარკუსი, მისი ლომები და ბენგალიური ვეფხვები“... დააკვირდით, დახატულიც კია! **(უჩვენებს აფიშას).**

ალფონსი. წარმოსადეგი მამაკაცია.

სონაი. გოგონა?

ჟერარი. ცხენს რომ დააჭენებს?

ალფონსი. შეხედეთ, რა ბარძაყები აქვს!

ჟერარი. საოცრად სწორი, მე რომ მომწონს ისეთი.

ფერდინანდი. მოდით ნუ დავკარგავთ ტყუილად დროს, მეგობრებო! მე ჩემი აფთიაქი მელოდება. რას იტყვით, მივცეთ თუ არ მივ-

ცეთ ცირკის დირექტორს უფლება გამართოს წარმოდგენები მოედანზე პარასკევსა და შაბათს?

ალფონსი. მოითმინეთ, მოითმინეთ! ეს პირდაპირ იუბილეს ემთხვევა.

ჟერარი. მართლაც.

სონაი. ცოტა ბევრი გართობა გამოდის ერთდროულად.

ფერდინანდი. რას ფიქრობთ, გადავდოთ ცირკი?

ჟერარი. დიახ, გადავდოთ.

ანტუანი. მე ჩემი სამზარეულო მელოდება. არ არის საკმარისი?

ჟერარი. რატომ ნერვიულობთ, ბატონო ანტუან?

ანტუანი. რაღა მაინცდამაინც „თეთრმა ბატკანმა" უნდა იზრუნოს ქალაქის კეთილდღეობაზე? პარაზიტებისა და იდიოტების ბანდა კი მუდამ ხელს უშლიდეს ჩემს გეგმებს?

ალფონსი. სიტყვები შეარჩიეთ, ანტუან!

ანტუანი. მსურს მოვაწყო ჩირაღდნებით სეირნობა, კარუსელი, ცირკის წარმოდგენები შაბათ-კვირას... მთელი ღამე კარნავალი, სანამ ძუსიკოსებს ლოყები არ დაასკდებათ. ან არადა პატარა არდადეგებს მოვაწყობ. ჩავკეტავ ბებიას მატარებლის კუპეში და სადმე, სულ სხვაგან გადავიხდი იუბილეს.

სონაი. კი მაგრამ, რა საჭიროა ამდენი გასართობი?

ანტუანი. იმისთვის, ბატონებო, რომ თუ ცირკი და ბალაგანი არსებობს, მაშინ არა მარტო სიტყვაში გამოსასვლელად გვესტუმრებიან, არამედ ცირკის სანახავადაც. და ნაცვლად იმისა, რომ ცერემონიის შემდეგ სახლებისკენ გასწიონ, ყველანი აქ, სან-ვიოში დარჩებიან. მერე ადგებიან და მუცლებს ჩაიხეთქავენ, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. მე უკვე ყველაფერი გავითვალისწინე, ვაგანიერებ საწოლებს და ბინებსაც ვქირაობ.

ჟერარი. ჰოდა, გამდიდრდება კაცი, მაშ რა იქნება?

ანტუანი. რა, ესკალეს ხორცის მაღაზია ან ჟერარის ბაკალეია წაგებული დარჩება?

ჟერარი. ბოდიშს გიხდი.

ანტუანი. მოდით მოვრჩეთ ამაზე ყბედობას. მე მინდა სან-ვიოს მეძავებსაც კი შეხვდეთ მოგებიდან წილი.

ფერდინანდი. ჩვენთან მეძავები არ არიან.

ანტუანი. რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტს ღირსეული მერი ჰყავს.

ფერდინანდი. მომისმინე, ჩვენ, მგონი, ბიძაშვილები ვართ.

ანტუანი. ეგ შეიძლება, მაგრამ მე ბიძაშვილს კი არა, ქალაქის მერს მივმართავ. მეძავები არ გვყავს? გვესტუმრებიან... მე ყველაფერი გავითვალისწინე. დავკეტავთ სკოლას, ფოსტას, ყველაფერს.

ჟერარი. ეს ხომ არალეგალური დღესასწაულია, ჩინოვნიკები...

ანტუანი. ხომ გადაბრუნდა ქვეყნიერება, ჩინოვნიკებმა რომ გართობაზე უარი თქვან. აფთიაქი ღია იქნება.

ჟერარი. მუსეს აფთიაქი.

ანტუანი. სხვა აფთიაქი არც არსებობს. მე ისინიც მედარდებიან, ვინც მუცელი უნდა ჩაიხეთქოს და გამოტყვრეს. უპატრონოდ ხომ ვერ დავაგდებთ, ვინ იცის, როგორ დასჭირდეთ აფთიაქი.

ფერდინანდი. იოდი, ბამბა, ნიშადური.

ანტუანი. დიახ, მურეთა ოჯახი ყველგან ლირსეულად გიმასპინძლებთ, თუ კაცთმოყვარეობისკენ მიმავალ გზაზე დგახართ.

ჟერარი. ჰო, ყველამ კარგად იცის, რა საოცარი ნიჭი აქვთ საკუთარი ჯიბის გასქელებისა... მაგრამ ხომ არ შეიძლება ასეთი გაუმაძღარი იყო...

ანტუანი. გაუმაძღარი? შენ გესმის, ფერდინანდ? ორას, ალფონს, გესმით?

ჟერარი. ყველაფერი „თეთრი ბატკნის" საკეთილდღეოდ კეთდება.

ანტუანი. სწორედ რომ ასეა. თუ გააუქმებთ „თეთრ ბატკანს", ეს ნიშნავს საფრანგეთის რუკიდან სან-ვიო ამოშალოთ. სან-ვიო რომ მდიდარი ქალაქია, ჩვენს გვარს უნდა უმადლოდეს, დიახ, მურეთა ჩამომავლობას. მოდი გულახდილად ვაღიაროთ. რას წარმოადგენდა სან-ვიო ჩვენი პაპის, ელუას გამოჩენამდე? ნეხვში ამოსვრილ ორას-სამას უკანალს, სხვას რას? რეგვენებს, რომელთაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რა არის საბანკო ანგარიში. ჩვენ, მურებმა ვასწავლეთ აქაურებს ფულის კეთება.

ფერდინანდი. კი, რა თქმა უნდა.

ალფონსი. მაგაზე არავინ დავობს, ანტუან.

ორასი. რასაკვირველია.

ანტუანი. მე არც იმის თქმის მეშინია, რომ ჩვენი ოჯახი ფეოდალთა ოჯახია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ რესპუბლიკელები ვართ. ვის დასცდება ჩვენზე აუგი?

ჟერარი. კი, ბევრი რამ ძალიან კარგად გვეხერხება.

ანტუანი. ჩვენი სახლი ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმული და არც ერთი ბზარი არ აქვს.

სონაი. მაშ ასე, აღარც ცირკის შესახებ ვკამათობთ.

ანტუანი. დიდი მადლობა.

ფერდინანდი. პირველი სერია დამთავრებულია.

ანტუანი. ღვინოც ჩამოიცალა, ჟერარ. შენ, ეტყობა, მაგრადა ხარ ჩახუტებული ღვინის ბოთლთან... შინაურებთან ბოდიში.

სონაი და ჟერარი გადიან.

გილიომ, მოგვიტანე რაიმე გამაგრილებელი. ახლა კი საქმე, მეგობრებო. როგორც იქნა, ოჯახურ წრეში აღმოვჩნდით.

შემოდის გილიომი.

(ფერდინანდს) შენც კარგი ბრიყვები გყავს მაგ მუნიციპალიტეტში.

ფერდინანდი. რა? ისინი ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლები არიან. ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად იმველიებ შენთვის შეუფერებელ გამოთქმებს, ანტუან. ყველანაირად ცდილობ დამამცირო.

ანტუანი. დღემდე ვერ გადაეჩვიე, ბიჭო? ბავშვობაშიც სულ ცრემლი გდიოდა: „დედა, ანტუანმა მცემაა"!

ფერდინანდი. დიდი მადლობა.

ალფონსი. ამ ოჯახში ზოგი რამ თუ არ გადაყლაპა კაცმა, ოჯახი ალარც ერქმევა და ის იქნება.

ფერდინანდი. კი მაგრამ, შენ თუ ჩემს ხელქვეითებთან ასე მამცირე, რა გამოვა? ბოლოს და ბოლოს სან-ვიოს მერე გახლავარ!

ანტუანი. ეს უკვე მეხუთე თაობაა, რაც ქალაქის მერად ძველოდ მურეთა წარმომადგენელს ირჩევენ.

ფერდინანდი. მართალია. „თეთრი ბატკანი" ყოველთვის ისეთ მერს აცხობს, ვისაც მერე თავის დუდუკზე აცეკვებს.

ალფონსი. ეგ თავისთავად იგულისხმება.

ორასი. კიდევ რაიმე გაღელვებს, ანტუან?

ანტუანი. სიტყვები.

ალფონსი. რა სიტყვები?

ანტუანი. საიუბილეო საღამოზე რომ წარმოთქვამენ ხოლმე. ძალიან მაფიქრებს ის, თუ რას იტყვის დედაბერი.

ორასი. თქვენ მის ალაპარაკებას აპირებთ?

ანტუანი. მაშ ის ვაფიქრებინოთ ჩამოსულებს, ყრუ-მუნჯი ბებია ჰყოლიათო?

ალფონსი. თავის დროზე კარგა გალესილი ენა ჰქონდა.

ანტუანი. საჭიროა ვინმემ ჩაანწვეთოს და თავში ჩაუდოს, რა ილაპარაკოს თეზისებივით — რომ ჩვენი დუქანი თითქმის სამასი წლისაა, რომ აქ შესანიშნავად კვებავენ ხალხს. ამის ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთი ისიცაა, რომ ჩვენმა ბებიკომ უკვე ას ექვს წელს მიუკაკუნა და თანაც ისე, ჯერ ჭკუაც არ გასჭელებია.

ფერდინანდი. შენ რა გგონია, არ იცის ხალხმა, რომ მარტო რძეში ჩამბალ პურს აჭმევენ და ისიც საღამოობით?

ანტუანი. მით უმეტეს. ჩვენ სწორედ ისეთი კაცი გვჭირდება, ვინც როგორმე მასთან საერთო ენას გამონახავს.

ბილიომი. მასწავლებელი.

ანტუანი. არა, იგი უსათუოდ პოლიტიკას გაურევს. ჰოდა, ას ექვსი წლის დედაბერი პოლიტიკაზე თუ აჭიკჭიკდება, ყველა მიხვდება, რომ დარიგებულია.

ფერდინანდი. მე შემიძლია რამდენიმე სიტყვა ვუკარნახო.

ალფონსი და ანტუანი. არა!

ორასი. არა? კიურეზე რას იტყოდით?

ფერდინანდი. ეგღა გვაკლია, ახლა კიურეც ჩავრთოთ ამ საქმეში.

ანტუანი. რატომ ვითომ? ის ხომ მისი მესაიდუმლეა.

ფერდინანდი. მაშ კიურემაც აქ უნდა იბოდიალოს?

ანტუანი. დიახ, ჩემო კარგო, ამ შემთხვევაში კიურეს ჩვენ დიდი პატივით მივიღებთ. ყოჩაღ, ორას! მართალია, არც მე მიყვარს მაღალი და მხრებში აწურული ქალები, მაგრამ პატივს კი ვცემ.

შემოდის არმანდინა.

არმანდინა. ანტუან, ამ წუთას პენსიელებმა დარეკეს და პარასკევსა და შაბათისთვის ორი ოთახი დამიჯავშნინეს. მეც ორმაგი ფასი დავურტყი, არ გაალარიბებთ **(ჩამოჯდება).**

ანტუანი. მშვენიერი დღესასწაული გამოვა. იცით, როგორ მესახება მთელი ეს ცერემონია? ტრიბუნაზე სავარძლებში მხოლოდ ოფიციალური პირნი: მინისტრი, პრეფექტი, მერი... ყველა ეს სიფათები და რა თქმა უნდა, მეც მის უხუცესულობასთან ერთად. კიბეზე მთელი ოჯახი, ოღონდ ფეხზე მდგარნი, როგორც საპატიო ყარაულში. კარგია, მომწონს, შესანიშნავია. მაგრამ მე ვხედავ კიდევ მედლის მეორე მხარეს. მიყვარს ახალგაზრდობა, გაზაფხულის სხივები, ველური ყვავილები, აზარტი, მხიარულება... უხუცესის გვერდით მე ვხედავ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებს.

ორასი. ახალგაზრდა ქალ-ვაჟებს?

ანტუანი. მაცალე, მათქმევინე: ესტელს ლორანთან ერთად, ჟიზელს ლეონარდოსთან და მარი-ჟოზეფს გილიომთან. და, იცით, როგორ ვხედავ მათ? დედაბრის ახალგაზრდობის დროინდელ სამოსში. ვიქირავებთ ბოლოს და ბოლოს... და ერთ კარგ სურათს გადავიღებთ. თუ დროსტარებაა, დროსტარება იყოს. აღარაფერს ვამბობ იმ სურათებზე, რომლებსაც გავყიდით.

ფერდინანდი. ეგ ერთდროულად ფიქრობს ყველაფერზე.

ორასი. და ეს ოფიციალური ჯვრისწერა იქნება?

ანტუანი. აბა რა?

ალფონსი. ჩემი ლეონარდო ჭკუასა ჰკარგავს ჟიზელზე და არც ჟიზელია მთლად გულგრილად. ქორწინების დღეს მშიერი მგლებივით ელიან.

ანტუანი. მაშ, ყველაფერი წესრიგშია.

ორასი. მაგრამ ამ წყვილის გვერდით სხვებიც რომ არიან? ღირს კი ასეთი აჩქარება? **(მუსიკა).**

გილიომი. ბატონი ლე-ჟუა.

შემოდის ბატონი ლე-ჟუა.

ანტუანი. ბატონო ლე-ჟუა, როგორ ბრძანდებით? მარტო ხართ?

ლე-ჟუა. არა, ოთხი კაცი მახლავს. ტულუზიდან მოვდივართ. სულ სუთნი ვიქნებით. მე მათ ვუთხარი, რომ თქვენთან უკეთესი ჩაშუშული კეთდება — ვიდრე ტულუზაში.

ანტუანი. ვნახოთ, ვნახოთ. სუფრა ხუთ კაცზე ბატონ ლე-ჟუასათვის!

არმანდინა. სუფრა ხუთ კაცზე ბატონ ლე-ჟუასათვის.

გილიომი. სუფრა ხუთ კაცზე ბატონ ლე-ჟუასათვის.

არმანდინა. ბატონო ლე-ჟუა, თქვენი მეუღლე როგორ ბრძანდება?

ლე-ჟუა. გმადლობთ. ჯერჯეროობით ერთი ბოთლი შავი ღვინო გაგვასინჯეთ.

ანტუანი. ერთი ბოთლი მუსკადე.

არმანდინა. ერთი ბოთლი მუსკადე.

გილიომი შემოდის, შემოაქვს ერთი ბოთლი მუსკადე.

ლე-ჟუა. რა სიცხეა **(სვამს ღვინოს).** ჰო, მართლა, როგორ გრძნობს თავს ჩვენი სახელოვანი ბებია?

ანტუანი. შესანიშნავად. ამ წუთას გაჩვენებთ. შემოიყვანეთ!
ლე-ჟუა. სხვა რა არის ახალი? დღესასწაული კვირას დანიშნეთ?
ანტუანი. დიახ. მინდოდა ვიწრო, ოჯახურ გარემოში გადაგვეხადა, დაგვეკეტა მცირე ხნით დუქანი და თითო ჭიქა დაგველია. ჯანდაბას ეს კომერცია. მაგრამ ნათესავებმა მაინც თავისი გვიტანეს, მაინც-დამაინც ხარზეიმით უნდათ აღნიშნონ. მინისტრმა კიდევ ჩვენი სახლის წინ ტრიბუნის დადგმა მოითხოვა.

მუსიკა. შემოჰყავთ მა-მური.

უძვირფასესი წმინდა ქალბატონი.

მა-მურე მღერის.

არმანდინა. შეხედეთ, ერთი შეხედეთ!

ყველანი ხელზე ჰკოცნიან მა-მურეს.

ელოიზა. ეძინება. მთლად გაყინულია.
მა-მური. გაყინულია? ჰო, გავითოშე.
ლე-ჟუა. ბებია, დაძინებას აპირებთ?
მა-მური. დაძინებას, დაძინებას.
ლე-ჟუა. ბავშვებს ამ დროს უკვე სძინავთ.
მა-მური. ბავშვებს? ბავშვებს სძინავთ.
არმანდინა. მაგრამ ჯერ წვნიანი უნდა დახვრიპოთ.
მა-მური. წვნიანი?
ანტუანი. მას ჯერ კიდევ ბევრი რამ ახსოვს. ომები გახსოვთ, ბებია?
მა-მური. მე მახსოვს ყირიმის ომი.
ლე-ჟუა. ტრანსფალვანიის ომი არ გახსოვთ? აი ის იყო ნამდვილი ომი:
ანტუანი. გთხოვთ სხვა თემაზე გადავიდეთ, თორემ ზეიმის დროს შეიძლება ამაზე დაიწყოს ლაპარაკი. ქალბატონი კიურე შეასწავლის, რაც უნდა თქვას. და თუ ჩვენი ბებიკო კარგად მოამზადებს გაკვეთილს, საჩუქრად ორ მათლაფა, სამ მათლაფა წვნიანს მიიღებს...
მა-მური. მე არც ისე ძალიან მიყვარს ჩამბალი პური, ანტუან!

ყველას გაეცინება.

არმანდინა. კარგით, იგი მიიღებს ფორთოხალს.
მა-მური. ელოიზა, სადაა ჩემი სათბურა?
ელოიზა. ახლა ივლისია, დედილო.
მა-მური. ივლისი? ჰო, ივლისი. აბა წავედით.
ანტუანი. ეს რას ნიშნავს, ბებიკო, სტუმრებს ნახვამდის არ უნდა უთხრათ?
ელოიზა. გადაქანცულია. წვნიანის დროც მოუვიდა. წვნიანი უნდა დახვრიპოთ, დედილო.
მა-მური. ჰო, ჰო, ნახვამდის.
ყველა. ვაშა.
არმანდინა. ბატონო ლე-ჟუა! გთხოვთ.

ბატონი ლე-ჟუა გადის.

ანტუანი. არმანდინა, ჩაშუშულის შემდეგ ბატონ ლე-ჟუას კიბორჩხალებსა და სოკოს მიართმევ.

არმანდინა. სოკო გათავდა.

ანტუანი. მაშინ ის ბატკნის ტვინი მიართვით, შუადღისას რომ დატოვეს კლიენტებმა.

არმანდინა. ძე ის კნუტებისთვის უნდა დამეყარა.

ანტუანი. კნუტები მოითმენენ.

(არმანდინა გადის)

ორას, რას აძბობდი, სხვა წყვილებიო?

ორასი. იქნებ არ ღირდეს-შეთქი ამ ორი ქორწინების დაჩქარება?

ანტუანი. რომელი ორი ქორწინების?

ორასი. ესტელისა და ლორანის, მარი-ჟოზეფისა და გილიომის.

ფერდინანდი. ბოლო-ბოლო მაგათ შეიძლება კიდევ მივცეთ ცოტა დრო.

ანტუანი. ასეთი ქორწილები ჩვენი ოჯახის ტრადიციაა. ეს ყველაფერი ჯერ კიდევ მათ დაბადებამდე გადაწყდა.

ორასი. ჰოდა, იქნებ შევცდით, გრძნობებს ხომ ვერ უბრძანებ?

ანტუანი. გრძნობებს? გილიომ! **(დაჯდება. შემოდის გილიომი)** გილიომ, რას იტყოდი მარი ჟოზეფზე? მოგწონს? თუ არა მამის პატივისცემა და ოჯახის ღირსება, არ ჩასჭმუჭნიდი ქორწინებამდე? **(გილიომი იცინის.)** შეგიძლია წახვიდე. გრძნობები, გრძნობები... გრძნობებში შესანიშნავად ვერკვევი.

ფერდინანდი. თორემ რაში ალარ ერკვევი...

ანტუანი. ესტელისთვის კი ლორანი იქნება თუ სხვა... ო-ლა-ლა!

ორასი. შენ მეორე მსარე გაგიწყდება.

ანტუანი. ობლებზე ამბობ? კი, ეგენი ჯერ კიდევ შეგვიშლიან ხელს! მეტი რაღა უნდა უნდოდეს ლორანს? კაცს სწავლის უფლება მივეცით.

ორასი. მოდი ორი-სამი წლით პარიზში გავუშვათ.

ანტუანი. პარიზში? გაგიჟდი? ვინ მიხედავს მერე პარიზში? ხომ შეიძლება ვინმე შეუყვარდეს. გესმის, რას ლაპარაკობ?

ორასი. ნუ ყვირი ასე!

ანტუანი. ჰოდა, ვინმე რომ შეუყვარდეს, მერე?

ორასი. კარგი, კარგი, ოღონდ ნუ ყვირი.

ანტუანი. გაუჩენს შვილს და ჯვარსაც დააწერინებს. აი ასე შეიძლება აღმოჩნდეს ვიღაც შემთხვევითი ქალის ხელში მურეთა ქონების გვარიანი ნაწილი. ო-ლა-ლა! არა, არა... ის ისევ „თეთრი ბატკნის" ზედამხედველობის ქვეშ დარჩება. რაც შეეხება ესტელს, ნუ გეშინიათ, არ მოიწყენს. ახლა მარი-ჟოზეფის შესახებ. მაშ, არ მოსწონს მას ჩემი გილიომი?

ორასი. ზოგჯერ, როცა მას გილიომი ჩქლერთავს, საცოდავ ცხვარს მაგონებს, რომელსაც ძირის ძირამდე პარსავენ. ჰოდა, არა მგონია, გილიომზე ოცნებობდეს. გული რთული ორგანიზმია. აი, თუ გინდა, არმანდინას ჰკითხე.

ანტუანი. არმანდინა! **(შემოდის არმანდინა.)** ახლოს მოდი, აი აქ დაჯექი. მოახსენე ამ ვაჟბატონს **(ორასზე მიათითებს),** ჩემზე თუ ოცნებობდი ჩვენს ქორწინებამდე?

არმანდინა. რაღა მახსოვს. არა, ოცნებები სულ არ მაწუხებდა. მითხრეს, ანტუანისა ხარო, ანტუანი კი შენიაო. ჰოდა, ყველაფერი ისე-დაც გარკვეული იყო. რაღა საჭირო იყო საქმროს ძებნა?

ანტუანი. ბიჭი იყავი და შეჰკამათებოდი ვინმეს, ბიძაშენი ელუა ყველას თავის ადგილზე მოსვამდა. ო-ლა-ლა... ცოდვა გამხელილი სჯობს და, ბებიკო, თქვენი ქმარი ხომ ნაღდი ვაჟკაცი იყო, [illegible]

მა-მურე. დიახ! **(არმანდინა გადის.)**

ალფონსი. ძალიან კარგი. თანახმა ვართ. დავაქორწინებთ ახალგაზრდებს და ჯანდაბას, აკეთონ პატარა მურეები.

ანტუანი. და აკეთებენ კიდეც. რას იტყვი, ბებია, თანახმა ხართ?

მა-მურე. მამალმა თქვა, მე ვიყივლებ და გინდ გათენდეს და გინდ არაო.

ფერდინანდი. ნახვამდის, ანტუან.

ანტუანი. ნახვამდის.

ფერდინანდი. თუ ცირკიდან შენთან ვინმე მოვა, აი თანხმობის ფურცელი და თვითონ შეუვსე.

ანტუანი. კარგი.

ფერდინანდი. მხოლოდ ნამდვილი გვარი ჩააწერინე, ფსევდონიმი კი არა.

ანტუანი. კარგი, კარგი. შინაურები მომიკითხე.

ალფონსი და ფერდინანდი გადიან. მუსიკა.

ანტუანი თითით ემუქრება ორასს.

აა... ესეც გაზაფხული!

შემოდიან გილიომი, ლეონარდო, ლორანი, ესტელი, ჟიზელი და მარი-ჟოზეფი.

არმანდინა. ესტელ, ძალიან გამიხარდებოდა, თუ ცოტა ხელს წამაშველებდი.

(არმანდინა გადის.)

ანტუანი. ხელს წამაშველებდიო. ელოდე! სწორედ მაგის დარდი მაქვს. მითხარით, ბავშვებო, გრძნობები და სხვა ამდაგვარები ხომ დიდ ხანია თავბრუს გახვევთ, ასე არაა? მაშ, წინ საქორწინო სარეცლებისკენ, და რაც უფრო ადრე, მით უკეთესი.

მუსიკა.

არმანდინა. ანტუან, ანტუან!

ანტუანი გადის. შემოდის მარკუსი.

მარკუსი. გამარჯობათ!

ორასი. გამარჯობათ.

გოგონები იცინიან.

მარკუსი. გამარჯობათ, გოგონებო!

ესტელი და ჟიზელი. გამარჯობათ! **(იცინიან.)**

მარკუსი. რა, არ მელოდით?

გილიომი. ეს თქვენა ხართ ცირკის წარმომადგენელი?

მარკუსი. დიახ.

გილიომი. ასეც ვფიქრობდი **(სიცილი.)**

ორასი. წარმოდგენები რომ შაბათ-კვირას გამართოთ, თანახმა ბართ?

მარკუსი. დიახ!

ორასი. თქვენ არასოდეს ყოფილხართ სან-ვიოში?

მარკუსი. არა. ხომ ვერ მეტყოდით, თქვენს ქალაქში თუ ცხოვრობენ ისეთი გვარის წარმომადგენლები, როგორიცაა მურე?

ორასი. მგონი, კი.

მარკუსი. პაპაჩემმა, რომელიც ძალიან ხნიერი წავიდა ამ ქვეყნიდან, ერთხელ ასეთი რამ მთხოვა: თუკი ოდესმე სან-ვიოში მოხვდები, უეჭველად მოძებნე მადამ მურეს საფლავი. მე ჩავინიშნე კიდეც ფურცელზე: სელინა მურე.

ორასი. კი მაგრამ, რაში დასჭირდა ასეთი უცნაური რამის თხოვნა, ვერ გვეტყვით?

მარკუსი. ალბათ ბებრული ახირება?

ორასი. ბებია ცოცხალია **(მუსიკა.)** აი ისიც... შეტრიალდით!

მა-მურე. ვინ არის ეს კაცი?

ელოიზა. ის ცირკიდან გახლავთ, დედილო.

მა-მურე. აპა... ცირკი. ნამყოფი ვარ... რას აკეთებს ცირკში, თავდაყირა დადის?

გილიომი. არა, მას მხეცები ჰყავს.

გოგონები. მხეცები ჰყავს, ბებია.

მა-მურე. აპა... ძალიან კარგი... დიახ, დიახ...

ანტუანი. **(შემოდის.)** მობრძანდით უკვე, ბატონო?.. უჰ... მარკუს... ქალაქის მერმა გადმომცა თანხმობის ფურცელი თქვენთვის. პატარა ფორმალობაღაა საჭირო, თქვენი გვარი და სახელია შიგ შესატანი. მხოლოდ ნამდვილი გვარი და სახელი. რადგან პროფესორი მარკუსი ვიღაც წინასწარმეტყველის სახელს უფრო წააგავს.

მარკუსი. ჟაკ ფრანკერი...

ანტუანი. ფრანკერი.

მა-მურე. რა თქვი?

ანტუანი. ნუ შფოთავთ, ბებია.

მა-მურე. შენ ფრანკერი ახსენე?

ანტუანი. ეს ამ ბატონის გვარი გახლავთ.

მა-მურე. ფრანკერი...

ანტუანი. აი აქ მოაწერეთ ხელი. ღვინოს ხომ არ ინებებდით?

მარკუსი. გმადლობთ.

ანტუანი გადის. ორასიც.

მა-მურე. ფრანკერ!

მარკუსი. დიახ, ქალბატონო.

მა-მურე. მამა თუ გყავს?

მარკუსი. მოკვდა. ტრაპეციიდან ჩამოვარდა.

მა-მურე. რა ერქვა?

მარკუსი. ლეონარდო... ისე კი ლუსიენ ფრანკერი.

მა-მურე. პაპა, პაპა თუ გყავს?

მარკუსი. ისიც ამ ოცი წლის წინ გარდაიცვალა. თქვენი ხნის ხალხი მას კარგად იცნობდა. „ალექსანდრე — ბორკილების მკვნეტელი“.

მა-მურე. ელოიზა, სადაა ჩემი სათბურა?

ელოიზა. ხომ გითხარით, ახლა ივლისია, ივლისი.

მა-მურე. დიახ... თუმცა მე სულაც არ მცივა... ელოიზა—მან ნამდვილად ფრანკერი თქვა?

ელოიზა. დიახ, დიახ, ფრანკერი თქვა.

მა-მურე. ნახვამდის, ჩემო ფრანკერ!

მარკუსი. ნახვამდის, ქალბატონო!

მა-მურე. ვნახავ შენს ცირკს... ვნახავ, რადგან ეს ჩემი დღესასწაულია. და შენ დაინახავ, როგორ მიყვარს ცირკი. როგორ ვატყაპუნებ ხელისგულებს **(ტაშს შემოჰკრავს).**

ანტუანი **(შემოდის.)** რას შვრებით, ბებია! ეგ თქვენი მხიარულება ცერემონიალისთვის შემოინახეთ. დამშვიდდით!

მა-მურე. ცეკვები თუ გიყვარს, ჩემო ფრანკერ?

ანტუანი. რა დაგემართათ? რა აუვარდა თავში? გაიყვანეთ და დააძინეთ ახლავე! **(მა-მურე გაჰყავთ.)** თუ წვნიანი მიირთვა, იმავე წამს ანარქისტად იქცევა ხოლმე **(გადის).**

ფარდა

II სურათი

საღამო

მუსიკა. სცენაზე დგას მარკუსი. შემოდის მარი-ჟოზეფი. მეორე სართულის ფანჯრებიდან იმზირებიან ესტელი და ჟიზელი. იცინიან.

მარკუსი. თქვენი მეგობრები სულელებივით იცინიან.

მარი-ჟოზეფი. ეგენი ჩემი ბიძაშვილები არიან.

მარკუსი. ძალიან ბევრს იცინიან თქვენი ბიძაშვილები.

მარი-ჟოზეფი. მაშინ იცინიან, როცა არ იციან, რა აკეთონ, ან არ ესმით, რა ხდება.

მარკუსი. მერე ხშირად იცინიან ასე?

მარი-ჟოზეფი. თითქმის ყოველთვის.

მარკუსი. თქვენ რა გქვიათ?

მარი-ჟოზეფი. იმას, რომელიც უფრო მეტს იცინის, ჟიზელი ქვია.

მარკუსი. და თქვენ?

მარი-ჟოზეფი. რომელიც უფრო ცოტას იცინის, ესტელია.

მარკუსი. ლამაზები არიან. მაგრამ ძალიან ბევრს იცინიან... არც ისე გულცივები უნდა იყვნენ, არა?

მარი-ჟოზეფი. მე კი მარი-ჟოზეფი ვარ.

მარკუსი. ლამაზი სახელია.

მარი-ჟოზეფი. შინ ფიფინას მეძახიან.

მარკუსი. მე კი ჟოზის დაგარქმევდით. როდის იხდით ხოლმე დღეობას, წმინდა მარიამობას თუ წმინდა ჟოზეფობას?

მარი-ჟოზეფი. არც როდის. მხოლოდ დიდი ბებია თუ მომილოცავს დაბადების დღეს, როცა მოაგონდება. მე ცხრამეტ სექტემბერში ვარ დაბადებული.

მარკუსი. სექტემბერში. მე ამ დროს სადმე სამხრეთში ვიქნები. პროვანსში ან შესაძლოა სულაც კორსიკაზე.

მარი-ჟოზეფი. ბევრ ქვეყნებს ნახულობთ?

მარკუსი. კი.

მარი-ჟოზეფი. თქვენი მხეცები ავებია?

მარკუსი. ყველანაირები არიან.

მარი-ჟოზეფი. როცა ღრიალებენ, რას აკეთებთ მაშინ?

მარკუსი. დამბაჩას ვისვრი ჰაერში.

მარი-ჟოზეფი. და ეს მათ გრძნობებზე მოქმედებს?

მარკუსი. არა, ეს მხოლოდ მაყურებლის გრძნობებზე მოქმედებს. თუ ვეფხვი ცუდ ხასიათზეა, მას დამბაჩის გასროლით ვერ შეაშინებ.

მარი-ჟოზეფი. მაშ რა აშინებს?

მარკუსი. გამოხედვა.

მარი-ჟოზეფი. ო... დიახ... თქვენ უცნაურად უმზერთ ქალებს.

მარკუსი. უცნაურად?

მარი-ჟოზეფი. ისინი ასე ამბობენ.

მარკუსი. ვინ, თქვენი ბიძაშვილები?

მარი-ჟოზეფი. დიახ, ასე ფიქრობენ.

მარკუსი. თქვენ? თქვენ როგორ გიმზერთ თქვენი შეყვარებული?

მარი-ჟოჟეფი. შეყვარებული არ მყავს.

მარკუსი. არ გყავთ?

მარი-ჟოზეფი. თუმცა... მყავს... ჩემი ბიძაშვილი.

მარკუსი. უყვარხართ?

მარი-ჟოზეფი. დიახ, ჯვარი უნდა დავიწეროთ.

მარკუსი. არ გიყვართ იგი? მაშ, რატომ მიჰყვებით?

მარი-ჟოზეფი. ასეა გადაწყვეტილი.

მარკუსი. ნუ აჩქარდებით. იქნებ სხვა ვინმე გამოჩნდეს.

მარი-ჟოზეფი. არა, ეს შეუძლებელია. ჩვენს ოჯახში მხოლოდ ერთმანეთზე ქორწინდებიან.

მარკუსი. რა ბედნიერები ხართ ქალები.

მარი-ჟოზეფი. ბევრმა მათგანმა ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწია. უკვე გვიანია, ღამე მშვიდობის.

მარკუსი. ღამე მშვიდობის.

მარი-ჟოზეფი. დაბრუნდებით?

მარკუსი. ცირკთან ერთად.

მარი-ჟოზეფი. რვა დღის შემდეგ?

მარკუსი. იქნებ უფრო ადრეც. შეიძლება ცხენის გასასეირნებლად მოვიდე აქ.

მარი-ჟოზეფი. ხვალ სარეცხი უნდა წავიღო მდინარეზე.

მარკუსი. შორსაა აქედან ეგ მდინარე?
მარი-ჟოზეფი. არა, სულ ახლოა... აგერ იქ, სკოლის უკან.
მარკუსი. მარტო იქნებით თუ ბიძაშვილებთან ერთად?
მარი-ჟოზეფი. ისინი სიამოვნებით დამითმობენ ადგილს ჩემ-ლამე მშვიდობისა.
მუსიკა.
მარკუსი. ღამე მშვიდობისა.
მუსიკა.

ფარდა

III სურათი

ზეიმის წინ

ანტუანი. როგორმე უნდა დამეხმარო, ორას! გაისეირნე მათთან ერთად. ეთამაშე რაიმე. მიხსენი! გადამარჩინე! მთელი დღეა ას ორმოცდაშვიდი მურე კისერზე მაზის. ფერდინანდ, ერნესტინამ ტელეგრამა გამოგზავნა, სამსაათიან მატარებელს მოჰყვება თავის ბავშვებიანად. ცოლად გადამიყვანდა, ვერ დააბინავებ სადმე?
ფერდინანდი. სად?
ანტუანი. შენთან, თუ გინდა.
ფერდინანდი. მე უკვე დავაბინავე ჩემთან ჩვიდმეტი კაცი.
ანტუანი. მაშინ თავშესაფარში ან სკოლაში, მაინცდამაინც არ არიან კომფორტს მიჩვეულნი.
ფერდინანდი. აუცილებელი იყო ხაზი გაგესვა მათი სილარიბისთვის?
ანტუანი. მე მიყვარს და პატივსაც ვცემ ყველას, ვინც კი ჩემი ოჯახის წევრია, მაგრამ ზედ ხომ არ გადავყვები? ყური დამიგდე, ალფონს, ეთხარი შენს ცოლს სასწრაფოდ ჩაჯდეს ავტობუსში, გაიმგზავროს ყერვეში და მთელი ჭურჭელი, რაც კი რამე გააჩნია, თან წამოიღოს.
ალფონსი. კაბა რომ უნდა მოიზომოს?
ანტუანი. ავტობუსში მოიზომოს. რა არის, რა მოხდა?
პიერ მურე. გადასარევი ამინდია, არა, ანტუან?
ანტუანი. კი, კი... ლეონარდო, ლანდელთან უნდა გავარდე.
პიერი. როგორც გატყობ, ამ ხუთ წელიწადში აქ ბევრი რამ შეცვლილა.
ანტუანი. ჰო, ჰო... მოახსენე, არ გვყოფნის...
პიერი. განსაკუთრებით ფოსტასთან.
ანტუანი. ასეა.
ლეონარდო. რა არ გვყოფნის?

ანტუანი. რა და სამი საყრდენი დიდი მაგიდისთვის.

პიერი. რა შეცვალეს ფოსტასთან?

ანტუანი. ფოსტის ყუთი გადაღებეს. **(ლეონარდოს.)** გაიქეცი რაღა!

პიერი. ა, აი თურმე რა ყოფილა.

ანტუანი. შენ ისევ მაგ ყვავილწნულს დასტრიალებ? ნუ აჩქარდები, შვილო, დანარჩენი საქმე თავისით მოგვარდება. შენ შენი საქმე უკვე მოამთავრე. ო, მაპატიეთ, თქვენ ნადირს ყარაულობთ. ხედავ, ბატონი მხედარ ქალზე ნადირობს. ბრავო! სჯობს ქალი გადააყირავო, ვიდრე ბოთლი. ესაა მურეს ჯიშის მამაკაცთა დევიზი. გაერთე და გაერთე!

ანტუანი გადის. გადიან მხედარი ქალი, ლორანი და გილიომი. შემოდიან მარკუსი, ესტელი და ჟიზელი.

ესტელი. ფიფინა! აუ, რა ცხელა, ოფლად ვილვრები. ფიფინა, მოგვეხმარე რა ნავაჭრის გადარჩევაში!

შემოდის მარი-ჟოზეფი, აგროვებს ნავაჭრს. შემოდის გილიომი.

გილიომი. მაშ ხვალ კლასი უნდა გვაჩვენოთ, არა? ველური მხეცები გყავთ თუ ნაკრძალიდან წამოყვანილნი?

მარკუსი. თქვენ იხილავთ მხეცებს, მე თვითონ რომ გავაბი მახეში სიამსა და სუმატრაში.

გილიომი. ქალების საძებნელადაც რომ ასე შორს უწევდეს კაცს წასვლა, ალბათ ვერც მოახერხებდა დაქორწინებას, არა, ფიფინა? **(მარი-ჟოზეფი გადის.)** რა გოგოა! ცოტა ჩათქვირებულიც კია, არა?

მარკუსი. ერთი რამ შემიძლია ვთქვა. თქვენი შესაფერი არ უნდა იყოს.

გილიომი. ვინ?

მარკუსი. თქვენი საცოლე.

გილიომი. რატომ? ჯერჯერობით ცოტა მორცხვია, მაგრამ ჩვენ მისგან ისეთ ქალს ჩამოვაქანდაკებთ! დიახ, ქალსაც თავისებური წვრთნა სჭირდება, ისევე როგორც მხეცებს. ასე არაა? ნახვამდის! **(გადის.).**

შემოდიან ესტელი და ჟიზელი.

ესტელი. თქვენ სახლს ათვალიერებთ?

ჟიზელი. იცით რა, თუ გნებავთ, ოთახებსაც დაგათვალიერებინებთ.

ესტელი. თუმც ახლა ყველა დაკავებულია. აგერ იქ ჩვენი მშობლების ოთახია... ეს ბებიასი. მის გვერდით კი მარი-ჟოზეფისა. მაგას ბედმა გაუმართლა, უკვე ოთახიც გამოუყვეს, თუმცა მაგ ოთახში მალე გილიომიც შესახლდება.

ჟიზელი. ჩვენ არც ისე გაგვიმართლა, მაგრამ მაინც მშვენივრად ვგრძნობთ თავს. ასე არაა, ესტელ?

ესტელი. ჩვენი ოთახები აი ამ მხარესაა, ხედავთ?

ჟიზელი. ჩვენი ფანჯრები აივანზე გამოდის. ღამღამობით გარეთ გამოსვლა შეიძლება და სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა.

ესტელი. თუმცა საშიშიცაა. ერთხელ ღამით ვილაც ბიჭი გადმოძვრა აივანზე. ეს არც ისე ძნელია, აგურებს თუ მოეჭიდები, კიბეებსაც კი სჯობს. ისე რომ ზაფხულობით ყოველთვის ღია მაქვს ფანჯრები.

ჭიზელი. მეც ღია მაქვს ფანჯრები. თუ მოისურვა ვინმემ და ამ ლიანებს ამოჰყვა, შიშველსაც კი მნახავს. ხედავთ ამ მხხვილ ტოტებს? ხშირად სწორედ აქედან მიყვარს გადაძრომა ჩემს ოთახში.

მარკუსი **(დგება.)** ძალიან კარგი, გოგონებო, დაელოდეთ სტუმარს, ის უეჭველად გესტუმრებათ **(გადის).**

ესტელი. თუ ამ ღამეს ჩემთან ამოვა, ხომ არ გამამხელ?

ჭიზელი. მოვა?

ესტელი. რა ვიცი.

ჭიზელი. მაგრამ თუკი ის ჩემთან გადმოძვრა, შენც არ იტყვი ხომ არაფერს?

ესტელი. არა. სამაგიეროდ როცა წავა, ერთმანეთს მოვუყვებით ყველაფერს.

ჭიზელი რა თქმა უნდა.

ესტელი. გვექნება მოსაგონარი ქორწინების შემდეგ...

ბნელდება.

ფარდა

IV სურათი

კიურე

სიბნელე. მუსიკა. მომღერალ გოგონათა გუნდი. შემოჰყავთ მა-მურე.

კიურე. აი უკვე მივედით ჩვენი ბატარა სიტყვის დასკვნით ნაწილთან. ახლა უკვე სულ ცოტალა დაგვრჩა. ქალბატონო მურე! **(მა-მურე ხვრინავს.)** ქალბატონო მურე, ქალბატონო მურე... სულ ოდნავ, სულ ოდნავ კიდევ დაატანეთ თავს ძალა, რომ კარგად დაიმახსოვროთ ბოლო ფრაზა. ჩვენ...

მა-მურე. შენ მე გადამქანცე, კიურე.

შემოდიან ესპრი და ვიქტორინა.

ვინ მოვიდა?

ესპრი. ეს ჩვენა ვართ.

მა-მურე. თქვენა ხართ? დასხედით!

კიურე. ოპო... მადამ მურე სტუმრებსაც იღებს.

მა-მურე. როდის დამტოვებენ მთლად მარტოდ, არასოდეს?

კიურე. კი მაგრამ, ეს ხომ თქვენი საკუთარი და ქალბატონი ვიქტორინა და თქვენი ვაჟიშვილი ესპრია!

მა-მურე. ესპრი, რატომ არ გინდა გამოიყენო დღესასწაული და ცოლი შეირთო?

ესპრი. მე ორჯერ დავქვრივდი უკვე, დედა.

მა-მური. ვიცი, ვიცი... ლეონტინა და ჟილბერტა. მე ჟილბერტა უფრო მომწონდა, ფეხებდაგრეხილი კი იყო, მაგრამ უბოროტო. საცოლე საშუალო წლოვანებისა უნდა შეარჩიო, დაახლოებით შენი ტოლი.

ესპრი. ის მე რჩევებს დამადგამს, დედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მა-მური. რა მოხდა მერე, გაერთობი.

კიური. ქალბატონო მურე!

მა-მური. არ მიყვარს, როცა ჩემი ახლობლები უსაქმოდ რჩებიან. აი ეს მთლად უსაქმოდ დარჩა.

ესპრი. მე თადარიგში ოცი წლის წინ გავედი.

მა-მური. რას იზამ, ცხენოსანთა პოლკში ახლა მხოლოდ ბიჭბუჭებს რიცხავენ. შენ ჩამოჯექი უკვე, ვიქტორინა?

ვიქტორინა. დიახ, დიახ...

მა-მური. მით უკეთესი. მაინც ვერ გხედავ.

კიური. სულ მალე ალბათ ასი წლის იუბილესაც გადავიხდით. საოცარია, როგორ შემოინახეთ დღემდე სიქალწულე.

ვიქტორინა. მე ჯერ კიდევ მაქვს დრო, მე ჯერ მხოლოდ ოთხმოცდამეათე წელში ვარ.

კიური. ღმერთო ჩემო, ის ჯერ მხოლოდ ოთხმოცდამეათე წელშია. ალბათ რამდენი რამ გაქვთ მოსაგონარი, სათქმელი...

მა-მური. გვაქვს, გვაქვს. მაგრამ არაფერს ვუყვებით ერთმანეთს. მე არც ისე ვუფრთხილდები ჩვენს ურთიერთობებს.

კიური. ყველა ადამიანი უნდა გიყვარდეთ, ქალბატონო მურე.

მა-მური. შენ უკვე მეჩვიდმეტე ხარ, ვინც ამას მეუბნება, კიური. შენ ალბათ ფანტაზიორი ხარ.

კიური. გთხოვთ ოდნავ კიდევ დაატანოთ თავს ძალა, სულ ოდნავ. ამჯერად უკვე საბოლოოდ და გაგათავისუფლებთ. ჩვენ ბევრჯერ გავუძელით ბედის უკულმართობას...

მა-მური. აი, ეგ კი მართლაც ჭეშმარიტებაა.

კიური. გაიმეორეთ, მა-მურე. ჩვენ ბევრჯერ გავუძელით...

მა-მური. ჩვენ ბევრჯერ გავუძელით ბედის უკულმართობას. მართალია, რომ ცირკმა ტიერის მოედანზე უნდა გამართოს წარმოდგენა?

კიური. ცირკზე მერე ვილაპარაკებთ. ჩვენ ბევრჯერ გავუძელით ბედის უკულმართობას... რადგანაც ვიცით, რომ ამ ყველაფერს ღმერთი გვიგზავნის ციდან.

მა-მური. ყველაფერს ღმერთი გვიგზავნის ციდან... კი, ამ საქმეში ის ნამდვილად ხელგაშლილია.

კიური. ქალბატონო მურე, ქალბატონო მურე!

მა-მური. რით კვებავს თავის მხეცებს ფრანკერი?

კიური. ცხოველებზე მერე ვილაპარაკოთ.

მა-მური. მერე?

კიური. ყველაფერს ღმერთი გვიგზავნის ციდან და სამართლიანად ანაწილებს...

მა-მური. [illegible]ნად [illegible]ებს.

კიური. და ბოლოს ერთი ფრაზა, რომელიც თქვენ ძალიან კარგად იცით. ეს ყოველივე... ეს ყოველივე... დამავიწყდა.

მა-მური. ეს ყოველივე. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ მუდამ მხარში ვედექით ერთმანეთს და ჩვენს ოჯახს უფლება აქვს ღირსეულად მაღლა ეჭიროს თავი.

კიური. ძალიან კარგი.

მა-მური. დიახ, დიახ... ჩვენს ოჯახს უფლება აქვს ღირსეულად ეჭიროს თავი... აი, რას ვეტყვი მათ **(ესვრის კიურეს ბალიშს.)**

შემოდის ელოიზა.

ელოიზა. რა ხდება ეს, დედილო?

კიური. შესანიშნავია, ბებია! ჩვენ უკვე ვიცით ჩვენი პატარა სიტყვა და მას ისე წავიკითხავთ, როგორც დიდები. და მე წინასწარვე ვგრძნობ, რომ ბევრი ალბათ აცრემლდება კიდეც.

მა-მური. რა შუაშია ცრემლები, თქვენ რა, დასაფლავებას მიპირებთ?

ელოიზა. აღელვებისგან, დედილო! სან-ვიოს პატარები და ყველაზე უხუცესი ფრანგი ფრანგთა შორის. მთელი სან-ვიო ატირდება.

მა-მური. იცი, რას გეტყვი, პატარავ? ჩვენს ქალაქს მუდამ აკლდა გართობა. ელოიზა, ფიფინაა ის, ბილიკზე, სეივანში?

ელოიზა. მგონი კი. სეირნობს და ქსოვს.

მა-მური. გუშინ ის ვიღაცას ელოდა... ვიღაცას, ვინც ესტუმრა კიდეც.

ელოიზა. თავის გილიომს ალბათ.

მა-მური. სულაც არა.

ელოიზა. მაშ ვის, დედილო?

მა-მური. არ მიყვარს საიდუმლოს გამხელა, ელოიზა.

ელოიზა. აქედან ვერც დაინახავდით, თქვენ ხომ ცუდად ხედავთ.

მა-მური. მაგრამ გამოცდილება? დიახ, დიახ, „უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ მუდამ მხარში ვედექით ერთმანეთს და ჩვენს ოჯახს უფლება აქვს ღირსეულად მაღლა ეჭიროს თავი". შენ აქ ხარ ისევ?

კიური. ქალბატონო მური, თქვენ გაზეთის კორესპონდენტებთან მოგიწევთ გასაუბრება. დიახ, და ძალზე გულის ამაჩუყებელი იქნებოდა, თუ ჩვენი იუბილარი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, იქვე, თვითონვე მიიპატიჟებდა ყველას სასაფლაოზე.

მა-მური. შენ გინდა ჩემი იუბილეს დღეს მივიცვალო, კიურე?

კიური. არა, ბებია, თქვენ თხოვნით მიმართავთ სტუმრებს თქვენი ახლობლების საფლავები მოინახულონ. თქვენ ალბათ ბევრი ახლობელი დაკარგეთ.

მა-მური. მეც ასე ვფიქრობ.

კიური. სტუმრებს აუხსნით, „რომ ყვავილებს მიიტანთ და ილოცებთ მათ საფლავებზე".

მა-მური. რატომ საფლავებზე? რა სევდიანი რამ იქნებოდა, მიცვალებულები რომ მართლაც საფლავებში რჩებოდნენ იმის მოლოდინში, ვინმე მოვა და ჭიქა ღვინოს წაგვიქცევს ხავსმოდებულ ბორცვებზეო...

 კიურე. ისინი ღვთის წიაღში არიან, რა თქმა უნდა. მე ამის იმედი მაქვს, ასე ვთქვათ. მაგრამ თქვენ ხომ მათ სასაფლაოზე მიასვენებდით?

მა-მური. კი, მაგრამ იქ როდი ვტოვებდი. ამიტომ არც ვიცი, სად არიან ახლა. ზოგიერთები არსადაც არ არიან ალბათ. მაგრამ ისინი, ვინც მე მიყვარდა... რადგან მურეთა შორისაც იყვნენ ისეთებიც, ვინც ვე მიყვარდა...

კიურე. ყველა!

მა-მური. არა, ყველა არა. ზოგიერთები. მე მათ საძებნელად სასაფლაოზე არ დავდივარ. რადგან ისინი აქ არიან, ჩემს გულში და არა სხვაგან.

კიურე. ოდესმე ალარც თქვენ იქნებით, ბებია, სასაფლაო კი იარსებებს.

მა-მური. იქ ჩემს ბებერ ძვლებს ჩაასვენებენ. მაგრამ ვის შეუძლია იმის დამტკიცება, რომ მართლაც იქ ვწევარ? მე მხოლოდ იმათ გულებში ვიარსებებ, ვისთვისაც ძვირფასი იყო ჩემი სიცოცხლე.

ელოიზა მარცხნივ გადის.

კიურე. ნახვამდის, ქალბატონო მურე!

მა-მური. თქვენებს მოკითხვა.

კიურე. ნახვამდის, მადამ.

ვიქტორინა. მადმუაზელ.

კიურე. მადმუაზელ ვიქტორინა. ნახვამდის, ბატონო ესპრი.

ესპრი. ნაბიჯით, ჩორთით, ოთხით. შეტევა!

კიურე. ნუ შეწუხდებით.

კიურე მარჯვენა მხარეს გადის.

ესპრი. ამ რეგვენმა თავი აიწყვიტა და საცაა ხევში გადაიჩეხება. მოსწიე ლაგამი, მოულრიცე თავი.

მა-მური. შენ ჯარისკაცობანას თამაშობ, ბიჭუნი? დაიჭირე დილას ზუთხი?

ესპრი. არა, დედა. წყალი მთლად გამჭვირვალე იყო.

მა-მური. შენ ხომ არ იტყვი რამეს, ვიქტორინა?

ვიქტორინა. მე არაფერი მაქვს სათქმელი.

მა-მური. მით უკეთესი. მიდიხარ ცირკში?

ვიქტორინა. ცირკში? ჩემს ასაკში?

მა-მური. მე კი მივდივარ.

ესპრი საყვირს ჩაბერს.

ვიქტორინა. შენ ეს მარში დედის იუბილეზე უნდა შეასრულო, ესპრი?

ესპრი. არ ვიცი.

ვიქტორინა. აუ, რა მელოდიაა. ხა, ხა, ხა! კიდევ კარგი, ჩემი დღესასწაული არ არის. სხვათა შორის, ჩემო კარგო, არც ისე ძნელია ეს წლამდე მიღწევა, თუკი ასე გელოლიავებიან ყველანი (**ტირის**).

მა-მური. ისევ იკბინები, არა? კბილები რომ ალარა გაქვს, ბებერო ფაშატო!

ესპრი საყვირს ჩაბერს.

ფარდა

V სურათი

მდინარე

სიბნელე — გუნდი

მარი-ჟოზეფი. ეს ბებიას საპატივსაცემოდ მღერიან.

მარკუსი. მისთვის არაფერს იშურებენ.

მარი-ჟოზეფი. მთელი ქალაქი დამტკბარ გუნებაზეა. ყველა ფიქრობს, რომ ეს მისი დღესასწაულია. ხვალ დიდი ღრეობა გაიმართება სასიყვარულო ფინალებით.

მარკუსი. ლხინი, დროსტარება... აქვთ კიდეც მიზეზი.

მარი-ჟოზეფი. გვიანობამდე იცეკვებენ მოედანზე.

მარკუსი. თქვენც გისურვებთ კარგად მოლხენას.

მარი-ჟოზეფი. ოჰ, ჩემთვის უკვე დამთავრდა დღესასწაული.

მარკუსი. როგორ? განა ის თქვენთვის ადრე დაიწყო?

მარი-ჟოზეფი. არა, მე სულ სხვა ზეიმი მქონდა.

მარკუსი. გული გატკინეთ, ჟოზი? იშვიათად თუ მქონია რვალღიანი შესვენება. იცით, ეს დღეები ჩემთვის მშობლიურ სოფელში გატარებულ არდადეგებს უფრო ჰგავდა. მუდამ მემახსოვრება სან-ვიო და მისი პატარა მდინარე, სადაც თეთრეულს რეცხავენ. ჩვენ ველარ შევხვდებით ერთმანეთს, ჟოზი?

მარი-ჟოზეფი. დღეს საღამოს მე თქვენ არენაზე გიხილავთ... ხვალ კი ალბათ შორიდან თუ მოგკრავთ თვალს დღესასწაულზე, აუარებელ ხალხში. ზეგ დილას კი უკვე გაემგზავრებით.

მარკუსი. მე თქვენზე ბევრს ვიფიქრებ, ჟოზი. თვალი მოგკარით თუ არა, ასე მეგონა, ახლობლები ვიყავით, რომ პატარაობისას ჩვენი მშობლები გვერდიგვერდ არწევდნენ ჩვენს აკვნებს.

მარი-ჟოზეფი. მით უკეთესი. გექნებათ ტკბილი მოსაგონარი.

მარკუსი. თქვენ გადასარევი ხართ.

მარი-ჟოზეფი. თქვენ ალბათ ხშირად ხვდებით გადასარევ გოგონებს.

მარკუსი. არა. მე უფრო ხშირად თავქარიანებს თუ მოვეწონები. სერიოზულებისთვის მე ნული ვარ.

მარი-ჟოზეფი. თქვენ მხოლოდ გაბედული ქალი თუ გამოგყვებათ.

მარკუსი. მასეთი ჯერ არავინ შემხვედრია.

მარი-ჟოზეფი. მალე ესტელი და ჟიზელი დაბრუნდებიან სკოლიდან. უნდა წავიდე.

მარკუსი. ჟოზი, არ შეგიძლია ხვალ სულ ერთი წამით მაინც გამონახო დრო?

მარი-ჟოზეფი. ეგ შეუძლებელია.

მარკუსი. დღეს ღამით?

მარი-ჟოზეფი. ეგეც შეუძლებელია. იცით, როგორ მოსწონხართ ესტელსა და ჟიზელს? თუ ეს თქვენც დაგაინტერესებდათ, ისინი თანახმა იქნებიან. აი, თქვენთან ერთად გაქცევაზე კი, რა თქმა უნდა, უარს იტყვიან, გამბედაობა არ ეყოფათ. შუალამისას, უჩუმრად, ისე, რომ, ვერავინ ვერაფერი გაიგოს... ისინი სწორედ ამას ელიან, მე კონტრასაც არ დავძრავ.

მარკუსი. თქვენ ტირით, ჟოზი? **(მუსიკა.)**

მარი-ჟოზეფი. მე გამბედაობის გარეშეც წამოგყვებოდით, მაგრამ ისინი გამთოკავენ, არ გამომიშვებენ.

მარკუსი. ჰო, რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა... ნუღარ იფიქრებთ ჩემზე, მორჩა და გათავდა.

მარი-ჟოზეფი **(გადის და ისევ ბრუნდება.)** მომისმინეთ... თქვენ შეგიძლიათ... ჰო, როგორც თქვით, ამ ღამით... თუკი გსურთ ასე... **(გარბის.)**

მუსიკა. გოგონათა გუნდი სიმღერით გადის. მარკუსი მათ მიჰყვება.

ფ ა რ დ ა

VI სურათი

ჟურნალისტი

ესპრი. ნაბიჯით, ჩორთით, ოთხით... მიდი, ჩეხე, გაუყარე!

არმანდინა. ბებია, კორესპონდენტია „პარიზის ექოდან".

შემოდის ანტუანი.

ანტუანი. მობრძანდით, მობრძანდით.

შემოდიან ჟურნალისტი, ფერდინანდი და გილიომი.

ჟურნალისტი **(ვიქტორინაზე.)** ეს არის ასწლიანი?

ვიქტორინა. არა, აი ის! მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ **(სიცილი.)**

ანტუანი. არა, არა!

ფერდინანდი. აი, ორივე ერთად, უხუცესი და მისი და — ვიქტორინა.

არმანდინა. უტკბილესნი, განსაკუთრებით ბებია მურე.

ჟურნალისტი. ორი დედაბერი, მაგრამ ეს უფრო უძველესია, არა?

მა-მურე. დიახ, უძველესია! თქვენ გაგიმართლათ, გენაცვალე, რომ ის იხილეთ.

ჟურნალისტი. ნამდვილად ას ექვსი წლისაა? მშვენივრად გამოიყურება.

მა-მური. ვცდილობ კარგად გამოვიყურებოდე, ხალხს გული რომ არ აერიოს.

ფერდინანდი. იცით, რა ჯანმრთელია?

ანტუანი. იცით, რა ხალისიანი და მხიარულია?

არმანდინა. იცით, რა ნაკვეთია?

მა-მური. თქვენ რა, გაყიდვას მიპირებთ? კბილები რომ მაკლია?

ჟურნალისტი. როგორ, სულ არაფერი გაწუხებთ, ქალბატონო, არავითარი ავადმყოფობა?

მა-მური. ოდესღაც მქონდა სურდო.

ჟურნალისტი. სურდო.

მა-მური. არ ჩაწერო, იმიტომ რომ გამიარა. აი, ამას კი ყვავილი ჰქონდა, მუდამ რომ თავის კვალს ტოვებს.

ვიქტორინა. ტყუის, ტყუის!

ჟურნალისტი. მაშასადამე, ის ლუი-ფილიპეს მეფობისას დაიბადა? თქვენ იგი ნანახიც გყავთ?

მა-მური. ის სან-ვიოში ჩამობრძანდა და ყვავილების თაიგული მივართვი. მაშინ ყველაზე უმცროსი მე ვიყავი. სელინას მუდამ საპატიო ადგილი ეკავა.

ჟურნალისტი. იმპერატორი? ნაპოლეონიც ნანახი გყავთ?

მა-მური. ვნახე, ვნახე... ტიუილრიში. მასთან მისაუბრია კიდეც. პარიზში ჩავედი, რათა მისთვის რაღაც-რაღაცები მეთხოვა...

ანტუანი. არა. უკვე აურია. სჯობს ის ჰკითხოთ, თუ...

ფერდინანდი. ბები, თქვენ არაფერიც არ გახსოვთ.

არმანდინა. ბები, თქვენ არაფერიც არ გახსოვთ.

მა-მური. არ მახსოვს? ჰო, თუკი ესენი ასე ამბობენ, ალბათ აღარ მახსოვს. მაგრამ მე ის მართლაც ნანახი მყავს, იმპერატორი. ისინი ორნი იყვნენ. დაბალი მაგიდასთან იჯდა, მაღალი და ახოვანი კი, ლამაზ მუნდირში იდგა. „ბატონო", — მივმართე მე ახოვანს, მაგრამ მან მანიშნა და მეც მივხვდი, რომ დაბალი უფრო მაღალი იყო. ისე, არა უჭირდა რა, თუმცა მე სხვა გემოვნება მაქვს. ნიკაპზე წვერი ჰქონდა მოშვებული, ჩემს საწყალ ქმარს ჰგავდა ოდნავ, რამაც დამამშვიდა... და იმედი გამიცრუა.

ჟურნალისტი. რა გითხრათ?

მა-მური. მითხრა, კარგი ქალი ხართო. არ მომეწონა მისი სახის ფერი, სანთელივით ყვითელი ფერი ედო. მინდოდა მეთქვა: „თქვენო უდიდებულესობავ, კარგი იქნებოდა, რომ თქვენი კუჭისთვის მიგეხედათ". ვწუხვარ, რომ ვერ ვუთხარი. ორმოცი წლისა ცოტა მორიდებული ხარ.

ჟურნალისტი. კიდევ სულ ცოტა, გაზეთისთვის...

მა-მური. მე არ ვკითხულობ გაზეთებს.

ვიქტორინა. მას ძალიან ცუდი მხედველობა აქვს.

ანტუანი. ვიქტორინა!

(გილიომს გაჰყავს ვიქტორინა.)

არმანდინა. იგი გადაიქანცა.

ჟურნალისტი. მე ბედნიერი ვარ, რომ უხუცესი ვიხილე. დარწმუნებული ვარ, ხვალ, ბანკეტზე, მას უეჭველად შეეკითხებიან ჯანმრთელობის საიდუმლოების შესახებ.

მა-მური. ვიცი, რაც უნდა ვთქვა, კარგი მახსოვრობა მაქვს.

ფერდინანდი. მთელი ჩვენი ოჯახი იკრიბება. რა საინტერესო იქნება მისთვის... მთელი ხუთი თაობა.

მა-მური. მაგრამ ლიზეტი რომ არ იქნება! რა გოგონა იყო. როგორ მწყინს, რომ გაბოზდა. მაინც მიყვარდა, მაგრამ ვერ მოვა, რადგან ავადაა. ჯერ საშოცისაც არაა და უკვე დაბერა დაემართა. ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ვთქვათ: „ჩვენ მუდამ მხარში ვედექით ერთმანეთს და ჩვენს ოჯახს უფლება აქვს ღირსეულად მაღლა ეჭიროს თავი".

ანტუანი, ფერდინანდი და ჟურნალისტი გადიან.

არმანდინა. გაგიჟდით? ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება ყველა შემხვედრთან ამაზე ლაპარაკი?

მა-მური. დიახ, მართალი ბრძანდებით, ჩემო კარგო.

არმანდინა. თქვენ გგონიათ, რომ ამ ხნის ქალს შეგფერით ამგვარი ხულიგნობა?

მა-მური. ყველა ასაკში შეიძლება გამოფხიზლება, ძვირფასო... ელოიზა, მომრთე რა ერთი შენებურად, ცირკში მივდივარ!

არმანდინა. ცირკში? გადაირიეთ?! მერე ხვალ? რა იცით, რა შესახედავი იქნებით?

მა-მური. ხვალ რა მოხდება და რა იქნება, ეგ სულ არ მაინტერესებს. მე დღეს აუცილებლად უნდა წავიდე ცირკში და ფრანკერის გამოსვლა ვნახო.

არმანდინა. ექვსზე თქვენ ფაფას გაჭმევენ, მერე კი დასაძინებლად დაწვებით.

ელოიზა. რათა ხვალ წითლად გიღუოდეთ ლოყები, დედილო!

მა-მური. ელოიზა, მომაწოდე კაბა და ფარშევანგის ბუმბულით გაწყობილი ბერეტი. **(ელოიზა გადის.)** შენ აქ ხარ, ესპრი? არ წამოხვალ ჩემთან ერთად? შენ ხომ გიყვარს ცხენები და მუსიკა?

ესპრი. კი, დედა. სწორდით! სმენა!

არმანდინა. არ გინდათ რა, ბებია, ჭკვიანად მოიქეცით. ცირკში სხვა დროს წაგიყვანენ.

მა-მური. ამ ქალაქში ცირკს ოცდაათი წელია არ ჩამოუვლია. მე ლოდინის დრო აღარა მაქვს. სხვა დროს სხვა ცირკი ჩამოვა და არა ფრანკერის ცირკი.

არმანდინა. თქვენ მან თავბრუ დაგახვიათ თავისი ჩექმებით.

მა-მური. არა, ჩექმებით სულაც არა...

არმანდინა. ძილის დრო გაქვთ, ძილის!

მა-მური. არ დამაკარო თითი! ეს რას ჰგავს? რა, არ მაქვს პატარა სიამტკბილობის უფლება ას ექვსი წლის ქალს?

შემოდის ელოიზა.

არმანდინა. ანტუან, ანტუან! **(შემოდის ანტუანი).** ცირკში წასვლას აპირებს. ვერაფრით ვერ გადავათქმევინე.

ანტუანი. ბებიკო, ნანა, ნანა!

მა-მურე. ვის ელაპარაკები ასე, ლაწირაკო!

ანტუანი. რა?

მა-მურე. ეს ჩემი ზეიმია თუ შენი? ვითომ რატომ უნდა გავიხარო სხვებზე ნაკლებად? თქვენ გინდათ, რომ ორთავიან ხბოსავით ხალხის საჩვენებლად გამომფინოთ. მე კი მხოლოდ ერთი თავი მაბია, რომელიც ჯერ კიდევ მშვენივრად მუშაობს. დღეს საღამოს ცირკში მივდივარ... და ხვალინდელ კარნავალსაც იმასთან ერთად გავხსნი, ვისთანაც გამიხარდება. აი როგორ მესმის მე ჩემი დღესასწაული.

არმანდინა. წკეპლები მოუხდებოდა მაგას ალბათ, წკეპლები!

ესპრი. ქარი და წვიმა, ელვა და მეხი... ზვავების გრიალი!

ანტუანი. ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. ენას კბილი დააჭირე, არმანდინა. ბებია, თქვენ რა, ზეიმის ჩაშლას აპირებთ?

მა-მურე. შენი ადგილი საყასბოშია, ანტუან. შენი კი დახლთან, არმანდინა. ელოიზა, მომიტან ბოლოს და ბოლოს კაბას, თუ თვითონ წავიდე მოსატანად?

ელოიზა გადის. შემოდის გილიომი.

გილიომი. მამა, მამიდაშვილები ჩამოვიდნენ ბრესუარიდან.

ანტუანი. მოვდივარ, რაც უნდა ის უქნია.

არმანდინა. რას ნიშნავს, რაც უნდა?

ანტუანი. წადი და სალაროს მიხედე, არმანდინა! **(არმანდინა გადის.)** ბებია, ხვალ თქვენ ლოგინიდანაც ველარ წამოდგებით ალბათ. ხომ შეიძლება მოკვდეთ კიდეც ცირკში.

მა-მურე. მირჩევნია ცირკში მოვკვდე, ვიდრე აქ, ამ თქვენს დუქანში, სადაც დიდი ხანია ჭაობის სუნი დგას.

ანტუანი. ბებია, გთხოვთ...

მა-მურე. თუ ცირკში არ გამიშვებ, მაგ შენს ბრესუარელებს ზედაც არ შევხედავ. მით უმეტეს, სულაც არ მეხატებიან გულზე.

ანტუანი გადის. შემოდის ელოიზა კაბით ხელში.

ჯერ კიდევ ახალია ეს ჩემი კაბა. მშვენივრად შემონახულა. ესპრი, ეცადე ხვრინვა არ ამოუშვა ხალხში. უკვე მესამედ მივდივარ ცირკში. პირველი იყო „ალექსანდრე — ბორკილების მკვნეტელი". ლამაზად დამვარცხნე, ელოიზა! მინდა კარგად გამოვიყურებოდე. მომეცი შენი ხელი, ესპრი. ასწიე თავი მაღლა, თორემ მთლად მოშვებული ხარ! ცირკისკენ, ნაბიჯით იარ!

მუსიკა. ესპრი საყვირს ჩაბერავს. მა-მურე, ესპრი და ელოიზა ერთად გადიან.

ფარდა

VII სურათი

ცირკი

მუსიკა. სიბნელე. არენაზე ჯამბაზი ქალი შა-იუ-კაოა და ცირკის ბიჭები. შემოდის ლორანი.

შა-იუ-კაო. უ-უ-უ... **(იცინის).**

ლორანი. საღამო მშვიდობისა, ქალბატონო.

შა-იუ-კაო. გამარჯობათ, გამარჯობათ.

ლორანი. გრაციელას ნახვა მინდოდა.

შა-იუ-კაო. გრაციელა აგერ იქაა, ხედავთ? **(შემოდის გრაციელა.)** თქვენ წინაშეა გრაციელა. საუკეთესო მხედარი.

გრაციელა. თქვენ რა, არ მოდიხართ წარმოდგენის სანახავად?

ლორანი. მოვდივარ... მე...

შა-იუ-კაო. მოვდივარ, მოვდივარ!

გრაციელა. რატომ მიყურებთ ასე დაჟინებით? მოგწონვართ?

შა-იუ-კაო. ფრანკერი!

ფრანკერის გამოსვლა.

ბიჭები შოლტს გადაუგდებენ. ფრანკერი ბიჭებთან ერთად შემორბის. ეხვევა შა-იუ-კაოს, კოცნის გრაციელას და ცირკის ბიჭებთან ერთად გადის.

ლორანი. მითხარით, ეს მარკუსი, მხეცების მომთვინიერებელი, ასე წარამარა გკოცნით?

გრაციელა. არ გიხდებათ ეჭვიანობა, ლამაზო! როცა დარბაზში ანშლაგია და ყველა კმაყოფილი, მსუბუქი ფლირტი და ხუმრობა ჩვეულებრივი ამბავია კოლეგებს შორის... წარმოდგენა ჩაივლის და ჩაო, შენ ლონდონში გაემგზავრები, მე ალჟირში. იქნებ შევხვდეთ კიდევ სადმე, მომავალში.

შა-იუ-კაო. ნახვამდის, ჩემო მშვენიერო.

გრაციელა. მე ერთ პატარა, მორცხვ აკრობატს ვიცნობდი, რომელიც ზლაპრულ ჩიტს ჰგავდა. ის ვიოლინოზე ფეხის თითებით უკრავდა. ერთ დღესაც ბედისწერამ უმტყუნა და ჩამოვარდა. ალბათ ხვდებით ახლა, რას ნიშნავს სწორედ მისი კოცნა, ვისი სიცოცხლეც ბეწვზე ჰკიდია.

ლორანი. მე ვიცი, რაა ტანჯვა-წამება!

გრაციელა. რა საჭიროა, საყვარელო, ტანჯვა-წამება. ყველას კი არ ვაწამებთ. თქვენ ისეთი ნაწყენი ჩანხართ...

ლორანი. კი, შესაძლებელია.

გრაციელა. აბა, მითხარით რამე.

ლორანი. მე თქვენ მიყვარხართ. როცა თქვენ წახვალთ, მე მარტოდ დავრჩები, მთლად მარტოდმარტო. **(შა-იუ-კაო იცინის.)** ღმერთო, რა კოშმარებში ვარ.

გრაციელა. წამოდი ჩემთან ერთად! მართალია, არ ვიცი, სად მივდივართ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, გზა-გზაა. ხედავ, მე არც ისე რთული ქალი ვარ...

ლორანი. მთელი სიცოცხლე?

გრაციელა. აბა ეგ რა შეკითხვაა? ეს დიდი სიყვარული იქნება თუ პატარა თავდავიწყება იმ ბიჭუნასთვის, ვისაც არასოდეს მიუტოვებია მშობლიური სახლი, სულ არაფერს მაინც აჯობებს.

შა-იუ-კაო. დიახ, სულ არაფერს მაინც აჯობებს.

ლორანი. რა თქმა უნდა... მადლობელი ვარ.

გრაციელა. ჰო, დაფიქრდი, დაფიქრდი. შენ კიდევ გაქვს დრო

ხვალამდე. ამ საღამოს კი, სპექტაკლის შემდეგ, ეკლესიის უკან მოგ-ძებნი.

ლორანი. ო! დიდი მადლობა.

მა-იუ-კაო. დიდი მადლობა.

მუსიკა. გრაციელას ცეკვა.

გრაციელა. ნახვამდის, შენ მშვენიერი ბიჭი ხარ. აბა, არმან, შე-კაზმე მატადორი!

გადის. შემდეგ გარბის ლორანი.

ფ ა რ დ ა

VIII სურათი

ფრანკერის ვიზიტი

შემოდის ელოიზა ლამპით ხელში.

მა-მური. ეს ამბავი დიდი ხნის წინ იყო...

ელოიზა. რა არის, დედილო?

მა-მური. არაფერი.

ელოიზა. ისევ საკუთარ თავთან ლაპარაკობთ?

მა-მური. დიახ, მიყვარს ჩემს თავთან ლაპარაკი, თუ მოწყენილი ვარ.

ელოიზა. თქვენ ალბათ წარმოდგენამ აგაღელვათ.

მა-მური. სად სძინავს ფრანკერს?

ელოიზა. რა ვიცი, რომელიმე ფურგონში ალბათ.

მა-მური. ფურგონები. ვინ იცის, რამდენს ბრუნავენ მათი ბორ-ბლები...

ელოიზა. დაიძინეთ. ღამე ნებისა. ნურაფერზე იფიქრებთ, პირ-ჯვარი გადაიწერეთ!

მა-მური. აი, აი, სწორედ ეგ ჩამაძინებს.

ელოიზა. ღამე მშვიდობისა.

მა-მური. ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა.

ელოიზა. ღამე მშვიდობისა.

მა-მური. ღამე მშვიდობისა.

ელოიზა. დედილო.

ელოიზა გადის. მუსიკა. შემოდის მარკუსი.

მა-მური. ეს შენა ხარ, ფრანკერ? იცი, მე ვფიქრობდი შენზე. მთელი ღამეები არ მძინავს...

მარკუსი. მაგრამ მე... ბოდიში... მე...

მა-მური. მიხარია, რომ ჩემს სანახავად მოხვედი. დიდი ხანია ჩე-მი გულისთვის არავინ ამომძვრალა ამ აივანზე. დიდი, დიდი ხანია. მო მიახლოვდი, ძვირფასო, ჩამოჯექი!

მარკუსი. ბოდიში, შემეშალა...

მა-მური. შენ ჩემთან არ ამოსულხარ?

მარკესი. თქვენთან, თქვენთან, მაგრამ გნახეთ და ახლა წავალ...

მა-მური. გეშინია, რომ ჩვენს ხმას გაიგონებენ? მაგათ იციან, რომ მე ღამღამობით ჩემს თავთან ვლაპარაკობ. ხმას ნუ აუწევ, არ არის საჭირო, ძალიან კარგი ხმენა მაქვს! დააპურე შენი ცხოველები?

მარკესი. დიახ, დიახ...

მა-მური. შენიანებს ფურგონებში ხძინავთ?

მარკესი. კი... კი...

მა-მური. მით უკეთესი. ისინი აქ კარგად ვერ იგრძნობდნენ თავს. ამ ოჯახმა მთელი ქალაქი დააჭაობა. თავკომბალებივით მრავლდებიან. ცუდად ხარ? დაჯექი, კარგად მოეწყვე, ნუ ჩქარობ! **(მარკესი ფანჯრის ჩარჩოდან კიბეზე გადაჯდება).** ბებია ცოცხალი გყავს კიდევ?

მარკესი. არა, ის აღარ არის ცოცხალი.

მა-მური. ის ქმარზე ადრე წავიდა?

მარკესი. კი, დიახ!

მა-მური. ქმარი რა ხნისა გარდაეცვალა?

მარკესი. არ ვიცი, ეს ამ ოცი წლის წინათ იყო.

მა-მური. ის მთლად მარტო დარჩა? უცოლოდ? რამდენი შვილი ჰყავდა?

მარკესი. ერთი, მხოლოდ მამაჩემი.

მა-მური. შვილიშვილები ჰყავდა?

მარკესი. რა თქმა უნდა, ჰყავდა. აი, მე აქ არა ვარ?

მა-მური. რამდენი ჰყავდა?

მარკესი. ოთხი.

მა-მური. მერე სად არიან?

მარკესი. ომში დაიხოცნენ, მარტო მე დავრჩი.

მა-მური. ომში მე ოცდასამი კაცი დავკარგე. ოცდასამი — გამოვა ჯარი?

მარკესი. ოცეული. აბა კარგად ბრძანდებოდეთ **(დგება).**

მა-მური. ოცეული. იცი, მომწონს შენი ცირკი, მაგრამ იქ მე ვეღარ ვნახე ბორკილების მკვნეტელი — ყველაზე დიდი საოცრება, რაც კი ოდესმე მინახავს.

მარკესი. ალექსანდრე? მამაჩემის მამა?

მა-მური. დიახ, დიახ...

მარკესი. თქვენ მას იცნობდით ახალგაზრდობაში?

მა-მური. მას ერქვა ფრანსუა. ფრანსუა იყო მისი ნამდვილი სახელი.

მარკესი. თქვენ მას კარგად იცნობდით?

მა-მური. მაშ, საიდან უნდა მცოდნოდა მისი ნამდვილი სახელი?

მარკესი. მან ერთხელ მიამბო თქვენზე.

მა-მური. მე კი დღემდე ერთი სიტყვაც არ დამცდენია არავისთან. ვერ მოვახერხე. აი ნახე! ეს მისი პორტრეტია! სხვები ვერც ამჩნევენ. არადა, დიდი ხანია უკვე აქ ჰკიდია.

მარკესი. მადამ მური! **(ჰკოცნის ხელზე).**

მა-მური. ფრანსუა ფრანკერი. ლამაზად ელერდა. ისიც შენსავით იშვიათად ჩამოივლიდა. თვალს აყოლებდნენ ქუჩაში, როგორც შენ... **(იცინის.)** მე მაშინ ნამდვილი გაფურჩქვნის ასაკი მქონდა. გათხოვილიც არ ვიყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარკუსი. ცოტა ხმადაბლა, ქალბატონო!

მა-მური. იცი, რა საღამოებს ვაწყობდით ყოველ კვირა? ვახშმობის შემდეგ, მოლზე, წისქვილთან! გოგოები და ბიჭები და ყველგან სელინა... სელინა აქ... სელინა იქ... სელინა...

მარკუსი. დამშვიდდით, ქალბატონო!

მა-მური. ... მახსოვს, ერთხელ გოგოებმა დამპალი მსხლებით დავბომბეთ ბიჭები. ერთხელ ცაცხვის ხეზე ავძვერი, ქვევით კი ორნი იდგნენ და მთელი ძალით არხევდნენ... ივნისის ბოლოს... ირგვლივ საოცარი სურნელება იდგა.

მარკუსი. მე ვხვდები, ქალბატონო მური...

მა-მური. შენ ხვდები, ისინი კი გრძნობდნენ. ცაცხვს ტკბილი სურნელება აქვს... შემდეგ კი სექტემბერში... ნაკადულებში ხელით ვიჭერდით კალმახს. სელინა იმ დროს... სელინას გათხოვებამდე საოცრად უყვარდა სიცოცხლე.

მარკუსი. თანაც ხანგრძლივი სიცოცხლე...

მა-მური. არა, ჩემო კარგო... მე მწარე პურზე გავიზარდე. აი, სწორედ ამ დროს გამოჩნდა ფრანკერი.

მარკუსი. მერე?

მა-მური. მერე გულში ჩამივარდა და მთელი სიცოცხლე იქ დარჩა.

მარკუსი. ის ჩამოვიდა და წავიდა?

მა-მური. ჩვენ რამდენიმე საღამო გავატარეთ ერთად.

მარკუსი. მოკლედ, ეს ჭკუის სასწავლებელი ამბავი იყო?

მა-მური. წადი დაიძინე!

მარკუსი. ღამე მშვიდობისა, ქალბატონო. **(მიდის. ისმის გოგონების სიცილი. ბრუნდება.)**

მა-მური. ეს გოგონები გრილდებიან აივანზე. იქნებ მოელიან კიდეც ვინმეს ამ ღამით. რატომ გაჩუმდი, ფრანკერ? რომელს უნდა ესტუმრო, არ მეტყვი? არ მგონია, რომ ამ სიმაღლეზე მხოლოდ იმიტომ ამოძვერი, ჩემთვის მოგესმინა. მიპასუხე, ვის უნდა ესტუმრო? დროზე!

მარკუსი. ჟოზის.

მა-მური. ჟოზის?

მარკუსი. მარი-ჟოზეფს.

მა-მური. ძალიან გამახარე, ძვირფასო. ის ყველაზე უკეთესია აქ. ცის ნამივით სუფთა და წმინდა. წადი, წადი, აღარ დაგაკავებ, წადი!

მარკუსი. მინდოდა დავმშვიდობებოდი... ჩემზე რომ აღარ ეფიქრა აღარასოდეს.

მა-მური. დამშვიდობებოდი? რატომ?

მარკუსი. ცირკი ბალაგანია, დაეხეტება.

მა-მური. ეგ რა მიზეზია? წაიყვანე და წადი.

მარკუსი. რა? დიახ, დიახ, ქალბატონო.

მა-მურე. ნუ მიყურებ, როგორც ჭკუიდან გადასულს.

მარკუსი. მე აღარც ისე ახალგაზრდა ვარ. მისთვის ბებერიც კი ვარ ალბათ.

მა-მურე. ესეც მასავით სულელია! ისიც ზუსტად ამას მეუბნებოდა და სოფელში მტოვებდა: თქვენ პატარა ხართ, მე კი წლოვანი ვარ. მაინც რამდენი წლისა გარდაიცვალა?

მარკუსი. არ ვიცი... ოთხმოცის...

მა-მურე. ჰოდა, ხედავ? მე უკვე ოცდაექვსი წლით უფროსი ვარ შენს პაპაზე. მაგრამ, როცა კი ფრანსუაზე ვფიქრობ, თავი ისევ ნორჩი და ნაზი მგონია, როგორც ველის მიხაკი. ეს რა ახალგაზრდობა წამოვიდა. მე, ას ექვსი წლის დედაბერს, ასაკზე მელაპარაკება.

მარკუსი. რა უფლება მაქვს მოვწყვიტო ოჯახს, საქმროს...

მა-მურე. გილიომი! ფუ... შოხის ფრჩხილადაც არ ღირს. არარაობაა. იცი, რა მოხდება? ის, რაც ჩემსა და ფრანკერს შორის მოხდა. დიახ, დიახ, უკვე რამდენიმე წლის გათხოვილიც კი ვიყავ ელუაზე, ბედნიერებაზე კი წარმოდგენაც არ მქონდა. ერთხელაც პარიზში მომიწია წასვლა, იმპერატორი უნდა მენახა...

მარკუსი. იმპერატორი?

მა-მურე. ამ ამბის გახსენებას აქ ყოველთვის ერიდებიან. იმპერატორისგან მოვდივარ და ვფიქრობ: კარგი, შინ დავბრუნდები, მაგრამ ვინ იცის, დავალწევ კიდევ როდისმე ოჯახს თავს? ალბათ ვერა. არა, სჯობს ალექსანდრე მოვინახულო. მე მისი სახელი აფიშაზე ამოვიკითხე. სახტად დარჩა: როგორ, ეს თქვენ ხართ? ჰო, მე ვარ, მაგრამ არა ის გაუბედავი გოგონა. ჩემი სურვილით მოვედი. ის მაინც ეჭვობდა, ფიქრობდა, აი დღეს, აი ხვალ... მე ცოლიანი ვარ, მაგრამ უბედური. აი, ყოველივეს თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს? — ჰოდა, დაიწყე! — არ შემიძლია, ვერ გადამიწყვეტია. ეს ულამაზესი მამაკაცი, ასეთი ძლიერი ხალხის თვალში, შინდისფერი ტრუსით და ვერცხლის სამაჯურებით, ბორკილების მკვნეტელი, დაუკითხავად ძაფსაც ვერ გაწყვეტდა საკუთარ სახლში.

მარკუსი. უნდა დაგემშვიდობოთ, წასასვლელი ვარ...

მა-მურე. თუ ქორწილისთვის ვერ მოიცლი, არაფერია... გული გულს იცნობს... წაიყვან, გესმის? მე მას შენ გჩუქნი!

მარკუსი. არა, არა... ქალბატონო!

მა-მურე. გაარიდე იგი მურეებს, ფრანკერ! მე ისინი არ მიყვარს. ისინი ჰაერით დატენილი, გაბერილი ბუშტები არიან. ისინი ფრანგები არ არიან. მათ ძარღვებში ცხელი სისხლი არა ჩქეფს. ისინი მურეები არიან. ფიქრობენ, რომ უფლება აქვთ მოაშთონ წმინდა გრძნობები, გულის ფეთქვა. მათ მე უდაბნოს ყვავილივით ვყავდი ჩაჭერილი, უჰაეროდ, უწყლოდ. არ მიყვარს ისინი. ისინი ჩემი „ჯოგიდან" არ არიან.

მარკუსი. თქვენს ხმას გაიგონებენ.

მა-მურე. არც დღესასწაული არა მაქვს ყოველდღე... თან შენც გამოჩნდი მაღალყელიანი ჩექმებითა და შოლტით ხელში. ბრავო! ძალიან კარგი. შენ უნდა დაუსვა ამ ყოველივეს წერტილი. გადაუსხი მცირეოდენი ცხელი სისხლი ჩემს ყალბ ოჯახს. **(მარკუსი შემოუვლის გარ-**

შემო მა-მურეს. ჩამოჯდება.) ფუჰ! უნდა დავიძინო, ხვალ სიტყვით გამოვდივარ. ცოტას მაინც წავუძინებ. **(მარკუსი გადის)** სად მიდიხარ? მარჯვნივ... მეორე ფანჯარა... რატომ გარბიხარ? ნუ სულელობ პაპაშენივით, ფრანკერ, ფრანკერ!

ელოიზა **(შემოიხედავს).** დედილო! ილაპარაკეთ... ილაპარაკეთ... ისე უშენს, თითქოს თქვენი ურტყამდეს ფანჯრის მინებს.

მა-მურე. ვლოცულობდი, ელოიზა.

ელოიზა. მერე ღმერთი ყრუ კი არ არის, დედილო!

მა-მურე. მით უარესი მისთვის.

ელოიზა. დაიძინეთ! **(გადის).**

მუსიკა. სიბნელე. გოგონათა გუნდი.

ფარდა

II მოქმედება

I სურათი

შემოსვა

ქალები უკერავენ და აცმევენ ქვედა კაბას მა-მურეს. ბებიას თავს ევლებიან შვილიშვილები, ესტელი და ჟიზელი.

არმანდინა **(შემოდის).** ესტელ, ჟიზელ, თქვენ რა, გძინავთ? ბებია, გაიმართეთ წელში!

კლადილდა. ბებიკო, საყვარელო.

აგნესა. ცოტაც მოითმინეთ.

ფილესეტე. ჩვენც დავიღალეთ, ბებია.

იქენი. ცხელა, ბებო.

არმანდინა. ელოიზა, კორსეტი უნდა ჩაგვეცმია ალბათ. მე მგონი გაუძლებდა. ყოველ შემთხვევაში, ამ ერთხელ მაინც წელგამართული გაჩერდებოდა.

მა-მურე. მე მოვახერხებ თავდაჭერას, შვილო, იმიტომ, რომ ჩვენს ოჯახში მუდამ ედგნენ ერთმანეთს მხარში, მაღლა თავაწეულნი.

ესტელი ხტის.

არმანდინა. კარგით, გეყოფათ, ესტელ, ჟიზელ!

ესტელი. თვითონ მკრა ხელი.

არმანდინა. რა ციებიანივით ცახცახებთ, თქვენ რა, არ გძინებიათ ღამით?

ესტელი. პირიქით, არავისაც არ გავხსენებივარ ამ ღამეს. ასე არაა, ჟიზელ?

ჟიზელი. ძილით ძალიან კარგადაც კი გვეძინა. **(იცინიან).**

არმანდინა. ეიც!

ელოიზა. აი, მზადაა. აბა, შემოგვხედეთ.

იჟენი. ნუთუ ეს ბებია მურეა?

კლადილდა. რა ლამაზი კაბა შეუკერავთ?!

ფილესეტე. რა მშვენივრად გამოიყურებით.

მა-მურე. ციც. თქვენ რა ბავშვივით მიჩლექავთ ენას. აბა, აბა!

იჟენი. ოჰო?

ელოიზა. შეხედეთ, დედილო, რა მშვენიერი კორსაჟია! აი სწორედ მასზე დააბნევს ბატონი მინისტრი ორდენს.

ყველა ერთად. ორდენს თვით ბატონი მინისტრი!

არმანდინა **(შემოდის).** თქვენ რა, საუზმე ხვალისთვის გადადეთ? ფილესეტე, იჟენ, დეიდა, ბიძაშვილებო, წამოდით!

კლადილდა. დროა, ბებია!

ყველა. წავიდეთ, ცოტა მოვმაგრდეთ **(გადიან).**

ელოიზა. დაჯექით, დედილო, ეგენი თქვენ გაგაწამებენ.

მა-მურე. წადი, წადი შენც, ელოიზა. **(ელოიზა გადის.)** რატომ მოგიწყენია, მარი-ჟოზეფ? მოდი აქ, ჩამოჯექი. **(მარი-ჟოზეფი დაჯდება.)** იცი წუხელ რა დამესიზმრა, **(მუსიკა.)** ფანჯარა ღია მქონდა და მარკუსი შემოვიდა. „ჩემს საყვარელთან მოვედიო".

ესტელი. ჩემთან რომ შემოსულიყო, უკანვე მივაბრძანებდი.

ჟიზელი. მეც! ჩემთან დიდხანს ვერ გაჩერდებოდა.

მა-მურე. მე კი არ გამიგდია. გადამეხვია და გული ისე ამიფანცქალდა, თითქოს ოთახში დეკა და ღვია გაიშალა.

ჟიზელი. მე ვიკივლებდი, მე მთელ სახლს ფეხზე დავაყენებდი.

ესტელი. როგორ შეიძლება ასეთი ხუმრობა, ბებია?

მა-მურე. შენ ხომ არაფერს გვეტყოდი, ფიფინა?

შემოდის გილიომი.

გილიომი. ყავას ვინ მომიდულებს? ლენტს ვინ მიმიმაგრებს პიჯაკზე?,

ესტელი და ჟიზელი. წავიდეთ, წავიდეთ **(გარბიან გილიომთან ერთად).**

მა-მურე. მოიწყინე? ესენიც ელოდებოდნენ, ის კი შენ გესტუმრა.

მარი-ჟოზეფი. არ ვიცი.

მა-მურე. მე კი ვიცი, წლოვანების მიუხედავად, ჯერ კიდევ მიყვარია თავში რაღაც. შენ მას უცდიდი, არა? ჰა, ჟოზი?

მარი-ჟოზეფი. ბებიკო, რატომ ჟოზი?

მა-მურე. მან შეგარქვა ასე. მითხარი, გიყვარს? ისევე, როგორც მე?

მარი-ჟოზეფი. თქვენ?

მა-მურე. ოდესღაც... მაგრამ დღემდე მიყვარს. ჰა, თქვი, ფრანკერია?

მარი-ჟოზეფი. ბებია, სულ შემთხვევით შემიყვარდა.

მა-მურე. ჩემო გოგონა, რომ არ არსებობდეს შემთხვევები, სიცოცხლე ბევრად უინტერესო იქნებოდა... ჩემოდანი გაქვს, ჟოზი?

მარი-ჟოზეფი. მაქვს.

მა-მურე. შენ შეგიძლია შიგ კაბა, ორი წყვილი ფეხსაცმელი და ცოტაოდენი თეთრეული ჩააწყო? შეძლებ ამ ყველაფრის კარგად ჩალა-

გებას? იქვე პატარა ადგილი დატოვე ჩემი ძვირფასი სამკაულებისთვის, რომლებსაც გაჩუქებ. და ჩემი ძველი, წვეტიანი ჩაჩისთვის. გაუშვი, მაგან მაინც იმოგზაუროს.

მარი-ჟოზეფი. კი მაგრამ, რისთვის მოვემზადო ასე?

მა-მური. აქედან გასამგზავრებლად.

მარი-ჟოზეფი. საით, როდის?

მა-მური. რაც მალე, მით უკეთესი.

მარი-ჟოზეფი **(დგება).** კი მაგრამ, ბებია, მე რომ დანიშნული ვარ?

მა-მური. დამიგდე ყური. იცი რას გეტყვი? **(აკაკუნებენ.)** აი, აი ისინიც! წადი, ჩემო კარგო, მოემზადე! **(მარი-ჟოზეფი გადის.)** წარსული კარგა ხანია მომბეზრდა, მაგრამ მომავალი ჩემს ხელთაა, მთავარია თავი მებას მხრებზე. **(კაკუნი)** ვინ არის?

მუსიკა. შემოდიან გოგონები. უკან სტუმრები მოჰყვებიან და სცენას გადაჭრიან.

ფარდა

II სურათი

იუბილე

ორასი. დაბრძანდით, ბებია!

ყველანი. დასხედით, დასხედით!

მა-მური. იმიტომ კი არ ვჯდები, რომ დავიღალე. მინდა მარწყვის ნაყენი დავლიო. თუ სხვასაცა სურს ვინმეს — კი ბატონო.

არმანდინა. გავანებოთ თავი, ცოტა დაისვენოს. ძველი ბოთლი არ უნდა შეანჯღრიო, თორემ სითხეს აამღვრევ.

აგნესა მური. რა ლამაზი დღესასწაულია, დეიდა!

პიერ მურეს მეუღლე. მართლაც! გვითხარით, ბებია... ყოველივე ამის შემდეგ...

მა-მური. ყოველივე ამის შემდეგ რჩება მხოლოდ ერთი — სასაფლაო.

ყველა. რას ამბობთ?!

მა-მური. მომაწოდე ნაყენი, ელოიზა.

არმანდინა. არავითარი ნაყენი! **(შემოდის ანტუანი.)** შენ გესმის, ანტუან? ალკოჰოლსა გვთხოვს.

ანტუანი. თქვენ რა, გაგიჟდით? დაამშვიდეთ რამენაირად. დღეს არა.

შემოდის კორესპონდენტი.

აქ არა. დოტოები ბატონ მინისტრთან და პრეფექტთან ერთად უნდა გადაგვიღოთ, როცა ბებია ტრიბუნაზე ავა.

კორესპონდენტი. არა, სჯობს აქ გადავიღოთ, ინტიმურ სიტუაციაში, შინაურებით გარშემორტყმული.

ანტუანი. ძალიან კარგი! მაშინ მოდით, ყველამ ერთად.

მა-მური. მაგრამ ფრანკერი?

ანტუანი. რა?

მა-მური. ფრანკერი!

ანტუანი. ის გალიაშია, ვეფხვებთან.

მა-მური. გაუგზავნე ვინმე და მოიყვანონ.

ანტუანი. რატომ?

მა-მური. მინდა, რომ სურათზე მასთან ერთად ვიყო.

ანტუანი. ხომ ხედავთ, ჭკუიდან გადადის. გადაიღეთ დროზე.

მა-მური. თუ ფრანკერს არ მოიყვანთ, იცოდეთ, წმინდა ვერონიკასავით სახეზე ცხვირსახოცს ავიფარებ.

არმანდინა. აღარ იცის, რა მოიგონოს.

ორასი. გაუშვით ვინმე მომთვინიერებელთან.

ალფონსი. ის აქ იყო... ფლიგელში იჯდა.

ანტუანი. წადი, მოიყვანე, გილიომ. თუ არ გაბრაზდა, ათი ფრანკი შეპირდი. ან საუზმეზე მოიპატიჟე. დავამთავროთ ეს როგორმე.

გილიომი სწრაფად გარბის.

არმანდინა. აბა რას იტყვით, კმაყოფილი ხართ, ბებია?

მა-მური. ძალიან. დღეს ჩემი დღესასწაულია.

კორესპონდენტი. ყველაფერი ძალიან კარგია. მაგრამ ხომ არ აჯობებს, იუბილარს ორივე მხარეს ეს ლამაზი ახალგაზრდები რომ ამოვუყენოთ?

ფერდინანდი. მოდით, ბავშვებო!

ანტუანი. აქეთ, ფიფინა, შენს გილიომთან ახლოს...

მა-მური. მე არ მინდა, ეგენი რომ ერთად იდგნენ.

ანტუანი. როგორ, საქმროსა და საცოლეს ხომ არ დავაშორებთ?

მა-მური. დიახ, არ მინდა, რომ ეგენი ერთმანეთზე დააქორწინოთ.

არმანდინა. ოქტომბერში. თქვენ იცოცხლებთ თუ არა იქამდე, ჩვენთვის სულერთია, უეჭველად შევაუღლებთ.

მა-მური. ვერ შეაუღლებთ! იმიტომ, რომ არ უხდებიან ერთმანეთს... ნუ უყრი ხელკავს, გილიომ, მაგის უფლება მხოლოდ მის საქმროსა აქვს. დიახ, მე საქმრო ამოვურჩიე ფიფინას.

ფერდინანდი. რაო, რა თქვა?

ანტუანი **(ფოტოგრაფს).** თუ შეიძლება, ცოტა ხანს გარეთ დაგველოდეთ? **(ფოტოგრაფი გადის).** დაამთავრეთ ჯამბაზობა?

მა-მური. ეს ჯვრისწერა არ შედგება.

ფერდინანდი. მგონი გაგიჟდა.

მა-მური. მე მას სხვა საქმრო შევურჩიე, ვისაც ყველაფერში ვენდობი.

ელოიზა. მოდის, ფრანკერი მოდის.

შემოდის ფრანკერი.

ანტუანი. შემიხსენი ჰალსტუხი, არმანდინა.

ფერდინანდი. გვიყვარს ჩვენი მოხუცები და ვპატიობთ კიდეც ზოგიერთ უცნაურობას.

მა-მური. ფრანკერ, სამწუხაროა, რომ შენი ლამაზი ვიოლინული არ ჩაგიცვამს. მოდი, ჩემთან დადექი.

ფერდინანდი. მე მგონი, ნირვანაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არმანდინა. შეიშალა.

მა-მური **(ფრანკერს).** გაუკეთე ხელკავი მარი-ჟოზეფს. ნუ წითლდები, ჟოზი. მოდი ჩემთან, ელოიზა. შენ კეთილი გოგო ხარ. სხვებს კი როგორც სურდეთ ისე დადგნენ. რომც არ გამოჩნდნენ სურათში, ბევრს არაფერს დავკარგავთ.

ანტუანი. ლეონარდ, კორესპონდენტი.

ჟურნალისტი. ქალბატონო, მოაშორეთ ეგ ბუმბული. ცოტა მარჯვნივ... მიიწიეთ, თუ შეიძლება. ქალბატონო, არ დახაროთ თავი... აქეთ, აქეთ გამოიხედეთ ყველამ. გაიღიმეთ! მშვიდად! სამამდე ვითვლი. ერთი, ორი, სამი. გმადლობთ. **(გადის).**

ანტუანი. ბატონო მარკუს, თქვენ შეგიძლიათ მიბრძანდეთ.

მა-მური. რას შვრები, ფიფინა? შენ შეგიძლია საქმროსთან ერთად ხელკავით იარო. შენ მას გაჰყვები. ხომ არაფერი გაქვს საწინააღმდეგო? ფრანკერ, ჟოზის შენ გჩუქნი. ჯვარს მაშინ დაიწერთ, როცა დრო გექნებათ.

გილიომი. თქვენ რა, ბებერო?

ანტუანი. წადი, სასმელებს მიხედე!

გილიომი. ბოდიში, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ ჩემი საცოლე...

ანტუანი. ჯერ სასმელები ბატონი მინისტრისთვის.

გილიომი. ო-ლა-ლა, მამა, გეუბნები, რომ ჩემი საცოლე...

ანტუანი. წადი! **(გილიომი გადის).**

მა-მური **(ფრანკერს).** შეირთავ ცოლად ჟოზის?

ფრანკერი. დიახ.

მა-მური. გაჰყვები ფრანკერს, ჟოზი?

მარი-ჟოზეფი. მე თანახმა ვარ.

მა-მური. ესეც ასე, საქმე გაიჩარხა! მოგვაწოდე სასმისები, ელოიზა! **(მიდის მაგიდასთან.)**

ანტუანი. ბოდიშს ვიხდი. მაპატიეთ, ჩემო ბატონო, მოხუცებული ცოტა გაერთო. ალბათ მიხვდით, რომ ხუმრობდა. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საამაყო იქნებოდა მიგვეთხოვებინა გოგონა პროფესორ-მომთვინიერებლისთვის, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ოჯახის წევრებს ვაქორწინებთ ერთმანეთზე. ჰო, ასეთი ტრადიცია გვაქვს. ის თავის ბიძაშვილზე უნდა გათხოვდეს.

მა-მური. ჰოდა, მეც სწორედ ეგ ჩავიდინე. ჟოზი ფრანკერს გაჰყვება. მას ისეთივე უფლებები აქვს, როგორც შენს გილიომს.

ფერდინანდი. ბებია, გაგიჟდით?

მა-მური. არა, მე ჩემს ჭკუაზე ვარ. ფრანკერს უფლება აქვს შეირთოს ჟოზი, რადგან ისინი ერთი სისხლისანი არიან. ისინი ერთმანეთის ბიძაშვილები არიან.

არმანდინა. რას ამბობს?

მა-მურე. იმას ვამბობ, რომ ფრანკერის პაპაც ფრანკერი იყო, ალექსანდრე ბორკილების მკვნეტელი. ფიფინა კი შვილიშვილია ჩემი ვაჟისა კამილა-მეზღვაურის, რომელიც ალექსანდრესგან მეყოლა — ბორკილების მკვნეტელისგან. ყველაფერი გასაგებია?

ალფონსი და ორასი. თქვენ ნამდვილად გაგიჟდით!

მა-მურე. სრულებითაც არა. მე მშვენიერი მახსოვრობა მაქვს.

ფერდინანდი. ეს რა ხუმრობა იცის, არა?

ორასი. სასაცილო ვინმეა. **(შემოდის ელოიზა).**

მა-მურე. არ სჯერათ ჩემი, იმიტომ რომ ას ექვსი წლის ვარ და ვერ ჩავიდა ამათ ცარიელ გოგრებში, რომ ოდესღაც მეც ოცდათხუთმეტის ვიყავი. დიახ, მე შვილი მყავდა ალექსანდრე ფრანკელისგან. ლამაზი კაცი იყო. **(სიცილი, აპლოდისმენტები).**

ანტუანი. მაგრამ სად, როგორ, რანაირად, როდის?

მა-მურე. შენთვის არ უთქვამს არასოდეს, ახალგაზრდობისას პარიზში რომ ვიმოგზაურე? ჰო, საშინაო საქმეების მოსაგვარებლად. ჰოდა, იქ, პარიზში, ამ მშვენიერმა მამაკაცმა პატარა ფრანკერით დამასაჩუქრა. ახლა ხომ ხედავ, ჩემო ფრანკერ, რატომ მიყვარს ასე ცირკი?

ანტუანი **(ფრანკერს).** თქვენ აქ რაღა გინდათ? ხომ ხედავთ, რომ საშინაო საქმეებს ვარკვევთ?!

გილიომი. მოდი, ფანჯრიდან გადავუშვებ.

მარკუსი. წყნარად, თორემ ჩემს ვეფხვებს მოგიქსევ. როცა საქმე წინაპრებს ეხებათ, ვერავის ვერაფერს დავუთმობ.

გილიომი. არა, ჟარდარმებს უნდა დავუძახო.

ფერდინანდი. ხომ არ გაგიჟდი!

ალფონსი. აყალმაყალის გარეშე, გესმის?

ორასი. დარჩი აქ, რეგვენო!

მა-მურე. დაჯექი ჩემთან, ფრანკერ, შენ საკუთარ სახლში ხარ.

ანტუანი. მაშ, თქვენ პაპა ელუას უღალატეთ?

ფერდინანდი. თქვენ ის მართალი კაცი მოატყუეთ?

მა-მურე. ეს პირველი შემთხვევა არ იყო.

ანტუანი. თქვენ... თქვენ... სხვა საყვარლებიც გყავდათ?

ვიქტორინა. აბა, ბებერო, ამოიყაჭე ყველაფერი!

მა-მურე. უნდა მოგახსენოთ, რომ მე ისინი საკმაოდ ბევრი მყავდა.

არმანდინა. გააჩუმეთ!

ვიქტორინა. კახპა, კახპა... დიახ, მუდამ იმას ვამბობდი, რომ ის ძუკნა იყო, ლიზეტზე უარესი.

მა-მურე. ტყუილია! თავიდან მეც სავსე ვიყავი კეთილშობილებით, მაგრამ ჩემი ქმარი ჩემში მხოლოდ უტვინო ცხოველსა და ოცდაათი წლის მოხუცებულ ქალსა ხედავდა. საქმისა არ მშინებია, თქვენ ეს ძალიან კარგად იცით. მაგრამ როცა ალიონიდან გვიანობამდე რეცხავ, ჰგვი, კერავ, აბანავებ ბავშვებს, აუთოვებ შარვლებს, ამზადებ სადილს, კალამიც კი შენ გიჭირავს ხელში, რადგან მურემ წერა არ იცის, ანგარიშზე აღარაფერს ვამბობ, მან არც ანგარიში იცოდა... ზოგჯერ ისე

მომენატრებოდა გულიანი ალერსი... მოკლედ, თუ მური რქებს ატარებდა, ეს მისი ბრალი იყო და არა ჩემი.

ფერდინანდი. თქვენ ჩვენი საყვარელი პაპის ელუას ხსოვნა შეურაცხყავით.

მა-მური. პირიქით. მე მისი სახელი არ შემირცხვენია, მე გადავარჩინე მისი ღირსება.

ანტუანი (**ფრანკერს**). რადგან აღარავინ ახსენებს პაპათქვენს, შეგიძლიათ მიბრძანდეთ.

მა-მური. დარჩი შენს საცოლესთან, ფრანკერ. კარგად გაიცანი ოჯახი.

არმანდინა. მას უნდა, რომ ჩვენი ოჯახი ფეხქვეშ გათელოს.

მა-მური. ოჯახი არა. გვარი. იმიტომ რომ ოჯახი, სადაც ერთი და იმავე ჯიშის ასორმოცდაშვიდი კაცი იკრიბება, რომ ფული მოხვეტონ და თვალყური ადევნონ, რათა არც ერთი ცენტი არ შესვდეს მეზობელს. ოჯახი, სადაც ხელს უწვდიან ერთმანეთს მხოლოდ იმიტომ, რომ არც ერთი უცხო არ მოხვდეს მათ გუნდში, ოჯახი, სადაც ყოველწუთს მზად არიან ყელში ეცნენ ერთმანეთს, ხმამაღლა ვაცხადებ, ასეთ ოჯახს არა აქვს არსებობის უფლება. ის ნამდვილ ოჯახებს არცხვენს. ოჯახი ეს არა მარტო სახელია, არამედ გულიც. მე კი არასოდეს მინახავს თქვენი გულები... ფრანკერ! არ მითქვამს შენთვის, ფრანკერ, პარიზში იმპერატორის სანახავად რატომ წავედი? ჩემი მაზლი, ელუას ძმა დეზერტირი იყო.

ფერდინანდი. ეს ტყუილია.

მა-მური. არა, სიმართლეა. არ უნდოდა უდანაშაულო ხალხი დაეხოცა: მოხუცები, ქალები, ბავშვები. გაიქცა და დეზერტირად იქცა. მისი გილიოტინაზე აყვანა სხვა გვარით რომ ყოფილიყო შესაძლებელი, ისინი სიამოვნებით დაეხმარებოდნენ ჯალათს. აი რატომ წავედი პარიზში და ვისთვის გამოვითხოვე შეწყალება. ჰოდა, ეს რომ არა, შენ ჟოზი დღეს აქ არ იქნებოდი, როგორც არ იქნებოდა არც ერთი შთამომავალი კამილა-მეზღვაურისა... დიახ, თქვენ ბიძაშვილები ხართ და თქვენი კავშირიც ოჯახის ტრადიციებშია.

ანტუანი. ვის დასცინიან აქ? ეს არ მოხდება!

მა-მური. არ მოხდება?

არმანდინა. დიახ, არ მოხდება.

ყველა. არა, არ მოხდება.

მა-მური: არ მოხდება? დაბრუნდი უკან ცირკში, მარკუს. შენს ოთახში ადი, ჟოზი. მხოლოდ ორ სიტყვას ვიტყვი და მოვამთავრებ. დედილო მურეს ჯერ ჭკუა არ დაუკარგავს. აკოცეთ ერთმანეთს, ბავშვებო. თქვენგან შესანიშნავი წყვილი დადგება, მე თქვენ გლოცავთ.

არმანდინა. თავს უფლებას აძლევს, დალოცოს კიდეც.

ვიქტორინა. დალოცოს? ის ხომ ბებერი ბოზია.

ყველა. ბოზი.

მა-მური. დიახ, ბოზი ვარ.

ანტუანი. ბატონო მარკუს, გაეთრიეთ! (**ფრანკერი გადის**).

ალფონსი. არამზადა!

შემოდის გილიომი.

გილიომი. მამა, მინისტრი და პრეფექტი მოდიან აქეთ.

ანტუანი. რა? კარგით, მაშინ დანარჩენზე ხვალ მოვილაპარაკებთ. ადექით, მოხუცო, და გაიღიმეთ. გაუსწორეთ ჩაჩი და გაიღიმეთ! გააღიმეთ, ეშმაკმა დალახვროს.

ვიქტორინა. გაიღიმე, ბებერო ბოზო!

ანტუანი. მიეცით ნარკოტიკი და დააძინეთ!

არმანდინა. წამოდექით!

ყველა. წამოდექით!

არმანდინა. თქვენ გესმით, რას გეუბნებიან?

მა-მური. მესმის, მაგრამ არც გავტოკდები.

არმანდინა. არ გატოკდებით?

ორასი. ფრთხილად, არმანდინა, თქვენ მას გადაამტვრევთ.

მა-მური. არა, არ გავტოკდები, სანამ ნოტარიუსს არ ვნახავ.

ანტუანი. ვირივით ჯიუტია.

ფერდინანდი. ჩაგვაშხამებს ამ ზეიმს.

მა-მური. ეოზი უნდა ფრანკერს გაჰყვეს.

ანტუანი. არა.

მა-მური. დიახ. თან არა როგორც მათხოვარი. ის მთლიანად მიიღებს თავისი მშობლების მემკვიდრეობას.

ანტუანი. ო... ბებერი ქოფაკი.

მა-მური. ჰოდა, ნოტარიუსმა უნდა მოაგვაროს ეს საქმე.

ანტუანი. ჩვენი ხელიდან მისი ფული არ გავა.

მა-მური. ის თავის მემკვიდრეობას თან წაიღებს.

არმანდინა. თქვენ გინდათ, რომ „თეთრი ბატკანი" დაასამაროთ?

მა-მური. ეგ ცხოველი სიცოცხლისუნარიანია. მაშ, გადაწყდა?

ანტუანი. კარგით, საკმარისია, გავიცინეთ. მარი-ეოზეფი ამ კარის ზღურბლს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადააბიჯებს, თუ ცოლად გილიომს გაჰყვება. ჯერჯერობით კი მარის ჩავკეტავთ და თუ საჭირო გახდა — დავაბამთ კიდეც.

მა-მური. მაშინ მე ყველას თანდასწრებით ორიოდე სიტყვას ვიტყვი. ჭკუის სასწავლებლად.

ვიქტორინა. იტყვის.

ანტუანი. ვერაფერსაც ვერ იტყვის.

მა-მური. ვერ ვიტყვი? მაშინ ჩემს დღესასწაულზეც არ წავალ.

ანტუანი. ვნახავ ერთი, როგორ ეტყვი უარს, თუკი ბატონი მინისტრი და პრეფექტი გთხოვენ.

მა-მური. პრეფექტს შეუძლია ზურგზე მომიკიდოს — თუ მოინდომებს. მე კი ყველას მოვახსენებ, რომ ჩემზე ძალა იხმარეს და როცა პარიზელი ბატონი მკითხავს, რამ შემომინახა ასე, რძის წვნიანმა თუ სამკურნალო ღვინომ — მე მას სრული სერიოზულობით ვუპასუხებ, რომ ჩემი წამალი იმის ცქერაა, თუ როგორ დადიხართ და დაიფხორებით ზურგზე ხელშემოდებულნი და ის კი არ იცით, რომ ყველანი სხვადასხვა ჯიშის მამლებისგან გამოგჩეკეთ.

ალფონსი. როგორ, ჩვენ მურეს შთამომავლები არა ვართ?

მა-მურე. ჩემი ხუთი შვილიდან ჩემი ქმარი მხოლოდ ერთი მათგანის მამა იყო. მორჩა, ჩემგან მეტს ველარაფერს გაიგებთ.

ანტუანი. რომელი, რომელი იყო ელუას ვაჟი?

მა-მურე. ნუ ნერვიულობ, მისი შვილი მამაშენი იყო, ეფროსი ტოტი — როგორც შენ ამბობ ხოლმე.

ანტუანი თავის ოჯახთან ერთად გადის.

ლეონარდო. პაპაჩემი ვისი შვილი იყო? ძალიან მაინტერესებს.

ალფონსი. საინტერესოა, მართლაც საინტერესოა, ვისი შვილი იყო პაპამისი, ესე იგი, მამაჩემი?

პიერი. მამაჩემი, მამაჩემი ვისგან გეყოლათ?

ორასი. ჩვენ, ჩვენ ვისგანღა ვართ?

ესპრი. თავი დაანებეთ, ხომ ხედავთ, რომ მე არაფერს ვეკითხები დედაჩემს.

პიერი. იმიტომ რომ ცნობისმოყვარე არა ხართ.

ესპრი უახლოვდება. მამაკაცები კი გაეცლებიან მა-მურეს.

მა-მურე. შენც აქ იყავ, ესპრი? მერჩია არ მოგესმინა ჩვენი საუბარი.

ორასი. გამოდის, ჩვენ აღარა ვართ ერთი ოჯახი, ჩემო საცოდავო მეგობრებო?

მა-მურე. მაგრამ მე? ყველა ხომ ჩემი შთამომავლები ხართ მაინც?

ორასი. თქვენ? თქვენ არ ითვლებით.

მა-მურე. თუკი მე არ ვითვლები, მაშინ რატომ შემომასკუპეთ ტრიბუნაზე?

ორასი. როგორც საინტერესო მოვლენა.

მა-მურე. ხედავ, ესპრი, რა ცოტა რამე შემორჩა ას ექვსი წლის უმძიმესი ცხოვრებიდან.

ვიქტორინა. ეს კიდევ ბედავს პირის გაღებას, ეს უკბილო ბოზი?

იუენი. არც კი რცხვენია, რომ მთელი ას ექვსი წელი ასე გვატუტუცებდა.

ქლადილდა. რა საშინელებაა!

სელესტინა. ცხვირი აღარ გამოგვეყოფა გარეთ.

აგნესა. თანაც ამნაირ დღეს.

იუენი. ახალგაზრდობის თვალწინ.

ყველა აგინებს და უყვირის მა-მურეს. შემოდის ანტუანი.

ანტუანი. გაჩუმდით! ხმა ჩაიწყვიტეთ ყველამ, ხმა! არ მოგცემთ უფლებას, შეურაცხყოფა მიაყენოთ ჩემს ბებიას და პაპას.

ორასი. ჩვენ არ ვაპირებთ შენი წინაპრების გასამართლებას, ყველანი შენთვის დაგვითმია.

ალფონსი. მთელი ცხოვრება ჩვენ ვუთმობდით მაგას.

პიერი. ჰოდა, იყოს ახლა უჩვენოდ და ჩვენც გავიცლებთ როგორმე უმაგისოდ.

ფერდინანდი. როგორც მოეპრიანებოდა, ისე გვახტუნავებდა. რატომ, რისთვის?

ორასი. თუკი მოუნდებოდა, მატლივითაც გაგსრესდა.

ალფონსი. სულ მუჭში ვყავდით მომწყვდეული, პირზელაგამამოდებული.

ორასი. ისე დადის, თითქოს მთელ მსოფლიოს უკვ განაგებდეს.

პიერი. რომის ახალი პაპი სან-ვიოდან.

ალფონსი. ფარაონის შთამომავალი.

ანტუანი. ამიჯანყდით, ჯუჯებო? მოგაკლდებათ ჩემი მფარველობა და ყველა ისევ წრუწუნებად იქცევით, რეგვნებო! მეც ავდგები და დავტკბები თქვენი ყეყეჩი სიფათების ცქერით. გადაშენდებით უსახელოდ, უოჯახებოდ... თქვენ ისიც კი არ იცით, ვისი გვარისანი ხართ... და ვერც ვერასოდეს გაიგებთ... იმიტომ რომ...

შემოდის გილიომი.

გილიომი. მამა, მინისტრი უკვე საბანკეტო დარბაზშია.

ანტუანი. ხომ მართალს ვამბობ, ჩვენო დიდო ქალბატონო, ეს თქვენი საიდუმლოა... ჩვენო სასახელო წინაპარო, მხოლოდ და მხოლოდ თქვენი. ესენი თითებს დაიჭამენ, სანამ მაგას გაიგებენ. მაგრამ თქვენ ამას არავის ეტყვით. ასე არაა, ჩემო საყვარელო ბებიკო?

მა-მური. ვიტყვი, რატომაც არ ვიტყვი... მე მათ ყველაფერს ვეტყვი ბანკეტზე, როცა ყველა ერთად შეიკრიბება: სტუმრები, მთელი ქალაქი და ჩვენი საგვარეულო. მინდა ყველამ იცოდეს... აბა, წავედით!

ყველა. ო, არა, არავითარ შემთხვევაში.

ალფონსი. მხოლოდ აყალმაყალის გარეშე.

ორასი. უცხოებთან? არავითარ შემთხვევაში.

ფერდინანდი. როგორც ხედავთ, საჭიროა ერთ მუშტად შევიკრათ. დიახ, უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი გვარის ინტერესები. მურეთა მეშკვიდრეობა, მურეთა ღირსება. და მათი ნამდვილი ადგილი ამ ცოდვილ მიწა-წყალზე. გვარის ხელის ხლება არ შეიძლება. მოდით, ყალბი თავმოყვარეობის გარეშე: ის, რითაც ჩვენ ვცხოვრობთ — ეს მურეთა ტრადიციებია. გააუქმეთ ეს ყოველივე და ჩვენ მკვდარ სულებად ვიქცევით.

ყველა. ბრავო! **(აპლოდისმენტები).**

ანტუანი. მე არც ერთს არ გადანაშაულებთ და არც რომელიმე თქვენთაგანი მძულს.

ორასი. მართლაც, ხომ არ შეიძლება, რომ ასე ერთბაშად გადავივიწყოთ ჩვენი ძმობა და მეგობრობა?

ანტუანი. მაშ ასე, ინციდენტი ამოწურულია... „თეთრი ბატკანი" ისევ ჯანმრთელია. ჩვენ ისევ მურეები ვართ, როგორც ყოველთვის.

ყველა. მური, მური!

ანტუანი. ახლა კი მოეფერეთ ბებიას, დღეს მისი ზეიმია.

მა-მური. მადლობელი ვარ!

ორასი. ჩვენ მას დიდსულოვნად უნდა ვაპატიოთ.

ორასის მეუღლე. ის კეთილი დედაბერია.

მა-მური. გმადლობთ.

ალფონსი. ერთი ნაკლი ყველასაცა აქვს, ვინ არ ცდება?

მისი მეუღლე. მართლაც.

მა-მური. გმადლობთ.

ანტუანი. მე უნდა ვაკოცო ჩემს ბებიკოს. მას უყვარს თავისი ანტუანი, თავისი ტანტულია, როგორც ბავშვობაში ესიყვარულებოდა.

შემოდის არმანდინა.

არმანდინა. ანტუან!

ანტუანი. აბა, წავედით საბანკეტო დარბაზში. იქ ალბათ მოუთმენლად ელიან პრეფექტი და მინისტრი ჩვენს ბებიკოს.

მა-მური. მე ნოტარიუსს ველოდები.

ანტუანი. ბებერო ჯალათო! თქვენ რა, არ აპირებთ გამოსვლას?

მა-მური. მინდა, მაგრამ თუ ნოტარიუსს ვერ ვნახავ, ხომ იცი, ყველაფერს სიტყვა-სიტყვით დავფქვავ.

ანტუანი. ამან თუ ერთი თავში ჩაიდო...

მა-მური. დიახ, ვირივით ჯიუტი ვარ. რა მაქვს დასაკარგი. მე ცალი ფეხი სამარეში მაქვს, ბიჭუნი.

ანტუანი. რა ვქნათ?

ალფონსი. მე ვთვლი, რომ გვარის ღირსებისთვის...

ორასი. გვინდა თუ არა, ჩვენ მაინც ამ გვარს ვატარებთ დღეს.

ფერდინანდი. მოდით, ნუ გავიტანთ ქოხიდან ნაგავს, ეს უარესია.

ანტუანი. ჰოდა, გადაწყდა. ოთხმხრივ გზა გქონია და კისერიც გიმტვრევია, მარი-ჟოზეფ! არ გვინდა „თეთრი ბატკანი"? ნუ გვინდა... კმაყოფილი ხართ, ბებიკო?

შემოდის ნოტარიუსი.

ბოტერო. გამარჯობათ, ბატონო ანტუან!

ანტუანი. გამარჯობათ, ბატონო ბოტერო... ბატონო ბოტერო, ბანკეტის შემდეგ თქვენ უნდა გააფორმოთ ქორწინების მოწმობა ჩვენი ძვირფასი იუბილარის თხოვნით... წმინდა წყლის ფორმალობაა.

მა-მური. ბატონო ბოტერო!

ბოტერო. გისმენთ.

მა-მური. ახლავე გააფორმებთ საქორწინო ხელშეკრულებას მარი-ჟოზეფსა და ფრანკერს შორის და დაამატებთ, რომ მარი-ჟოზეფს გადაეცემა მთელი მემკვიდრეობა, რომელიც მის მშობლებს ეკუთვნოდათ. ელოიზა, გააცილე ჟოზი და ფრანკერი სანოტარო კანტორაში. გმადლობთ, ბატონო ბოტერო.

ბოტერო და ელოიზა გადიან.

ანტუანი. კეთილი ინებეთ და ახლა მაინც აბრძანდით.

მა-მური. ახლა სიამოვნებით. ესპრი, მომეცი ხელი.

მუსიკა. ყველა გავა. დარჩება ანტუანი. ცოტა მოშორებით ვიქტორინა. შემოდის გილიომი.

გილიომი. მამა, შენს მეტი ყველა იქ არის უკვე.

ანტუანი. გაეთრიე აქედან. ჯერ არასოდეს, არასოდეს დამითმია ვინმესთვის რამე! თითქოს ცხვირსახოცი გადამეყლაპოს, ისე მადგას ყელზე რაღაც.

ვიქტორინა (**ჩააფარებს მა-მურეს თავში ბალიშს და გავა**). ლიზეტზე უარესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ა რ დ ა

III სურათი

ფინალი

მა-მურე სავარძელშია ჩასვენებული. თავი გვერდზე აქვს გადაგდებული. ესპრი და ელოიზა მძინარე მა-მურეს უმზერენ.

ესპრი. ეს რა კოშმარი იყო. ჯერ მთლიანად გათეთრდა და შემდეგ იატაკზე დავარდა.

ელოიზა. მისი მზე ჩაესვენა... ეხუმრები? როდის ის ამოვიდა და რა გრძელი გზა გაიარა.

ესპრი. ჩემს წლებში ძალიან ძნელია დედის დაკარგვა. მოუმზადებელი ხარ, არ ელი... ხელს ხომ არ გიშლი?

ელოიზა. არა, შენ კეთილი, მოსიყვარულე აჩრდილი ხარ მისი.

ესპრი. მისი შვილებიდან მელა დავრჩი. რა ფერის თვალები აქვს დედაჩემს, ცისფერი თუ მწვანე?

ელოიზა. არ ვიცი.

ესპრი. საინტერესოა. (**მა-მურე გამოიღვიძებს.**) თაფლისფერია... თაფლისფერი.

მა-მური. რა არის თაფლისფერი?

ესპრი. არასოდეს დავკვირვებივარ, შენ თაფლისფერი თვალები გაქვს, დედა.

მა-მური. რა მოხდა მერე? შენ ცისფერი თვალები გიყვარს, ხომ? ლოველასო! რაზე ფიქრობ? ისეთი სახე გაქვს, თითქოს რამე დაკარგაო. სად არის ფრანკერი? ჯერ კიდევ არ მოსულა?

ელოიზა. არა, არ მოსულა.

მა-მური. კარგი ამინდია. არც ისე ცხელა. წადი, ითევზავე. (**კარზე აკაკუნებენ.**) ეს შენა ხარ, ფრანკერ?

შემოდის ლორანი.

ლორანი. არა, არა! ეს მე ვარ, ბებია.

მა-მური. ა, ეს შენა ხარ, პატარა?

ლორანი. გამარჯობა, ბებია.

მა-მური. შენ ალბათ გამოსამშვიდობებლად მოხვედი, მერე კი შენს მშვენიერ მოჯირითეს გაჰყვები თან, არა?

ლორანი. მოვედი, რომ ჟოზისა და ფრანკერის ნაცვლად გაკოცოთ.

მა-მურე. ისინი ვერ მოვლენ?

ლორანი. სურდათ, მაგრამ ჟოზიმ მთხოვა...

მა-მურე. რატომ ვერ მოვლენ?

ლორანი. ანტუანმა არ შემოუშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა-მურე. ჰო, მან მაინც იძია ჩემზე შური. უსინდისო, რა ნამუსით მიუჯახუნა ცხვირწინ კარი. როგორ მისცეს ამის უფლება?!

ლორანი. ფრანკერი გაბრაზდა. მაგრამ ჟოზიმ შეაკავა. ხმაურს მოერიდა გამგზავრების წინ. თქვენც გაგიფრთხილდათ. აპირებს წასვლას.

მა-მურე. შენ, შენ როდის აპირებ გამგზავრებას?

ლორანი. მე არ ვაპირებ არსად წასვლას, ბებია!

მა-მურე. რატომ?

ლორანი. არ მინდა მიგატოვოთ, ბებია!

მა-მურე. ვის ატყუებ? მე თუ შენს თავს? ის არც ისე ლამაზია არა ეგ შენი მზეთუნახავი? შენ შენი სურვილის წინააღმდეგ მიდიხარ, ასე არაა?

ლორანი. მუდამ ოცისა ხომ არ ვიქნები.

მა-მურე. კი, სულ მალე დაბერდები.

ლორანი. ბებია, მაგრამ...

მა-მურე. მომწყდი თავიდან. მე შენ უკეთესი ჯიშისა მეგონე...

ლორანი. ბებია...

მა-მურე. ალარ შემიძლია ამ მურრეების ცქერა, გესმის? ვერ ვიტან „თეთრ ბატკანს“! წადი, წადი!

ესპრი. აბა, ზურგისააკენ! ნაბიჯით იარ! **(ლორანი გადის.)**

მა-მურე. ესპრი, შენ არაფერი გიკითხავს ჩემთვის. თუმც შენს ასაკში ყველაფერი უნდა იცოდეს კაცმა. მე არ შემიცოდავს, არც სხვა თავგადასავლები მქონია. იცი, მე სულ საკუთარ დუდუკზე ვცეკვავდი, როგორც თეატრში. მსახიობიც მე ვიყავ და რეჟისორიც. მოკლედ, თვითონ ვიგონებდი და ვუამბობდი ჩემს თავს ზღაპრებს.

ესპრი. როგორ, „ბორკილების მკვნეტელი“ ალექსანდრეც შენი მოგონილია?

მა-მურე. არა, ეგ იყო, იყო. ერთადერთი სიყვარული ჩემს ცხოვრებაში. თუმც ეს არც ისე მხიარული ზეიმი იყო ჩვენთვის. ჩვენ იმდენი ვიტირეთ იმ დღეს... **(ხმაური სცენის უკან.)** რა ამბავია, რა ხმაურია? რას აკეთებენ? მიპასუხე!

ელოიზა. დარაბებს კეტავენ.

მა-მურე. დარაბებს კეტავენ? მე ხომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ?

ელოიზა. ანტუანმა ბრძანა მთელ სახლში დაეკეტათ დარაბები.

მა-მურე. ა... ხა... ხა... არ უნდა რომ ხალხმა დაინახოს, როგორ მიემგზავრება ცირკი.

ესპრი. აჰა, აქა ხართ, არა? მეტისმეტ უფლებას აძლევთ საკუთარ თავს. წკეპლები ამას უკანალზე, წკეპლები! ქოფაკი ძაღლი!

მა-მურე. არა, ისინი მაინც ვერ წამართმევენ ამ სიამოვნებას. **(მუსიკა.)** აი, აი! ვხედავ... მშვენივრად ვხედავ... მოდით, ჰეი ელოიზა, ესპრი... ხედავთ ფურგონებს? მხეცების გალიებს? ეგენი ფრანკერის მხეცები არიან. მისი და ჟოზის ოჯახი. ძალიან კარგი... ძალიან კარგი... მერნები, რა შესანიშნავი მერნებია. და რამდენია. ნახეთ, ნახეთ, ძთელ ლაშქარს ეყოფა. რატომ ტირი, ესპრი?

ესპრი. ცხენები...

მა-მურე. გაემგზავრე მათთან ერთად. ერთ-ერთს მაინც გაჩუქებენ...

ესპრი. მე თავს ველარ შევიკავებ ალბათ უნაგირზე, დედა!

მა-მურე. აგერ ისინიც. ორივე ერთად! შეხედეთ, შეხედეთ! ისინი მე მემშვიდობებიან. მე მათ ვახსოვარ... ნახვამდის, ჟოზი! ნახვამდის, ფრანკერ! შენ, იცი რომ მეც ვაპირებდი გამგზავრებას... მასთან ერთად... მაგრამ მას შეეშინდა... ბედნიერი მგზავრობა... ბედნიერი მგზავრობა... მე საოცრად კარგად ვგრძნობ თავს. საოცრად მსუბუქად. აი, ეს არის ჩემი ნამდვილი დღესასწაული. მეც გავემგზავრები მალე... ძალიან მალე!

ფარდა

რუსული პოეზია

თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრ პუშკინი

ჩაადაევს

ტრფობის, იმედის, მაღალ სახელის
გვდევდა ცდუნება ნათილისმარი,
გაქრა ბავშვობა ტკბილსანატრელი,
ვით დილის ნისლი,
როგორც სიზმარი.

თუმც ბედისწერით
გვერგო კირთება,
მაინც სურვილის
გვდაგავს სახმილი,
ჩვენს მოუთმენელ სულში ინთება
სამშობლოს ვალი და დაძახილი.

ველით, რომ დადგეს
მზედ დანთებული
წუთი უწმინდეს ხსნისა და შველის,
როგორც ჭაბუკი შეყვარებული
ერთგულ სატრფოსთან
პაემანს ელის.

ვიდრემდე ველტვით თავისუფლებას
და გულს სინდისი
ვიდრემდე ახლავს,
ძმაო, შევწირავთ
მამულს უკლებლად
ჩვენს უძვირფასეს
სულიერ ზრახვას.

ო, ამხანაგო, გწამდეს, ნათელი
ბედნიერება ამოსხივდება,
დუდა რუსეთი გამოფხიზლდება,
თვითმპყრობელობის
ნანგრევს გათელილს
წაეწერება ჩვენი სახელი.

ზამთრის საღამო

ქარი ბურავს ზეცას შავად,
დათარეშობს თოვლის ხვავში,
ხან მხეცივით ღმუის ავად,
ხან კი ტირის, როგორც ბავშვი.
ხან ძველ ბანზე მოგრიალე
აშრიალებს შემხმარ ჩალას,
ხან, ვით მგზავრი მოგვიანე,
აკაკუნებს ჩვენს ფანჯარას.
მწუხარებამ ჩამოძენძა
ჩვენი ქოხი დაბინდული,
რად ხარ აგრე, ჩემო ძიძა,
ფანჯარასთან გარინდული?
ეგებ გთენთავს ცივი ქარი,
დაგზუზუნებს დაღლილ გულზე,
ან ჩასთვლიმე თითისტარის
მონანავე შარიშურზე?

შევსვათ, სიყრმის განთიადის
მეგობარო მადლიანო,
მომეც თასი, დარდიანი
გული გავივარდიანოთ!
მიმღერე, რომ ზღვების გაღმა
ბინა ჰპოვა ჩიტმა თბილი,
რომ წყაროსკენ გოგო ლაღად
გაცქრიალდა სისხამ დილით.
ქარი ბურავს ზეცას შავად,
დათარეშობს თოვლის ხვავში,
ხან მხეცივით ღმუის ავად,
ხან კი ტირის, როგორც ბავშვი.
შევსვათ, ჩემთა სიყრმის წელთა
მეგობარო მადლიანო,
მომეც თასი, რისი სევდა,
გული გავივარდიანოთ!

* * *

ქუჩის ხმაურში დავეხეტები,
თუ ვისმენ ლოცვებს ტაძარში
წყნარად,
ან ყმაწვილ კაცთა შეყრას ვესწრები,
ყველგან ოცნება დამყვება მარად.

მე ვამბობ: წლები მიდი-მოდიან
და სიცოცხლის გზა მუდამ
მოკლდება,
ყველას წილხვედრი დიდი ლოდია,
ჩვენ შორის ალბათ ვიღაც მოკვდება.

განმარტოებულ მუხას ვუყურებ,
ეს პატრიარქი ჩვენი ტყეების
კვლავაც შერჩება ჩემს საუკუნეს
და წინაპართა ახსოვს დღეებიც.

რბიან ბავშვები მოკისკასენი,
როგორც სიცოცხლის შენაკადები,
ვეტყვი: იარეთ, მე ვარ წამსვლელი,
მე ჩამოვჭკნები, თქვენ აყვავდებით.

მივყვები ჩვეულ ფიქრით, წვალებით
დღეა თუ მთელი წელიწადია
და მომავალი გარდაცვალების
დროის გაგება [illegible] მწადია.

ო, აღსასრული სად მელის ნეტავ,
ომში, გზაში თუ ზვირთთა თამაშში?
თუ აგერ ველზე, გვერდით რომ
ვხედავ,
ჩავწვები ჩუმად ცივ აკლდამაში?

თუმც არ აწუხებს უგრძნობელ
ცხედარს,
თუ გასახრწნელად საითკენ მიწვა,
მაგრამ მე აქაც ოცნებას ვბედავ —
მსურს მივებარო მშობლიურ მიწას.

საშარის კართან წელთა ბრუნვებით
დაე, სიცოცხლის ყლორტი ჰყვაოდეს
და გულგრილობით სავსე ბუნების
მშვენიერება მარადჟამობდეს.

ძეგლი

ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი, მარადიული,
ხალხის ნაკადით აივსება მისი გზა-კვალი,
მიიწევს ზევით უდრეკ თავით ცადაზიდული
და ალექსანდრეს სვეტზე მაღალი.

მთლად არ მოვკვდები—ჩემი სული ქნარში
ჩაწნული
არ გაიხრწნება, ვერ წანისლავს ამაოები
და მე ვიქნები ქვეყანაზე სახელგანთქმული,
სანამ თუნდ ერთი ცოცხლობს პოეტი.

დიად რუსეთში გამაღმერთებს ყოველი რუსი,
ყოველი ერი დამიხსომებს მას მინდობილი,
სლავთა გვარტომი და ფინელი და თვით ტუნგუსი,
ყალმუხი — ტრიალ ველთა ძმობილი.

და ხალხს ჩემდამი სიყვარული დაეუფლება,
რადგან სიკეთეს ღალადებდა ქნარი ერთგული,
რადგან მკაცრ დროში ვიქადაგე თავისუფლება
და შევიბრალე ყველა ბედკრული.

უსმინე, მუზავ, ზენაარს და იმის ბრძანებას,
ნუ უფრთხი წყენას, ნურც გვირგვინი გინდა ნაქები,
გულგრილად შეხვდი ხოტბასა და ცილისწამებას
და ნურც უგუნურს ეკამათები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხაილ ლერმონტოვი

აფრა

ფრიალებს აფრა თეთრად და
კენტად,
ზღვის ნისლი ცისფრად გადაჰფენია,
უცხო მხარეში რას ეძებს ნეტავ,
ან სამშობლოში რა დარჩენია?

ხტიან ტალღები, არ სძინავს ქარსაც,
ჭრიალებს ანძა გადაზნექილი,
ბედნიერებას არ ეძებს არსად,
არც გზა აქვს მისთვის გადაკეტილი.

ქვემოთ მოლურჯო ჭავლი
თამაშობს,
ზემოთ მზე აფრქვევს ამო
მშვენებას
და ის კი უხმობს გრიგალს,
ქარაშოტს,
თითქოს მოჰქონდეთ მათ მოსვენება.

სიზმარი

დაღესტნის ველზე შუადღის სიცხეს
შევრჩი უძრავად მკერდნატყვიარი,
ღრმა ჭრილობიდან მდიოდა სისხლი
და ცხელ ქვიშაზე შხეფდა
თქრიალით.

ვეგდე მკვდარივით განმარტოებით,
ჩემ გარეშემო მთა მთას მისდევდა,
მზე სწვავდა მწვერვალს სხივთა
ჯგროებით,
მეც მწვავდა, მაგრამ ვერ
მაღვიძებდა.
მესიზმრებოდა ჩემი მამული,
საღამო ჟამზე სუფრა გაშლილი...

მე მიხსენებდნენ ნაზი ქალწულნი,
ტკბილსიტყვაობდნენ ლხენით
ავსილნი.

ერთი — მწუხარე და გარინდული
იყო თავისთვის ცალკე მიმჯდარი
და ღმერთმა უწყის, გადაბინდული
რას აგონებდა მწარე სიზმარი.

ეზმანებოდა დაღესტნის ველი,
ნაცნობი გვამი მკერდნატყვიარი
და შავდებოდა ჭრილობა ცხელი
და ცივი სისხლი შხეფდა თქრიალით.

ვარსკვლავი

ანათებს ზეცას
ვარსკვლავი უხმოდ,
გონებას ჩემსას
მარადის უხმობს.

ივი იზიდავს
ოცნებებს მაღლით
მერე იქიდან
სიხარულს მაღვრის.

მასვე მიჰგავდა
მზერის სინაზე,
რაც მე მიყვარდა
ბედის ჯინაზე;

ჩემს ტანჯვას არა,
თვალს არ აპყრობდა,
ვარსკვლავის დარად
შორს კიაფობდა;

თვალი დალლილი
არ დამიხუჭავს,
ფარხმალდაყრილი
ვუმზერდი ფუჭად.

ნიკოლოზ ნეკრასოვი

უცნობ მეგობარს

მოვკვდები მალე. ჩემს ღარიბულ ავლადიდებას
შენ გიანდერძებ, მამულო ჩემო!
ბავშვობის წლებში დამებედა ტანჯვა-კირთება,
სიჭაბუკეში მწარე ბრძოლის ვიწვნიე გემო.

როცა ხანმოკლე ქარიშხალი აგრიალდება,
გვაკლდევებს იგი, თუმცა წუთით აგვიტანს ღელვა
და თუ გაგრძელდა, სულში მარად ჩაგვისახლდება
შიშმორეული სიჩუმის ჩვევა.

ყამმა უმძიმეს შთაბეჭდილების
დამასვა დალი წარუხოცავი,
ზეშთაგონება მქონდა მცირედი,
ჩემო სამშობლოვ, მწუხარეა შენი მგოსანი.

გრიგალქართული, შფოთიანი მქონდა ცხოვრება,
მე და ჩემს მუზას არ გვჩვეოდა განცხრომა, ლხენა,
რადგან ხალხისას ჩემი სისხლი შეეწონება,
ეს მცირე შრომა მიითვალე, სამშობლოვ, ძღვენად!

არ მივაჭრია ჩემი ჩანგით, მაგრამ განგებით
როს ბოროტება მდევდა წყეული,
ამ ჩანგს აღმოხდა ყალბი ჰანგები,
მკლავს სინანული... დავრჩი ეული.

ვინც მეგობრებად გულღიად ვცანი,
რად გახდა ყველა მიუკარები?
ზოგი დამშორდა, გამოხდა ხანი,
მე მივუხურე ზოგსაც კარები.

ზოგმა მოიმკო არმად მოხნული
და შავი მიწა გულზე აყარეს

და ახლა ქვეყნად ვარ მარტოსული,
ვერვინ ვიგულე ფუძედ, დამხმარედ.

რაკი ვკარგავდი კეთილისმყოფლებს,
მტრებს ვიმრავლებდი, გულში ბოღმა ველარ დავტევე
და რადგან წვეთი ხალხის სისხლის ჩემს ძარღვში
მოჩქეფს,
ო, მაპატიე, სამშობლოო, ო, მაპატიე!

მე შენი ტანჯვის დასათრგუნად საქვეყნოდ ვკივი,
მშობელო ხალხო, აღსავსეო დიდ მოთმინებით,
რომ სათნოების თუნდაც ერთი აღვანთო სხივი
იმ გზაზე, სადაც უფლის ნებით მიედინები.

თუმცა მსუსხავდა ეს საწუთრო წელთა მრეკელი,
მაინც მიყვარდა და მახარებდა,
მაგრამ ბოლომდე ვერ ვიყავი შეუდრეკელი
და ვერ დავდექი აღთქმულ კარებთან.

ვერ მოვიძიე ჩემი ჰანგით გზა გაკვალული,
ვერ გაველ ხალხში და ვნანობ მწარედ,
მხოლოდ მოვასწარ გამომეთქვა ღრმა სიყვარული
შენდამი, ჩემო სამშობლო მხარევ!

და თუ მყინავდა გულცივობა ყოველდღიურად,
ეს სიყვარული შევირჩინე მე სასწაულით,
რადგან ხალხს ჩემი სისხლის წვეთი ემშობლიურა,
ჩემო სამშობლოვ, მაპატიე დანაშაული!

დოგროლუგოვის ხსოვნას

იყავი მკაცრი, ყმაწვილურ ვნებას
არ ანაცვალე აზრის ჭიდილი,
გვიქადაგებდი თავისუფლებას,
შენვე გვასწავლე მისთვის
სიკვდილი.

მიწიერ ტკბობის ყველა სურვილი
შენ უარყავი, წმინდა იყავ და
ვერ მოიკალი გულის წყურვილი,
სამშობლო სატრფოს მსგავსად
გიყვარდა.

მასვე შესწირე ღვაწლი, იმედი,
გული, აღსავსე ჭეშმარიტებით,
ახალ ცხოვრების თესლს აღვივებდი,
მამულს უწნავდი გვირგვინს
დიდების.

მაგრამ იმ ჟამმა უდროოდ დაპკრა,
მადლიან კალამს არ ძალუძს წერა.
რა აზროვნების კანდელი ჩაქრა!
როგორმა გულმა შეწყვიტა ძგერა!

წარვიდნენ წლები, ვნებანი დაცხრა,
ღადექ ჩვენს ზემოთ, ცამდე
ამაღლდი...
რუსეთის მიწავ, იტირე, მაგრამ
თან სიამაყე გახლდეს მარადის.

ასეთი შვილი არ გღირსებია,
არც მიულია შენს წიალს უკან,
რა სილამაზის მადლი სცხებია
მის სულს, ანთებულს სიკეთის
შუქად!

დედა ბუნებავ, შენ გმირებს ამგვარს
ამ ქვეყანაზე რომ არა ზრდიდე,
ცხოვრებას ჩვენსას, ისედაც
ჩამკვდარს,
გადაფარავდა ფრთებიანი რიდე.

ფიოდორ ტიუტჩევი

●

დასაბამიდან კაცთა მოდგმას კარიდან კარად,
ვით თანამგზავრი, ორი ძალა დაჰყვება მძლავრი
და ეს ორივე ბედისწერამ გვარგუნა მარად:
ერთი სიკვდილი და მეორე — სახალხო მსჯავრი.

თანაბრად თესენ განუზომელ ტანჯვა-გოდებას
და გულქვაობას, ულმობლობას ორივე იტევს,
ძალლადაც აღარ ჩაგაგდებენ, რის შეცოდება,
ხმას თუ გაიღებ, დაგადებენ ბაგეზე კლიტეს.

მაგრამ სიკვდილი მიმკერძავი არცროს ყოფილა
და არც შეკრთება, მიუწვდება ყოველგან სელი,
იგი თვინიერ და მორჩილ ცელს დაეძმობილა,
ათანასწორებს ყოველ სულდგმულს ამ ბასრი ცელით.

მოუსავლეთში საღ თავთავსაც ისვრის სიკვდილი
და არ სჩვევია კარგისა და ავის გარჩევა,
წუთისოფელი სხვაგვარია: ბრძოლა, ჭიდილი...
ვინც ძლიერია, გამარჯვებაც მასვე დარჩება.

და ვისაც ტიალ ამ საწუთროს მსჭვალავს შეგნება,
გვერდით უფლებას დაუყენებს ჩაგვრა-წამებას,
დაუნანებლად, შეუპოვრად ბრძოლად ებმება
და რაინდულად ეგებება ცილისწამებას.

აშკარად იბრძვის, სახე ნიღბით არ დაუფარავს,
არვის აკადრებს დამცირებას და დაკნინებას,
უმალ მტვერივით მოიცილებს ყველა მუქარას,
ყველა განსაცდელს და ღვარძლიან ლანძღვა-გინებას.

მაგრამ ვაი, რომ რაგინდ იყოს ცამდე მართალი,
დამნაშავისა მიეზღვება მას საწყალი,
წუთისოფელი ასეთია: კუშტი, გამწყრალი,
არვის შერჩება თუნდაც წრფელი დანაშაული.

ტატიანა სუხოტინა

ქალიშვილის მოგონებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ნანა ღარჩია-ბოლქვაძემ

გამოქვეყნებული მოგონებების ავტორი გახლავთ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის უფროსი ქალიშვილი — ტატიანა ლევის ასული ტოლსტაია, გათხოვების შემდეგ სუხოტინა. იგი დაიბადა იასნაია პოლიანაში 1864 წელს და თითქმის საუკუნის ნახევარი ვიდრე მამის გარდაცვალებამდე მისი ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი ადამიანი იყო. ახლობელი არა მხოლოდ მამა-შვილობისა გამო, არამედ სულიერი ნათესაობის გამო — ღრმად ესმოდა ტოლსტოის შემოქმედება და გულწრფელად თანაუგრძნობდა მის შეხედულებებს.

„მთელი ჩემი ცხოვრება, — წერს სუხოტინა, — ის განსაკუთრებულად ძლიერი გრძნობა სიყვარულისა და თაყვანისცემისა, რასაც მამაჩემის მიმართ ვგრძნობდი, არასოდეს გამნელებია. იმისდა კვალად, რაც თვითონაც კარგად მახსოვს ანდა რასაც მიამბობდნენ, მამაც მუდამ განსაკუთრებული სინაზით მექცეოდა“. ეს სიახლოვე უფრო მეტად გაიზარდა მწერლის სიცოცხლის ბოლო წლებში, როდესაც მას, რაკი მძიმე სულიერი და ოჯახური დრამა დაატყდა თავს, განსაკუთრებით სჭირდებოდა სიყვარული და თანაგრძნობა.

„ჭკვიანი, მოსიყვარულე, თავაზიანი, მხიარული, გონებამახვილი და ყველას მიმართ კეთილად განწყობილი ტატიანა ლევის ასული მუდამ და ყველგან საყოველთაო სიყვარულს იმსახურებდა, — ასე იგონებს მას ტოლსტოის ახალგაზრდა მეგობარი და მდივანი ვ. ფ. ბულგაკოვი, რომელიც ტოლსტოის სახლში ცხოვრობდა. საოცარია, როგორ ახერხებდა, რომ ჩვეული ტაქტით მუდამ შეეძლო ეპოვა დედისა და მამის სულის კარის გასაღები მათი უთანხმოების ჟამსაც კი“. სულიერად მდიდარი, სიკეთისა და სითბოს ნიჭით დაჯილდოებული დარჩა იგი თავისი სიცოცხლის დასასრულამდე.

ტატიანა ლევის ასულმა მშობლების სახლში ოცდათხუთმეტი წელი იცხოვრა. უკვე ესეც კმარა, რომ მის მოგონებებს უდიდესი გულისყურით მოვეკიდოთ. მაგრამ ტატიანა მამის ცხოვრების გარეშე მეთვალყურე არ ყოფილა, იგი ამ ცხოვრების ყოველდღიური და გულისხმიერი მონაწილე გახლდათ. მოგონებების ფასეულობას კიდევ უფრო აძლიერებს მემუარისტი ქალის იშვიათი მეხსიერება და მამისგან მემკვიდრეობით მიღებული ლიტერატურული ნიჭი.

თავისი პირველი ჩანაწერები დღიურში ტატიანა ლევის ასულმა 14 წლისამ დაიწყო. და თითქმის ორმოც წელიწადს განაგრძობდა.

ადრეულ წლებში დღიურს ზოგჯერ ლევ ნიკოლაზის ძეც კითხულობდა და აქებებდა ბავშვებს ეწარმოებინათ დღიური. ტატიანა ლევის ასულის ჩანაწერები უსაზღვროდ გულწრფელია, აღსარებასავით არის, სწორედ აქ იჩინა თავი მამის უშუალო ზეგავლენამ. მოგვიანებით, ტოლსტოის გარდაცვალების შემდგომ, ტატიანამ დაწერა [illegible] ერთი და ორი ნარკვევი, რომლებიც გულწრფელობით, უტყუარობითა და ფსიქოლოგიური სიფაქიზით ერთ-ერთ პირველ ადგილს იმკვიდრებენ ტოლსტოიზე დაწერილ მემუარებს შორის. დიდად საგულისხმოა ის ამბავიც, რომ ტატიანა ლევის ასულს ფართო მიწერ-მოწერა ჰქონდა მშობლებსა და თანამედროვეებთან.

ლ. ნ. ტოლსტოი მემუარებს უძვირფასეს ლიტერატურულ ჟანრად მიიჩნევდა და სიცოცხლის მიწურულს თვითონვე მიმართა ამ ჟანრს („მოგონებები", 1903 წ.) გაგვახსენა რა პუშკინის „მოგონება" მან მემუარების უმაღლეს კანონად აღიარა — პატიოსნება და ჭეშმარიტება, რომ გადაჭრით უნდა ეთქვას უარი „სიმართლისა და გამონაგონის აღრევას". „ვფიქრობ, — წერდა იგი, — ხალხისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სასარგებლო, რისი დაწერაც ძალუძს ადამიანს, არის ის, რომ გულწრფელად მოუთხრო განცდილი, ნაფიქრი, ნაგრძნობი". ამ მოთხოვნას სავსებით აკმაყოფილებენ ტ. ლ. სუხოტინას მემუარები. მწერლის ოჯახის არც ერთი წევრი ს. ლ. ტოლსტოის გარდა „წარსულის (ნამყოს) ნარკვევები" თავის მოგონებებში არ ყოფილა ესოდენ ჭეშმარიტი, ესოდენ ღრმა, ისტორიულად ესოდენ ობიექტური, როგორიც გახლავთ ეს ქალი თავის მემუარებში. მისთვის უცხოა პირადული მიკერძოებანი. ერთადერთი, რისკენაც მიისწრაფის ტოლსტოის უფროსი ქალიშვილი, ეს გახლავთ აღადგინოს ჭეშმარიტება. იგი მოგვითხრობს წარსულზე, განცდილსა და ნაფიქრზე, გამსჭვალულია უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით მამისა, ეპოქისა და ისტორიის წინაშე. აი რა ანიჭებს სუხოტინას მემუარებს უდიდეს მნიშვნელობას და საგანგებო ინტერესს აღძრავს მის მიმართ.

ტატიანა ლევის ასული სუხოტინას მემუარები უპირატესად ლ. ნ. ტოლსტოის ეძღვნება და ამიტომაც არის განსაკუთრებულად ფასეული. ისინი აღადგენენ 1860-70 წლების იასნაია პოლიანას სახლის ატმოსფეროს და იმ დროს როცა წამოზრდილი ბავშვების გიმნაზიაში შეყვანის აუცილებლობამ აიძულა მწერლის ოჯახი 1880-იან წლებში მოსკოვში გადასულიყო საცხოვრებლად.

ოცდაათ წლებში ტოლსტოის მოსკოვში ცხოვრების ამბებზე ბევრი რამ ვიცით მისი წერილების, დღიურებისა და უბის წიგნაკების მიხედვით, მაგრამ ტატიანა ლევის ასულის მემუარები ახალი ძვირფასი ცნობებით ავსებენ ჩვენს ცოდნას. ასეთია, მაგალითად, მისი ნაამბობი ოჯახის მოსკოვში გადასვლაზე, ხამოვნიკის სახლის ყოფაცხოვრებაზე. მწერლის მეგობრებსა და სტუმრებზე, მის სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. იმაზე თუ როგორ იზრდებოდა ცოტცოტაობით გაუცხოება მის მშობლებს შორის, როგორ განაცხადა ტოლსტოიმ უარი კერძო საკუთრებაზე და ბოლოს ტრაგედიაზე, ბოლო წლებში რომ და-

ტრიალდა. მგრძნობიარე, მოსიყვარულე, გულწრფელი ადამიანის ეს დაკვირვებანი ფრიად ძვირფასია, როცა საქმე მიდგება მწერლის ცხოვრების ესოდენ მნიშვნელოვანი ხანის დახასიათებაზე.

ტატიანა ლევის ასულის მემუარებში ძალზე საგულისხმოა ის გვერდები, რომლებზედაც მოთხრობილია მამამისის „ცხოვრების" ყაიდის, მისი ყოველდღიური ცხოვრების ამბები, როგორი იყო მუშაობის დროს მშობლებთან, მეგობრებთან, ხალხთან ურთიერთობაში. მრავალი სხვა მემუარისტისაგან განსხვავებით ტატიანა ლევის ასული ლევ ტოლსტოის ხატავს არა როგორც ცხოვრებიდან გამდგარ სქიმოსანს, არამედ მიწიერ ადამიანს, მოქმედს, მხიარულს, სიცოცხლის მოყვარულს. ტოლსტოი, მისი ქალიშვილის მოთხრობებში, არა მარტო ღრმად მოაზროვნე და გენიალური მწერალია, არამედ თუ შემთხვევა მოითხოვს, შეუძლია მოიგონოს სახუმარო თამაში, შეთხზას მხიარული სიმღერა, იცეკვოს „მაზურკა". არავითარი ადამიანური მისთვის უცხო არ არის. ყოველდღიურობაში ტოლსტოი მისაწვდომია, თავაზიანი, თავის ირგვლივ ქმნის სითბოსა და კეთილგანწყობილებას.

ხატავს რა მამას ოჯახურ წრეში, მის ურთიერთობას ცოლსა, შვილებსა და ახლობლებთან ტატიანა ლევის ასულს არ ავიწყდება რაოდენ რთული და წინააღმდეგობრივი ბუნებისა იყო ეს არაჩვეულებრივად ნიჭიერი ადამიანი: „აი როგორი იყო მამა: გამუდმებით ებრძოდა საკუთარ ვნებებს, არაფერს გააკეთებდა, საგულდაგულოდ რომ არ აეწონდაეწონა. შეუწყალებელი სისასტიკით სჯიდა საკუთარ თავს, უაღრესად მომთხოვნი თავისი თავისა და სხვების მიმართაც. ამავდროულად გამოუსწორებელი ოპტიმისტი, არასოდეს რომ არ ჩიოდა. ყოველი რთული მდგომარეობიდან იპოვიდა გამოსავალს. ეძიებდა თვითეული პრობლემის ამოხსნას, ნუგეშს პოვებდა ყოველგვარი უბედურებისა და უსიამოვნების ჟამს".

ტატიანა ლევის ასულმა ადრე გაიგო მამის ლიტერატურული საქმიანობის ამბავი და უდიდეს მოკრძალებას იჩენდა მისი შემოქმედებისადმი. თავის მხრივ ტოლსტოიც გრძნობდა რა ქალიშვილის გულწრფელ ყურადღებასა და გულისყურს, თანდათანობით უახლოებდა მას თავის საქმეს, უზიარებდა გეგმებს, უამბობდა ახალ-ახალ ჩანაფიქრზე, ანდობდა ხელნაწერთა გადაწერისა და წერილებზე პასუხის გაცემის საპასუხისმგებლო საქმეს. მაშ ასე, ნორჩობის ასაკიდანვე აღმოჩნდა ტატიანა ლევის ასული მამის სამწერლო მოღვაწეობის თანაზიარი და სიკვდილის ბოლო დღეებამდე ეხმარებოდა ტოლსტოის.

გამოქვეყნებულ მემუარებში ვხვდებით უამრავ საინტერესო მოთხრობას ტოლსტოის შემოქმედებით მუშაობაზე. ტატიანა ლევის ასულის თვალწინ იბადებოდა და ხორცს ისხამდა „წყვდიადის ჰეუფების", „კრეიცერის სონატის", „წერილების შიმშილზე", „აღდგომის", „მამა სერგეის", „ხაჯი-მურატის" და სხვა ნაწარმოებთა ჩანაფიქრზე. ზოგიერთი ხელნაწერი მან მრავალგზის გადაწერა, რამაც შესაძლებლობა მისცა დარწმუნებულიყო რაოდენ მომთხოვნი იყო მამა საკუთარი თავის მიმართ, რაოდენ მკაცრი და არაფრის დამთმობი თვითეული სიტყვის მიმართ.

ასაკოვანი ტატიანა ლევის ასული გახდა თავისებური ნდობით აღჭურვილი პირი მამის შემოქმედებით საქმიანობაში. მისი ჩანაწერების მიხედვით შეიძლება გაგება როგორ მუშაობდნენ ამა თუ იმ ნაწარმოებზე, რა სიძნელეები ელობებოდა გზაზე ტოლსტოის. სხვა ჩანაწერები ცხადყოფენ რაოდენ ღრმად უყვარდა ბუნება, მუსიკა, მხატვრობა, რა მსუბუქად გრძნობდა თავს უბრალო სოფლელ გლეხებთან, რა სიამით მუშაობდა მინდვრად, როცა კაცს მიუყვებოდა ან თიბავდა უბედური იასნაია პოლიანელი ქვრივისათვის. ყველა ამ ჩანაწერს, რომლებშიც აღბეჭდილია ტოლსტოის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების ამბები აცისკროვნებს უდიდესი სიყვარულის შუქი ასულისა დიდი მამისადმი, პირთამდე აღავსებს მის წინაშე მოკრძალების გრძნობა.

დიდად საინტერესოა თავად მემუარისტი ქალის პიროვნება, ვისი მოგონებებიც ნათლად ავლენს მისი ნიჭით ცხებულ ინდივიდუალობას.

1872 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში, რომელშიც დახასიათებული ჰყავს თავისი შვილები, ტოლსტოი შენიშნავს რვა წლის ტატიანას გამორჩეულ ნიჭიერებას, სულიერი სიკეთისა და თავგანწირვის ნიშნებს. მას, — წერს ტოლსტოი, „თავის მექანიზმი კარგი აქვს. მშვენიერი ქალი იქნება“. ეს წინასწარმეტყველება შემდგომში სავსებით ასრულდა. ტატიანა ლევის ასულმა მამისგან მემკვიდრეობით მიიღო იშვიათი ზნეობრივი სისპეტაკე, სულიერი მომთხოვნელობა შერწყმული დიდ მხატვრულ ტალანტთან.

ისევე, როგორც ტოლსტოის სხვა შვილებიც, ტატიანა ლევის ასული იზრდებოდა მამის მუდმივი სულიერი ზეგავლენით და სწორედ ეს გახლავთ მისი მოგონებების ერთი უმნიშვნელოვანესი თემა. როგორც თვითონ წერდა უკვე სიბერეში, ტატიანა ლევის ასული, მისი ჩანაწერები იმითაც არის საინტერესო, თუ როგორ გარდაქმნა ჩვეულებრივი ქალიშვილი მამის შემოქმედებამ, „მოაზროვნე და სიკეთისაკენ მისწრაფებულ არსებად“. მართლაც, ტ. ლ. ტოლსტაიას დღიურებისა და მოგონებების მიხედვით შეიძლება თვალი გაადევნო მისი არაჩვეულებრივი პიროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, იმ ზნეობრივ გარემოს, ტოლსტოის სახლში რომ მეფობდა.

ტოლსტოის ზეგავლენა ბავშვებზე სრულიადაც არ გახლავთ მოსაწყენი შეგონებები ანდა სასტიკი სასჯელი. საკმარისი იყო ტოლსტოის დაჟინებით შეეხედა თავისი ასულისათვის და იგი უკვე გულით გრძნობდა, კარგად მოიქცა თუ ცუდად. მამას ტყუილს ვერ ეტყოდი, მის გამჭრიახ თვალს ვერაფერს გამოაპარებდი. ამას ტოლსტოის ყველა შვილი გრძნობდა და ეს სავსებით საკმარისი იყო, რათა ნორჩი ტანიას სულში სიმართლის, სიკეთისა და გულღიაობის ნიშნები განვითარებულიყო.

ტატიანა ლევის ასულისა და მამის ურთიერთდამოკიდებულება მისი ყრმობისა და სიჭაბუკის წლებში არის მომხიბლავი „რომანი“, აღწერილი მის დღიურში უდიდესი გულწრფელობითა და სითბოთი. რაკი სულიერად მამისკენ მიისწრაფოდა და გრძნობდა როგორ სჭირდებოდა მამის სიკეთე და ალერსი, ნორჩი ტატიანას სულს ზოგჯერ მამის

მიმართ გაუცხოების გრძნობა ეუფლებოდა. ამით თვითონაც ღრმად იტანჯებოდა და მამასაც სტანჯავდა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ სავსებით მოულოდნელად იფეთქებდა ხოლმე ბავშვური თავმოყვარეობის, სიჯიუტის, ზოგჯერ კი გარდამავალი ასაკისათვის ჩვეული გულჩათხრობილობის გრძნობა. ტოლსტოი ფაქიზად იმჭერდა [illegible] თავისი შვილების გუნება-განწყობილების ცვალებადობას [illegible] შეიძლებოდა, ყველაფერს აკეთებდა, რათა აღედგინა მათი სულიერი კავშირი. და მაშინ ტატიანა გულში გრძნობდა საკუთარ დანაშაულს მამის წინაშე, რცხვენოდა და ინანიებდა, რაიც ასევე არცთუ მცირედ სტანჯავდა. „მამა ერთადერთი ნუგეში და საყრდენია ჩემი ცხოვრებისა და ხშირად მტანჯავს იმის შეგნება, რომ სანაცვლოდ ცოტა სიხარულს მივაგებ“, — წერს იგი.

ასაკის მომატებასთან ერთად მამა-შვილის ურთიერთობა თანდათან რთულდებოდა. შვილს ახარებს, რომ მამა მაღალი აზრის არის მასზე და დიდ იმედებს ამყარებს. მაგრამ ზოგჯერ უიმედობა ეუფლება და ჰგონია, რომ მამა მოტყუვდა, ეს კი სასოწარკვეთილებაში აგდებს. „მთელი ცხოვრება მეგონა, რომ იგი ტყუვდება, რომ უკეთესი ვგონივარ, ვიდრე სინამდვილეში ვარ, მეშინოდა და მსურდა თვალი ახელოდა. ახლა კი გული მწყდება და თან მიხარია, ასე რომ მოხდა. მაგრამ ამას რომ ვწერ, ცხარე ცრემლით ვტირი“.

ასეთ სულიერ ჭიდილში — როცა ერთმანეთს ენაცვლებოდა მცირე ხნით გაუცხოებისა და გულითადი სიახლოვის გრძნობა — მიედინებოდა ქალიშვილისა და მამის „რომანი“, ესოდენ ნიჭიერად რომ აქვს აღდგენილი ტოლსტაიას მოგონებებში.

ქალიშვილის დღიურის მიხედვით შეიძლება თვალ-ყურის მიდევნება რა ადრე გაიღვიძა მის სულში მაღალმა მორალურმა მოთხოვნებმა საკუთარი თავისადმი, არსებული ცხოვრების წესის უსამართლობის შეგრძნებამ: „რაოდენ გულისამრევი ამბავი და საზიზღრობაა, რომ უკან უნდა დამდევდეს ოცდათხუთმეტი წლის ქალი და აღასრულებდეს ყველა ჩემს ჭირვეულობას მხოლოდ იმიტომ, რომ ფულს უხდიან, მაშინ, როცა ამ ფულზედაც არავითარი უფლება არ გამაჩნია“, — ჩაწერილი აქვს ტანიას, ვინაც გულისხმიერებით ეკიდებოდა მამის სიტყვებსა და აზრებს. „ამ ცოტა ხნის წინათ მამა საღამო ხანს მეუბნებოდა... მისი აზრით რა არის კარგი ცხოვრება და რომ სიმდიდრე ხელს უშლის ადამიანს კარგი იყოს“. ყოველივე — „რაიც კარგია ჩემს სულში მისი დამსახურებაა“. „იგი მუდამ მომაგონებს ხოლმე, რა არის კარგი და რა არის ცუდი“.

ტოლსტოი აქეზებდა თავისი ასულის სწრაფვას მორალური სრულქმნილებისაკენ, მის სურვილს თავი დაეჭირა შორს ეგოიზმისაგან. მაგრამ როცა ისე მოხდებოდა, რომ მიუხედავად ყოველგვარი მონდომებისა, გარემოს ზეგავლენის შედეგად ტანიას ცხოვრებაში ეგოისტური საწყისი გაიმარჯვებდა, ტოლსტოი თავისი მამობრივი სიტყვით ისევ მოაბრუნებდა თავის ასულს სწორ გზაზე. ნაწილობრივ ასე მოხდა, როცა ოჯახთან ერთად საცხოვრებლად მოსკოვში გადასული 18 წლის ტანია,

მისი არისტოკრატული წრის ასალგაზრდების მსგავსად, გაიტაცა მალალი წრის სიამტკბილობამ. მაგრამ მალე გონიერი, მაძიებელი გონების ქალიშვილის სულში იმძლავრა სერიოზულმა სულიერმა ინტერესებმა და ამან ტოლსტოის უდიდესი სიხარული მიანიჭა. „ჰაიდა, ტანია! გმადლობთ, საყვარელო, წერილის გამო, — წერს ტოლსტოი 1885 წლის 18 ოქტომბერს, — შენ პირველად გამოთქვი ნათლად, რომ შენი შეხედულება საგნებზე შეიცვალა. ეს ჩემი ერთადერთი ოცნება და შესაძლებელი სიხარულია, მაგრამ ვერ ვბედავ იმედი ვიქონიო“ (63, 292).

იმისდა კვალად, რაც უფრო უახლოვდებოდა მამის ზნეობრივ მოთხოვნილებებს, ტატიანა ლევის ასული უფრო ხშირად რწმუნდებოდა მისი სოციალური მრწამსის სიმართლეში. ამის დასტურია დღიურში აღდგენილი მისი პირველი, ჯერ ისევ გულუბრყვილო საუბრები მამასთან იმის თაობაზე თუ რატომ მეფობს სოფელში სიღატაკე. „რატომ არის ასე მრავალი შიშველ-ტიტველი ადამიანი, როცა ასე ბევრია... მზა ტანსაცმელი“. „რატომ ულაბებათ მემამულეებს პური ბელელში, ელოდებიან რა ფასის მომატებას, და რატომ არის ამდენი მშიერი ადამიანი“.

ტოლსტოი მოთმინებით სცემდა პასუხს თავის ასულს და თანდათანობით დაჰყავდა მის შეგნებამდე რთული, საჭირბოროტო პრობლემები. ეს სერიოზული საუბრები, ნდობა შვილის ჭკუა-გონებისა და გულისა ფრთებს ასხამდა ტატიანას და ნაადრევი დაუკმაყოფილებლობის გრძნობით სნეული მის სულს მალამოდ ედებოდა, სევდა-ნაღველს უქარვებდა, ამიტომ იგი უფრო იშლად ითვისებდა მამის თვალსაზრისს. „თუკი სევდას არ ვეძლევი, თუკი ვცდილობ ზნეობრივი და პატიოსანი ვიყო, ეს უმთავრესად მისი წყალობით ხდება. თუ არა მისი სიყვარული უნუგეშო სასოწარკვეთილებას მივეცემოდი და, რაღა თქმა უნდა, ათასჯერ უფრო ცუდ დღეში ჩავვარდებოდი, ვიდრე ახლა ვარ“.

იმის წყალობით, რომ ქალიშვილისა და მამის სიახლოვე თანდათან იზრდებოდა, ტატიანა ლევის ასული სერიოზულად დაინტერესდა საზოგადოებრივი პრობლემებით. შემდგომ წლებშიც ტოლსტოი უფრო და უფრო ხშირად უზიარებს ტანიას საკუთარ აზრებს იმ ამბებზე, რაც რუსეთში ხდება, მზარდ საყოველთაო-სახალხო უკმაყოფილებაზე, შემაშფოთებელ, მაგრამ კეთილისმყოფელ ცვლილებებზე, თანდათან რომ მწიფდებოდა. ნორჩი ტანია გულისყურით აღიქვამს მამის სიტყვებს. ამ დროის დღიურებისა და წერილების მიხედვით შეიძლება თვალი გაადევნო როგორ ფართოვდება მისი თვალთახედვა, როგორ ეძიებს მისი ახალგაზრდული, ქმედითი ბუნება საკუთარი ძალის გამოყენების გზებს, როგორი გულწრფელობითა და მთელი სულით ხდება იგი მამის თანამოაზრე და თანამებრძოლი.

ტოლსტოის მწერლური შრომა მუდამ განუყოფელი იყო მისი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობისაგან. ტატიანა ლევის ასულის მემუარებსა და დღიურებში ბევრი რამ არის მოთხრობილი იმაზე თუ როგორ მოღვაწეობდა ტოლსტოი გამომცემლობა „პოსრედნიკში“, რომელიც ხალხისათვის პოპულარულ ლიტერატურას ავრცელებდა. ტო-

ლსტოიმ ამ საქმეში ჩააბა უდიდესი მწერლები და მხატვრები სალტი-კოვ-შჩედრინი, გლებ უსპენსკი, ჩეხოვი, კოროლენკო, კრამსკოი, რეპინი და თან ყოველმხრივ აქეზებდა თაყის ასულს, რადგან იგი მონაწილეობდა რთულსა, მაგრამ ესოდენ მნიშვნელოვან საქმეში.

„პოსრედნიკის" საინტერესო წამოწყება იყო მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების კვალიფიციური [illegible] ეებული თარგმანების გამოცემა. თვითონ ტოლსტოიმ ხელმეორედ „მოუთხრო" მასობრივ მკითხველს სოკრატეს, პლატონის აზრები, რუსოს, ჰიუგოს, ანატოლ ფრანსის, მოპასანის თხზულებები — ამიტომაც ნიჭიერი დამხმარე ადამიანები სჭირდებოდა. „რატომ არ ჰკიდებ ხელს რაიმე სამუშაოს სახალხო გამოცემისათვის? — წერდა იგი ტატიანა ლევის ასულს 1885 წელს, ახლა ცოტ-ცოტას ვკითხულობ „ცივ სახლს" (ჩ. დიკენსის რომანს), ძალზე კარგია. და ვფიქრობ, „ოლივერ ტვისტზე".

ოცი წლის ტატიანა ლევის ასულმა ვერ გაბედა ერთბაშად მოეკიდა ხელი რთული ლიტერატურული შრომისათვის, მაგრამ ხალისით შეუდგა მისთვის, ახალგაზრდა მხატვრისთვის უფრო ხელმისაწვდომ საქმეს — დაესურათებინა გამოსაცემი წიგნები, ხალხისათვის გამოექვეყნებინა რუს მხატვართა სურათების იაფფასიანი რეპროდუქციები. მან „პოსრედნიკში" დასტამბა ტოლსტოის მოთხრობის „რით ცხოვრობს ხალხი" — ილუსტრირებული გამოცემა. ნ. ნ. გეს ნამუშევრების რეპროდუქციების ალბომი, და სხვა ანალოგიური გამოცემები. ამ საქმეში ჩააბა მხატვრობის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სკოლის პედაგოგები და მეგობრები. „რა კარგია, — წერდა მას რეპინი, — რომ თქვენ ითავეთ „პოსრედნიკის" სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელობა... მე მჯერა თქვენი პირადი გემოვნებისა და მიხარია, რომ ამ საქმეს სწორედ თქვენ მოჰკიდეთ ხელი!"

მოგვიანებით ტატიანა ლევის ასული „პოსრედნიკში" მოღვაწეობდა როგორც ავტორი და როგორც რედაქტორი. მის კალამს ეკუთვნის საინტერესო წიგნი იტალიელ პედაგოგ მარია მონტესორიზე. მანამდე მან შეადგინა ფრანგ მხატვართა ნახატების ალბომი, კრებული „აღმოსავლური სიბრძნე", ფილოსოფია 250 აზრი პოეტთა და სწავლულთა". მისი რედაქციით გამოქვეყნდა მოპასანის რომანების „ცხვრებისა" და „მონტ-ორიოლის" ახალი თარგმანები.

ყოველდღიური დახმარება და მამასთან ერთობლივი მუშაობა „პოსრედნიკისათვის" იყო ახალგაზრდა ტატიანა ლევის ასულის საზოგადოებრივი სიმწიფის პირველი გამოვლინება. მაგრამ მისი არაჩვეულებრივი ნიჭი განსაკუთრებული ძალით გამომჟღავნდა 1891-1892 წლებში, როცა იგი ორი წლის განმავლობაში მამასთან ერთად იმყოფებოდა დამშეულთა სოფლებში. გლეხებს შორის გატარებულმა ორმა წელიწადმა უდიდესი როლი შეასრულა ტოლსტოის ქალიშვილის მორალურ-ზნეობრივი სახისა და პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში.

საერთო-სახალხო უბედურება — შიმშილი, რომელმაც 1890 წლის დასაწყისში მოიცვა მთელი რიგი გუბერნიებისა და ტოლსტოის მონა-

წილეობა დაზარალებულთათვის დახმარების საქმეში, ყველაზე ღირსშესანიშნავი ფურცელია მწერლის ბიოგრაფიაში. მრავალ ახალ რასმე ვიგებთ ამ პერიოდზე ტატიანა ლევის ასულის დღიურიდან. ტოლსტოის თავზარი დასცა სიღატაკის უსაზღვროებამ, იგი დამშეულ გლეხთა შორის დატრიალდა, რათა ადამიანები სიკვდილისაგან ეხსნა. უფროყმანოდ გაჰყვა მას უკან ამ სანებში მთელი ოჯახი — ცოლი სოფია ანდრეის ასული, უფროსი ვაჟიშვილები სერგეი და ლევი, უფროსი ქალიშვილები და მათ შორის პირველი — ტატიანა.

ტატიანა ლევის ასულის ამ პერიოდის ჩანაწერები — ეპოქის ერთ-ერთი ნაღდი საბუთია. როცა დამშეულთათვის იღწვოდა მაშინ გამოჩნდა მისი ბუნების საუკეთესო თვისებები, კიდევ უფრო განმტკიცდა მამასთან მისი სულიერი კავშირი. ეს ჩანაწერები სავსეა საქმიანი მსჯელობებით იმის თაობაზე სად და როგორ გახსნან სასადილოები, როგორ იყიდონ იაფფასიანი მატყლი, რათა ქალებს ხელსაქმე გაუჩინონ, როგორ გამოაცხონ პური კარტოფილის და ჭარხლის ნარჩენებით, როგორ უნდა მოადუღონ იაფფასიანი, მაგრამ ყუათიანი ქერის კისელი,.. ამის გვერდით დღიურში ვრცლად არის მოთხრობილი, რაოდენი გულისყურით უკვირდებოდა ხალხის ცხოვრებას, როგორ იძტვრევდა თავს ეპოვა გაჭირვების აღმოფხვრის გზები. გლეხების ტანჯვასა და უბედურებასთან ერთად ტოლსტოის ასულს არ გამოპარვია როგორ მწიფდებოდა დამშეულ სოფლებში „მოუთმენლობა, გაბოროტება, დრტვინვა... ხელისუფლების წინააღმდეგ“. „წლევანდელმა წელიწადმა საქმე უკეთესმა არ შემოაბრუნოს, — ვკითხულობთ მის დღიურში, — ის მაშინებს, რომ ეს სიღატაკე და შიმშილი ძალიან ბევრთათვის ხალხის დამონების საშუალებაა, და ყოველივე იმით დასრულდება, რომ ან ისევ იქნებიან ყმა გლეხებზე უფრო უარესი მონები ანდა უსათუოდ მოხდება აჯანყება, რაც ჩემი აზრით ეპოქის სულს შეეფერის“.

როგორც ცნობილია, ეს დაკვირვებები, ტოლსტოის დაკვირვებების მსგავსად ფრიად უტყუარი გამოდგა. 1891-93 წლების შიმშილობამ, ხოლო შემდეგ 1893 წლის მოსავლიანობამ ცოტაზე როდი შეუწყვეს ხელი რუსეთის სოფლებში იმ მეამბოხე სულისკვეთების აღზევებას, რომელიც მალე 1905-07 წლებში პირველი რევოლუციის მეხად გავარდა.

დამახასიათებელი ფაქტია, რომ ამ დროიდან მოკიდებული ტოლსტოის ასულს თვალს არ აშორებს მეფის საიდუმლო პოლიციის დაცვა. როგორც ცხადყოფს ლ. ნ. ტოლსტოის მუზეუმში დაცული სქელტანიანი „საქმე № 1594 დეპარტამენტის პოლიციისა გრაფის ასულ ტატიანა ლევის ასულ ტოლსტაიაზე“. დაწყებული 1891 წლის 19 ნოემბრიდან ანუ მისი რიაზანის გუბერნიაში ჩასვლის პირველი დღეებიდანვე, ტატიანას უთვალთვალებდნენ საიდუმლოდ და მკაცრად პოლიციის ხედამხედველნი. მის კორესპონდენციებს სსნიან, კითხულობენ. ხოლო უფრო „მეამბოხური“ სულისკვეთების ადგილები „საქმეში“ შეაქვთ. შემაჯამებელ ცნობაში, რომელიც მასზე დეპარტამენტის პოლიციამ შეადგინა, ვკითხულობთ „საიდუმლო წყაროებიდან მიღებული ცნობების

თანახმად ტატიანა ტოლსტაია საკუთარი იზიარებს თავისი მამის პოლიტიკურსა და რელიგიურ შეცდომებს და შუამავლობას უწევს თანამოაზრეებთან ურთიერთობისა და აკრძალული თხზულებების გავრცელების საქმეში".

ტატიანა ლევის ასულის „საქმეში" ფიქსირებულია ურთიერთობანი იმ მრავალრიცხოვან პირებთან, რომლებიც ავრცელებდნენ ტოლსტოის აკრძალულ თხზულებებს, ადამიანებთან რომლებიც უარს აცხადებენ საშხედრო მეგარის მოხდაზე და სხვა „არაკეთილსაიმედო ელემენტებთან". განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი ტულელი ექიმის მარია ხოლევინსკაიას ცნობილ „საქმეს", ვისაც 1896 წელს ტატიანა ლევის ასულმა გაუგზავნა გლეხი ი. ა. ნოვიკოვი მამის აკრძალული თხზულებებისათვის. ჩაიგდო რა ხელთ ტატიანა ლევის ასულის წერილი, პოლიციამ გაჩხრიკა ხოლევინსკაიას სახლი და აღმოუჩინა ლევ ტოლსტოის თხზულებები, რომლებშიც მეფის საიდუმლო პოლიციის მტკიცებით „ავტორი გამოთქვამს იდეებს, მიმართულს არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლების შესარყევად". ზევიდან მითითების შედეგად ტულის ჟანდარმერიამ დააპატიმრა ხოლევინსკაია, გადასცა სასამართლოს და განზრახული ჰქონდა გასწორებოდა ლევ ტოლსტოისაც, როგორც ავტორს, და ტატიანა ლევის ასულსაც, როგორც ამბოხური თხზულებების გამავრცელებელს. მაგრამ იუსტიციის სამინისტრომ, „ხელმძღვანელობდა რა აღნიშნულ საგანთან დაკავშირებით ორჯერ გამოთქმული აწ განსვენებული ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი აზრებით, განმარტა: „იმის გამო, რომ გრაფ ტოლსტოის, როგორც სახელგანთქმულ ეროვნულ მწერალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, მის დევნას შესაძლებელია მოჰყვეს უკიდურესად არასასურველი შედეგები". მაშ ასე, დაიხია რა უკან ტოლსტოის წინაშე, მეფის მთავრობამ ვერ გაბედა ხელი ეხლო მისი ასულისათვის. მაგრამ ორივენი მაინც დარჩნენ საიდუმლო პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ.

ტატიანა ლევის ასულის მოგონებებს შევყავართ ახალგაზრდა მხატვართა წრეში, რომლებთან ერთადაც სწყალობდა იგი მხატვრობას, წარმოაჩენენ ტოლსტოის სახლს, როგორც ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეთა საკრებულოს.

ნარკვევი „ტანია ტოლსტაიას ყრმობა" გვატყობინებს, რომ ტატიანა ლევის ასულის მხატვრობის ნიჭის გაღვიძების ბიძგი გამხდარა 1871 წელს იასნაია პოლიანაში ი. ნ. კრამსკოის ჩასვლა, მისი საინტერესო საუბრები ტოლსტოისთან, მისი მუშაობა შემდგომში სახელგანთქმულ ტოლსტოის პორტრეტებზე. მწერლის ცხრა წლის გოგონა ყურადღებით ადევნებდა თვალს დიდი მხატვრის მუშაობას და სასწაულად მიიჩნევდა იმას, რაიც მის თვალწინ ტილოზე იქმნებოდა: „აი, მამას თვალები — ნაცრისფერი, გულისყურიანი, დაკვირვებული, ნამდვილი მისი თვალებია. სასწაულია!" მამამ შენიშნა შვილს მხატვრობისადმი ინტერესი და თვითონ ჩამოუყვანა ტულიდან ხატვის მასწავლებელი, ხოლო როცა ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად, იქ მხატვრობის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სკოლაში შეიყვანა.

ტატიანა ლევის ასულის პედაგოგთა, ხოლო შემდეგ მეგობართა შორის აღმოჩნდნენ ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც არიან ი. ე. რეპინი, ნ. ნ. გე, ვ. გ. პეროვი, ნ. ა. კასატკინი, ი. მ. პრიანიშნიკოვი, ლ. ო. პასტერნაკი და სხვები, ყველანი, რაკი ტოლსტოისთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, ინტერესით ადევნებდნენ თვალს მისი ასულის წარმატებებს და ეხმარებოდნენ დაუფლებოდა ოსტატობის ხელოვნებას.

ი. ე. რეპინი დიდად მეგობრობდა ტატიანა ლევის ასულთან, აქებდა, რომ დაკვირვებით, გულმოდგინედ ეშრომა. „არ დაანებოთ თავი მხატვრობას, — წერდა რეპინი პასუხად, როცა ტატიანამ შესჩივლა სიძნელეებისა და საკუთარი წარუმატებლობის ამბავი, — მარია ლევის ასულის თავი და თქვენი სხვა ეტიუდები უკვე ისე დიდ ცოდნას ამჟღავნებენ, მრავალ პროფესიონალ მხატვარს რომ შეშურდებოდა“.

ნ. ნ. გე წერდა ტატიანა ლევის ასულს „ვიმედოვნებ, შევძლებ მოგემსახუროთ და ბევრი რამ გადმოგცეთ იმ საქმისა, რომელიც სისხლხორცეულია ჩემთვის, რაკილა მთელი ცხოვრება შევალიე. მიხარია, რომ ხელოვნებას გინდათ მოჰკიდოთ ხელი, ნიჭი დიდი გაქვთ და დაიხსომეთ, რომ ნიჭი, თუ საქმე არ გიყვარს, ვერაფერს მიაღწევს“. ასევე გასამხნევებელ წერილებს უგზავნიდნენ ი. მ. პრიანიშნიკოვი, ვ. ა. სეროვი, მ. პ. იაროშენკო, ნ. ა. კასატკინი, ი. ი. გინცბურგი, ლ. ო. პასტერნაკი და სხვა მხატვრები. ყველანი დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე.

კიდევ უფრო დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს თავისი ასულის ზრდას თვითონ ტოლსტოი, ცოტ-ცოტაობით გადასცემდა თავის შეხედულებებს ხელოვნებაზე, უქებდა თავმდაბლობას და თან მოუწოდებდა დაუფლებოდა ოსტატობას, უძლიერებდა საკუთარი ძალის რწმენას: „ხატე, ხატე კარგად და თუ სავსებით არა, ცოტათი მაინც დაიჯერე რაც პასტერნაკმა გითხრა“, — წერდა ტოლსტოი 1893 წელს.

ახალგაზრდა მხატვარმა ქალმა შესამჩნევ წარმატებას მიაღწია მხატვრობაში. ამაში ხელს უწყობდა მამისეული სახლის მთელი გარემო. „იასნაია პოლიანაში, — ყვება მოქანდაკე ი. ი. გინცბურგი, — მუდამ მეფობდა სიყვარული ხელოვნებისა, პატივისცემა მხატვრებისა და მათი ნამუშაკევისა... მხატვრების გული და სული, მათი მუდმივი მფარველი იყო ტატიანა ლევის ასული, თვითონაც სერიოზულად და წარმატებით მუშაობდა მხატვრობაში, როგორც რეპინის მოწაფე და მისი თაყვანისმცემელი“.

ტატიანა ლევის ასულის მოგონებებიდან ვიგებთ, რომ მისი ნახატებისათვის პირველი სიუჟეტები მამამ უკარნახა. ეს იყო იასნაია პოლიანას საყვარელი ადგილები — სოფელი, მისი შემოგარენი, ტყეები, მინდვრები, მდინარე ვორონკა — იგი მათ სიყვარულისაგან სუნთქვაშეკრული ხატავდა. ამასთან ერთად, მამის წინადადებით შექმნა იასნაპოლიანელ გლეხთა პორტრეტები. მთელი სერია — სოფლის მკვიდრთა, ტოლსტოის მახლობელ ადამიანთა თავისებური მხატვრული გალერეა. ტატიანა ლევის ასული ბავშვობიდანვე მეგობრობდა მათთან, ხვდებოდა მინდვრად, ტყეში, სოფელში და ეს სიახლოვე აისახა მის ნიჭიერ ნამუშევრებშიც.

აქვეა მშობლებისა და ახლობლების, ტოლსტოის მეგობრებისა და თანამოაზრეების ჩანახატებიც, მაგრამ განსაკუთრებით ფასეულია მის მიერ შექმნილი მამის პორტრეტები — ოცდაათზე მეტი ნამუშევარი, რომლებზედაც იგი აღბეჭდილია თავისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში. ტოლსტოი საგანგებოდ არასოდეს არ დამჯდარა, რათა დაეხატა იგი მის ასულს. პირიქით, უკმაყოფილოც იყო, როდესაც საღამოობით ფანქრით ხელში მაგიდასთან მჯდარი ტატიანა დაჟინებულ მზერას არ აშორებდა მამას, მაგრამ ტანია სწრაფად, ისე, რომ მამას არ შეემჩნია, მარჯვედ ჩაავლებდა დამახასიათებელ მიხვრა-მოხვრას და ჩაინიშნავდა თვალების გამომეტყველებას თუ სხვა რამ მოძრაობას და ეს ფაქიზად მიგნებული თვისებები გადმოგვცემენ მწერლის შინაგან სახეს და სულიერ სამყაროს.

განსაკუთრებით კარგია ტატიანა ლევის ასულის ის ნამუშევარი, რომელზედაც აღბეჭდილია ტოლსტოი მუშაობის დროს. ახლობელთა დამოწმებით, ეს პორტრეტი ყველაზე მეტად ჰგავს ტოლსტოის მისი ცხოვრების ბოლო პერიოდში შექმნილ სხვა პორტრეტთა შორის. თავისი მოწაფის ოსტატობით აღფრთოვანებული რეპინი ამ ნახატის გამო სწერდა: „შეინახეთ თქვენთან მომავალ საგამოფენო სეზონამდე... დარწმუნებული ვარ, სადაც არ უნდა გაგზავნოთ ეს ნაწარმოები, ყველგან მიიღებენ“. მაგრამ რაკი ტატიანა ლევის ასულს თავისი თავის რწმენა არ ჰქონდა, პორტრეტი არსადაც არ გაუგზავნია, ისევე როგორც არასოდეს გაუტანია გამოფენაზე თავისი არც ერთი სხვა ნამუშევარი“.

სამწუხაროდ, მხატვრობა არ ქცეულა ახალგაზრდა მხატვარი ქალის მთავარ საქმედ. თუმც არაჩვეულებრივად ნიჭიერი იყო, როგორც ჩანს ვერ ეყო შეუპოვრობა — და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი თვისება — საკუთარი ძალის რწმენა, რათა დიდ ოსტატად ჩამოყალიბებულიყო. და მაინც, ტატიანა ლევის ასულის მხატვრული მემკვიდრეობა, სამასამდე ნამუშევარი, განსაკუთრებით კი მის მიერ შექმნილი მამის პორტრეტთა გალერეა, უდაოდ საინტერესოა.

მნიშვნლოვანია ტ. ლ. სუხოტინას მემუარებიდან მოგონება „იასნაია პოლიანას მეგობრები და სტუმრები“ შეხვედრები ი. ტურგენევთან, გესთან, სულერჟიცკისთან და სხვა გამოჩენილ თანამედროვეებთან.

ი. ს. ტურგენევი მემუარების ავტორმა ჯერ კიდევ მაშინ ნახა, როცა ორივე მწერალი მიისწრაფოდა აღედგინათ ადრინდელი მეგობრობა, რაკი წარსულის წყენა განელეებოდათ. ამ წლებში ტურგენევი სამჯერ იყო იასნაია პოლიანაში მცირე ხნით, რადგან მხოლოდ გზად გამოიარა, მაგრამ მაინც მაშინ სრულიად ნორჩი ტატიანა ლევის ასულის ხსოვნაში აღიბეჭდა მრავალი დამახასიათებელი თვისება ტურგენევისა.

როგორც ცნობილია, ტურგენევსა და ტოლსტოის რთული პირადული ურთიერთობა ჰქონდათ. ის-ის იყო გაიცნეს და დაუმეგობრდნენ თუ არა ერთმანეთს, მაშინვე აღმოჩნდნენ ღრმა „უფსკრულის“ საპირისპირო მხარეზე, რაც ხშირად მეორდებოდა ხოლმე. ამ უფსკრულზე გა-

დაბიჯებას მრავალი წლის განმავლობაში ორივე ესწრაფვოდა, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებდნენ. მიზეზი მრავლად მოიძიებოდა — საწინააღმდეგო ბუნებისანი იყვნენ, სხვადასხვა ხასიათი და განსაკუთრებით განსხვავებული შესედულებები ჰქონდათ. ყოველივე ეს წლების განმავლობაში თანდათან იზრდებოდა და ბოლოს, 186[illegible] წელს — განხეთქილებით დასრულდა.

ტოლსტოის ასული არ შესწრებია ამ მწვავე შეტაკებებს. მას წილად ხვდა მათი ურთიერთობის ბედნიერი ხანა, როცა ტურგენევი იასნაია პოლიანაში ჩადიოდა და გულწრფელი სურვილი ამოძრავებდა — ამოევსო ადრინდელი აზრთა სხვადასხვაობის უფსკრული. ამიტომაც უფრო ფასეულია ტატიანას დაკვირვებანი ამ მრავალწლიანი მტრობა-მეგობრობის ბოლო ფაზისა. ტატიანა ლევის ასულის ჩანაწერებში ფაქიზად არის დახატული ტოლსტოისა და ტურგენევის ბოლო შეხვედრების აუმოსფერო — გულწრფელობა, სითბო, გულითადობა, უღრმესი ურთიერთპატივისცემა და ამავდროულად ორმხრივი უხერხულობა, როცა ორივენი ფრთხილობდნენ, გვერდს უვლიდნენ ყველაფერს, რაიც დააფრთხობდა ანდა ისევ ჩრდილს მოპფენდა ალმსდგარ მეგობრობას. მახვილი თვალით არის დანახული მემუარებში ტურგენევის პოეტური ბუნებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები — რაოდენ უყვარდა სიცოცხლე, ბუნება, როგორ ისწრაფოდა ახალგაზრდებისაკენ, გულია იყო, ფაქიზი, მის ირგვლივ მყოფ ადამიანებთან ურთიერთობაში ამაღლებული წარმოდგენა ჰქონდა სიყვარულზე, ქალებზე; ტატიანა ლევის ასულის დაკვირვებები ბოლო წლების ტურგენევის ჩვენთვის ნაცნობ სახეებს ახალი ძვირფასი შტრიხებით ავსებენ.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია ტატიანასეული პორტრეტი ნ. ნ. გესი მხატვრისა და პიროვნებისა, დაწერილი დიდი და გულწრფელი სიყვარულით. ნ. ნ. გე სიცოცხლის ბოლო წლებში ტოლსტოის დიდ იდეურ ზეგავლენას განიცდიდა. სწორედ ტოლსტოი ედგა მხარში მხატვარს, რომელიც მიისწრაფოდა სახარების თემებისაკენ, დიდი ფილოსოფიური განზოგადოებისაკენ, ზოგჯერ კი თვითონვე კარნახობდა მომავალ ტურათების სიუჟეტებს. გეს რელიგიური ჩანაფიქრის გაგება ბევრ რამეში გამომდინარეობდა ტოლსტოისაგან — მის ზოგიერთ ნახატს ტოლსტოი გასაღებს უძღვნიდა ამსსნელი ტექსტის სახით.

როგორც გამოქვეყნებული მემუარებიდან ვგებულობთ ნ. ნ. გე იასნაია პოლიანაში სასურველი სტუმარი იყო. დიდად მეგობრობდა მასთან ტატიანა ლევის ასულიც, ვისაც იზიდავდა გეს მდიდარი მხატვრული ნიჭი, სულიერი სიჭაბუკე და, რაც მთავარია, ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი არაჩვეულებრივი თავმდაბლობა და უბრალოება. და მაინც ქალი გაურბოდა მხატვრის ხატწერის საშიშროებას. ნ. ნ. გეს ქალამმა დახატა საოცრად ცოცხალი, სისხლსავსე, მხიარული, ეშმაკი, და ცოტა „ცოდვილი“ ადამიანიც: „უნდა იცოცხლო, უნდა გიყვარდეს, გრძნობა უნდა დაჰკარგო სილამაზის ხილვისას“. აი მოხუცი გეს რწმენის სიმბოლო, ვის მსოფლშეგრძნებასაც ტატიანა ლევის ასული სავსებით იზიარებს. მემუარებში ვხედავთ მხატვარს, რომელიც

ხან გულისყურით ჩაღრმავებია თავის ჩანაფიქრს, ხანაც აღშფოთებულს „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ მიმართავ, ხანაც უბრალოდ სალაპარაკოს, საღებავით გათხუპნულს, შორიახლო რომ უზის თავის ნახატს, თვალები უცინის, ჭალარა თმა ჩამოშლია და მთელი ხმით „აი, ეს არის სურათი!“

ალიქვამს რა გეს შემოქმედებას ხელოვნებაზე საკუთარი თვალსაზრისის პრიზმის წიაღ ტ. ლ. ტოლსტაია კრიტიკულად მსჯელობს. მისი აზრით, გეს ნახატების რელიგიური სიმბოლიკა ყოველთვის როდია დამაჯერებელი, ხოლო მათი დაუსრულებლობა ფორმის მხრივ ვნებას აყენებს შთაბეჭდილებას. ამასთან ერთად მემუარების ავტორი აღფრთოვანებულია მოხუცი ოსტატის სტიქიური ძალის მქონე ნიჭით. „იგი ერთ-ერთი იმ იშვიათ მხატვართაგანია, — წერს სუხოტინა — რომელთა ნაწარმოებებში ჩანს შთაგონება: ფორმა ზოგჯერ ცოტა უხეში და დაუხვეწავია, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ უკვე ველარ ხედავს კარგად, შინაარსი კი მუდამ საოცრად ძლიერი და გულისამაჩუყებელია“. და შემდეგ — როგორ ალიქვამს ქალი გეს ნახატებს: „როცა მან კედელზე ჩამოჰკიდა ნახშირით შესრულებული თავისი ესკიზები და გვიამბო, რა ჩანაფიქრი ედო საფუძვლად, რასაც ყველთან მომებვინა და აღფრთოვანებისაგან ტირილი მინდოდა...“

ტატიანა ლევის ასულის მოგონებებში შექმნილი ნ. ნ. გეს პორტრეტი, ერთი ყველაზე შთამბეჭდავი, ცოცხალი და სარწმუნო ფურცელია ამ მხატვარზე არსებულ ლიტერატურაში.

მრავალწლიანი გულწრფელი მეგობრობა აკავშირებდა ტატიანა ლევის ასულს ლ. ა. სულერჟიცკისთან — უცნაურ, მოუსვენარ, მდიდარი ნიჭის მქონე ადამიანთან. სწორედ მისდამი აქვს მიძღვნილი ტატიანას თავისი მოგონებების საუკეთესო სტრიქონები.

ტატიანა ლევის ასულის თანაკლასელმა სამხატვრო სკოლაში, ლევ ტოლსტოის ახალგაზრდა მეგობარმა ლ. ა. სულერჟიცკიმ შესამჩნევი კვალი დატოვა რუსული ხელოვნების სხვადასხვა სფეროში. მის სახელთან არის დაკავშირებული ახალგაზრდა მხატვართა ესთეტიკური ძიებანი საუკუნის დასაწყისში, ხოლო შემდგომ მხატვრის ისტორიის უამრავი ფურცელი. ტატიანა ლევის ასულის აღწერით სულერჟიცკი „წინარეს ყოვლისა ბრწყინვალე „მზიური“ ადამიანია, რომლის დევიზია: „ცხოვრება მშვენიერი უნდა იყოს, ადამიანები ბედნიერნი უნდა იყვნენ“. თავისი ეს დევიზი სულერჟიცკიმ გამოატარა უამრავ უმძიმეს განსაცდელს და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. ტატიანა ლევის ასულს ისევე როგორც ლევ ტოლსტოის მოსწონდა „სულერის“ მრავალმხრივი ნიჭი, იყო ბრწყინვალე ხელოვანი და მსახიობი, ცხოვრებაში მუდამ ურყევი, მხნე, ენერგიული. თავის მხრივ, სულერჟიცკი ტოლსტოების ოჯახს უდიდესი სინაზითა და მოწიწებით ეექცეოდა.

ტატიანა ლევის ასულის მოგონებებში ნახსენები არიან აგრეთვე ვ. ვ. სტასოვი, ნ. ნ. სტრახოვი, დ. ვ. გრიგოროვიჩი, ა. ა. ფეტი, ნ. ს. ლესკოვი, ა. პ. ჩეხოვი, ა. ფ. კონი, და რუსული კულტურის მრავალი

სხვა მოღვაწე. თვითეულზე ავტორი როდი მოგვითხრობს საფუძვლიანად, ზოგიერთნი მხოლოდ გაკვრით არიან ნახსენებნი, მაგრამ ორიოდ სიტყვითაც კი მათი ხსენება ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას ტოლსტოისა და მის ირგვლივ არსებულ გარემოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6

ტ. ლ. სუხოტინას მემუარებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნარკვევს „მამაჩემის სიკვდილის ამბავი და მისი შინიდან წასვლის შორეულ მიზეზთა გამო“. ტოლსტოიზე არსებულ მემუარულურ ლიტერატურაში იგი გამოირჩევა თავისი გულწრფელობით, უტყუარობითა და მკაცრი ობიექტურობით.

ტოლსტოის სახლიდან წასვლის მიზეზები მავანთა და მავანთა მემუარებში არასწორად გაშუქდა. წინა ფლანგზე ამ წიგნებში — განსაკუთრებით კი ვ. გ. ჩერტკოვის ცნობილ წიგნში „ტოლსტოის წასვლა“ — წამოწეულია რელიგიური მიზეზები, რომლებიც ვითომდა გამომდინარეობდნენ ტოლსტოის სულიერი მოძღვრების საფუძვლებიდან. ზოგიერთნი ამტკიცებდნენ, რომ თითქოს ტოლსტოი სიცოცხლის მიწურულს „დამშვიდდა“, „ინანიებდა“ და ეძებდა სიკვდილს და ა. შ. ერთნიც და მეორენიც ყოველივეს აბრალებდნენ ოჯახურ განხეთქილებას და დამნაშავედ ზოგნი სოფია ანდრეის ასულს მიიჩნევდნენ, ზოგნი — ჩერტკოვს.

ამ ტრაგიკული მოვლენის ობიექტურ შეფასებას ვერ ვპოულობთ ტოლსტოის შვილთა მოგონებებშიც კი, განსაკუთრებით ლ. ლ. ტოლსტოის წიგნში „იასნაია პოლიანაში“. „სიმართლე მამაჩემსა და მის ცხოვრებაზე“ (პრაღა, 1923) და ა. ლ. ტოლსტაიას წიგნში „მამაჩემი“ (ნიუ-იორკი, 1953), რომელთა ავტორები იმ ღირსსახსოვარ დღეებში „მტრების ბანაკში“ იმყოფებოდნენ. მათგან განსხვავებით ტ. ლ. სუხოტინა-ტოლსტაია, ისევე როგორც მისი უფროსი ძმა სერგეი ლევის ძე, იძლევა იასნაია პოლიანას ტრაგედიის მეტნაკლებად მართალ სურათს და ღრმად აანალიზებს ტრაგედიის მიზეზებს.

ზემოთ აღინიშნა რაოდენი სიყვარულითა და გაგებით არის დახატული მემუარებში ლევ ტოლსტოის პორტრეტი, როგორ ჭვრეტს შვილი მამის შინაგან სამყაროს. ასევე ბრწყინვალე და მართალია ს. ა. ტოლსტაიას პორტრეტიც. სოფია ანდრეის ასული სამართლიანად წარმოდგება მემუარებში როგორც საუკეთესო დედა, ერთგული მეუღლე და დიდი სახლის ბრწყინვალე დიასახლისი, „შუშის სახლისა, რომლის კარი ყველა გამვლელ-გამომვლელისათვის ღია იყო“. უფროსი ქალიშვილი სიყვარულით წერს დედაზე, ვინც კეთილი გულის ადამიანი, ამოუწურავი ენერგიის პატრონი და ბრწყინვალე ნიჭის ქალი იყო.

ცამეტი შვილის დედა და ოცდახუთი ბადიშის ბებია სოფია ანდრეის ასული მუდამ აფორიაქებული იყო, საზრუნავი და სადავიდარაბო არასოდეს მოჰკლებია. როცა ბავშვები პატარები იყვნენ, იგი არათუ ზრდიდა, არამედ კიდეც მკურნალობდა, კიდეც ასწავლიდა, თვალყურს ადევნებდა მათ წარმატებებს, რაც უფრო იზრდებოდნენ, ბავშ-

ვები მით უფრო მეტ ყურადღებას ითხოვდნენ. მერე და რამდენი ადამიანი ყოფილა ტოლსტოის სახლში — ისინი უნდა მიეღო, დეენაყრებინა, ღამე გაეთევინებინა. სოფია ანდრეის ასულს აწვა მხრებზე იასნაია პოლიანას მეურნეობაც — მამული, მიწა, ტყე, მინდვრები და ყოველივე ამასთან ერთად იგი ასწრებდა მიხმარებოდა თავის ქმარს, გადაეწერა მისი ხელნაწერები, საქმე ეწარმოებინა გამომცემლებთან, წიგნით მოვაჭრეებთან, პასუხი გაეცა მრავალრიცხოვან წერილებზე.

იასნაია პოლიანაში ჩამოდიოდნენ მსოფლიოს ყოველი კუთხიდან არამარტო გამოჩენილი მოღვაწეები — მწერლები, მხატვრები, სწავლულები, მუსიკოსები — აქეთკენ მოისწრაფოდნენ ათასობით უსაქმური, ნაკლებად საინტერესო, ქარაფშუტა და ზოგჯერ ანგარებიანი ადამიანებიც რომელთაც მწერლის სახლში შეეჭონდათ თავისი არაფრის მაქნისი ჩვეულები. სოფია ანდრეევნა, რამდენადაც ძალა შესწევდა, იცავდა ქმარს უსიამო მნახველთა დაუსრულებელი ნაკადისაგან — ფსევდომიმდევრებისაგან, აშკარა და ფარული მტრებისაგან, ანგარიშს არაფერს რომ არ უწევდნენ, არც დროს, არც ასაკსა და ტოლსტოის ჯანმრთელობას, პირდაპირ შეიჭრებოდნენ, ითხოვდნენ ყურადღებას, ხელს უშლიდნენ მუშაობაში, ხოლო ზოგჯერ სიცოცხლესაც კი უწამლავდნენ.

თანამედროვენი იცნობდნენ სოფია ანდრეის ასულს, როგორც ტოლსტოის თხზულებათა გამომცემელსაც და როგორც საზოგადო მოღვაწეს. როცა ქმრის თავზე საავდრო ღრუბლები შეჯარდებოდა, ასე მოხდა, მაგალითად, 1901 წელს, როცა ტოლსტოი ჩამოშორდა ეკლესიას, სოფია ანდრეის ასული საჯაროდ გამოვიდა მის დასაცავად და მის მრისხანე წერილებს რედაქციისადმი მთელი რუსეთი კითხულობდა. ფართო გამოხმაურება ჰპოვა მისმა საჯარო მიმართვამ საზოგადოებრივი აზრისადმი, მაგალითად, 1891-93 წლებში, როცა საჭირო შეიქნა, რომ ადამიანთა ყურადღება მიპყრობილიყო ტოლსტოის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი წამოწყებებისაკენ. ასეთ შემთხვევებში სოფია ანდრეის ასული მუდამ ქმრის გვერდით იდგა და წამოწყებულ საქმეს ახმარდა მთელ თავის ძალას, საშუალებასა და ბრწყინვალე ორგანიზატორულ უნარს. ცოტა დამსახურება როდი მიუძღვის, როცა წარმატებით იბრძოდა მეუღლის აკრძალულ ნაწარმოებთა გამოქვეყნების დროსაც, თამამად იცავდა ცენზურის წინაშე, სენატსა და თვით მეფის წინაშეც, იცავდა მას ჟურნალისტების თვითნებობისაგან და ანგარებიანი გამომცემლებისაგან.

ზოგიერთ მემუარებში სოფია ანდრეის ასულის სახე ცალმხრივად არის დახატული. მწერლის ცოლი იქ წარმოდგენილია ანჩხლ ქსანტიფედ, როგორც ბოროტი გენია თავისი ქმრისა, მისი ნიჭის დამლუპველი და უფრო მეტიც — დამნაშავეც მის სიკვდილში. სხვები კი ხატავენ სულნამცეცა, შეზღუდულ ადამიანად, რომელსაც უნარი არ შესწევდა გაეგო და გაეზიარებინა ქმრის სულიერი ინტერესები. ტატიანა ლევის ასული გადაჭრით უარჰყოფს ამას. ტოლსტოის ცოლი ნიჭიერი ადამიანი იყო, ნაზიარევი ლიტერატურასა და ხელოვნებას, წერდა მოთხრო-

ბებს, ხატავდა იასნაია პოლიანას პეიზაჟს, უყვარდა მუსიკა, ჩინებულად იღებდა სურათებს. მისი მეგობრები იყვნენ: ი. ს. ტურგენევი, ა. ა. ფეტი და სხვა მწერლები და მხატვრები. იგი გულწრფელად ეხმრაღვოდა გაეგო და გაეზიარებინა თავისი ქმრის შეხედულებები, მაგრამ ვერ შეძლო ამის გაკეთება. და სწორედ ეს იყო მისი პიროვნული ტრაგედია.

როცა ოჯახურ უთანხმოებას ეხება, ტატიანა ლევის ასული ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი მშობლები განსხვავებული ბუნების ადამიანები იყვნენ, განსხვავდებოდნენ ხასიათითაც და შეხედულებებითაც. „უცნაური წყვილი იყო ეს ორი ადამიანი!.. — წერს იგი, — იშვიათად შეხვდები ესოდენ განსხვავებულ და თან ასე მჭიდროდ დაკავშირებულთ ერთმანეთთან“. და მართლაც, მიუხედავად ყოველგვარი განსხვავებისა, ტოლსტოის უყვარდა თავისი ცოლი არა მხოლოდ დანიშვნისა და ქორწინების ადრეულ წლებში, არამედ სიცოცხლის ბოლომდე, რაზედაც გულწრფელად წერდა იასნაია პოლიანადან წასვლის ღამეს.

რამ წარმოშვა ეს განხეთქილება მწერლის ოჯახში? რაში გამოიხატებოდა ტოლსტოის ოჯახის დრამა? 48 წელიწადის თანაცხოვრების შემდეგ რამ აიძულა ოქტომბრის თვის ბნელ ღამეს ჩუმად დაეტოვებინა თავისი სახლი? ტატიანა ამ კითხვებზე დაბარწმუნებელ პასუხს იძლევა. ტოლსტოის დრამა ის იყო, რომ ოჯახი არ გაჰყვა მას მაშინ, როცა ღრმად გარდაიქმნა იდეურად და იმ დასაფუძნამდე მივიდა, რომ უსათოდ უნდა შეეცვალა ცხოვრება, უარი ეთქვა კერძო საკუთრებაზე. „მე არ შემიძლია, ეუბნებოდა მამა, — გავაგრძელო ცხოვრება ფუფუნებასა და უსაქმურობაში. მე ვეღარ ვიღებ მონაწილეობას ბავშვების აღზრდაში, რადგან ასეთი აღზრდა დამღუპველია მათთვის. ღარ შემიძლია ამიერიდან სასლისა და მამულების მფლობელი ვიყო. თვითთოეული ცხოვრებისეული ნაბიჯი აუტანელი წამებაა ჩემთვის. ან მე წავალ. ან სხვაგვარად უნდა ვიცხოვროთ: გავცეთ მთელი ჩვენი ქონება და ვიცხოვროთ გლეხებივით საკუთარი შრომით!“

ტატიანა ლევის ასული მკელევარის ობიექტურობით ადევნებს თვალს ამ დრამას მისი ჩასახვის დროიდან ტრაგიკულ დასასრულამდე. იგი უდიდეს გულისხმიერებას იჩენს მამის პოზიციისადმი, პატივს სცემს და მოსწონს მისი განზრახვანი. ამასთან იგი სამართლიანად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ როცა სოფია ანდრეის ასულმა უარი უთხრა ქმარს გაჰყოლოდა, მას არავითარი ანგარება და მით უმეტეს, არავითარი ბოროტი ზრახვა არ ამოძრავებდა. „ეს უფრო მისი უბედურება იყო, ვინემ დანაშაული“. აღზრდილმა თავადური ტრადიციის მორალის მიხედვით, არ იყო რა თავისუფალი მისი წრის ცრურწმენებისაგან. მან უბრალოდ ვერ გადააბიჯა საკუთარ თავს და უარი ვერ თქვა მისთვის ჩვეული ცხოვრების ყაიდაზე. იგი თვლიდა, რომ ქმრის თხზულებების საკუთრების უფლებაზე უარის თქმა მხოლოდ გაამდიდრებდა ხარბ გამომცემლებს და წაართმევდა მის შვილებსა და ბაღიშებს საარსებო საშუალებას. ამასთან ერთად დღითიდღე უარესდებოდა მისი სულიერი მდგომარეობა, განსაკუთრებით რომ გაძლიერდა სიცოცხლის ბოლო წლებში. ტოლსტოის წინადადებაზე — დაერიგებინათ ქონება და საცხოვრებლად გლეხის ქოხში გადასულიყვნენ, მის მუქარაზე შინიდან

წავალო, ტატიანა ლევის ასულის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, მას ასე უთქვამს: „თუ წახვალ, თავს მოვიკლავ, რადგან არ შემიძლია უშენოდ სიცოცხლე. რაც შეეხება ცხოვრების წესის შეცვლას, ეს არ შემიძლია და არ დაგეთანხმები, და საერთოდაც არ მესმის, რად უნდა დავანგრიოთ რაღაც ქიმერის გამო ყოველმსრივ ბედნიერი ცხოვრება". ტოლსტოის კი, ვისაც უყვარდა ცოლ-შვილი, არ სურდა ტკივილი მიეყენებინა მათთვის და დიდხანს ვერ გადაეწყვიტა შინიდან წასვლა, თუმცა ოჯახში ბატონ-ყაცურად ცხოვრება მძიმე სატანჯველში აგდებდა. ასე თანდათანობით შეიკრა ის ჯადოსნური წრე, საიდანაც თითქოს არ ჩანდა გამოსავალი...

თავის მოგონებებში ტატიანა ლევის ასული მთელ გულისყურს მიაპყრობს დრამის ოჯახურ ასპექტზე, ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას იმ სულიერ ტრაგედიაზე, რომელსაც ტოლსტოი განიცდიდა იმ ხანებში. ეს ტრაგედია განუყოფელია მისი ოჯახური ტრაგედიისაგან, უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ მისი პირადი ცხოვრების პირობები აშკარად ეწინააღმდეგებოდა მის ქადაგებას ცხოვრების გამარტივებაზე, გასადავებაზე, „რასაც საყვედურობდნენ არა მხოლოდ მტრები, არამედ მეგობრებიც". ტოლსტოი არაერთგზის წერილობითაც და ზეპირადაც განმარტავდა, რომ მან უკვე დიდი ხანია — 1892 წლიდან — თქვა უარი საკუთრებაზე. მრავალჯერ დაწერა, თუ რატომ არ მიდიოდა შინიდან — რომ ეს იქნებოდა ტრაგედია ახლობელთათვის, თავისებური „ძალმომრეობა" მათზე, რაიც ეწინააღმდეგებოდა მის ძირფესვეულ რწმენას, რომ დაუშვებელია ბოროტებას ძალით დაუპირისპირდე. მაგრამ მისი ეს განმარტებანი არ აკმაყოფილებდათ, ვერავინ დაარწმუნა და პასუხად მხოლოდ ახალი საყვედურები და გაკიცხვა დაიმსახურა, ისევ ესხმოდნენ თავს.

კიდევ უფრო სავალალო იყო ტოლსტოისათვის სიცოცხლის მიწურულს იმის დანახვა, რომ მის რელიგიურ-ზნეობრივ მოძღვრებასა, რაიც მას წმინდად სწამდა და ნამდვილ ცხოვრების არსებობის უცილობელი შეუთანხმებლობა და ცხოვრება ყოველ ნაბიჯზე უარყოფდა ამ რწმენას. ტოლსტოი ათეულობით წლების მანძილზე იცავდა საყოველთაო სიყვარულისა და ბოროტებასთან ძალის დაუპირისპირებლობის იდეას, როგორც ერთადერთ საფუძველს საზოგადოების სოციალური გარდაქმნისა. მისი მოძღვრების თანახმად მხოლოდ შინაგან, ადამიანის მორალურ სრულქმნილებას და არა „გარეგან" ბრძოლას თავისი უფლებებისათვის, შეეძლო მიეყვანა მსოფლიო ღვთის საუფლოსთან" — თავისუფლებასთან, ძმობასა და ბედნიერებასთან. მაგრამ ისტორიის გამოცდილებამ, განსაკუთრებით კი ხალხთა მასების გამოცდილებამ პირველ რუსულ რევოლუციაში დაამტკიცა, რომ თავისუფლებისათვის სასტიკი ბრძოლის გარეშე შეუძლებელია მდიდართა ხელისუფლების დამხობა, მჩაგვრელთა უღლის გადაგდება, შეუძლებელია მიწების მიღება, შეუძლებელია სახრჩობელების, ნაჯახისა და ჯალათის კუნძის თარეშის შეჩერება.

ტოლსტოი უშიშარი მოაზროვნე იყო, იგი არ განაგებდა იჭვებს, დროდადრო სჯაბნიდა მას — ეს მრავალგზის აისახა მის დღიურებში.

მაგრამ მან ვერ შეძლო ელიარებინა, რომ მისი მოძღვრება მცდარი იყო, რადგან მისი წინააღმდეგობების სათავე გამომდინარეობდა არა მხოლოდ პირადული აზროვნებისაგან, არამედ თვით რუსული ყოფის პირობებისაგანაც, განსაკუთრებით კი გლეხთა მასების ცხოვრებისაგან, რომელთა იდეოლოგიის გამომხატველადაც გამოდიოდა იგი. სიცოცხლის ბოლო წლებში ეს ამბავი უფრო მეტად საგრძნობ ტრაგედიად იქცა. „მთავარი ჩემი შეცდომა ის არის, რომ სიყვარული თავის საქმეს აკეთებს და ამჟამად რუსეთში მძვინვარებს დასჯა, სახრჩობელები და სხვ." (?) (57, 200) — წერდა იგი დღიურში 1909 წლის 13 თებერვალს. და სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე: „რამდენადაც განსაზღვრულად და გადაჭრით წყდება შეუცნობადის, სულის, ღვთის, მომავალი ცხოვრების საკითხები, მით უფრო განუსაზღვრელი და გადაუჭრელია ზნეობრივი ცხოვრებისეული საკითხები" (58, 10).

ასე თანდათან მომწიფდა, გამძაფრდა და ბოლოს და ბოლოს შეიქმნა ის აუტანელი გარემო, როცა ტოლსტოი თავისი სიცოცხლის მიმწუხრზე მარტოსული აღმოჩნდა და იძულებული გახდა მიეტოვებინა მშობლიური სახლი. განზრახული ჰქონდა წასულიყო ხალხში, უკიდეგანო გლეხთა სამყაროში, სადაც იმედოვნებდა, რომ მოიპოვებდა სიმშვიდეს და განახორციელებდა თავის მრავალრიცხოვან მხატვრულ ჩანაფიქრს. წასვლამდე ცოტა ხნით ადრე მან სოხოვა კიდეც ნაცნობ გლეხს — მ. პ. ნოვიკოვს გამოეძებნა მის სოფელში „ყველაზე პატარა, მაგრამ ცალკე მდგარი ქოხი და თან თბილი" (82, 211), სადაც შეძლებდა მშვიდად ეცხოვრა და ემუშავა. მაგრამ ვაი, რომ მის ამ ბოლო სურვილს აღსრულება არ ეწერა. გზაში სასტიკად გაცივდა, ფილტვების კრუპოზული ანთება დაემართა, ერთი კვირა იმყოფებოდა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნასთან და ბოლოს აღესრულა კიდეც რიაზანის ველებზე ჩაკარგულ მცირე სადგურ ასტაპოვოში. — ასეთი გახლდათ დასასრული ამ დიდი ტრაგედიისა.

ჭეშმარიტი სახით ალადგინა რა იასნაია პოლიანაში ბოლო დროს დატრიალებული მოვლენები, ტატიანა ლევის ასულმა თავმდაბლობის ამო არაფერი თქვა თუ რა როლი შეასრულა თვითონ. ეს როლი კი მეტისმეტად დიდი იყო. როცა ბრძოლა გამძაფრდებოდა მწერლის მეუღლესა და მის მევობარს ჩერტკოვს შორის და ეს ბრძოლა ოჯახის სხვა წევრებსაც ჩაითრევდა ხოლმე, ტატიანა ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც შეეძლო თავისი ჭკუა-გონებისა და სულიერი ტაქტის წყალობით სიმშვიდე დაემყარებინა და შეერიგებინა ყველანი. თითქოს ხანძარია და ყველაფერი იწვისო, ივი მრავალჯერ გაჩენილა ელვის უსწრაფესად იასნაია პოლიანაში თავისი ქმრის მამულიდან კოჩეტიდან. და უკვე მარტოოდენ მისი გამოჩენა აცხრობდა ვნებებს, აიძულებდა ადამიანებს ჩაფიქრებულიყვნენ; ზოგჯერ კი თავისთან წაიყვანდა მამას და დაიწყებოდა სიმშვიდისა და სულის მოთქმის უძვირფასესი დღეები.

დღემდე არ გამოქვეყნებულა ტატიანა ლევის ასულის წერილები მშობლებისადმი, ძმებისადმი, დისადმი. ამ წერილებიდან ჩანს, რაოდენ დიდი იყო მისი კეთილგონიერი ზეგავლენა დრამის თვითეულ მონაწი-

ლეზე. ტატიანა მუდამ მხარში ედგა და ამხნევებდა მამას, მის სურვილს სამართლიან და კანონიერ სურვილად მიიჩნევდა, მაგრამ ამავდროულად შეეძლო კეთილად ემოქმედა დედაზე, დაეშშვიდებინა მისი სნეული სული და თვალი აეხილა მისთვის იმაზე, რაც ირგვლივ ხდებოდა. „თქვენ იტანჯებით, როცა ცუდ კერძს მიართმევენ, — წერდა იგი დედას 1910 წლის ივნისში, — ცდილობთ განარიდოთ მოსაწყენ და აბეზარ მნახველებს, უკერავთ პერანგს, ერთი სიტყვით, მის მატერიალურ ცხოვრებაზე ყოველმხრივ ზრუნავთ, მაგრამ იმას, რაც ყველაზე ძვირად ულირს, როგორღაც ვერ აქცევთ ხოლმე. როგორ აუჩუყდებოდა გული და სანაცვლოდ ასჯერ მეტს მოვაგებდათ, თქვენ რომ ასევე მზრუნველად ეკიდებოდეთ მის სულიერ ცხოვრებას (ტსმ).

მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, მთელი მრისხანებით ჰკიცხავდა იგი თავის ძმებს ანდრეისა და ლევს, რომლებიც იასნაია პოლიანაში დატრიალებულ ტრაგედიებში არაკეთილსასურველ როლს — მამის მოწინააღმდეგის როლს ასრულებდნენ. „გაუგონარი ამბავია, — წერდა იგი თავის ძმას ანდრეის, ოთხმოცდაორი წლის მოხუცს შეუქმნათ სიძულვილის, ბოროტების, სიცრუის, ჯაშუშობის გარემო და მერე კიდევ ხელი შეუშალოთ, რათა იგი წავიდეს და განერიდოს ყოველივე ამას. მეტი რაღა გინდათ მისგან? ქონება გაცილებით მეტი მოგვცა, რაც მას ერგო, იმასთან შედარებით. ყოველივე, რაიც გააჩნდა ოჯახს მისცა. და ახლა უსირცხვილოდ გინდა კიდევ მას, ვინც ასე გძულს, ანდერძზე ესაუბრო“. (ტსმ).

ასეთსავე პირდაპირ, გულახდილ წერილებს უგზავნიდა ვ. გ. ჩერტკოვსაც, რომელსაც ჰკიცხავდა მბრძანებლური ხასიათის, თვითდაჯერებულობის სისასტიკისა და სოფია ანდრეის ასულთან უხეში დამოკიდებულების გამო. მაგრამ როგორც კი გაემგზავრებოდა ტატიანა ლევის ასული, დროებით ჩამოსრალი ვნებები ახალის ძალით იფეთქებდა. „დარწმუნებული ვარ, — წერდა ვ. ფ. ბულგაკოვი, — 1910 წელს ტატიანა ლევის ასულს მუდმივად რომ ეცხოვრა იასნაია პოლიანაში, იგი გამოძებნიდა რაღაც გზებს, რათა აეშორებინა მძიმე ოჯახური დრამა, ტოლსტოის სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდა“, საუბედუროდ, ტოლსტოის ასულს არ შეეძლო სულ მშობლების ოჯახში, იასნაია პოლიანაში ეცხოვრა, რადგან ოჯახური ცხოვრების უღელში იყო შებმული.

1910 წლის ოქტომბრის იმ ტრაგიკულ დღეებში, როცა ტოლსტოიმ დასტოვა იასნაია პოლიანა, ტატიანა ლევის ასული ერთ-ერთი იყო ოჯახის მცირერიცხოვან წევრთაგან, რომელმაც ბოლომდე გაუგო მამას და ამით დიდი სიხარული მიანიჭა. იგი ასტაპოვოში იმყოფებოდა მამის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ პირველმა აღასრულა მამის სურვილი უარი განაცხადა კერძო საკუთრებაზე და თავისი მიწები გლეხებს დაურიგა.

ტ. ლ. სუხოტინა-ტოლსტაიას მოგონება მამის შინიდან წასვლისა და სიკვდილის მიზეზებზე ერთი ყველაზე მართალი და მიუკერძოებელი დასტურია ტოლსტოიზე არსებულ მთელ მემუარულ ლიტერატურაში.

7

ტატიანა ლევის ასულმა მთელი შემდგომი ცხოვრება მამას, მისი შემოქმედების პროპაგანდას მიუძღვნა. მალე მამის გარდაცვალების შემდეგ ქმარიც მოუკვდა და მარტოხელა დარჩა თავის [illegible] ბოგონასთან — ტანიასთან ერთად. ლევ ტოლსტოის ძალიან უყვარდა თავისი ბადიში და საალერსოდ „ტატიანა ტატიანას ასულს" ეძახდა. თავის მშობლიურ სახლში დარდმა აიძულა ტატიანა ლევის ასული დაეტოვებინა ქმრის მამული და ისევ იასნაია პოლიანაში დაბრუნებულიყო.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მან სოფია ანდრეის ასულთან ერთად მთელი თავისი ძალა მოახმარა მამის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, აგრეთვე სახლისა და კარმიდამოს — რუსული კულტურის ამ ფასდაუდებელი საგანძურის შენარჩუნებას. 1920 წელს ტატიანა ლევის ასული მოსკოვში გადავიდა, სადაც დააარსა საბავშვო სამხატვრო სკოლა. ამასთან ერთად იგი აქტიურად ჩაება ტოლსტოის მუზეუმის საქმიანობაში, ხოლო 1923 წლიდან მისი დირექტორი გახდა. ამ სანებში კიდევ უფრო გაიფურჩქნა ტატიანა ლევის ასულის ბრწყინვალე ნიჭი. მან ახლოს გაიცნო ა. ვ. ლუნაჩარსკი, კ. ს. სტანისლავსკი, ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ვ. ი. კაჩალოვი, ვ. ე. ნესტეროვი, ი. ე. გრაბარი და საბჭოთა კულტურის სხვა მოღვაწეები, რომლებიც ეხმარებოდნენ მუზეუმის გახსნის საქმეში.

სამართლიანად აღშფოთებულმა იმის გამო, რომ გახშირდა როგორც ზეპირი ასევე ბეჭდური გამოსვლები მამამისის ყოფილი მიმდევრებისა, რომლებიც ამახინჯებდნენ 1910 წლის მოვლენებს, ტატიანა ლევის ასულმა რამდენიმე საჯარო ლექცია წაიკითხა, სადაც აღადგინა პოლიანაში დატრიალებული ტრაგედიის სიმართლე. იმ განზრახვით, რათა ფართო პროპაგანდა გაეწია მამის ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის. ტ. ლ. ტოლსტაია 1925 წელს თავის შვილთან ერთად საზღვარგარეთ გაემგზავრა და რამდენიმე წელი დაჰყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც ტოლსტოის შემოქმედებაზე ლექციებს კითხულობდა. მის გამოსვლებს დიდი წარმატება ჰქონდათ.

სამშობლოდან შორს მყოფს არაერთხელ მოუგონებია თავისი მშობლიური „სახლი კროპოტნიცკაიაზე". „დღეში არც ერთი საათი არ გავა ისე, რომ არ ვფიქრობდე თვითეულ თქვენგანზე და ჩემს საყვარელ მუზეუმზე". — იწერებოდა იგი პარიზიდან 1925 წლის 20 ივნისს (ტსმ). ამასვე იმეორებდა ტატიანა ლევის ასულის ნორჩი ასულიტანია, რომელიც ადრე ამავე მუზეუმში მუშაობდა. „ჩვენთან ახლა მოწყენილობაა. ისეთი დარდი ჩამიდგა გულში მოსკოვის გამო, თითქოს პირველი დღეებიაო... ჩვენ უდიდესი სიყვარულით ვიგონებთ კროპოტკინის ქუჩას". (ტსმ).

საზღვარგარეთ ცხოვრების დროს ტატიანა ლევის ასულს ურთიერთობა ჰქონდა რუსული და მსოფლიო კულტურის მრავალ მოღვაწესთან, რომლებისთვისაც ის იყო მამის საქმის განმგრძობი. ესენი იყვნენ: ი. რეპინი, ი. ბუნინი, ფ. შალიაპინი, ა. კუპრინი, მ. ცვეტაევა, ლ. პასტერნაკი, კ. სომოვი, რ. როლანი, მ. ვანდი, ა. მორუა და სხვანი

მრავალნი. ტოლსტოის მუზეუმში ინახება ტატიანა ლევის ასულისადმი გაგზავნილი წერილები, საიდანაც ნათელია თუ რაოდენ ძალად სცემდნენ პატივს დიდი მწერლის ასულს.

1928 წელს ტატიანა ლევის ასული საზღვარგარეთ სათავეში ჩაუდგა ლ. ნ. ტოლსტოის დაბადებიდან 100 წლისთავის აღნიშვნის საქმეს. ამ საკითხთან დაკავშირებით და აგრეთვე იმის გამო, რომ გამოქვეყნდა მისი წიგნი ლევ ტოლსტოის შინიდან წასვლის მიზეზებსა და გარდაცვალებაზე, ტატიანამ უამრავი წერილი მიიღო რუსეთიდან და მისი საზღვარგარეთელი თანამემამულეებისაგან. ფ. ი. შალიაპინი წერდა: „რაოდენ ცოცხლად წარმომიდგება ჩემს მეხსიერებაში საშოვნიკი! რაოდენ დიდი იყო ტკბობის წუთები, როცა ლევ ნიკოლოზის ძეს ვუმღეროდი! როგორ მეამაყება ჩემი ცხოვრების ეს უდიადესი წუთები!" (ტ. ს. მ) მ. ცვეტაევამაც გაუგზავნა მას თავისი ლექსების წიგნი „ყურადღებისა და სიმპათიის ნიშნად". ტატიანა ლევის ასულს მრავალჯერ გაუგზავნა წერილი დიდი სიყვარულით. ი. ა. ბუნინმაც: „გიკოცნით ხელებს დიდი სიყვარულითა და მშობლიური გრძნობით: თქვენ — ტოლსტოები ხომ ჭეშმარიტი ნათესავები იყავით ჩემთვის მთელი ცხოვრება" (ტსმ).

შემდგომი წლები ტატიანა ლევის ასულმა რომში გაატარა, სადაც დამკვიდრდა მისი ერთადერთი ასული ტანია მისეილის ასული სუხოტინა, რომელიც 1930 წელს ცოლად გაჰყვა ცნობილ რომაელ იურისტსა და საზოგადო მოღვაწეს ლეონარდ ალბერტინის. რაკი უკვე ველარ მოშორდებოდა თავის ასულსა და შვილიშვილებს, ტატიანა ლევის ასულიც იტალიაში დარჩა, მაგრამ მთელი სულით მიისწრაფოდა რუსეთისაკენ, მშობლიური იასნაია პოლიანასაკენ. ერთ-ერთ წერილში თავის ძმა სერგეის რომ გაუგზავნა 1935 წელს, იგი დადარდიანებული წერს: „ხშირად ვფიქრობ, რა უცნაურია, რომ უკვე ველარასოდეს ვიხილავ იასნაია პოლიანას და მერე რა სწრაფად ვიგრძნობდი, რომ შინ ვარ, სიმსუბუქეს, სიმყუდროვეს, სიმშვიდეს ჩემი ქალიშვილობის დროინდელ ოთახში და კალათით ხელში აბრამოვის დარგულ პატარა არყის ხეების ძირას. ხან მსხვილ ფეთრ ქუდა სოკოს ვიპოვიდი, ხანაც თხელყუნწიან ნაგვიანევ მარწყვს არყის ხეების ჩრდილში, ანდა ნაცრისფერ მჭადა სოკოს... როგორც ჩანს „სადაც დაიბადე..."

მაგრამ უცხო მხარეშიც ახსოვდა ტატიანა ლევის ასულს თავისი მოვალეობა საშობლოს წინაშე, მამის წინაშე. მან დაწერა ახალგაზრდა ლ. ტოლსტოის ბიოგრაფია, გამოსცა საკუთარი კომენტარებით მამის წერილების კრებული მისი ნაკლებად ცნობილი პუბლიცისტური წერილების ანთოლოგია, ასევე მოამზადა მამის მხატვრული ნაწარმოებების ცალკეული კრებულები. ამავე დროს იგი აგრძელებდა მოგონებების წერას თავის ბავშვობასა და ყრმობაზე იასნაია პოლიანაში.

ჩვენს უდიდეს მადლობას იმსახურებს ტატიანა ლევის ასულის შემკრებლობითი მოღვაწეობა. იგი გულმოდგინედ აგროვებდა მასალასა და დოკუმენტებს ტოლსტოის ცხოვრებას რომ ეხებოდა. მალე მისი სახლი იქცა პატარა მუზეუმად, რომელსაც გამუდმებით ავსებდა ახალი მოპოვებული მასალით ამ ადამიანმა ეს უძვირფასესი განძი მუსოლი-

ნის ფაშისტური დიქტატურის დროსაც შეინარჩუნა. ხოლო შემდეგ, მეორე მსოფლიო ომის წლებში ზოგიერთი მათგანი უანდერძა პარიზის სლავიანურ ინსტიტუტს. მისმა ქალიშვილმა ტანია მიხეილის ასულმა სუხოტინა-ალბერტინიმ აღასრულა დედის ნება-სურვილი და მოსკოვში ტოლსტოის მუზეუმს გადასცა ტატიანა ლევის ასულის მთელი უცხოური არქივი — მისი დღიურები, მიწერ-მოწერა ძმობლებთან, მეგობრებთან, აგრეთვე რუსული და მსოფლიო კულტურის მოღვაწეებთან.

ტ. ლ. სუხოტინა-ტოლსტაია გარდაიცვალა 1950 წელს რომში. მისი ასული და შვილიშვილები წმინდად ინახავენ ხსოვნას რუსეთისა და ტოლსტოის და ჩვენი ქვეყნის გულწრფელი მეგობრები არიან.

* * *

უსაზღვროა ლევ-ტოლსტოის სამყარო — სამყარო ღრმა აზრებისა, ჭეშმარიტების უცნაური ძიებისა, შთაგონებული შემოქმედებისა. მწერლის ასულმა, ბუნებრივია, ვერ მოიცვა მამის ცხოვრება მთელი სიგრძე-სიგანით, სიღრმითა და სირთულით. ყოველთვის არ თანხვდება მისი მსჯელობანი ჩვენს წარმოდგენას ტოლსტოის შეხედულებებზე, ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. იყო რა მამის თანამოაზრე ტატიანა ლევის ასული იზიარებს მის რელიგიურ-ზნეობრივ მოძღვრებასაც, მის ფილოსოფიურ აზრებს მთელი თავისი ნაკლითა და წინააღმდეგობებით. მაგრამ ჩვენ მადლობელი ვართ მისი, რადგან ღრმად ჩაწვდა არსს და მართლად, მამისადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობით შთაგონებულმა გადაგვიშალა ტოლსტოის ყოვლისმომცველი პიროვნების ზოგიერთი მხარე.

ა. ი. შიფმანი.

ტატიანა ტოლსტაიას გავშვოგა იასნაია პოლიანაში

ბავშვობის წლებს უდიდესი სიყვარულით ვიგონებ.

და მხურვალე მადლიერების გრძნობით ვფიქრობ იმ ადამიანებზე, ჩემ გარშემო რომ იყვნენ შემოკრებილნი ჩემი ცხოვრების ამ უბედნიერეს ხანაში.

გავიზარდე იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც ერთმანეთიც უყვარდათ და მეც.

მეგონა, რომ სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან სწორედ ამგვარი ურთიერთობაა დამახასიათებელი ადამიანური ბუნებისათვის.

მე ახლაც ასე ვფიქრობ.

და თუმცა ჩემი ჟამიერი სიცოცხლის მანძილზე ზოგჯერ ვხედავდი სიავესა და სიძულვილს კაცთა შორის — მწამს, რომ ამგვარი დამოკიდებულება ისევე არაბუნებრივია, როგორც სენი. და ისევე, რო-

გორც სენი, წარმოიშობა ადამიანური ცხოვრების პირველყოფილი კანონების დარღვევის შედეგად.

ასევე ბუნებრივი იყო ჩვენი ცხოვრების გარეგანი პირობები.

ქორწინებიდან თვრამეტი წელიწადი მამაჩემმა ოჯახთან ერთად იასნაია პოლიანაში გაატარა ისე, რომ ფეხი არსად გაუდგამს, მხოლოდ იშვიათად თუ ჩავიდოდა ქალაქში საქმეებზე!

სოფელში ცხოვრებამ შემაყვარა განმარტოება და სიმშვიდე, ჩვეად მიქცია ბუნების სიყვარული და თვალყურის დევნება.

ჩემს ბავშვობას განსაკუთრებით სამ ადამიანს ვუმადლი.

მამას — ჩვენი ცხოვრების თავკაცს, ვინც შეგვიქმნა ის პირობები, სადაც გავიზარდენით.

დედას — ვინც სიცოცხლეს ალამაზებდა ამ პირობებში ისე და იმგვარად, როგორც ხელეწიფებოდა...

და ჰანას — ჩვენს აღმზრდელ ინგლისელ ქალს. მან ექვსი წელიწადი იცხოვრა ჩვენს ოჯახში, მაგრამ რაოდენი სიყვარული, ზრუნვა და მტკიცე ზნეობრივი საფუძველი მოგვაგო!..

აი, ამ სამი ადამიანის გვერდით გაიარა ჩემმა ბავშვობამ — მათ წარუშლელი კვალი დატოვეს ჩემს მეხსიერებაში.

მეცხრე წელიწადში ვიყავი გადამდგარი, როცა ჰანა ჩვენი სახლიდან წავიდა და კიდეც დასრულდა ჩემი ბავშვობა და დასრულდა ის უღრუბლო ბედნიერება, აქამდე რომ მაცოცხლებდა.

ასე დაიწყო ჩემი ყრმობა. ყრმობის ამბავს სხვა წიგნში ვიამბობთ.

I

დავიბადე იასნაია პოლიანაში 1864 წლის 4 ოქტომბერს. ჩემს დაბადებამდე რამდენიმე დღით ადრე ნადირობისას მამაჩემი ხიფათს გადაყრია.

ახალგაზრდობაში მამას ძალიან უყვარდა ნადირობა, განსაკუთრებით — შემოდგომის პირზე მწევრებით ნადირობა კურდღლებსა და მელიებზე.

1864 წლის 26 სექტემბერს მამას თან წაუყვანია მთელი ხროვა მწევართა, შემჯდარა თავის ახალგაზრდა ფეხმარდ ფაშატზე, მაშკას რომ ეძახდნენ, და სანადიროდ წასულა. შორიახლოს მინდორში უცებ რუხი კურდღელი გამომხტარა. მამამ აუშვა მწევრები, ერთი შეუძახა და კურდღელს დადევნებია. ნადირობას შეუჩვეველი და ფიცხი მაშკა ქარის უსწრაფესად გასდევნებია ძაღლებსა და კურდღელს.

გზად ღრმა ღარტაფი დახვედრიათ. მაშკა თურმე ვერ გადაახტა ხრამს, წაიფორხილა და ორივე მუხლით დაეცა. მერე ველარ მოერია თავს და მთელი სიმძიმით გვერდზე გადავარდა, მამაჩემიც დავარდა ცხენთან ერთად. ხელი ცხენქვეშ მოუყვა და მთელი სიმძიმე ხელს დაუწვა. მამამ გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ მაშკა წამოხტა, თავისი მხედარი ღარტაფში დატოვა და შინისაკენ მოჰკურცხლა ხელის აუტანელი ტკივილისაგან განაწამები, თითქმის გონდაკარგული მამაჩემი ძლივს ამოფორთხებულა ვაკე ადგილზე.

რა ექნა? წასვლის ღონე არ ჰქონდა. შარაგზამდე, სადაც ვისიმე დახმარების იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა, ერთ ვერსამდე მაინც იქნებოდა.

ბოლოს ძალა მოიკრიბა და წალასლასდა.

შემდეგში გვიამბობდა, იმ დროს თითქმის უგონოდ მიდიოდა: ასე მეგონა, თითქოს ყოველივე ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდაო. თითქოს ოდესღაც, შორეულ წარსულში ცხენით მოდიოდა, ძალლებით ნადირობდა კურდღელზე და ცხენიდან გადმოვარდა... ეს იყო დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ.

რის ვაი-ვაგლახით გაიარა ერთი ვერსი და შარაგზას მიაღწია. იქ უკვე ძალამ უმტყუნა, თავი ცუდად იგრძნო და გზისპირას მიწაზე დაწვა.

ასე იწვა და ელოდებოდა მგზავრი ვინმე ჩამოივლისო.

ფორანმა ჩაიარა. შიგ გლეხები ისხდნენ. მამამ უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და გასძახა:

— შეჩერდით! მიშველეთ!

გლეხებმა ვინ იცის, ვერ გაიგონეს თუ არ ისურვეს შეჩერებულიყვნენ და გზა განაგრძეს.

მამა ისევ გზისპირზე იწვა. ბოლოს ერთმა ფეხით მიმავალმა გლეხმა შეიცნო.

— მამავ მშობელო! ეგ ხომ ჩვენი იასნოპოლიანელი გრაფია! — შესძახა მან, — ნეტავ რა დაემართა?

გლეხმა გააჩერა პირველივე ფორანი, ზედ დააწვინა მამაჩემი მეფორნის შემწეობით და იასნაია პოლიანაში გამოაგზავნა.

მამაჩემი საშინლად იტანჯებოდა.

— ძიაკაცო, — უთხრა მან გლეხს, — ბატონის სახლში კი ნუ წამიყვან, სოფელში ჩამიყვანე, ჩემს ქოხში.

თურმე ფიქრობდა, გაუფრთხილებლად რომ მისულიყო შინ ასე დასახიჩრებული, დედაჩემს ძალზე შეაშინებდა.

ამ დროისათვის კი იასნაია პოლიანას ბატონის სახლში სადილი უკვე გაეშალათ და ჩემი ახალგაზრდა ოცი წლის დედა, ელოდებოდა თავის მეუღლესა და მუსს გრაფინია მარია ნიკოლოზის ასულ ტოლსტაიას. იქ იყვნენ მისი მაზლი — გრაფი სერგეი ნიკოლოზის ძე ტოლსტოი და დედამისი ლიუბოვ ალექსანდრეს ასული ბერსი.

ისინი არ ჩანდნენ. წვნიანი კი გაცივდა.

— ეს ტოლსტოები მუდამ იგვიანებენ სადილად! — ბუზღუნებდა დედაჩემი.

სულში რაღაც შეშფოთება ჩადგომოდა. იგი უკვე შიშობდა, ჩემს მეუღლეს რაიმე უბედურება ხომ არ შეემთხვაო.

უცებ შემოვიდა მარია ნიკოლოზის ასული, იგი ლიუბოვ ალექსანდრეს ასულს რაღაცას უცნაურად ანიშნებდა და ჩურჩულით ეუბნებოდა.

შემდეგ ორივენი მეზობელ ოთახში გავიდნენ.

როცა უკან შემობრუნდა, ლიუბოვ ალექსანდრეს ასულმა რაღაც უცნაური, არაბუნებრივი ხმით დაიწყო ლაპარაკი, თითქოს ვრაგის არ მიმართავდა.

— არასოდეს არ უნდა შეშინდე. რაც არ უნდა შეგემთხვეს ცხოვრებაში, გონიერება უნდა შეინარჩუნო, შიში ვერას გიშველის...

მაგრამ დედამ აღარ დაამთავრებინა სათქმელი. იგი მიხვდა, რომ მისი ქმრის თავს რაღაც უბედურება ტრიალებდა.

— რა დაემართა ლევს? ჩქარა მითხარით, მოკვდა? — განწირულივით აყვირდა იგი.

როცა სიმართლე გაიგო, სასწრაფოდ ჩაიცვა და სოფელში გაიქცა.

მივიდა და ნახა, მისი მეუღლე ჯორკოზე იჯდა და საშინლად იტანჯებოდა. ქოხის პატრონ გლეხკაცს ეჭირა მისი მხრამდე გაშიშვლებული ხელი, ხოლო სოფლელი დედაკაცი უზელდა. იქვე იყვნენ აგაფია ნიხეილის ასული, უკვე ხანდაზმული ტოლსტოების ყოფილი ყმა ქალი და მამაჩემის დეიდა ტატიანა ალექსანდრეს ასული ერგოლსკაია. ქოხში ბავშვები ყვიროდნენ, ბნელოდა, კაცი სულს ვერ მოითქვამდა იმდენ ხალხს მოეყარა თავი.

— სასწრაფოდ ტულაში აფრინეთ ვინმე ექიმის ჩამოსაყვანად! — განკარგულება გასცა დედაჩემმა. მამა შინ ვადმოიყვანეს.

ტულადან ჩამოსული ექიმი შეეცადა ჩაეგდო ნაღრძობი ხელი. რვაჯერ ამოუტრიალა და გადაუბრუნა ხელი მამაჩემს, მაგრამ ვერაფერს გახდა, მხოლოდ უსაშველოდ გატანჯა. ბოლოს იძულებული გახდა გაწბილებული გაბრუნებულიყო უკან. მამამ ტანჯვის ღამე გაათენა. დედა წუთითაც არ მოსცილებია, მეორე დღეს უთენია ისევ აფრინეს კაცი ტულაში სხვა ექიმის ჩამოსაყვანად. ეს იყო ახალგაზრდა ქირურგი. მამას ქლოროფორმი გაუკეთეს და როგორც იქნა ჩაუგდეს ხელი. მაგრამ მაინც აციებდა და არც ტკივილი ცხრებოდა.

მამაჩემი ჯერ ისევ არ იყო რიგიანად გამოჯანსაღებული, როცა ამ ქვეყანაზე მე გავჩნდი.

ჩემს მშობლებს ვაჟიშვილი უკვე ჰყავდათ — წლინახევრის სერიოჟა და ქალის დაბადება გაუხარდათ. მომნათლა მამაჩემის მეგობარმა დიმიტრი ალექსის ძე დიაკოვმა, მეორე ნათლია კი იყო ჩემი დიდედა ლიუბოვ ალექსანრეს ასული ბერსი.

მამას უნდოდა ჩემთვის ტატიანა დაერქმიათ მისი აღმზრდელისა და საყვარელი დეიდის ტატიანა ალექსანდრეს ასული ერგოლსკაიას პატივსაცემად, დედაჩემს კი ჰყავდა უსაყვარლესი უმცროსი და ტატიანა და მასაც ახარებდა თავისი ქალიშვილისთვის საყვარელი დის სახელის დარქმევა.

მე ჯანსაღი, ძლიერი ბავშვი ვიყავი და ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე ვიზრდებოდი.

ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანები მეტისმეტად იყვნენ შეწუხებულნი იმ ამბით, რომ მამას ხელი ისევ სტკიოდა. იგი თავისუფლად ვერ ამოძრავებდა ხელს და შიშობდა, ვაითუ მთელი სიცოცხლე ხეიბარი დავრჩეო.

ღამეები არ ეძინა და ერთგული მოხუცი აგაფია მიხეილის ასული ექვსი კვირის განმავლობაში ყოველ ღამე თან დაჰყვებოდა, მხოლოდ ზოგჯერ თუ ჩათვლემდა სავარძელში ჩამჯდარი.

მამაჩემი თავისუფლად ვერ იმორჩილებდა ხელს და მაშინ მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ იგი უსათუოდ უნდა წასულიყო მოსკოვში და იქ მოთათბირებოდა კარგ ქირურგს. ბოლოს და ბოლოს ნათელი გახდა, რომ ხელი არასწორად უხორცდებოდა.

მოსკოვში მამა ბინად დედაჩემის მშობლებთან შეჩერდა კრემლში. ბაბუაჩემი სასახლის კარის ექიმი იყო და ოჯახითურთ კრემლის ერთ-ერთ შენობაში ცხოვრობდა.

იმ წერილებიდან, რომლებსაც მამაჩემი უგზავნიდა დედას, ჩანს, რომ იგი უამრავ ექიმთან იყო და ყველამ სხვადასხვა რჩევა-დარიგება მისცა.

ბევრნი ურჩევდნენ არამც და არამც ხელი თავიდან არ გადაიტეხო, მხოლოდ ივარჯიშე და ჰპირდებოდნენ, რომ დროთა განმავლობაში ხელი თანდათან უფრო და უფრო სწორად ამოძრავდებაო. სხვები დაჟინებით ამბობდნენ, ხელი თავიდან უნდა გადატყდეს, და შემდეგ სწორად ჩაისვასო.

თავდაპირველად მამამ სცადა პირველი ექიმების რჩევისათვის ეგდო ყური, ამავე აზრისა გახლდათ ბაბუაჩემი ბერსიც, და მამაც დიდის გულმოდგინებით ვარჯიშობდა, მაგრამ მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა. ისეთი ჯანსაღი, ძლიერი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ადამიანისათვის, როგორიც მამაჩემი იყო, მეტად სავალალო იყო მარჯვენა ხელის მოძრაობის უნარის დაკარგვა. და ბოლოს და ბოლოს ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა.

ისევ გადაუმტვრიეს ხელი, ისევ ჩაუგდეს და სახვევი დაადეს.

ოპერაცია კარგად ჩატარდა. მამამ მოსკოვში კიდევ დაჰყო ცოტა ხანი ვიდრე შეხვევები სჭირდებოდა.

მან ისარგებლა ამ შემთხვევით, რაკი მოსკოვში უნდა შეჩერებულიყო და თავისი დიდი რომანისა „ომისა და მშვიდობის" ბეჭდვის საქმეს მოჰკიდა ხელი.

მხოლოდ დეკემბერში დაუბრუნდა იგი თავის ოჯახს იასნაია პოლიანაში.

მე უკვე მეხუთე თვეში ვიყავი გადამდგარი. დედაჩემი მთელი თავისი არსებით ოჯახის საქმეებში იყო ჩაფლული. იმ ხანებში მას სხვა არაფერი აინტერესებდა ცხოვრებაში, გარდა თავისი ქმრისა და შვილებისა და გულით სურდა, რომ ყველა მის საყვარელ ადამიანს ერთმანეთი ჰყვარებოდა. მამაჩემი კი არასდროს ყოფილა ალერსიანი ძალიან ბატარების მიმართ, თანაც იმხანად მათთვის არც ეცალა: ახლახან გადაიტანა მძიმე ოპერაცია და არც იყო სავსებით დარწმუნებული, რომ ამიერიდან მაინც თავისუფლად დაიმორჩილებდა საკუთარ მარჯვენას. ეს ამბავი მას მეტისმეტად ადარდებდა.

ესეც არ იყოს, სხვა საზრუნავიც ჰქონდა. მეორე დიდი თხზულე-

ბა ჰქონდა ჩაფიქრებული, ამისთვის კი საჭირო იყო ბევრი ეკითხა, ბევრი რამ გაეგო, და ბევრი რამ გადაეხარშა გონებაში, ეფიქრა.

ამიტომაც სად ჰქონდა იმისი თავი, დაინტერესებულიყო, იცინოდა თუ არ იცინოდა მისი პაწია გოგონა, ისწავლა თუ არ ისწავლა ნივთის დაჭერა თავის პაწაწა ვარდისფერ თათუნებში, ან [illegible] ვერა თავის დედასა და გადიას.

დედას კი გული წყდებოდა.

„ტანიას ზედაც არ უყურებს, — სწერდა იგი თავის დას ტატიანა ანდრეის ასულს, — მწყინს და ეს ამბავი ცოტა უცნაურიც მეჩვენება. ის კი, იცი, როგორი საყვარელი, კარგი, მშვიდი და ჯანიანი გოგონაა?! საცაა ხუთი თვისა გახდება, საცაა კბილიც ამოჭრის, ჯერ ფორთხვას დაიწყებს, მერე ატიტინდება, გაივლის. და ასე შეუმჩნევლად გაიზრდება იგი. ტანია, გეთაყვა, ყურადღებას ნუ მოაკლებ და შეიყვარე. თვალები, თუ არ ვცდები, შავი აქვს, მაგრამ ჯერ მაინც ძნელია ფერის დადგენა. მხოლოდ ძალიან ნათელი, მხიარული და დიდი თვალები აქვს.

მაგრამ უკვე ერთი წლის შემდეგ დედა სულ სხვა ამბავს აუწყებდა თავის დას:

„ტანიუშა სულ ყვირის „დაგამარჯობათ“ (გამარჯობათ) და ისწავლა „ჟიოჟას“ (სერიოჟას) თქმა. ლევი პირდაპირ ჭკუას ჰკარგავს მის გამო.

მეორე წერილში იგი წერს: „რომ დაგანახა, ჩემო კარგო ტანია, რა სასაცილო გოგონაა ტანიუშა. ლაპარაკობს, რა თქმა უნდა თავისებურად, მაგრამ პირწმინდად ყველაფერს. ხტუნვა-ხტუნვით დარბის, თითქოს ცეკვავსო, გეგონება ვინმეს ესწავლებინოს. კიბეზე მარტო დაიარება და მამამისთან მეტისმეტად მეგობრობს“.

2

როგორც კი წამოვიზარდენით, მამას უნდოდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, სადად გვეცხოვრა. თავად ხომ მუდამ გემოვნებითაც და მომთხოვნელობითაც მეტისმეტად თავმდაბალი გახლდათ.

დედა გვიამბობდა, რომ ქორწინებამდე, თურმე მამაჩემი ტყავის ისარჩულო უმითელო ბალიშზე იძინებდა და იასნაია პოლიანას სახლის მთელი ავლადიდება საკმაოდ ღარიბული იყო.

მამა წინააღმდეგი ყოფილა ყოველგვარი ძვირფასი სათამაშოებისა და ჩვენი ბავშვობის პირველ ხანებში თურმე დედაჩემი თვითონ გვიკეთებდა ათასგვარ სათამაშოს. ერთხელ თოჯინა-ზანგი გაგვიკეთა, ეს თოჯინა ჩვენ ძალიან გვიყვარდა. თოჯინა მთლიანად შავი ყალამქრისაგან იყო ნაკეთები, თვალის თეთრი გარსი — თეთრი ტილოსი, თმა — შავი კრაველისა, ხოლო წითელი ტუჩები — წითელი თივთიკის ნაჭრისა ჰქონდა.

მამას მუდამ ნაცრისფერი თივთიკის ხალათი ეცვა, ევროპულ ტანსაცმელს მხოლოდ მაშინ იცვამდა, როცა მოსკოვს მიემგზავრებოდა. მეცა და ბიჭებსაც—ჩემს ძმებს, მამა გვთხოვდა ასეთივე ხალათი გვეტარებინა.

მაგრამ ნელინელა დედამ თავისი წესრიგი შემოიტანა ოჯახში. ჯერ მამას ნებართვა გამოთხოვა საშობაოდ ბავშვებს ნაძვის ხეს გავუმართავო. „სერიოჟას მხოლოდ ერთ ცხენუკას ვაჩუქებ, სთხოვდა იგი, ტანიას კი მხოლოდ ერთ თოჯინას“.

შემდგომ ნაძვის ხეზე ცოტცოტაობით იმატა საჩუქრების რიცხვმა და ნაცრისფერი პერანგიც უფრო მრავალფეროვანმა და ფერადებულმა კაბებმა შეცვალა. და ასე წარიმართა ჩვენი ცხოვრება ჩვენი წრის ყველა მემამულის ცხოვრების მსგავსად...

დიდი დღესასწაულების წინ ჩვენსა ჩვეულებისამებრ მოდიოდა მღვდელი და დეიდა ტატიანა ალექსანდრეს ასულთან, მწუხრის ლოცვას ასრულებდა. დეიდას კმაყოფაზე მყოფი ქალი სანთელს ანთებდა მისი ორი სახატის წინ. ხატების ვერცხლისფერი შეჭედილობანი, საგანგებოდ გაწმენდილი სადღესასწაულოდ, ნათლად ელვარებდა, თაფლის სანთლის ცეცხლის ალს ირეკლავდა და ბებერი მოსამსახურე ქალი აქსინია მაქსიმეს ასული ფეხაკრეფით მიმოდიოდა ოთახში, დროდადრო ხელს შეაცლებდა კანდელსა და სანთლებს და პირჯვარს გადაიწერდა. ოთახებში სინესტე იგრძნობოდა ახლახან მორეცხილი იატაკის გამო და პიტნისა და ბურახის სუნი იდგა, რომელსაც იატაკის მორეცხვის შემდეგ ყოველთვის ახრჩოლებდნენ ჩვენს დერეფნებსა და კიბეებზე.

ეს ასე კეთდებოდა. სპილენძის ტაშტში დებდნენ გავარვარებულ წითელ აგურს და ზედ გამხმარ პიტნას. შემდეგ აგურზე ბურახს მოასხამდნენ. ბურახი შიშინით ორთქლდებოდა და ირგვლივ პიტნისა და ძირტკბილას სურნელს აფრქვევდა.

ჩვენს სახლში ცხოვრობდნენ სხვადასხვა ჯურის უცნაური ადამიანები.

კარგა დიდხანს ცხოვრობდა ბერი ვოეიკოვი. იგი გახლდათ მამაჩემისა და მისი და-ძმების მეურვის ძმა. ვოეიკოვი ბერ-მონაზვნის სამოსელს ატარებდა, რაც ფრიად არ ეხამებოდა მის ტრფიალს ღვინისადმი.

კიდევ ერთი ჯუჯა ცხოვრობდა. მას შეშის დაჩეხვა ეევალებოდა, მაგრამ ამასთანავე მუდამ მთავარი როლი ეკისრებოდა სხვადასხვა გასართობებსა და მასკარადებში, იასნაია პოლიანაში რომ იმართებოდა.

ცხოვრობდა უცნაური დედაბერი მარია გერასიმეს ასული, მამაკაცის ტანსაცმელს რომ არ იცილებდა. იგი მამიდაჩემის მარია ნიკოლოზის ასულის ნათლია იყო.

მიამბეს, რომ დიდედაჩემი, რაკი სულ ვაჟები ჰყავდა, ნაბოლარა ვაჟიშვილის ლევის — მამაჩემის დაბადების შემდეგ თურმე ერთთავად სულ ქალიშვილზე ოცნებობდა. მან ღმერთს აღუთქვა, თუ ასული შემეძინება, იმ დედაკაცს მოვანათვლინებ, ვინც შარაგზაზე პირველი შემხვდებაო.

მალე მართლაც შესძენია ასული. გაგზავნეს ხალხი შარაგზაზე მგზავრთა დასახვედრად. პირველი ადამიანი შარაგზაზე ვინც ნახეს, ეს იყო ღვთისგლახა, ბიჭურად გადაცმული დედაკაცი.

სწორედ ეს ქალი გახლდათ მარია გერასიმეს ასული. მან მონათლა მამიდაჩემი მარია ნიკოლოზის ასული.

ამის შემდეგ დიდედაჩემმა მარია გერასიმეს ასული ტულის მონასტერში განამწესა, საიდანაც ხშირად დაიარებოდა იასნაია პოლიანაში.

მოვიდა ერთხელ მარია გერასიმეს ასული ტულიდან და ამბავი მოგვიტანა ტულაში ყველანი ასე ლაპარაკობენ, თითქოს ზეფირიდან (ზეციდან) რალაცნაირი არსებანი მოფრენილან, ცხოველები თუ ფრინველები, კარგად არ იციანო, „ზეფიროტებს" ეძახიანო.

მალე საზღვარგარეთიდან ჩემი ბიძაშვილები, ორი ახალგაზრდა ქალიშვილი ვარია და ლიზა ტოლსტოვები ჩამოვიდნენ დედასთან ერთად.

— აი, ესენი არიან ზეფიროტები, — თქვა მამამ. იმ დღიდან მოკიდებული ხუმრობით ყველანი ზეფიროტებს ეძახდნენ.

შობის დღეებში იასნაია პოლიანაში მოდიოდნენ ნილაბაფარებული შინაყმები. სოფლიდანაც და მაშინვე ავარდებოდა სახლში კაკამლი სასწორის ულელივით. აი, როგორ აღწერს ამ მასკარადებს დედაჩემი თავისი დისადმი მიწერილ წერილებში.

1865 წლის იანვარი.

„დილიდანვე ვემზადებოდით, ვაკეთებდით ნილბებს, გვირგვინებს, ქუდებს და ათას სხვა რამეს. საქმის გაძღოლა დავავალეთ არინა ფროლკოვას — ყმა ქალს! — ხომ გახსოვს როგორი მხიარული ქალია, — და საღამოს მოგვაწყდნენ შინაყმები, ჩვენები ასე იყვნენ მორთულნი: ვარენკა ფრანგული ზუავით: წითელი ქურთუკი, წითელი ბოკლე შარვალი, თავზე ფოჩიანი წითელიდან ქუდი ეხურა. ყოველივე ეს მთელი დღე ვაკერეთ. მისი მეწყვილეა სერიოჟა. მარკიტანი ქალის სამოსელში, შემდეგ ლიზა და დუშკა. ლიზა მარკიზია, დუშკა — კი მარკიზის ქალი, ორთავეს თმა გაპუდრული და დახვეული ჰქონდა, წინდები და მაშიები ეცვათ, სამკუთხა ქუდები იღლიაში ამოეჩარათ, რაღაც არაჩვეულებრივად კარგები იყვნენ: მათ მოჰყვებოდნენ გრიშა — ასე ვთქვათ მასხარასავით გამოწყობილი, კუზიანი, და მისი ცოლი ანა, გერმანელი, ისიც მასხარასავით მორთული! ხოლო ყველაზე წინ მოდიოდა ჩემმიერ დაქირავებული ჯუჯა, ნამცეცა, ჩვენი მზარეულის ასულთან — მაშკასთან ერთად. ისინი იყვნენ ველური მეფეები, თავზე ოქროსფერი და ვერცხლისფერი გვირგვინები ედგათ, ხელზე ოქროსა და ვერცხლის სამაჯურები ეკეთათ, ფეხები ჭვარტლში ამოეგანგლათ, ხელთ უზარმაზარი ჯოხები ეჭირათ. მაშენკასა და დეიდას შარდსაცვამ გაკეთებული წითელი მანტიები მოესხათ. დეიდამ ჩვენი მასკარადების გულისათვის გაგვიხსნა ყველა თავისი საიდუმლო განჯინისა და სკივრის კარი.

შინაყმები და გლეხის ქალები, ვისაც როგორ შეეძლო ისე მორთულ-მოკაზმულიყო. მაგრამ ეს იყო ისეთი გულისწამოები, ისეთი მხიარულება, გადმოცემაც არ შეიძლება. სერიოჟამ, საღამო ხანს რომ ჩამოვიდა, ვერავინ შეიცნო და გულის წასვლამდე ხარხარებდა. რა დღეში იყო ეს ჯუჯა — სეირი უკეთესი არ ვინდა. იგი დეიდას ძმისწულთან მასხარად იყო და მართლაც რომ ნამდვილი მასხარა. შინაყმებს ვაშლებით, თაფლის პურით და ჩაით გავუმასპინძლდით, ხილეულზე დაყენებული არაყი ვასვით, ყველანი მეტისმეტად მხიარულნი და კმა-

ყოფილნი იყვნენ. ხოლო „ზეფიროტები“ გრიშასთან ერთად სიხარულით ცას ეწივნენ. ვარენკა ისე ალეგზნო, რომ როცა ფერხული გაიმართა და სიმღერა წამოიწყეს, იგი ერთ ადგილას ვეღარ ჩერდებოდა, ხტოდა და ისე უბრწყინავდა თვალები, თითქოს ამ ქვეყნად ამაზე დიდი ნეტარება არც არსებულიყო.

შემდგომ, საღამოს, როცა ყველანი დამშვიდდნენ, უცებ სერიოჟა აყვირდა, ყველაფერი ისე კარგი იყო, თავიდან უნდა გავიმეოროთო. მეორე დღესვე უნდოდათ გამეორება, მაგრამ როგორც იქნა დავიყოლიე, ჯერ გონს მოსულიყვნენ; გადავწყვიტეთ, რომ უბრწყინვალესი მეჯლისი და მასკარადი გაიმართებოდა ნათლისღებას, ღვეზელებით, ცერცვით, ნიღბებით; სერიოჟამ თავის თავზე აიღო თავისიანების მორთვა-მოკაზმვისა და ჩამოყვანის საქმე. ისეთი ფაციფუცი შეიქნა, რომ მთელი სახლი თავდაყირა დადგა.

მე და ლევმა საშეფო ტახტი მოვაწყეთ. სასადილოს დიდ მაგიდაზე დავდგით ორი სავარძელი, ოქროს ორთავიანი არწივებით, ყველაფერი — კედლებიც, მაგიდებიც და საფეხურები მწვანე მაუდით მოვრთეთ, მაღლიდან წითელყვავილებიანი თეთრი საბანი ჩამოვუშვით, დავაწყეთ გვირგვინები და ორდენები, ყვავილები, და დაფნისა და თურინჯის ხეები — ღმერთმანი, ბრწყინვალეა. ასე გავაწყვეთ სასტუმრო ოთახში შუშის კარის წინ. ზედმეტი ავეჯი გავიტანეთ, რომ სიხალვათე ყოფილიყო. ვარია პაჟივით გამოვაწყვეთ, დალალები, შავი ხავერდის ქუდი ჟოლოსფერი ფრთითა და ოქროსფერი არშიით, თეთრი ქურთუკი, ჟოლოსფერი ჟილეტი, თეთრი მოკლე შარვალი, და ჩექმები ჟოლოსფერი გადანაკეცებით. ისეთი კარგი იყო, სასწაული გეგონებოდა. ლიზას, ალჟირში რომ იცვამენ ისე ეცვა: იმდენი რამ შემოეხვია ტანზე, რომ ყველაფერი აღარ მაგონდება. დუშკა ლევმა მოხუცი მაიორივით გამოაწყო, ისე კარგად, ღმერთმანი, სასწაულია! სერიოჟკა — კი მაიორის ცოლივით. დღიური მუშა კი ვითომ ძიძაა, ციყვუნია — ვასკა კი ჩვრებში გამოვხვიეთ და ხელში დავაჭერინეთ. შემდეგ ორი ჯაცი გამოვყავით, აქაოდა ცხენები არიანო და ზედ დუშკა შევასკუპეთ.

ჩვენები ყველანი უკვე ჩაცმულნი იყვნენ — მეშვიდე საათი დაიწყო სერიოჟა კი არ ჩანდა. ლამის სასოწარკვეთილებას უნდა მივცემულიყავით, რომ უცებ ზანზალაკების ხმა გავიგონეთ და შემოვარდა სერიოჟა თავისი ამალით, სკივრითა და ათასი რამერუმეთი. ისინი ჩემს საძინებელ ოთახში შეიყვანეს, რომ გადაეცვათ ტანსაცმელი, ლევი თავისიანებს კაბინეტში რთავდა, მაშენკა კი დეიდას ოთახში. მე უნდა მეზრუნა განათება-გამასპინძლებასა და უმთავრესად ბავშვებზე. შემდეგ ჩამოვიდნენ მუსიკოსები — ვიოლინო და ტრომბონი, უზარმაზარი, ძალიან ელერადი მრგვალი გიტარა გეგონებოდა. გრიშა არლეკინოსავით იყო გამოწყობილი, სპილენძის თეფშებით, ერთიანად ჟღარუნებში, შემდეგ ორი ბიჭუნა პიერო — ორი ბაბურინელი ბრანდტი, შემდეგ მისი მოსამსახურე ქალი და მეჯინიბის ცოლი — ბატონი და ქალბატონი, შემდეგ ბიჭუნა — პაწია მწყემსი, ყველაფერი ეს — ეჟვნებითა,

სმაურით, სატკაცუნებით, თეფშებით — წინ, ხოლო უკან ჩინებულად გაკეთებული უზარმაზარი გოლიათი, თითქმის ჭერს რომ უწვდენდა თავს. ეს ვითომ გოლიათი კელერს ეჭირა, აქეთ-იქით რომ ახტუნავებდა და აცეკვებდა. შოაბეჭდილება ისეთი იყო, რომ გადმოცემაც არ შეიძლია. მოვარდა ზღვა შინაყმებისა, გერმანელებიც ... ცმული არიან, დაიწყეს ღვეზელების ჭამა. პარკი ბრანდტს შეხვდა ... ვარენკა აირჩია, ისინი ტახტზე დასვეს, და შემდეგ ისე აირ-დაირია ყველაფერი, რომ გადმოცემაც არ ძალიძს. სიმღერები, ცეკვები, თამაში, მოშტებით ჩხუბი, სატკაცუნები, ჩალიჩი, ფერხული, გამასპინძლება და ბოლოს ბენგალიური ცეცხლი, რისგანაც მთელი ღამე და მეორე დღესაც ხუყველას თავი სტკიოდა და გული ერეოდა.

მე უმეტესწილად ქვევით ვიჯექი ბავშვებთან...

მეორე დღეს ყველანი ჩვენსა დარჩნენ. ორი ეტლით სასეირნოდ წავედით, აღგზნებულნი ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ ვის გაუსწრებდა. საღამოს ბავშვებმა ათასგვარი თამაშობა მოიგონეს. და მხოლოდ მესამე დღეს მოემზადნენ შინ წასასვლელად... გავაცილეთ მე, ლევმა და სერიოჟკა-უმცროსმა. მაგრამ გავედით თუ არა ველზე, ისეთი ქარი ამოვარდა, რომ ყველანი უკან გამობრუნდნენ. ვისადილეთ, სერიოჟა გვიან გაემგზავრა. მაშენკა და გოგონები პიროგოვოში წავიდნენ.

ამ მასკარადებში ჩვენ, ბავშვები, რასაკვირველია, არ ვმონაწილეობდით და საიდან უნდა მხსომებოდა.

ბევრი რამ, რაც აქამდე დავწერე, შემდგომ შევიტყვე ჩემი მშობლებისა თუ სხვა ახლობელი ადამიანებისაგან, ბევრიც სხვადასხვა წერილში ამოვიკითხე.

3

ჩემი თავი ძალიან ადრეული ასაკიდან მახსოვს. მაგრამ ხშირად ის, რაც მახსოვს იმ დროისა, ლამის ძუძუმწოვარა რომ ვიყავი, ჩემს გონებაში ენასკვება იმას, რაც ახლობლებმა მიამბეს, ასევე უცხო ხალხის მოგონებებსაც.

მამაჩემი თავის „პირველ მოგონებებში" წერს, რომ მას საკუთარი თავი ახსოვს არტახებში გაკრული, ახსოვს როგორ იტანჯებოდა თავისი უმწეობით, როგორ უნდოდა ხელები ამოეღო არტახებიდან, მაგრამ აბა რას გახდებოდა.

როცა ამ ადგილს ვკითხულობ, ყოველთვის მგონია, რომ მეც მახსოვს ჩემი თავი ამ ყოფაში — მახსოვს არტახებში მჭიდროდ გაკრული რომ ვიყავი, გაშეშებული თოჯინასავით, რომელსაც იღებენ, თავქვეშ ხელს ამოუდებენ, რადგან ერთადერთი ნაწილი სხეულისა, გადახრა რომ შეუძლია, კისერია და რაღაც უხეშ, მაგარ საგანზე დებენ.

მაგრამ შესაძლებელია, ეს ყოველივე კი არ მახსოვს, არამედ ასეთი შთაბეჭდილება მრჩება და იმის გამო, რომ თვითონ ბევრს ვგადიობდი ჩემს მრავალრიცხოვან უმცროს ძმებსა და დებს, ხშირად თვითონ ვკრავდი მათ არტახებში და ვუნანავებდი.

ყველაზე პირველი, ვინაც ნათლად მახსოვს და თანაც ნამდვილად — ეს გახლავთ ჩემი გადია მარია ათანასეს ასული არბუზოვა. მახსოვს მისი კეთილი, მრგვალი, ნაოჭებიანი პირისახე, სადად გადაგარცხნილ თმაზე შავი აბრეშუმის არახლინი, ყელზე მოხვეული თეთრი თავსაფარი და სახსარში გადაჭრილი მაინჯი სალოკი თითი.

სალამოს, ძილის წინ, მე და გადია საბავშვო ოთახის კუთხეში ვსხედვართ, არყის ხის ყვითელ ოთხკუთხა მაგიდასთან. მუხლებზე ვუზიეარ, და იგი კოვზით მაჭმევს გემრიელსა და სურნელოვან რძიან უგრეხელის ფაფას. ის ფაფა და ის რძე ბევრად უფრო სურნელოვანი და გემრიელია, ვიდრე ახლა მეჩვენება — თითქოს სხვა ფაფა და სხვა რძე ყოფილიყო. ხოლო როცა გადია სამზარეულოში ვერ ნახულობს უგრეხელის ფაფას, მაშინ რძეში გვიფშხვნის ჭვავის პურს და გვაჭმევს ამ უბრალო მეჭამადს. და ეს მეჭამადიც ფაფასავით გემრიელია, ვგონებ უკეთესიც. ალბათ ჩემთან ერთად მიირთმევდა ფაფას ჩემი ორი ძმაც, ჩემთან ერთად რომ იზრდებოდნენ, მაგრამ ისინი ამ ყოფაში არ მახსოვს.

ბავშვის გუმანით ვგრძნობ, რომ გადია საკუთარი სურვილით გვაჭმევს, მშობლებს არ დაურთავთ ამის ნება, თვითონ მოიგონა, რადგან ჰგონია, რომ საკმარისად მაძღარნი არა ვართ.

ჩემი შემდეგი მოგონება გახლავთ მოსკოვს გამგზავრება მომაკვდავი პაპის სანახავად.

ეს გამგზავრება პირველია ჩვენთვის, ბავშვებისათვის.

სერპუხოვომდე ცხენებით ვიმგზავრეთ, რადგან იმ ხანებში სარკინიგზო გზა მოსკოვისაკენ სერპუხოვოდან იწყებოდა. იასნაია პოლიანადან სერპუხოვომდე ასიოდე ვერსი იქნება, რომელიც მარხილიანი დახურული ეკიპაჟით უნდა გაგვევლო.

ჩვენ, ბავშვები, გადიასთან ერთად დახუთულ საზიდარში ვსხედვართ, მშობლები კი — მარხილზე.

სამწლიანახევრის სერიოჟა ჩემ გვერდით ზის და თავის მეგობარ, სოფლელ ბიჭუნა ნიკოლკაზე წუსს. იასნაია პოლიანაში იგი იყო სერიოჟას ამხანაგი თამაშების დროს და სერიოჟაც მოითხოვს, „კოპკა", — ასე ეძახის იგი ნიკოლკას, ჩვენთან ერთად წამოვიდესო. რომ დაემშვიდებინათ, უთხრეს, კოპკა უკან მარხილით მოდისო. ისიც დამშვიდდა, მაგრამ ზოგჯერ, თითქოს უნდა თავი დაირწმუნოს, ნაღდად მარხილით მოდისო, ღიმილით იმეორებს: „კოპკა უკან არის მარხილში... კოპკა უკან არის მარხილში".

ბუნდოვნად მახსოვს სერპუხოვოს სასტუმრო. საზიდარში ხანგრძლივი ჯდომისაგან დაღლილმა, რაკი თავისუფლება ვიგრძენი, ისე გაშმაგებით დავიწყე დერეფანში სირბილი, რომ ვერავინ დამიჭირა და ვერ მაიძულა გავჩერებულიყავ. საწოლი იატაკზე გაგვიშალეს, რამაც ძალზე გამამხიარულა.

მოსკოვში მახსოვს ჩემი დამბლადაცემული პაპა ანდრეი ევსტაფის ძე ბერსი.

მახსოვს, რა შეშინებული და შემცბარი შემიყვანეს მის კაბინეტში — კრემლში.

გრძელი და ვიწრო ოთახის ბოლოში საწოლზე წევს პაპა, ახოვანი ბერიკაცი. ჭაღარა წვერი და ლია ცისფერი თვალები აქვს. უნდა მიჩვენოს, რომ მარცხენა ხელი წართმეული აქვს და ხელს მარჯვენა ხელის დახმარებით სწევს მაღლა. მარცხენა ხელი უსიცოცხლოდ და უმწეოა. ყურადღებით მივჩერებივარ. მაგრამ თან კიდეც [illegible] ამის ხილვა.

იქვე დგას დიდედა — ლამაზი, მაღალი ქალი, მშვიდი და კეთილშობილური მიხვრა-მოხვრა რომ აქვს. იგი ჩემი ნათლიაა და მეც გამორჩეულად მიყვარს.

4

ჩემს მეხსიერებას არ შემოუნახავს არც მოსკოვში ცხოვრებისა და არც უკან დაბრუნების ამბები. ჩემი მოგონებები მხოლოდ იასნაია პოლიანას ყოფიდან ამოტივტივდებიან.

უკვე ჩვენი გამზრდელი მარია ათანასეს ასული კი აღარ არის, არამედ ინგლისელი ქალი ჰანა[1]. მამაჩემმა იგი პირდაპირ ინგლისიდან გამოიწერა სამი ბავშვის — უფროსი შვილების აღმზრდელად. მისი აზრით, ყველაზე უკეთესი ლიტერატურა, განსაკუთრებით საბავშვო — ეს არის ინგლისური ლიტერატურა. სურდა, ინგლისური გვესწავლა და ეს წიგნები ორიგინალში წაგვეკითხა.

ჰანა იასნაია პოლიანაში მისმა დამ ჯენიმ ჩამოიყვანა, რომელიც ჩვენი ნაცნობი თავადის, ლვოვების, ოჯახში ცხოვრობდა და გუვერნიორობდა. ორივე და მაშინ ჩამოვიდა, როცა მამა მოსკოვს იყო, ხოლო დედა, რომელმაც თითქმის არ იცოდა ინგლისური ენა, ფრიად შეაცბუნა ამ მოულოდნელმა სტუმრობამ.

„წარმოიდგინე, — სწერს იგი მამას 1866 წლის 12 ნოემბერს, — რომ დღეს სადილობამდე უცაბედად გამომეცხადა ლვოვების წოწოლა ინგლისელი ქალი თავის დასთან — ჩვენს ინგლისელთან ერთად. რომ იცოდე, რა ცეცხლში ჩავვარდი, გონება მოლად ამერია და მღელვარებისაგან თავი ახლაც მტკივა. არ ვიცი, ყოველივე როგორ გადმოგცე? სწორედ ისეთია, როგორსაც ველოდი. ძალზე ახალგაზრდაა, საკმაოდ მომხიბვლელი, სასიამოვნო პირისახე აქვს, ის კი არადა — ძალზე კარგიც არის, მაგრამ ეს ორმხრივი უცოდინარობა ენისა — საშინელებაა. ამჟამად მისი და ჩვენსა ათევს ღამეს, რადგანაც თარჯიმნობას გვიწევს, მაგრამ მერე რა იქნება — ღმერთმა უწყის. მთლად დამებნა თავგზა, განსაკუთრებით შენ რომ არა ხარ, იმიტომ, ჩემო ძვირფასო მეგობარო“...

პირველ ხანებში ჩვენ ისევ ბავშვთა ოთახში ვიყავით ჩვენს მოხუც გადიასთან ერთად. ჰანა მარტო იძინებდა და მხოლოდ დღისით მივყავდით თავისთან.

დედა მეუბნებოდა, ჰანას არც ისე მალე შევეჩვიეთო. გამიძნელდა ჩემი მოხუცი გადიას დატოვება, თუმცა ვცდილობდი, რომ ჰანასაც მოვწონებოდი.

---

1. ჰანა ტარსეი.

დედა წერს მამაჩემს: „ბავშვები გაიწაფნენ. ტანია ხელში ჰყავდა აყვანილი, სურათებს ათვალიერებდა, თვითონ კი რაღაცას ეამბობდა“... მაგრამ შემდეგ საღამოს ბავშვთა ოთახში გადიასთან მივედი და ვერაგულად გამოვაჯავრე ჰანას, წარმოვადგინე როგორ ლაპარაკობდა „ინგლისელი“, როგორც მე ვეძახდი. მარია ათანასეს-ასული ყარხარებდა და ვხედავდი როგორ მოსწონდა ჩემი ქილიკობა.

„ტანიუშას არ სურს, რომ ასე სწრაფად და იოლად ჩაუვარდეს ხელში უცხოს, — წერს დედაჩემი მამას ჰანას ჩამოსვლიდან ორი დღის შემდეგ, — იგი სულ ეჩხუბება და საკმარისია წავიდე, რომ მესმის, ტანია ტირის, შემდეგ მომვარდება და შემომჩივლებს: „ინგლისელი ქალი მაბრაზებს...“

სიხამდვილეში კი კეთილ ჰანას ფიქრადაც არ გაუვლია ჩემი წყენინება. მე მღლიდა იძულებითი ძალდატანება, რომ მისთვის გამეგო მასთან ყოფნა მიმძიმდა და თან მწყინდებოდა. რადგან ასე ვიღლებოდი, მე მას ვაბრაზებდი და ამიტომაც ვუჩიოდი. გადიაც მეტისმეტად დარდობდა ჩვენზე.

„შენ რომ იცოდე, — წერს დედა მამაჩემს იმავ წერილში, — როგორ დარდობს მოხუცი გადია, მებრალება და გული მტკივა, რომ ბავშვები მოვაშორე. იგი ამბობს: „თითქოს რაღაც დავკარგე, ისეთი დარდი მაწევს გულზეო“.

მაგრამ ცოტცოტაობით შევეჩვიეთ, და მე, რაკი მუდამ ერთი სურვილი მამოძრავებდა — ყოველთვის და ყველას მოვწონებოდი, თავდაპირველად ვცდილობდი მისი გულის მოგებას, შემდეგ კი გულითადად შევიყვარე.

მამისადმი მიწერილ ერთ წერილში დედაჩემი აღწერს, როგორის მონდომებით ვიმეორებდი მთელი დღის განმავლობაში ინგლისურ სიტყვებს, ჰანა რომ მასწავლიდა და როგორი კმაყოფილი იყო ჰანა. მერე კი ისე გამიტაცა ამ განმეორების სურვილმა, რომ უკვე რუსულ სიტყვებსაც ვიმეორებდი, დედაჩემი რომ ამბობდა. მაგრამ საღამოხანისთვის მომბეზრდა ეს საქმიანობა და ისევ მოვინდომე ჩამომეშორებინა „ინგლისელი“.

დედაჩემი ძალზე ცდილობდა გაერთო ჰანა და გაელამაზებინა მისთვის იასნაია პოლიანაში ცხოვრება. ეს მან სავსებით შესძლო.

ჰანას ჩამოსვლიდან უკვე რამდენიმე დღის შემდეგ დედამ ბავშვები და ჰანა მარხილით წაგვიყვანა სასეირნოდ და ამ სეირნობას ასე აღწერს მამას:

„სითბო იყო... ჰანა იმდენად ბედნიერი იყო, რომ ხტოდა მარხილზე და იძახდა: ჩვენთვის გაუგებრად ალბათ, ეს ნიშნავს, რომ კარგია, და იქვე მარხილში აგვიხსნა, რომ ძალიან ვუყვარვართ მეც და ბავშვებიც, რომ ქალიყანა კარგია და რომ იგი ძალზე ბედნიერია.

5

ჰანა და მისი და ჯენი, ვინაც ჩამოიყვანა ჰანა იასნაია პოლიანაში ლონდონის ვინძორის სახლის მებალის ასულები იყვნენ.

ისინი კარგი, ღირსეული ქალიშვილები იყვნენ, შრომისმოყვარენი, წიგნიერნი, კარგად იცოდნენ თავისი ენა და არათუ არ გაურბოდნენ და არ ერცხვინებოდათ არავითარი სამუშაო, არამედ თვლიდნენ, რომ ბედნიერებისათვის შრომა აუცილებელი პირობაა.

როდესაც ჰანამ თავისი სამშობლო დატოვა და შორეულ მისთვის უცხო რუსეთში გამოემგზავრა, იგი ცხრამეტი წლისა იყო. მან ერთი სიტყვაც არ იცოდა რუსულად. ჩვენ კი ერთი სიტყვაც არ ვიცოდით ინგლისურად, მე ჩემს მშობლიურ ენაზედაც კი ძლივას ვლაპარაკობდი... რა უნდა გვექნა, სხვა ხერხები უნდა გველონა. ღიმილს, ამბორს, გამომეტყველებას, ცრემლებს — არავითარი ენის ცოდნა არ სჭირდება და ყველა ხალხისათვის ერთი მნიშვნელობა აქვს და აი, ჩვენ პირველ ხანებში ურთიერთობის ამ ხერხს ვიშველიებდით.

ერთმანეთისადმი სიყვარულიც, ჩვენს სულებში რომ შთაინერგა და სამუდამოდ დარჩა იქ, არც ინგლისური ყოფილა და არც რუსული, ზოგადსაკაცობრიო იყო და სამუდამოდ დაგვაკავშირა ჰანასთან.

როგორც კი ფეხი შემოდგა ჩვენს ოჯახში, ჰანამ იმ წუთიდანვე ისე დაიწყო ცხოვრება, თითქოს მთელი მისი წარსული სამუდამოდ უკან დარჩა, ხოლო ყველა მისი ცხოვრებისეული ინტერესი ჩვენს ოჯახს გადაეჯაჭვა.

მახსოვს მუდამ მხიარული იყო, მუდამ მხნე, ხელში მუდამ ხელსაქმე ეჭირა — ზამთარსა თუ ზაფხულში სუფთა ღია ფერის ჩითის კაბა ეცვა და წინსაფარი ეკეთა.

მაშინ ფიქრადაც არ გამივლია გულში, რომ ამ ახალგაზრდა ლამაზ ქალიშვილს, ზოგჯერ იქნებ მხიარულება სწყუროდა, ოცნებობდა მისსავე ტოლებზე, მის თანამემამულეებზე, რომ ეგების ზოგჯერ უმძიმდა კიდეც მთელი წელიწადი რუსულ სოფელში ცხოვრება. მაშინ ძალზე პატარა ვიყავ, ამას რომ ჩავხვდომოდი, ჰანა კი მეტისმეტად ამაყი გახლდათ, გაემჟღავნებინა თავისი განცდები, თუკი ასეთი წუთები მართლაც ჰქონდა...

ერთხელაც არ გვინახავს მოწყენილი, ერთხელაც არ გვსმენია დაეწუწუნოს, მისთვის უცხო საარსებო პირობებისა გამო. პირიქით, ეს ქალი მუდამ ცდილობდა ცხოვრებაში რაც შეიძლებოდა მეტი სარგებელი და სიამოვნება ხვდომოდა წილად.

პირველი, რაც მან წესად შემოიღო, ეს იყო ყოველდღიური აბაზანები თვითეული ბავშვისათვის. ამიტომ ინგლისიდან გამოიწერა აბაზანა, რომელიც დღესაც შემორჩა იასნაია პოლიანაში. შემდეგ ყურადღება მიაქცია იატაკის სისუფთავეს, მისი აზრით, ჩვენთან იატაკის წესიერად მორეცხა არ იცოდნენ. მან იატაკის სარეცხი საგანგებო ჯაგრისებიც გამოიწერა ინგლისიდან და ბავშვთა ოთახში თვითონ რეცხავდა იატაკს.

ინგლისიდან გამოიწერა ჩვენთვის ციგურები და სრიალი გვასწავლა. მაშინ ციგურები ხისა იყო და მხოლოდ პირი და ხრახნი — ჩე-

ქმის ქუსლში ჩასახრახნავი იყო ფოლადისა. ციგურების ხის მასაში იყო აძოცმული ღვედები, ფეხზე ორ ადგილას იკვრებოდა.

ბავშვები ყველანი საკუთარი ხელებით დავმორჩილდით მის ზეგავლენას და ყოველგვარი ეჭვის გარეშე ვირწმუნეთ რომ ყველაფერი, რასაც იგი გვიბრძანებდა — ჩვენთვისვეა კარგი და ჩვენივე მოგებისა — ზედნიერებას.

ასეც იყო.

ჰანასთან ცხოვრების მთელი ხნის განმავლობაში არ მახსოვს არც ერთი უსიამოვნება ერთხელაც არ გავჭირვეულებულვართ და არც გავჯიუტებულვართ, თუმცა, ზოგჯერ ისეც მომხდარა, რაიმე არ დაგვიჯერებია, რადგან მე და ილია მეტად ცელქი ბავშვები ვიყავით და ისე აღვეგზნებოდით, რომ ჩვენი შეკავება ძნელი იყო.

ზოგჯერ ისეც დამმართნია, რომ სიმართლეს გავქცევივარ, ეს კი ჰანას გულს ტკენდა. თვითონ უჩვეულოდ მართალი ბუნების ქალი იყო და სერიოჟაც ჩემი უფროსი ძმა, მართალი ბავშვი გახლდათ. საკუთარ თავზე კი ჩემდა სამარცხვინოდ, ამას ვერ ვიტყვი და თუმცა ვცდილობდი არასოდეს მეთქვა ტყუილი, მაგრამ იმდენად ცოცხალი, ეშმაკი და ქარაფშუტა გახლდით, რომ ხან ჩემდაუნებურად, რაც მომადგებოდა, ენაზე, იმას ვამბობდი, ამას რასაკვირველია, არ ვიტყოდი, წინასწარ რომ დავფიქრებულიყავ. გარდა ამისა, ჩემი ცინცხალი წარმოსახვის უნარს ხშირად გადავყავდი ოცნებაში და მეც ვყვებოდი ჩემს გამონაგონს, როგორც ჭეშმარიტად მომხდარ ამბავს.

მახსოვს, როგორ ატირდა ერთხელ ჰანა, როცა დარწმუნდა, რომ ტყუილი ვუთხარი. ამ ცრემლებმა იმდენად გამაოცეს და ისე ძლიერად იმოქმედეს ჩემზე, რომ ვერც ერთი დასჯა ასეთ შედეგს ვერ გამოიღებდა. აგერ უკვე სამოც წელს გადავაბიჯე, ეს ამბავი კი გუშინდელივით მახსოვს...

ჰანასი მჯეროდა, და რაკი სიხარულს მგვრიდა ის ამბავიც, რომ თავს ძალას ვატანდი, სიმართლე მეთქვა, ამიტომაც თანდათანობით გადავეჩვიე ტყუილების თქმას, რაც ბავშვებსა და მცირედ განვითარებულ ადამიანებს სჩვევიათ.

ვცდილობდი მართალი ვყოფილიყავ, მაგრამ ზოგჯერ არ მიჯერებდნენ და ეს ამბავი მეტისმეტად მტკენდა გულს.

ერთხელ, აი, რა მოხდა. დედასთან ერთად ვმეცადინეობდით. დედას წამალი უნდა დაელია და წამლის მოსატანად მის საძინებელ ოთახში გამგზავნა.

— წადი, ტანია, აბაზია ჭიჭლა მომიტანე შიგ ყავისფერი სითხე ასხია. სარკესთან დევს. მითხრა მან.

გავიქეცი საძინებელში, მაგრამ ვერც სარკესთან, ვერც პატარა მაგიდაზე ჭიჭლა ვერ ვიპოვნე. იძულებული გავხდი უკან გამოვბრუნებულიყავი და მეთქვა, რომ წამალს ვერ მივაგენი-მეთქი.

— შენ ხომ ვერასოდეს ვერაფერს მიაგნებ. — მითხრა დედამ და თვითონ წავიდა საძინებელში.

მეწყინა და მის დაბრუნებას თვალცრემლიანი და გულნატკენი ველოდებოდი;

დედა დაბრუნდა და თან მოიტანა წვეთები, კარადაში ჰქონოდა შენახული.

— ეს შენ ჩაკბიჩე ლელვი და მერე ჩემს სარკესთან დადგეგ — მკითხა მან.

— არა, მე არც არავითარი ლელვი არ მინახავს სარკესთან.

— მაშ, რად აგდია მოკბეჩილი ნახევარი ლელვი სავსე ტომრის გვერდით მე ხმას არ ვიღებდი.

— აბა, მოდი ჩემთან და პირი გააღე. თუ ლელვი შენი მოკბეჩილია, მაშინ პირში ლელვის წიპწები უნდა გქონდეს.

წყენისა და აღშფოთებისაგან აჭარხლებული, ცრემლებს ძლივს ვიმაგრებდი, მივედი დედასთან და პირი გავაღე.

რასაკვირველია, ლელვის არავითარი წიპწა არ მქონია პირში; არ მიჭამია და საიდან უნდა მქონოდა.

მე ბოროტად ვზეიმობდი.

„განა ღირს სიმართლის თქმა, — ვფიქრობდი გულში, — თუკი მაინც არ დაგიჯერებენ?“

მაგრამ რომელიღაც შინაგანმა ხმამ მიპასუხა, რომ სიმართლეს არც დედის გულისთვის ვამბობ, და არც ჰანას გულისთვის, და არც იმისთვის, რომ გერწმუნონ, არამედ იმიტომ, რომ რაკი ერთხელ შეიყვარე სიმართლე, მერე უკან დახევა და ტყუილის თქმა თვითონვე გიმძიმს და სამარცხვინო საქმედ მიგაჩნია.

6

იქნებ ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, რომ მე, ვიგონებ რა ჩემს ბავშვობას, ჯერ აღმზრდელებზე ვლაპარაკობ და საკუთარ მშობლებზე თითქმის არაფერი მითქვამს. მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ დედა და მამა მახსოვს როგორც ჩვენი არსებისაგან განუყოფელნი, რასაც თითქმის ვერ ვამჩნევ, ადამიანი ხომ ვერ ამჩნევს ჰაერს, რითაც სულდგმულობს, ასევე ვერ ვამჩნევდი ჩემს მშობლებს.

განსაკუთრებით დედა ერწყმის მთელ ჩემს ცხოვრებას და იშვიათად გამოიკვეთება ცალკე სურათებად.

მახსოვს მუდამ საქმიანი, ხან რომელიმე ჩვენთაგანთან თავსატეხი გასჩენია, გვასწავლის, ხან საოჯახო საქმეებზე დარბის, ხან ელვის სისწრაფით გვიკერავს რაიმეს ფეხის საკერავ მანქანასთან მჯდარი — მამაჩემს ან რომელიმე ჩვენთაგანს, ხან კიდევ წამალს უწონის რომელიღაც სოფლელ დედაკაცს...

საღამოს, როცა საქმეს მოილევენ, ზოგჯერ დედა და მამა ფორტეპიანოს მიუსხდებიან და ოთხ ხელში უკრავენ. მაგრამ უფრო ხშირად დედა მახსოვს მის ჰატარა საწერ მაგიდასთან სასტუმრო ოთახის კუთხეში.

ჩვეულებრივ დღე ასე იწყება: გამოცხადდება გადია მარია ათანასეს ასული. იგი დგას დედაჩემის წინ. ხელები მუცელზე დაუკრეფია,

თავი ოდნავ გადაუხრია გვერდზე და ისმენს ბრძანებებს სახვალიო სადილთან დაკავშირებით. რაც ჰანა ჩამოვიდა, იგი მნეს მოვალეობას ასრულებს. შემდეგ დედა ეთათბირება სოფელში კვერცხის, ქათმებისა და წიწილების ყიდვის თაობაზე. ზოგჯერ გადაწყვეტენ ლილაუთენია ტულაში აფრინონ კაცი. და გადიასაც მოაქვს ტულის სასურსათო წიგნაკი. დედა ჩამოწერს სანოვაგეს კოლონიური მაღაზიისა და ბორცის ფარდულის წიგნაკში.

— სანთლები, სოფია ანდრეის ასულო, კადეტური სანთლები ხუთიოდ ფუნტი მაინც იქნება საჭირო, — ამბობს გადია.

საკმაოდ მოგვიანებით შევიტყვე, რას ნიშნავდა „კადეტური" სანთლები. იყო კადეტის ქარხანა, სადაც ამზადებდნენ სტეარინის სანთლებს ქონის სანთლებისაგან განსხვავებით.

— არც ქონის სანთლის ყიდვა იქნება ურიგო, — მცირე შესვენების შემდეგ განაგრძობს მარია ათანასეს ასული. თორემ ქალიშვილების ოთახში უკვე სანთლის ნამწვიც აღარ დარჩა. მერე და ვინ იცის რომელ ბავშვს როდის ასტკივდება ყელი. მე კი უკანასკნელი ნამწვი გუშინ გავეცი.

შეძრწუნებული ვისმენ ამ სიტყვებს. გული მერევა, როცა ვიგონებ როგორ გვმკურნალობენ, თუ რომელიმე ჩვენთაგანს ან ყელი ასტკივდება, ან ახველებს. გადია მაშინ ვერცხლის სუფრის კოვზზე ადნობს ქონის სანთელს, აძრობს პატრუქს და დასალევად გვაწვდის ამ გადამდნარ ქონს. მეორე კოვზზე ადნობს მკერდის, ყელის, და ქუსლების დასაზელად. დაზელის შემდეგ მტკივანი ყელი უნდა შეგვიხვიონ, შალის წინდით, მაგრამ წინდა უსათუოდ მარცხენა ფეხის უნდა იყოს.

როგორც კი გაისტუმრებს გადიას სასურსათო წიგნაკით, დედა მაშინვე იწყებს მამაჩემის ხელნაწერების გადაწერას. დიდხანს გრძელდება თუ ცოტა ხანს, ეს საქმიანობა, ჩვენ არ ვიცით, რადგან როგორც კი მათ დავემშვიდობებით, მაშინვე დასაძინებლად მივდივართ, მაგრამ ისე გაფაციცებული დასცქერის მამის ხელით დაწერილ ქაღალდის ფურცლებს, რომ ძნელი არ არის ამოიკითხო მის პირისახეზე, სწორედ ახლა იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა, თუმცა მოცლილი არასოდეს არის.

დამშვიდობებასაც ვერ ვასწრებთ, რომ მას უკვე ისევ დაუხრია თავისი ლამაზი თავი სადად გადაკარცხნილი შავი თმებით და ახლომხედველი თვალებით ცდილობს გაარჩიოს მამის ხელნაწერის გადანახული, ხოლო ზოგჯერ სულ ერთთავად გადაჭრელებული გვერდები.

დილით მამის საწერ მაგიდაზე უკვე აწყვია სუფთად და გარკვეული ხელით გადაწერილი ფურცლები, რომლებსაც მამა ისევ თავიდან ასწორებს და ან კიდევ მთელ გვერდებს ამატებს, მსხვილ, გაურკვეველი ხელით რომ არის დაწერილი, ამიტომ დედაჩემის მიერ წინადღით გადაწერილი გვერდების უმეტესობა, ზოგჯერ ხელის ერთი დაკვრით ნადგურდებოდა.

საღამოს დედა ისევ ყველაფერს აწესრიგებს, მეორე დილით კი მამაჩემი ისევ ხაზავს და ასწორებს დაწერილს, თან ახალ დაწერილ გვერდებსაც უმატებს.

მრავალი, მრავალი დღე, ზოგჯერ წელიც მუშაობდა მამა თავის რომელსამე თხზულებაზე, თავს არ ზოგავდა, რათა რაც შეიძლებოდა უკეთ შეესხა ფრთები თავისი ჩანაფიქრისათვის. მთელი ცხოვრება, ვიდრე არ გავიზარდე და არ შევცვალე იმვიათი გამონაკლისი [illegible], დედაჩემი ათვალთვალებდა მამის თხზულებებს. შემდეგ ეს [illegible] ძელე, შემდეგ ჩემმა დამ მაშამ, ხოლო მაშას შემდეგ — სიცოცხლის ბოლომდე უმცროსმა დამ — საშამ.

ხშირად მიდგას თვალწინ როგორ მიდის მამა დედასთან, მხარს ზემოდან დასცქერის მის ნაწერს. აი, დედაჩემმა ხელთ აიღო მისი დიდი, ძლიერი მარჯვენა და სიყვარულითა და მოწიწებით ეამბორა. მამამ კი ნაზად გადაუსვა შავ თმებზე ხელი და თავზე აკოცა...

და ამას რომ ვუყურებ, ჩემს ბავშვურ გულში ორივეს მიმართ სიყვარულის ისეთი გრძნობა ღვივის, რომ მინდა ვიტირო და მადლობა ვუთხრა, ასე რომ უყვართ ერთმანეთი, ვუყვარვართ ჩვენ და მთელ ჩვენს ცხოვრებას სიყვარულის საბურველი შემოახვიეს.

ჩემი მეორე ძმა, ილია, თაყის მოგონებებში ასე აღწერს თავის დამოკიდებულებას დედისადმი:

„ოჯახში მთავარი დედაა. ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. იგი უკვეთავს მზარეულ ნიკოლაის სადილს, ის გვიშვებს სასეირნოდ, იგი მუდამ აწოვებს ძუძუს რომელიმე პაწიას, და მთელი დღე აჩქარებული ნაბიჯით მიმოდის სახლში. მასთან ჭირვეულობაც შეიძლება, თუმცა ზოგჯერ გულმოსულმა შეიძლება კიდეც დაგსაჯოს. დედამ ყველაფერი ყველაზე უკეთ იცის.

იცის, რომ ყოველდღე უნდა დაიბანო ხელ-პირი, სადილად წვნიანი უნდა სჭამო, უნდა ილაპარაკო ფრანგულად, უნდა ისწავლო, მუხლებით არ უნდა იხოხო, მაგიდაზე ნიდაყვით არ უნდა დაეყრდნო, და თუ მან თქვა, სასეირნოდ წასვლა არ შეიძლებაო, რადგან საცაა გაწვიმდებაო, ეს უეჭველად ასეც მოხდება და უნდა დაემორჩილო. როცა მახველებს ან ძირტკბილას ან „დანიის მეფის“ წვეთებს მასმევს და ამიტომაც ძალიან მიყვარს ხველება. აი დედამ საწოლში ჩამაწვინა და მაღლა აკიდა მამასთან ერთად ოთხ ხელში რომ დაეკრა, მე დიდხანს, დიდხანს ვერ ოავიძინე და გული დამწყდა, მარტო რომ დამტოვეს. ასე ხშირად მეორდება, ამიტომ დროდადრო ისევ ხველებას ავიტეხ და მანამდე არ დავმშვიდდები, ვიდრე ვადია დედაჩემს არ შეატყობინებს. ბრაზი მახრჩობს, მოსვლას რად აგვიანებს-მეთქი.

და მე არასგზით არ დავიძინებ ვიდრე დედა არ მოირბენს, არ ჩამისხამს სირჩაში ხველის წამალს, ზუსტად ათ წვეთს და არ დამალევინებს“.

7

სახლში მამაჩემის გავლენა დედის გავლენაზე უფრო ძლიერი იყო. ეს ყველამ იცოდა.

მამას უფრო იშვიათად ვხედავდით, მაგრამ მასთან შეხვედრა ან მისი მოსვლა ბავშვთა ოთახში ჩვენთვის მუდამ მოვლენა იყო.

მე იგი ჯერ ისევ ახალგაზრდა მახსოვს, წაბლისფერი, თითქმის წითური წვერი ჰქონდა. შავი, ოდნავ ხუჭუჭა თმა, ღია ცისფერი თვალები.

ეს თვალები ხან ლბილად, ალერსიანად ხან მხიარულად, ხანაც მკაცრად გამომცდელად შემოგცქეროდნენ. თვითონ იყო ... ...

მამაჩემი პენზაში გაემგზავრა, მამულის სანახავად, ყიდვას რომ ეპირებოდა. მაშინაც ძალიან ვდარდობდი.

„რომ იცოდე, რა ხშირად გახსენებს პაწია ტანია და რაებს ამბობს, როგორც კი შემთხვევა მიეცემა. გაგეხარდებოდა", — წერს დედაჩემი. „მთელი დღე სულ შენ გახსენებენ: „ახლა ჩვენი [illegible] ნეტავ რას აკეთებსო" ანდა „ვფიქრობ ამ მანქანით ჩვენი მამილო [illegible] ანდა „ვინ იცის, იქნებ უკვე ტულაშია წამოსული". ბუშინ თამამობდნენ, ტანიამ ცხენი მიადგა საკარძელს და მეუბნება: „აბა, ახლა უნდა გავეშურო პენზაში მამილოს ჩამოსაყვანად, თორემ დაუგვიანდა ძალიან". შემდეგ ბავშვებმა თავი დაანებეს თამაშს, ის კი ჩაფიქრებული იჯდა, ცხენს მიერეკებოდა და ამბობდა: „ჯერ კიდევ შორი გზა მაქვს პენზამდე, მამილო უნდა ჩამოვიყვანოო".

და ჩამოვიდოდა თუ არა მამა, ჩვენ უწინდებურად ბედნიერნი და კმაყოფილნი ვიყავით.

ერთი თამაში იყო, მამა რომ გვეთამაშებოდა და ძალიან გვიყვარდა. ეს მისი გამოგონილი თამაში გახლდათ.

აი რა თამაში იყო: მამა უცებ, საკვლევით გაუფრთხილებლად შეშინებულ სახეს მიიღებდა და აქეთ-იქით დაიწყებდა ყურებას, ჩვენთაგან რომელიმე ორს გვტაცებდა ხელს და წამოვარდებოდა ადგილიდან, ფეხისწვერებზე ჩუმად, ჩუმად მიიპარებოდა, ცდილობდა არ ეხმაურა, გარბოდა და რომელსაც კუთხეში მიიმალებოდა, თან ხელიხელჩაკიდებული მიათრევდა იმას, რომელსაც მოიხელთებდა.

„მოდის... მოდის... — შეშინებული, ჩურჩულით ამბობდა იგი.

იმ საბიდან ერთი, რომლის თან წაყვანა ვერ მოასწრო, თვალის დახამხამების უმალ მივარდებოდა და ებღაუჭებოდა პერანგზე". ყველანი, ოთხივენი, შეშინებულნი მივიყუჟებოდით, კუთხეში და გულაძგერებულნი ველოდით, „ის" როდის გაივლიდა. მამა ჩვენთან ერთად ჩაცუცქულა ფეხის წვერებზე და ისეთი სახე აქვს, თითქოს დაძაბული უთვალთვალებს ვიღაცას, თვალით უხილავს. მამა „მას" თვალებით აცილებს, ჩვენ კი ვსხედვართ უხმოდ ერთმანეთს მიკრულნი, შეშინებულნი „იმან" არ დაგვინახოს-თქო.

ჩვენი გულები ისე ხმამაღლა ძგერენ რომ ასე მგონია „მას" შეუძლია გაიგონოს ეს გულის ძგერა და მოგვნახოს.

ასე დაძაბულ დუმილში გადის რამდენიმე წუთი. და აი მამას პირისახე უმშვიდდება, სიხარული ეფინება.

— წავიდა! — გვეუბნება „მასზე".

ჩვენც მხიარულად წამოვცვივდებოდით და მამასთან ერთად ოთახებს დავივლიდით, რომ უცებ... მამა წარბებს ასწევს, თვალებს გადმოკარკლავს, საშინელ სახეს მიიღებს და ჩერდება: თურმე „ის" ისევ გამოჩნდა საიდანღაც.

— მოდის! მოდის! — ვჩურჩულებთ ერთად ყველანი და აქეთ-იქით ვაწყდებით, თავშესაფარს ვეძებთ, რომ დავემალოთ. ისევ მივიყუჟებით რომელსამე კუთხეში და ისევ გულისფანცქალით ველოდე-

---

* იასნაია პოლიანას სახლის ფანჯრებიდან მოსჩანს რკინიგზა.

ბით, ვიდრე მამა თვალებით აცილებს „მას“. ბოლოს და ბოლოს, „ის“ ისევ მიდის; რაკი ვერ გვიპოვნა, ჩვენ ისევ წამოვცვივდებით და ყველაფერი თავიდან იწყება, ვიდრე მამას არ მობეზრდება ყოველივე და ჰანასთან არ გაგვგზავნის.

ჩვენ კი ეს თამაში, ალბათ, არასოდეს მოგვბეზრდებოდა.

ასევე გვიყვარდა ერთი უბრალო მოთხრობის მოსმენა, ათასნაირ კილოზე რომ გვიამბობდა მამა, ხმას ხან აუწევდა და ხან დაუდაბლებდა.

ეს იყო „შვიდი კიტრის ამბავი“.

იმდენჯერ უამბნია ეს ამბავი ჩემთვის ან კიდევ ჩემი თანდასწრებით სხვა ბავშვებისათვის, რომ ზეპირად მახსოვდა. აი, ეს მოთხრობაც.

— ბიჭუნა ბოსტანში წავიდა. ხედავს კიტრი შემოსულა. აი, ამოდენა კიტრი (თითებით აჩვენებს კიტრის სიდიდეს). აიღო და ხაპ! — შესანსლა. (ამას ყვება მშვიდად, მაგრამ ხმამაღლა).

— მიდის ბიჭუნა, მიდის და რას ხედავს — მეორე კიტრი ძევს, აი ამოდენა კიტრი, მან ისიც — ხაპ და შესანსლა. (აქ ხმა ცოტა უფრო ძლიერად ჟღერს).

— ისევ განაგრძო გზა, აგერ მესამე კიტრიც ძევს — აი, ამოოდენა კიტრი (და მამამ თითებით ნახევარი არშინი შემოხაზა). მან ესეც ხაპ და შესანსლა. შემდეგ მეოთხე კიტრი დაინახა — აი, ამოოდენა კიტრი! — ისიც ხაპ — და შესანსლა.

და ასე გრძელდება, ვიდრე შვიდივეს გადასანსლავდეს, ხმას თანდათან უმაღლებს, აბოხებს.

— მიდის ბიჭუნა და ხედავს მეშვიდე კიტრი ძევს. აი, ამოდენა კიტრი (და მამაც შლის ორსავ მხარეს ხელებს სადამდეც მიუწვდება). ბიჭმა აიღო და — ხაპ! ხაააპ! და შესანსლა.

როცა მამა გვიჩვენებდა როგორ ჭამდა ბიჭუნა მეშვიდე კიტრს, თავის უკბილო პირს იმოდენაზე აღებდა, რომ შეგეშინდებოდა, თან ხელებით მიგანიშნებდა თუ რის ვაივაგლახით იჩრიდა ხახაში ბიჭუნა მეშვიდე კიტრს...

და ჩვენც სამივენი, თვალმოუშორებლად შევცქერით, უნებურად მასავით ვაბჩენთ პირს და ვსხედვართ ასე პირდაღებულნი კარგა ხანს.

კიდევ მამასთან ერთად დილაობით ვატარებდით დროს მხიარულად. როცა ჩაიცვამდა, მის კაბინეტში მივდიოდით სავარჯიშოდ. მას ერთი ოთახი ჰქონდა, ამჟამად ის ოთახი აღარ არის, ოთახს ორი ბოძი ამშვენებდა, ხოლო ამ ბოძებს შუა რკინის ლარტყა იყო დატანებული. ყოველ დილით ამ ლარტყაზე ვვარჯიშობდით.

ჩვენ შვედურ ტანვარჯიშსაც ვასრულებდით. ჩვენი მეთაური მამა იყო.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, — და ჩვენც ვძაბავდით ჩვენს პატარა კუნთებს და ხელებს და მასთან ერთად ვიშვერდით წინ, გვერდზე, ზევით, ქვევით, უკან.

მამა აღსანიშნავად ძლიერი და მარჯვე კაცი იყო. და თვითეულ ბავშვს არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალა გადმოგვცა.

ვარჯიშის შემდეგ მამა „სამეცადინოდ“ მიდიოდა და ამ დროს არავის აძლევდნენ ნებას მასთან მისულიყო და შეეწუხებინა. მეუბნე-

ბოდნენ, რომ მხოლოდ ერთადერთს მე მქონდა უფლება და მხოლოდ მე მრთავდა ნებას მამა მასთან მივსულიყავი. მაგრამ ეს მე არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ ის ამბავი, რომ მამის სიცოცხლის ბოლოდე შეშინოდა, რათა ხელი არ შემშალა მისი ფიქრების მდინარებისათვის, რასაც მუდამ პატივს ვცემდი, რადგან მისი აზრები საშინლად და მნიშვნელოვნად მიმაჩნდა.

ბავშვობაში გუმანით ვგრძნობდი, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც მამაჩემია, არ შეიძლება წვრილმანი საქმიანობით იყოს გართული. ხოლო მოწიფულობის წლებში, როცა ვმონაწილეობდი მის მოღვაწეობაში, მივხვდი და ვაღიარე ამ მოღვაწეობის მნიშვნელობა.

„მამა ამქვეყნად ყველაზე ჭკვიანია. მანაც ყველაფერი იცის, მაგრამ მასთან ჭირვეულობა არ შეიძლება", — წერს ჩემი ძმა ილია თავის მოგონებებში მამასთან დამოკიდებულებაზე.

„ხოლო როცა იგი თავის კაბინეტში ზის და „მეცადინეობს" არ უნდა ისმაურო, არც მასთან შესვლა შეიძლება. რას აკეთებს, როცა „მეცადინეობს არ ვიცით, მოგვიანებით როცა კითხვა დავიწყე, გავიგე, რომ მამა „მწერალი" იყო.

ეს ასე მოხდა, რომელიღაც ლექსები მომეწონა. დედას შევეკითხე: ეს ლექსები ვინ დაწერა-მეთქი? მიპასუხა, პუშკინმა დაწერა და პუშკინი უდიდესი მწერალიაო. გული დამწყდა, მამაჩემი ასეთი რად არ არის-მეთქი. მაშინ მითხრა დედამ, შენი მამაც ცნობილი მწერალი არისო. ამ ამბავმა ძალზე გამახარა.

საღილობის დროს მამა დედას პირდაპირ ზის და მას თავისი მრგვალი ვერცხლის კოვზი უჭირავს როცა დედაბერი ნატალია პეტრეს ასული (ტატიანა ალექსანდრეს ასულთან რომ ცხოვრობდა) ბურახს დაისხამს თავისთვის, იგი აიღებს ჭიქას და სწრაფად შესვამს, შემდეგ კი მოუბოდიშებს: „მაპატიეთ, ნატალია პეტრეს ასულო, უნებურად მომივიდაო, ჩვენ ყველანი ფრიად კმაყოფილები ვართ და ვიცინით, თან გვიკვირს, რომ ნატალია პეტრეს ასულის მამას სულაც არ ეშინია, ხოლო როცა „შაქარლამას" კისელი გვაქვს მამა ამბობს, რა კარგი იქნებოდა პატარ-პატარა ყუთების დასაწებებლადო. ჩვენც თავქუდმოგლეჯილნი გავრბივართ ქალალდის მოსატანად და მამაც გვიკეთებს ყუთებს. დედა ბრაზობს, მაგრამ მამას არც მისი ეშინია; ზოგჯერ ძალზედ გამხიარულდება.

იგი ყველაზე უკეთ ატარებს ცხენს, ყველაზე სწრაფად დარბის და მასზე ძლიერი არავინ არის.

მამა თითქმის არასოდეს გვსჯის, ხოლო როცა თვალებში გვიყურებს, ყველაფერს ხვდება, რასაც ვფიქრობ და შიში ამიტანს ხოლმე.

მე შემიძლია ტყუილი ვუთხრა დედას, მაგრამ მამას ვერასოდეს ვერ ვეტყვი, რადგან მაინც მიმიხვდება, ამიტომაც მას არავინ და არასოდეს ეუბნება ტყუილს".

ილიასავით არც მე მეპარება ეჭვი, რომ მამა ყველაზე ჭკვიანი, სამართლიანი და კეთილია ამ ქვეყნად და რომ იგი არასოდეს შეცდება.

მახსოვს მხოლოდ ერთხელ წამიერად გაჩიჩნდა ეჭვი მის უცოდველობაზე, მაგრამ მაშინვე გავამართლე, რომ უსათუოდ აქვს რაიმე ჩემ-

თვის უცნობი მიზეზები, რის გამოც სწორედ ასე მოიქცა და არა სხვაგვარად-მეთქი. ეს ამბავი ასე იყო:

ერთხელ ჩეპიჟიდან შინისაკენ მომავალს ვკიდე თვალი. (ჩეპიჟი — სახლთან ახლოს ძველი შუხის ტყეა). მაღალი ჭაობის ჩექმები აცვია, ცალ მხარზე თოფი ჰკიდია, მეორეზე — იახტაში.

გავიქეცი და მივეგებე. პაწია ხელი მის საჩვენებელ თითს ჩავაყლე და ასკინკილით მოვყვები. მაგრამ რაღაც შეწუხებული ჩანს და ხელიდან თავისი თითი გამომაცალა.

— მოიცადე, ჩურკა, მოიცადე, — მეუბნება იგი და ჩერდება. გავჩერდი და ვუყურებ, რა უნდა გააკეთოს-მეთქი. ვხედავ იახტაშიდან ნატყვიარი, მაგრამ ჯერ ისევ სულთმობრძავი ტყის ქათამი ამოიღო. ტყის ქათამი მის ხელში თრთის. მამამ ფრთა გამოაძრო და სადღაც თავის არეში შეარჭო. ტყის ქათამი აღარ ფართხალებდა და მამამ ისევ უკან ჩადო იახტაშში!

ეს ჩემთვის შემზარავიც იყო და შესაზიზღიც. თავზარდაეცმულმა შევხედე მამას. როგორ შეეძლო ამის გაკეთება?

მამა ვერც ამჩნევს ჩემს შემოხედვას და ალერსიანად მიცქერის. გაოგნებული ვარ.

„რაკილა მან ასე გააკეთა, — ვფიქრობ გუნებაში, — ალბათ, ისეთი არაფერია“. (საბოლოდ მამამ არამცთუ საკვებით მიანება თავი ნადირობას, არამედ უკვირდა, როგორ შემეძლო ფრინველებისა და მხეცების დახოცვა და როგორ ვერ ვხედავდი ამ გასართობის მთელ სისასტიკეს.).

8

ზოგჯერ მამასთან სტუმრები ჩამოდიოდნენ. უმეტეს წილად ესენი ჭკვიანი ადამიანები იყვნენ, ვისთანაც მამა მნიშვნელოვან, ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელ საკითხებზე ბჭობდა.

მათ შორის იყვნენ: პ. ფ. სამარინი, ა. ა. ფეტ-შენიშინი, თავადი ს. ს. ურუსოვი, გრაფი — ა. პ. ბობრინსკი და სხვები.

ისინი ჩვენ, ბავშვებს, ითქმის არ გვაქცევდნენ ყურადღებას; ჩვენ კი, გეიყვარდა მათი თვალთვალი და თვითეულს თავისებურად ვაფასებდით.

პ. ფ. სამარინს საკმაოდ გულგრილად ვუცქეროდით. მამა ყოველთვის სერიოზულ საგნებზე ესაუბრებოდა, ხოლო ზოგჯერ ეკამათებოდა კიდეც ჩვენთვის უცხო და გაუგებარ საკითხებზე. ასეთ საუბრებს „სიტყვებს უმაღლესი ხარისხის“ ვეძახდით და ვიცოდით, რომ ამ საუბრების გაგება ჩვენს ძალ-ღონეს აღემატებოდა.

მხოლოდ ერთხელ ძალზე ცხოველი მონაწილეობა მივიღეთ მამა-ჩემისა და სამარინის კამათში. დოლის ცხენების სიმკვირცხლის გამო დაობდნენ. მამა ამტკიცებდა, რომ ველის ცხენები სიმარდით ინგლისურ ცხენებს არ ჩამოუვარდებიანთ. სამარინი კი ზიზღით უარყოფდა ამ აზრს.

მამამ შესთავაზა, თუ გნებავთ სანაძლეო დავდოთო. მამამ თავისი ველის ცხენი უნდა გაეშვა დოლში, ხამარინს კი თავისი ინგლისური ჯიშის ულაყი.

ჩვენ, რასაკვირველია, მთელი სულითა და გულით მამის მხარეზე ვიყავით, მაგრამ ბედმა გვიმტყუნა და გაგვაწბილა: ხამარინის ინგლისელმა ბრწყინვალედ გაუსწრო ჩვენს ბაშკირულ ველის ცხენს...

ფეტი მაინცდამაინც არ გვყვარებია. არ მოგვწონდა მისი გარეგნობა: პატარა, უწამწამებო შავი თვალები, დაწითლებული ქუთუთოები, დიდი ვეფხანი კაუჭა ცხვირი, თოჯინასავით პაწაწა სათუთი თეთრი ხელები, გრძელი ფრჩხილები, დიდი მუცელი, და მელოტი თავი ჰქონდა. ასეთივე პაწია ფეხები, რომელზედაც ეცვა პატარა მაღალყელიანი ფეხსაცმელები. — ერთი სიტყვით ვერაფერი მიმზიდველი პიროვნება იყო.

გარდა ამისა, ფეტს ჩვეულებად ქცეოდა, საუბრისას სიტყვები გაბმით წარმოეთქვა და სიტყვებს შორის ზმუილის მსგავსი ბგერები ამოეშვა. დაიწყებდა ზოგჯერ რაღაც ამბის თხრობას, იქნებ სასაცილო ამბავიც იყო, მაგრამ ისე ძალიან აჭიანურებდა და ისე ხშირად წყვეტდა თხრობას და ზმუოდა, რომ მოთმინება აღარ გყოფნიდა ბოლომდე მოგესმინა. ამიტომ საბოლოოდ აღარც ამბავი გამოდიოდა სასაცილო.

ჩემს მშობლებს იგი ძალზე უყვარდათ. იყო დრო, როცა მამაჩემი მას თავის ნაცნობთაგან ყველაზე ჭკვიანად მიიჩნევდა და ამბობდა, ფეტს გარდა არავინ მყავს, ვისაც ასე ძალიან ესმოდეს ჩემი და ვისაც შეუძლია მიჭეთითოს, რა არის ცუდი ჩემს ნაწერებში.

„აი, ამიტომაც გვიყვარს ერთმანეთი, — წერდა მამაჩემი ფეტს 1867 წლის 27 იუნისს, — რომ ერთნაირად ვაზროვნებთ გულის გონებით, როგორც თქვენ ამბობთ ხოლმე".

ზოგჯერ მახრჩობს დაუკმაყოფილებელი სურვილი გვერდით მყავდეს ღვიძლი, თქვენი მსგავსი ადამიანი, — წერს იგი მეორე წერილში 1869 წლის 30 აგვისტოს, — რათა ვადავუშალო ყოველივე რაც სულში დამიგროვდა".

1876 წლის 29 აპრილით დათარიღებულ წერილში მამა წერს ფეტს, როცა გაგეშზადები „იქით", ე. ი. საიქიოს გასამგზავრებლად, თქვენ მოგიხმობთ. „იმ წუთებში მე ისე არავინ დამჭირდება, როგორც თქვენ და ჩემი ძმა. სიკვდილის წინ ძვირფასი და სასიხარულოა იმ ადამიანებთან თანაზიარობა, რომლებიც ამ ქვეყნადაც მის საზღვრებს მიღმა იხედებიან. ჩემთვის უცებ სხვადასხვა შეუმჩნეველ თვისებათა მიხედვით ნათელი შეიქნა თქვენი უაღრესად მონათესავე სული — ბუნება, განსაკუთრებით სიკვდილთან მიმართებაში, მე უცებ დავაფასე ჩვენი დამოკიდებულება და გაცილებით მეტად, ვინემ ოდესმე, ვუფრთხილდები მას".

მე და ილიას გვაოცებდა მამა ესოდენ დიდად რომ აფასებდა ფეტს და ერთხელ ერთად ბევრიც ვიცინეთ პატივცემულ ათანასე ათანასეს ძეზე.

ერთ საღამოს ბავშვები დარბაზში ცალკე მაგიდასთან ვისხედით და რაღაცას ვაწებებდით, „დიდები" კი ჩაის შეექცეოდნენ და საუბრობდნენ.

ჩვენამდე აღწევდა ფეტის სიტყვები, თავისი გულისგამაწვრილებელი ხმით რომ ამბობდა, სადა გემოვნება მაქვს და სულ ოდესღაც შემიძლია ძალზე მცირედით დავკმაყოფილდეო.

— მომეცით მე კარგი კომბოსტოს სუპი და უგრეხელი ... მმმ. და სხვა არაფერი... მომეცით ხორცის კარგი ნაჭერი ... მმმ. ... ამეტი არაფერი... მომეცით მე... მმმ... კარგი საწოლი და სხვა არაფერი...

და კიდევ დიდხანს, თან ზმუოდა რა სიტყვებს შორის, ფეტი თვლიდა მისი კეთილდღეობისათვის ყველა აუცილებელ საგანს, მე და ილია კი განცალკევებულ მაგიდასთან მსხდარნი, ერთმანეთს ნიდაყვს ვკრავდით. ძლივს ვიკავებდით ყელში მომდგარ სიცილს, და ჩურჩულით ვამატებდით ჩვენი მხრივ, კიდევ სხვა აუცილებელი მოთხოვნილების საგნებს.

— მომეცით მე თითო ყუთი კამფეტი დღეში — მეტი არაფერი, — ჩურჩულებდა ილია და სიცილისაგან იგუდებოდა.

— მომეცით მე კარგი მარცვლოვანი ხიზილალა და ერთი ბოთლი შამპანური — მეტი არაფერი, — კვერს ვუკრავდი მეც ჩურჩულით.

ფეტთან ერთად ჩამოდიოდა მისი მეუღლე — სათნო კეთილი მარია პეტრეს ასული. ჩვენ იგი ვაცილებით მეტად გვიყვარდა, ვინემ მისი სახელოვანი ქმარი, ეს ქალი ყოველთვის და ყველასთან ალერსიანი იყო, მოედინებოდა მისგან თავმდაბლობა, შემწყნარებლობა და სიკეთე.

ორივე ცოლ-ქმრის მიმართ სიცოცხლის დასასრულამდე შევინარჩუნეთ მეგობრული დამოკიდებულება, ხოლო როცა გავიზარდე, მე შევიყვარე ჭეშმარიტი პოეტური ნიჭი ათანასე ათანასეს ძისა და ვისწავლე როგორ უნდა დამეფასებინა მისი ფართო გონება.

თავის სტუმართან ა. პ. ბობრინსკისთან მამა მუდამ განსაკუთრებული სიფიცხით კამათობდა რელიგიურ საკითხებზე.

მახსოვს ერთხელ, ჩვენი სახლის წინ ხეების ჩრდილში სკამზე დამჯდარი მამა ისე გაალმასებული ეკამათებოდა რელიგიაზე, რომ შემეშინდა. მე, რასაკვირველია, მამაჩემის მხარეს ვიჭერდი, თანავუგრძნობდი არა იმიტომ, რომ ან მესმოდა ან მომწონდა, რასაც იგი ლაპარაკობდა, არამედ უბრალოდ იმიტომ, რომ მიმაჩნდა, მამა არ შეიძლება შეცდეს-მეთქი. მაგრამ მე თან მებრალებოდა ბობრინსკი, მამა ესოდენი გაშმაგებით რომ ესხმოდა თავს. სულ ახლახან, მეუბნებოდა ბობრინსკი, რომ მას დაახლოებით ჩემი ასაკის გოგონა ჰყავს, სახელად მისი ჰქვია და მინდა შენ გაგაცნოო. ამაზე ისე გულით ვოცნებობდი, რომ შემეშინდა, მამაჩემთან ჩხუბის შემდეგ თავისი ქალიშვილის ჩამოყვანა არ გადაიფიქროს-მეთქი.

მაგრამ მამაჩემის ყველა სტუმარი როდი იყო ჭკვიანი და მამაჩემის მაღალ, ჩვენთვის გაუგებარ საგნებზე როდი ეკამათებოდა. მასთან ჩამოდიოდა კიდევ ჩვენი მეზობელი ნ. ვ. არსენიევი, ვისთან საუბარიც ყოველთვის უფრო უბრალო და ჩვენთვის გასაგები იყო. ამიტომაც თუ იმის გამო, რომ ნიკოლენკა არსენიევი მუდამ ყურადღებას მაქცევდა,

მე იგი ძალიან მიყვარდა. ახალგაზრდა, ლამაზი, მხიარული ჭაბუკი იყო, ყოველთვის როდესაც ჩამოვიდოდა ჩვენთან თავისი მამულიდან სუდაკოვიდან, როცა კი შემეძლო, სასტუმროში ვიჯექი, „დიდებთან" ვუსმენდი ნიკოლენკას და თვალს არ ვაშორებდი.

მახსოვს, ერთხელ იმ დროს ჩამოვიდა, როცა მამა არყის ნერგების დასარგავად მიდიოდა. ნიკოლენკა თან წაიყვანა. ჩემდა სასიხარულოდ, ნიკოლენკამ ნება ითხოვა ბავშვებიც თან წავიყვანოთო და ჩვენც წავედით არყის ხეების დასარგავად.

ახლა უკვე ეს ნარგავები — ძველი არყის, ე. წ. აბრამოვის ტყეა, და როცა გვერდით ჩავუქროლებ ეტლით ან გავისეირნებ შორიახლოს, ყოველთვის ვიგონებ, როგორის მონდომებით ვრგავდი მამაჩემისა და ნიკოლენკას ხელმძღვანელობით ბაწია, სურნელოვანი ბზინვარე წებოვანი ფოთლების მქონე ნორჩ არყის ხეებს.

აი, გაიზრდები და აქ სოკოების საკრეფად მოხვალ, — მითხრა მამაჩემმა.

ერთხელ ნიკოლენკა ჩვენსა სტუმრად იყო, ყველანი სასტუმრო ოთახში ვისხედით. საღამო იყო და როგორც კი ჩვენი დაძინების დრო მოახლოვდა ჰანამ ბავშვთა ოთახში წამიყვანა. გული მეტკინა ნიკოლენკას რომ უნდა დავშორებოდი, მაგრამ სხვა რა ღონე მქონდა, არ შეიძლებოდა ჰანას არ დამორჩილებოდი.

დაბანა თუ არა სერიოჟა აბაზანაში ჰანამ უმცროს-უფროსობის რიგი დაიცვა და მის შემდეგ მე ჩამსვა, გამისაპნა თავი და წუთით გვერდზე გადგა, რათა სუფთა წყლით სავსე დოქი აეღო გადასავლებად. უცებ თამამი აზრი მომივიდა, ვისარგებლე შემთხვევით, ჰანა ჩემკენ ზურგით რომ იდგა და ელვის სისწრაფით ამოვხტი აბაზანიდან. თვალის დახამხამებაში სასტუმროში ამოვყავი თავი, თან გზადაგზა იატაკზე სველი ქუსლების ნაკვალევს ვტოვებდი.

სასტუმრო ოთახის შუაგულში გავჩერდი ნიკოლენკას წინ, დიდის ამბით გავშალე ხელები და აღმოვთქვი:

— აი, მე ტანია!

არ ვიცი რა იფიქრა მან შიშველი ფიგურის დანახვაზე, წყალი წურწურით რომ ჩამოსდიოდა, ხოლო საპონი გათქვეფილი ნაღებივით ეკიდა თავზე, ეს კი ვიცი, რომ შეძრწუნებულმა და თავზარდაცემულმა დედამ ხელში ამიტაცა და ჰანასკენ გამაქანა. ჰანა უკვე გამორბოდა ჩემს ნაკვალევზე.

— ღმერთო ჩემო! ამისგან რა ადამიანი უნდა დადგეს? — ამბობდა თავზარდაცემული დედა.

9

მე და ჰანა იასნაია პოლიანას სახლის დაბლა ოთახში ვცხოვრობდით. ადრე, ჯერ კიდევ მამაჩემის ბავშვობაში ეს სახლი ერთ-ერთი ფლიგელი იყო, დიდი სახლის ორსავ მხარეს რომ იდგა. ამ სახლში დაიბადა მამაჩემი. იმ უძველეს ხანაში თაღებიანი ოთახი საცხოვრებელი ოთახი არ ყოფილა, არამედ სარდაფად იყენებდნენ ყოველგვარი სურსათ-სანოვაგის შესანახად.

ამ ოთახს ჭერში დატანებული ჰქონდა დიდი რკინის რგოლები, ახლაც რომ არსებობს. უწინ ამ რგოლებში ჰკიდებდნენ შაშხს, გამხმარ ბალახს, გამხმარ სოკოს, ხილს და სხვა მარაგს.

დიდი სახლი, სადაც დაიბადა ჩვენი ბებია ტოლსტაია, და თავისი ბავშვობა და ყრმობა გაატარა მამამ, დასაშლელად გადაიდა ჯერ კიდევ მამაჩემის დაქორწინებამდე. იგი იასნაია პოლიანადან ოცდახუთიოდე კილომეტრში გადაიტანეს და ისევე დადგეს, როგორც ადრე იდგა სოფელში.

1913 წელს მამული, სადაც ეს სახლი იდგა, გლეხებს მიჰყიდეს. მათ დაშალეს ეს უზარმაზარი სახლი, ერთმანეთში გაიყვეს და მასალით ქოხები აიშენეს.

როდესაც მამამ ახალგაზრდობაში გაყიდა დიდი სახლი, იგი თავის ალმზრდელ დეიდასთან, ტატიანა ალექსანდრეს ასულთან და იასნაია პოლიანას სხვა მობიდნარეებთან ერთად ერთ-ერთი ქვის ფლიგელში გადავიდა საცხოვრებლად.

ამავე ფლიგელში მოიყვანა მამამ თავისი ახალგაზრდა ცოლიც.

ამ სახლში დავიბადენით და თითქმის მთელი ცხოვრება გავატარეთ მეც და ჩემმა მრავალრიცხოვანმა და-ძმამ.

ამ ფლიგელს ჩემს მახსოვრობაში მიაშენა მამამ წინა ოთახი და კაბინეტი და ზედ უზარმაზარი დარბაზი დააშენა, ხოლო კარგა ხნის შემდეგ ფიდამ ბრძანა დაენგრიათ დაბალი ხის მინაშენი, სახლის საპირისპირო მხარეს, რომ მიეყოლიეთ და იმავე ადგილას დაადგმევინა მამაჩემის აშენებული დარბაზის ოდენა მინაშენი.

სამივე უფროსმა შვილმა ბავშვობა ჩვენი სახლის დაბლა სართულის ოთახში გავატარეთ.

ეს ოთახი ქვის კონქით ორ ნაწილად იყო დაყოფილი: მცირე და დიდ ნაწილად. მცირეში ჰანა ცხოვრობდა, ხოლო დიდში — ჩვენ სამნი, სერიოჟა, ტანია და ილუშა.

ჩვენში უფროსი სერიოჟა იყო, ჩუმი, დინჯი, მიმნდობი და მართალი ბიჭუნა. კეთილი და გულიანი ბავშვი იყო. რატომღაც მას მუდამ რეხვენოდა სინაზის ყოველგვარი გამოვლენისა, თითქოს ეს რაღაც დანაშაული ყოფილიყოს და მუდამ გაურბოდა თავის გრძნობების გამჟღავნებას.

თამაშის დროს იგი არ იყო იმდენად საინტერესო და მხიარული, როგორც ილია. მას აკლდა წარმოსახვის უნარი, სწრაფად ვერ ჩახედებოდა თამაშის არსს და მხარს ვერ აგიბამდა, როგორც ამას მე და ილია ვახერხებდით. საკმარისი იყო სულ ოდნავი მინიშნება და ილია არა თუ გაიგებდა, არამედ თავის მხრივ შეავსებდა კიდეც თამაშს. მეც ასეთივე ვიყავი — ჩაფიქრება და გაგება ერთი იყო.

სერიოჟა უმეტეს წილად მარტო თამაშობდა. მას ჰქონდა თოჯინა, მბზინავი შავი ფაიფურისებური თმებით და დახატული ცისფერი თვალებით. ამ თოჯინას ყენი დაარქვა ჰანას დის საპატივცემულოდ, რომელიც ძალზე უყვარდა. სერიოჟა მუდამ მარტო ეთამაშებოდა ყენის და მე და ილიას ხშირად გვინახავს როგორ ეჩურჩულებოდა იგი თავის ყენის.

— ილია, წადი ერთი მოუსმინე, რას ელაპარაკება — ვაქეზებდი მე.

— შემაშინებს, მეუბნებოდა ილია და მართლაც, როგორც კი შეამჩნევდა სერიოჟა მითვალთვალებენო, შეცბუნდებოდა, დაბუმბულებოდა, ჟენის გვერდზე გადასდებდა და ისეთ სახეს მიიღებდა, ლიქოს ზედაც არ ვუყურებო.

სერიოჟას შემდეგ მე დავიბადე.

ჩემთვის ძნელია საკუთარი თავის აღწერა. ვინც მე მიცნობდა, მეუბნებოდა, რომ ძალიან ცოცხალი, ცელქი და მხიარული გოგონა ვიყავი, დიდი ჩხირკედელა, სოვჯერ თითლიბაზიც.

ჯერ სულ ცეროდენა ბალღი ვყოფილვარ, როცა ჩემი ბიძაშვილები თავს იმით ირთობდნენ, რომ მსუბუქად მიმარტყმევინებდნენ თავს კედელზე. მე კი თავს გვერდზე გადავაგდებდი, თვალებზე ხელს ავიფარებდი და თავს მოვიკატუნებდი, მეტკინა და ვტირიავარ-მეთქი.

ბიძაშვილებს მოსწონდათ ეს გასართობი და მანამდე არ მომეშვნენ, ვიდრე ერთხელ ისე ძაგრად არ მიმახეთქეს კედელს, რომ სიმწრისგან მართლა ავტირდი.

ისიც მიამბეს, რომ თურმე როცა სერიოჟას კუკუდამალობანას ვეთამაშებოდი, თავს მოვიკატუნებდი, აქაოდა ვერ ვხედავ, მაშინ როდესაც იგი ყველას დასანახად იჯდა ფორტეპიანოს ქვეშ და გულუბრყვილოდ მიცქერიდა, ჯერგზე ხელებდაწყობილი როგორ გავაპარებდი თვალს გვერდულად მისკენ და ეშმაკურად ვიმეორებდი:

— აქაც არ არის! ნეტავ სად დაიკარგა!

ჩემს შემდეგ ილია დაიბადა. იგი წლინახევრით არის ჩემზე უმცროსი — ჯანსაღი, ლოყებლაჟვარა ბავშვი იყო, მხიარული, ფიცხი ბუნების და ფხუკიანი. მაგრამ სიზარმაცე და რამდენადმე სუსტი ნებისყოფა ხელს უშლიდა აეძულებინა თავი გაეკეთებინა ის, რაც საჭირო იყო ან თავი შეეკავებინა იმისგან, რაც ეკრძალებოდა.

სეირნობისას მუდამ უკან ჩამოგვრჩებოდა ხოლმე. ხშირად უფროსები გავერთობოდით და სულ დაგვავიწყდებოდა, რომ კუდში მოჩანჩალებდა ჩვენი უმცროსი, გოდორა ძმა — ილია. უცებ უკანიდან ღრიალის ხმა შემოგვესმოდა:

— თქვენ მე არ დამელოდეეეთ! — ღრიალებდა იგი.

ჩვენ უკან გავრბივართ, ხელს ვკიდებთ და ცოტა ხანი ხელიხელჩაკიდებული მოგვყავს, მაგრამ შემდეგ ისევ გაგვიტაცებს ხილის კრეფა. სოკოები ან კიდევ სხვა რამ და ილია ისევ ჩამოგვრჩება.

— თქვენ მე არ დამელოდეეეთ! — ისევ ღრიალებს სასოწარკვეთილი ილია.

ილიას შემდეგ სამი წელი გავიდა და დაიბადა ლიოვა, ხოლო შემდეგ — მაშა. ეს ორნი გადიასთან ერთად ზევით ცხოვრობდნენ. — ასე ეძახდნენ მათ. ისინი თითქმის არ მონაწილეობდნენ ჩემი, სერიოჟასა და ილიას ცხოვრებაში.

10

როცა ჩვენ ჰანასთან ერთად დაბლა ოთახში ვცხოვრობდით, ერთი უცნაური ამბავი შემემთხვა, რაც ისე ცოცხლად ჩამებეჭდა მეხსიერებაში, რომ ახლაც შემიძლია ამ შემთხვევის ყოველი წვრილმანი აღვწერო.

ერთხელ ღამით, როცა ყველანი იწვნენ და ეძინათ, დავინახე ჩემი საწოლის მოპირდაპირე მხარეს, ოთახის ბოლოში როგორ გაიღო კარი და შემოვიდა... მგელი. იგი უკანა თათებზე იდგა და ისე მოდიოდა, ლამის გართხმოდა მიწას, მახსოვს მოკლე შარვალი ეცვა და იქნებ ქურთუკიც, მაგრამ ქურთუკი მოღეღოდა და დავინახე მისი ბანჯგვლიანი მკერდი. თვალები დავაჭყიტე, შიშისგან ლამის გონი დავკარგე, მეშინოდა ან ძმებისთვის დამეძახა ან ჰანასთვის, მგელმა თვალი არ დამადგას-მითქი, თან კი მთელი არსებით მწამდა, რომ რომელიმე მათგანი გაიღვიძებდა. მაგრამ მათ ეძინათ და მე მესმოდა როგორ თანაბრად და მშვიდად სუნთქავდნენ.

ჩვენმა ბნელმა, გრძელმა ოთახმა, ქვის თაღოვანი ჭერი და შიგ დატანებული მძიმე რკინის რგოლები რომ ჰქონდა, სანახევროდ წყვდიადმა, მძინარე ადამიანების თანაბარმა სუნთქვამ და ჩემკენ ჩუმად მომავალმა მგელმა — ყოველივე ამან ძრწოლით ავსო ჩემი სული.

„იქნებ ჩემთან არ მოდის ღა არც ჩემს წასაყვანად“ — გავიფიქრე მე. მაგრამ რაღაცა ჩემს გონებაში მეუბნებოდა, რომ სწორედ ჩემთან მოდიოდა და სწორედ ჩემს წასაყვანად.

თითქოს იატაკზე მოცურავსო, მგელი უფრო და უფრო უახლოვდებოდა ჩემს საწოლს. მე სული გავკმიდე, თვალები დავხუჭე და უცებ... ჰოი, საშინელებავ, ვიგრძენი როგორ ამიყვანა საწოლიდან და შიშისაგან გახევებული ხელში დამიჭირა.

ისევე ჩუმად, როგორც მოვიდა — კარისკენ იბრუნა პირი, გვერდით ჩაუარა მძინარე ილიას, სერიოჟასა და ჰანას.

მინდა, მაგრამ სიტყვის თქმა არ შემიძლია, კრინტის დაძვრაც არ ძალმიძს, რათა ვინმე გავაღვიძო... მაგრამ რაც შემიძლია ძალ-ღონეს ვიკრებ და მთელი გულითა და სულით ვევედრები, დამტოვე ან ისევ საწოლში ჩამაწვინე-მეთქი.

„აბა, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო, — გონებაში ვევედრები მგელს, — გთხოვ, გიმუდარები, მობრუნდი უკან“.

ჩვენ სულ წინ და წინ მივცურავთ. აი, კარსაც მივუახლოვდით, მაგრამ ჰოი, ბედნიერებავ! მგელი უცებ შემობრუნდა უკან... და ისევ ჩამატარა მძინარე სერიოჟას, ილიას, ჰანას გვერდით, მიმიყვანა ჩემს საწოლთან და ჩამაწვინა...

რა მოხდა შემდეგ— როგორ წავიდა, როგორ ჩამეძინა, არაფერი მახსოვს...

რაღა თქმა უნდა, არავითარი მგელი არ ყოფილა. რაღა თქმა უნდა, ყოველივე ან მესიზმრა ან წარმოვიდგინე. მაგრამ ეს ხილვა იმდენად ნათელი იყო, რომ დღემდე თვალწინ მიდგას ამ სურათის ყოველი წვრილმანი, თითქოს ყოველივე ცხადში მომხდარიყოს.

მგელი, მე რომ მეზმანა გოეთეს „რეინიკე მელას“ კაულბახის ნახატს ჰგავდა. მამაჩემს ბიბლიოთეკაში ამ წიგნის საუკეთესო გამოცემა ჰქონდა და ძალზე მიყვარდა ამ სურათების თვალიერება. იქნებ ამიტომაც ჩამებეჭდა მეხსიერებაში.

მაგრამ მაშინ ეს შემთხვევა არც სიზმარი იყო ჩემთვის და არც ზმანება, ეს იყო ჭეშმარიტი სინამდვილე.

11

იქვე, იმავე თაღებიან ოთახში გავხდით სამივენი ქუნთრუშით ავად.

გადამდები სენი არისო, რის გამოც ახლა ადამიანები არათუ უგუნურად არამედ ზოგჯერ მკაცრადაც იქცევიან, მაშინ ამაზე ცოტას ფიქრობდნენ.

ქუნთრუშა გლეხის ბავშვებისაგან გადაგვედო, ჩვენსას ნაძვის ხეზე რომ მოვიპატიჟეთ. იმ ზამთარს სოფელში ქუნთრუშა ძლიერ იყო მოდებული, არცთუ სავსებით გამოჯანსაღებული მრავალი ბავშვი გვეწვია საახალწლო ნაძვის ხეზე. ზოგიერთ ბავშვს კანი ხელთათმანივით ძვრებოდა ტანზე და სამივე იმით ვერთობოდით, რომ ხელებიდან ვაცლიდით ამ აქერცლილ კანს.

და აბა რა გასაკვირია, რომ სამთავეს გადაგვედო და ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერ მოვასწარით ყველა ნუგბრის შეჭმა, რაც საჩუქრად მივიღეთ, ვერც მოტანილი სათამაშოებით ვიჯერეთ გული, სამივენი ლოგინში ჩავწექით.

ილიას მსუბუქად მოჰკიდა ხელი. სერიოჟას უფრო მაგრად, მე კი კინაღამ მოვკვდი. დედა მიამბობდა, თურე რამდენიმე დღე უგონოდ ვყოფილვარ და ყველას ეშინოდა, ვერ გადაიტანსო.

ჩემს საწოლთან იდგა ორნაირი სასმელი — თეთრ ღვინოგარეული წყალი და მურაბიანი წყალი. მე თურმე წამოვხტებოდი საწოლიდან და სწრაფად და მოკლედ მოვჭრიდი: „თეთრი“ ან „წითელი“ და მრავალი დღე, ამ სასმელების გარდა ხემსი არ ჩამიდვია პირში.

იმხანად სხეულის სიცხის საზომი თერმომეტრები არ არსებობდა, არც არავითარ გამოკვლევებზე სმენოდა ვისმე. ექიმებიც ცოტანი იყვნენ და ამიტომაც იშვიათად ეძახდნენ. ელოდებოდნენ, როდის ჩაივლიდა ავადმყოფობა; ტანს თბილი პროვანსული ზეთით უზელდნენ, სითხეს ასმევდნენ და სხვა დანარჩენი ღმერთის ნება-სურვილზე იყო მინდობილი.

მახსოვს, როგორ ვიგრძენი მცირეოდენი შვება.

ვწევარ ჩემს საწოლში და ნეტარება მეუფლება.

ჩემი საწოლის გვერდით ილიას საწოლი დგას, იქით კი — სერიოჟასი. ისინიც წვანან. მოდის მამა და ჩემს საწოლთან ჯდება.

— აბა, როგორ ხარ, ჩურკა? თავს იკატუნებ, თითქოსდა ავად იყო, ხომ? — მეუბნება იგი. ისეთი სინაზით მიყურებს, რომ ვგრძნობ, შემიძლია ვთხოვო რაც მომესურვება, მაგრამ სათხოვნი არაფერი მაქვს. ვიღებ მის დიდ, ძლიერ, ხეშეშ ხელს და თითიდან საქორწინო ბეჭედს

ვაძრობ. ის არ მიშლის და ისევ ნაზი ღიმილით მიცქერის. ბევდით მანამ ვითამაშე, ვიდრე ხელიდან არ გამისხლტა და ისე შორს არ შევორდა, რომ ვერავინ მიაგნო. მამას საყვედური არ უთქვამს, იგი მოთმინებით ელოდა, ვიდრე აგაფია მიხეილის ასულმა არ იპოვნა იგი რობელიდაც ხვრელში.

როცა უკეთ შევიქენით საახალწლო ტკბილეულობა და ასათამაშოები გადმოგვცეს. ჩვენც ერთი საწოლიდან მეორეში გადავინაცვლებდით ხოლმე და სტუმრობანას ვთამაშობდით. ხან ილიას ვესტუმრებოდით ხან სერიოჟას, ხანაც — მე. აქვე იყო ჩვენი კეთილი ჰანა, იგი გვიყვლიდა. ხშირად მოდიოდა დედა, — ზოგჯერ მამაც და ჩვენ ძალზე ბედნიერნი ვიყავით.

12

ქუნთრუშა როცა შეგვეყარა, კიდევ ერთი ადამიანი ვეევლებოდა თავზე, ვისზედაც უსათუოდ უნდა ვიამბოთ, რადგან მას დიდი ზეგავლენა ჰქონდა არა მარტო ჩვენზე, ბავშვებზე, არამედ საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჩვენი ოჯახის ცხოვრებაშიც.

ეს გახლავთ აგაფია მიხეილის ასული. ჩემი პაპის დედის, პელაგეა ნიკოლოზის ასული ტოლსტაიას ყოფილი მოსამსახურე ქალი, ხოლო შემდგომ ძალლთაპირი „გუვერნანტი", ასე ეძახდნენ მას.

გამხდარი, მაღალი დედაბერი იყო, რომლის ამაყი და გოროზი პირისახის კეთილშობილურ ნაკვთებს შემორჩენოდათ ძველი სილამაზის ნაკვალევი.

იგი ბოლომდე ქალწული დარჩა, ალბათ არ სურდა თავისი ცხოვრება მეორე ადამიანისათვის დაექვემდებარებინა. რაკი ახალგაზრდა შინაყმა იყო, მას სურდა თუ არ სურდა, იძულებული იყო დამორჩილებოდა თავის ქალბატონს. და ისიც კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. როცა იასნაია პოლიანას პატრონი მამაჩემი გახდა, მან აგაფიას მოჯალაბეებთან მისცა საცხოვრი, პენსია დაუნიშნა, უეჭველია, მისი ამაყი სული დაინდო, არავითარი მოვალეობა არ დაუკისრებია, თავის ნებაზე მიუშვა, რათა რაც სურდა, ის ეკეთებინა.

აგაფია მიხეილის ასულს ამბების მოყოლა უყვარდა: როცა მამათქვენის შინაყმა ვიყავი, ვიღაცას ჩემი ყიდვა სდომნია და სანაცვლოდ წყვილი მდევარი ძაღლი შეუთავაზებია, მაგრამ მამათქვენმა არ ინდომაო.

— ძაღლები კი ჯიშიანები იყვნენ, — ამბობდა და თან მიგანიშნებდათ, აქაოდა, ძაღლების დასი მეც გამეგებაო.

საჯალაბოში რომ გადმოვიდა, აგაფია მიხეილის ასულმა ჯერ ცხვრის მოვლა დაიწყო, შემდეგ საძაღლეში გადაბარგდა და სიცოცხლის ბოლო დღეებამდე ძაღლებს უვლიდა.

აგაფია მიხეილის ასულს მარტო ძაღლები როდი უყვარდა — მისთვის ყოველი ცოცხალი არსება სიყვარულისა და თანაგრძნობის ღირსი იყო. ისეთ საზიზღარ მწერებსაც კი არ ანადგურებდა, აბანოს ჭიები და ბაღლინჯოები რომ არიან, უფრო მეტიც — ბრაზობდა, როცა

სხვები აკეთებდნენ ამას მისი თანდასწრებით. იგი ამ მწვრილებს არათუ კლავდა, არამედ კვებავდა კიდეც. ცხვრის ხორცი კი, მას შემდეგ, რაც ცხვრებს უვლიდა, პირში არ ჩაუდვია.

ერთი თაგუნა ჰყავდა, — წერს თავის მოგონებებში ჩემი ძმა ილია, — მოდიოდა ეს თაგუნა, როცა იგი ჩაის სვამდა და მაგიდაზე დაყრილ პურის ნამცეცებს მიირთმევდა.

ერთხელ ბავშვებმა თვითონ დავუკრიფეთ მარწყვი, ყულაბიდან 16 კაპიკი ამოვიღეთ გირვანქა შაქრის საყიდლად და ერთი ქილა მურაბა მოვუხარშეთ. აგაფია მიხეილის ასული ფრიად კმაყოფილი დაგვრჩა და მადლობა გადაგვიხადა.

— უცებ, — გვიამბობდა აგაფია, — ჩაის დალევა მომინდა, ავიღე მურაბიანი ქილა და რას ვხედავ, ქილაში თაგვია, ამოვიყვანე, რის ვაი-ვაგლახით გავბანე თბილი წყლით და ისევ მაგიდაზე დავსვი.

— მერე მურაბა?

— მურაბა გადავღვარე, თაგვი ხომ უწმინდურია, მერე რაღა შემაჭმევდა?!

ზოგჯერ, როცა მთელი ჩვენი ოჯახი ზამთრობით მოსკოვში მიემგზავრებოდა, მამა კი მარტო რჩებოდა იასნაია პოლიანაში ან მოსკოვიდან ჩამოვიდოდა დროებით, რომ დაესვენა მისთვის მძიმე ქალაქური ყოფის შემდეგ, აგაფია მიხეილის ასული ყოველთვის მიდიოდა საჯალაბოდან ჩვენს სახლში, და ისინიც ერთად ისხდნენ სამოვართან და რაზე არ საუბრობდნენ.

ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ ახსენებს იგი ამ ქალს დედისადმი მიწერილ წერილებში და ყოველთვის კეთილი გრძნობით.

„ახლა აგაფია მიხეილის ასული შენზე მიამბობდა და გამამხიარულა, — წერს იგი 1882 წლის 2 მარტით დათარიღებულ წერილში, — ეს კარგი იყო. მისი ნაამბობი ძალლებსა და კატებზე სასაცილოა, მაგრამ როგორც კი ადამიანებზე მიდგება საქმე, გული შეგიწუხდება: იგი კარდაკარ დადისო, იმას აკი ზნე სჭირსო, ის ჭლექიანიაო, იგი გათანგული წევსო, იმან ბავშვები მიატოვაო“.

სხვა წერილებში წერს:

„ჩაი მზად არის და აგაფია მიხეილის ასული ზის“.

„მოვიდა აგაფია, ღობე-ყორეს მოედო და ახლა წაიდა“.

„აგაფიამ კარგად მომიყვა ძველი ამბები — ჩემი ამბები, გადავიწყებული რომ მქონდა, თურმე როგორი სახიზღარი ბატონიშვილი ვყოფილვარ“.

„ისევ მარტომ ვისადილე, ისევ აგაფია“,

„მთელი საღამო აგაფიას ქოშებს ვუკერავდი... იყვნენ დ. ფ. და აგაფია მიხეილის ასული და ხმამაღლა ვკითხულობდით „წმინდანთა ცხოვრებას“.

„ახლა საღამოა, ექვსი საათი. აგაფია ზის“.

„დღეს რვაზე ავდექი, გავარკვიე საქმეები, მივედი აგაფიასთან“.

უკანასკნელად მამა აგაფიას ახსენებს დედისადმი გაგზავნილ 1820 წლის ნოემბრით დათარიღებულ წერილში. „ახლა ცხრა საათია, სასეირნოდ ვიყავ, სიჩუმეა, თბილი თოვლი დევს, და აგაფიასთან შევიარე“.

როცა პატარა გოგონა ვიყავი, ხშირად შევირბენდი ხოლმე აგაფიასთან, რათა მელაყბა, მელაქლაქა და ჩემი საყვარელი ძაღლები მენახა. აგაფია მიხეილის ასული მიამბობდა ძველ ამბებს, ჩემი მამის დედის ამბავს, როცა აგაფია მისი „სეფექალი" იყო — ასე ეძახდა იგი თავის თანამდებობას.

— ასე ნუ მიყურებთ, ახლა რომ ასეთი საშინელი ვარ, ჯეელობაში მზეთუნახავი ვიყავი, — გვიამბობდა იგი, — ვთქვათ, იჯდა გრაფინია აივანზე თავის სტუმრებთან ერთად დიდ სახლში. უცებ ცხვირსახოცი დასჭირდება — დამიძახებს:

მე კი: „ბატონები მიყურებენ და მიყურებენ, მიყურებენ და მიყურებენ".

ვსხედვართ მე და აგაფია მიხეილის ასული, ვსაუბრობთ იქვე, ოთახში კი ძაღლები მიმოდიან და თითქმის მუდამ, კუთხეში ახალ ჩალაზე წევს რომელიმე ძაღლი, რომელსაც განსაკუთრებით სჭირდება აგაფიას მოვლა და მეურვეობა.

ვეკითხებოდი ჩემი დიდედის — მარია ნიკოლოზის ასულის, მამაჩემის დედის ამბავს. მაგრამ მას ცოტა რამ შეეძლო ეამბნა, რადგანაც ტოლსტოვების შინაყმა იყო, ხოლო ჩემი დიდედა დაბადებით თავადის ასული ვოლკონსკაია გახლდათ. აგაფიამ მხოლოდ ის მითხრა, რომ დიდედა ნასწავლი ქალი იყო და ლანძღვა-გინება არ იცოდაო.

ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა მეტი გამეგო დიდედაჩემის ამბავი, რადგან მამა მის ხსოვნას მუდამ სიყვარულითა და მოკრძალებით ინახავდა. აგაფია მეუბნებოდა, გარეგნობით მას გევხარო და ეს ძალზე მახარებდა, მიუხედავად იმისა, რომ ამბობდნენ შეუხედავი ქალი იყოო. ამის შემოწმება შეუძლებელია, რადგან ერთი სურათიც არ დარჩენილა მისი, მხოლოდ შავი პატარა სილუეტი შემორჩენილა.

„მამას თავისი დედილო არ ახსოვდა, — წერს ჩემი ძმა ილია თავის მოგონებებში, — იგი გარდაცვლილა, როცა მამაჩემი ორი წლისა ყოფილა და თავის დედაზე მხოლოდ ის იცოდა, რასაც მისი ახლობლები უამბობდნენ.

ამბობენ, რომ იგი პატარა ტანის ქალი იყო, შეუხედავი, მაგრამ უჩვეულოდ კეთილი, და ნიჭიერი, დიდრონი, ნათელი და შუქიანი თვალები ჰქონია.

გადმოცემის თანახმად, იგი ისე ყვებოდა ზღაპრებს, თურმე ბადალი არ ჰყავდა და მამა ამბობდა, რომ ჩემს უფროს ძმას — ნიკოლაის მისი ნიჭიერება დაყვაო.

არავისზე არ ლაპარაკობდა მამა ისეთი სიყვარულითა და მოკრძალებით, როგორც თავის „დედილოზე". მის არსებაში იღვიძებდა რაღაც განსაკუთრებული განწყობა, ლბილი და ნაზი. მისი სიტყვებიდან გამოსჭვიოდა ისეთი პატივისცემა დედის ხსოვნისადმი, რომ ჩვენ იგი წმინდანად გვესახებოდა".

თავისი მამა კარგად ახსოვდა მამაჩემს, რადგანაც ცხრა წლისა ყოფილა, როცა გარდაცვლილა. მამას ისიც უყვარდა, ყოველთვის მოკრძალებით ლაპარაკობდა მასზე, მაგრამ იგრძნობოდა, რომ უცნობი

დედის ხსოვნა მისთვის უფრო ძვირფასი იყო და რომ მას დედა მამაზე გაცილებით მეტად უყვარდა.

მაგრამ ისევ აგაფიას დავუბრუნდები.

მახსოვს, ერთხელ მასთან მივედი. ვხედავ კუთხეში წევს მამას საყვარელი შავ-ამლაყი მწევარი მილკა. მილკა თითქმის ძოლიანად დაუფარავს აგაფიას ახალ დალიანდაგებულ ხალათს, სულ ცოტა ხნის წინათ დედამ რომ მოუქსოვა. ძაღლი თითქოს გრძნობსო, რომ მეტის-მეტად დიდი პატივი მიაგეს, ჩემკენ იწვდის თავის გრძელსა და წვრილ დრუნჩს, მიყურებს თავისი მშვენიერი შავი თვალებით, შეშფოთება რომ ჩაგუბებია შიგ. ხალათქვეშ ზუსტად იმ ადგილას, სადაც ძაღლის კუდი უნდა იყოს, ახალი ხალათი ირხევა. ხალათი დროდადრო ჩამოცურდება და ვხედავ მრავალ თვალაუხელელ ბომბორა ლეკვს. ზოგი ძუძუს სწოვს, ზოგს სძინავს, ზოგიერთები კი მის შორიახლოს ფუთფუთებენ, დროდადრო ჩაკრავენ რა ცხვირს ჩალაში. მილკა თავს აბრუნებს მათკენ და შეწუხებული ათვალიერებს თავის ჯალაბობას.

მენანება დედაჩემის შრომა. ვხედავდი, საათობით მხრებში მოხრილი როგორ ჩასჩერებოდა თავისი ახლომხედველი თვალებით საქსოს, ხალათს ალიანდაგებდა. და უცებ ეს ხალათი ძაღლს ახურავს! მაგრამ დედა ამას შეჩვეულია. ეს ხომ პირველად არ ხდება! რამდენი ქვედაკაბა, კოფთა, ხალათი შესწირა ძაღლებს. თვითონ აგაფია მიხეილის ასულს კი ისეთი დაგლეჯილი კოფთა აცვია, ზედაპირი ისე გასცვეთია, რომ მისგან თითქმის არაფერი დარჩა და მოჩანს მხოლოდ დალიანდაგებული ბამბა, ყველგან ნაფლეთებად რომ ჰკიდია. მკერდი და ყელი მოღებული აქვს. გრძელი ყელი აქვს, დაძარღვული მკერდი პერგამენტისფერი მუქი, უბეში უყრია თამბაქოს ნაფხვენები, რომელსაც ყნოსავს ხოლმე. სქელი ჭაღარა თმები გაწეწილი აქვს, ჩამოფხატული ჭაღარა წარბების ქვეშიდან გიყურებენ ჭკვიანი, გამჭრიახი თვალები.

— რას ამბობთ, პაწია გრაფის ასულო, — მითხრა მან, — როცა ჩემი გულისტკივილი ვუთხარი ხალათის გამო, — რაო, ვითომ ხალათი ღვთის გაჩენილ ცოცხალ არსებაზე ძვირფასია?

არ შემიძლია არ დავეთანხმო და ამიტომ არც შევწუხებულვარ, მაგრამ გადავწყვიტე დედისთვის არ მეთქვა მისი ნახელავის ბედი.

აგაფია მარტო ძაღლებს როდი უვლიდა. მან მშვენივრად იცოდა ავადმყოფების მოვლაც და როცა ჩვენსა ვინმე შეუძლოდ შეიქნებოდა, ჩვეულებრივ, აგაფიას შევატყობინებდით. მშვიდად და მოთმინებით ათენებდა იგი მთელ ღამეებს ავადმყოფის საწოლთან, მოხერხებულად და სიამოვნებით უვლიდა. სხვა ავადმყოფთა შორის, იგი უვლიდა ჩვენს მმართველს ალექსეი სტეფანეს ძეს, მამას ყოფილ კამერდინერს, როცა იგი იასნაია პოლიანას ფლიგელში კვდებოდა. მრავალი დღე და კვირა გაათენა აგაფიამ მის თავსასთუმალთან. აგაფიას ძალიან უყვარდა იგი და ხშირად ესაუბრებოდა ყველაზე გულითად საკითხებზე.

უბრალო ხალხს არ ერიდება პირდაპირ ილაპარაკოს სიკვდილზე. და აგაფიამ როგორღაც სიტყვა ჩამოუგდო თავის მომაკვდავ მეგობარს ყველასთვის გარდაუვალ აღსასრულზე. ისინი იმაზე მარჩიელობდნენ, საძძიმოა თუ არა ეს გადასვლა სხვა ცხოვრებაში, და აი, როცა ნათელი

გახდა, რომ აღსასრული მოახლოვდა, აგაფია მიხეილის ასულმა შეახსენა მათი ადრინდელი საუბარი და ჰკითხა — კარგად თუ გრძნობთ თავს.

— მერე და რა კარგად! — უყოყმანოდ მიუგო [illegible] სტეფანეს ძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სიკვდილის შემდეგ აგაფია მიხეილის ასული ძალიან დარდობდა.

„გუშინ აგაფია მიხეილის ასული დიდხანს იჯდა და ტიროდა, — წერს მამა დედაჩემს, — დარდობდა უცნაურად, როგორც ყოველთვის, მაგრამ გულწრფელად: „ლევ ნიკოლოზის ძევ, გეთაყვა, მითხარი რა ვქნა? მეშინია, რომ ჭკუიდან არ შევიშალო. მივალ შუმიხასთან*, მოვეხვევი და ავტირდები: „აღარ არის, შუმიხა, ჩვენი საყვარელი“ და ა. შ. და თვითონ ტირის“.

მას აქეთ რაც აგაფია მიხეილის ასული მახსოვს, იგი მუდამ იმაზე ჩიოდა, რომ მას სხეულში არყის ხე ეზრდება. როცა შეეკითხებოდი ჯანმრთელობის ამბავს, იგი მუდამ მუცლს შეეშმუსნიდა, თავს გადააქნევდა და ისე მიპასუხებდა:

— არყის ხე, პატარა გრაფის ასულო, სულ უფრო და უფრო იზრდება, სულის მოთქმა მიჭირს...

არც მაშინ ვიცოდი და ახლაც არ ვიცი, სჯეროდა თუ არა მას, რომ მართლაც არყის ხე ეზრდებოდა სხეულში, მაგრამ ბავშვობაში მე კი მჯეროდა და გუნებაში ვფიქრობდი, თუკი არყის ხე უფრო და უფრო გაიზრდება, მაშინ საბოლოოდ თავი გარეთ უნდა გამოყოს-მეთქი და ერთმანეთში ადრეული ცნობისმოყვარეობისა და შიშის გრძნობით ველოდი არყის ხის გამოჩენას.

შემოდგომისა და ზამთრის გრძელ ღამეებში ეს მარტოხელა ქალი, ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა და ხან მეორეზე და შამფურივით ტრიალებდა ამ არყის ხის გამო და გარს უცნაური ფიქრები ეხვია.

— აი, ერთხელ ვწევარ მარტო, — გვიამბობდა იგი, — სიჩუმეა, მხოლოდ საათი წიკწიკებს კედელზე: ვინ ხარ? რა ხარ? ვინ ხარ? რა ხარ? მეც დავფიქრდი: „მართლაც ვინ ვარ ან რა ვარ-მეთქი“. მთელი ღამე ამ ფიქრში გავატარე.

სწორედ ამ მონათხრობის მოგონება უყვარდა მამას, და კიდევ ერთი ამბისა ამ უცნაური ქალის ცხოვრებიდან.

ერთხელ ავად გახდა ჩვენთან სტუმრად მყოფი დეიდა ტატიანა ანდრეის ასული ბერსი, დედაჩემის უმცროსი დაი. ჩვეულებისამებრ ახლაც აგაფიასთან აფრინეს კაცი.

— აბანოდან იმ წუთის მოსული ვიყავი, — გვიამბობდა აგაფია, — ჩაი დავლიე და ღუმელზე დავწექი. უცებ მესმის, ვიღაც ფანჯარაში აკაკუნებს. „რა გინდა-მეთქი“ — დავუყვირე. „თქვენთან ტატიანა ანდრეის ასულმა გამომგზავნა — ავად არის ქალბატონი. გთხოვეს მობრძანდითო. ავადმყოფს მოუარეთო“. მე კი ეს წუთია ღუმელზე ავძვერი, ძლივს გავთბი, მეზარება ჩამოსვლა, ჩაცმა და ამ ყიამეთში გა-

1 მეძებარი ძაღლი.

რეთ გამოსვლა. მეც ავდექი და ვუთხარი: „გადაეცი აგაფიას მოსვლა არ შეუძლია, აბანოდან ახალმოსულია-თქო". წავიდა შიკრიკი, მე კი ვწევარ და ვფიქრობ: „ოჰ, არ ვიქცევი კარგად, თავი ვეცოდები, ავადყოფი ადამიანი კი არ მეცოდება? ჩამოვუშვი ფეხები ლუმელიდან, დავიწყე ჩაცმა. მესმის, ისევ აკაკუნებენ ფანჯარაზე. „ბატონო, ფეხები, კიდევ რა გნებავთ-მეთქი!" „ტატიანა ანდრეის ასულმა უსათუოდ მობრძანდითო, კაბასაც შეგპირდათ ფეშქაშად". „ა! ვეუბნები, კაბას შემპირდა? გადაეცით, რომ არ მოვა-თქვა და არც მივალ". ისევ გავიხადე რეზინის ფეხსაცმელები, ავძვერი ლუმელზე და კარგა ხანს ვერ დავიძინე. განა კაბის გულისთვის მებრალებიან სნეულნი... მე მიყვარდა ტატიანა ანდრეის ასული, მან კი როგორ მაწყენინა..."

ჩვენი სტუმრებიდან აგაფია მრავალს იცნობდა და უყვარდა, მაგრამ ყველაზე მეტად მ. ა. სტახოვიჩი იყო, მისი რჩეული. უნდა ითქვას, სტახოვიჩიც თავის მხრივ ყოველთვის ალერსიანად და ყურადღებით ეექცეოდა, რომ რა გასაკვირია, ამითაც აეჩუყებინა მოხუცი ადამიანის გული. არაპოდეს მოსულა იგი მასთან ხელცარიელი და რაც ყველაზე მეტად ძვირფასი იყო ამ ამაყი დედაბრისათვის — იგი მუდამ ისეთივე მოკრძალებითა და თავაზიანად ეექცეოდა, როგორც შეჰფერის ყველაზე წარჩინებულ ბანოვანს. მივიდოდა სტახოვიჩი აგაფიასთან, აგაფია კი ჩაით გაუმასპინძლდებოდა. ოთახში ძალლის მძაფრი სუნი დგას, მაგიდაზე და კედელზე აბანოს ჭიები დარბიან, ძალლების გამო უთვალავი ბალლინჯოა, თვითონ აგაფიაც ჭუჭყიანია და მისი ჩაის ჭურჭელიც.

მაგრამ მიხეილ ალექსანდრეს ძე ვაჟკაცურად ისხამს ჩაის საინზე და ხვრეპს, თან შაქრის საეჭვო ნატეხსაც კვნეტს. ამ შაქარს რომ შეხედავ, გეგონება, თითქოს ვილაცას უკვე აულოკიათ.

მახსოვს ერთხელ აგაფიამ მიხეილ ალექსანდრეს ძეს შესთავაზა მისი თამბაქო დაეყნოსა. და იმანაც, ოდნავადაც არ შეყოყმანებულა, ისე ამოიღო აგაფიას არყის ქერქის სათამბაქოედან მწიკვი თამბაქო, დაიყარა მარცხენა ხელის დიდ ფრჩხილზე და ცხვირით შეისუნთქა.

5 თებერვალს აგაფიას დღეობა იყო, ყველას გვახსოვდა ეს დღე და მილოცვის ბარათებს ვუგზავნიდით.

მხოლოდ ერთხელ მოსკოვში, როგორლაც მეტისმეტად გავერთეთ და დავგვიგვიწყდა აგაფიას დღეობის მილოცვა. მამამ კი, იმ დროს იასნაია პოლიანაში რომ ცხოვრობდა, ვერ მოუსწრო ქოშების შეკერვა. დედას იგი წერილში ატყობინებს: „ბავშვებს დაავიწყდათ, აგაფიას დღეობა და ვერც ჩემი ქოშები მოესწრება".

მაგრამ სტახოვიჩს არ დავიწყნია ეს დღე. 5 თებერვალს ყინვასა და ქარბუქში ჩამოვიდა ფოსტალიონი და აგაფიას სტახოვიჩის მილოცვის დეპეშა მოუტანა.

„სალამოს მოვიდა აგაფია და დეპეშა მოიტანა. იგი ფრიად კმაყოფილია — წერს მამა დედაჩემს 1884 წლის 5 თებერვალს".

აგაფია სიხარულისაგან ბრწყინავდა და ყველას ეტრაბახებოდა. როცა მამას დეპეშა უჩვენა, მან გაიცინა და უთხრა:

მერედა არ გრცხვენია, რომ ასეთ ქარბუქში ადამიანმა სამ კილომეტრზე მეტი გამოიარა ამ დეპეშის გამო?

— მოაბოტებდა და მოაბოტებდა! თქვენ ამბობთ მოაბოტებდაო! იგი ანგელოსს მოჰქონდა, თქვენ კი გაიძახით მოაბოტებდაო და აღელვებული დედაბერი კარგა ხანს ვერ დამშვიდდა.

როცა გაზაფხულზე იასნაია პოლიანაში ჩავედით, პირველი, რაც გვიამბო აგაფიამ, ის იყო, რომ სტახოვიჩმა დეპეშა გამოუგზავნა, „მამათქვენმა კი მითხრა ფოსტალიონი თოვლში მოაბოტებდაო“.

— მოაბოტებდა... თქვენთან როცა მოაქვს, მაშინ არ მოაბოტებს, ჩემთან კი მოაბოტებს, არა? იგი ანგელოსს მოჰქონდა, — იმეორებდა გულმოსული. და მართალიც იყო, მე ვფიქრობ, იშვიათად თუ ვინმეს განუცდია ისეთი სიხარული დეპეშის მიღებისაგან, როგორც განაცდევინა ამ ქალს საძაღლეში მოსულმა დეპეშამ.

გარდაიცვალა აგაფია, როცა არც ერთი არ ვიყავით იასნაია პოლიანაში. გარდაიცვალა მშვიდად, უდრტვინველად, უშიშრად.

სიკვდილის წინ დაუბარებია მთელი ჩვენი ოჯახისათვის გადმოეცათ მადლობა მიგებული სიყვარულის წილ.

ყვებოდნენ, რომ როცა მიასვენებდნენ, თურმე ყველა ძაღლი ყმუილით მიაცილებდა; სასაფლაომდე კი კარგა შორი მანძილი იყო. უაგაფიოდ იასნაიაში უფრო მოსაწყენი გახდა ცხოვრება.

იასნაია პოლიანაში ჩვენთან ერთად კიდევ ცხოვრობდა მამაჩემისა და მისი და-ძმების აღმზრდელი დეიდა ტატიანა ალექსანდრეს ასული ერგოლსკაია, მუქთამჭამელი ნატალია პეტრეს ასულსა და მოხუც შინამოსამსახურე აქსინია მაქსიმეს ასულთან ერთად.

ტატიანა ალექსანდრეს ასული ჩვენი ძალზე შორეული ნათესავი იყო. მამა ჩვენის გამო ეძახდა დეიდას, ასე წერს იგი თავის „პირველ მოგონებებში“, რადგან „ჩვენი ნათესაობა იმდენად შორეული იყო, რომ ვერასოდეს დავიხსომებდი, მაგრამ ჩვენდამი სიყვარულით, როგორც მუდამ დაჭრილი გულით, ჩვენს აღზრდაში პირველი ადგილი დაიჭირა და ჩვენ ვგრძნობდით ამას.

„და ჩემს გულშიც დროდადრო იფეთქებდა მისდამი ნაზი სიყვარულის გრძნობა, — წერს მამა, — მახსოვს ერთხელ, მაშინ ხუთი წლისა ვიყავი, სასტუმროში რომ დივანი იდგა, იმ დივანს უკან გადავვარდი. მან ალერსიანად გამომიწოდა ხელი. მე ხელი ვსტაცე მის ხელს და დავუკოცნე, თან ვტიროდი მისდამი სიყვარულით გრძნობამორეული“.

ვფიქრობ, რომ ქორწინებამდე მამაჩემს არ ჰყოლია ადამიანი, ვისაც ისე უყვარდა და პატივს სცემდა, როგორც უყვარდა და პატივს სცემდა ამ ჩუმ, უწყინარ, კეთილშობილ არსებას.

„ტატიანა ალექსანდრეს ასულმა ყველაზე დიდი ზემოქმედება მოახდინა ჩემს ცხოვრებაზე, — წერს მამა თავის მოგონებებში. — ეს ზეგავლენა უპირველესად იმაში გამოიხატებოდა, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში მასწავლა სიყვარულის სულიერი სიტკბოება. იგი ამას სიტყვებით კი არ მასწავლიდა, არამედ მთელი თავისი არსებით გადამდო ეს

გრძნობა. ვხედავდი, ვგრძნობდი რა კარგად იცოდა სიყვარული და მისგან გაიგე ბედნიერება სიყვარულისა — ეს პირველი.

მეორე ის, რომ მან მასწავლა მშვიდად, მარტოსულად ცხოვრების სიმშვენიერე".

ტატიანა ალექსანდრეს ასულმა მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა თავის პაწია ალსაზრდელებს და სავსებით განაცხადა უარი პირად ბედნიერებაზე.

„მის ქალალდებში, — წერს მამა „პირველ მოგონებებში", — მძივის ქისაში დევს ერთი 1836 წლით დათარიღებული ჩანაწერი გაკეთებული დედაჩემის გარდაცვალებიდან ექვსი წლის თავზე".

„1836 წლის 16 აგვისტო. ნიკოლამ დღეს უცნაური რამ შემომთავაზა: ცოლად გავყვე, დედობა გავუწიო მის შვილებს და არასოდეს მივატოვო. პირველ თხოვნაზე უარი ვუთხარი, შევპირდი, რომ ვიდრე ცოცხალი ვარ, მეორე თხოვნას შეგისრულებ-მეთქი".

„ასე აქვს ჩაწერილი, — წერს მამა, — მაგრამ არასდროს არც ჩვენთვის, არც არავისთვის არ გაუმხელია ეს ამბავი".

იმ დღიდან ტოლსტოის ბავშვების ცხოვრება მის ცხოვრებად იქცა.

რატომღაც მგონია, რომ მას განსაკუთრებულად მამაჩემი უყვარდა.

ასე იყო თუ არა, არ ვიცი, მაგრამ იგი მამასთან დარჩა საცხოვრებლად, როცა მამას ერთადერთი და გათხოვდა, როცა ორი ძმა მოუკვდა და როცა სერგეი საცხოვრებლად გადავიდა პიროგოვის მამულში, რაიც გაყოფისას ერგო. დარჩა რა უდედმამოდ, მარტოდმარტო, მამამ ამ ქალს მიაგო მთელი ის სიყვარული, რაიც საკუთარი მშობლებისათვის უნდა მიეგო. მას მუდამ ახსოვდა, რომ იასნაია პოლიანას თითქმის უკაცრიელ სახლში ცხოვრობდა ადამიანი, ვისაც უყვარდა მისი სული, შიშობდა მისი მგზნებარე ბუნების გამო ადვილად რომ იცოდა გატაცება და მღელვარებით ელოდა მისგან რაიმე ცნობას.

ვფიქრობ, რომ არა ერთხელ შეუჩერებია იგი ამის შეგნებას და დაუცხრია მისი მგზნებარე გულის წადილი.

მამა წერს ტატიანა ალექსანდრეს ასულს:

„თუ მე ვცდილობ, უკეთესი ვიყო და ა. შ."

სადაც არ უნდა წასულიყო მამა, იგი მუდამ წერდა წერილებს თავის ტატიანა ალექსანდრეს ასულს და მოუთმენლად ელოდა მისგან საპასუხო ბარათებს; უამბარათებოდ მას ცხოვრება არ შეეძლო და თუ ოიდხანს დაუგვიანდებოდა, წუხდა, გული სტკიოდა და საყვედურობდა, წერილს რად არ მწერთო.

„თქვენი წერილები სიამოვნებას როდი მანიჭებენ, — წერს მამა მას 1855 წელს სიმფერეპოლიდან, როგორც ყოველთვის ფრანგულად, — ისინი ჩემთვის უდიდესი სიკეთეა, მე სულ სხვა კაცი ვხდები, უფრო უკეთესი, როცა ვღებულობ თქვენ ბარათებს, რომლებსაც ასჯერ მაინც გადავიკითხავ. ისეთი ბედნიერი ვარ, რომ ადგილზე ვერ ვჩერდები, მინდა ყველას წავუკითხო და თუ მანამდე თავს რაიმე ურიგო გატაცების ნება მივეცი, ვჩერდები და თავიდან ვაწყობ გეგმებს — როგორმე უკეთესი გავხდე".

მანვე უბიძგა მამას სამწერლო მოღვაწეობისაკენ. 23 წლის ჭაბუკი მამა თბილისიდან ასეთ ბარათს უგზავნის: როგორც ყოველთვის ფრანგულად.

„გახსოვთ, ძვირფასო დეიდა, ერთხელ რომ მირჩიეთ, რომანები ვწერო. და აი, მეც ყურად ვიღე თქვენი რჩევა და საქმიანობა, რაზედაც გწერდით, ლიტერატურაა. მე ჯერ არ ვიცი — იხილავს თუ არა ოდესმე დღის სინათლეს ის, რასაც ვწერ, მაგრამ ეს სამუშაო მე მომწონს. და მეტისმეტად შორს შევტოპე, რომ თავი მივანებო“.

ის, რასაც მამა იმ ხანებში წერდა, იყო „ჩემი ბავშვობის ისტორია“, 1852 წლის სექტემბერში ჟურნალ „სოვრემენნიკში“ რომ დაიბეჭდა“.

1852 წელს მამა სადგურ მოზდოკიდან უგზავნის წერილს „შუა გზაზე თბილისამდე“ — ასე ასათაურებს თავის წერილს, ანდობს თავის ოცნებებს მომავალ ბედნიერებაზე. როცა კავკასიიდან დაბრუნებული ისევ იასნაია პოლიანაში იცხოვრებს ტატიანა ალექსანდრეს ასულთან ერთად, იქნებ კიდეც დაქორწინდეს და მაშინ ტატიანა იცხოვრებს მის ოჯახთან ერთად და ყველას ეყვარება ერთმანეთი.

„მე რომ რუსეთის იმპერატორი შევიქნე, მე რომ მარგუნონ პერიე, — ერთი სიტყვით, ჯადოქარი რომ მოვიდეს თავისი ჯადოსნური ლამპრით და მკითხოს, რა გსურსო, მე გულზე ხელს დავიდებდი და ვეტყოდი, რომ ვისურვებდი ამ ოცნებების ფრთაშესხმას. ისევ ცრემლი მერევა. რატომ ვტირი, როცა თქვენზე ვფიქრობ? ეს სიხარულის ცრემლებია. მე ბედნიერი ვარ, თქვენდამი ჩემი სიყვარულის გამო. რა უბედურებანიც არ უნდა დამატყდეს, სავსებით უბედურად მაინც არ ჩავთვლი თავს, ვიდრე თქვენ ცოცხალი ხართ.

თუ გახსოვთ ჩვენი განშორება ივერიის ეკვდერთან, როცა ჩვენ ყაზანში მივემგზავრებოდით? როცა თითქოს ზეშთაგონებამ სწორედ განშორების წუთებში ჩამაგონა რაიც იყავით ჩემთვის და მაინც ჯერ კიდევ ბავშვმა ცრემლებითა და რამდენიმე ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვით მაგრძნობინეთ, რასა ვგრძნობდი“.

და ცხოვრობდა რა 1852 წელს კავკასიაში, პიატიგორსკში, მამა გამუდმებით იმაზე ფიქრობდა, როგორ შეხვდებოდა ისევ ამ ძვირფას ადამიანს.

„რამდენიმე თვეში, თუკი ღმერთი არ ინებებს ჩემი გეგმების ჩაშლას, თქვენთან ვიქნები და ჩემი ზრუნვითა და სიყვარულით შევძლებ დაგიმტკიცოთ, რომ თუნდაც მცირედ მაინც დავიმსახურე ყოველივე, რაიც თქვენ ჩემთვის მოიმოქმედეთ. თქვენი ხსოვნა იმდენად ცხოველად აჩნია ჩემს სულს, რომ როცა ეს სიტყვები დავწერე, კარგა ხანს გარინდებული ვიჯექი, ვცდილობდი წარმომედგინა ის ბედნიერი წუთი, როცა ისევ გიხილავთ თქვენ, როცა თქვენ სიხარულისაგან ატირდებით ჩემს დანახვაზე და როცა მე ბავშვივით ვერ შევიკავებ ცრემლებს, ვეამბორები რა თქვენს ხელს“.

და რაკი ასე ძლიერ უყვარდა ეს ადამიანი, მამა მუდამ ოცნებობდა, რომ მისი ოჯახის რომელიმე წევრი დამსგავსებოდა მას, გაემეორებინა მისი სახება.

მამამ ტატიანა დამარქვა, ხშირად მეუბნებოდა და ერთხელ კიდეც მომწერა, რომ იგი ოცნებობს, მე გამემეორებინა მისთვის ძვირფასი ადამიანის ცხოვრება, მაგრამ, ვაი, რომ არც მე დავენგავსე მას და არც ჩემი ცხოვრება მისას.

იმ დღეს, როცა შემეძინა ერთადერთი შვილი, ჩემი გოგონა ტანია, ვისაც ვუძღვნი მე ამ წიგნს, მამა მოვიდა ჩემთან გაბრაზებული და გრძნობამორეული და მითხრა, წუხელ ტატიანა ალექსანდრეს ასული მესიზმრაო. მითხრა, მინდა შენს ასულს ტატიანა დაარქვათ. მე და ჩემმა მეუღლემ, რასაკვირველია, უყოყმანოდ შევუსრულეთ სურვილი.

ტანია ხუთი წლისა იყო, როცა მისი ბაბუა გარდაიცვალა და მამას ამიტომ არ შეეძლო განესაჯა, ღირსი იყო თუ არა მისი შვილიშვილი ეტარებინა მისი საყვარელი დეიდის სახელი.

როცა მამა დაქორწინდა, ტატიანა ალექსანდრეს ასული უდიდესი სიყვარულით შეხვდა დედას. დედამაც დაინახა მისი მშვენიერი სული ამიტომ მუდამ პატივს სცემდა და ზრუნვას არ აკლებდა.

იმ დღიდან, რაც მახსოვს ტატიანა ალექსანდრეს ასული, იგი; ნატალია პეტრეს ასული და აქსინია მაქსიმეს ასული დაბლა ცხოვრობდნენ პატარა ხის მინაშენში, სადაც თვითონ ტატიანა ალექსანდრეს ასულის თხოვნით გადავიდნენ.

როცა ჩვენს ოჯახში თანდათან მომრავლდნენ ბავშვები, თვითონვე მოითხოვა, რომ იგი დაბლა გადაეყვანათ, მისი ოთახი კი ბავშვთა ოთახად გადაექციათ.

მამაჩემი ასე მოგვითხრობს ამ ამბავს თავის მოგონებებში.

„მე უკვე ცოლიანი ვიყავი, ის კი თანდათან სუსტდებოდა, ერთხელ შეგვირჩია დრო, როცა მე და ჩემი ცოლი მის ოთახში ვიყავით, შებრუნდა (ვხედავდი ატირებას არაფერი უკლდა) და გვითხრა: „აი, რა ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ჩემი ოთახი ძალზე კარგია და დაგჭირდებათ. აქ რომ მოვკვდე, — თქვა მან ათრთოლებული ხმით, — უსიამოვნო მოგონებად დაგრჩებათ, ამიტომ გადამიყვანეთ სადმე, აქ რომ არ განვუტევო სული“.

მამა უაღრესად შეძრა მისი თავგანწირვის ამ ახალმა გამოვლინებამ და დაემორჩილა გადაწყვეტილებას.

იმ დღიდან სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ტატიანა ალექსანდრეს ასული ცხოვრობდა პაწია ოთახში ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, ფანჯრები ეზოში გადიოდა.

იგი სავსებით განცალკევებულად ცხოვრობდა. მისი ოთახის კუთხეში მუქი ყავისფერად შეჭიდილი მაცხოვრის ხატი ეკიდა. თვითონ მაცხოვრის სახე იმდენად ჩაშავებული იყო, რომ ნაკვთების გარჩევა ჭირდა. გვერდით ეკიდა სახატე. მის ოთახში ზეითუნის ზეთისა და კვიპაროსის სუნი იდგა. თვითონ ტანდაბალი, ოხელი ქალი იყო, პატარა თეთრი ხელები ჰქონდა. როცა მასთან მივდიოდით, იგი იმ პატარა ხელებით გამოაღებდა განჯინის კარს და გვირიგებდა ყავისფერი ილის თაფლის პურებს.

ამ თაფლის პურებთან არის დაკავშირებული ჩემთვის ერთი სამარცხვინო მოგონება. ერთხელ ტატიანა ალექსანდრეს ასულმა სამთავე

გვიხმო, რატომღაც მეტისმეტი ცელქობისა და ოინბაზობის გუნებაზე გახლდით. ჩვეულებრივ, დეიდას ოთახი მუდამ მოკრძალების გრძნობას ბადებდა ჩვენს სულში და როგორც კი ძიგ შევიდოდით, თვითონაც ვერ ვამჩნევდით ისე გავილურსებოდით. ამჯერად ასე არ მომხდარა. გამოაღო თუ არა ტატიანა ალექსანდრეს ასულმა განჯიხის ერი თაფლის პურების ამოსაღებად, მე და ილია მივცვივდით კომოდთან, ხელიდან გამოვტაცეთ დეიდას თაფლის პურები. ჯერ პირი ამოვიტენეთ, დანარჩენი კი ჯიბეებში ჩავიყარეთ. ტატიანა შეეცადა დავეშოშმინებინეთ და შევეჩერებინეთ, მაგრამ ვერას გახდა — ისე ვიყავით ატაცებულნი, ვერავინ ვერაფერს შეგვასმენდა. რაკი ვერას გახდა და იგრძნო საკუთარი უმწეობა, ტატიანა მოშორდა კომოდს, ჩამოჯდა შორიახლო და განცვიფრებულმა და თავზარდაცემულმა შემოგვხედა. ეს შემოხედვა არასოდეს დამავიწყდება.

უცებ ისე შემრცხვა, რომ დავყარე თაფლის პურები ხელში რომ მეჭირა, რაღაც არაბუნებრივად ჩავიხითხითე, აქაოდა, ყველაფერი ხუმრობა იყო და სხვა არაფერი-მეთქი და გავიქეცი.

მაგრამ თავი მეზიზღებოდა და არც არასოდეს მიპატიებია ჩემთვის ასე უხეშად რომ მოვექეცი ესოდენ დახვეწილი და სათუთი ბუნების ქალს, ვისაც თვითონ მამაჩემიც კი მუდან განსაკუთრებული რიდით ელაპარაკებოდა.

14

არის კიდევ ერთი ადამიანი, ვინაც ხშირად მაგონდება ჩემი ბავშვობის დროიდან. ეს გახლავთ ჩემი მამიდაშვილი ვარია, მამაჩემის დის — გრაფინია მარია ნიკოლოზის ასული ტოლსტაიას ასული.

იგი ხშირად ცხოვრობდა იასნაია პოლიანაში. მახსოვს ახალგაზრდა ქალიშვილი იყო და დედამისმა გამოგზავნა ჩვენსა, რათა გადაევიწყებინა ადამიანი, ვინც უყვარდა და უნდოდა ცოლად გაჰყოლოდა. არა ერთხელ მინახავს თვალცრემლიანი. დღესავით ნათლად მახსოვს როგორ მიყვარდა და თანავუგრძნობდი მის მწუხარებას, როცა მუხლებზე ვუჯექი და თავი მის მკერდზე მქონდა მიდებული.

ისე მშვენივრად ყვებოდა ზღაპრებს, რომ შემდეგ არასდროს არავისი ნაამბობი ზღაპარი ისე არ მომწონებია, როგორც ის ზღაპრები, საღამოობით დივანზე მჯდარი ჩამობნელებულ ოთახში რომ გვიამბობდა.

დროდადრო ჰანა თავის დასთან გაემგზავრებოდა ან კიდევ ტულაში თავისი ნაცნობი ინგლისელების მოსანახულებლად: მამამ გამოუძებნა თავისი თანამემამულეები, რომ გაერთო იგი. მაშინ ვარია ჩვენთან ერთად იძინებდა ჩვენს თაღებიან და რგოლებიან ოთახში.

გამგზავრებისას ჰანა დაარიგებდა ხოლმე ვარიას, როგორ მოევლო ჩვენთვის, რის უფლება მოეცა და რის არა.

ერთი ხანობა ჰანა საღამოობით ძირტკბილას პატარა ნაწილს გვაძლევდა, რომელიც ძალიან გვიყვარდა და ჰანამ ვარიას დაუტოვა ძირ-

ტკბილას მსხვილი ღერო, რათა საღამოს თვითოეული ჩვენთაგანისთვის ცოტ-ცოტა მოეცა.

თუმცა ორმოცდაათ წელზე მეტი გავიდა, ახლაც მრცხვენია ვაღიარო, რომ იმდენად ხარბი ვიყავ, დღესაც მახსოვს, ის სიამოვნება, რასაც განვიცდიდი, როცა საღამოობით ვარია ძირტკბილას მოხრდილ ღეროს მომცემდა. ჰანა ალბათ ამოდენა ღეროს სამივეს ხუთ-ექვს ჯერზე გვამყოფინებდა.

მაგრამ ჩემი სიამოვნება დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთ საღამოს, უკვე ვეღარ შევძელი ბოლომდე მეწუწნა ძირტკბილა და საბოლოოდ თვალზე დასანახავად შემძულდა; თანაც ძილიც მომერია, ამიტომ გამოვაგდე პირიდან და ჩუმად მოვისროლე იატაკზე.

ვარია მეტისმეტად დაბნეული გოგო იყო და ამასთან დაკავშირებით ოჯახში ათას თავშესაქცევ ამბებს ჰყვებოდნენ. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ამბების მოსმენა. ამ დროს ვარია შემცბარი იღიმებოდა, თვალებს ახამხამებდა, თავს აქნევდა და ამბობდა:

— დიახ, დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ, — მართალია, ასე იყო.

ზოგჯერ კი უარს განაცხადებდა:

— არა, ეს უკვე ცილისწამებაა.

როცა თხოვდებოდა, მამამ ათი ათასი მანეთის ბანკის ბილეთი აჩუქა. ეს იყო რომან „ომსა და მშვიდობაში" აღებული გასამრჯელოს ნაწილი, მამამ თავის დისშვილებს რომ გაუნაწილა.

ვარია ფრთად მადლობელი დარჩა თავისი ბიძისა და ბანკის ბილეთი მაგიდაზე დადო.

საღამოს ისე მოხდა, რომ ვარიას ოთახში ფანჯრის მინა გატყდა. გარეთ ციოდა. მან იგრძნო ორპირი ქარი რომ უბერავდა და გადაწყვიტა ქაღალდი აეკრა, თანაც შემთხვევით მის მაგიდაზე წებოც აღმოჩნდა.

აიღო, რაც ხელთ მოხვდა პირველადვე, მეტად ოსტატურად მიაკრა მინას ქაღალდი და თავისი საზრიანობით კმაყოფილი დასაძინებლად დაწვა.

დილით ვიღაცამ ვარიას ნაჩუქარი ბანკის ბილეთი შეახსენა.

ვარიას ეს უკვე დავიწყებული ჰქონდა, რადგან იგი ამქვეყნიურ სიკეთეს ძალზე მცირე მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგრამ მაინც დაიწყო ბანკის ბილეთის ძებნა. დაიკარგა! თვითონაც ეძებს, სხვებიც ეძებენ — არ არის ბილეთი!

ბოლოს ვიღაცამ შემთხვევით შეიხედა ფანჯარაში და დაინახა, რომ ათი ათასმანეთიანი ბანკის ბილეთი ჩატეხილ ფანჯარაზე არის მიკრული.

ვარიამ თვალი დაახამხამა, ვაიო, დაიძახა, შეძრწუნდა, გაუკვირდა, ასეთი უცნაური რამ როგორ დამემართაო, მაგრამ მაინც ბოლომდე ისეთივე დარჩა, არ შეცვლილა.

მადლობა ღმერთს, რომ ისეთივე დარჩა და მთელი თავისი სიცოცხლე არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა მატერიალურ კეთილდღეობას.

როცა გათხოვდა — მისი მეუღლე გულკეთილად ყვებოდა ვარიაზე ათასგვარ ამბავს.

— თქვენ წარმოიდგინეთ, — გვიამბობდა იგი, — ამან წინათ ნაცნობ-მეგობრებთან ერთად სანადიროდ წავედი და ვარიკოს ვთხოვე ვახშამი მოგვიმზადე-მეთქი, საღამოს მოვბრუნდით-მეთქი, ბევრებივით გვშიოდა. „ვარენკა, როგორ არის საქმე, ვახშამი მზად არის?“ ეხედავ ვარიკო შეცბა. „წარმოიდგინე, კოლია, — მეუბნება იგი, — ვიფიქრე, ვიფიქრე, რა მოვუმზადო-მეთქი და ვერაფერი მოვიფიქრე“. რაღას ვიზამდით, ავდექით და სავახშმოდ რესტორანში წავედით. დასძინა მან შემწყალე ღიმილით.

მეორედ, ვარიამ და მისმა მეუღლემ მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად თეატრში ლოჟა აიღეს. შესვენების დროს ფოიეში გაისეირნეს. როცა დაბრუნდნენ უკან ლოჟაში, ვარენკა აკლდათ. მთელი მოქმედება გავიდა, ვარია კი არსად ჩანდა. ქმარი შეშფოთდა, მაგრამ ბოლოს მოიფიქრა, რა გაეკეთებინა: ჩავიდა პარტერში და იქიდან მოათვალიერა ყველა ლოჟა. დაინახა, რომ ცარიელ ლოჟაში, ოღონდ ერთი იარუსით მაღლა, იჯდა ვარია და მარტოდ მარტო, შეწუხებული იცქირებოდა აქეთ-იქით და შემცბარი კიდევ უფრო მეტად ახამხამებდა თვალებს;

— წარმოიდგინეთ, როგორც ყოველთვის წამოიწყო მან, — ვფიქრობდი, ღმერთო ჩემო, რა უცნაურია ეს ხალხი, ასე უცებ სად დამეკარგა, მიწამ ხომ არ ჩაყლაპა-მეთქი.

ერთხელ კვირა დღეს თავის უფროს ვაჟიშვილთან ერთად წირვაზე წავიდა. გზაში ბიჭუნას პალტოზე სადაფის ღილი აწყდა. ვარიამ ეს ღილი ჯიბეში ჩაიდო, ჯიბეში კი ეკლესიისთვის გამზადებული ორი უზალთუნი ჰქონდა.

და აი, როცა ჩამოუარეს ეკლესიას საინით ხელში ფულის შესაკრებად, ვარიამ ჯიბე მოიჩხრიკა, და ის დააჯდო, რაც მან ორ უზალთუნად ჩათვალა, ხურდა დაიბრუნა — შაურიანი, რათა სხვა საინზე დაედო. გააკეთა ეს თუ არა, შეძრწუნებულმა შეამჩნია, რომ საინზე უზალთუნის ნაცვლად კოლიას სადაფის ღილი დაედო. საქმის გამოსწორება გვიანღა იყო, რადგან ეკლესიის მნათემ უკვე ჩაიარა და თან წაიღო ძვირფასი სადაფის ღილი. ვარია კი ისე დაიბნა, რომ დაავიწყდა, მომდევნო საინზე დაეგდო უკანონოდ მითვისებული შაურიანი.

ასე და ამგვარად კი არ გაამდიდრა, გაქურდა ეკლესია.

აქვე დავსძენ, მიუხედავად ამისა, რომ მშობლებს უნდოდათ ჩაეშალათ მისი ქორწინება, ვარია მაინც გაჰყვა ცოლად ნ. მ. ნაგორნის, იგი კარგი და მოსიყვარულე ქმარი გამოდგა და ვარიაც არასოდეს დამდურებია ბედს თავისი არჩევანის გამო.

15

ჩვენი ოჯახი უფრო და უფრო იზრდებოდა. როცა ილია სამი წლისა გახდა, დედას კიდევ შეეძინა ვაჟი — ლევი“. მე ძალიან დამწყდა გული ისევ ძმა რომ გამიჩნდა. ბიჭებისაგან თავი მობეზრებული

მქონდა და გულით ვნატრობდი და ვოცნებობდი, თუ როგორ ვითამაშებდით მე და ჩემი ლაიკო თოჯინობანას და ცხოვრებაც სულ ასეგვარი მექნებოდა, ვინემ ძმებთან.

ვიცითონ, ისე რომ არავის წავუქეზებივარ, დილის და მწუხრის ლოცვას მივუმატე ინგლისური წინადადება: „ღმერთო, [illegible], მომივლინე დაი“.

და აი, 1870 წლის 12 თებერვალს დედას ასული შეეძინა — დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემმა ლოცვამ გაჭრა და მოუთმენლად ველოდი, როდის ვნახავ-მეთქი. როგორც იქნა, შეგვიყვანეს დედას საძინებელ ოთახში. სანახევროდ ჩაბნელებულ ოთახში იწვა დედა, მშვიდი, ლამაზი და მისუსტებული. საწოლზე მის გვერდით იწვა ნამცეცა ერთიანად წითელი, დაბრეანჭული არსება, რომელსაც თივთიკისა და საბავშვო ფხვნილის სუნი სდიოდა. ეს პაწია ქმნილება ოდნავ ფათურობდა და ჩუმად და საწყალობლად წითდა.

„აი იგი, ვისაც ველოდი, ჩემი სასურველი მეგობარი, ვისთანაც თოჯინა უნდა მეთამაშა, ვისთვისაც უნდა გამეხდო ყველა ჩემი ქალწულებრივი ფიქრი და გრძნობა, რის გაგებაც ბიჭებს არ შეეძლოთ დიდხანს, კიდევ კარგა ხანს დამჭირდება ლოდინი, ვიდრე ეს უბედური, უმწეო არსება გოგონა გახდება!“ — გავიფიქრე მე.

ამჯერად დედასთან მცირე ხანი გვამყოფეს. ფრთხილად დავიხარე და ვაკოცე ჩემს პაწია დაიკოს. სიბრალულისა და სინაზის დედობრივი გრძნობა დამეუფლა, თითქოს დაკი არა შვილი იყო ჩემი. შემდეგ დედას ვეამბორე და საძინებელი ოთახიდან გულაჩვილებული დავბრუნდი. უკმაყოფილო ვიყავ.

მალე გავიგე, რომ დედა მძიმედ ავად იყო და რომ პაწია დაიკო მეტისმეტად სუსტი დაიბადა.

ერთმანეთს მისდევდა ნაღვლიანი დღეები. დედას ვერ ვნახულობდით.

მაშა ზოგჯერ კი შემოვიდოდა ჩვენთან, მაგრამ ყოველთვის შეწუხებული იყო და წასვლას ჩქარობდა. როცა შევიდოდი მაშასთან — ასე ეძახდნენ ჩემს ახალ დაიკოს — ძიძა მარია ათანასეს ასული ალერსიანად როდი შემეგებებოდა. მაშა თითქმის სულ ტიროდა, ძიძა ან უნანიებდა, ან საფენებს ურავლიდა და ვგრძნობდი, რომ ხელს ვუშლიდი, სიამოვნებისა კი რა მოგახსენოთ.

ბოლოს, როგორც იქნა, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, დედა გამოჯანსაღდა.

მაშა კი სულ შეუძლოთ იყო, რა საუკეთესო არ აწუხებდა და ბოლოს საყმაწვილოც თან დაერთო. მახსოვს მისი თავ-პირი, ერთიანად მოფენილი იყო ჩირქოვანი გამონაყარით. ძიძა თავისებურად მკურნალობდა, თავზე რძის ნაღებს უსვამდა, ნაღები მეავდებოდა ხოლმე და ამიტომ მუდამ მეავე და უსიამო სუნი ჰქონდა.

მე, ვისაც ასე გულით მსურდა ამსანაგი, გოგო მყოლოდა გული გამიტყდა და ისევ დავუმეგობრდი ძმებისა და ჰანას საზოგადოებას.

მაშას გამოკეთებას დიდი დრო დასჭირდა. საყმაწვილო სენმა კი გაუარა, მაგრამ ისევ მეტისმეტად სუსტი და ნაზი არსება იყო და მთელი ცხოვრება ასეთივე დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16

ჩვენ, სამი უფროსი შვილი, ბავშვობაში უმცროსებისაგან საკმაოდ განცალკევებულად ვცხოვრობდით. მე მიყვარდა უმცროსებთან საბავშვო ოთახში სიარული, გართობა, მაგრამ ჭეშმარიტი ცხოვრება სერიოჟასა და ილიასთან იწყებოდა.

ისინიც ამასვე გრძნობდნენ.

„მას აქეთ, რაც თავი მახსოვს, — წერს ილია თავის მოგონებებში, — ბავშვების ამალა ორად იყო გაყოფილი: დიდებად და პატარებად: დიდები ვიყავით: სერიოჟა, ტანია და მე. პატარები: ძმა ლელია და დაი მაშა.

ჩვენ, უფროსებს პატარებისგან მუდამ შორს გვეჭირა თავი და ახლოსაც არ ვიკარებდით, რაკი არაფერი არ ესმოდათ ჩვენი და მხოლოდ ხელს გვიშლიდნენ თამაშის დროს.

ამ პატარების გამო შინ ადრიანად უნდა წახვიდე, ისინი შეიძლება გაცივდნენ, ჩვენ გემოზე ვერც ვიხუმრებთ, რადგან დღისით იძინებენ. ხოლო, თუ რომელიმე მათგანი ჩვენს გამო ატირდება და დედასთან დაგვაბეზღებს, ყოველთვის დიდები ვართ დამნაშავენი, მუდამ ჩვენ გვტუქსავენ და გვსჯიან.

ყველაზე ახლოს ასაკითაც და სულიერადაც ტანიასთან ვიყავი, იგი წლინახევრით უფროსია ჩემზე, შავთვალაა ყოჩაღი, რას არ მოიგონებს, მასთან მუდამ მხიარულად ვარ, თითქოს უსიტყვოდაც გვესმის ერთმანეთის.

ისეთი რამე ვიცით, რასაც ჩვენ გარდა სხვა ვერავინ გაიგებს.

დარბაზში სასადილო მაგიდის ირგვლივ გვიყვარდა სირბილი.

ღაჭრავ ხელს მხარზე და გაიქცევი მეორე მხარეს. — მე ბოლო ვარ, მე ბოლო ვარ. (მე დაგასწარი) იგი დაგეწევა, მომიტყაპუნებს ხელს და ისევ გაიქცევა.

— მე ბოლო ვარ, მე ბოლო ვარ.

ერთხელ დავეწიე, ის იყო ხელი გავწიე, რომ დამერტყა, — მაგრამ ტანია შედგა, პირისახით ჩემსკენ შემობრუნდა, მოჰყვა ხელების ქნევას, ასკინკილას, თან იძახდა: „მე ხომ ბუ ვარ, მე ხომ ბუ ვარ“.

მე, რასაკვირველია, მივხვდი, რომ თუ კი ის ბუა, მაშინ მისი ხელის ხლება არ შეიძლებოდა.

სერიოჟა, ღმერთმანი, ამას ვერ მიხვდებოდა, დაიწყებდა გაუთავებლად გამოკითხვას, და მსჯელობას, რატომ არ შეიძლება ბუს ხელი ახლოო, და ბოლოს დაასკვნიდა ვერაფერი მახვილგონივრული ვერ არისო. მე კი მაშინვე მივხვდი, ეს რა ჭკვიანურად მოიფიქრა-მეთქი. ტანიამ იცოდა, რომ გავუგებდი, ამიტომაც მოიქცა ასე.

ჩვენ ზამთარ-ზაფხულ იასნაია პოლიანაში ვცხოვრობდით, მაგრამ არასოდეს მოგვწყენია.

მამამ, ვინაც იცოდა სილამაზე და სარგებლიანობა „დიდი განმარტოებულად ცხოვრებისა", რაც მისმა დეიდამ ტატიანა ალექსანდრეს ასულმა ასწავლა, თავისი ოჯახიც ასეთსავე პირობებში ჩააყენა.

ამ ცხოვრებისათვის მე მუდამ მადლობელი ვარ. მამა ჩემმა, რაკი სოფელში ვიზრდებოდით, ჩვენ ვერ მოვასწარით ყალბი სიამოვნების მოყირჭება, არამედ ვისწავლეთ ბუნებაში ცხოვრების სიყვარული და დაფასება, შევძელით გასართობი გვეპოვა ბუნებაშიც და საკუთარ თავშიც.

ალბათ ვერც ერთი ქალაქელი ბავშვი ვერ შეიგრძნობს იმ სიტკბოებებს რასაც განმაცდევინებდა დაუსრულებელი ცივი ზამთრის შემდგომ არყის ხის ძირას გამხვალ შავ მიწაში პირველი სურნელოვანი მწვანე ბალახის ხილვა.

ჩემს სიხარულს მუდამ ჰანას ვუზიარებდი ხოლმე, რომელიც თანამიგრძნობდა და მასწავლიდა ბალახეულისა და სხვა მცენარეთა სახელწოდებებს ინგლისურად.

რაკი სათამაშოები ცოტა გვქონდა, ზოგჯერ თვითონ, ვაკეთებდით. ერთ-ერთი საყვარელი თამაში იყო წაკითხული მოთხრობებისა და ზღაპრების წარმოდგენა ქაღალდის თოჯინებით, თვითონ რომ გამოვჭრიდით და გავაკეთებდით. საათობით ვიწექით ხოლმე სამივენი იატაკზე პირჩაღმა და ვლაპარაკობდით ჩვენი ქაღალდის გმირების მაგივრად, ვცხოვრობდით მათი ცხოვრებით და გვაღელვებდა მათი ფათერაკებით სავსე თავგადასავალი.

ჯერ ისევ ადრეულ გაზაფხულზე ვერთობოდით ძალზე საყვარელი ჭვავის ფქვილისაგან გაკეთებული ტოროლებით, მუდამ რომ გვიმზადებდა საცხრამარტოდ მაშინდელი მზარეულის ვაჟი — იასნაია პოლიანას ამჟამინდელი მზარეული სენია რუმიანცევი.

ეს იყო ტოროლების მთელი ოჯახი.

მთავარ ტოროლას — დედას — დიდი ბრტყელი ზურგი ჰქონდა, და ზედ ასხდა ბარტყების მთელი გუნდი, ზოგჯერ აქვე კვერცხებიანი ბუდეც იდო.

ყველა ბარტყს ყელზე სხვადასხვა ფერის შალის ძაფებს ვაბამდი, ხოლო დედა — ტოროლასთვის მუდამ ვცდილობდი ლამაზი ბაფთა მეშოვნა. მორთულ-მოკაზმული ტოროლა ძაფზე გამობმული თან მიმქონდა სეირნობის დროს. მახსოვს როგორ მივათრევდი ტოროლას ზაფხულის მზისაგან გამხვალ თოვლზე და როგორ გაილუმპებოდა ხოლმე იგი.

როცა წყლისაგან სულ მთლიანად დარბილდებოდა და მოიჩვარებოდა — და მერე ნაკუწ-ნაკუწ ტყდებოდა, სხვა რაღა უნდა მექნა, უნდა შემეჭამა. მას სველი თოვლისა და ცხენის ფუნის სუნი სდიოდა, მაგრამ მით უფრო გემრიელი მეჩვენებოდა.

ყველაზე საუკეთესო თოჯინები ჩემი ნათლიის — დიმიტრი ალექსისძე დიაკოვის ნაჩუქარი იყო. დიაკოვი ისე ძალიან მიყვარდა, რომ ის და მამაჩემი ამქვეყნად ყველაზე ლამაზი მამაკაცები მეგონა. მაშინ როცა ჩემი ნათლიაც და მამაჩემიც სულ სხვა თვისებებით გამოირჩეოდნენ, ოღონდ არა სილამაზით. განსაკუთრებით დიმიტრი ალექსის ძეზე ითქმის ეს.

მას წითური წვერი ჰქონდა, უზარმაზარი მუცელი, ნამცეცა, ქონში ჩამსხდარი ნაცრისფერი თვალები.

მაგრამ ამ თვალებიდან მუდამ სიკეთე, სიეშმაკე და ხალისი გამოკრთოდა და როცა ჩამოდიოდა ისე გვაცინებდა, რომ სადილობის დროს ყველანი ვიხოცებოდით სიცილით. ერთი კაცი გვყავდა ეგორი, სუფრას ველარ ემსახურებოდა, ერთხელ კი ისეთი სიცილი წასკდა, რომ მერე შეცბა, დააგდო სინი სამარეაფო მაგიდაზე და ბუფეტში გაიქცა.

თითქმის ყოველ წელიწადს მჩუქნიდა ჩემი ნათლია თოჯინას, რომელსაც ყოველთვის მაშას ეძახდი მისი ქალიშვილის პატივსაცემად, და მუდამ ისეთი ლამაზი იყო, რომ სათამაშოდაც ვერ ვიმეტებდი. თმები ნამდვილი ჰქონდა, თვალებს ახელდა და ხუჭავდა, როგორც კი ჩამოქაჩავდნენ თოკზე, ბოლოში ლურჯი და მწვანე მძივი რომ ჰქონდა მიბმული მოკლედ და დუდღუნით ამბობდა: „დედა, მამა“.

ხელებიც ისევე ფაიფურისა ჰქონდა, როგორც თავი, ნიდაყვებსა და თითების ნაკეცებში ვარდისფერი ღრმულები აჩნდა.

როგორც არ ვუფრთხილდებოდი მაშას, მაგრამ დროთა განმავლობაში თითები დაემტვრეოდა, თმები დასცვივდებოდა, გაუთხელდებოდა, და ბოლოს თავიც გაუტყდებოდა.

მახსოვს ერთხელ მე და ილია ერთ-ერთ თოჯინა მაშას ვათამაშებდით, უცებ დაგვივარდა და მისი ლამაზი თავი უამრავ ნაწილად დაიმსხვრა. არაფერი გვითქვამს, მხოლოდ შევხედეთ ერთმანეთს, მერე უცბად პირჩალმა იატაკზე დავეყარენით ხმამაღლა და გაბმით ავღრიალდით, ჰანა მოვიდა დასამშვიდებლად, მაგრამ დიდხანს ვერ შევურიგდით ჩვენი მეგობრის დაკარგვას, რადგან შევეჩვიეთ ამ თოჯინას და უკვე გვიყვარდა კიდეც.

მე კიდევ შვიდი პატარა ფაიფურის თოჯინა მქონდა, ტანზე არც ერთს არ ეცვა, ეს თოჯინები ასე მერგო.

ერთხელ ავად გავხდი და საწოლში ვიწექი, მამა სადღაც გაემგზავრა, როცა ჩამოვიდა, ჩემს სანახავად მოვიდა, მამაჩემის მოსვლა ჩემს ოთახში მუდამ იმ დღიდან მოყოლებული რაც თავი მახსოვს და მისი სიცოცხლის დასასრულამდე, იყო მოვლენა, რასაც სიხარული მოჰქონდა, ჩემში, განსაკუთრებული კმაყოფილება, ბედნიერი განწყობა და სილბო იღვრებოდა.

მამა შემოვიდა საწოლზე ჩამომიჯდა. ჩვეულებისამებრ, ყოველთვის როცა ავად ვიყავი, მეკითხებოდა, — როდის შევწყვეტ თავის მოკატუნებას, აქაოდა ავად ვარო?

მერე უცებ შეკრთა, ხელი კისერთან იტაცა, ვითომ რაღაცამ უკბინაო.

— ერთი ნახე, ჩურკა, — მითხრა მან, — რამ მიკბინა კისერზე.

საყელოში ხელი ჩავუყავი, და იქიდან ნამცეცა ფაიფურის თოჯინა ამოვათრიე. ვერ მოვასწარი გაკვირვება, იქ საიდან გაჩნდა-მეთქი, რომ მამამ უცებ ისევ მოიკატუნა თავი, თითქოს ახლა რაღაცამ ბერანგის ყოშქვეშ უკბინა. ვნახე და იქაც აღმოჩნდა ცოტა უფრო მოზრდილი თოჯინა. შემდეგ მესამე — უფრო დიდი თოჯინა ერთ ქოშში აღმოჩნდა, მეოთხე თოჯინა — მეორე ქოშში, — ასე აღმოვაჩინე სხვადასხვა ადგილას შვიდი თოჯინა, რომელთაგან სულ ბოლო, მეშვიდე ყველაზე დიდი იყო. შემდეგ მათი აბაზანაც მოიძებნა. ეს თოჯინები იყო ერთადერთი სათამაშო, ოდესმე რომ უჩქეფია მამას. მე ისინი ძალზე მიყვარდა და დიდხანს ცხოვრობდნენ ჩემთან.

მახსოვს, ბავშვობაში ხშირად ავადმყოფობდი. ზოგჯერ დილით თავის ტკივილი ამყვებოდა, ნამძინარევი მივდივარ ოთახში, ჩემი მშობლების საძინებელი ოთახის გვერდით, სადაც იატაკზე აფენია უზარმაზარი შავი დათვის ტყავი. ვწვები ამ ტყავზე და თავს დათვის თავზე ვადებ.

ეს განსაკუთრებული დათვია. ისეთი თავი აქვს, ცოცხალი გეგონება. მისი მსუბუქი თაფლისფერი შუშის თვალები ნამდვილივით შემოგვყურებენ. დაღებული ხახიდან ყველა კბილი მოუჩანს, ენაც კი ნამდვილი გეგონება. რაც მთავარია, ვიცით, რომ სწორედ ეს დათვი უპირებდა მამას დაგლეჯას — მთელი სიცოცხლე დააჩნდა შუბლზე ნაიარევი, — დათვის დანატორი.

ხშირად ვუყვებოდით ამ ამბავს ნაცნობ ბავშვებს და ზოგჯერ მამა ვერ ხვდებოდა რად მიჩერებოდნენ ასე დაჟინებით ბავშვები. მაგრამ როცა მიხვდებოდა, მუდამ სიამოვნებით უჩვენებდა მათ თავის იარას და ხშირადაც ყვებოდა, როგორ მოხდა ეს ამბავი. დიდი ხნის წინათ, სმოლენსკის გუბერნიაში ტყვია უსვრია დათვისთვის, მაგრამ ვერ მოუკლავს. გაშმაგებული დათვი დასტაკებია მამას, მიწაზე დაუნარცხებია და კბენა დაუწყია, თან ტორებში იმწყვდევდა თურმე. მამა ყვებოდა, როგორ გრძნობდა პირისახეში დათვის ცხელ სუნთქვას და როგორ იხსნა იგი მისმა ამხანაგმა, მონადირე გლეხმა, ოროლით რომ გააქცია დათვი.

ვწევარ დათვის უხეშ ტყავზე, თითს კბილებში ვუყოფ, ვფიქრობ რა საფრთხეში ჩააგდო მამაჩემის სიცოცხლე ამ მხეცმა და ჩუმად ვიძინებ, ვიდრე ხალათმოსხმული, თმააწეწილი და წვერგაჩეჩილი მამა არ გამოვა საძინებელი ოთახიდან, რათა კაბინეტში ჩაიცვას ტანზე, არ გამაღვიძებს და არ მიბრძანებს, საწოლში ჩაწექით.

17

სხვადასხვა სენი ისე შეგვეყრებოდა და მერე ისე გაგვივლიდა, რომ მიზეზი არაფერი ჩანდა; ხოლო როცა ჩვენი ანცობით თითქოს უსათუოდ უნდა მოგვსლოდა რამე — სწორედ მაშინ არ ვხდებოდით ავად.

მაგალითად, ხშირად სოფის მიბაძვით აი, ის 51 წიგნში როგორც ხდება, თავსხმა წვიმაში თავს შევუშვერდი ხოლმე წყლის სატინარ მილს და თავით-ფეხამდე გავილუმპებოდი. ერთხელ კი, როცა მე და ჩემი ძმები ვგუნდაობდით და თან თოვლის პაპას ვდგამდით, ისე დავსველდი თოვლში, რომ ერთიანად გავითოშე.

ერთხელ, გაზაფხულზე, ნასაუზმევს, სწორედ ~~ბანაბ~~, ~~როცა~~ წყალი ირგვლივ მომეტებულად არის, ჰანასთან ერთად სასეირნოდ წავედი.

მარტი იყო, ერთ-ერთი იმ დამათრობელ დღეთაგანი, როცა მზე მთელი ძალით აცხუნებს, ტოროლები წკრიალებენ და შორს იჭრებიან მოწმენდილ ლაჟვარდ ცაზე, თოვლი სანახევროდ ამდნარია, ხოლო რაც დარჩა, სველია და ფაშარი; როცა თოვლის საფარველიდან ეს-ესაა განთავისუფლებული და მზისგან გამთბარი მიწა ლღვება და რაღაც მისეულ, განსაკუთრებულ, ჯანსაღ და მკვეთრ სურნელს აფრქვევს; როცა ახლად ამოწვერილი მწვანე ბალახის ყლორტები მზისკენ იჩქარიან, ხოლო მზისგულზე გადამშრალ ბორცვებზე უკვე ჩნდებიან ბურძგლა ყვითელი ყვავილები.

ასეთ დღეებში ადამიანთა ხმები თუ ძალლების ყეფა, ჩიტების ჭიკჭიკიც და წყლის ჩქრიალიც უფრო ხმიერი, ცოცხალი და მჟღერია გაზაფხულის ჰაერში.

მე და ილია სხვა და-ძმებისაგან იმით განვსხვავდებოდით, რომ ჩვენს ბუნებაში ჭარბად იყო ის სასიცოცხლო ძალა, რასაც ინგლისელები ცხოველურ სიმკვირცხლეს უწოდებენ და რაც ზოგჯერ ისე გაგვიჯდებოდა ძვალ-რბილში, დაბანგულებს ვემსგავსებოდით და თავს ველარ ვიმორჩილებდით.

გაზაფხულის ამ დღესაც ასე დაგვემართა. ჰანას არ ვუჯერებდით და თავაშვებული კვიცებივით ვნავარდობდით, არ ვუყურებდით, სად მშრალი იყო და სად სისველე.

ბოლოს იასენკაზე აღმოვჩნდით. ეს ნაკადული თუ მდინარე ჩვენს პარკს ჩაუდის და ზაფხულობით თითქმის მთლიანად შრება. ახლა კი იასენკა ნამდვილი ნიაღვარივით აფოფრილიყო, მიექანებოდა და თავისი ჭუჭყიანი, ყვითელი ტალღებით ყინულისა და თოვლის უზარმაზარი თოშები მიჰქონდა. მე და ილია იასენკასაკენ გავიქეცით, გავრბოდით სველ თოვლზე, რომლის ქვეშაც ნაბიჯის ყოველ გადადგმაზე ბუყბუყებდა და ტკაცუნებდა წყლისგან გაჟივებული მიწა. მდინარის კალაპოტთან რომ მივირბინეთ, წამით შევყოყმანდით, შემდეგ კი სიტყვის უთქმელად პირდაპირ წყალში შევაბიჯეთ. თუმცა მეცა და ჩემს ძმებსაც მაღალყელიანი, საჭაობე ჩექმები გვეცვა, წყალმა მაინც გაგვივსო. ოდნავადაც არ შევმცბარვართ, ისე ავუყეთ მდინარის კალაპოტს, სულ აღმა-აღმა.

აქამდე მახსოვს, რა სიამეს ვგრძნობდი. მდინარის კალაპოტში რომ მივაბიჯებდი, ხშირად ხან ორმოში დამიცდებოდა ფეხი და ხან წყლის სარაჯაში და წყალი ლამის პირ-სახეზე მცემდა. წინ გადახრილი მივდიოდი დინების საწინააღმდეგოდ და ვგრძნობდი, რაოდენ ძლიერად მეჯახებოდა წყალი.

შემხვედრი ყინულის თოშები გულმკერდზე მხვდებოდა, მაგრამ არც ტკივილს ვგრძნობდი, არც დაღლილობას და გამარჯვებულივით მივიწევდი წინ.

წყლიდან რომ ამოვედი, ვიგრძენი, რა მძიმე და ცივი იყო ჩემი ტანისამოსი. ჩექმებში წყალი ბუყბუყებდა და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე იღვრებოდა ჩექმის ყელიდან.

ძეშინოდა და მრცხვენოდა, პანასა და მშობლებს ვჩვენებოდი ასეთი დანაშაულის ჩადენის შემდეგ. მაგრამ ისე დიდად ვიყავი კმაყოფილი, სინდისი არ მქენჯნიდა ჩემს საყვარელ აღმზრდელს რად არ გავუგონე-მეთქი.

ავად არ გავმხდარვართ და სასჯელი, ჩვენი ცუდი საქციელის გამო რომ დავიმსახურეთ, მოთმინებით გადავიტანეთ. სამი დღით აგვიკრძალეს სეირნობა. ვისხედით შინ, მაგრამ ტკბილად ვიგონებდით ჩვენი გასეირნების ამბავს.

18

1870-1871 წლის ზამთარში მამამ თავდავიწყებით დაიწყო ბერძნული ენის შესწავლა. დილიდან შუაღამემდე კითხულობდა და თარგმნიდა კლასიკოსებს.

როგორც სჩვეოდა, ბევრს ლაპარაკობდა თავის გატაცებაზე და გამუდმებით გვესმოდა, რაოდენ აღფრთოვანებული იყო ბერძნული ენით.

როცა რომელიმე მეგობარი ჩამოუვიდოდა, გასაქანს არ მისცემდა ხოლმე, ნახეთ, როგორ ვთარგმნი ბერძნული ენიდან ან ბერძნულ ენაზეო.

მახსოვს წიგნზე დახრილი მისი თავი, დაძაბული, ყურადღებიანი პირისახე და აწეული წარბები, როცა სწრაფად ვერ გაიხსენებდა რომელიმე სიტყვას.

1870 წლის დეკემბერში ფეტს სწერდა — დილიდან შუაღამემდე ბერძნულ ენას ვსწავლობო. „არაფერს არ ვწერ, მხოლოდ ვსწავლობ“.

მაგრამ ფეტს არ სჯეროდა, რომ მამაჩემი მარტო მოერეოდა ასეთ რთულ ენას და თავის მეგობრებს ეუბნებოდა თუ კი იგი ბერძნულს შეისწავლის ტოლსტოის ბერძნული ენის დიპლომისათვის ჩემი ტყავი მომიციაო.

„...თქვენი ტყავი, ჩემი ბერძნული ენის დიპლომისათვის რომ უნდა გაიღოთ, — საფრთხეშია, — წერს იგი ფეტს. ეს მართლაც დაუჯერებელი ამბავია, რომელსაც სახელს ვერ მოუძებნი, მაგრამ მე უკვე წავიკითხე ქსენოფონტე და ამჟამად პლატონს გამოკითხული ფურცლიდან ვკითხულობ... რა ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა შთამაგონა ეს სიგიჟე. ჯერ ერთი ვტკბები, მეორეც, დავრწმუნდი, რომ ყოველივე ჭეშმარიტად მწვენიერებაა და უბრალოდ მშვენიერებისა, რაც კი ადამიანის სიტყვას შეუქმნია, აქამდე არაფერი მცოდნია, ისევე როგორც არავინ იცის (გამოვრიცხავ იმ პროფესორებს, რომლებმაც თუმც კი იციან, მაგრამ არ

ესმით), მესამეც, იმიტომ, რომ აღარ ვწერ და მეტად აღარასოდეს აღარ დავწერ ისეთ გაუწყობელ, გაუთავებელ სიცრუეს, როგორც ომი და მშვიდობაა. ღვთის გულისათვის, გამაგებინეთ, რატომ არავინ არ იცის ეზოპეს იგავები, უმშვენიერესი ქსენოფონტე, რომ აღარ ფერი ცოცქვა პლატონზე, ჰომეროსზე, აწი რომ უნდა წავიკითხო?"

„სივიე" მამას ძვირად დაუჯდა. მან ქანცი გაიწყვიტა დაძაბული მეცადინეობის შედეგად და რაღაც გაურკვეველ სენით შეიქნა ავად. დედა ძალზე წუხდა და მოსკოვს გამგზავრებას თხოვდა ექიმებთან.

მამა დაეთანხმა და გაემგზავრა თავის კარგ ნაცნობთან, იმ ხანებში სახელგანთქმულ ექიმთან — ზახარინთან. 1871 წლის ივნისს მამა ფეტს წერს:

„დიდი ხანია არ მომიწერია და არც ვყოფილვარ თქვენთან იმის გამო, რომ ავად ვიყავ და ახლაც ავად ვარ, თვითონაც არ ვიცი რით, მაგრამ ეტყობა, რაღაც ცუდი რამ მჭირს ან იქნებ კარგი, ეს მერე გამოჩნდება, ვნახოთ ბოლო როგორი ექნება.

ძალა გამომელია, არაფერი არ მჭირდება და არც მინდა, გარდა სიმშვიდისა, რომელიც არ არის...

ზახარინმა გულითადად გაიზიარა მამის მდგომარეობა, ურჩია სამარის ველებზე წასულიყო, რამდენიმე კვირა ეცხოვრა იქ უზრუნველად, დაელია კუმისი და დაესვენა.

მამამ თან გაიყოლა თავისი ცოლისძმა — ძია სტიოპა ბერსი და ველად გაემგზავრა.

1871 წლის ზაფხულში ტურგენევი სწერდა ფეტს მამაჩემზე. „...ძალზე მაწუხებს მისი ავადმყოფობის ამბავი: მას ხომ ორი ძმა ჭლექით დაეხოცა და ამიტომ ძალიან მიხარია კუმისზე რომ მიდის, რომლის სარგებლობის ნამდვილად მჯერა. ლ. ტოლსტოი, ეს ერთადერთი იმედი ჩვენი დაობლებული ლიტერატურისა, არც შეიძლება და არც უნდა გაქრეს პირისაგან მიწისა, ისევე მალე, როგორც მისი წინამორბედნი: პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი. გამოჩხრიკა მანაც უცებ ბერძნული ენა".

მამამ ველად ექვსი კვირა დაჰყო. ყოველ კვირაში ჯანმრთელობა თანდათან უუმჯობესდებოდა.

მამის ამხანაგებს ლიტერატურის მხრივ მეტისმეტად აწუხებდათ მისი ასეთ დღეში ჩავარდნა. და ფეტი გამუდმებით ატყობინებდა ტურგენევს ლ. ტოლსტოის ჯანმრთელობის ამბავს.

„გმადლობთ, რომ შემატყობინეთ ამბები, — წერს ტურგენევი ფეტს 1871 წლის 6 აგვისტოს, — ფრიად მოხარული ვარ რომ ტოლსტოი უკეთ გრძნობს თავს და რომ ასე მოერია ბერძნულ ენას, ეს მისთვის დიდი პატივია და დიდადაც წაადგება".

შემდგომ წერილში წერს: „გამახარა ცნობებმა, ტოლსტოის შესახებ რომ მომაწვდინეთ. ფრიად მოხარული ვარ, რომ ჯანმრთელობა გამოუკეთდა და მუშაობს. რაც არ უნდა გააკეთოს, კარგი იქნება..."

ჩვენთვის, ბავშვებისათვის ეს ზაფხული ნაღვლიანად დაიწყო. მამა

არ იყო, დედა დარდობდა და წუხდა მამის გამო. ჰანაც რაღაც შეუძლოდ გახდა, მისი მდგომარეობა აშინებდა და გულს ტკენდა ჩემს მშობლებს.

დედა ჰანას ამბავს მამას სამარაში ატყობინებდა. იგი ასეთად წერდა: „ყველას ჩამოგიყვანდით აქ: შენ, სერიოჟას, ჰანას. როგორ მტანჯავს მისი ავადობა. ღმერთმა ნუ ქნას ავად შეიქნეს.

იმ სანებში ჩვენსა, დედას რომ მიშველებოდა, ცხოვრობდა ჩემი ბებია ლ. ა. ბერსი ნათლიაჩემი. რომელიც გვასწავლიდა და ხშირად ჰანას მაგიერ სეირნობდა ჩვენთან ერთად.

დედაჩემი მთელი დღე ვერ უთავდებოდა ჩვენზე ზრუნვას და განსაკუთრებით პაწია სუსტი მიშას მოვლას. იგი წერს, მამას რომ განსაკუთრებით მტკივნეულად შეუყვარდა თავისი პაწია მიშა. „მე ახლა რაღაცნაირი გულისმომწყვეტი გრძნობა მეუფლება, როცა მესმის მისი საცოდავი ტირილის ხმა და ვხედავ მის გალეულ პაწია სხეულს. გამუდმებით თავზე ვევლები, რარიგ მინდა მზრუნველობით რაც შეიძლება გამოვაბრუნო.

მამას ჩვენც ვწერდით წერილებს. ივნისში სამარიდან ასეთი წერილი გამომიგზავნა:

„ტანია!

აქ ერთი ბიჭი 4 წლის არის და აზისს ეძახიან; ბუთხუზაა, მრგვალი, სვამს კუმისს და სულ იცინის. სტიოპას ძალიან უყვარს, სულ კამფეტებს აძლევს. ეს აზისი ტიტველა დაიარება. ჩვენთან ერთად კი ერთი ბატონი ცხოვრობს, დამშეულია, იმიტომ რომ ცხვრის ხორცის მეტი საჭმელი არაფერი აქვს. სწორედ ეს ბატონი ამბობს: „კარგი იქნებოდა აზისი შემეჭამა — მერე როგორი მსუქანია“. მომწერე რა ნიშანი გაქვს ყოფაქცევაში. გკოცნი.“

მე მამას თვითონ ვწერდი წერილებს, ილიამ კი წერა არ იცოდა. დედა ატყობინებს მამას:

„შენს წერილებს ამათ (ბავშვებს) რომ მოსწერე ხვალ წავუკითხავ... უეჭველად მაშინვე გიპასუხებენ. ილუშამ უკვე მთხოვა მის მაგივრად მოგწერო, თანაც ისეთი ნაზი ხმით მთხოვა ხომ იცი, თვითონ არ შემიძლიან, — რომ გამიკვირდა“.

ივლისში ზაფხული რამდენადმე გამოცოცხლდა.

სამარაში რომ მიემგზავრებოდა, მამამ გზად მოსკოვში ჩვენთვის იყიდა „გიგანტური ნაბიჯები“, მოგვწერა და დაწვრილებით დაგვარიგა, თუ როგორ უნდა დაგვედგა. დავუძახეთ დურგლებს ამოვირჩიეთ ადგილი სახლის წინ მინდორში. მოვჭერით კარგა აშოლტილი მუხა და რამდენიმე დღეში უკვე ყველამ დავიწყეთ სირბილის სწავლა.

„გუშინ პირველად ყველანი — დიდებიც და პატარებიც, — წერდა დედა მამას, — აზარტულად დარბოდნენ „გიგანტური ნაბიჯებით“. ბავშვებსაც საშინლად მოეწონათ, აღფრთოვანებულები იყვნენ, დასაძინებლად არ მიდიოდნენ, ჩაის დალევა არ უნდოდათ, და სულ მინდვრისკენ მიიწევდნენ“.

მალე მე და სერიოჟა კარგად დავრბოდით. მხოლოდ ბუთხუზა ილია სულ ეცემოდა. ჩამოეკიდებოდა ზოგჯერ მარყუჟზე, ველარ შეძლებდა ისევ ფეხზე დადგომას და ტრიალებდა ასე, სანამ მიწაზე არ დაჯდებოდა.

ზაფხულის მიწურულს ჰანამ საგრძნობლად მოიკეთა, რაც დედა ჩემმა სიხარულით აცნობა მამას:

„ახლა ჰანაც ჯანმრთელად არის, მხიარულად, და როგორც ყოველთვის მასთან კარგად და მსუბუქად ვგრძნობ თავს. რომ იცოდე რა ერთგული მეგობარი და შემწეა ჩემი“.

მალე მამა და სტიოპა ჩამოვიდნენ და მაშინ სრული ბედნიერება ვიგრძენით.

როცა მამა ჩვენთან არ იყო, ასე გვეგონა, რომ ცხოვრებას სისავსე აკლდა, არ გვყოფნიდა ჩვენი არსებობისათვის რაღაც ძალზე საჭირო-თითქოს ცხოვრება როგორღაც ისე მიედინებოდა, ხოლო ნამდვილი ცხოვრება იწყებოდა მხოლოდ მაშინ, როცა მამა ისევ ბრუნდებოდა.

როცა ჩამოვიდა მაშინვე გავუმხილეთ ჩვენი მთავარი გატაცება იმ ხანად — „გიგანტური ნაბიჯები“ რომ იყო და მანაც ძალზე სწრაფად ისწავლა სირბილი და ხშირადაც დარბოდა ჩვენთან ერთად.

ერთხელ სადილად ვისხედით და ხუთი წლის ბუთხუზა ილიამ მამას ახსნა-განმარტება დაუწყო „გიგანტური ნაბიჯებისათვის“ ერთი ხერხი მოვიგონეთ.

— იცი, მამა რა მოვიგონე? — დაიწყო მან, — ეს მეტად თავშესაქცევი რამ იქნება...უნდა გამოვთალოთ ჭოკი, ჭოკზე უნდა მივაჭედოთ ფიცარი, შემდეგ კიდევ ჭოკი უნდა გამოვთალოთ, ჭოკზე ისევ ფიცარი...

მე და სერიოჟას ხმამაღლა სიცილი აგვივარდა.

— ჭოკზე ფიცარი და ფიცარზე ჭოკი, — გამოაჯავრა სერიოჟამ ილია.

— მეც ავყევი, ფიცარზე ჭოკი და ფიცარზე ჭოკი, ჰა, ჰა, ჰა, და ჭოკზე ფიცარი... ასეა ხომ, ილია?

ილიამ ველარ გაუძლო ჩვენს დაცინვას და ხმამაღლა და გაბმით აღრიალდა.

— აბა, ნუ ტირი, ილია, — უთხრა მამა, რაკი იცოდა, რომ ილიას ათასგვარი გამოგონების ნიჭი ჰქონდა და რომ მისი გამონაგონი უეჭველად ჭკვიანური იქნებოდა, — მომიყევი ერთი რა მოიფიქრე და შევეცდებით ისე გავაკეთოთ.

როცა ილია დამშვიდდა და შეიძლო თავისი გამონაგონის ახსნა, სულელური სულაც არ გამოდგა და ეს გამონაგონი იასნოპოლიანელმა დურგალმა შეასრულა. თურმე რა ყოფილა: წრეზე „გიგანტური ნაბიჯების“ გვერდით მიწაში უნდა ჩაესოთ პატარა ბოძი. შემდგომ ცალკე კეთდება სახელურიანი ფიცარი, კიდეში ნახვრეტი რომ ჰქონდა. „გი-

განტური ნაბიჯებით“ მორბენალი იჭერდა ხელში ამ ფიცარს და სირბილის დროს უნდა ცდილიყო ეს ფიცარი მიწაში ჩასობილ ბოძზე ჩამოეცვა. ამ ბოძზე, მის ზედა ბოლოსთან შორიახლო მიჭედილი იყო მეორე ფიცარი რათა ის ფიცარი რომელსაც მორბენალი ჩამოაცვამდა ბოძზე, მიწაზე არ ჩაცურებულიყო.

ილია აღტაცებული იყო, თურმე ნუ იტყვით და „ჭოკზე ფიცარი და ფიცარზე ჭოკი და ჭოკზე ფიცარი არათუ სისულელე არ იყო, არამედ თვითონ მამამ შეუკვეთა ეს მოწყობილობა და ზოგჯერ ერთობოდა კიდეც როცა „გიგანტური ნაბიჯებით“ დარბოდა.

19

სამარიდან მამა ჯანმრთელი და მხნე დაბრუნდა. ჩვენი ცხოვრება ისევ ბედნიერად მიედინებოდა. ყველანი საქმით ვიყავით დაკავებულნი: ბავშვები ვსწავლობდით, მამამ კი ბავშვთა საკითხავი წიგნების შედგენას მოჰკიდა ხელი, რაშიც დედაც ძალიან ეხმარებოდა. მახსოვს მეც ვეხმარებოდი ხატვაში და მონდომებით ვხატავდი ალუბალს ასო „ა“-სთან და ბურთს — ასო „ბ“-სთან.

იასნაიაში მუდამ იყო ვინმე სტუმრად ნათესავთაგანი. ამ შემოდგომით დედაჩემის ერთ-ერთი ძმა — ვალოდია ცხოვრობდა. მოგვიანებით კი მისი ბიძა — კ. ა. ისლავინი ჩამოვიდა. მთელი ზამთარი ჩვენთან გაატარა. ძია კოსტია, ასე ეძახდნენ ყველანი, შინამოსამსახურეც კი. ორივენი გვეხმარებოდნენ საკითხავ წიგნებზე მუშაობაში.

ამ ხანებში დედა ხშირად უგზავნიდა წერილებს თავის დას ტ. ა. კუზმინსკაიას ქუთაისში და აგებინებდა თუ რას იქმოდნენ იასნაია პოლიანაში.

„ჩვენ ახლა ისევ საბავშვო წიგნებს ჩავუჯექით, — წერს იგი 1871 წლის 20 სექტემბერს, — ლევი წერს, მე და ვარია კი ვათეთრებთ — საქმე კარგად მიდის. აი ჩქარა რომ დაბეჭდავდნენ, მაშინ პირველ წიგნა დაშას გავუგზავნიდი. არა, მაინც გავუგზავნი. როცა ბავშვებს ასწავლი სიხარულს მოგგვრის ის ამბავი, რომ ეს წიგნები ჩვენი დაწერილია.

მაშინ არ იყო ასე მრავლად საბავშვო წიგნები, როგორც ახლა არის, მაგრამ ისინიც, რომლებიც იყო ან მოსაწყენი ანდა გაუგებარი იყო. განსაკუთრებით, გლეხის შვილებისათვის. მამაჩემი კი არსებითად მათთვის წერდა წიგნებს.

მამას არასოდეს შეეძლო ისე, ჰაიჰარად, გაეკეთებინა რაიმე, რასაც ხელს მოჰკიდებდა. ამიტომ მან ამ ოთხი საკითხავი წიგნისა და „ანბანის“ შედგენას დიდი დრო და ჯაფა მოანდომა.

თავისი წიგნებისათვის რაიმე ჭკუისასწავლი და საინტერესო რომ მოეძია, ხან ასტრონომიას კითხულობდა, ხან ფიზიკას, ხანაც ან-

დაზების წიგნს, ზოგჯერ ეზოპეს იგავებს გადახედავდა, ხანაც ინგლისურსა და ამერიკულ საბავშვო კრებულებს.

ყოველი მხრიდან, როგორც ფუტკარი ეზიდება სხვადასხვა ყვავილიდან ნექტარს თავის სკაში, მასაც შეჰქონდა თავის წიგნებში ეს, რასაც კარგად მიიჩნევდა...

იყო დრო, როცა სურდა ასტრონომიაზე რამდენიმე სტატია დაეწერა და ამ წიგნებში შეეტანა. არათუ ყველაფერი წაეკითხა ასტრონომიაზე რაც შეეძლო, არამედ ლამეებსაც ათენებდა, ვარსკვლავებს აკვირდებოდა და ვარსკვლავთა რუკის მიხედვით სწავლობდა მათ.

„ლევს ვეხმარები პატარ-პატარა წიგნების წერაში და ისე გამიტაცა ამ საქმემ — წერს დედა თავის დას 1871 წლის 28 ნოემბერს, — რომ ძლივს ვართმევ თავს აუცილებელ საქმეებს. მაგრამ მაინც ეს წიგნები მხიარულ მალე არ იქნება: შენ ხომ იცი, ლევმა ყოველთვის და ყველაფერი რომ უნდა დასვეწოს, გადააკეთოს, წვრილმანებიც კი...“

და აი, უკვე ამავე წლის შობისწინა დღეებში, 22 დეკემბერს, დედა ისევ ატყობინებს თავის დას: „მთელი ეს ხანი მე და ძია კოსტია ვწერდით და ვათეთრებდით საბავშვო წიგნებს, ვეშურებოდით საღვესასწაულოდ დაგვემთავრებინა. მართლაც დავასრულეთ და ლევმა პირველი ნაწილი მოსკოვში წაიღო“.

12 იანვარს მამა სწერს თავის ნათესავსა და მეგობარს გრაფინია ალექსანდრა ანდრეის ასულ ტოლსტაიას:

„ამ ბოლო წლებში „ანბანს“ ვწერდი და ახლა ვბეჭდავ. თუ რა არის ეს მრავალი წლის შრომა ჩემთვის, ამის თქმა ძალზე ძნელია... ამაყი ფიქრები ჩემი ამ „ანბანის“ გამო ასეთი გახლავთ: მხოლოდ ამ „ანბანით“ ისწავლის რუსეთის ორი თაობის ყველა ბავშვი, მეფისა თუ გლეხისა და პირველ პოეტურ შთაბეჭდილებებს აქედან მიიღებენ. და რაკი დავწერე ეს „ანბანი“, შემიძლია მშვიდად განვისვენო“.

დაბეჭდვის დროს მამა გზადაგზა ასწორებდა და ავრცობდა თავის „ანბანს“.

„ანბანი ჩემი თანდათანობით იბეჭდება, გზადაგზა კი იწერება და ივსება. — ატყობინებს ისევ მამა ალექსანდრა ანდრეის ასულს, — მარტო ამ ანბანმა შეიძლება ასი წლის საქმე გაგიჩინოს. ამისათვის საჭიროა ბერძნული, ინდური, არაბული ლიტერატურის ცოდნა, საჭიროა ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, ასტრონომია, ფიზიკა და ენაზე საშინელი მუშაობა. ყველაფერი ლამაზად, სხარტად, უბრალოდ და, მთავარია ნათლად იყოს“.

20

იასნაია პოლიანას სახლში ჩვენი ოჯახი უკვე ველარ თავსდებოდა. ერთხელ მამამ ტულიდან არქიტექტორი იხმო და შეუკვეთა სახლისათვის დიდი დარბაზი მიეშენებინა. ეს დარბაზი 1871 წლის საშობაოდ მზად უნდა ყოფილიყო.

მახსოვს რა ზარ-ზეიმით ჩავუყარეთ საფუძველი. როცა საძირკვლისათვის ადგილი დამზადდა, მამამ ვერცხლის მანეთიანი ჩამცა და საძირკველში ჩააგდეო, მითხრა. ყველანი ირგვლივ ვიდექით, შემდეგ პირჯვარი გადაეიწერეთ და მუშაობას შევუდექით. ქვისმთლელები, ღურგლები, კირით ხუროები, მებათქაშეები თავგამოდებით მუშაობდნენ თვით შობისწინა დღეებში.

შობამდე რამდენიმე დღით უწინარეს, ვიდრე მამა მოსკოვში იყო, დედა და ძია კოსტია ახალ დარბაზს აწყობდნენ. ძია კოსტია, რომელსაც უყვარდა ლამაზად მორთული დარბაზები, გატაცებით შრომობდა: ჩამოჰკიდა სურათები, სარკეები, ნათურები, შტორები. ფარდები და ა. შ. დედა კი მუშებთან ერთად ფლიგელიდან ეზიდებოდა ძველ სარდაფში შენახულ ლეიბებს, ბალიშებს, ძველისძველ კანდელებს, სინებს, ავეჯსა და სხვა ნივთებს.

მგონია ადრე საშობაოდ არასოდეს მოვმზადებულვართ ასე საგანგებოდ, როგორც იმ წელიწადს.

უამრავი სტუმრის ჩამოსვლა იყო მოსალოდნელი და მათ რომ არ მოსწყენოდათ ნაძვის ხე მოვრთეთ, მოვემზადენით მასკარადისთვის, შეეძლოთ მთიდან მარხილებით დაშვებულიყვნენ, ციგურებით ესრიალათ და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი სიამოვნება ეგემნათ.

რამდენიმე დღით ადრე კალთებაკაპიწებულმა მეიდეურმა მუშა ქალებმა წყლის ნიალვარი დააყენეს იატაკზე. სხვანი ფეხშიშველნი იდგნენ ფანჯრების რაფებზე და მინებს წმენდდნენ. მეეზოვე დანაყილ აგურს იღებდა სავსე ყუთიდან და მაუდის ნაჭრით წმენდდა სპილენძის საკლიტურებს ღუმელების სასულეებს და სხვა.

ჩვენ — ბავშვები და ანა ფრიად დაკავებულნი გახლდით: უზარმაზარ ჭლიავის პუდინგს ვამზადებდით, თან ნაძვის ხეს ვრთავდით.

საერთოობით ყველანი მრგვალი მაგიდის ირგვლივ ვიკრიბებოდით და საქმეს ვკიდებდით ხელს. მთელი შემოდგომის ვანმავლობაში და ზამთრის პირზე დაძაბული სწავლის შემდგომ ჩვენთვის ყოველგვარი ახალი საქმიანობა დასვენება იყო. მრავალი თვე მარტოობაში ყოფნის შემდგომ სტუმართა ჩამოსვლა მრავალ სასიამოვნო რასმე გვიქადდა.

დედას გამოეჭრინდა კაკლით სავსე დიდი ტომარა, ჭურჭელში ჩასხმული ალუბლის წებო, კარგა ხნის წინათ ჩვენვე რომ შევაგროვეთ ძველი ალუბლის ხეებიდან, ხეხილის დასაცავად აშენებულ ჩარდახში რომ ხარობდა. თვითეულ ჩვენთაგანს ჩამოგვირიგებდა თითო ფუნჯსა და თხელ ოქროსფერ და ვერცხლისფერ ფურცლებიან რვეულს, ჰაერის ყოველ შემობერვაზე რომ ფრთოდა.

კაკალს ფუნჯით წებოს წავუსვამდით, შემდეგ დავდებდით ოქროსფერ ფურცელზე და ფრთხილად, ისე, რომ ოდნავ ვკიდებდით თითებს, ფურცელს კაკალზე ვაწებებდით. გამზადებულ კაკლებს სინზე ვაწყობდით და შემდეგ, როცა გაშრებოდა ქინძისთავით მივაბნევდით ვარდისფერ ბაფთას, მარყუჟად გამონასკვულს, რომ ნაძვის ხეზე ჩამო-

ვვეკიდა. ეს ყველაზე ძნელი გასაკეთებელი იყო: უნდა გვეპოვნა კაკლის ის ადგილი, სადაც თავისუფლად გაეყრებოდა ქინძისთავი, ქინძისთავი კაკალში სულ უნდა ჩამალულიყო. ხან ქინძისთავი იტეხებოდა, ხან თითებს ვიჩხვლეტდით, ხან კი ბაფთა არ მაგრდებოდა კარგად, ვერ უძლებდა კაკლის სიმძიმეს, იძენძებოდა და ვარდებოდა.

კაკალს რომ მოვრჩებოდით, კარტონაჟს შევუდგებოდით. ჭრელი, ოქროსფერი და ვერცხლისფერი ქაღალდი წინასწარ იყო ნაყიდი. ოქროსფერი არშიებიც გვქონდა და პაწია ვარსკვლავებიც, ჩვენს მიერ დაწებებული კოლოფების მოსართავად. თვითეული ჩვენთაგანი ცდილობდა რაიმე ახალი, საინტერესო და ლამაზი გამოეგონებინა. და ასე იქმნებოდა პაწია კალათები, რგოლები, პაწია ქვაბები, კასრები, თავსახურიანი და უთავსახურო კოლოფები, მორთულნი ნახატებით, ვარსკვლავებითა და სხვადასხვა ფიგურით.

შემდეგ „ჩონჩხებს" ტანსაცმელს ვაცვამდით. ახლა ასეთ თოჯინებს დიდი ხანია აღარ ამზადებენ, ჩემს ბავშვობაში კი არც ერთი ნაძვის ხე არ მოირთვებოდა ამ „ჩონჩხა-თოჯინების" გარეშე.

ეს ჩაუცმელი ხის თოჯინები, მხოლოდ თეძოში იხრებოდნენ. შავად თმაშეღებილი თავი და მეტისმეტად ვარდისფერი ღაწვები ტანთან ჰქონდათ გაერთიანებული.

ფეხები ისე იყო ჩადგმული პაწია მრგვალ ფიცარში, რომ თოჯინას დგომა შეეძლო.

ასეთ თოჯინებს დედა მთელ ყუთს ყიდულობდა — ასიოდ ცალს. ცალი ხუთი კაპიკი ღირდა. ნაძვის ხეზე სტუმრად მოსულ თვითეულ ბალლს დაურიგებდნენ ხოლმე ჩაცმულ თოჯინებს.

„ჩონჩხების" ყუთთან ერთად დედას მოჰქონდა ნაირფერი მაუდის ნაჭრებით სავსე უზარმაზარი ფუთა. მოვიმარაგებდით ძაფს, ნემსს, მაკრატელს და დავიწყებდით კაბების კერვას ჩვენი შიშველი თოჯინებისათვის. ზოგს გოგოსავით მოვრთავდით, ზოგს — ბიჭივით, ზოგი ანგელოზი იყო, ზოგიც მეფე და დედოფალი, გამოვაწყობდით სხვადასხვა ეროვნულ ტანისამოსში: ეს რუსი გლეხის ქალიო, ის — შოტლანდიელიო, ის — იტალიელიო. მერედა, რას, რას არ ვიგონებდით დედა, ჰანა და ბავშვები...

ბოლოს, შობის წინა დღეს ყველაფერი მზად იყო.

— სერგეი, — ბრძანა მამამ, — უთხარი, სამი მარხილი გაამზადონ.

ჩვენ ყურები ვქცვიტეთ.

— მამა, შენ საით?

— სადგურში, სტუმრებს დავხვდები.

— შეიძლება წამოვიდეთ?

— აბა სად უნდა წამოსვიდეთ, შუალამეზე დავბრუნდებით. დედაც არ წამოვა. — ამან დაგვამშვიდა.

დასაძინებლად გაგვგზავნეს, მაგრამ ძილის წინ წავედით ახალი მინაშენის სანახავად, სწორედ საშობაოდ რომ მოესწრო.

დარბაზი განსაცვიფრებლად დიდებული იყო. ახლად გაპრიალებული პარკეტი სარკესავით ბრწყინავდა. კედელზე ტოლსტოების წინაპართა ძველი სურათები ეკიდა, იაქთალებში — სარკეებთან, მეფე პირდაპირ ორი ნავთის ლამპა, შუა ოთახში კი თეთრსუფრაგადაფარებული გრძელი მაგიდა იდგა, ზედ ჭურჭელი ეწყო — სტუმართათვის ცივი ვახშამი გაემზადებინათ.

სხვა ოთახებში საწოლები დაეგოთ ჩამოსულთათვის, დავთვალეთ: შვიდი საწოლი აღმოჩნდა; მაშასადამე შვიდ ადამიანს ელიან.

მეტისმეტად აღელვებულნი წავედით დასაძინებლად, ხვალინდელ დღეს უამრავი სიხარული და სიამე გველოდა. ხვალინდელსა და მომდევნო დღეებშიც.

მეორე დღეს უთენია გავიღვიძეთ და მთელი დილა გავიტანჯეთ სტუმრების მოლოდინში. ჩვენი სტუმრები კი დაქანცულნი მგზავრობისა და გვიანი ვახშმის შემდეგ ჩვეულებრივზე გვიან წამოდგნენ.

მაგრამ აი, ბოლოს და ბოლოს გამოჩნდნენ ისინი. აგერ ჩემი ჩასუქებული, კეთილი ნათლია, დიმიტრი ალექსის ძე დიაკოვი ვისაც მოკლედ მიკლიკსეიჩს ვეძახით და მიუხედავად იმისა, რომ მამაზე უფროსია შენობით ველაპარაკებით.

იგი მუდამ ხუმრობს, მუდამ მხიარულად არის, და ამიტომაც შეხვედრისთანავე კისერზე ჩამოვეკიდეთ და წინასწარ სიცილით ვიხოცებით.

— აბა, ტანია, მეჩვენე, — მეუბნება მე, — წელი ისევ კვერცხივითა გაქვს ხომ, შუაში სქელი და თავსა და ბოლოს წვრილი?

ნათლიაჩემის ხუმრობაზე მეცინება, მაგრამ ცოტა შეურაცხყოფილი ვარ. ამიტომ მაშინვე მწარედ ვუპასუხე.

— იცი, მიკლიკსეიჩ, — თამამად ვეუბნები, — ამ ცოტა ხნის წინათ ცერა თითი დამიჩირქდა, ცხელი საფენები დამადეს და ჩვრით შემიხვიეს. ისეთი სქელი გახდა ჩემი ცერა თითი, რომ მიკლიკსეიჩი შევარქვით.

შემდეგ გამოდის დიმიტრი ალექსის ძის ასული — მაღალი, ლამაზი, ქერაკულულებიანი მაშა. იგი ტანთხელია, მოქნილი, ნაზი... მე იგი გულით მიყვარს და რაც მთავარია მსიამოვნებს მისი შეხედვა. მას თან ახლავს ამხანაგი ქალი, დაბალი გულკეთილი სოფეშა.

მათთან ერთად ჩამოვიდა ჩვენი ბიძაშვილი, საყვარელი, დაბნეული და აღტაცებული ვარენკა.

დღისით ტულიდან ჩამოვა ჩვენი მეორე ბიძაშვილი — ლიზა, მისი ქმარი ლეონიდ ობოლენსკი და ძმა ნიკოლენკა ტოლსტოი. ლეონიდეც და ნიკოლენკაც ჩვენი დიდი მეგობრები არიან. ლეონიდე — მხიარული, კეთილი კაცია, გარდა ამისა დამყოლი ბუნება აქვს, ყველა თხოვნას გვისრულებს ხოლმე.

— ლეონიდე! წამოდი ციგურებით ვისრიალოთ! — ვეძახით ჩვენ.

— აბა როგორ იქნება! თვითონაც კისერს მოვიტეხ და თქვენც ჩაგიტეხთ ყინულს, — გვეუბნება სქელუა ლეონიდე.

მაგრამ ჩვენ არ ვეშვებით.

— არა, წავიდეთ. ლიზანკაც წამოვა, ვარიაც და მაშაც. სოფეშაც და ნიკოლენკაც...

ბოლოს და ბოლოს, ლეონიდე გვეთანხმება, და ყველანი მივდივართ ტბორისაკენ; სადაც საციგურაო ადგილია მოსუფთავებული და დგას უზარმაზარი ხის მთა, საიდანაც ციგურებით ვსრიალებთ. ზოგი ეცემა, ზოგიც მოუხერხებლად, სასაცილოდ ეშვება, კოტრიალობს თოელში... ჩვენ ბავშვები ვცდილობთ გავაკვირვოთ უფროსები: დახეთ რა გაწაფულები ვართ ციგურებით სრიალში-თქო.

მხიარულნი, ყინულში ყოფნისაგან ღაწვებშეფაკლულნი ვბრუნდებით შინ. დარბაზში არ გვიშვებენ. იქ დედა და სტუმრები ნაძვის ხეს რთავენ და მაგიდებზე საჩუქრებს აწყობენ.

ნაძვის ხის სასიამოვნო ფიჭის სუნი გვცემს...

ჩვენ დაბლა, მამის ახალ კაბინეტში ვსადილობთ.

უკვე სადილობის დროს წინკარში გვესმის საბატონო და სოფლის ბავშვების ჟრიამულის ხმა... ისინი ფეხებს აბაკუნებენ, ჩურჩულებენ, ერთმანეთს ჯიკითობენ და ეს ხმები ჩვენთვის იმავე მოუთმენლობის ექოა, რომლის ცეცხლის ალიც მოდებული გვაქვს.

საღვისასწაულო სადილი ჭიანურდება. ბოლოს, როგორც იქნა, შევჭამეთ შემწვარი ინდაური, და კაცს შემოაქვს ხონჩაზე დადებული პლუმ-პუდინგი, რომელსაც რომი აქვს ნასხურები და ანთია. შეშომტანს პირისახე გვერდზე აქვს მიბრუნებული რომ არ დაეწვას. მე კი შევყურებ ალს და იმედი მაქვს ალი არ ჩაქრება, ვიდრე პლუმ-პუდინგს ჩემამდე მოიტანენ.

ვამაყობთ, რადგან ეს პლუმ-პუდინგი ჩვენი ნამოღვაწევია. წინადღით პენას ხელმძღვანელობით მოვასწარით ქიშმიში დაგვერჩია, ნუშისთვის კანი შემოგვეცალა და დაგვენაყა.

როგორც იქნა სადილი დასრულდა და მაღლა ავდივართ. წინკარში რომ გავდიოდით, თანაგრძნობით შევცქეროდით ნაცნობ ბალღებს.

აქ არიან მზარეულის ვაჟები: ეგორი და ჩვენი მეგობარი სენია, რომელიც ყოველი წლის 9 მარტს ისეთ საოცარ ტოროლებს გვიკეთებს. აქ არის მრეცხავი ქალის თმახუჭუჭა, შავთვალა ლამაზი გოგონა ნატაშა, რომელიც ალდგომა დღეს, კვერცხს რომ აგორებს, ამბობს, რომ უნდა გამოაგოროს ბედნიერება, აქვე არიან მისი დები ვარია და მაშა, ყველას ვერ ჩამოთვლი. ყინვისა და ტყაპუჭების სუნი დგას.

მაღლა სასტუმრო ოთახში ჩაგვკეტეს, დედა და სტუმრები კი დარბაზში გაემართნენ ნაძვის ხის ასანთებად...

ადგილზე ველარ ვჩერდებით, ხან ერთ კართან მივირბენთ, ხან — მეორესთან, ხან ვცდილობთ ჭუჭრუტანაში ვავიჭყიტოთ, ხანაც გალურსულნი ვუვდებთ ყურს დარბაზიდან გამოსულ ხმებს.

ბოლოს გვესმის კიბეებზე გამალებული ნაბიჯების თქარათქური, ისეთი ხმაურია გეგონება ცხენების რემას მოერეკებიანო.

ისე ვართ აღელვებულნი მეტი ალარ შეიძლება. მივხვდით, ჩვენზე ადრე გლეხის ბავშვები შეუშვეს — ისინი გარბიან მაღლა. ვიცით როგორც კი შევლენ დარბაზში, აშინვე ჩვენც გაგვიღებენ კარს.

ასეც მოხდა. როცა ხმაური ცოტა მინელდა, შემოგვესმა დედის ნაბიჯის ხმა — იგი დარბაზიდან სასტუმრო ოთახისაკენ მოემართება. უცებ კარი ფართოდ იღება და ჩვენც შესვლის ნებას გვაძლევენ.

პირველ წუთებში გაოცებულნი ვდგავართ უზარმაზარი ნაძვის ხის წინ. მისი წვერი ლამის ჭერს ებჯინება. უამრავი ფაფლის ფუფლის შუქზე ერთიანად აელვარებულა, ათასფერად ბრწყინავს ნაირფერი სათამაშოებით მორთულ-მოკაზმული.

ნაძვის ხის ირგვლივ დგანან დიაკოვები, ვარია, ლიზა, ლეონიდე, ჰანა...

— აბა მიდით და თქვენი საჩუქრები ახლოდან ნახეთ, — გვაქეზებს დედა. სათამაშოები ნაძვის ხის ძირას, მაგიდებზე აწყვია.

ყველაფერს ვათვალიერებთ, ყველაფერი მომწონს. ჯერ ჩემი საჩუქრები ვნახე, შემდეგ — ჩემი ძმებისა. შემდეგ ნაძვის ხეს ირგვლივ რამდენჯერმე შემოვუარე და თვალს ვერ ვაცილებდი სათამაშოებსა და ტკბილეულს. აგერ ჩონჩხა-თოჯინები, მე რომ გამოვაწყვე: აგერ ჩემი გამოჭრილი კალათები თუ სხვა სათამაშოები.

მაგრამ ახალი სათამაშოც რამდენია!

აგერ თაფლაკვერები — ზოგი ლომია, ზოგი — თევზი, ზოგიც — ფისუნია. აგერ უზარმაზარი კამფეტები ბრჭყვიალა ქაღალდებში, ზოგზე წერო მიუმაგრებიათ, ზოგზე — მდიდრულ მარმაშის ბუდეებში ჩამსხდარი პეპლები თუ სხვა ცხოველები... აგერ ძალზე სასაცილო პაწია ბოთლები — ბეკეკების, გოჭების, ბატების ფორმა რომ აქვთ. შიგ წითელი, ყვითელი და მწვანე ფერის სუნამო ასხია. გოჭებისა და ბეკეკებისათვის საცობები პირში გაუჩრიათ, ბატებისათვის კი — ბოლოებში.

საბატონო და სოფლის ბალღებიც შორიდან ათვალიერებენ ნაძვის ხეზე ჩამოკიდულ სათამაშოებს და ერთმანეთს უჩვენებენ, მე ეს მომეწონა და მე კიდევ — ესო.

მამა? სად არის მამა? თვალებით ვეძებ, რადგან მთელი გულით ვერ გავიხარებ თუ მამაც ჩემ გვერდით არ არის.

ჩემი შვიდი წლის გული გაუცნობიერებლად, ბუნდოვნად გრძნობს, რომ ის სიამოვნება, რასაც ახლა განვიცდი, ვერ გამოიწვევს მამაჩემის დიდ თანაგრძნობას. მაგრამ მაინც მას ვეძებ. იგი სადღაც მოშორებით დგას, თავისი უცვლელი რუხი ხალათი აცვია, ხელები ქამარში გაუყრია. ღიმილით შევხედე, მანაც გამიღიმა, კეთილად, შემწყალედ. არ უთქვამს, მაგრამ მივუხვდი, რასაც გრძნობდა:

„ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა, შენ რომ არ გახარებდეს ეს წვრილმანები და არ გხიბლავდნენ ამ წვრილმანებით. რა გაეწყობა, მე მარტო უძლური ვარ ყველას წინააღმდეგ. მაგრამ მაინც მიხარია, რომ შენ მხიარულობ, იმიტომ, რომ სისხლი და ხორცი ხარ ჩემი და მე შენ მიყვარხარ...“

ჩავჭიდე ხელი მის დიდ, საყვარელ ხელს და თუმცა ვგრძნობდი, არ თანამიგრძნობდა, მაინც წავიყვანე ჩემი მაგიდისაკენ და ჩემი საჩუქრები ვუჩვენე.

აქ, ბუდეში ლიზასაგან მოძღვნილი ოქროს მედალიონი დევს, დიაკოვებმა ალბათ იფიქრეს, უკვე დიდი გოგონაა, თოჯინა როგორ ვაჩუქოთო, და ჩვეულებრივი „მაშას“ სანაცვლოდ ნამდვილი სპილენძის სამზარეულოს ჭურჭელი მაჩუქეს. ამ ჭურჭელში რა კერძსაც გინდა, იმას დაამზადებ. მათვე მაჩუქეს ტყავის მრგვალი სამუშაო კოლოფი შიგ ყველაფერი აწყვია, ხელ-საქმეში რაც გამომადგება: ეს ბაფთებია, ჩითის ნაჭრებია, ნემსი და ძაფია, ქინძისთავები, მაკრატელი, სათითური და ყველაფერი, რაც კერვაში დამჭირდება. ეს კოლოფი ძალიან მომეწონა. მთელი ცხოვრება ვუფრთხილდებოდი და ახლაც მთელი მაქვს, თუმცა არც დიმიტრი ალექსის ძე, არც მაშა და არც სოფოშა კარგა ხანია აღარ არიან ამქვეყნად...

როცა ყველამ გული იჯერა ნაძვის ხის და თავიანთი საჩუქრების ცქერით, — დედამ, ჰანამ და სტუმრებმა ნაძვის ხიდან ჩონჩხა-თოჯინები, ყირიმული ვაშლები, მოოქრული კაკლები და კამფეტები ჩამოურიგეს ბალლებს. საჩუქრებითა და ტკბილეულით დატვირთული პატარები თავიანთ სახლებში წაიდ-წამოვიდნენ.

ჩვენ-ჩვენი საჩუქრები ბავშვთა ოთახში შევიტანეთ და კარადებში შევინახეთ.

ილიამ სხვა საჩუქრებთან ერთად ფინჯანიც მიიღო, რომელიც ძალიან მოსწონს. ამ ფინჯანს ფრთხილად ხან ერთს მიურბენინებს, ხან — მეორეს, ნახეთ რა ლამაზია. ფინჯანი ორივე ხელით უჭირავს, თვალს არ აცილებს და ასე გადის თავის ოთახში. მაგრამ დარბაზიდან სასტუმროში რომ გადიოდა, კარის ზღურბლთან წაიბორძიკა და თავის ფინჯნიანად იატაკზე გაიშხლართა.

ლამაზი ფაიფურის ფინჯანი ნამსხვრევებად იქცა. ილია ხმამაღლა, გაბმით აღრიალდა.

— ეს... ეს... მე არა... ვარ... დამნაშავე... — ქვითინით ლულლუღებს ილია, — ეს სულ არქიტექტორის ბრალია.

გაგონილი ჰქონდა უფროსები არქიტექტორს რომ კიცხავდნენ, ეს როგორი ზღურბლი გააკეთაო. და ახლა, როცა ფინჯანიც გატეხა და თვითონაც დაეცა, ასე ეგონა, ტკივილი დამიამდება თუკი ჩემს უბედურებას სხვას გადავაბრალებო.

დედამ წამოაყენა და შეეცადა დაეშშვიდებინა. უთხრა, არქიტექტორი რა შუაშია, შენა ხარ დამნაშავე, უფრო ფრთხილად ყოფილიყავიო.

მამა, როგორც ყოველთვის, ყურადღებით გვადევნებდა თვალს. როცა ილიას შენიშნა, თავისი მარცხი სხვისთვის რომ უნდა გადაებრალებინა, კეთილად დასცინა. ილიას კიდევ უფრო ეწყინა და თვალცრემლიანი და გულმოკლული წავიდა დასაძინებლად.

მას აქეთ „არქიტექტორის ბრალია“ ანდაზასავით დამკვიდრდა ჩვენს ოჯახში. და ყოველთვის, როცა საკუთარი შეცდომა სხვისთვის გვინდოდა გადაგვებრალებინა ან შემთხვევისათვის მიგვეწერა, რომელიმე ჩვენთაგანი აუცილებლად ემმაკურად გაიღიმებდა და იტყოდა, ალბათ არქიტექტორის ბრალიაო.

ნაძვის ხის შემდეგ, მეორე დღეს მასკარადია დანიშნული. კოსტუმები მზად არის. ისადილებენ თუ არა, ყველანი თავიანთ ოთახებში გარბიან, რომ ტანისამოსი გადაიცვან.

ჩქარობენ, დაგვიანებისა ეშინიათ. დედა ხან ერთ ოთახში შერბის, ხან — მეორეში, ყველას ეხმარება. ბოლო წუთში [illegible] ფოდ იხდის თავის ევროპულ კაბას და გლეხის ქალივით ირთვება.

შემდეგ დედა ძია კოსტიასთან გარბის, თხოვს, ფორტეპიანოსთან დაბრძანდით და მარში დაუკარითო.

ყველანი ჯგუფად ვდგავართ დარბაზში, შესასვლელ კართან, და ველოდებით, შესვლის ნებას როდის მოგვცემენ. დედა წყვილებად გვაყენებს.

თავში ილია და ჩვენთან სტუმრად ჩამოსული პაწია ინგლისელი გოგონა, კეტი, დგანან.

ილიას გოგონას წითელი ქვედა კაბა აცვია, კეტის კი — ტაკიმასხარას კოსტიუმი. მათ მივყვებით მე და სერიოჟა. მე მარკიზი ვარ. პანტალონები, ცისფერი ხიფთანი, თეთრი წინდები და მოკლეყელიანი ფეხსაცმელები მაცვია. თავი დადენდრილი მაქვს. სერიოჟა ჩემი დამაა. იგი მარკიზის ქალივით არის მორთული.

ლიზა გლეხიკაცია, მაშა დიაკოვა — გლეხის ქალი. ვარია — მეორე ტაკიმასხარა და დედა — მეორე გლეხის ქალი.

ყველაზე უკან მოდის კაფანდარა, ძალზე სასაცილო, ნიღაბაფარებული კუზიანი ბერიკაცი. ზურგზე უზარმაზარი კუზი ადევს, გრძელი ჭაღარა თმა-წვერი აქვს, ხელში ჯოხი უჭირავს და პაწია ფეხებზე ქოშები აცვია.

ეს სოფეშა გახლავთ.

პირველ წუთებში ერთმანეთს ვაკვირდებით და ვცდილობთ ნიღბოსნები შევიცნოთ, შემდეგ კი ყველანი ცეკვას ვიწყებთ.

ცეკვა არ ვიცით და ამიტომ ადგილს ვტკეპნით, მაგრამ გვიხარია და, ალბათ ასე ვერ გავიხარებდით, ნარნარად რომ ვცეკვავდეთ. ფორტეპიანოსთან ერთმანეთს ცვლიან ისინი, ვინც ოდნავ მაინც უკრავს რაიმეს. ცეკვა კი გრძელდება.

უცებ შევამჩნიე, რომ ცოტა მოვიწყინე. მიმოვიხედე: აღარც მამაჩემია და აღარც მიკლიკსეიჩი. ძია კოსტიაც წასულა. ნიკოლენკაც გაქრა. მოწყენილობამ ერთიანად დამრია ხელი.

მაგრამ ეს რა ხედახორაა კარებში? მივიხედე: კართან შეჯგუფულ შინამოსამსახურეებში ჯიკავ-ჯიკავით იკვლევენ გზას ვიღაც კაცი, ორი დათვი და თხა.

მაშინვე ვხვდები, რომ ნამდვილი დათვები არ არიან, კაცებს ჩაუცვამთ გადმობრუნებული ქურქები, მაგრამ მაინც მეშინია, და როცა რომელიმე მათგანი მომიახლოვდება, წივილ-კივილით გავრბივარ. ორივე დათვი თავისთვის ოლრინება, პატრონი კი ამშვიდებს. თხა მეტისმეტად სასაცილოა. აწოწილა, რაღაც ტომარაში გახვეულა. კისერი ჯოხისა აქვს, ჯოხს ბოლოში თავის ნაცვლად ორი პაწია დაფა აქვს

მიჭედებული. ეს ორი დაფა ვითომ პირია. თხა პირს აღებს და კუმავს, რადგან დაფებზე თოკებია გამობმული, რომელსაც დროდადრო ეწევა ის ადამიანი, თხას რომ განასახიერებს. რატომ უნდა რქმეოდა თხა, ვერავინ გიპასუხებდათ, მაგრამ იმ ხანებში თვითეულმა ბიჭუკელამ შეუცდომლად იცოდა, რომ ეს „თხა" იყო, თანაც ძალზე ყურადღებიანი, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაფებს ერთმანეთს უტყაპუნებდა.

რა სასაცილო ოინებს არ აკეთებინებს პატრონი თავის ცხოველებს. რაღა არ წარმოადგინეს, — როგორ იპარავენ ბალღები ცერცვს, როგორ კეკლუცობს მზეთუნახავი სარკით ხელში, კოჭლობით როგორ მიდის გლეხის დედაბერი საბატონოში ბეგარის მოსახდელად... თანაც პატრონი ისეთ მოსწრებულ არაკებს ამბობს, რომ მთელი დარბაზი ხარხარებს.

მაგრამ, აი, მუსიკა უფრო ხალისიანად და მხიარულად ჟღერს და თხაც, დათვებიც და პატრონიც ერთად ცეკვავენ. მეტად სასაცილოდ ბუქნავს თხა, თან დაფებს ატყაპუნებს.

ბავშვები არ ვმონაწილეობთ, მხოლოდ ვუყურებთ და ერთი სული გვაქვს, შევიცნოთ ნიღბოსნები. გამყოლის ცნობა ძნელი არ არის — ვის აქვს ასე გამობერილი მუცელი, ან ვინ იცის ასეთი მოსწრებული სიტყვა, თუ არ მიკლიკსეიჩმა?

— მიკლიკსეიჩ, მიკლიკსეიჩ! — გავყვირით ჩვენ.

— ეს კი მამაა, — ვამბობთ ჩვენ და „თხასთან" მივდივართ. თუ რმე მამა უტყაპუნებდა დაფებს, და ასე სასაცილოდ ცეკვავდა. ორი დათვი კი ძია კოსტია და ნიკოლენკა ყოფილან. მათ მალე დასცხათ და ტანისამოსის გამოსაცვლელად წავიდნენ. მალე მობრუნდნენ უკან ჩვეულებრივად ჩაცმულნი, მარტო ნიკოლენკას აეშალა ცეკვის საღერღელი და ახლა დედაბერივით გამოეწყო. გაიკეთა კუზი, ჩაიცვა ქალის კაბა, ქალის თავსაბური, სახეზე ჩამოიცვა, მეტად სასაცილო და საშიში ნიღაბი, წვეტიანი ცხვირი და პირიდან გამოჩრილი უზარმაზარი ეშვა კბილი რომ ჰქონდა. ასე მორთულ-მოკაზმული შემორბის დარბაზში და სოფეშას სთხოვს მასთან ერთად იცეკვოს ტრეპაკი. სოფეშა — ეს კაფანდარა ბერიკაცი, კოტიტა ფეხებზე ქოშები რომ ჩაუცვამს, იღებს გამოწვევას და აი ორივენი ისე სასაცილოდ ცეკვაჭენ, რომ ყველანი სიცილისაგან ჩაბჟირებულნი სულს ძლივს ითქვამენ.

ბოლოს ბავშვებს დასაძინებლად გვგზავნიან. ვსხედვართ გაოფლიანებულნი, დაქანცულნი, მაგრამ დაძინება მაინც არ გვსურს... ცოტაც რომ გვეთამაშა და გვეცეკვა... აქ კიდევ გაიგონეთ, რომ ნავახშმევს „დიდები" სამცხენა ეტლებით სადგურში მიდიან დიაკოვების გასაცილებლად. ისინი ამლამე მიემგზავრებიან. ფანჯარაში ვიხედები. მშვენიერი მთვარიანი ღამეა. ყინავს. უძრავად დგანან ძველი დათრთვილული არყის ხეები. ოჰ, როდის გავიზრდები, რომ რაც მომესურვება ის მოვიმოქმედო.

მაგრამ ჰანა გადაჭრით ითხოვს დასაძინებლად წავიდეთ და ჩვენც ვემშვიდობებით.

მაშა დიაკოვას განსაკუთრებული სინაზით ვეთხოვები. მან მუხლზე დამისვა და მომეფერა. როდისღა ვნახავ ისევ. რა რიგ მსურს მა-

სთან ყოფნა... საცაა ცრემლი მომერევა, მაგრამ აქ მიკლიკსეიჩი რაღაცას მოსწრებულად ხუმრობს და მე, სერიოჟა, ილია და ჰანა ქვევით ჩავდივართ თაღებიან ოთახში, სადაც ჭერში რგოლები ჰკიდია. ვგრძნობ, რომ აღარ ვიცი ვიტირო თუ ვიცინო.

ხვალ ობოლენსკები გაემგზავრებიან, რამდენიმე დღეში კი ვარია და ნიკოლენკაც წავლენ.

22

შობის დღეების შემდეგ ისევ მეცადინეობა უნდა დაგვეწყო.

მახსოვს ერთხელ დედა ჩვენს მოსანახულებლად შემოვიდა და სახეზე გამონაყარი შემნიშნა. შეშფოთდა, ტუჩები შუბლზე შემახო—სიცხე ხომ არა აქვსო, მკითხა თავი ხომ არ გტკივაო, აბა, ერთი ენა მიჩვენეო.

თავი ცოტა მტკიოდა და თუმცა ექვი შეეპარა, რომ სიცხე მქონდა, ლოგინში მაინც დამაწვინა.

მალე ილიასაც და სერიოჟასაც გაუჩნდა გამონაყარი პირისახესა და ხელებზე. სამივენი ვიწექით.

დედა და ჰანა გვივლიდნენ, მაგრამ ჩვენ ავადმყოფობისა არაფერი გვეცხო. თავის ტკივილმა მალე სულ გამიარა და თუმცა გამონაყარი სახის გარდა, ხელებზეც გამიჩნდა, მაინც არც ერთი ჩვენთაგანი თავს ავადმყოფად არ თვლიდა.

ძალიან სასიამოვნო იყო, როცა ჩვეულებრივ რძის ნაცვლად ჟოლოს შურაბიანი ჩაის გვასმევდნენ. ისიც გვსიამოვნებდა გაკვეთილებისაგან თავისუფლები რომ ვიყავით. მაგრამ მაინც საწოლში კოტრიალი, როცა სირბილი და ციგურებით სრიალი გვეწადა — გვიმძიმდა, და ჩვენც ვხტუნავდით საწოლში და ისე ვცელქობდით, რომ ზოგჯერ ჰანას მოთმინება აღარ ჰყოფნიდა.

— ესენი რა ავადმყოფები არიან? ეუბნებოდა დედას, — სამივენი სრულიად ჯანმრთელად არიან.

— მაშ გამონაყარი რად აქვთ? — ვერ გაეგო დედას, სოფელში წითელა-ბატონებია, ალბათ ამათ სოფლის ბავშვებისაგან გადმოედოთ.

— მაშინ სიცხე უნდა ჰქონდეთ, — არ იჯერებდა ჰანა.

— თქვენ ხომ იცით, ჰანა, რომ ზოგჯერ წითელა-ბატონები სულ ოლად გადის. ალბათ ბავშვები მსუბუქი ფორმით დაავადდნენ.

ყოველგვარი ეჭვი საბოლოოდ რომ გაქარწყლებულიყო, გადაწყვიტეს, ტულაში კაცი გაეგზავნათ და ჩვენი საყვარელი ექიმი ნიკოლაი ანდრეის ძე კნერცერი ჩამოეყვანათ.

ჩამოვიდა კნერცერი, მოგვესალმა და ჩემს საწოლთან ჩამოჯდა. დახედა გამონაყარს პირისახესა და ხელებზე, შემდეგ მთელ სხეულზე ეძება ეს გამონაყარი, შუბლი გამისინჯა, მაჯისცემა დამითვალა და ენა მიჩვენეო, მითხრა.

შემდეგ შემომხედა ჯერ სათვალეებით, შემდეგ უსათვალებოდ და შევნიშნე, რომ თვალებში დამცინავი, ეშმაკური ღიმილი გაუკრთა.

ასევე გასინჯა ჩემი ძმებიც.

— როგორ არის საქმე? — შეეკითხა დედა.

— ბავშვებს წითელა არა სჭირთ, — თქვა მან ბოლოს, სიცხე არა აქვთ, თანაც გამონაყარი მხოლოდ პირისახესა და ხელებზე შეინიშნება. ხომ არ მოხვდათ სახეზე რაიმე ისეთი, რამაც ეს გამონაყარი გამოიწვია?

— არ ვიცი, — მიუგო დედამ, შემდეგ ჩვენ გვკითხა, — სახეზე და ხელებზე რაიმე ხომ არ წაგისვამთ?

და უცებ მომაგონდა. ეს სულ იმ შუშის გოჭების, თიკნებისა და ბატების სუნამოს ბრალია. ჩვენ ხომ ამ სუნამოს პირისახესა და ხელებზე ვისხამდით.

მე ბალიშზე თავდაყირა დავეცი, ფეხებს მაღლა ვიქნევდი და გულიანად ვკისკისებდი.

— რა დაგემართა? — მკითხა დედამ.

— ეს ბატების ბრალია, — ვიყვირე მე, — და კიდევ გოჭების ბრალია და კიდევ თოჯინების ბრალია! წიწილების ბრალია!

ბიჭებმა გამიგეს და მათაც ყვირილი მორთეს.

— ეს ბატების ბრალია! გოჭების ბრალია! თიკნების ბრალია!

კნერცენი ხან ერთს შემოგვხედავდა, ხან მეორეს და ხან მესამეს, ბავშვები ხომ არ გაგიჟდნენო.

როცა კნერცენს გავაგებინეთ რაც მოხდა, გვიბრძანა დუხი სარეცხის ქვაბში გადაგველვარა. ადგომისა და ჩაცმის ნება მოგვცეს.

ლოგინში კოტრიალი უკვე მობეზრებული გვქონდა და ხალისით დავეთანხმენით.

გოჭებისა და თიკნების დრუნჩებიდან, ბატების კუდებიდან გადავღვარეთ ფერადოვანი და შხამიანი სუნამო, გული არ დაგვწყვეტია, ჩავიცვით და ჩვეულებისამებრ განვაგრძეთ ცხოვრება.

23

გაკვეთილების გარდა იანვრიდან მეტად საინტერესო საქმე მოგვემატა.

დაწერა რა ოთხი „საკითხავი წიგნი“ და „ანბანი“ მამამ მოინდომა საქმეში გამოეცადა ისინი და ისევ მოჰკიდა ხელი ცხოვრებაში მისთვის ყველაზე საყვარელ საქმეს — გლეხის შვილების სწავლას. (ჯერ ისევ ქორწინებამდე ასწავლიდა მამა ანბანს გლეხის ბავშვებს) მან დაიკავა სკოლის შენობისათვის ორსართულიანი ფლიგელი, მოიწვია პედაგოგები, გამოსცა პედაგოგიური ჟურნალი „იასნაია პოლიანა“ 1865 წლის მაისში. იგი წერდა ფეტს: იმედი მაქვს ყოველივე ამის შემდეგ შევადგინო წიგნები იმ დასკვნების საფუძველზე, რომელიც გამოვიტანე ამ საქმიდან სამი წლის გატაცებული შრომის შედეგად.

სერიოჟამ და მე კითხვა ვიცოდით, თუმცა არც თუ მთლად უშეცდომოდ, მაგრამ მაინც საკმაოდ რიგიანად ვწერდით. ექვსი წლის ილია კი ძლივს კითხულობდა და ძალიან ცუდად წერდა. მაგრამ მაინც გამო-

აცხადა, რომ ბავშვებს „ვასწავლიო“. მამა დაეთანხმა და აი, მეცადინეობაც დაიწყო.

სკოლისათვის ორ საათზე ცოტა მეტი დრო იყო განკუთვნილი. როგორც კი ვისადილებდით, ანუ საღამოს ექვსი საათი დაიწყებოდა, მეცადინეობა იწყებოდა და მანამდე გრძელდებოდა, სანამ ჩვენ ... ბის საათი არ დაპკრავდა.

მამა უფროს ბიჭებს თავის კაბინეტში ასწავლიდა. დედა გოგონებს — მეორე ოთახში, ჩვენ სამივენი კი წინკარში იმ ბავშვებს ვამეცადინებდით, რომლებმაც ანი და ბანი არ იცოდნენ. კედელზე ჩამოკიდებული იყო უზარმაზარ მუყაოს ქაღალდზე ჩამოწერილი ანბანი. პატარა ბუთხუზა ილია ამ ანბანთან იდგა, ხელში ჯოხი ეჭირა და თავისავით პატარებს ასწავლიდა. იგი ძალიან მკაცრი იყო და მახსოვს, ერთხელ ასეთ საუბარს მოვკარი ყური.

ილია რომელიღაც ბიჭუნას ასო „ა“-ს აჩვენებს და ეკითხება:

— ეს რა ასოა?

— არ ვიცი. — პასუხობს ბიჭუნა.

— არ იცი?! მაშ დამეკარგე აქედან!

— შემდეგ მეორე გამოიძახა:

— ეს რა ასოა?

— არ ვიცი.

— შენც არ იცი? დამეკარგე აქედან!

ასე გამოსცადა ყველა დამწყები და იფიქრა ყველაზე სულელი მოწაფეები მე შემომაჩეჩესო.

დროთა განმავლობაში ჩვენთან გაჩნდა „მოსეირნეთა“ კლასი. ეს ის ბავშვები იყვნენ, რომლებსაც არ სურდათ ან არ შეეძლოთ სწავლა: მათ ნებადართული ჰქონდათ ყოველ კლასში შესულიყვნენ და მოესმინათ, ოღონდ იმ პირობით რომ არავისთვის ხელი არ უნდა შეეშალათ. ეს „მოსეირნენი“ ხშირად იმ მოწაფეებზე ნაკლებად როდი სწავლობდნენ, რომლებიც კლასებში ისხდნენ.

ჩვენ ბავშვებს დიდად დავუმეგობრდით. მათ ჩვენთვის ზოგჯერ თვითნაკეთი სათამაშოები მოჰქონდათ ზოგჯერ ლავაშები ან სხვა სასუსნავი.

ყველანი ხალისით ვასწავლიდით ბავშვებს, რადგან ისინი ყოჩაღები და სწავლას მოწყურებულნი იყვნენ.

1872 წლის 2 თებერვალს დედა ატყობინებს თავის დას კუზმინსკაიას ქუთაისში:

„გადავწყვიტეთ ნადღესასწაულევს სკოლა გაგვეხსნა და ახლა ყოველდღე ნასადილევს მოდის 35-ოდე ბავშვი და ჩვენც ვასწავლით. ვასწავლით მეც, ლევიც, სერიოჟაც, ტანიაც, ძია კოსტიაც. ძალიან ძნელია ათ კაცს ერთად აუხსნა, მაგრამ სანაცვლოდ საკმაო მხიარულებას და სიამოვნებას გვანიჭებს. მოწაფეები გავინაწილეთ: მე რვა გოგონა და ორი ბიჭი ავიყვანე, ტანია და სერიოჟა საკმაოდ რიგიანად ასწავლიან, ერთ კვირაში ყველამ შეისწავლა ანბანი და ჩამარცვლით კითხვა. და განა შეგიძლია არ ასწავლო წერა-კითხვა, როცა ყველანი ასე გულით

არიან მოწადინებულნი; გაგიკვირდება ისეთი სიამოვნებითა და ხალისით სწავლობენ“.

„ჩვენთან სკოლა ისევ გრძელდება, — წერს დედა მარტში, — საქმე კარგად მიდის... ყოველ საღამოს უამრავი ხალხი იკრიბება, არის ერთი აურზაური, ხმამაღალი კითხვა, მოყოლა, ზოგჯერ თავბრუ მეხვევა“.

მარტის თვეში დაწერილ სხვა წერილში, იგი წერს: „ჩვენთან მეცადინეობა ისევ გრძელდება. საქმე კარგად მიდის. გლეხის ბოგო-ბიჭებს ჩვენი ბავშვებისათვის ათასნაირი სათამაშოები მოაქვთ: ხან გამოჩორკნილი ხის ღილები, ხან შავი აურის ფქვილისაგან გამომცხვარი ტოროლები. მეცადინეობის შემდეგ ტანიას ხელში ატატებულს დაატარებენ. ზოგჯერ მეტისმეტად ცელქობენ, მაგრამ თითქმის ყველამ ისწავლა დამარცვლით კითხვა და თანაც ისეთი რიხით კითხულობენ“.

იმავე ხანებში მამა წერდა ფეტს:

1872 წლის თებერვალი: „...მთელი ზამთარი ახალი მინაშენით ვსარგებლობთ. სიახლე კიდევ ის არის, რომ ისევ გავხსენი სკოლა. ცოლიც და ბავშვებიც, ერთი სიტყვით, ყველანი ვასწავლით და ყველანი ფრიად კმაყოფილნი ვართ“...

ზამთრის მიწურულს საგრძნობი გახდა, რომ დედა ცოტა უკვე დაღალა ამ სკოლამ. აპრილში იგი სწერს თავის დას: „ყოველ დილით საკუთარ შვილებს ვასწავლი, ყოველდღე ნასადილევს სკოლა იკრიბება. სწავლება მიჭირს, თავის დანებება კი მენანება. ისე კარგად მიდიოდა საქმე, ყველანი კითხულობენ და წერენ, ვერ ვიტყვი რომ ძალიან კარგად, მაგრამ რიგიანად. კიდევ ცოტა ხანი რომ ვასწავლოთ, მთელი ცხოვრება არ დაავიწყდებათ“.

ზაფხულში სკოლა დავითხოვეთ და მომავალ წელს აღარ განახლებულა.

24

ზამთარში ჰანა ისევ ავად შეიქნა. ეს ამბავი ძალიან აწუხებდათ და აღარდებდათ ჩემს მშობლებს. გარდა ამისა ჰანა ზედიზედ ერთმანეთზე უფრო გულისმომკვლელ ცნობებს იგებდა.

ჯერ ისევ ზაფხულში შეიტყო, რომ გარდაიცვალა მისი საყვარელი უფროსი და, რომელსაც ორი პატარა გოგონა დარჩა ობლად. შემდეგ ზამთარში მოსწერეს, რომ მამამისი მძიმედ არის ავად. ჰანამ არ იცოდა რა ელონა — ემზადებოდა ინგლისში გასამგზავრებლად, მაგრამ ახალ ცნობებს ელოდებოდა.

დედამ ეს ამბავი რამდენჯერმე მისწერა თავის დას ქუთაისში. „ჰანა გასამგზავრებლად ემზადება, ავადმყოფობს, გახდა, მოწყენილია... სერიოჟამ სამჯერ იტირა.. ვშიშობ რომ ბავშვები იდარდებენ, როცა გაემგზავრება. მეც ძალიან ვდარდობ, მისი სახით განა მხოლოდ ჩემი ბავშვების მშვენიერ ძიძას ვკარგავ, არამედ მეგობარსაც“...

მალე მოვიდა ჰანას მამის დაღუპვის ამბავი.

ძალიან ტიროდა და დარდობდა ჰანა, ჩვენც ვინაწილებდით მის მწუხარებას და მწარედ დავტიროდით ჩვენთვის უცნობ, მაგრამ მისი ქალიშვილის გამო საყვარელ ვინძორელ მებაღეს.

შემდეგ სხვა წერილებიც მოვიდა ინგლისიდან, რომლებიც გვაოგნებდნენ და თან გულისწყრომას იწვევდნენ. ჰანას გარდაცვლილი მისი ქმარი სთხოვდა ჩასულიყო ინგლისში და ცოლად გაჰყოლოდა. ჰანას ნათესავები წერილობით ცდილობდნენ მის დაყოლიებას, რომ დათანხმებულიყო და ორი პაწია ობლისათვის დედობა გაეწია.

ჰანა შეყოყმანდა... მთელი გულით მიყვარდა და ამიტომ ვგრძნობდი რა ტრიალებდა მის სულში, მივუსვდი, რომ უკვე ორგზოფობდა და ამან თავზარი დამცა, სასოწარკვეთილებამ შემიპყრო.

ნუთუ მიგვატოვებს? ნუთუ ასე გვატკენს გულს? ჩვენ ხომ ისე გვიყვარს, უიმისოდ ცხოვრება ვერც წარმოგვიდგენია? ნუთუ ჩვენმა სიყვარულმა არ უნდა შეაჩეროს? ნუთუ შეიძლება, რომ მან, ესოდენ საყვარელმა, ჰაერივით აუცილებელმა, ხელის ერთი დაკვრით დაწყვიტოს სიყვარულის ბორკილი. მიყვარხართო რომ გვეუბნებოდა და მთელი მისი ცხოვრება ამის დასტურია, ნუთუ ეს ქალი ამას ჩაიდენს.

ყოველივე ამას უფრო ვგრძნობდი, ვიდრე ვფიქრობდი.

„ნუთუ, ნუთუ ამას გააკეთებს?“ — დღე და ღამ ამას ვეკითხებოდი საკუთარ თავს.

მაგრამ ჰანამ შეგვიბრალა. მანაც ჩვენსავით იგრძნო, რომ ჩვენი სიყვარულის ხელყოფა შეუძლებელია, არა აქვს ამის უფლება, რომ მთელი სიცოცხლე, სიკვდილამდე არის გადაჯაჭვული ჩვენთან ამ სიყვარულით.

ჰანა დარჩა.

მაგრამ გადატანილმა სულიერმა ჭიდილმა შეარყია მისი ჯანმრთელობა, და ჰანაც დღითიდღე უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა.

25

იმ ზაფხულს სამარაში ველად გაშლილ ჩვენეულ მამულში ვეპირებოდით წასვლას, რათა მამასა და ჰანას იქ კუმისი დაელიათ და გამოჯანსაღებულიყვნენ.

მაგრამ სხვადასხვა მიზეზებმა ხელი შეგვიშალეს.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სამარის მამულში არ იყო საცხოვრებლად ვარგისი შენობა ისეთი დიდი ოჯახისათვის, როგორიც ჩვენი ოჯახი გახლდათ.

გადაწყვიტეს ერთი წლით გადაედოთ იქ გამგზავრება; ცოტა ხნით მარტო მამა ჩავიდოდა ზაფხულის ბოლოს.

დედამ წერილი მისწერა თავის დას ტ. ა. კუზმინსკაიას, ემუდარებოდა მთელი ოჯახით ჩასულიყო ქუთაისიდან იასნაია-პოლიანაში.

დეიდა ტანია დასთანხმდა და არ შეუშინდა სამი პაწია ბალღით ემგზავრა კავკასიიდან ტულის გუბერნიამდე.

თბილისიდან ვლადიკავკასამდე ცხენებით უნდა ემგზავრათ. დეიდა ტანია ახალგაზრდა იყო, ენერგიული და რაც მთავარია, ძალიან უყვარდა იასნაია პოლიანა და მისი ბინადარნი.

და, აი, ისიც დაადგა გრძელსა და მომქანცველ გზას.

დეიდა ტანია — დედაჩემის უმცროსი დაა. მთელი ცხოვრება მეგობრობდნენ და დეიდა ტანია, როცა კი შეეძლო, ხშირად ჩამოდიოდა იასნაია პოლიანაში.

ქალიშვილობაშიც ჩამოდიოდა, ხოლო შემდეგ, როცა გათხოვდა თავის დეიდაშვილზე ა. მ. კუზმინსკიზე, ზაფხულობით ქმრითა და ბავშვებით გვეწვეოდა ხოლმე.

პირველ ხანებში დეიდა ტანია ტულაში ცხოვრობდა, რადგან მისი ქმარი იქ მსახურობდა. იქიდან იასნაია პოლიანაში ჩამოსვლა ძნელი საქმე არ იყო და ამიტომაც ყოველწლიურად, როგორც კი გაზაფხულდებოდა, გადმოჰყავდა თავისი ოჯახი და შინამოსამსახურე ფლიგელში და მთელ ზაფხულს იქ ატარებდა.

1871 წელს ბიძაჩემი კავკასიაში გადაიყვანეს, თბილისში, და ის ზაფხული კუზმინსკებმა კავკასიაში გაატარეს, იასნაიაში არ ჩამოსულან, რადგან შეეშინდათ ასე შორ გზაზე როგორ ვიმგზავროთო.

ამ ამბავმა მეტისმეტად დაგვწყვიტა გული დედასაც და ბავშვებსაც.

მაგრამ 1872 წლის ზაფხულში დეიდა ტანია დათანხმდა ჩამოსულიყო. ბავშვები უკვე წამოიზარდნენ, იმდენად საშიში აღარ იყო მათი მგზავრობა, ესეც არ იყოს, მან იცოდა, რომ მისი ჩამოსვლით უდიდეს სიხარულს მოგვანიჭებდა. ყველანი აღელვებულნი, გულისფანცქალით და სიხარულით ველოდით როდის ჩამოვიდოდნენ.

ჩვენთვის, ბავშვებისათვის, კუზმინსკების ჩამობრძანება იმას ნიშნავდა, რომ იწყებოდა ხანგრძლივი დღესასწაული.

ზამთრობით მეცადინეობა არ გვიჭირდა. მაგრამ გამოზაფხულდებოდა თუ არა, უკვე დაღლილობას ვგრძნობდით. და როცა უთენია ანათებდა კაშკაშა გაზაფხულის მზე, სახლის წინ მინდორი მწვანედ ბიბინებდა, გამოჩნდებოდა პირველი ყვავილები, ჩიტები ხმამაღლა ჟღურტულებდნენ და ჭიკჭიკებდნენ, უკვე ძნელი იყო ფორტეპიანოსთან გამების ზეპირობა ან მაგიდასთან მშვიდად ყოფნა და ფრანგული ზმნების ულლება.

გული საყვარელი ტყეებისაკენ მიგიწევდა, იასნაია პოლიანას გარშემო რომ ერტყა, ბავშვის ჯანსაღი სხეული უფრო მეტ მოძრაობას ითხოვდა, ხოლო ფილტვები — სუფთა ჰაერს...

იმჟამად სახელგანთქმულმა ექიმმა ზახარინმა, მამაჩემის კარგმა ნაცნობმა, ჩემს მშობლებს ურჩია, ზაფხულობით, თუნდაც მცირე ხნით მთლიანად გავენთავისუფლებინეთ გაკვეთილებისაგან. ეს რჩევა მათ ყურად იღეს და ყოველ ზაფხულს, ექვსი კვირის განმავლობაში სავსებით მოწყვეტილი ვიყავით გონებრივ სამუშაოს.

ექვსი კვირა წიგნს ხელს არ ვკიდებდით და დროის უმეტეს ნაწილს ეზოში ვატარებდით, ვაგროვებდით სოკოებსა და კენკრას, ვბანაობდით ჩვენს ანკარა პატარა მდინარე ვორონკაში, ხან ცხენებზე შევსხდებოდით, ხან ეტლით გავისეირნებდით, თვალს ვადევნებდით ფრინველების, პეპლების, ჭიამაიებისა და სხვა სულდგმულთა ცხოვრებას.

ვფქირობ, რომ უქმე დღეების განმავლობაში იმაზე ნაკლებ ცოდნას როდი ვიძენდით, ვიდრე წიგნებიდან უნდა შეგვეძინა.

როგორც კი მაისი დადგა, დედაჩემი „კუზმინსკების სახლის“, (ასე ვეძახდით ფლიგელს) კეთილმოწყობას შეუდგა.

ამ წელიწადს ყველანი განსაკუთრებული სიამოვნებით ველოდით კუზმინსკების ჩამოსვლას. მათი ჩამოსვლის დღეს ტულაში ოთხცხენიანი ეტლი და უამრავი საზიდარი გაგზავნეს.

გულათრთოლებულები მთელი დღე ადგილს ვერ-ვპოულობდით, ხან ერთ ფანჯარასთან მივირბენდით, ხან — მეორესთან, ყურს ვუგდებდით გზაზე ბორბლების ხმაურს.

ბოლოს გაისმა რესორიანი ეკიპაჟის რწევა.

ყველანი გავფაციცდით, ფანჯრიდან გავხედეთ არყის ხეების ხეივანს.

დიახ! მოდიან! აი არყის ხეებს შორის გამოკრთა ყორანა ცხენები... აი ეტლიც, საიდანაც მოსჩანს რამდენიმე ადამიანის სახე: ბებრის, ახალგაზრდის, ბავშვების.

სერიოჟა, ილია და მე ბრიალ-ტრიალით ჩავცვივდით კიბეზე და გავფრინდით ფლიგელისაკენ, რომელსაც ეტლი უახლოვდებოდა. დედა უკვე იქ არის.

დიახ, ჩვენები არიან. აი თვალწარმტაცი, მშვენიერი დეიდა ტანია, მომღიმარე ალერსიანი. აი მისი უფროსი ქალიშვილი დაშა, რომელიც ჩემსკენ ეშურება და ყელზე მეხვევა, ლამის შევჭამოთ ერთმანეთი, ისე ვეკვრით ერთმანეთს ლოყებით, მაგრამ აი უკანიდან პაწია მაშა მოგვეახლა, ფეხისწვერებზე შემდგარი ცდილობს მომეხვიოს.

შემდეგ ეტლიდან გადმოპყავთ ჩვილი, ძუძუთა ბალღი ვერა.

და ბოლოს გადმოფორთხდა ბეთრი, ფაშფაშა ტრიფონოვნა, კუზმინსკების ძველი მზარეული.

პირველ წუთებში ერთმანეთს ლაპარაკს არ ვაცლით. შემდეგ ბალღები ტანსაცმელს იცვლიან. და ყველანი მივდივართ ბარგის დასალაგებლად. მე დაშას ვეხმარები გადმოაწყოს თავისი ნივთები და თანაც გზადაგზა ვათვალიერებ.

ჩამოსვლის დღეს კუზმინსკები ჩვენსა სადილობენ, მაგრამ მეორე დღესვე ტრიფონოვნა ხელებდაკაპიწებული ამზადებს კერძებს კუზმინსკების სამზარეულოში.

ბავშვებს საერთოდ ძალიან გვიყვარს სხვაგან სადილობა. და ამიტომ ჩვენმა მშობლებმა ასე გადაწყვიტეს, ყველა ბავშვი ერთ სახლში რომ არ შევკრებილიყავით, ნება მოგვცეს ასე მოვქცეულიყავით: თუ დაშა ჩვენთან ისადილებდა, მაშინ რომელიმე ჩვენთაგანი კუზმინსკებს იწვეოდა სადილად.

კვირაში ერთხელ, კვირადღეობით, კუზმინსკები ყველანი მოწვეულნი იყვნენ სადილად „დიდ“ სახლში.

ამ ზაფხულში მე განსაკუთრებით შევიყვარე ჩემი კარგი შავთვალა დეიდაშვილი დაშა.

თუმც იგი ორი-სამი წლით ჩემზე უმცროსი იყო, ეს ხელს არ გვიშლიდა გულითადი მეგობრები ვყოფილიყავით.

ზაფხული უფრო სახალისო შეიქნა ჩვენთვის.

ჰანამ ცოტა მოიკეთა და გამხიარულდა. სოკოებისა და კენკრის შეგროვება, საბანაოდ სიარული კუზმინსკებთან ერთად უფრო სახალისო გახდა.

შეაბამენ ცხენს ეტლში, ჩვენში „საგორავს“ რომ ეძახიან და ყველანი ასკარა, გრილ ვორონკაში საბანაოდ მივეშურებით. იქ საცურაოა მოწყობილი, საცურაოში ყუთია გაკეთებული ბავშვებისათვის. ჩვენ ხშირად დაგვყვება ხოლმე თან დეიდა ტანიას მზარეული ქალი ტრიფონოვნა, რომელიც ძალიან გვიყვარს, იგი ფაშფაშა, თეთრი სუფთა ქალია, თეთრი თავსაფარი უკეთია, თეთრი წინსაფარი.

— აბა, ტრიფონოვნა! — ვუყვირით ჩვენ, — ჩაძვერით პირველი წყალში და გაგვითბეთ.

და ჩვენც გვჯერა, რომ მისი ქათქათა დიდი ტანი, მუდამ თბილ სამზარეულოს ყოფნისაგან, წყალს მართლა გაგვითბობს.

ეზოსში ჩვენი ოჯახი გაიზარდა. ამქვეყანაზე გაჩნდა დიდი ჯანსაღი ბიჭუნა, — პეტრე დაარქვეს. ჩვენ უკვე ექვსნი ვიყავით.

ამ ამბიდან ერთ თვეში მამა სამარაში გაემგზავრა. იქ ცოტა ხანი დაჰყო. აგვისტოში დაბრუნდა, მალე კუზმინსკებიც გაემზადნენ უკან კავკასიაში გასაბრუნებლად.

ზაფხულის მიწურულს ჰანას ჯანმრთელობა ისევ შეერყა. ჩემმა მშობლებმა ალარ იცოდნენ რა ელონათ...

ბოლოს ასე გადაწყვიტეს: ჰანა კუზმინსკებთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო ქუთაისში, ზამთარი იქ გაეტარებინა, იქნებ კარგ ჰაერს ხელი შეეწყო და გაჯანსაღებულიყო.

ჰანა უსაქმურობას ვერ იტანდა, არც იმდენად ავად ვარ მუშაობა ვერ შევძლოო, ამიტომ დაშა და მაშა კუზმინსკების აღზრდა ითავა.

ბავშვებისათვის არ უკითხავთ თანხმობა.

არ ვიცი რას ვუპასუხებდი, რომ შემკითხოდნენ. რამდენადაც ენით უთქმელ ტკივილს მაყენებდა ჰანასთან განშორება, მაინც ვგრძნობდი, რომ იგი თავის საკეთილდღეოდ მიემგზავრებოდა, ამიტომ ვერ შევაჩერებდი. მაგრამ ნუგეშად ისღა მრჩებოდა, რომ მხოლოდ ამ ზამთარს გაატარებდა იქ და ზაფხულში ისევ ვნახავდით სამარაში, სადაც შეთანხმებისამებრ მაისში უნდა ჩავსულიყავით ყველანი.

როგორ დავშორდით ერთმანეთს, როგორ დავემშვიდობეთ ეს ჩემს მეხსიერებას არ შემორჩენია.

მახსოვს მხოლოდ ის, რომ დაიწყო სასოწარკვეთის დღეები. ვერაფერს დავუდე გული: ყველაფერი მოსაწყენი და უაზრო მეჩვენებოდა. სახლი დაცარიელებულიყო — ასე მეგონა ქარის სათარეშო გახდა-მეთქი... საღამოობით თვალცრემლიანი ვწვებოდი დასაძინებლად. დილით ადგომა მეზარებოდა, რისთვის უნდა ავდგე? სულ ერთია, ყველაფერმა დაკარგა ყოველგვარი აზრი და ყოველგვარი სიხარული.

მამას ვერ მიეკარები, როცა წერს. საღილზე კი ჩუმად ზის, დინჯად. ამ ზამთარს მაინც განსაკუთრებით პირქუში შეიქნა. ყური მოვკარი „უფროსები“ რომ ლაპარაკობდნენ, რომ მან დაიწყო დიდი რომანის წერა პეტრე პირველის დროიდან და რაღაც არ გამოდისო... 1873 წლის 12 იანვარს იგი წერდა თავის ნაცნობს პ. დ. გოლოვასტოვს: „მთელი ზამთარი ძალზე მძიმე, არანორმალურ მდგომარეობაში ვარ. ვწვალობ, ვდელავ, თავზარი მეცემა, როცა წარმოვიდგენ, სასოწარმეკვეთება, კვლავ იმედი მომეცემა და მერე ვრწმუნდები, რომ

ტანჯვის მეტს ვერას გამოვრჩები... საკუთარი თავი ისე მეზიზღება, რომ სხვებისთვის ალბათ აუტანელი ვიქნები... ამას გარდა სახალხო განათლების საქმით არის დაკავებული და სულ ამაზე ლაპარაკობს".

მე კი ეს საქმე უკვე აღარ მაინტერესებს. მე პარიზში ვილაპარაკო.

დედასთან მივალ — იგი პაწია პეტიას აწოვებს ძუძუს, მაგრამ თუ ვაგცდა სიტყვა ჰანაზე ან კუზმინსკებზე, მაშინვე ცრემლი ერევა... უკეთესია ხმა არ გავიღო.

შეხვალ მამიდა ტატიანა ალექსანდრეს ასულთან... მასთან სიჩუმეა, იქაურობა ჩაბნელებულია. ზის მისი მესუფრია ნატალია პეტრეს ასული და შიშინებს: „ჩუ... ჩუ... ტატიანა ალექსანდრეს ასულმა დაიძინა.

ვამჩნევ, რომ ამ ბოლო დროს მამიდაჩემი ხშირად თვლემს. როცა არ სძინავს უწინდებურად კეთილი და მოსიყვარულეა, მაგრამ როგორღაც უფრო და უფრო ნაკლებ აინტერესებს გარეგანი ცხოვრება, ბევრი რამ აღარ ახსოვს!

მერე მაღლა ავდივარ დარბაზში. ფანჯარაში ვიხედები: წვრილად ცრის შემოდგომის წვიმა.

რით შევამოკლო გაუთავებელი ნაღვლიანი დღე?

ჩემმა დიდედამ ლიუბოვ ალექსანდრეს ასულმა ბერსმა, პეტერბურგში რომ ცხოვრობდა, თითქოს შორიდან შეიგრძნო ჩვენი მწუხარება, შეგვიბრალა და უცებ სრულიად მოულოდნელად ჩამოვიდა იასნაია პოლიანაში.

მისმა ჩამოსვლამ მე და დედა მეტისმეტად გვანუგეშა.

ვიდრე დიდედა იასნაიაში იყო, ნაბიჯზე არ ვშორდებოდი, მის გვერდით მეძინა, დღისით კი მამეცადინებდა და მასთან ერთად ვსეირნობდი.

თითქოს ბუნებამაც მოწყალე თვალით გადმოგვხედა და ოქტომბრის მიწურულს ისეთი საუცხოო მზიანი დღეები გვაჩუქა, რომ ყვავილებიც კი შეცდნენ, ისევ ზაფხული დადგაო და მეორედ აყვავდნენ...

28 ოქტომბერს დედა სწერდა დეიდა ტანიას:

„საოცრად კარგი ამინდია, გუშინ ახლახან გაშლილი მინდვრის ... ვ ... ლებისაგან უზარმაზარი თაიგული შევკარით: სამყურაო, ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარო, ლილისფერი ღიღილოები და სხვები. ასეთი სასწაული არავის ახსოვს".

დიდედა იასნაიაში დიდხანს არ გაჩერებულა. მაგრამ იგი დაგვეხმარა როგორღაც გადაგვეტანა ყველაზე მძიმე დღეები...

ჰანა გაემგზავრა და დამთავრდა ჩემი ბედნიერი ბავშვობა.

სამუდამოდ წავიდა ჟამი უზრუნველობისა, უფროსების ნდობისა, ყველასი და ყველაფრის ულრუბლო სიყვარულისა, ცხოვრების ეს ჟამი ხომ ამით განირჩევა.

მეცხრე წელიწადში გადავდექი და მეც ბავშვობიდან ყრმობაში გადავდგი ფეხი.

ცხოვრებაში ბავშვობის შემდგომაც მქონია მრავალი კარგი და ბედნიერი წუთები, მაგრამ ის სინათლე სულისა და გულითადი სიმშვიდე, რასაც ვგრძნობდი მაშინ, როცა ჰანასთან ერთად ვცხოვრობდი თაღებიან ბავშვთა ოთახში, აღარასოდეს განმეორებულა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

პირველი ნაბიჯები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰილდა ენდრიუს-რუსიკი

კოლექციონერები

ინგლისურიდან თარგმნა

რუსუდან ჭილაშვილმა

ჟურნალ „საუნჯის" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი მთარგმნელი ქალბატონი **რუსუდან ჭილაშვილი** და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს, მის საახლობლოს.

რალა თქმა უნდა, დღეს პარასკევია, ცამეტი რიცხვი. უნდა მცოდნოდა, ეს დღე კარგად არ დამთავრდებოდა. მით უმეტეს, რომ თავიდანვე დაითარსა. ჯერ ერთი გვიან გამეღვიძა. ვერც ერთი თვალწაუსვლელი წინდა ვერ ვიპოვე. ამას ისიც დაემატა, რომ წვიმის შემდეგ გამშრალი ჩემი კოსტიუმი აბაზანაში ჩავარდა და სულ დასველდა. ახალი ლურჯი ჯინსები კი ჩემმა დამ ჩაიცვა. მომიხდა ისევ დაძველებული, დაკემსილი ჯინსების ჩაცმა. ოფისში პატივს არ სცემდნენ ჯინსებს, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. უბრალოდ, პარასკევი იყო, ცამეტი რიცხვი.

როგორც იყო გამოვეწყვე და ნაჩქარევად ვისაუზმე, რადგან უკვე მაგვიანდებოდა. პარკის მეორე მხარეს მეტინოს სადგურამდე თითქმის ვირბინე, და ვაგონში ზუსტად იმ დროს შევვარდი, როდესაც კარი იხურებოდა. კარში ერთდროულად შემოსულ მაღალ, ახალგაზრდა კაცს შევეჯახე, ფრიად უცნაურად რომ გამოიყურებოდა. მას ცისფერი ზამშის კოსტუმი ეცვა, ალისფერ პერანგზე კი ვარდისფერი ნაქსოვი ჰალსტუხი ეკეთა. ეს ჩაცმულობა მის ბრდღვიალა წითურ წვერს სულაც არ შეეფერებოდა. პირზე მომდგარი სიცილი შევიკავე და სახეზე ღიმილი მოვიფინე. მერწმუნეთ, რომ მცოდნოდა იმ ღიმილს რა მოჰყვებოდა, შემდეგივე სადგურზე ჩამოვიდოდი და სამსახურამდე სულ ფეხით ვიე-

ლიდი, მაგრამ გვიანლა იყო თითზე კბენანი. გავიღიმე და აი ახლა ხაფანგში ვარ გაბმული. თავში არანაირი მსუნელი აზრი არ მოდის, რა უნდა ვთქვა, როდესაც კარი გაიღება. არავინ, ამქვეყნად არავინ დაიჯერებს ჩემს ამბავს.

დავუბრუნდეთ ღიმილს. ახალგაზრდა კაცი მოპერდაპირე მხარეს დაჯდა და მანაც გულითადად გამიღიმა. მის ზემოთ კედელს მივაპყარი მზერა და თავი მოვიკატუნე, თითქოს ძალზე დამაინტერესა განცხადებებმა. „სადგურში დამლაგებლები გვესაჭიროება“, იუწყებოდა ერთ-ერთი. გულდასმით წავიკითხე ცნობები ახალგაურების, სამუშაო საათების, დასვენების დღეებისა თუ სხვა განაკვეთების შესახებ. ბოლოს ზეპირადაც კი ვისწავლე. მაგრამ ხამშისკოსტუმიანი ყმაწვილი ისევ ისე მიღიმოდა. გადავედი შემდეგ განცხადებაზე. ეს იყო იუმორისტული გვერდი ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებლების მოსაზიდად. პირველ სურათზე გამოსახული იყო მისის გ. — სახეშეწუხებული დიასახლისი, შვილები რომ ეს ესაა სკოლაში გაისტუმრა და ახლა თავს მარტოდ გრძნობს. რა შეუძლია გააკეთოს, თუ არა გახდეს ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი. ბოლო სურათი მანქანის სადგომის მრიცხველთან მდგარ შუქლურჯ ფორმაში გამოწყობილი მომღიმარ მისის გ.-ს გამოსახავდა. თვალს არ ვაშორებდი ბედნიერ მისის გ.-სა და მის ლურჯ პეწია უნიფორმას. ჭეშმარიტად გაბრაზებული გამომეტყველების მისაღებად თავი ჩემს მინიმანქანაში წარმოვიდგინე. აი, სადგომის მრიცხველზე ჯარიმა იწერება და მისის გ.-ი ჯარიმის ქვითარს მაწვდის. საქმეში ხარ! უცნაური ახალგაზრდა ისევ ისე მიღიმოდა.

მოულოდნელად წინ გადმოიხარა და იატაკიდან გაზეთი აიღო.

— უკაცრავად, — თქვა მან, — ეს თქვენ დაგივარდათ?

— არა, — მივუგე ცივად. — ვფიქრობ, ქალიშვილის გასაცნობად უკეთესი გზებიც არსებობს.

იგი თავისი ვარდისფერი ჰალსტუხის ფერი გახდა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა.

— ბოდიშს ვიხდი, — მომმართა, — მგონი, სადღაც შევხვედრივართ, თქვენ ტოტენჰემ ქორტ რიუდის კუთხეში, გროსვენორ ბილდინგში მუშაობთ, არა?

გამიკვირდა. მართლაც გროსვენორ ბილდინგში ვმუშაობ, იმ მინასპილენძის ცათამბჯენში, გარედან მოზაიკური შადრევანი და თანამედროვე ქანდაკებები რომ ამშვენებს. თუ ოდესმე ყოფილხართ ლონდონში, უთუოდ შეამჩნევდით მას. ალბათ ისიც იქ მუშაობს და მართლაც დამინახა. სულ ცოტა ორმოცდაათამდე სხვადასხვა ფირმას მაინც აქვს თავისი ოფისები გროსვენორ ბილდინგის ოცდამეათე სართულზე.

— დიახ, — მივუგე ოდნავ მომბალი ხმით. — იქ ვმუშაობ, მაგრამ რაღაც არ მახსოვხართ.

— ზუსტად იქ არ ვმუშაობ, — ისევ გაწითლდა იგი, — შეიძლება ითქვას, მუდმივად არა. სწორედ ახლა ვამთავრებთ ა...მმ... სამუშაოს ბოლო სართულზე, — ყოყმანით დაასრულა მან. აი, თურმე რატომ აცვია ასე უცნაურად, გავიფიქრე მე, რა თქმა უნდა, მხატვარია და „ბო-

ლო სართულზე მუშაობა“ ნიშნავს, რომ ვიღაცის ოფისს ამტრკეთებს. ნეტავ ვისას?

— ძალზე მომხიბვლელი ქალიშვილი ბრძანდებით, — უეცრად წარმოთქვა ჩემკენ გადმოხრილმა ზამშისქურთუკიანმა. — ...მმმ ...არ დავყოფ გროსვენორში. ხომ არ ისაუზმებდით დღეს ჩემთან ერთად? რაღაცაზე მინდა გელაპარაკოთ. პირველ სართულზე რომ პატარა ბარია, იქ შეგვიძლია შესვლა. ძალიან კარგი ჰამბურგერები აქვთ.

ჰამბურგერებით! არადა, როცა საუზმეზე პირველად ეპატიჟები ქალიშვილს, უკეთესი რამ უნდა შესთავაზო. სუკებს არ ვითხოვ, მაგრამ სპაგეტ-ჰაუზში, ბოლონიურად მომზადებულ სპაგეტიზე მაინც უნდა დავეპატიჟე. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, ჯეფს, ჩემს თანამშრომელ ყმაწვილს შევპირდი ერთად საუზმობა.

ზამშისქურთუკიანი იმედით სავსე თვალებით შემომცქეროდა. უარის ნიშნად თავი გავაქნიე და ვუთხარი, — ვწუხვარ, მაგრამ საუზმეზე უკვე შეთანხმებული ვარ. იმედგაცრუება კი გამოეხატა, თუმცა არაფერი უთქვამს. მატარებელი ტოტენჰემ ქორტ როუდის სადგურში გაჩერდა და ჩვენც ესკალატორისკენ მიმავალ ხალხის ნაკადს შეეუერთდით. როცა მეკვირალა ფერებით აჭრელებულ განცხადებებს ჩავუარეთ, ისევ სცადა ჩემი დათანხმება.

— ბოდიშს ვიხდი, — ვუთხარი მე, — დღეს ნამდვილად არ შემიძლია. შემდეგ კვირას კი, თუ ისევ აქ იქნებით, იქნებ შევძლო. ჩემთან დაკავშირებას თუ მოისურვებთ, ელექტრონიკს კონსოლიდეიტში ოცდამეერთე სართულზე ვმუშაობ.

სადგური დავტოვეთ და ერთად გადავჭერით გროსვენორ ბილდინგისკენ მიმავალი გზა. უკვე ათის ხუთი წუთი იყო. ფეხს ავუჩქარე. მინდოდა ჩემს სამუშაო მაგიდამდე მანამდე მიმეღწია, ვიდრე ბოსი მომიკითხავდა. რომ დამწეოდა, ჩემმა თანამგზავრმა ნაბიჯები დააგრძელა, უსიტყვოდ გამიღო მძიმე მინა-ნიკელის კარი და შესასვლელ ჰოლში ლიფტისკენ ჩემთან ერთად გამოემართა. სამი ლიფტიდან, ოცდამეერთე სართულზე რომ ჩერდებოდა, მხოლოდ ორი მუშაობდა. მესამეზე კი რამდენიმე დღეა აბრა ეკიდა: „დროებით არ მუშაობს“. ზამშისქურთუკიანმა მზერა აბრაზე შეაჩერა.

— ეს ლიფტი სრულ წესრიგშია, — მაცნობა მან. — წუხელ ვისარგებლე. ალბათ აბრის ჩამოხსნა დააგვიწყდათ. — მან ღილაკს თითი დააჭირა და კარის გაღებისთანავე ხელი მიბიძგა.

— თქვენ არ მოდიხართ? — ვკითხე.

— არა, ჯერ ერთი-ორი რაღაც მაქვს კიდევ სანახავი. ნახვამდის, — დამიქნია მან ხელი და გამიცინა. ნეტავ რა იყო სასაცილო? თუმცა სულ მალე გაირკვა ყველაფერი.

როდესაც ლიფტის კარი დაიხურა, თითი ოცდამეერთე სართულის ღილაკს დავაჭირე. ლიფტი ნელა დაიძრა და სართულის ნომრებმაც სწრაფად იწყეს მონაცვლეობა — 1.. 2.. 5.. 18.. 20. უნებურად მოვემზადე ლიფტის სვლის მცირე შენელებისთვის, რასაც მისი გაჩერება უნდა მოჰყოლოდა. მაჩვენებელ დაფაზე აინთო 21, შემდეგ 22,

23... და ბოლოს 30. ნუთუ თითი საჭირო ღილაკს არ დავაჭირე? მეგონა, კარი ოცდამეათე სართულზე გაიღებოდა, მაგრამ ჯერ ისევ ვმოძრაობდით. ეს ყოვლად შეუძლებელი იყო. ოცდამეათე ხომ ბოლო სართულია? ზემოთ, ბანზე მხოლოდ რესტორანია, რომელსაც საკუთარი ლიფტები აქვს.

კარი რომ არ გაიღო, მაინც არ შევშფოთებულვარ. ამ პირობებში საჭირო იყო საგანგებო შემთხვევის ღილაკზე დამეჭირა თითი. ლიფტის მსახური მალე მოვიდოდა და აქედან გამომიყვანდა. ამასთან გავიფიქრე, რომ დაგვიანებისთვის კარგი საბაბი მექნებოდა, განსხვავებული სატრანსპორტო საცობებისა თუ მეტროს გაჩერებისაგან, რაც ჩემი ჩვეული მიზეზები გახლდათ. საგანგებო შემთხვევების ღილაკს რამდენჯერმე დავაჭირე თითი და მაჩვენებელ ციფრების დაფას შევსედე. ანთებულ მწვანე შუქს უნდა ეჩვენებინა, რომ ღილაკი მუშაობდა, მაგრამ ის არ აინთო. ამის ნაცვლად სინათლე საერთოდ ჩაქრა. ლიფტმა სვლას უმატა. ვგრძნობდი, თანდათან როგორ ემატებოდა სიჩქარე და თავგზააბნეულმა შევყვირე.

უეცრად სინათლე აინთო და ფირზე ჩაწერილმა ხმამ ჩემ თავს ზემოთ რამდენჯერმე გაიმეორა: „დაჯექით და მოემზადეთ დროში ნახტომისათვის“. ეს ყველაფერი იმდენად აბსურდული იყო, რომ შიშიც კი გამიქრა. აშკარად ვილაც მეთამაშებოდა. თუნდაც ის ცისფერ ზამშისკოსტუმიანი ახალგაზრდა. აღბათ ჯეფს იცნობს და ორივემ მომიწყო ეს ორი. ხმა ისევ განაგრძობდა კარნახს. ასე რომ მეც დავჯექი. ბოლოს და ბოლოს არ ღირდა მათი ხუმრობა ჩამეშალა. ბიჭები ყოველთვის ბიჭებად რჩებიან, რაგინდ ვაჟკაცებადაც არ უნდა მოჰქონდეთ თავი.

მოულოდნელად ლიფტი მკვეთრად დაფერდდა. რამდენიმე წამის განმავლობაში თავს იმ კოსმონავტივით ვგრძნობდი, მთვარეზე რომ ჯდება. მუცელი სადღაც ჩამივარდა, მაშინ როცა სხეულის დანარჩენი ნაწილი ზემოთ, სივრცეში ავარდა. ამ უსიამოვნო შეგრძნებამ ერთიორი წამი გასტანა. შემდეგ ლიფტი უცბად გაჩერდა და შუქი ჩაქრა. ჩემ ზემოთ ხმა ახლა მატყობინებდა: „თქვენ ჩამოხვედით, თქვენ ჩამოხვედით. არ დაგავიწყდეთ გამაუვნებელი აღჭურვილობა“. პირველად ვიფიქრე, მომესმა-მეთქი. ვიცოდი, ჯეფი დიდებულად იცნობდა სხვადასხვა ელექტრომოწყობილობებს (ის ხომ ერთ-ერთი უბრწყინვალესი ახალგაზრდა ყმაწვილი იყო ელექტრონიკს კონსოლიდეიტში). მაგრამ, ცხადია, ლიფტს ასე სასაცილოდ ვერ აათამაშებდა. იქნებ იმ ზამშისქურთუკიანმა გამიკეთა ჰიპნოზი? შეშინებული კუთხეში მივიყუჟე და თვალებზე ხელები ავიფარე. მიკროფონი ჯერ ისევ იმეორებდა მონოტონურად: „თქვენ ჩამოხვედით, თქვენ ჩამოხვედით“. მერე ხმა შეწყდა და, როგორც იქნა, ლიფტის კარიც გაიღო.

არ ვიცი, რის დანახვას ველოდებოდი: ჯეფის, ეშმაკისა თუ მწვანეთმიანი მარსელის, მაგრამ იმას რას წარმოვიდგენდი, რაც ვიხილე. კართან ახლოს ადამიანთა ჯგუფი იდგა პრიალა ლურჯი ქსოვილის მშვენიერ კოსტუმებში. ძნელი სათქმელია, კაცები იყვნენ თუ ქალები.

მართალია, პირზე დოლბანდები არ ჰქონდათ აკრული, მაგრამ ექიმთა გუნდს უფრო წააგავდნენ. იგრძნობოდა დეზინფექციის სუნიც და თვალს ჭრიდა ჭერის მკვეთრი თეთრი შუქი. ერთი-ორი წუთი დამჭირდა, ვინემ შევეჩვეოდი და ეს ყველაფერი შემემჩნია. ყველა ჩუმად იდგა. ბოლოს ერთ-ერთმა — მგონი, კაცმა — ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი. ისიც ჩემსავით გაოცებული ჩანდა.

— მე უარყოფითი ნიშნით მივიზიდები, — წარმოთქვა გაბრაზებულმა. — რაშია საქმე? — მან ამხედ-დამხედა და დანარჩენებს მიუბრუნდა: — ალბათ ვიღაც, ერთი იმ დამწყებ ბრიყვ სტუდენტთაგანია, გასართობს რომ ეძებს მეოცე საუკუნეში, ნაცვლად იმისა გამოცდებისთვის ემზადებოდეს ვიდეო-ჩამწერ ბიბლიოთეკაში. იცნობთ მას, დოქტორ ინსტონ? — და გვერდით მდგომ ქალს შეხედა, რომელიც მომიახლოვდა. მან თავი გააქნია და წყნარად უპასუხა:

— არა, პროფესორო, არ ვიცნობ.

— იძულებული ვარ დეკანს ვთხოვო მეტად აღარ გამოგზავნოს სტუდენტები, — ვერ ფარავდა უკმაყოფილებას პროფესორი.

— დროში მოგზაურობა თუ სურთ, პროფესორ ბორის სემინარს უნდა დაესწრონ შუა საუკუნეების რაინდის საჭურველზე. ეს სტუდენტი კი იმდენად უმეცარია, არც უცდია გაეხსნა გაუვნებლობის აღჭურვილობა და სტერილური სამოსი გადაეცვა. — მან ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირი მოიხოცა. — ახლა ალბათ ყველა ჩვენგანში მეოცე საუკუნის მთელი მიკრობები ფუთფუთებენ. დოქტორო მაგელან, სჯობს დეზინფექციის დონე ავამაღლოთ ატმოსფეროში.

ჯგუფს მეორე მამაკაცი გამოეყო, ლიფტის გვერდითა კედელში მოთავსებულ ფართო პანელის წალოსთან მივიდა და წითელ ღილაკს თითი დააჭირა. მაშინვე მშვენიერი ნისლი მოეფინა ოთახს და დეზინფექციის სუნმაც იმატა.

— უკაცრავად, პროფესორო, — მოიბოდიშა ქალმა, ვისაც, როგორც დოქტორ ინსტონს, ისე მიმართავდნენ. — ნამდვილად ვერაფერი გამიგია. ახლახან თავად ველაპარაკე დეკანს დროის რადიოგადამცემით. მითხრა, რომ ამ პროცესში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებს აღარ გამოგზავნიდა. ასევე ფიქრობს შეუზღუდოს დროში მოგზაურობა ასპირანტებსაც, ვისაიდან ახალგაზრდები ამას არდადეგებად უფრო მიიჩნევენ, ვიდრე მეცნიერულ კვლევად.

— ცხადია, მათ ვერ დააფანაშაულებთ მეოცე საუკუნეში სწრაფვის გამო. — ჩაერია ერთ-ერთი მათგანი. — არც ისე საინტერესოა მეცამეტე საუკუნეში დაბრუნება და აბჯრის ნაწილების შეგროვება.

— ჭეშმარიტად მართალი ბრძანდებით, — დაემოწმა ფერმკრთალი გოგონა, მხრებამდე რომ ეფინა შავი თმა. — მის სემინარს შარშან ვესწრებოდი და კინაღამ ჯვაროსნული ლაშქრობის დროში დამტოვეს. თურმე დავავიწყდით. ნატყორცნი ისრით დაჭრილი ცხენმა გადამთელა და, ბედზე ჯონი რომ არა, ცოცხალი ვერც გადავრჩებოდი.

— არა მგონია სტუდენტი იყოს, — დაასკვნა შეცბუნებულმა ინს-

ტონმა, როცა დაკვირვებით შემათვალიერა. — უნივერსიტეტის ნიშანი არ უკეთია.

პროფესორიც გაკვირვებული იყო.

— თუ სტუდენტი არა, მაშინ ვინ ხართ? — მკითხა მან.

კარგი შეკითხვა იყო. თუმცა არა მგონია პასუხი მცოდნოდა, თუ ვინ ვიყავი ან სად ვიყავი? იქნებ საგიჟეთში მოვხვდი? მერე საუკუნის მოდები, შუა საუკუნეების საჭურველი, ჯვაროსნული ლაშქრობა, დროში მოგზაურობა. ტვინი ამერია, რაიმე გონივრული პასუხი თავში არ მომდიოდა.

— რა გქვიათ, გეთაყვა? — გულისხმიერად მომმართა ინსტონმა. — როგორ მოხვდით აქ? ახალი, ლაბორანტ-ტექნიკოსი ხართ ტრანსგრავიტაციული ლაბორატორიიდან? ალბათ შეცდომით სხვა ღილაკს დააჭირეთ თითი.

თუ გახსოვთ, პროფესორო, ამას წინათ ვამბობდი, რომ ღილაკებს ახალ აღჭურვილობაზე მკაფიოდ არ ემჩნევა-მეთქი ნიშნები.

— დიახ, სხვა ღილაკს დააჭირეთ თითი.

— არ ვიცი, რა უფლებით მიწყობთ დაკითხვას, — როგორც იქნა ხმა ამოვიღე. მაგრამ შემიძლია გაცნობოთ, რომ არანაირი სხვა ღილაკზე არ დამიჭერია. მე ჯენიფერ ბრაუნი ვარ და ამ შენობაში ელექტრონიკს კონსოლიდეტში ვმუშაობ მდივნად. ლიფტში ჩავჯექი და ოცდამეერთე სართულის ღილაკს დავაჭირე თითი. ამაში დარწმუნებული ვარ. მოგახსენებთ, შემდეგ რაც მოხდა, ჯერ კი მაინტერესებს თქვენ ვინ ბრძანდებით?

ათი გაოგნებული სახე მე მომაჩერდა. ასეთ შეკითხვას ნამდვილად არ ელოდნენ. უეცრად ბრწყინვალე აზრმა გამიელვა. რა თქმა უნდა! რატომ ადრე არ გამახსენდა? ჯეფი ასეთი მასშტაბის ოინს ვერ მოაწყობდა.აქ მეტის მეტად ბევრი ადამიანი იყო ჩართული. ალბათ კანდიდ კამერის პროგრამის მსხვერპლი ვარ. ეს ყველაფერს ხსნიდა. ამ სალამოს მილიონობით ადამიანი მთელ ქვეყანაში ალბათ ჩემზე იცინებს. ცეცხლი წამეკიდა იმის გაფიქრებაზე, რომ ფარული კამერა ლიფტში შესვლის მომენტიდან მიღებდა თურმე. მაგრამ დამაცადონ, მაგათ ვუჩვენებ სეირს! ნებას არ მივცემ სიცილის აქციაში ჩამითრიონ.

— დროში მოგზაურობაზე თქვენი ისტორიებით მე ვერ გამასულელებთ, — ვთქვი ხაზგასმით. — ვიცი, კანდიდ კამერიდან ხართ. თუ არ დაიშლით და ამ სალამოს ჩემი ნებართვის გარეშე ტელეეკრანზე გამოგჭიმავთ, გიჩივლებთ. ბიძაჩემი ადვოკატია.

პროფესორმა და დოქტორმა ინსტონმა ერთმანეთს გადახედეს. გულწრფელად გაოცებულები ჩანდნენ. ნეთუ შევცდი? თანაც იქ მყოფი ხალხი უნივერსიტეტის პროფესორებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ტელერეპორტიორებს. შეიძლება მართლაც უნივერსიტეტის პროფესორები არიან. მაშინ ყველაფერი ნათელია. გამახსენდა რამდენიმე დღის წინ წაკითხული სტატია.

— თუ კანდიდ კამერიდან არა, — ვთქვი მე, — მაშინ პროფესორი ნოველი ბრძანდებით ლონდონის უნივერსიტეტიდან. თქვენი ფსი-

ქოლოგიური ექსპერიმენტების შესახებ „დეილი ლაიფ-ში“ წავიკითხე. თქვენ იკვლევთ სხვადასხვა ადამიანის ქცევას სტრესულ მდგომარეობის დროს. უნდა გითხრათ, ფრიად გაკვირვებული ვარ, როგორ ფლანგავთ გადასახადის გადამხდელების ფულს ასეთ ხუმრობებზე. ნუთუ თქვენს ლაბორატორიაში სხვა უფრო მარტივი ხერხი ვერ მოიძებნა?

პროფესორი, დოქტორი ინსტონი და სხვები გაოგნებული შემომყურებდნენ.

— „ლონდონის უნივერსიტეტი“, „დეილი ლაიფი“, „კანდიდ კამერა“, — ენას ძლივს აბრუნებდა პროფესორი. — ნეტა სად წავაწყდი ამ ტერმინებს ამას წინათ? — მგონი, ბლანდერსტონის წიგნში „ინგლისის ისტორია მეოცე საუკუნის ბოლოში“. დიახ, დიახ, — მან ამოიოხრა. — ჩანს, გაუგებრობაა. დარწმუნებული ვარ ჰაროლდის ბრალია. ყოველთვის რაიმე ხათაბალაში უნდა გაგვხვიოს. გახსოვთ, რა მოხდა შარშან?

— იმას გულისხმობთ, უნივერსიტეტის ზოოპარკისთვის დინოზავრის მოყვანა რომ სცადა?

— სწორედაც. ოლონდ ეს დინოზავრზე გაცილებით სერიოზულია.

— რატომ ისარგებლეთ, ლიფტით? — მკითხა მერე, — განა ვერ დაინახეთ გამაფრთხილებელი აბრა?

— რა თქმა უნდა, დავინახე, მაგრამ ჩემმა მეგზურმა ახალგაზრდა კაცმა, მითხრა, ამუშავდაო.

— ხედავთ? — აღმოხდა პროფესორს გამარჯვებული იერით. — ვიცოდი, იმ ყმაწვილის ბრალია. ჰეს გარდა ამ დილით არავინ გასულა გარეთ. აშკარად მან მოიტაცა ძველი მკვიდრი.

— რას ნიშნავს ძველი მკვიდრიო? — ეს უკვე მეტისმეტი იყო. მხოლოდ გასულ კვირას ვიზეიმე ჩემი ოცი წელი. — თქვენ ყველანი ხომ ჩემზე უფროსები ხართ.

ჭალარაწვერიანი მამაკაცი, აქამდე ჩუმად რომ იდგა, წინ წამოვიდა და ცივი მომნუსხავი მზერით თავით ფეხებამდე შემათვალიერა. შემდეგ გაუბედავად მკითხა:

— მგონი, ჯინსს რომ ეძახიან, ის შარვალი გაცვიათ, არა? მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში რომ იყო პოპულარული.

— დიახ, — ვუპასუხე. მაგრამ რაც მაცვია, ნამდვილად არ გახლავთ არც ერთი თქვენგანის საქმე. თქვენი სასაცილო ლურჯი კოსტუმები ჩემს ჯინსებზე ბევრად უფრო უცნაურად გამოიყურება.

— სამწუხაროდ, მართალი ბრძანდებით, პროფესორო, — ჭალარაწვერიანმა თავი დააქნია, — დამნაშავე ჰაროლდი უნდა იყოს. სწორედ ამ დილით მელაპარაკებოდა ასეთ ჯინსებზე. მისი აზრით ჩვენი კოლექციისთვის ერთი წყვილი მაინცაა საჭირო.

— მერედა რატომ თვითონ არ იყიდა? — იკითხა დოქტორმა ინსტონმა.

— ჰაროლდის ნათქვამიდან, — განაგრძო ჭალარაწვერიანმა, — ახლა ყველაფერს ვერ გეტყვით. ხომ იცით, როგორ მიაყრის ხოლმე სათქმელს, როდესაც აღელვებულია. მგონი, თქვა, ჭეშმარიტად მოდუ-

რი ჯინსები ნახმარი და დაკერებული უნდა იყოსო. ძალიან უნდოდა ასეთი ჯინსების მოძიება, თუმცა ჯინსების მოტაცება მათი პატრონის გარეშეც შეიძლებოდა.

— სავსებით გეთანხმებით, — დასძინა დოქტორმა ინსტონმა. — ჰაროლდის აკვიატებული სიზუსტე საკმაოდ დამღლელია. აქამდე უკვე შინ ვიქნებოდით უსაფრთხოდ და უნივერსიტეტის მუზეუმისთვის მასალასაც დავამუშავებდით. ამის ნაცვლად კი უამრავი მიკრობით სავსე ამ არაჯანმრთელ ატმოსფეროში გვამყოფებს.

— თან სარისკოცაა, ოთხ-ოთხ ბორბალზე მდგარმა იმ საშინელმა ყუთებმა არ გადაგვიაროს, — მწარედ დაუმატა ჭაღარაწვერიანმა. — ვფიქრობ, მისი ქცევა სრულიად არაპროფესიულია, რაც აუცილებლად უნდა განვიხილოთ დროში მოგზაურობის კომიტეტის მომავალ სხდომაზე. ხომ იყო შეთანხმება, რომ ადგილობრივი მკვიდრნი არ შეგვეწუხებინა ჩვენი ექსპედიციის გამო.

— კმარა, კმარა, — შეაწყვეტინა პროფესორმა, საწყალი ჰაროლდისადმი სამართლიანობის გამოჩენა გვმართებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა აქ არ იმყოფება და თავს ვერ დაიცავს. ის ჩინებული კოლექციონერია და ჩვენ შორის საუკეთესო საველე მუშაკი. ვიცი, მთელი თვე ვიდეოჩამწერ ბიბლიოთეკაში რომ გაატარა ექსპედიციისთვის მოსამზადებლად.

— მართალია, — დაეთანხმა აქამდე ჩუმად მდგარი ერთ-ერთი უფრო ახალგაზრდა ქალიშვილი, — როცა კი ბიბლიოთეკაში მოვსულვარ, ყოველთვის ვხედავ, როგორ ჩაჰკირკიტებს ხოლმე ჩანაწერებს. ბოლოს და ბოლოს მისი აღმოჩენაა მინი-კაბა, ბანანა-ქვედატანი, როგორც მათ უწოდებენ.

— და პლატფორმიანი ძირებიც, — წამოიძახა ვიღაცამ.

— და ბიკინები, — შეაშველა სიტყვა კიდევ სხვამ. ამ გაურკვევლობამ გამაბეზრა.

— ერთი წუთით, — ვთქვი, — ის კაცი, ჰაროლდს რომ ეძახით, ცისფერ ზამშის კოსტუმში და ვარდისფერჰალსტუხიან ალისფერ პერანგში ხომ არ არის გამოწყობილი?

— დიახ, დიახ, ჰაროლდია, — დამეთანხმა ყველა. — თუმცა კი ვურჩევდით, თვალში მოსახვედრი რომ არ ყოფილიყო, არ ჩაეცვა ის საშინელი სამოსი, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ასეთი ჩაცმულობა ზუსტად ესადაგება 1977 წელს.

— მაშასადამე, — დინჯად მივუგე მე, — ჩემი გამტაცებელი თქვენი მეგობარი ჰაროლდი ყოფილა. ახლა რას აპირებთ, პროფესორო ესა და ეს, თუ მართლაც პროფესორი ხართ? გეთანხმებით, რომ გატაცება მეოცე საუკუნის გამოგონებაა, მაგრამ ჩემს დროში პატივცემული უნივერსიტეტის პროფესორები ამ საქმით არ იყვნენ... არ არიან... — ზუსტად არ ვიცოდი, რა დრო უნდა მეხმარა, — დაკავებულნი. ნეტა როგორ უნდა დავბრუნდე უკან? არც კი ვიცი, სად ან რა დროში ვარ. იქნებ მეცამეტე საუკუნეში ან კიდევ სხვაგან.

— ოჰ, კომპიუტერო ჩემო, არა და არა, — წამოიძახა დოქტორმა ინსტონმა. — ჩვენ დროში ახლა 2146 წელია. მაგრამ თქვენ დროის

გარეშე ხართ, როგორც იყავით. წარსულში მოგზაურობისას ვქმნით ნეიტრალური დროის გარსს, სადაც მეტწილ დროს ვატარებთ. თქვენი მეოცე საუკუნე მეტისმეტად სახიფათოა. მხოლოდ რამდენიმე ჩვენთან შედარებით ახალგაზრდა მკვლევარს ყოფნის სითამამე მეტხანს დაჰყოს გარსის გარეთ ნამდვილი ნადირობა-საფარისათვის.

მაგრამ ჩემი გამომეტყველება რომ დაინახა, მაშინვე სიტყვა „საფარი"-ს წარსულში მოგზაურობისთვის ვხმარობთ — კოლექციისთვის არ მიგვყავს ხოლმე ცოცხალი ექსპონატები. მხოლოდ სლაიდებსა და ნივთებს ვაგროვებთ.

— გმადლობთ, — წავილაპარაკე ცივად, — სასიამოვნოა იმის გაგება, რომ არ წამიღებენ და დიდ გასართობ პარკში არ დამდებენ.

— სრული უფლება გაქვთ აღშფოთდეთ. როგორც ვთქვი, ჩვენი ერთ-ერთი წესია ადრეული ცივილიზაციების დათვალიერებისას არ მოგვიხდეს მათთან შეჯახება. მაგრამ დროა ერთმანეთი გავიცნოთ. ეს პროფესორი დინგლბაია, ევროპის უნივერსიტეტში მეოცე საუკუნის შემსწავლელი ინსტიტუტის ხელმძღვანელი. — პროფესორმა დიდის ამბით გამომიწოდა ხელი, და მეც ჩამოვართვი. — დანარჩენები ინსტიტუტის თანამშრომლები ან სტუდენტებია. მე კი მირანდა ინსტონი გახლავართ.

ყველას ჩამოვართვი ხელი — გარკვეული ძველი წესები, თუმცა არაჰიგიენური, აშკარად შემორჩა ოცდამეორე საუკუნესაც.

— მეოცე საუკუნის მოდების ჩვენი კოლექცია მთელ ევროპაშია ცნობილი, — ამაყად განაგრძო დოქტორმა ინსტონმა. — მხოლოდ დელის უნივერსიტეტის კოლექცია გვიწევს კონკურენციას. რა თქმა უნდა, დროში მოგზაურობა მხოლოდ ოცდაათი წლის წინათ გახდა შესაძლებელი ბერგმანის პოლიგრაფიული ჩამრთველის გამოგონების მეშვეობით. აქამდე მეოცე საუკუნის ტანსაცმელი უმთავრესად მოდების ჟურნალებიდან... ასე ეძახით, არა? იყო ცნობილი, დაიჯერებთ? მუზეუმები კრინოლინებით იყო სავსე და არც ერთი მინი-ქვედატანი.

— კეთილი, — მივუგე მე. — მზად ვარ დავიჯერო, რომ რასაც აკეთებთ, მეცნიერების ინტერესითაა გამოწვეული, მაგრამ მე რას მიპირებთ? როგორ დავბრუნდები უკან? ან ამ ამბის გამჟღავნების არ გეშინიათ?

— სულაც არა! — გადაიხარხარა პროფესორმა და სხვებიც აჰყვნენ. — მაგაზე არ ვწუხვარ. ვინ დაიჯერებს თქვენს ამბავს? თუ ჩვენი რჩევა გაინტერესებთ, ჩვენზე კრინტი არ დაძრათ. უკან დაბრუნებაზე კი ნუ იდარდებთ. როგორც მოხვედით, ისე დაბრუნდებით, ლიფტით სიძნელე არ შეგექმნებათ.

ვიდრე იგი ლაპარაკობდა, ლიფტის კარის თავზე წითელი შუქი აინთო. ყველამ იქით გაიხედა. შუქი რომ ჩაქრა, კარი გაიღო და ლიფტიდან მაღალი მამაკაცი გამოვიდა ისეთივე ლურჯკოსტუმში, როგორც ამათ ეცვათ. მაშინვე ვიცანი ჰაროლდი. თავისი ზამშის ქურთუკი და პერანგი იღლიაში ამოჩრილი მოჰქონდა. წითური წვერი, როგორც შევნიშნე, საკუთარი იყო და არა მორთულობის ნაწილი.

— ჰაროლდ, — მკაცრად მიმართა პროფესორმა დანგლბაიმ. — რას გვეტყვი? დაგავიწყდა დროში მოგზაურობის უპირველესი კანონი? ნუთუ არაფერი გასწავლა დინოზავრთან დაკავშირებულმა შემთხვევამ? ჩემი აზრით ეს შენი უკანასკნელი საფარია.

საწყალი ჰაროლდი შემეცოდა. მისი მსაგვსი ბიძაშვილი მყავს, პეპლებს აგროვებს და ამქვეყნად ყველაფერი აეიწყდება, რაიმე იშვიათ სახეობას თუ წააწყდა. თუმცა ტყუილად ვლელავდი. ჰაროლდი სულაც არ ჩანდა დამწუხრებული. მან თვალი ჩამიკრა და მკითხა:

— მაშ მოგეწონათ თქვენი თავგადასავალი? განა ყოველდღე ეძლევა ქალიშვილს შანსი ელაპარაკოს თავის შესაძლო შვილთა-შვილთა-შვილთა-შვილიშვილს, რას იტყვით, დიდო-დიდო-დიდო-დიდედა? მაპატიებთ?

— ერთი წუთით მაინც დადინჯდი, — სთხოვა დოქტორმა ინსტონმა, — რამ გაფიქრებინა, რომ მის ჯენიფერ ბრაუნი ელექტრონიკს კონსოლიდეითიდან შენი დიდი-დიდი-დიდი-დიდედაა? და თუ არის, მაშინ უფრო მძიმე დანაშაული ჩაგიდენია. საკუთარ წინაპართა ძებნა, კარგად მოგეხსენება, სასტიკად აკრძალულია. ამის არცოდნამ შეიძლება დროის განჩომილებაში დიდი დამახინჯება გამოიწვიოს.

— ჯენიფერ ბრაუნი, — წარმოთქვა ჰაროლდმა, — რა მშვენიერი სახელია! შეიძლება ჯენი დაგიძახოთ? არა მგონია, ჯენი მენათესავებოდეს. უბრალოდ ისე მოხდა, რომ ქვევით რამდენჯერმე მოვკარი თვალი და მაშინვე მომეწონა. მაგრამ დღეს, როდესაც ამ ფანტასტიკურ ჯინსებში დავინახე, თავი ველარ შევიკავე, აქ რომ არ ამომეყვანა.

— მთელი ეს ატეხილი ალიაქოთი, გახუნებული და დაკერებული წყვილი შარვლის გამოა? — წაიბუზღუნა ჭაღარაწვერიანმა.

— თანაც ასეთი ფუსფუსი ჭორფლიანი გაჩხიკული გოგოს გამო, — გული მოუვიდა ახალგაზრდა სტუდენტ გოგონას, ადრე ჰაროლდს რომ იცავდა.

— შენ არ უპასუხე ჩემს შეკითხვას, ჰაროლდ, — უსაყვედურა პროფესორმა, — რა არის დროში მოგზაურობის პირველი კანონი? პასუხი მშვენივრად იცოდი, როდესაც ქრონო-ისტორიის გამოცდას აბარებდი გასულ წელს.

— ვიცი — არასოდეს შეეჯახო ადგილობრივ მკვიდრთ, — თქვა ჰაროლდმა. — გეთანხმებით, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, ვეცადე ჩემთან ერთად საუზმეზე დამეყოლიებინა. გამიგეთ, მხოლოდ ჯინსები არ მაინტერესებდა. მინდოდა ასევე რამდენიმე სლაიდი გადამეღო ჩვენი კოლექციისთვის. წამოიდგინეთ, ჯენის სრული ზომის სამგანზომილებიანი ფოტოები რა შესანიშნავ მთავარ ექსპონატს შექმნიდნენ ცხრაას სამოცდაათიანი წლებისადმი მიძღვნილი ჩვენი სექციისთვის.

აი აქ კი დავუშვი დიდი შეცდომა. ქათინაურებმა გონება დამიბნიდა. ის ამბავი, რომ აქედან ასსამოცდაათი წლის მერე მუზეუმში ჩემი სურათები გამოეფინებოდა, ძალზე მომხიბვლელი მეჩვენა. ვფიქრობდი იმათზეც, ვინც ჩემს სანახავად მოვიდოდნენ — ჩემი შვილთა-შვილთა-შვილთა-შვილიშვილები, მაგალითად... რა თქმა უნდა, ჰაროლდი. დიახ,

ამკარად პატივმოყვარეობამ მაიძულა დავთანხმებულიყავი. — რომ მცოდნოდა, ამას რა მოჰყვებოდა, თევზივით პირში წყალს ჩავიგუბებდი. მაგრამ მე არა მარტო დავთანხმდი ჰაროლდს სურათის გადაღებაზე, ჩემი ჯინსებიც კი შევთავაზე.

— თუ, რასაკვირველია, რაღაცა მოგეძებნებათ ჩემს შუხამოსად, — ვუთხარი მას, როდესაც მხურვალე მადლობა გადამიხადა.

— რას ინებებთ? — მკითხა დოქტორმა ინსტონმა, — იქნებ ჩვენი დეკონტამის კოსტუმი აირჩიოთ. გატყობთ, თვალში მოგივიდათ.

ის ლურჯი კოსტუმი, ყველას რომ ეცვა! — ჩვენი დროისთვის უცნობი რბილი ქსოვილისა და ძალიან ელეგანტური. გაცვლაზე ხალისით დავთანხმდი. ჰაროლდმა რამდენიმე ფოტო გადამიღო. შემდეგ ზუსტად ჩემი ზომის კოსტუმიც მოინახა. ჯინსები საგულდაგულოდ გაახვიეს რაღაც რბილი პლასტიკატის ნაჭერში, რომელმაც თავისთავად ჰერმეტული კონვერტის სახე მიიღო, შემდეგ კი დიდ ყუთში მოათავსეს 2146 წლის ტრანს-გრავიტაციისათვის!

დიახ, უკვე გულიც მწყდებოდა, ჩემი თავგადასავალი დასასრულს რომ უახლოვდებოდა.

— სამწუხაროდ, უნდა გთხოვოთ, რომ ახლა დაგვტოვოთ, მის ბრაუნ, — მომმართა პროფესორმა დანგბლაიმ. — ჩვენს საუკუნეში დასაბრუნებლად უნდა მოვემზადოთ. თქვენთან შეხვედრამ დიდი სიამოვნება მოგვანიჭა. ჰაროლდ, მიაცილე მის ბრაუნი ლიფტამდე და მისთვის დროის კონტროლი უზრუნველჰყავი. მშვიდობით და დიდი მადლობა.

ყველას რომ დავემშვიდობე, ჰაროლდმა ლიფტთან მიმიყვანა და მის კართან მოთავსებულ დაფაზე რამდენიმე ღილაკს თითი დააჭირა. შემდეგ კი თბილად ჩამომართვა ხელი.

— მშვიდობით, ჯენი, — მითხრა მან. — დიდი მადლობა ჯინსებისათვის. თუ შეიძლება მომიტევეთ, რომ გაგიტაცეთ. სხვათა შორის უფრო ნელა დაეშვებით, ვიდრე ამოხვედით. ათ წუთზე მეტი არ დაგჭირდებათ. მხოლოდ პირველად რამდენიმე წამი იატაკზე მოგიწევთ დაჯდომა. უკან დაბრუნებას გაცნობებთ. იცით, ჯენი, თუ ოდესმე ისევ გამომიშვეს მეოცე საუკუნეში სხვა საფარიზე, დამპირდით, რომ ჩემთან ისაუზმებთ. მპირდებით?

მეც სიტყვა მივეცი. ბოლოს და ბოლოს არა მგონია ჯეფი წინააღმდეგი იყოს ჩემი იმ პიროვნებასთან ერთად საუზმისა, რომელიც ჯერ არ დაბადებულა, არა?

ჩემ უკან ლიფტის კარი დაიხურა. მე იატაკზე დავჯექი და ბიძგისთვის მოვემზადე. ჰაროლდი მართალი აღმოჩნდა. სანამ ხუთამდე დავითვალე, ლიფტი თითქოს უსასრულობაში ჩაქანდა, შემდეგ სვლა შეანელა და ჩვეული სიჩქარით იწყო მოძრაობა. ავდექი და სარკეში ჩავიხედე. ერთი სული მქონდა თავი ახალ ტანსაცმელში მეხილა. დიახ, ცუდი გარიგება ნამდვილად არ იყო. ოფისის ყველა გოგო შურით გასკდებოდა. კმაყოფილებით წარმოვიდგინე ჯეფის სახის გამომეტყველება, როცა დამინახავდა. მაგრამ ეს ჩემი ბოლო მშვიდი წუთები აღმოჩნდა.

ის იყო თმის მოსაწესრიგებლად სავარცხელი ამოვიღე, უცნაურმა ცივმა ორპირმა ქარმა დამბერა. ჩემდა საუბედუროდ, სარკეში თვალი მოვკარი, როგორ დაიწყო ჩემმა ლამაზმა სამოსმა დნობა. ჯერ წელამდე, მერე მუხლამდე, შემდეგ კი წვივთან ჩასრიალდა, რაღაცამ ლურჯად გაიელვა და ჩემს ფეხებთან ლურჯი ფხვნილის პაწია გროვა დარჩა. ვიდექი სარკის წინ ბლუზისა და მოკლე ვარდისფერი ბერმუდის ამარა ხელში სავარცხლით უაზროდ მომზირალი.

მხოლოდ ორი წუთი გავიდა ლიფტით მოგზაურობიდან უკან, აწმყოსკენ. რვა წუთიღა მრჩებოდა ამ უსიამოვნო მდგომარეობიდან გამოსასვლელად, რვა წუთი ამ დილით მომხდარის გასაცნობიერებლად, რვა წუთი იმის გასააზრებლად, თუ რა მოხდება, როცა 1977 წლის 24 სექტემბერს 9 სთ 25 წუთზე ოცდამეერთე სართულზე ლიფტის კარი გაიღება როგორ ავხსნი ჩემს ჩაცმულობას? მოინდომებს კი ჯეფი ამის შემდეგ ჩემთან საუზმობას?

რა თქმა უნდა, არ ვადანაშაულებდი ჰაროლდს ან პროფესორ დანგბლაის. დარწმუნებული ვარ, სულაც არ აპირებდნენ ჩემს გათამაშებას. თავისი კოსტუმები მხოლოდ მაშინ გახსნეს, როდესაც ნეიტრალურ ზონის დროში შევიდნენ. ალბათ ვერც კი წარმოედგინათ, დროის ბარიერის გავლისას რეალურ დროში ქსოვილი თუ დაიშლებოდა. ახლა უკვე მეტისმეტად გვიანაა რაიმეს შეცვლა: ჩემი ჯინსები ალბათ უკვე ასი წლის მიღმა დარჩა და მე სულ უფრო და უფრო ვშორდები მათ.

ორი წუთიღა დარჩა. მიკროფონი ჩემ ზემოთ იმეორებდა: შედიხართ 1977, 1977, 1977-ში... სასწრაფოდ უნდა მემოქმედა. მაგრამ რა შემეძლო? არც ერთი ჭკუათმყოფელი არ დაიჯერებს სიმართლეს. ეჰეი, ჰაროლდ, იქ, 2146 წელში! სულ შენი ბრალია. რაღა პირველად მე შემაშჩნიე. იღონე რამე! გესმის ჩემი! ეხლავე ჩამოდი და დამიბრუნე ჩემი ჯინსები.

უკვე აქა ვართ. მაჩვენებელ დაფაზე სართულის ნომრები მიყოლებით ინთება — 30... 29... 27... 26...25. ერთი წუთის შემდეგ კარი გაიღება და რას იტყვის მაშინ... ჩემს დანახვაზე ხალხი.

ჯორჯ გორდონ ბაირონი

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა მარიკა წიკლაურმა

როცა დავშორდით

როცა დავშორდით სიჩუმეში აცრემლებულნი,
გულები წუხდნენ,
რომ ერთმანეთს ვთმობდით დიდი ხნით,
გაყინულ ამბორს მიძღვნი ღაწვებგაფითრებული,
წინასწარ გრძნობდა ჟამი იგი ამ დიდ სიმძიმილს.

მათ შენ მოგიხმეს ჩემზე უწინ, ზარები რეკდნენ,
ერუანტელს მგვრიდა იგი გლოვა — ასე რად იყავ?
მათ არ იცოდნენ, რომ გიცნობდი ყველაზე უკეთ,
ჩემი ნაღველი ისე ღრმაა, რომ ვერ ამოვთქვამ.

შევხვდით ფარულად —
სიჩუმეში დავღონდი კვლავაც,
შეეძლო შენს გულს დავიწყება, ტყუოდა სული;
და თუ შეგხვდები წლების მერე,
ვით გეტყვი სალამს —
კვლავაც უჩუმრად, ისევ ისე აცრემლებული?!

დაისი

მზის ჩასვლისას, როცა ირგვლივ ბინდი წვება,
იადონი ტკბილად მღერის იავნანას;

მიჯნურთ მაშინ სიყვარული ულვივდებათ —
ჩუმი ფიცი ყურს მოესმის უფრო ნაზად.

მშვიდი სიო ნაკადულის ხმაზე ცეკვავს,
თითქოს ჩანგი აჟღერებდეს უკვდავ ჰანგებს,

ყვავილების ფურცლებს ცვარი დაეპკურა,
და ციმციმებს ვარსკვლავების ჯარი ცაზე.

ზღვის ტალღები თითქოს შავად დაიფერა
ყავისფერი გადაეკრა მწვანე ფოთლებს,

ზეცა უკვე დაბინდული შუქით ელავს
და ეკვრება ბინდი ირგვლივ ყველა კბოდეს.

ეს მშვენება მუდამ თან სდევს ყველა დაისს,
მაგრამ, ბოლოს, მასაც ადნობს შუქი მთვარის!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბნელმა მოიცვა სული ჩემი

ბნელმა მოიცვა სული ჩემი! — ჩამოჰკარ სიმებს,
მოსმენა მისი ტკბილ ჰანგების ძალმიძს მე ჯერაც,
ათამაშე ქნარზე ნაზი თითები ისევ,
რომ სირაკრაკე მელოდიის დაადნეს სმენას.

უძვირფასესი სასოება თუკი დამრჩება,
ეს ხმოვანება ჩემს გულს ისევ მოაჯადოვებს
და თუ თვალებში ცივი ცრემლი ისევ ჩადგება —
გადმოიღვრება და ჩემს ტანჯვას მყის მიატოვებს.

უწინდებურად იგრძნობოდეს ჰანგების სილრმე
და არ დაუთმონ პირველობა სხვა ხმოვანებას,
ამას პოეტი გეუბნებით და გლოვას ვიწყებ,
თორემ ეს გული, სავსე დარდით, მყისვე გასკდება.

რადგანაც მუდამ მწუხარებ ჰყოლია მშობლად,
თვით სიმშვიდეშიც იგი მუდამ
დიდ ტკივილს გრძნობდა
და განწირულა უარესის ის შესაცნობლად —
ან დაიმსხვრევა ან დარჩება სიმღერის მონად.

ნულარასოდეს შემახსენებ

ნულარასოდეს შემახსენებ ტრფობის დროებას,
როცა მოგიძღვენ სული ჩემი, გრძნობით აღვსილი,
ჩვენში დარჩება სამუდამო ტკბილ მოგონებად,
სანამ ცხოვრება არ წაგვართმევს
ძალას სიცოცხლის.

ვით შეგვიძლია დავივიწყოთ გულების ძგერა,
როცა მართობდა ოქროსფერი თმების ფერება?!
ჩემს სულის მილმა
შენს თვალებს და შენს მკერდს კვლავ ვხედავ —
ვხედავ შენს ბაგეთ,
უსიტყვოდ რომ აფრქვევდნენ ვნებას.

მკერდს მიყრდნობილი
შენ მჩუქნიდი სანუკვარ მზერას,
და აღმიძრავდა უკვდავ სურვილს შენი ყვედრება,

ამ სიახლოვეს სანატრელი ამბორი სერავს —
ანთებულ ბაგეთ ასე ნთქავდა უძირო ვნება.

მაშინ, როდესაც მილულავდი თვალთ
ჩაფიქრებულთ,
ლაქვარდი ცისფრად გადეკვროდა ზეცის კაბადონს,
და წამწამებიც მაგ შენს ღაწვებს,
სითეთრით ქებულთ,
ზედ დაეკვროდნენ,
ვით ყორანის ბუმბულნი თეთრ თოვლს.

წუხელ განგებამ სანუკვარი მიძღვნა სიზმარი,
თითქოს დაბრუნდა უტკბილესი
გრძნობა ჩვენს ცხადში,
და მზერა შენი სხვებზე მეტად დამწველი არის,
ამ სინამდვილით აღტაცების ვარემოცვაში.

ნულარასოდეს შემახსენებ, ვედრებით შეგთხოვ,
რომ სიყვარული სამუდამოდ ჩვენგან წავიდა,
აღდგენა მისი იქნებ მარტო სიზმარმა შეძლოს,
ჩვენს წასვლაზე კი იღაღადებს ქვა საფლავისა!

შენ ჩემს სატკივარს თუ დაიტირებ

შენ ჩემს სატკივარს თუ დაიტირებ,
ტკბილო ქალწულო,
იქნებ კვლავ მითხრა,
და მწუხარება თუ დაგიუფლებს,
შენს გულისტივილს მე ვერ ავიტან.

დალონდა გული, გაქრა თვით სასოც,
და გამეყინა ძარღვებშიც სისხლი,
როცა მოვკვდები,
შენ მოხვალ მარტო
და ჩემს საფლავთან
მუხლებს მოიყრი.

მაინც მგონია, რომ მომავალი
შავ ღრუბლის მილმა გამოანათებს,
ჩემი ტკივილი შეწყდება მაინც
და შენი გრძნობის
მამცნობს სიმძაფრეს.

კურთხეულია ყოველი ცრემლი,
მათთვის რომ ცვივა,
ვინც ვერა ტირის,
რა ძვირფასია ყოველი წვეთი
მათთვის,
ვის თვალმაც ცრემლი არ იცის.

ტკბილო ქალწულო! გული გამითბა,
როს დაეუფლა მას ნაზი გრძნობა,
მაგრამ მშვენებამ ხიბლი შეწყვიტა,
უბედურებამ უხმო ამ ყოფას.

შენ ჩემს სატკივარს თუ დაიტირებ,
ტკბილო ქალწულო,
იქნებ კვლავ მითხრა,
და მწუხარება თუ დაგიუფლებს,
შენს გულისტკივილს მე ვერ ავიტან!

ქალგატონს

(პასუხი კითხვაზე, თუ რატომ
ვტოვებ ინგლისს გაზაფხულზე)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა ადამი, განკიცხული, ტოვებდა ედემს,
ცოტა ხნით შედგა შორიახლოს ბაღის ჭიშკართან,
ყოველი ხედი აგონებდა სანატრელ წუთებს
და ახლა იგი თვით წყევლიდა თავის მომავალს.

როდესაც იგი შორ ქვეყნებში ეხეტებოდა,
კარგად ისწავლა მწუხარების ტვირთისა ზიდვა,
გარდასულ დღეებს მხოლოდ ოხვრა მოაგონებდა
და საკუთარი ღვაწლით სულის სიმშვიდე ჰპოვა.

და ჩემი ხვედრიც, ქალბატონო, მხოლოდ ეს არის,
ჩემს თავს ვუკრძალავ
კვლავაც ვნახო შენი მშვენება,
რადგანაც, როცა შენთან ახლოს ვყოვნდები წამით,
ოხვრით ვიგონებ იმ ყველაფერს, რაც უწინ მქონდა.

და, ჭეშმარიტად, მე ბრძენი ვარ, გაგირბი რაკი,
ამით კი ხაფანგს საცდურისას მე თავს დავაღწევ
და ჩემს სამოთხეს მარტოოდენ ვიხილავ მაშინ,
როცა, ერთხელაც იქ ცხოვრებას ძლიერ ვინატრებ.

მშვიდობით

მშვიდობით! თუკი ჩემი ვედრება,
სხვათათვის თქმული, ზეცას
მიაღწევს,
უკვალოდ აღარ დაიკარგება
და მარტოოდენ შენს თავს
მომტაცებს.

ამათ იყო ოხვრაც, გოდებაც,
სისხლად დადენილ ცრემლებზე
უკეთ
მომაკვდავ თვალებს შეეძლოთ
ეთქვათ
დამშვიდობების ტკივილის სიღრმე.

დავმუნჯდი კვლავაც, გამიშრა
ცრემლი,
მაგრამ ჩემს მკერდში ისევ იღვიძებს
ტკივილი მწარე, ტკივილი მკვეთრი,
ფიქრი, რომელიც არ მიიძინებს.

სულს დაჩივლება ვერ გაუბედავს,
თუმცა ჯანყდება სიმძაფრე ვნების,
ამოდ გვიყვარდა — ეს ვიცი ეხლა,
და ამასვე ვგრძნობ,
მშვიდობით — გეტყვი.

ნიკოლოზ გოგოლი

თარგმნა ლევან აბულაძემ

წერილები

1.

ანდერძი

სრული მეხსიერების პირობებში რადღებას გამოიჩენს სხეულის მიმართ, რომელიც უკვე ჩემი აღარ იქნება: ის პატივს მიაგებს ჭია-ღუებს, რომლებიც ღრღნიან უსულო ქსოვილს. უმჯობესია ილოცოთ უფრო მხურვალედ ჩემი სულისთვის, ხოლო ყოველგვარი სამგლოვიარო პატივის ნაცვლად ერთ-ორ გლახაკს გაუმასპინძლდეთ უბრალო სადილით.

2. ვიბარებ, არ დამადგან არავითარი ქვა ძეგლად და არ იფიქრონ მსგავს, ქრისტიანისათვის ულირს, სისულელეებზე. ვისთვისაც მე ჭეშმარიტად ძვირფასი ვიყავი, იგი სხვანაირ ძეგლს დამიდგამს. დამიდგამს ძეგლს საკუთარ არსებაში — ყველა ცხოვრებისეულ საქმეში ურყევი სიმტკიცის გამოჩენით, ხოლო მის გარშემო მყოფ ადამიანებში სიფხიზლისა და ხალისის დამკვიდრებით. ვისაც ჩემი სიკვდილი სულიერად აამაღლებს, ის დაამტკიცებს კიდეც, რომ მართლა ვყვარებივარ და მეგობარი ყოფილა ჩემი,

და მხოლოდ ამით ამიგებს ძეგლს. რამეთუ მე თვითონ, რა სუსტი და უძლურიც არ უნდა ვყოფილიყავი, მუდამ ვამხნევებდი მეგობრებს ჩემსას, და არც ერთი მათგანი, თავის დარდსა და ვარამში ჩაფლული, არ კითხულობდა ჩემს სახეზე ჭმუნვასა და დალვრემილობას, თუმც კი მიჭირდა მე არანაკლებ, — გაიხსენონ ეს ჩემმა ახლობლებმა ჩემი სიკვდილის შემდეგ, კიდევ ერთხელ გაიაზრონ მათთვის ნათქვამი ყოველი სიტყვა და გადაიკითხონ წერილები, რომლებიც მათ ბოლო წლის განმავლობაში მივწერე.

3. ვიბარებ, არავინ დამიტიროს, დიდი ცოდვით დაიმძიმებს სულს, ვინც ჩემს სიკვდილს განსაკუთრებით მნიშვნელოვან, ან საყოველთაო დანაკლისად გამოაცხადებს. თუნდაც მართლა გამეკეთებინოს რაიმე სასარგებლო, უკვე შევდგომოდე ჩემი ვალის შესრულებას და სიკვდილს ამ საქმის დასაწყისშივე მოვეტაცე — არა ზოგიერთთა გასართობად გამიზნული, არამედ ყველასათვის საჭირო საქმის დასაწყისში, — მაშინაც არ იქნებოდა მართებული უნაყოფო გლოვა. ჩემ მაგივრად რუსეთს მართლა სასახელო კაცი რომ მოკვდომოდა, მის ღღევანდელ ვითარებაში გამოსადეგი, არც მაშინ უნდა მისცემოდნენ სასოწარკვეთილებას ცოცხლად დარჩენილნი, თუმც კი სწორადაა ნათქვამი, რომ როცა ყველასათვის საჭირო ადამიანები უდროოდ გვეცლებიან ხელიდან, ეს ნიშანია ღვთის წყრომისა, რომელიც ამით ჩვენთვის ფასახულ მიზანთან მიახლოების საშუალებას გვისპობს. სასოწარკვეთილი კი არ უნდა შევხვდეთ ყოველგვარ მოულოდნელ დანაკარგს, არამედ მკაცრად შევაფასოთ საკუთარი თავი და ვიფიქროთ არა სხვათა გაკიცხვასა და მთელი სამყაროს შავ ფერებში წარმოსახვაზე, არამედ ბრალი დავდოთ ოდენ საკუთარ თავს. საშინელია სულიერი სიშავე და მიკვირს, რატომ შეეცნობთ ამ ჭეშმარიტებას მხოლოდ მაშინ, როცა უკვე ულმობელი სიკვდილი გვადგას თავზე?

4. ვუტოვებ ჩემს თანამემამულეებს (ვეყრდნობი რა ოდენ რწმენას იმისა, რომ მწერალი ვალდებულია მკითხველს მემკვიდრეობად რაიმე სასიკეთო აზრი დაუტოვოს) ყველაზე საუკეთესოს, რაც კი ჩემს კალამს დაუწერია. ვუტოვებ ჩემს ნაწარმოებს „გამოსათხოვარი". მომავალში ნათელი გახდება, რომ იგი სწორედ მათ იკუთვნის, მე მას დიდხანს ვატარებდი გულში, ვით უძვირფასეს განძს, ღმერთისგან ბოძებულს ნიშნად ჩემდამი მისი ზეციური მოწყალებისა. ბავშვობიდან მოყოლებული იგი იყო წყარო ყველასთვის უჩინარი ჩემი ცრემლების. სწორედ მას ვტოვებ ჩემს მემკვიდრეობად. მაგრამ უმორჩილესად ვთხოვ ყველა თანამემამულეს ნუ გამინაწყენდებიან, თუკი მასში ჭკუის სწავლების მსგავს რასმე დაინახავენ. მე ვარ მწერალი, ხოლო მწერლის ვალი მეტია, ვიდრე სასიამოვნო გასართობებით მკითხველის გონებისა და გემოვნების შექცევა; მკაცრად მოეთხოვება იმ მწერალს, ვინც თავისი ქმნილებებით ვერაფერს შემატებს სულს სასიკეთოს და ვერც ადამიანები შეისწავლიან რაიმეს. და ისიც გაიხსენონ ჩემმა თანამემამულეებმა, რომ არათუ მწერალი, არამედ ყველა ამ ქვეყნიდან მიმავალი უფლებამოსილია ძმური რჩევა-დარიგება დაუტოვოს დარჩენილებს, და ამ დროს არა ხამს დამორცხვება წოდების უმნიშვნელობის, ან უსუსურობის, თუნდაც

ღრმა აზროვნების უუნარობის გამო. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ შესაძლოა სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა ბევრი რამ უკეთ დაინახოს, ვიდრე წუთისოფელში მოფუსფუსემ. მაგრამ, მიუხედავად ამ უფლებებისა, მაინც ვერ გავბედავდი ხმა ამომეღო იმაზე, რასაც მკითხველი გაიგებს „გამოსათხოვარში“, რამეთუ სწორედ მე არ მეკუთვნოდა — სულით ყველაზე მდაბალსა და საკუთარი არასრულყოფილების მძიმე სენით შეპყრობილ ადამიანს — ასეთი სიტყვების წარმოთქმა, მაგრამ ამისკენ მიბიძგებს სხვა, უმნიშვნელოვანესი მიზეზი: თანამემამულენო! მეშინია!.. ძარღვებში სისხლი მეყინება არაამქვეყნიური სიდიადისა და ღმერთის უდიდეს სულიერ ქმნილებათა მხოლოდ წარმოდგენისგანაც კი, რომლის წინაშე მტვერი და არარაობაა მისი ის ქმნილებანი, რომელთაც წვდება ჩვენი გარკვევრებული აქაური მზერა, კვნესის ჩემი მომაკვდავი სხეული გოლიათური ამონაყარებისა თუ ნაყოფთა შევრძნებისაგან, რომელთა თესლებს დღენიადაგ ვთესდით და ვერ კი გაგვეგო, რა ურჩხულები აღმოცენდებოდნენ, ვინძლო ჩემმა „გამოსათხოვარმა“ ცოტაოდენ მაინც იმოქმედოს მათზე, ვინც ჯერ კიდევ ბავშვურ სათამაშოდ მიიჩნევს ცხოვრებას, და მათი გულები ნაწილობრივ მაინც ჩაწვდნენ მის პირქუშ საიდუმლოს და ამ საიდუმლოს ფარულ ზეციურ მუსიკას.

თანამემამულენო!.. არ ვიცი და ვერ ვხვდები, როგორ მოგმართოთ ამ წამს. შორს ყალბი წესიერება! მე თქვენ მიყვარდით, თანამემამულენო, მიყვარდით იმ სიყვარულით, რაზეც არ ლაპარაკობენ და რომელიც მომანიჭა ღმერთმა, რისთვისაც მადლს ვწირავ მას — ამ უმაღლესი მადლისათვის; რადგან უმძიმეს ტანჯვათა შორის — ეს სიყვარული იყო სიხარულისა და სასოების მომტანი ჩემთვის, — გთხოვთ ამ სიყვარულის სახელით მოისმინოთ ჩემი „გამოსათხოვარი“. ვფიცავ, მე არ შემითხზავს და არ გამომიგონებია, იგი თავად ამომღერდა ჩემი სულიდან, სულიდან, რომელსაც თვით ღმერთი წრთვნიდა განსაცდელებით და მწუხარებით, მისი ბგერები კი ჩვენი საერთო რუსული ბუნების იდუმალი ძალებისაგან აჟღერდა, იმ ბუნების ძალებისაგან, რომლის ხაზითაც ჩვენ ყველანი ახლო ნათესავები ვართ ერთმანეთისა.*

5. ვიბარებ, ნურვინ იჩქარებს ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს ნაწარმოებთა შექებასა და ძაგებას საჯარო ფურცლებსა და ჟურნალებში. ყველაფერი ისევე მიკერძოებითი იქნება, როგორც სიცოცხლეში. ჩემს ნაწარმოებებში გაცილებით მეტია, რაც გაკიცხვას იმსახურებს, ვიდრე ის, რაც შექების ღირსია. ყველა თავდასხმა მათზე ძირითადად მეტნაკლებად სამართლიანია. ჩემ წინაშე არავინაა დამნაშავე; უმადური და უსამართლო იქნება ის, ვინც ჩემ გამო ვინმეს რაიმეს უსაყვედურებს.

ამასთანავე ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ არავითარი ჩემი ნაწარმოები არ არსებობს გარდა იმათი, რაც აქამდე დაბეჭდილია. ყველა ხელნაწერი დაიწვა, როგორც უსიცოცხლო და სუსტი, ძალისძა-

---

* „გამოსათხოვარი“ [ჩემს სიცოცხლეში] არ უნდა გამოქვეყნდეს: ის, რასაც აზრი უნდა მიეცეს სიკვდილის შემდეგ, ზედმეტია სიცოცხლეში. (ნ. ვ. გოგოლი).

ლად, ავადმყოფურ მდგომარეობაში დაწერილი. ამიტომ, თუ ვინმე რამეს გამოსცემს ჩემი სახელით, გთხოვთ ჩათვალოთ ეს გმობის ღირს სიცრუედ. სამაგიეროდ ჩემს მეგობრებს ვთხოვ, შეაგროვონ ყველა წერილი, რაც კი 1844 წლიდან მათთვის მიმიწერია, მკაცრად გადაარჩიონ, შეინარჩუნონ მხოლოდ ისეთები, რომელთაც შეუძლიათ რაიმე არგონ სულს, და გამოსცენ ცალკე წიგნად, დანარჩენი კი, მსუბუქი გართობისათვის დაწერილნი, მოსპონ. იყო ამ წერილებში ცოტა რამ სასარგებლო მათთვის, ვისთვისაც ისინი იწერებოდა. ღმერთი მოწყალეა; შეიძლება მათ სხვებსაც გაუწიონ სამსახური და ნაწილი მაინც მოძებნას მკაცრი პასუხისმგებლობისა ადრე დაწერილის უსარგებლობის გამო.

6. ვიბარებ... მაგრამ გამახსენდა, რომ ამის მოთხოვნის უფლება უკვე აღარა მაქვს. გაუფრთხილებლობის გამო მე დავკარგე საკუთრების უფლება; ჩემი სურვილისა და თანხმობის გარეშე გამოქვეყნდა ჩემი პორტრეტი. მრავალ მიზეზთა გამო, რომლებზედაც არ ღირს ლაპარაკი, მე არ ვაპირებდი ამას. არავისთვის მიმიყიდია საჯარო გამოცემის უფლება და უარით ვისტუმრებდი ყველა წიგნით მოვაჭრეს, რომლებიც ოღონდ მთხოვენ, და მხოლოდ იმ შემთხვევაში ვაპირებდი თანხმობის მიცემას, თუ ღმერთი ინებებდა და დავამთავრებდი ნაშრომს, რომლითაც ჩემი გონება იყო დაკავებული მთელი ცხოვრების მანძილზე, თანაც დავამთავრებდი ისე, რომ ყველა ჩემს თანამემამულეს ერთხმად ელიარებინა, რომ მე პატიოსნად მოვიხადე ჩემი ვალი, და გამოთქვამდნენ სურვილს ეხილათ სახის ნაკვთები ადამიანისა, აქნობამდე რომ უხმაუროდ იღწვოდა და არ სურდა ესარგებლა დაუმსახურებელი პატივით. ამას ერთვოდა შემდეგი გარემოებაც: ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ჩემი პორტრეტი გაყიდულიყო მრავალ ეგზემპლარად და მნიშვნელოვანი შემოსავალი მოეტანა მხატვრისთვის, რომელიც მის გრავირებას შეასრულებდა. ეს მხატვარი უკვე რამდენიმე წელია მუშაობს რომში რაფაელის უკვდავი „მაცხოვრის ფერისცვალები“-ს გრავირებაზე. მან ყველაფერი გასწირა ამ მომაკვდინებელი შრომისათვის, რომელმაც შთანთქა მისი წლები და ჯანმრთელობა. და მთელი სრულყოფით შეასრულა თავის საქმე, დასასრულს რომ უახლოვდება, როგორითაც არ შეუსრულებია ქვეყნად არც ერთ გრავიორს. მაგრამ მაღალი ფასისა და ამ საქმის მცოდნეთა მცირერიცხოვნობის გამო ესტამპი ვერ ვრცელდება ისეთი რაოდენობით, რომ აანაზღაუროს მასზე დახარჯული შრომა. ჩემი პორტრეტი დახმარებას გაუწევდა მას. ახლა კი ჩემი გეგმა დამსხვრეულია: ერთხელ უკვე გამოქვეყნებული გამოსახულება, ვისიც არ უნდა იყოს, იქცევა ყველას საკუთრებად, ვინც კი გრავირებას და ლითოგრაფიას ეწევა. მაგრამ თუ მოხდა ისე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ გამოცემული წერილები რაიმე სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას, (თუნდაც მხოლოდ გულწრფელი განზრახვით სარგებლობის მოტანისა) და ჩემი თანამემამულენი გადაწყვეტენ იხილონ ჩემი პორტრეტი, მაშინ ჩემს ყველა გამომცემელს ვთხოვ დიდსულოვნად თქვან უარი, თავიანთ უფლებაზე. ხოლო ჩემს მკითხველებს, რომლებმაც გადამეტებული პატივისცემის გამო ყოველივე სახელგანთქმულის მიმართ შეიძინეს

ჩემი რომელიმე პორტრეტი, ვთხოვ გაანადგურონ იგი ამ სტრიქონების წაკითხვისთანავე, მით უფრო, რომ იგი ცუდადაა შესრულებული და არც მსგავსებაა დაცული, და შეიძინონ მხოლოდ ის, რომელზედაც იქნება წარწერა: „გრავიორი იორდანოვი“. ამით ისინი გააკეთებენ, სულ ცოტა, სამართლიან საქმეს. კიდევ უკეთესი იქნება, თუ ისინი, ვისაც ამის საშუალება აქვს, შეიძენენ ესტამპს: „მაცხოვრის ფერისცვალება“, რომელიც, ოვით უცხოელთა აღიარებით, მწვერვალია საგრავიორო საქმისა და სახელს გაუთქვამს რუსულ ხელოვნებას.

ეს ანდერძი ჩემი სიკვდილისთანავე გამოქვეყნდეს ყველა ჟურნალსა და უწყებაში, რათა მისდა უნებურად არავინ იქცეს ჩემ წინაშე უდანაშაულო დამნაშავედ და არ ავნოს საკუთარ სულს.

2.

ქალი და საზოგადოება

(წერილი კ...-ს)

თქვენ ფიქრობთ, რომ არ შეგიძლიათ რაიმე გავლენის მოხდენა საზოგადოებაზე; მე კი პირიქით მგონია. ქალის გავლენა დიდზე დიდი შეიძლება იყოს, მით უმეტეს დღეს, საზოგადოების დღევანდელ წესრიგსა თუ უწესრიგობაში, სადაც ერთი მხრივ შესამჩნევია მოქალაქეთა ქანცგამწყვეტი განათლებულობა, სოლო მეორე მხრივ — რაღაცნაირი სულიერი გაცივება, თუ ზნეობის დაღლილობა-დაქვეითება, რომელსაც გამოცოცხლება სჭირდება. ამ გამოცოცხლებისათვის ქალის მხარდაჭერაა საჭირო. ეს ჭეშმარიტება გამოუცხობ წინათგრძნობასავითაა დღეს გავრცელებული მსოფლიოში და ყველანი რაღაცას მოველით ქალისგან. სხვას რომ თავი ვანებოთ, ვიფიქროთ ჩვენს საშობლოზე და განსაკუთრებით კი იმაზე — თუ რა ხშირია მასში ყველანაირი ბოროტებანი. აღმოჩნდება, რომ მეტი წილი ჭრთამეების, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების და სხვა მსგავსი დანაშაულობებისა, რაშიც ბრალს სდებენ ყველა კლასის ჩინოსან თუ უჩინო მოხელეებს, მომდინარეობს მათი ცოლების მფლანგველობიდან, სული რომ მისდით იბრწყინონ დიდსა თუ პატარა საზოგადოებაში და საამისოდ ფულს ითხოვენ თავიანთი ქმრებისაგან, ან მათი ოჯახური ცხოვრების უაზრობიდან, რაღაცნაირი ფუჭი ოცნებებისკენ რომაა მიმართული და არა ჭეშმარიტი მოვალეობის შესრულებისკენ, რაც გაცილებით მშვენიერი, საინტერესო და ამაღლებული საქმიანობა იქნებოდა, ვიდრე ნებისმიერი ფუჭი ოცნების აყოლა. ქმრები იმ უწესობის მეათედის ჩადენის უფლებასაც არ მისცემდნენ თავს, მათი ცოლები ცოტათი მაინც რომ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. მეუღლის სული მფარველი თილისმაა ცოლისათვის, რომელიც მას იცავს ზნეობრივი ავადობისგან; ეს ის ძალაა, რომელიც ქმარს სწორ გზაზე აკავებს, მეგზურია, რომელიც მრუდედან სწორ გზაზე აბრუნებს, და

პირიქით — სული ცოლისა შეიძლება ქმრისთვის საბედისწერო ბოროტებად იქცეს და სამუდამოდ დაღუპოს იგი.

ყველაფერი ეს თქვენ ნაგრძნობი გაქვთ და გამოთქმული ისე ძლიერად, როგორც ვერ უთქვამს ქალთაგან ვერვის. მაგრამ ამავე დროს თქვენ ამტკიცებთ, თითქოს სხვა ქალებს ჰქონდეთ სამოქმედო ასპარეზი, ხოლო მაინცდამაინც თქვენ კი — არა. თქვენ ყველგან ხედავთ იმათთვის საქმეს, ან გამოასწორებენ სხვისგან წახდენილს, ან მთლად ახალ და სასარგებლო რასმე წამოიწყებენ, მოკლედ, ვინმეს რამეში წაადგებიან, და მარტო თქვენთვის არ ჩანს არაფერი და ნაღვლიანად იმეორებთ: „ეჰ, რატომ მე არ ვარ მათ ადგილზეო“. მაშ იცოდეთ, რომ ეს სიბრმავე დღეს ყველას ხვედრია. ყველას ეჩვენება, რომ მრავალი კეთილი საქმის გაკეთებას შეძლებდა სხვის ადგილზე და თანამდებობაზე — მარტო თავისაზე არ შეუძლია არაფერი.* მენდეთ, რომ ღმერთს ტყუილად არ უბრძანებია თითოეული ჩვენგანისთვის დავჯერდეთ იმ ადგილს, რომელზედაც ამჟამად ვიმყოფებით. მხოლოდ კარგად უნდა მიმოვიხედოთ გარშემო... თქვენ წუხართ, რომ არ ხართ დედა, რათა ასრულებდეთ დედის მოვალეობას. იმასაც ნაღვლობთ, რატომ არ არის თქვენი მეუღლეობა მოშლილი, რომ იყოთ სოფელში, გახდეთ მემამულე და მეუღლეობის აღდგენისთვის იზრუნოთ... რატომ არ უკავია თქვენს ქმარს საზოგადოებისთვის დიდად მნიშვნელოვანი თანამდებობა, რომ იქ მაინც მოხმარებოდით, გაგეხალისებინათ და მისთვის სამოქმედო ძალის მიმცემი ყოფილიყავით, და რატომ მოხდა, რომ ნაცვლად ყოველივე ამისა წილად გხვდათ უსარგებლო მისვლა-მოსვლები და კავშირი უშინაარსო, გამოფიტულ მაღალ საზოგადოებასთან, რომელიც თქვენ ასე უკაცრიელი გეჩვენებათ. მაგრამ სამყარო ხომ დასახლებულია; მასში ადამიანები ცხოვრობენ და, რომ იცოდეთ, ყველგან ერთნაირები. ისინი ავადმყოფობენ კიდეც, იტანჯებიან და უსიტყვოდ ითხოვენ დახმარებას, — და ღმერთო! ისიც კი არ იციან, როგორ ითხოვონ მოწყალება. მითხარით, რომელ მათხოვარს უნდა დავეხმაროთ უპირველესად: მას, ვისაც ჯერ კიდევ შესწევს უნარი ქუჩაში გავიდეს, თუ ვისაც ხელის გაწვდენაც არ შეუძლია სამათხოვროდ? თქვენ ამბობთ, რომ არ იცით და ვერ მოგიფიქრებიათ, რით დაეხმაროთ ვინმეს ქვეყანაზე; რომ ამისთვის იმდენი სხვადასხვა სახის იარაღია საჭირო, იმდენად ჭკვიანი და მრავალისმცოდნე ქალბატონი უნდა ბრძანდებოდეთ, რომ ამის მარტო გაფიქრებისგანაც კი თავბრუ გესხმით. ჰოდა, იქნებ ყველაფერ ამისთვის საკმარისია მხოლოდ იყოთ ის, რაც ხართ ახლა? იქნებ თქვენ უკვე ფლობთ იმ იარაღებს, რაც დღეისთვის გჭირდებათ? ის, რასაც თქვენ ლაპარაკობთ საკუთარ თავზე, სრული სიმართლეა: თქვენ მართლაც ძალზე ახალგაზრდა ხართ, ჯერ არ შეგიძენიათ ადამიანთა გამოცნობის უნარი, არ გაქვთ ცხოვრების საკმარისი გამოცდილება. ერთი სიტყვით, გაკლიათ ბევრი რამ ისეთი, რაც აუცილებელია სხვათათვის სულიერი თანადგომის გასაწევად. შესაძლოა

* ეს უიმედობაა ყველა ბოროტების სათავე. ყველას მოგვეთხოვება ვიზრუნოთ იმაზე, თუ რა სიკეთის გაკეთება შეგვძლია სწორედ ჩვენს საკუთარ მდგომარეობაში.

ეს თვისებები ვერც ვერასოდეს შეიძინოთ. სამაგიეროდ ფლობთ იარაღს, რომელიც ყველაფერს შეგაძლებინებთ. დავიწყოთ იქიდან, რომ თქვენ უკვე ხართ ლამაზი. მეორე — გაქვთ შეუბღალავი, უხინჯო სახელი; მესამე — გაქვთ ძალა, რომელსაც [ჯერ] ვერ გრძნობთ საკუთარ თავში, — ძალა სულიერი სიწმინდისა. ქალის სილამაზის საიდუმლო ჯერ არ არის ახსნილი. ღმერთს ტყუილად არ დაუწესებია ზოგიერთი ქალისთვის განსაკუთრებული სილამაზე. არც ის არის ტყუილუბრალოდ დაწესებული, რომ სილამაზე ერთნაირად ატყვევებს ყველას, იმათაც კი, ვინც თითქოს ყოველივესადმი უგრძნობნი არიან და არც არაფრის ნიჭი გააჩნიათ. თუკი ლამაზი ქალის ერთი უაზრო ახირებაც კი მსოფლიო გადატრიალებების მიზეზად ქცეულა და უჭკვიანესი ადამიანების ათასგვარი ცდუნება შეძლებია, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, თუ რომ ეს ახირება გააზრებული და სიკეთისკენ მიმართული გახდებოდა? რამდენი კეთილი საქმის კეთებას შეძლებდა ასეთი ლამაზი ქალი!

ამრიგად, გამოდის, რომ ეს იარაღი — სილამაზე საკმაოდ მძლავრია. მაგრამ თქვენ ფლობთ კიდევ უფრო მაღალი დონის სილამაზეს, წმინდა მომხიბვლელობას რაღაც განსაკუთრებული, მხოლოდ თქვენთვის ნიშნეული უმანკოებისა, რომლის სიტყვებით განსაზღვრა მე არ შემიძლია, მაგრამ ვიცი, რომ მისგან ყველას მოეფინება თქვენი ანგელოზური სულის ნათელი. იცით თუ არა, რომ ჩვენი საზოგადოების ყველაზე გარყვნილ ყმაწვილკაცებსაც კი გაუმხელიათ ჩემთვის, რომ თქვენ მიმართ ფიქრადაც არასოდეს მოსვლიათ უკეთურობა, რომ თქვენი თანდასწრებით არათუ ვერ ბედავენ ორაზროვანი სიტყვების ხმარებას, რომლებითაც მოურიდებლად ამკობენ თავიანთ გულის რჩეულს, არამედ ცდილობენ არც წამოცდეთ რაიმე სიტყვა, რომელიც თქვენ წინაშე შესაძლოა მაინც უხეშად, ძველბიჭურად და უხამსად გაისმას — აი, კიდევ ერთი მაგალითი ზემოქმედებისა, რასაც თქვენდა უნებურად ახდენთ ადამიანებზე — უკვე მარტო თქვენი ყოფნით მათ სიახლოვეს!

ვინც ვერ ბედავს, უკეთური აზრი გააჭაჭანოს თავში თქვენი თანდასწრებით, მას უკვე რცხვენია კიდეც მათ გამო; ხოლო ამგვარი, თუნდაც მყისიერი სასიკეთო შემოტრიალებანი საკუთარი სულის სიღრმეებისკენ პირველი ნაბიჯია იმისათვის, რომ გახდეს უკეთესი. მაშასადამე, ეს იარაღიც მძლავრია. ყველაფერ ამას უნდა მიემატოს ღვთით მომადლებული სწრაფვა, ანუ, როგორც თქვენ უწოდებთ, წყურვილი სიკეთის ქმნისა. ნუთუ ფიქრობთ, რომ არაფრისთვის გაქვთ მოცემული ეს წყურვილი, რომელიც ერთი წუთითაც არ გაძლევთ მოსვენებას? როგორც კი გააჭყეტით ცოლად კეთილშობილ, ჭკვიან, ყველა იმ თვისებით შემკულ ადამიანს, რაც კი საჭიროა ქალის ბედნიერებისათვის, მაშინვე იწყეთ, — ნაცვლად იმისა, რომ შეყუჟულიყავით ოჯახური ბედნიერების სიმყუდროვეში, — წუხილი იმის გამო, რომ არ იმსახურებთ ასეთ ბედნიერებას, არ გაქვთ უფლება მისით ტკბობისა იმ დროს, როცა თქვენ გარშემო ასე მრავლადაა ტანჯვის მაგალითები, როცა ყოველი მხრიდან მოდის ცნობები ათასგვარ უბედურებათა შესახებ: შიმშილზე, ხანძრებზე, მძიმე სულიერ, და საერთოდ, ჩვენს დღე-

ვანდელ საზოგადოებაში [თაობაში] ასე მოდებულ გონების დაავადებებზე.

მერწმუნეთ, რომ ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. ვის სულშიც ამ ზეციურ მოუსვენრობას გაუდგამს ფესვი — ადამიანთა ბედის გამო ანგელოზურ დარდს ეგზომ მხიარულ გასართობთა გარემოცვაში, — მას ბევრის, ძალზე ბევრის გაკეთება შეუძლია; მისი ასპარეზი უსაზღვროა, რადგან ადამიანები არიან ყველგან. ნუ განერიდებით სამყაროს, რომლის შიგნითაც გიწევთ ცხოვრება. ნუ ეურჩებით განგებას. თქვენში ცოცხლობს უხილავი ძალა, რომელიც დღეს ქვეყანას სჭირდება: თვით თქვენმა ხმამაც — რაკილა თქვენი გონება დღენიადაგ ადამიანებისთვის დახმარების გასაწევადაა შემართული — უკვე შეიძინა ყველასთვის მშობლიური ელერადობა, ასე რომ, თუ დაილაპარაკებთ კიდეც ამ კამკამა მზერისა და ღიმილის თანხლებით, რომელიც არასოდეს გშორდებათ და მხოლოდ თქვენი საკუთრებაა, ყოველი მსმენელი იგრძნობს, რომ მასთან საუბრობს ზეციით მოვლენილი ღვიძლი დაია. მძლეთამძლე გახდა თქვენი ხმა; შეგიძლიათ იმბრძანებლოთ და ისეთი დესპოტი იყოთ, როგორც ჩვენ შორის არავინაა. ხოლო იმბრძანებლოთ უსიტყვოდ, მხოლოდ თქვენი ყოფნით [ქვეშევრდომთა სიახლოვეს]. იმბრძანებლოთ თვით უძლურებით, რომელიც ასე გაშფოთებთ. იმბრძანებლოთ იმ ქალური მშვენიერებით, რომელიც (ვაი რომ!) დაკარგული აქვს თანამედროვე მაღალი საზოგადოების ქალს.

თქვენი უმწეო გამოუცდელობით ბევრად მეტს გააკეთებთ, ვიდრე ვინმე ჭკვიანი და გამოცდილი ქალბატონი თავისი ზვიადი თავდაჯერებულობით: ბრძნული მოსაზრებანი, რომლითაც იგი შეეცდება მოაქციოს საზოგადოება ჭეშმარიტების გზაზე, ისევ მას დაატყდება თავზე ვესლიანი ეპიგრამების სახით. მაგრამ არავის დასცდება პირიდან ეპიგრამა, როცა მხოლოდ მუდარით აღსავსე მზერით, უსიტყვოდ შესთხოვთ რომელიმე ჩვენგანს — გახდეს უკეთესი.

რატომ გაშინებთ ასე ძლიერად ხმები მაღალი საზოგადოების გარყვნილებაზე? ის, ცხადია, არსებობს, და უფრო მეტი ზომითაც, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ; მაგრამ თქვენ მასთან არაფერი გესაქმებათ. თქვენ და — საზოგადოების უსუსური ცდუნებებისა გეშინოდეთ? შეიჭერით მასში უშიშრად ასეთივე მანათობელი ღიმილით. შეაბიჯეთ საზოგადოებაში, თითქოს იგი საავადმყოფო იყოს, საავადმყოფო — ტანჯული სულებით სავსე; მაგრამ არა როგორც ექიმმა, ვინც მკაცრ დანიშნულებებს და მწარე წამლებს სთავაზობს ავადმყოფს: თქვენ იმის ცოდნაც კი არ გჭირდებათ, ვინ რით არის ავად. თქვენ არ შეგიძლიათ გამოიცნოთ დაავადება და განკურნოთ ავადმყოფები და არც მე მოგცემთ ისეთ რჩევას, როგორსაც სხვა, ამის უნარიან ქალს მივცემდი.

თქვენ გევალებათ მხოლოდ უძღვნათ ტანჯულს თქვენი ღიმილი და ხმა, რომლითაც ადამიანი შეიცნობს ზეციით მოვლენილ ღვიძლ დაიას, მეტი არაფერი. ნუ შეყოვნდებით ხანგრძლივად ერთთან და იჩქარეთ მეორისკენ, რამეთუ თქვენ საჭირო ხართ ყველგან. დიახ! მსოფლიოს ყველა კუთხეში მოუთმენლად მოელიან — სხვას კი არაფერს, მხოლოდ იმ მშობლიურ ბგერებს, სწორედ ისეთ ხმას, როგორიც თქვენ უკვე გაქვთ.

ნუ აყვებით საზოგადოებას ლაქლაქში, აიძულეთ, ილაპარაკონ იმაზე, რაზედაც ლაპარაკობთ თქვენ. ღმერთმა დაგიფაროთ ყოველგვარი ჰედანტობისა და ჩვენი ამჟამინდელი საზოგადოების ზოგიერთი ძულომის ბრძნული აზრების მოსმენისაგან. მოჰყევით საზოგადოებაში იგივე თქვენი უეშმაკო მოთხრობები, რომლებიც ასე ლაღად და იოლად მოედინებიან თქვენი ბაგეებიდან შინაურებისა და ახლობლების წრეში, სადაც თქვენგან წარმოთქმული ყველა უბრალო სიტყვა ბრწყინავს და მსმენელის სულს კი ეჩვენება, თითქოს იგი აზგელოზების ტკბილ საუბარს ისმენს კაცობრიობის რომელილაც ზეციური ბავშვობის შესახებ.

აი, ასეთი სიტყვებით მიმართეთ საზოგადოებას.

1846

3.

ავადმყოფოგათა შესახებ*

(გრ. ა. ბ. ტ. ...-სადმი
წერილიდან)

... ძალები ჩემი სუსტდებიან, მაგრამ სული უტეხია. არასოდეს მოვუქანცივარ ასე ხორციელ სატკივარს. დროდადრო ისე მიმძიმს, ისე მიმძიმს, ისეთ საშინელ დაღლილობას ვგრძნობ მთელ სხეულში, რომ მიხარია — და ეს სიხარული არცკი ვიცი, რას შევადარო — რომ ბოლოს და ბოლოს დამთავრდა დღე და საწოლამდე მივლასლასდები. ხშირად, სულიერი უძლურების შემოტევისას, ამოვიკვნესებ: „ღმერთო, როდის-ღა დამთავრდება ყველაფერი?" მაგრამ შემდეგ, როცა მოვტრიალდები და საკუთარ თავში უფრო ღრმად ჩავიხედავ — არაფერს გამოსცემს ჩემი სული თვითნიერ მადლიერების ცრემლებისა.

ო, როგორ გვჭირდება სატკივრები! მრავალ სასარგებლო შედეგთაგან, რომლებიც მათგან მივიღე, გიმხელ მხოლოდ ერთს: არ ვიცი, როგორი ვარ ახლა, მაგრამ ვიცი, რომ ვარ უკეთესი, ვიდრე ვიყავი; თუ არა ეს სატკივარი, გავიფიქრებდი, რომ ვარ უკვე ისეთი, როგორიც უნდა ვიყო. აღარას ვიტყვი იმაზე, რომ ჯანის სიმრთელე, რომელიც განუწყვეტლივ უბიძგებს რუს კაცს აკეთოს რაღაც ნახტომები და თავი მოიწონოს სხვაზე უკეთესი თვისებებით, მეც ათას სისულელეს ჩამადენინებდა. თანაც ახლა, ამ ჩემი გამოცოცხლების წუთებში — ასეთებს ზეციური მადლი ტანჯვათა შორისაც გამომირევს ხოლმე, — ჩემთან მოდიან აზრები, შეუდარებლად უკეთესნი წინანდელზე, და ვგრძნობ, რომ ყველაფერი, რაც ჩემი კალმის წვერიდან გამოვა, უწინდელზე მნიშვნელოვანი იქნება.

რომ არ ყოფილიყო ტანჯვანი მძიმე ტკივილებისა, ვინ იცის, საით გავუტევდი! რა მნიშვნელოვან პიროვნებად შევრაცხდი თავს! მაგრამ როცა ყოველწამს ჩამესმის,

---

* ამ წერილს განსაკუთრებით ერჩოდა ბესარიონ ბელინსკი (მთარგმნ. შენიშვნა).

რომ ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, რომ სნეულებამ შეიძლება უცებ დაუსვას წერტილი იმ შრომას, რომელზედაც მთელი ჩემი მნიშვნელოვნებაა დამყარებული და ასე ნანატრი სარეგბლობა, რის მოტანასაც ადამიანებისთვის ვაპირებ, ოდენ უქლურ სურვილად დარჩეს, და ვერ მივამატო ვერა პროცენტი ღმერთისგან ბოძებულ ტალანტებს და დავისაჯო, ვით უკანასკნელი დამნაშავე... მესმის ეს ყველაფერი და ვივსები მორჩილებით, და ვერ ვპოულობ სიტყვებს ზეციური შემოქმედისთვის მადლის შესაწირად ამ ჩემი ავადმყოფობისთვის.

აიტანეთ თქვენც ასევე ფერტვინველად სატკივარი, იცოდეთ წინასწარ, რომ იგი საჭიროა თქვენთვის. ევედრეთ ღმერთს მხოლოდ იმაზე, რომ თქვენ წინაშე ამკარად გადაიშალოს მისი საოცარი მოქმედება და მაღალი დანიშნულება.

1846

4.

იმის შესახებ, თუ რა არის სიტყვა

როდესაც პუშკინმა დერჟავინის ხრაპოვიცკისადმი მიძღვნილი ეს სტრიქონები წაიკითხა:

За слова меня пусть гложет,
За дела сатирик чтит. —*

თქვა: „დერჟავინი არ არის მართალი, პოეტის სიტყვა იგივე საქმეა“. პუშკინი მართალია. სიტყვის თქმისას პოეტს ისევე მართებს უზადოობა, როგორც ყველა სხვას თავთავის ასპარეზზე. თუ მწერალი თავის მართლებას და მის ნათქვამში გაპარული სიყალბის, ან დაუფიქრებელი თუ სიჩქარისაგან მოუმთავრებელი აზრის მიზეზად სხვადასხვა გარემოებების ღასახელებას იწყებს, მაშინ გამოდის, რომ ყველა უსამართლო მოსამართლესაც შეუძლია თავი იმართლოს ქრთამის აღების, ან მართლმსაჯულებით ვაჭრობისთვის და მიზეზად მძიმე ქონებრივი მდგომარეობა მოიშველიოს, ან ცოლის ხუშტურები, ან თავისი მრავალსულიანი ოჯახის საჭიროებანი — მიზეზის მოშველიებას რა დიდი ამბავი უნდა. მაგრამ შთამომავლობას არაფერი ესაქმება იმასთან, თუ ვინ იყო დამნაშავე, მწერალს რომ სისულელე და უაზრობა წამოსცდა, ან დაუფიქრებლად წამოროშა რაიმე. იგი არ დაიწყებს გარჩევას, ვინ აგულიანებდა მწერალს: თავქარიანი მეგობარი, რომელიც სამუშაოს ნაადრევად დამთავრებას უჩიჩინებდა, თუ ჟურნალისტი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თავისი ჟურნალის ხეირზე ფიქრობდა. შთამომავლობა მხედველობაში არ მიიღებს არც ნათლიმამობას, არც ჟურნალისტებს და არც მწერლის გაჭირვებას. იგი უსაყვედურებს მას, და არა მათ. რატომ არ დაუდექ მტკიცედ ყველაფერ ამას? შენ ხომ გრძნობდი შენი მოწოდების ამაღლებულობას?; შენ ხომ თავად არჩიე იგი სხვა, უფრო ხელსაყრელ თანამდებობებს? და ეს გააკეთე არა რაღაც ფანტაზიების აყოლით, არამედ შინაგანი ძახილის კარნახით, ღმერთისგან მოწოდების პასუხად?

---

* დაე შემჭამოს სიტყვებისთვის, საჭირიკოსი საქმისთვის შემამკობს. (მთარგმნელი).

შენ ხომ საამისოდ მოგეცა ჭკუაც, რის წყალობითაც უფრო შორს, ფართედ და ღრმად ხედავდი, ვიდრე ისინი, ვინც შენ გაქებებდა? რატომ მოიქეცი ბავშვივით და არ გამოიჩინე ვაჟკაცობა, მაშინ როცა გქონდა ყველაფერი, რაც სჭირდება ნამდვილ მამაკაცს?

ერთი სიტყვით, ვინმე რიგით მწერალს კიდევ შეეძლო თავი ემართლებინა გარეშე მიზეზებით, მაგრამ არა დერჟავინს. მან მეტისმეტად ავნო საკუთარ თავს იმით, რომ არ დაწვა თავისი ოდების, სულ ცოტა ნახევარი მაინც; საოცარი მოვლენაა ოდების ეს ნახევარი. ჯერ არავის დაუცინია საკუთარი თავისთვის, თავისი წმინდათა წმინდა მრწამსისთვის ისე მარჯვედ, როგორც ეს მოახერხა დერჟავინმა იმ ბედკრულ ნახევარში თავისი ოდებისა. ასე გეგონებათ, მიზანდასახულად თხიბნიდა საკუთარი თავის კარიკატურასა ყველაფერი, რაც მასთან სხვა ადგილას ასე მშვენიერია, ლაღი, გამსჭვალული შინაგანი სულიერი წვის ცეცხლით, აქ არის ცივი, უსიცოცხლო და ნაძალადევი; და რაც ყველაზე უარესია — განმეორებულია სიტყვები, გამოთქმები და მთელი ფრაზებიც კი, რომლებიც არწივისებრი მოქნილობით გვატყვევებენ მისსავე შთაგონებულ ოდებში, აქ კი, უბრალოდ, სასაცილონი არიან. სწორედ იმას ჩამოჰგავს, თითქოს ჯუჯას გოლიათის ჯავშანი ჩაეცვას, თანაც უკუღმა.

ვილა არ კიცხავს დღეს დერჟავინს მისი უხამსი ოდების გამო, რამდენი დაეჭვდა მისი გრძნობების გულწრფელობაში მხოლოდ იმიტომ, რომ მრავალ ადგილას ისინი სუსტად და უგულოდ გამოხატულად მიიჩნიეს; რა ორაზროვანი ხმები დაირხა ავტორის ხასიათის, სულიერი კეთილშობილებისა და იმ მართლმსაჯულების მოუსყიდველობის შესახებაც კი, რომელსაც ის იცავდა. და ყველაფერი ეს მოხდა იმის გამო, რომ არ დაიწვა ის, რაც ნამდვილად ცეცხლს უნდა მისცემოდა.

ჩვენს მეგობარ პ...-ს ჩვეულებად აქვს ამოკრიფოს სრულიად შემთხვევითი სტრიქონები ცნობილი მწერლების ნაწარმოებებიდან და მყისვე თავის ჟურნალში ჩაჩურთოს, იმას კი არ უფიქრდება, ვნებს, თუ რგებს ამით ჟურნალის სახელს. ამ საქმეს იგი ჟურნალისტებისათვის საყვარელი შენიშვნით ამაგრებს: „ვიმედოვნებთ, რომ მკითხველები და შთამომავლობა მადლიერნი დაგვირჩებიან ამ ძვირფასი სტრიქონების მიწოდებისთვის. დიდ ადამიანებში ყველაფერი ღირსია ცნობისმოყვარეობის“, — და სხვა ამგვარები. ყველაფერი ეს წვრილმანი და უმნიშვნელოა. მავანი წვრილფეხა მკითხველი მართლაც მადლიერი დარჩება, მაგრამ შთამომავლობა მიაფურთხებს ამ ძვირფას სტრიქონებს, თუ მათში მისთვის უკვე ცნობილის ულიმლამო გამეორება დაინახა. თუ მათში არ ფეთქავს სიწმინდე. რაც უფრო ღრმაა ჭეშმარიტება, მით მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მას, თორემ სულ იოლად შეიძლება ისინი იქცნენ ზოგად ფრაზებად, ხოლო ზოგადი ფრაზებისა კარგა ხანია არავის სჯერა. ულმერთოებს არ მოაქვთ იმდენი ვნება, რამდენიც ღვთის თვალთმაქცი, ან თუნდაც სუსტ მქადაგებლებს, ვისაც ყოფნის თავხედობა უფლის სახელი გაჩუნათლებელი პირით წარმოთქვან.

სიტყვას პატიოსანი მოპყრობა სჭირდება. იგია ღვთის უდიდესი ძღვენი ადამიანისთვის. დამღუპველია მწერლისათვის სიტყვის თქმა მაშინ, როცა იგი ვნებათაღელვის,

წყენის, ან რისხვის სენით არის შეპყრობილი, ან პირადი უკმაყოფილებითაა გაღიზიანებული — მოკლედ, როცა სული მისი შფოთავს და ჯერ კიდევ ვერ ჩამდგარა კალაპოტში, მისი სიტყვები ისე ილვრება, რომ მტრისას — ყველას თავს შეაჯავრებს. და მაშინ, სიკეთის ქმნის უგულითადესი სურვილის მიუხედავად, შესაძლოა, ბოროტი საქმე შერჩეს ხელში. ამის მაგალითი ისევ ჩვენი მეგობარი პ...-ია: იგი თავისი დღე და მოსწრება ჩქარობდა, ყველაფერი გაეზიარებინა მკითხველისათვის, ეუწყებინა ყველაფერი, რასაც გაიგებს და იმას კი არ დაგიდევლათ, მომწიფდა თუ არა აზრი მის თავში იქამდე, რომ იგი სხვისთვისაც ახლობელი და მისაწვდომი გაეხადა, ერთი სიტყვით, მკითხველის წინაშე მთელი თავისი ფეთრუმობით წარმოჩნდებოდა ხოლმე. ჰოდა, რა გამოვიდა აქედან? შეამჩნიეს და დაათვალიერეს თუ არა მკითხველებმა კეთილშობილ და ამაღლებულ გრძნობათა მოზღვავებანი, რომლებიც ასე ხშირად ელავდნენ მასში? მიიღეს თუ არა, რის გაზიარებაც სურდა მათთვის? არა, მკითხველმა მასში მხოლოდ უწესრიგობა და მიყრილ-მოყრილი აზრები დაინახა, ანუ ის, რაც ყოველთვის პირველ რიგში ეცემა ხოლმე თვალში ადამიანს, მიღებით კი არაფერი მიუღიათ. ოცდაათი წელი მოუსვენრად შრომობდა, მთელი ცხოვრება იმას ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად მიეცა ხელში ყველასათვის ყველაფერი, რასაც კი რუსი ადამიანის განათლებისთვის სასარგებლოდ იგულვებდა... და აბა ერთმა მაინც თუ უთხრა მადლობა! მის მადლიერ ერთ ახალგაზრდასაც არ შევხვედრივარ, არავის უთქვამს, რომ იმისგან მის სულს რაიმე ახალი ნათელი მოჰფენოდეს, გაღვიძებოდეს სწრაფვა სიკეთის ქმნისკენ მისი შთაგონებით. ხშირად კამათიც დამჭირვებია მისი ზრახვების სიწმინდისა და სიტყვების წრფელობის დასაცავად იმ ადამიანთა წინაშე, ვისაც არ უნდა გაძნელებოდა მათი გაგება. მე ეს ძალიან მიჭირდა და ახლაც ვერავის ვარწმუნებ — ამ ადამიანმა მოახერხა ისეროვნად შენიღბულიყო, რომ შეუძლებელია მისი ჩვენება იმ სახით, როგორიც არის სინამდვილეში. ლაპარაკობს პატრიოტიზმზე — მისი პატრიოტიზმი მოსყიდული გეგონება; იტყვის სიტყვას ხელმწიფისადმი სიყვარულზე — რასაც ჭეშმარიტად სათუთად ატარებს გულში — მონარქისადმი მონურ თაყვანისცემად და ანგარებიან ლაქუცად გეჩვენება; თავის გულწრფელ, პირუთვნელ მრისხანებას რუსეთისათვის საზიანო ყველა მიმდინარეობის წინააღმდეგ ისე გამოხატავს, თითქოს უშიშროების ორგანოებთან ასმენდეს რომელიღაც, მხოლოდ მისთვის ცნობილ ადამიანებს. მოკლედ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგი საკუთარი თავის მაწყევარია.

საშიშია მწერლისათვის სიტყვასთან თამაში. დაე, ნუ მოსწყდება თქვენს ბაგეთ სიტყვა ლაბობაშეპარული. ეს მოწოდება უკლებლივ ყველა ჩვენგანს ეხება, და რაკი ასეა, რაოდენ მეტად უნდა ეხებოდეს მათ, ვისი ასპარეზიც — სიტყვაა და განგებისგან მშვენიერსა და ამაღლებულზე ლაპარაკი უწერია. ღმერთმა არა ქნას, რომ ამაღლებულსა და წმინდაზე უხიაგი სიტყვა გაისმას — თუ მაინცდამაინც, სჯობს ცუდი სიტყვა ისევ ცუდ საგნებზე ითქმოდეს. კაცობრიობის დიდი მასწავლებლები ერთხმად ურჩევდნენ ხანგრძლივ დუმილს სწორედ იმათ, ვისაც ღვთით ჰქონდა მომადლებუ-

ლი სიტყვის თქმის ნიჭი, და სწორედ მაშინ, როცა მათ ყველაზე მეტად სწყუროდათ სიტყვით თავმოწონება და სულიც მისდიოდათ, ადამიანებისთვის ბევრი სასარგებლო რამ ეთქვათ, ესმოდათ, თუ რა ადვილია სასაცილოდ აქციო ის, რაც გინდა, რომ ამაღლებულად წარმოაჩინო, და როგორაა მოსალოდნელი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ჩვენივე ენამ დაგვიგოს მახე.

„მაგრად დამუწე პირი, — ამბობს იესო ზირაქი, — გადაადნე ყოველი შენი ოქრო და ვერცხლი, და დაამზადე მისგან სასწორი, რათა აწონო ყოველი სიტყვა, შენგან სათქმელი, და გამოჭედე ლაგამი, რომელიც საიმედოდ დაიცავს ბაგეთა შენთა“.

1844

5.

რუს პოეტთა საჯარო კითხვების შესახებ
(წერილი ლ...-ს)

მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენშიც დაიწყეს მწერლების ნაწარმოებთა საჯარო კითხვები. ზოგი რამ ამის თაობაზე უკვე შემატყობინეს მოსკოვიდან: იქ წაუკითხავთ სხვადასხვა ლიტერატურული სიახლენი. მათ შორის ჩემი მოთხრობებიც.

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ საჯარო კითხვები ჩვენთვის აუცილებელია, რადგან ყველაფრის კეთება, მათ შორის წიგნის კითხვაც კი, ერთიანი ძალით უფრო გვეადვილება. ცალცალკე ყველა ჩვენგანი მცონარაა და სანამ სხვისგან არ აიღებს მაგალითს, არ გაინძრევა.

ჩვენ უნდა შევქმნათ კითხვის საკუთარი ოსტატები. ცოტანი არიან ჩვენში ენამჭევრი მოლაპარაკენი, ვისაც პალატებსა და პარლამენტში ლამაზი სიტყვებით გაბრწყინება შეუძლიათ, სამაგიეროდ ბევრი გვყავს ისეთი, ვისაც შეუძლია ადამიანს უთანაგრძნოს. სურვილი — გადასცენ, გაუზიარონ სხვას მათ მიერ განცდილი ხშირად მწვავე ვნებად იქცევა ხოლმე, რაც კიდევ უფრო მწვავდება იმისდაკვალად, რაც უფრო მტკივნეულად შეიგრძნობენ გამოთქმის უუნარობას (ნიშანი ესთეტიკური ბუნებისა). მკითხველთა ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს აგრეთვე ჩვენი ენაც, რომელიც თითქოს საგანგებოდ არის შექმნილი ტკბილმოუბრობისთვის; იგი შეიცავს ყველანაირ შუქ-ჩრდილებს და იძლევა ყველაზე თამამი და მოულოდნელი გადასვლების შესაძლებლობას ერთმანეთის გვერდიგვერდ მყოფ ზეაღმატებულსა და უუბრალოესს შორის.

მე იმასაც კი ვფიქრობ, რომ საჯარო კითხვებმა შესაძლოა დროთა განმავლობაში ჩვენთან სპექტაკლებიც შეცვალონ. ჯერჯერობით კი იმას ვისურვებდი, რომ საჯარო კითხვებისთვის მართლაც ჭეშმარიტი ღირებულების მქონე მასალები შერჩეულიყოს, რათა წამკითხველს არ დაზარებოდეს მასზე წინასწარი სამუშაოს ჩატარება. ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი არაფერია, და არც არის საჭირო თანამედროვე ნაწარმოებთა საჯაროდ

კითხვა. ხალხი მათ ისედაც წაიკითხავს სიახლისაკენ ბუნებრივი სწრაფვის წყალობით. ეს თანამედროვე მოთხრობები, მათ შორის ჩემიც, არ იმსახურებენ იმას, რომ საჯარო კითხვის საგნად ვაქციოთ. ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ საკუთარ პოეტებს, იმ მაღალ ლექსადქმნილ ნაწარმოებთ, რომლებიც ხანგრძლივად ყალიბდებოდნენ და რომლებზედაც წამკითხველსაც დიდი შრომა მოუწევს.

ჩვენს პოეტებს ჯერ კიდევ არ იცნობს საზოგადოება. ჟურნალებში ბევრს წერენ მათზე, ბევრ სიტყვებსაც ხარჯავენ მათ გარჩევაზე, არსებითად კი კრიტიკოსები თავიანთ თავს უფრო წარმოაჩენენ, ვიდრე განსახილველ პოეტებს. საბოლოოდ ჟურნალებმა მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ ხალხს თავგზა აებნა და ისე დაეხლართა აზრი, რომ ახლა ერთი პოეტის ნაცვლად ორს სედავენ და არავინაა იმის მსაჯული, რომელი მათგანი რას წარმოადგენს. ნათელი აზრი პოეტზე მხოლოდ დახლოებებული წამკითხველის მოსმენამ შეიძლება შექმნას. ოღონდ, ცხადია, თვით წამკითხველი უნდა იყოს ისეთი, რომ ნაწარმოების ყველა მოუხელთებელი თვისების გადმოცემა შეეძლოს. ამისათვის სულაც არ არის საჭირო წამკითხველი მგზნებარების განსახიერება იყოს — ერთი იმათთაგანი, ვისაც შეუძლია ციებცხელებიანივით სულმოუთქმელად, ერთი საღამოს განმავლობაში წაიკითხოს, რასაც მისცემენ: კომედია იქნება, ტრაგედია თუ ოდა.

ლირიული ნაწარმოების წაკითხვა — სულაც არ არის უბრალო ამბავი, ამისთვის მისი საფუძვლიანი შესწავლაა საჭირო; ჯერ ავტორის შინაგანი სამყაროს ამოსავალი ამაღლებული განწყობილება უნდა გაიზიარო, სულიერ ერთგულით შეიგრძნო მისი ყოველი სიტყვა და მხოლოდ ამის შემდეგ წარსდგე მსმენელის წინაშე. ეს წაკითხვა არ იქნება ხმაურიანი და მშფოთვარე. პირიქით, იგი შეიძლება ძალზე მშვიდიც იყოს, მაგრამ წამკითხველის ხმაში უთუოდ გაატანს და მკითხველის ყურამდე მიაღწევს ფარული ძალა — ჭეშმარიტად გულანთებული შინაგანი მდგომარეობის მაუწყებელი. ეს ძალა ყველას გადაეცემა და სასწაულს მოახდენს: შეიძრვიან ისინიც, ვინც არასოდეს აცრემლებულა პოეზიის ჰანგებისაგან.

მშობლიური პოეტების ნაწარმოებთა მოსმენამ მრავალი სიკეთე შეიძლება მოუტანოს ხალხს. მათში ბევრი რამაა მშვენიერი, რომელიც დღესდღეობით არა მარტო სრულიად მივიწყებული, არამედ გალანძღულიცაა, ისეთი შავი, რალაცნაირი მდაბიური აზრითაა ფართო მკითხველამდე მიტანილი, როგორიც არასოდეს გაუვლიათ გულში მათ კეთილშობილ ავტორებს.

არ ვიცი, ვის მოაფიქრდა პირველად — საჯარო კითხვიდან მიღებული შემოსავალი დაურიგდეთ ღარიბებს, მაგრამ ეს ბედნიერი აზრი სწორედ ახლაა დროული, როცა რუსეთში ასე მომრავლდნენ შიმშილით, ხანძრებით, ავადმყოფობითა და სხვა ჭირ-ვარამით გატანჯული ადამიანები. როგორ გაიხარებენ ჩვენგან წასული პოეტების სულები მათ ქმნილებათა ასეთი გამოყენების გამო!

1843

6.

როგორ დავეხმაროთ ღარიბებს

(ა. ო. ს...-ადმი წერილიდან)

ახლა კი შევეხები თქვენს გაცხარებას პეტერბურგელი ახალგაზრდების სისულელეთა გამო, რომლებმაც ბოლო ხანებში უცხოელი მომღერლებისა და მსახიობი ქალებისთვის ოქროს გვირგვინებისა და თასების მირთმევა წამოიწყეს, მაშინ როცა რუსეთში მთელი გუბერნიები შიმშილობენ. ვფიქრობ, ეს არ გამომდინარეობს მათი სისულელიდან, არც გულქვაობიდან, და, წარმოიდგინეთ, არც მათი ქარაფშუტობიდან. ამის მიზეზი საერთოდ ყველა ჩვენგანისათვის ნიშნეული ადამიანური უდარდელობაა: ყველა ეს უბედურებანი და შიმშილის მძვინვარებანი შორსაა ჩვენგან, სადღაც პროვინციათა სიღრმეებში* და არ გვიტრიალებენ თვალწინ — აი, რით აიხსნება ყველაფერი. იგივე პიროვნება, რომელმაც ასი მანეთი გადაიხადა, რათა რუბინის სიმღერით დამტკბარიყო, მთელ თავის ქონებას გაყიდდა, ერთს მაინც რომ შესწრებოდა შიმშილის იმ საზარელ სურათთაგან, რომელთან შედარებით მელოდრამებში აღწერილი საშინელებანი არაფერია.

საქმე ქველმოქმედების უსურვილობაში არ გახლავთ. ყველა ჩვენგანი მზადაა შეწირულობისათვის, მაგრამ რატომღაც სწორედ ღარიბთა დასახმარებლად მოწყალების გაღებაში ვერ იჩენენ დიდ ხალისს; ნაწილობრივ ეს იმის გამოც ხდება, რომ ყველას არ სჯერა, შეწირულობა უკლებლივ რომ მიაღწევს დანიშნულების ადგილს და მათ ხელში მოხვდება, ვისაც ეკუთვნის. მეტწილად ხომ ისე ხდება ხოლმე, რომ დახმარების ფული გზადაგზა იფანტება, თითქოს წყალი მიჰქონდეთ პეშვებით, ისე რომ, მისი მომლოდინე საბოლოოდ ცარიელ ხელისგულებს-ღა ხედავს, რომლებშიც არაფერი დარჩენილა. აი, რაზე უნდა ვიფიქროთ, სანამ შეწირულობათა შეგროვებას დავიწყებდეთ. ამაზე კიდევ ვილაპარაკებთ, რადგან საკითხი სრულიადაც არ არის უმნიშვნელო და ღირსია გულდაგულ განსჯისა.

ახლა კი ვილაპარაკოთ იმაზე, თუ ვის უნდა დავეხმაროთ უწინარეს. ყველაზე მეტად საჭიროა იმათი დახმარება, ვისაც უბედურება უეცრად დაატყდა თავს და თვალის დახამხამებაში მოუსპო ყველაფერი: იქნებ ეს იყო ხანძარი, რომელმაც ერთიანად გადაუწვა სახლ-კარი, ან საქონლის ჭირი, ან ერთადერთი მარჩენალის სიკვდილი, მოკლედ — ყოველგვარი მოულოდნელი დანაკარგი, რის შედეგადაც ადამიანს უეცრად ატყდება თავს სილარიბე, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შეჩვევია. მათკენ მიმართეთ დახმარების ხელი, მაგრამ ისე, რომ ეს დახმარება ჭეშმარიტად ქრისტიანული წესით წარიმართოს — მარტო ფულის მიცემა არაფერს ნიშნავს და იგი ვერ იქცევა სიკეთედ. თუ თქვენ წინასწარ არ გაგიაზრებიათ იმ ადამიანის მდგომარეობა, ვის დახმარებასაც აპირებთ, და არ დაგირიგებიათ, როგორ უნდა იცხოვროს მომავალში, ის თქვენი დახმარებიდან ბევრს ვერაფერს მიიღებს.

ცნობილია, რომ გაცემული დახმარების ფასი იშვიათად უტოლდება

დანაკარგს; ჩვეულებრივ, იგი მის ნახევარსაც ძლივს აღწევს. უფრო ხშირად მეოთხედი შეიძლება იყოს, ან კიდევ უფრო ნაკლები. ხოლო რუსი კაცი მიდრეკილია უკიდურესობისაკენ: როგორც კი დაინახავს, რომ იმ მცირე დახმარებით ძველებურად ვერ იცხოვრებს, შეიძლება დარდისაგან სმას მიჰყოს ხელი და ერთბაშად გაანიავოს ყველაფერი, რაც მას ხანგრძლივი არსებობისათვის გამოუყვეს. ამიტომ უნდა ასწავლოთ, როგორ მოახერხოს და სწორედ ის იმყოფინოს, რითაც თქვენ მას შეეწიეთ, აუხსენით მის თავზე მოვლენილი უბედურების აზრი და მნიშვნელობა; დაე იცოდეს, იგი მისთვის მოუვლინა ღმერთმა, რომ მან შეცვალოს თავისი უწინდელი ცხოვრების წესი, რომ ამის შემდეგ იმად კი არ დარჩეს, რაც იყო, არამედ ფიზიკურადაც და სულიერადაც ახალ ადამიანად იქცეს. თქვენ მოახერხებთ ამის გონივრულად თქმას, თუ კარგად ჩასწვდებით მის ხასიათსა და ახლანდელს მდგომარეობას. ასეთ შემთხვევაში გაგიგებთ: უბედურება ადამიანს, იგი უფრო მგრძნობიარე ხდება და იძენს საგანთა წვდომის განსაკუთრებულ ჩიჭს, რაც მას არა აქვს ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მდგომარეობაში. იგი ემსგავსება გახურებულ ცვილს, რომლისგანაც, რასაც გნებავთ, იმას გამოქნით. ყველაზე უკეთესი კი ის იქნება, რომ დახმარება გამოცდილი და ჭკვიანი მღვდლის ხელით მიეწოდოს. მხოლოდ მათ შეუძლიათ განმარტონ წმინდა და ღრმა აზრი უბედურებისა, რომელიც, ვისაც არ უნდა დაატყდეს თავს, ქოხსა თუ პალატებში მცხოვრებთ, არის იგივე ხმა ზეციური, ადამიანებს თავიანთი წარსული ცხოვრების შეცვლისაკენ რომ მოუწოდებს.

რუდოლფ შტაინერი

გერმანულიდან

თარგმნა რუსუდან გეჟაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ გადავლასოთ დღევანდელი მშვინვიერი გასაჭირი?

ადამიანთა სოციალური ურთიერთგაგება, აზრთა თავისუფლება, სულის შემეცნება.

ციურიხი, 10 ოქტომბერი 1916 წ.

ის, რასაც ჩვენ სულისმეცნიერულ ჭეშმარიტებებს ვუწოდებთ, როდი გახლავთ მკვდარი, არამედ — ცოცხალი შემეცნებაა. ამ შემეცნებას ჭეშმარიტად ძალუძს ცხოვრებაში და მის უმნიშვნელოვანეს მონაკვეთებში საკუთარი მიდგომის შენარჩუნება. ბუნებრივია და თავისთავად ცხადიც, რომ სულისმეცნიერება დღეს ჯერ კიდევ აბსტრაქტულად აღიქმება. ამ აბსტრაქტულობაში, რომლის გავლითაც, ალბათ, ზოგჯერ გარკვეული სახის არასრულყოფილი ცოდნაც კი მოდის, და რომელიც პირველ რიგში თავს იჩენს, როგორც ცხოვრებისათვის უნაყოფო რამ, იმ ადამიანებს, სულისმეცნიერებიდან მწირი ცოდნა რომ აქვთ მიღებული, უჩნდებათ კითხვა: რას უნდა წარმოადგენდეს ყოველივე ეს, როცა უკვე ცნობილია, რომ ადამიანი შედგება ამდენი და ამდენი ნაწილისაგან, კაცობრიობა ვითარდებოდა სხვადასხვა კულტურულ ეპოქებში და კვლავაც განაგრძობს განვითარებას — და ა. შ. ადამიანებს, რომლებსაც სჯერათ, რომ ჩვენი დღევანდელ ცხოვრების მოთხოვნათა შესაბამისად, მთლიანად პრაქტიკული ცხოვრების შიგნით დგანან, სულისმეცნიერება ხშირად სწორედ უნაყოფოდ ეჩვენებათ. ასევე უნაყოფოდ მიიჩნევენ მას ის ადამიანებიც, რომლებსაც გული და გრძნობა დღეს მეტ-ნაკლებად მისდამი აქვთ მიმართული.

და მაინც, თავად სულისმეცნიერება თავისი არსით გახლავთ უსასრულოდ ცოცხალი, რასაც გარეგანი ცხოვრებისეული პრაქტიკის წიაღში სიცოცხლე შეუძლია და დროთა მსვლელობაში კიდევ უფრო გაცოცხლდება. მოდით, ის, რაც მე დღეს შესავლის სახით მოგახსენეთ, ერთ კონკრეტულ მაგალითზე განვიხილოთ. ავიღოთ სულისმეცნიერებიდან ის, რასაც საკარაუდოდ, უკვე ვიცნობთ, ან უფრო სწორად ჩვენთვის კარგადაც არის ცნობილი; და თუკი მას ასევე კარგად დავაკვირდებით, ნათლად დავინახავთ, როგორ ხდება იგი უფრო და უფრო ცოცხალი ამ დროს.

ბევრ ჩვენგანს ხშირად სმენია და სამშვინველითაც აღუქვამს, რომ

ჩვენი ეპოქა მომდინარეობს ე. წ. ანტლანტიდისშემდგომი მეოთხე კულტურული პერიოდიდან, რომელშიც ბერძნები და რომაელები ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, მომდევნო საუკუნეებიც, კერძოდ მე-14 მე-15 სს-მდე, მათი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული და დაღდასმული სწორედ ამ მეოთხე ატლანტიდისშემდგომი კულტურული პერიოდის მიერ, რომ დღეს ჩვენ, მე-15 ს-დან მოყოლებული, ატლანტიდისშემდგომ მეხუთე კულტურულ პერიოდში ვიმყოფებით. ჩვენი ამჟამინდელი ინკარნაციისას ამ ეპოქაში ვართ დაბადებულნი და კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში ვიცხოვრებთ. შორიდან ვიცით, ყოველ შემთხვევაში ბევრ ჩვენგანს საკუთარ სამშვინველშიც არაერთგზის აღუქვამს, რომ ატლანტიდისშემდგომ მეოთხე ბერძნულ-რომაულ კულტურულ პერიოდში გარეგანი კულტურის თუ გარეგანი სამუშაოს გავლით კაცობრიობაში უმეტესწილად ჩამოყალიბდა ე. წ. განსჯითი ანუ ხასიათის სამშვინველი. ამჟამინდელი ამოცანა კი ცნობიერი სამშვინველის ჩამოყალიბებაა.

რას ნიშნავს — უნდა ჩამოყალიბდეს ცნობიერი სამშვინველი? თუ სწორად გავიგებთ, ის, რაც ამჯერად აბსტრაქტული ფორმით წარმოვადგინეთ, მთელი ჩვენი ატლანტიდისშემდგომი მეხუთე კულტურული პერიოდის ბედისწერას მოიცავს კაცობრიობისათვის. ატლანტიდისშემდგომი მეხუთე კულტურული პერიოდის ხალხების ცნობიერი სამშვინველის გამოსავლენად ის თავს იჩენს ყოველგვარ ცხოვრებისეულ მიმართებებსა და გარემოებებში. თუ ცხოვრებას დავაკვირდებით, ის ყველგან დაგვიდასტურებს ჭეშმარიტებას, რომ ჩვენი დრო ცნობიერი სამშვინველის სრულად გამოვლენის ეპოქას წარმოადგენს. წინამორბედ ბერძნულ-რომაულ ეპოქაში ადამიანის ცხოვრება სულ სხვა იყო. იმ საფეხურზე კაცობრიობას გარკვეულწილად ებოძა განსჯისა და ხასიათის ძალა. განსჯა ისეთი რამ არის, რაც ბევრ რამეს მოიცავს. დღეს ზედმიწევნით ზუსტად ამას ველარ დავაკვირდებით. ბერძნები და რომაელები თავიანთ სამშვინველში საკუთარ განსჯაზე სულ სხვაგვარად იყვნენ დამოკიდებულნი, ვიდრე დღევანდელი კულტურული პერიოდის ადამიანები. ბერძნებმა და რომაელებმა მათთვის საჭირო ზომით გარკვეულწილად მიიღეს მზა განსჯა საკუთარი უნარის შესაბამისად, რაც მაშინ სრულიად სხვაგვარად ხდებოდა. ადამიანი იზრდებოდა და, მისი ბუნებრივი უნარის განვითარების შესაბამისად, გარკვეული სახით მასთან ერთად განსჯაც იზრდებოდა. მაშინ საჭირო არ იყო ბუნებრივი განსჯის იმავე სახით ჩამოყალიბება, როგორც ეს დღესაა აუცილებელი. სოლო ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდში უფრო და უფრო საჭირო და აუცილებელი გახდება. იგი ვითარდებოდა როგორც ბუნებრივი უნარი. ერთ რომელიმე ინკარნაციაში, თუკი ადამიანი ჩვეულებრივად, ბუნებრივად ვითარდებოდა, მას განსჯის უნარი ჰქონდა ან არ ჰქონდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს იყო რაღაც ავადმყოფური, რაღაც არანორმალური, რაც ჩვეულებრივი რამ არ გახლდათ.

ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ხასიათზეც. ხასიათიც ატლანტიდისშემდგომი მეოთხე პერიოდის შესაბამისად განვითარდა. შეხვედ-

რისას ადამიანს შეეძლო, — მართალია, ისტორია ამის შესახებ ნაკლებად მოგვითხრობს, მაგრამ ეს ასე გახლდათ, — მეორე ადამიანის წვდომა. სწორედ ამაშია დიდი განსხვავება ადრეული საუკუნეების (მე-15 ს-მდე) ადამიანსა და ახლანდელ ადამიანს შორის. ადრეული საუკუნეების ადამიანები, მე ვიტყოდი, ესოდენ გულგრილად, როგორც დღეს ხდება, არ ჩაუვლიდნენ ერთმანეთს; დღეს, როცა ერთი ადამიანი მეორეს ხვდება, ხშირად დიდი დრო სჭირდებათ, მართლა გაიცნონ ერთმანეთი. ადამიანთა ურთიერთგაცნობისას ესა თუ ის მოვლენა ორმხრივად უნდა იყოს გააზრებული, სანამ გაჩნდება ნდობა საკუთარი თავისადმი ან მეორის ნდობას მოიპოვებ. ის, რაც დღეს ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად მიიღწევა (ხშირ შემთხვევაში ვერც კი მიიღწევა), — ადრეულ საუკუნეებში, სახელდობრ ბერძნულ-რომაულ კულტურულ ეპოქაში, ადამიანთა ურთიერთშეხვედრისას, სწრაფად მოიპოვებოდა. ის, თუ როგორ შეხვდებოდნენ ადამიანები ერთმანეთს, მათს ინდივიდუალურ ნებაზე იყო დამოკიდებული. და ეს პროცესი სწრაფად ვითარდებოდა; მათ სულაც არ სჭირდებოდათ აზრებისა და გრძნობების გაცვლა-გამოცვლა. ნაცნობობა იმდენად სწრაფად მყარდებოდა, რომ მას გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ორივე ადამიანისათვის, ასევე ერთ საზოგადოებად თავმოყრილ ადამიანთათვისაც. ასე რომ, ეს, გარკვეული აზრით, საჭიროც კი იყო. ერთი ადამიანის ხასიათი გაცილებით უფრო სპირიტუალურად მოქმედებდა სხვა ადამიანის ხასიათზე. ისევე, როგორც დღეს შეგვიძლია საკუთარი შეგრძნებებით მცენარეთა ფერების სწორად შეცნობა — მეშვიდე კულტურულ პერიოდში ესეც აღარ იქნება ასე უბრალოდ შესაძლებელი. — მაშინ საჭირო გახდება განსაკუთრებული პერიბები ბუნების შესაცნობადაც კი. ე. ი. ისე, როგორც დღეს მცენარეებს აღვიქვამთ ერთი შეხედვით და ამისათვის არ არის საჭირო უფრო ახლო ურთიერთობა, მასში უფრო ინტიმურის შესაცნობად რომ გვჭირდება, მაგრამ, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი მცენარეში ეცნობა, ეცნობა პირველი შთაბეჭდილებით, — ასე უფრო მართებული იყო აგრეთვე ადამიანის მიმართაც. ასეთი მიმართება იმ დროს მხოლოდ მარტივი ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის იყო საკმარისი. უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანთა შორის ხასიათთა ურთიერთობის ამგვარი თვისება ატლანტიდისშემდგომი მეოთხე პერიოდისათვის საესებით მიზანშეწონილი იყო. დღეს კი საშყაროში გრძნობათა ურთიერთობების სულ სხვა ქსელია გაბმული. წარმოიდგინეთ, რომ ადამიანთა ურთიერთობების უმრავლესობა ატლანტიდისშემდგომ მეოთხე პერიოდის განმავლობაში პირად შეხვედრაზე იყო დამყარებული, და ის, რაც ადამიანებს ერთმანეთს შორის გადასაწყვეტი ჰქონდათ, წყდებოდა პიროვნული შეხვედრის გზით. წიგნის ბეჭდვის ხელოვნება, რამაც ურთიერთობა ესოდენ არაპიროვნული გახადა თვით დღევანდლამდე და კვლავაც უფრო და უფრო უპიროვნოდ აქცევს მას, მიეკუთვნება მხოლოდ ატლანტიდისშემდგომ მეხუთე ეპოქას. თანამედროვე ურთიერთმიმართებებს ადამიანები იმგვარად მიჰყავს ერთმანეთთან, რომ იმ ურთიერთობებს, რომლებიც ძი-

რითადად ერთი ხელის მოსმით ყალიბდებიან, სრულებითაც არ შეუძლიათ გამაჯანსაღებლად იმოქმედონ. თანამედროვე პიროვნებიდან გამომდინარე ურთიერთობების წყალობით ადამიანები სულ უფრო ნაკლებ პიროვნულად ხვდებიან ერთმანეთს სამყაროში.

კაცობრიობაც იმგვარად არის მოწყობილი, რომ ამჟამად მზამზარეულად ვერ იღებს ხასიათს, რაც უმალ მოქმედებს. განმსჭვალავი განსჯის უნარიც მას მზამზარეულად არ ეძლევა, არამედ საკუთარ სამშვინველში იღებს მას როგორც ცნობიერი სამშვინველის გზით ჩამოყალიბებულს, მე ვიტყოდი, ბევრად გამოცალკევებულს, უფრო ინდივიდუალურს, უფრო ეგოიზმისაკენ მიმართულს, ადამიანური მარტოობიდან ორგანიზებულს, ვიდრე ეს განსჯის ანუ ხასიათის სამშვინველი იყო. ცნობიერი სამშვინველის მეოხებით, ადამიანი იქცა გაცილებით უფრო გამოცალკევებულ, სამყაროში მოხეტიალე ინდივიდუმად, განდეგილად, ვიდრე იგი განსჯის ანუ ხასიათის სამშვინველის დროს იყო. ასევე იქცა ეს უმნიშვნელოვანეს დამახასიათებელ ნიშნად ჩვენი დროისათვის და კიდევ უფრო მეტად და მეტად გაიზრდება, როცა ადამიანები საკუთარ თავში ჩაიკეტებიან. ცნობიერი სამშვინველი საკუთარ თავში ჩაკეტილობის, კაცობრიობის დანარჩენი ნაწილისაგან უფრო იზოლირებული ცხოვრების ხასიათს გვანიჭებს. აქედან გამომდინარე, ძნელდება სხვა ადამიანის გაცნობა და განსაკუთრებით მისდამი მინდობა. ჯერ საჭიროა ურთიერთობები საფუძვლიანი ნაცნობობისათვის, რათა სხვა ადამიანისადმი ნდობით განეწყო.

რა მიიღწევა ყოველივე ამით? ამას ყველა ადვილად განვჭვრეტთ, თუ კარგად ავწონ-დავწონით სულისმეცნიერების ერთ გარკვეულ ჭეშმარიტებას, რომელიც გვეუბნება: ის, თუ როგორ ვხვდებით საერთოდ ადამიანებს ცხოვრებაში, სულაც არ გახლავთ შემთხვევითი, დიახ, მართლა არ არის შემთხვევითი. არამედ ცხოვრების გზას მივყავართ კონკრეტულ ადამიანთან და არა სხვა ადამიანებთან.

თუმცა დღეს ეს მთლიანად ცალკეული ადამიანის კარმიულ მოქმედებებზეა დამოკიდებული, რადგანაც ჩვენ შევედით კაცობრიობის განვითარების იმ ეპოქაში, რომელმაც გამოვლილი კარმიული განვითარებანი გარკვეული თვალსაზრისით მწვერვალზე აიყვანა. აბა დაფიქრდით, რამდენად უფრო ნაკლები კარმა გააჩნდათ ადამიანებს, რომლებიც დედამიწის განვითარების პირველ პერიოდში ცხოვრობდნენ! ყოველი ჩვენი განსხეულებისას იქმნება ახალი კარმა. ადამიანები პირველად დედამიწაზე უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს გარკვეულ ურთიერთობებში, სადაც მანამდე ერთად არ ყოფილან, და სადაც ახალ ურთიერთობათა ქსელი უნდა გააბან. მაგრამ იმის წყალობით, რომ სამყაროში ხშირად ვიყავით განსხეულებულნი, ჩვენ თანდათან შევედით ისეთ ურთიერთობებში, როცა, როგორც წესი, აღარ ვხვდებით ისეთ ადამიანს, ვისთან ერთად წინა ინკარნაციაში რაიმე არ მოგვიმოქმედებია. იმის მეოხებით, რაც ჩვენ წინა ინკარნაციებში მოვიმოქმედეთ, ერთმანეთს ვხვდებით კონკრეტული ადამიანები. თითქოს შემთხვევითობაა, როცა ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან: სინამდვილეში ყოველივე ემყარება წინა ინკარ-

ნაციებს, სადაც ისინი უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და განვითარდა ძალები, რათა გარკვეული ფორმით კვლავაც შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ახლა (და ეს ჩვენს ეპოქაში ასეც უნდა მომხდარიყო) შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ თავის თავში ჩაკეტილი ცნობიერი სამშვინველი, თუკი ნაკლებად იქნება გათვალისწინებული ის, რაც აწმყოში ადამიანებს შორის ხდება, ხოლო შინაგან არსებაში ქმედითი შეიძლება გახდეს განკერძოებული, რაც ჩვენში წარმოჩინდება როგორც წინა ინკარნაციების შედეგი. ბერძნულ-რომაულ ეპოქაში, როცა ორი ადამიანი ერთმანეთს ხვდებოდა, მათს ურთიერთშთაბეჭდილებას დარტყმასავით უნდა ემოქმედა. ახლა, როცა ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით, რათა ადამიანში იზოლირებულმა ცნობიერმა სამშვინველმა მეტად შეძლოს განვითარება, საქმე შემდეგნაირად უნდა გამოიყურებოდეს: ერთი ადამიანი ხვდება მეორეს; აქ ქმედითი უნდა გახდეს ის, რაც ერთში ან მეორეში ამოტივტივდება როგორც წინა ინკარნაციის შედეგი. ამას მეტი დრო სჭირდება, ვიდრე უშუალოდ გაცნობას, ვგულისხმობ ერთი თვალის შევლებით გაცნობას; ამისთვის საჭიროა, ადამიანებმა მხოლოდ შემდგომ, გრძნობისმიერად, ინსტინქტურად გამოავლინონ ის, რაც მათ სხვა ადამიანებთან ერთად თავს გადახდათ. ეს არის ის, რასაც ჩვენ დღეს მოვითხოვთ: ერთმანეთი ისე გავიცნოთ, რომ ჯერ გაიხსნას ინდივიდუალობები, რადგანაც სწორედ ამ შეცნობაში, ინდივიდუალობების გახსნაში ამოტივტივდება არაცნობიერად ინსტინქტური მოგონებები თუ წინა ინკარნაციების ზემოქმედებები. როცა ადამიანი თავისი შინაგანიდან გამომდინარე, სხვასთან ურთიერთობაშიც ამგვარად შევა, ცნობიერ სამშვინველს მხოლოდ მაშინ შეუძლია ჩამოყალიბდეს, ხოლო წუთიერი გაცნობით, პირისპირ შეხვედრისას უმეტესად ყალიბდება განსჯითი და ხასიათის სამშვინველი.

საგნები მართლა ასეა ერთმანეთს მორგებული. რაც ახლა გითხარით, ჩვენს ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდში მხოლოდ საწყის ფაზაში იმყოფება. ერთმანეთთან ნამდვილი ურთიერთობები ადამიანებს უფრო და უფრო გაუძნელდებათ ატლანტიდისშემდგომი მეხუთე ეპოქის გაღლის შემდეგ, რადგანაც ერთმანეთთან ნამდვილ ურთიერთობაში შესვლა სწორედ შინაგან განვითარებას, შინაგანად მთლიანად დახარჯვას მოითხოვს. ეს პროცესი უკვე დაწყებულია; ხოლო, რაც დაიწყო, ის სულ უფრო და უფრო გავრცელდება, სულ უფრო ინტენსიური გახდება. იმ ადამიანებს, რომლებიც კარმიულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, დღეს უკვე ძალიან უჭირთ უშუალოდ გაუგონ ერთმანეთს, რადგან ისინი, ალბათ, სხვა კარმიული ურთიერთობის გამო, ვერ პოულობენ ძალას ინტენსიურად გაითანამიდროვონ ყველა ურთიერთობა, რომლებიც ადრეული ინკარნაციებისგანაა აგებული. ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან, შეუყვარდებათ ერთმანეთი; ეს წინა ინკარნაციების გარკვეული ზემოქმედებებით აიხსნება. საწინააღმდეგოდ ამოქმედდებიან სხვა ძალები და როცა ამგვარი მოგონება იჩენს თავს, ადამიანები ისევ შორდებიან ერთმანეთს. მარტო ამგვარად შეხვედრილი ადამიანები კი არ უნდა ეცადონ მათ-

ში აღმოცენებული ძალებით ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარებას, არამედ ისიც სულ უფრო რთულდება, რომ მშობლებმა საკუთარ შვილებს გაუგონ, ასევე ძნელდება, და-ძმებმა ერთმანეთს გაუგონ. ურთიერთგაგება სულ უფრო რთულდება, რადგანაც თანდათან აუცილებელი ხდება, რომ ადამიანებმა თავდაპირველად ნამდვილად ამოატივტივონ შინაგანი არსებიდან ის, რაც მათში კარმიულად ძევს.

ახლა თქვენ ხედავთ, რა ნეგატიური სახის პერსპექტივები იჩენს თავს ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდში. ესაა სირთულე ადამიანთა ურთიერთგაგებაში, რაც მოითხოვს, განვითარების ამ პირობას თვალი გავუსწოროთ, რათა წყვდიადში მეოცნებეებად არ გავაგრძელოთ ცხოვრება; უნდა ვირწმუნოთ, რომ განვითარების ეს პირობა სრულიად აუცილებელია. ატლანტიდისშემდგომი მეხუთე ეპოქის კაცობრიობის წინაშე რომ არ იდგეს ურთიერთობის ეს სირთულეები, ცნობიერი სამშვინველი ვერც შეძლებდა ჩამოყალიბებას, და ადამიანებს ერთობლივად, ბუნებრივ პირობებში უნდა ეცხოვრათ. მაშინ ვერც ინდივიდუალობა შეძლებდა ცნობიერი სამშვინველის ჩამოყალიბებას. ადამიანებმა ეს გამოცდა უნდა ჩააბარონ. მეორე მხრივ, თავისთავად ცხადია, თვალი უნდა გავუსწოროთ იმასაც, რომ, ატლანტიდისშემდგომი მეხუთე პერიოდის განვითარების პირობების მხოლოდ ეს ნეგატიური მხარე წამოიჭრას, ამავე პერიოდის კაცობრიობაში ადგილი უნდა ჰქონდეს ბრძოლასა და კამათს პატარ-პატარა ურთიერთობებშიც. აქედან გამომდინარე, ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდში ჩვენ ვხედავთ ინსტინქტურად წამოსულ მოთხოვნილებათა გარკვეულ ჯამს, რომელნიც სულ უფრო ცნობიერად უნდა ჩამოყალიბდეს, რაც სულისმეცნიერების ერთ-ერთი ამოცანათაგანია კაცობრიობისათვის ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდში.

საკმარისია დავასახელო ერთი სიტყვა, რომ თითოეული ჩვენგანისათვის ნათელი გახდეს, თუ როგორ უნდა მოიძებნოს გამაჯანსაღებელი საშუალება იმ ერთი მიმართულებისთვის, რომელიც აუცილებლად წამოიჭრება, ანუ — ურთიერთგაგების პრობლემებისათვის. ასეთი ცნებაა, სოციალური გაგება, რაც ნამდვილად უნდა იყოს ვააზრებული, რადგან ჩვენ ცნობიერი სამშვინველის ეპოქაში ვცხოვრობთ და ჩვენს ატლანტიდისშემდგომ მეხუთე ეპოქაში იგი სულ უფრო მეტად გაიღვიძებს. ამ ცნებაში ერთიანდება ის მოთხოვნილებები, რომლებიც ატლანტიდისშემდგომ მეოთხე პერიოდში სრულებითაც არ არსებობდნენ ამ ზომით. ვინც საბერძნეთისა და რომის სტრუქტურას მართებულად სწავლობს, იცის, რომ ინდივიდუალიზმი ელინიზმსა და რომის წიაღში იმგვარად არ იყო დავანებული, როგორც ამისკენ დღესაა მიდრეკილი ევროპული ან ზოგადად ევროპაზე დამოკიდებული ამერიკული კაცობრიობა. ამას მაშინ ადვილად გაიგებთ, თუ ადამიანებს ერთმანეთს შეადარებთ, — შედარება რომ შევძლოთ, უმალ რადიკალური მაგალითები უნდა ავიღოთ, აი, თუნდაც რომელიმე ცხოველის ჯიში. რატომ ცხოვრობს ცხოველების ერთი ჯიში თავის გარკვეულ საზღვრებს მიჯაჭვული? სწორედ იმის გამო, რომ მათი ჯგუფური სამშვინველი მათივე გვარის სამშვინველში არის

განსაზღვრული. ცხოველებისათვის ეს თანდაყოლილია, მათ არ შეუძლიათ მისი გადალახვა, ისინი ამ ფარგლებში რჩებიან. ადამიანმა კი ეს უნდა გადალახოს. ყოველმა თავი ინდივიდუალურად უნდა ჩამოიყალიბოს, განსაკუთრებით დღევანდელი ცნობიერი სამშვინველის პერიოდში, ერთ-ერთი უმთავრესი საქმეა — ინდივიდუალური თვითაღზრდა. ბერძნულ და რომაულ კულტურას ჯერ კიდევ დაჰკრავს კოლექტიური სამშვინველის ელფერი. აქ ვხედავთ ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ სოციალურ წესრიგში იმყოფებიან, რომელსაც მორალური ძალების მეშვეობით გააჩნდა თავისი სტრუქტურა, თავისი ფორმაცია და დიახაც მტკიცე ფორმაცია. ეს ფორმაციები ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდში სულ უფრო დაიშლება. ჯგუფური სამშვინველის ელფერს, რომელიც ატლანტიდისშემდგომ მეოთხე პერიოდში ჯერ კიდევ არსებობდა, აღარავითარი აზრი აღარა აქვს ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდში. სოციალური გაგება ამ პერიოდში ცნობიერი გზით უნდა აღმოცენდეს, ეს კი ნიშნავს, რომ უნდა აღმოცენდეს ყოველივე ის, რაც ნამდვილი ინდივიდუალური ადამიანური არსების უფრო ღრმა გაგებიდან გამომდინარეობს. საამისოდ, უწინარეს ყოვლისა, სულისმეცნიერება განავითარებს ამ მართებულ გაგებას. ეს კი განხორციელდება როცა სულისმეცნიერება აბსტრაქტულიდან კონკრეტულში, ცხოვრების სისავსეში ჰპოვებს სულ უფრო მეტად განვითარებას; მე ვიტყოდი, როგორც განსაკუთრებულ სახეს ადამიანთმცოდნეობისა, ადამიანური ინტერესების გამოღვიძებისა, იმ წრეებში, რომლებიც სულისმეცნიერებას მისდევენ. მაშინ ამისათვის გარკვეული მონაცემების მქონე ადამიანები თავიანთ მოძმეებს ასწავლიან იმას, რამდენად განსხვავებული ტემპერამენტები აქვთ ადამიანებს და როგორი განსხვავებული მონაცემები გააჩნიათ ხასიათში. ადამიანი, რომელსაც გარკვეული სახის ტემპერამენტი აქვს, ამგვარად უნდა იქნეს მიღებული, სოლო ვისაც სხვაგვარი ხასიათის მონაცემები აქვს ასეთივე ტემპერამენტით, სხვაგვარად უნდა იქნეს მიღებული; არიან ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებული უნარი აქვთ, ასწავლონ სხვებს, იმათ რომლებმაც რაიმე უნდა ისწავლონ, მათ კი ამაში უნდა ივარჯიშონ. დააკვირდით: არსებობს ადამიანთა ასეთი ტიპი და არსებობს ადამიანთა სხვა ტიპიც. ერთი ადამიანი ასე უნდა მივიღოთ, მეორე სხვანაირად. თუ მივდევთ პრაქტიკულ ფსიქოლოგიას, სამშვინველის პრაქტიკულ მოძღვრებას, პრაქტიკულ ცხოვრებისეულ მოძღვრებას, მივიღებთ კაცობრიობის განვითარების ნამდვილ სოციალურ გაგებას.

რა გვევლინებოდა დღემდე სოციალურ გაგებად? აქამდე თავს იჩენდნენ აბსტრაქტული იდეალები, ყველაზე უფრო მრავალფეროვანი აბსტრაქტული იდეალები კაცობრიობისა თუ ხალხების გასაბედნიერებლად, ესა თუ ის სოციალიზმები. თუ უნდათ ქვეყნად სადმე გარკვეული სოციალური იდეების მართლაც გატარება, ჯერ უნდა ვნახოთ, თუ როგორ არ შეიძლება ამის გაკეთება. ის, რაზეც აქ არის საუბარი, პირველ რიგში სულაც არ ნიშნავს საზოგადოებებისა თუ სექტების დაარსებას განსაზღვრული პროგრამებით, არამედ ადამიანის შესახებ მოძღვრების, ადამიანის შესახებ

პრაქტიკული ცოდნის გავრცელებას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, გავიგოთ ის ადამიანთმცოდნეობა, რომლითაც სწორად შევიცნობთ ბავშვს, მომავალ მზარდ ადამიანს. გავიგოთ როგორ ივითარებს ცალკეული ბავშვი საკუთარ ინდივიდუალობას. ამით ჩვენ ვსწავლობთ, ჩვენში არსებული სწორი კარმიული მოქმედებანი შემდეგ ხანგრძლივ ურთიერთობად განვავითაროთ, როცა ჩვენ, კარმის ნებით ვდგებით რომელიმე ადამიანის პირისპირ, რომელთანაც საჭიროა მეტ-ნაკლებად ახლო ურთიერთობის დამყარება; ეს ურთიერთობები უნდა ვაქციოთ ცხოვრებისათვის მართლაც ძალზე ნაყოფიერ ურთიერთობებად. პრაქტიკული ადამიანთმცოდნეობა, პრაქტიკულად მოქმედი კაცობრიობის ინტერესი გახლავთ ის, რაზეც აქ არის საუბარი. დღეს კაცობრიობა ამ სფეროში მაინცდამაინც არ არის შორს წასული, ჯერჯერობით იგი ამ მხრივ ძალზე სუსტადაა განვითარებული. როგორ განვიხილავთ დღეს ამას, როცა ვინმეს პირისპირ შევეყრებით? იგი ჩვენთვის ან სიმპათიურია ან ანტიპათიური. მოიარეთ ქვეყანა და ნახავთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ერთადერთი შეფასება ეს არის, ანდა თუ რაიმე განსხვავებული განსჯა იჩენს თავს, მაინც როგორ მძლავრობს ყველა მათგანზე ის ერთადერთი თვალსაზრისი: ის ჩემთვის სიმპათიურია, ის კი — ანტიპათიური; ანდა: ეს არის მასში ჩემთვის სიმპათიური, ეს — ანტიპათიური. ეს გახლავთ წინასწარ განსაზღვრული აზრები! წარმოიდგენენ, რომ ადამიანი ზოგადად ასეთი და ასეთი უნდა იყოს. შემდეგ, როცა ხედავენ, რომ ის ამა თუ იმ საკითხში სხვაგვარია, მაშინვე განაჩენს გამოუტანენ. სანამ წინასწარი შეფასებებიდან გამომდინარე, სიმპათია-ანტიპათიურად მიჩნევის ეს წესი, გამომდინარე ამა თუ იმ სასიათისადმი განსაკუთრებული მიკერძოებიდან, არ შეწყდება, სანამ არ გავრცელდება თვალსაზრისი, რომ უნდა მიიღონ ადამიანი ისეთი, როგორიც ის არის, მანამ შეუძლებელია წინ წავიდეთ ადამიანის ნამდვილ პრაქტიკულ შემეცნებაში.

დავფიქრდეთ მაინც, რა ხშირია დღეს, როცა ორი ადამიანი ერთმანეთს ხვდება ამა თუ იმ პირობებში, რომლის დროსაც ერთ-ერთ მათგანში მაშინვე წამოიჭრება რაღაც ანტიპათიური — მას არ უყვარს მეორე ადამიანი, — და როცა ყოველივე ის, რასაც იგი შემხვედრი ადამიანის მიმართ იქმს, ამ არსიყვარულის შუქში იქნება ჩაყენებული. ამით კარმიული ურთიერთობა ხშირად მთლიანად იქნება ჩახშობილი, მცდარი გზით წარმართული, და ისევ უკან გადაიწევა შემდეგ ინკარნაციამდე, ვიდრე ეს ადამიანები ჯვლავ არ შეხვდებიან ერთმანეთს. სიმპათიები და ანტიპათიები ნამდვილი სოციალური ინტერესის უდიდესი მტრები არიან. ადამიანები ამას ძალიან ხშირად ყურადღებას არ აქცევენ. ვინც იცის, რას ნიშნავს ნამდვილი სოციალური გაგება კაცობრიობის შემდგომი განვითარებისათვის, იგი ზოგჯერ გულშეკუმშული ამჩნევს, როგორ იქცევიან სკოლაში მასწავლებლები, რომლებიც, წინასწარ აკვიატებული განსჯიდან გამომდინარე, რომელიმე მოსწავლეს, სხვასთან შედარებით, წინასწარ სიმპათიურად ან ანტიპათიურად მიიჩნევენ. ხშირად ეს საშინელებაა. სინამდვილეში ყოველი მათგანი უნდა მივიღოთ ისე-

თი, როგორიც ის არის, და რასაც წარმოადგენს, იმისგან შევქმნათ საუკეთესო.

ეს კი სხვადასხვა ორგანიზაციებში აისახება. ჩვენი ორგანიზაციები, სოციალური კანონები, რომლებიც მასწავლებლის ინდივიდუალობას ხშირად საშინლად ახშობენ, უკვე იმგვარად ჩამოყალიბდნენ, რომ სინამდვილეში აღარ შეუძლიათ მიიღონ ინდივიდუალობა. აქ სულისმეცნიერების ნამდვილმა გაგებამ უნდა იმოქმედოს ისე, რომ სამშვინველის შესახებ პრაქტიკული მოძღვრება და პრაქტიკული ადამიანთმცოდნეობა საყოველთაო ინტერესში მოექცეს. ეს აუცილებელია სოციალური გაგებისათვის, რათა სოციალურ გაგებაში იმ სიძნელისათვის, რაც საკუთარი თავის გაგებას ახლავს თან, გარკვეულწილად მეორე პოლუსი შეიქმნას.

ეს გახლავთ ის, რამაც ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდში სრულიად განსაკუთრებულად უნდა იჩინოს თავი, რათა კაცობრიობამ შეძლოს ცნობიერი სამშვინველის სრულად განვითარება. ადამიანებმა ყველაფერი უნდა გაიარონ გამოცდასავით, რომლის დროსაც მათ ამ გზაზე გარკვეულწილად საწინააღმდეგო ძალები ეღობებათ წინ. ასე რომ, სიმპათია-ანტიპათიის გრძნობა მართლაც გავრცელდება. მხოლოდ წინააღმდეგობაში, ზედაპირული სიმპათია-ანტიპათიის გრძნობებისადმი ცნობიერ წინააღმდეგობაში შეძლებს ნამდვილ დაბადებას ცნობიერი სამშვინველი. სოციალური გაგების ადამიანთა შორის წინააღმდეგ გამოვლენ ნაციონალური გრძნობებიც და აღქმებიც, რომლებმაც ძირითადად მხოლოდ მე-19 ს-ში იმძლავრეს იმ ფორმით, რა სახითაც დღეს არსებობენ. ისინი უკიდურესად უარყოფითად მოქმედებენ სოციალურ გაგებაზე, ერთი ადამიანის მეორისადმი ნამდვილ ინტერესზე. ეს ნაციონალური წინააღმდეგობანი, ნაციონალური სიმპათია-ანტიპათიის გრძნობებიც, დღეს რომ აღმოცენდნენ, წარმოადგენენ ძლიერ, საშინელ გამოცდას კაცობრიობისათვის, და განკურნება მხოლოდ მათ გადალახვაში შეიძლება ვპოვოთ. სიმპათია-ანტიპათიის გრძნობები, რომლებიც ნაციონალური გრძნობიდან მომდინარეობენ, შემდგომშიც რომ ისევე განვითარებულიყვნენ, როგორც ეს თავის დროზე განახორციელეს წარმატებით, მაშინ კაცობრიობა ასცდებოდა ცნობიერი სამშვინველის განვითარებას. დასახული გზის საწინააღმდეგო მიმართულებით მიედინებიან ნაციონალური გრძნობები; ისინი ცდილობენ, ადამიანს არ მისცენ უფლება დამოუკიდებელი გახდეს, არამედ აქციონ იგი რომელიმე ჯგუფურობის თუ ნაციონალობის ასლად ან ანარეკლად.

ეს არის პირველი, რაც უნდა გავითვალისწინოთ, როცა პრაქტიკულად სამშვინველის მზერას ჩვეულებრივ აბსტრაქტულ აზრს მივაპყრობთ. კერძოდ: ატლანტიდისშემდგომ მეხუთე ეპოქაში, როცა ცნობიერი სამშვინველი განვითარდება, კიდევ სხვა რამეც იჩენს თავს. ადამიანებში, ხდებიან რა სულ უფრო მეტად ინდივიდუალურნი, ისადგურებს რელიგიური ცხოვრების გარკვეული სიცარიელე, ნამდვილი გამოცარიელება, რადგან რელიგიურ ცხოვრებას არ სურს მოერგოს ატლანტიდისშემდგომ მეხუთე ეპოქას, არამედ უნდა ყველაფერი ისევე დარჩეს, როგორც ეს იყო ატლანტიდისშემდგომ მეო-

თხე ეპოქაში. ატლანტიდისშემდგომ მეოთხე ეპოქაში უნდა წარმოშობილიყვნენ ჯგუფური რელიგიები, რადგან მაშინ ადამიანები უფრო მეტად იყვნენ განწყობილნი ჯგუფურობისთვის. ასევე ადამიანთა ჯგუფებზეც ძალის მეოხებით უნდა გადმოღვრილიყო ერთიანობა დოგმებში, საერთო რელიგიის საფუძვლებში, რელიგიურ აზრებში. ინდივიდუალობისაკენ სწრაფვა ცნობიერი სამშვინველის მეოხებით სულ უფრო და უფრო გაძლიერდება ატლანტიდისშემდგომ მეხუთე ეპოქაში. ის, რაც ჯგუფური რელიგიებიდან გამომდინარეობს, მეტად ველარ მიაღწევს გულთან, ცალკეულ ინდივიდუალურ სამშვინველებთან. ადამიანები, უბრალოდ, ველარ გაიგებენ იმას, რაც ჯგუფური რელიგიებიდან მომდინარეობს. ატლანტიდისშემდგომ მეოთხე ეპოქაში ჯერ კიდევ შესაძლო იყო ადამიანთა განსწავლა ქრისტეს შესახებ ჯგუფურად, ატლანტიდისშემდგომ მეხუთე ეპოქაში უკვე ჭეშმარიტად შეაღწია ქრისტემ ცალკეულ სამშვინველში. ჩვენ ყველანი საკუთარ არაცნობიერსა თუ ქვეცნობიერში ვატარებთ ქრისტეს. იგი თავდაპირველად თავად ჩვენში უნდა გაცნობიერდეს. ეს ხდება ადამიანისათვის არა უკვე დადგენილი, მყარი, გაქვავებული დოგმების თავსმოხვევით, არამედ იმის მეშვეობით, რომ ნაცადი იქნება ყოველივე, რასაც შეუძლია წვლილი შეიტანოს ადამიანის მიერ ქრისტეს ყოველმხრივ გაგებაში, ანდა, საერთოო, ყველანაირად, მრავალმხრივ შეუწყოს ხელი რელიგიურ შემეცნებას და ყოველივე, რასაც მართლა შეუძლია ამის ხელშეწყობა, ნამდვილად იყოს ნაცადი. აქედან გამომდინარე, ატლანტიდისშემდგომ მეხუთე ეპოქაში სულ უფრო და უფრო მეტი ტოლერანტიზმი უნდა შემოვიღეთ სწორედ აზრებში რელიგიური ცხოვრების შესახებ. თუ ატლანტიდისშემდგომ მეოთხე ეპოქაში რელიგიის მოღვაწე მოძღვრებს გარკვეული რაოდენობის დოგმებს, მყარ აზრებს თავად აწოდებდა, ეს ყოველივე ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდში სრულიად სხვაგვარად უნდა იყოს. ამ ეპოქაში ადამიანები სულ უფრო ინდივიდუალურნი გახდებიან და, შეეცდებიან დოგმებისაგან განთავისუფლებას და შეძლებენ აღწერონ არადოგმატურად ის, რასაც უფრო თავისუფლად, შინაგანი პიროვნული განცდიდან გამომდინარე, მეორე ადამიანს მოუთხრობენ; ყოველივე მართლა ისე მიაწოდონ მას, რომ თავისუფალი რელიგიური აზროვნებრივი ცხოვრების ინდივიდუალურად განვითარება გახდეს მასში შესაძლებელი. დოგმატური რელიგიები, ცალკეული მყარი დოგმები, სარწმუნოებანი — ატლანტიდისშემდგომ მეხუთე ეპოქაში რელიგიურ ცხოვრებას ნამდვილად ჩაკლავენ. აქედან გამომდინარე, სწორი იქნება, ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდში ადამიანისათვის უფრო გასაგები გაგვეხადა ის, რაც ადამიანებს განსაკუთრებით ახასიათებდათ ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. ის, რაც, სწორედ მაშინ იყო ქმედითი, შემდგომ საუკუნეებში კი — არა. მაგრამ არსებობენ სხვა რელიგიებიც. არის მცდელობაც სხვა რელიგიათა არსის გაგებისა; ადამიანები ცდილობენ, გაარკვიონ ქრისტეს მოძღვრების სხვადასხვა მხარე. ამით ყოველი სამშვინველისათვის ქმნიან მათი გაღრმავების შესაძლებლობას. თავად სამშვინველს კი არ აყალიბებენ,

არამედ აძლევენ მას საკუთარ აზრებში თავისუფლების ნებას, კერძოდ რელიგიურ სფეროში, რათა ეს აზრთა თავისუფლება სრულ განვითარებამდე მივიდეს.

როგორც სულიერი გაგებაა აუცილებელი იმ ერთ პუნქტში, რომელიც ატლანტიდისშემდგომი მეხუთე პერიოდისათვის დავახასიათე, ასევე ძირითადი პირობაა აზრთა თავისუფლება რელიგიურ სფეროში ცნობიერი სამშვინველის განვითარებისათვის: სოციალური გაგება ადამიანთა ერთად ცხოვრების სფეროში — აზრთა თავისუფლება რელიგიის, რელიგიური ცხოვრების სფეროში.

ის, რომ ჩვენ ვცდილობთ, რელიგიური ცხოვრება სულ უფრო მეტად გავიგოთ, განვჭვრიტოთ და ამით ჩვენ გვერდით მყოფ ადამიანებსაც უკეთ გავუგოთ, მაშინაც კი, როცა თითოეული მათგანი საკუთარ რელიგიურ ცხოვრებას ეწევა, ეს სულ უფრო მეტად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რადგანაც ესაა ძირითადი მოთხოვნა ატლანტიდისშემდგომი მეხუთე პერიოდისათვის, ანუ ის, რაც კაცობრიობამ საკუთარი ძალით, ცნობიერად უნდა მოიპოვოს. სწორედ ცნობიერი სამშვინველის ეპოქაში ესხმიან თავს ყველაზე მეტად არიმანული ძალები ისევ და ისევ აზროვნების ამ თავისუფლებას, და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ არიან სხვადასხვა აღმსარებლობანი მტრულად განწყობილნი სულისმეცნიერული მსოფლმხედველობის ძირითადი ნერვისადმი, აზრთა თავისუფლების გავრცელებისადმი. რამდენი ცილისწამება ვრცელდება სწორედ სულისმეცნიერებაზე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სულისმეცნიერებას სრული სინათლით აღსავსე გაგებით სურს მიუახლოვდეს ცნობიერი სამშვინველის დაბადებას და არ სურს განავრცოს ისეთი რელიგიური ცხოვრება, რომელიც აგებულია კვლავ განსჯითი ანუ ხასიათის სამშვინველის გავრცელებასა და მოთხოვნებზე, როგორც ეს ატლანტიდისშემდგომ მეოთხე პერიოდში ხდებოდა. ქრისტიანობის ფორმები ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ატლანტიდისშემდგომ მეოთხე პერიოდში რომაულ-ბერძნული კულტურის მოთხოვნილებიდან გამომდინარე. ისინი როგორც საეკლესიო ფორმები, ახლა უკვე შეუფერებელნი არიან და სულ უფრო შეუფერებელნი გახდებიან საიმისოდ, რომ ხელი შეუწყონ აზრის თავისუფლების აღმავლობას, რაც კიდევ უფრო მეტად უნდა აღზევდეს.

იმავე პერიოდში, როცა თანამედროვე ცხოვრებიდან გამომდინარე, მოძრაობაში მოვიდა, მე ვიტყოდი, აზრთა თავისუფლების მოთხოვნილების პირველი მარცვალი, მაშინვე ამოქმედდა საწინააღმდეგო ძალაც, რისთვისაც შესაძლოა გვეწოდებინა იეზუიტიზმი სხვადასხვა რელიგიებში, თუმცა მასში ბევრი ისეთი რამეცაა, რაც ისევ და ისევ ცალკეულში უნდა იქნეს განხილული. — კერძოდ, იგი ცხოვრებაში იმისთვის არის მოვლენილი, რომ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიოს აზრთა თავისუფლებას, რაც ატლანტიდისშემდგომი მეხუთე პერიოდის სასიცოცხლო მოთხოვნილებას წარმოადგენს. თანდათან აუცილებელი იქნება, აზრთა თავისუფლებამ თავისი მოწინააღმდეგე იეზუიტიზმი ატლანტიდისშემდგომი მეხუთე პერიოდის ყველა სფეროში დაამა-

რცხოს, რადგანაც რელიგიური ცხოვრებიდან ამობრწყინებული აზრების თავისუფლება ცხოვრების ყველა სფეროში თანდათან სულ უფრო მეტად უნდა განვითარდეს. რაკი იგი დამოუკიდებლად უნდა იქნას მოპოვებული, კაცობრიობა, გარკვეული თვალსაზრისით, დგას გამოცდის წინაშე, და ყველაფერში თავს იჩენს უდიდესი სიძნელეები. ეს სიძნელეები კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ატლანტიდისშემდგომი მეხუთე პერიოდის კაცობრიობა სწორედ ცნობიერების სიმკვეთრემდე უნდა განვითარდეს, თუმცა ეს პირველ რიგში არაკომფორტულობასთანაა დაკავშირებული და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვა სიტუაციაში მას წაუყრუებენ.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ მიმდინარეობს ამჟარა ბრძოლა აზრთა თავისუფლების აღმოცენებასა და ძველი დროიდან გადმოსულ ჯერ კიდევ მოქმედ ავტორიტეტს შორის. ჩვენს დროში ავტორიტეტის რწმენა კოლოსალურად გაიზარდა, საოცრად ინტენსიური გახდა; მისი ეკლესიით განვითარდა ადამიანის თავისებური უსუსურობა განსჯასთან მიმართებით. ატლანტიდისშემდგომ მეოთხე პერიოდში კი ადამიანს ბუნებრივი მონაცემის სახით ჯანსაღი გაგება ჰქონდა ბოძებული, ახლა მან ის უნდა მოიპოვოს, თავად განივითაროს. ავტორიტეტის რწმენა კი ამას ამუხრუჭებს. ჩვენ მთლიანად მივეჯაჭვებით ავტორიტეტის რწმენას. აბა დაფიქრდით, რა უმწეოდ გამოიყურებიან ასეთ შემთხვევაში ადამიანები და რაოდენ ძნელად განირჩევიან უგუნური ცხოველებისაგან! რამდენი აქვს ცხოველს ინსტინქტური თავის თავში, მას რომ მართავს გამაჯანსაღებლად ავადმყოფობიდან გამოჯანმრთელებისაკენ, და რაოდენ ძლიერ იღწვის დღევანდელი კაცობრიობა ამგვარ სფეროებში განსჯის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში, თანამედროვე კაცობრიობა მთლიანად ავტორიტეტს ემორჩილება. თანამედროვე კაცობრიობა სამკურნალო სასიცოცხლო მოთხოვნებზე განსჯის უნარს ადვილად ვერ მოიპოვებს. რა თქმა უნდა, საქებარია მისწრაფებანი, რომლებიც ათასგვარ გაერთიანებებში არსებობს. ეს მისწრაფებანი გაცილებით უფრო ინტენსიური უნდა გახდეს, მაგრამ პირველ რიგში უნდა გავიგოთ, როგორ გამოვდივართ თანდათან ავტორიტეტის რწმენის წინააღმდეგ და როგორ ვქმნით მთელ რიგ თეორიებს, რომლებიც ისევ და ისევ იმ მოსაზრებების საფუძველია, რომლითაც ავტორიტეტის რწმენას სწორედაც რომ მივეჯაჭვებით. მედიცინის, იურისპრუდენციის და მსგავს სფეროებში ადამიანები საკუთარ თავს თავიდანვე არაკომპეტენტურად თვლიან და მათ გასაგებად იღებენ იმას, რასაც მეცნიერება სთავაზობს. თანამედროვე რთული ცხოვრების პირობებში ბოლოს და ბოლოს ესეც ხომ გასაგებია. მაგრამ ადამიანები ასეთი ავტორიტეტის ძალის გავლენით, თანდათან დაუძლურდებიან; ამ ავტორიტეტის ძალით, ამ ავტორიტეტული მოსაზრების სისტემატურად შემუშავება კი გახლავთ იეზუიტიზმის პრინციპი. იეზუიტიზმი კათოლიკურ რელიგიაში არის წარმატებების განსაკუთრებული გამოვლენა, რაც გვხვდება სხვა სფეროებშიც, მაგრამ სხვაგან ის ასე მკვეთრად არ შეიმჩნევა. იეზუიტიზმი, უპირველეს ყოვლისა, დაიწყო

იეზუიტიზმით საეკლესიო — დოგმატურ სფეროში პაპების ძალაუფლების ტენდენციით, რომელიც ატლანტიდისშემდგომი მეოთხე პერიოდიდან გადმოვიდა მეხუთე პერიოდში, კვლავაც პოზიციის შესანარჩუნებლად, მაგრამ ამ დროისათვის ის აღარაფრის მაქნისია. თუმცა იგივე იეზუიტური პრინციპი თანდათან გადატანილ იქნა ცხოვრების სხვა სფეროებშიც. დღეს უკვე სამედიცინო სფეროშიც ვხედავთ იეზუიტიზმის უპირატესობას, რაც დიდად არ განსხვავდება დოგმატურ-რელიგიური სფეროს იეზუიტიზმისაგან. გარკვეული სამედიცინო დოგმატიკიდან გამომდინარე, ვხედავთ ექიმის მდგომარეობის ამაღლებისაკენ სწრაფვას. ეს არის არსებითი იეზუიტურ მიდრეკილებაში სხვა დანარჩენ სფეროებშიც, რაც მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. ადამიანები სულ უფრო მეტად გაიხლართებიან იმაში, რასაც ავტორიტეტი დაატეხს მათ თავს. ატლანტიდისშემდგომი მეხუთე პერიოდის გაჯანსაღების არსი, რომელიც ამ არიმანულ აღზევებას ებრძვის, — რადგანაც სწორედ ამას წარმოადგენენ ისინი — იმაში გამოიხატება, რომ ცნობიერი სამშვინველის უფლება, რომელსაც განვითარება სურს, აამოქმედონ. ეს კი მოხდება იმის მეოხებით, რომ ადამიანებს, რომლებსაც ამჯერად თავიანთი ბუნებრივი გაგება საკუთარი ხელებივით თან არ დაჰყოლიათ, რასაც ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ატლანტიდისშემდგომ მეოთხე პერიოდში, — სურთ განივითარონ მართალი გაგება, ჯანსაღი განსჯის ძალა. ცნობიერი სამშვინველის განვითარება მოითხოვს აზრთა თავისუფლებას, მაგრამ აზრთა ეს თავისუფლება შეიძლება მხოლოდ გარკვეულ აურაში, გარკვეულ ატმოსფეროში გაიშალოს.

მე მიგითითეთ იმ სიძნელეებზე, რომლებიც თან ახლავს ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდს, ვინაიდან ატლანტიდისშემდგომი მეხუთე პერიოდი ერთი გარკვეული მიმართულებით ვითარდება: ეს გახლავთ ცნობიერი სამშვინველის განვითარება. მაგრამ ცნობიერ სამშვინველს, რადგანაც ის სწორედ ცნობიერ სამშვინველად უნდა განვითარდეს, წინააღმდეგობებიც უნდა ახლდეს, ამასთან გარკვეული გამოცდაც უნდა გაიაროს. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ: როგორც სოციალური გაგების, აზრთა თავისუფლებისათვისაც წარმოიქმნება მძლავრი წინააღმდეგობები. დღეს არაერთგზის გავიგონებთ, რომ ეს წინააღმდეგობები სახეზეა; ფართო წრეებში ისინი ისე განიხილება, როგორც რეალური რამ, რომელთაც წინ კი არ უნდა აღვუდგეთ, არამედ სრულიად განსაკუთრებულად განვავითაროთ.

მაგრამ ასევე არიან ბევრი, ძალზე ბევრი ადამიანები, რომლებსაც გახსნილი გული და სწორი გაგება აქვთ ყოველივე იმისადმი, რისი დანახვაც დღეს უკვე შესაძლებელია: იმის ვამო, რომ ადამიანთა კარმიული ურთიერთობები ეს-ეს არის აღწერილ კრიზისში შევიდა, იწყება პერიოდი, როცა შვილები მშობლებს, მშობლები კი შვილებს ვეღარ უგებენ, რომ აღარც დაძმებს ესმით ერთმანეთისა და აღარც ხალხებს. დღეს უკვე საკმაოდ არიან ადამიანები, რომლებიც ამ მართლაც საჭირო, მაგრამ მხოლოდ გაგების შემთხვევაში სწორედ მოქმედ სისხლით მონათესავე გულთა ურთიერთობებს უპირისპირდებიან. ვინაიდან გულის სისხლიდან გამო-

მდინარე იმპულსები ცნობიერად უნდა იქნეს მოპოვებული ამ ახალი სამყაროს ქმედებისათვის. ის, რაც თავისით მოხდება, იქნება ცალკეულთა გაუცხოება ერთმანეთის გვერდით. ადამიანის გულიდან გადმომდინარე კი (ის, რაც გულიდან გადმოეღინება)* ცნობიერ მისწრაფებას გამოიწვევს. ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდში სიძნელეებს გაივლის ყოველი ცალკეული სამშვინველი, რადგანაც მხოლოდ ამ სიძნელეების გადალახვაში იჩენს თავს გამოცდა, რისი გავლითაც ცნობიერ სამშვინველს განვითარება შეუძლია.

ვთქვათ, მოდის მავანი და ამბობს: არ ვიცი, რა შეიძლება ჩემგან გამოვიდეს, ან როგორ ჩავაყენო საკუთარი თავი სასიცოცხლო ურთიერთობებში. — ეს იმის ბრალია, რომ მას ჯერაც ვერ მიუგნია სწორი გზისათვის, რათა ღღევანდელი პერიოდის მოთხოვნილებასა და მასში ადამიანის როლის შესახებ დაფიქრებულიყო. დღეს უკვე ბევრი ადამიანის ურთიერთობები ვითარდება ფიზიკურ დაავადებამდე, ფიზიკურ არამდგრადობამდე. საამისო სწორი გაგება გახლავთ ის, სულ უფრო ინტენსიურად რომ მოგვეთხოვება. ის, რაც კაცობრიობას თავს დაატყდება (და ეს ატლანტიდისშემდგომ მეხუთე ეპოქაში საჭიროდაა), ეს გახლავთ მშვინვიერი გასაჭირის საშიშროება იმ განსაკუთრებული ნიუანსებით, როგორი ეს ღღევანდელ მოხსენებაში აღიწერა. ზემოთქმულს ბევრი ადამიანი ხედავს და გრძნობს, რომ მართლაც საჭიროა, ადამიანები მივიდნენ, ერთი მხრივ, სოციალურ გაგებამდე და, მეორე მხრივ, აზრთა თავისუფლებამდე. მაგრამ ცოტანი, ძალიან ცოტანი არიან საამისოდ მზად, რომ სწორ საშუალებებს მიაგნონ. რადგანაც ხშირად ცდილობენ, რომ იმას, რაც ინდივიდუალური გაგებისათვის არის საჭირო, ყოველგვარი იდეალისტური ხასიათის გამოსათქვამებით ემსახურონ. რას წერენ ღღეს მოზარდის ინდივიდუალურად შესწავლის საჭიროებაზე! დაწვრილებით თეორიებში რა არის ნათელი და ცხადი სხვადასხვა პედაგოგიურ სფეროში! ეს კიდევ უფრო ნაკლებია იმაზე, რაზეც აქ არის საუბარი. შეძლებისდაგვარად მრავალი პოზიტიური მოსაზრება (რეალურად როგორ უნდა განვითარდნენ ადამიანები), ასე ვთქვათ, ადამიანის ინდივიდუალური განვითარების ბუნებრივი ისტორია, ეს გახლავთ ის, რაც სრული გაგებით უნდა გავრცელდეს; სადაც კი შეგვიძლია ვუყვებით, როგორ განვითარდა A, B თუ C ადამიანი და შეგვიძლია სიყვარულით ალსავსე მზერა მივაპყროთ რომელიმე მათგანის განვითარებას, ჩვენ თვალწინ რომ თამაშდება. პირველ რიგში აუცილებელია: ცხოვრების შესწავლა, ნება ცხოვრებისეული სიბრძნისადმი და არა პროგრამისადმი; რადგანაც თეორიული პროგრამა ატლანტიდისშემდგომი მეხუთე კულტურული პერიოდის მტერია.

თუ საზოგადოებები გაჩნდებოდნენ, მაშინ ისინი, კაცმა რომ თქვას, ატლანტიდისშემდგომი მეხუთე კულტურული პერიოდის გაგებით, ისე უნდა წარმოჩენილიყვნენ, რომ ამ საზოგადოებაში თავმოყრილი ადამიანები ყოფილიყვნენ ყველაზე არსებითნი, რომ ამ პოზიტიურ ადამიანთა ურთიერთმიმართებით მიიღწეოდა ის, რაც მისაღწევია. აქ მართლაც გამოიკვეთება რალაც ინ-

* მთარგმნელი.

დივიდუალური, თუ ამაზე ყურადღებას გავამახვილებთ. დღეს ჩვეულებრივ როგორ იქცევიან? იწყებენ იმით, რომ წამოაყენებენ წესდებას. ცხადია, ეს შესაძლოა კარგიც იყოს და, ალბათ, საჭიროცაა, რადგან სწორედ გარეგნული ურთიერთობები მოითხოვენ წესდებას. სწორედ ჩვენს სფეროში უნდა იყოს ნათელი, რომ ყოველგვარი საუბარი პროგრამებსა და წესდებებზე მხოლოდ ერთ-ერთი თვალსაზრისია საქმეების შესახებ, რომ ის, რაზეც აქ არის საუბარი, უნდა იყოს ინდივიდუალური თანაცხოვრება, რაც პოზიტიური ადამიანისაგან მომდინარეობს. კერძოდ, ურთიერთგაგება ისაა, რაზეც აქ ვისაუბრეთ. შემდეგ, უკვე ჩვენს მეხუთე ეპოქაში (ჯერ ხომ კიდევ საუკუნეები გვაქვს წინ) გაჩნდება შესაძლებლობები (რაც აგრეთვე იმ წრიდანაც გამოსჭვივის, იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ გაგება ინდივიდუალური განვითარებისათვის) სიცოცხლისუნარიანი განვითარებისათვის მთელ მსოფლიოში, რომელიც ყველაფერს პარაგრაფებში ჰკრავს, ისე, როგორც ესპანურ ჩექმებში, — პარაგრაფებში, წეს-კანონებსა თუ რაღაც ამგვარში. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვხედავთ მოძღვრებებს, რომლებიც განმკურნებლად ყველენ ყველგან, საეკლესიო კათედრებიდან, — იმ ტრიბუნებიდან, საიდანაც ცხოვრებას მოძღვრავენ. გაჩნდნენ მოძღვრებები, რომლებიც აბსტრაქციებიდან ისე მოედინებიან, რომ მათში ადამიანებისათვის ყოველგვარი იდეები და იდეალებია წარმოდგენილი. ამიტომ ამაზე არც შეიძლება იყოს საუბარი, არამედ მხოლოდ იმაზე, რომ კონკრეტულ, ნამდვილ ცხოვრებაში გაგებით აღსავსენი შევიჭრათ. ახლა კი, როგორ უნდა მოხდეს ეს?

სრულიად ბუნებრივად, თავისუფლად შეგვიძლია შევეკამათოთ იმას, რაც აქ ითქვა: ფიქრობ, ჩვენ ხომ არ შეგვიძლია შევისწავლოთ ყოველივე ის, რაც დღეს ავტორიტეტული კავშირებიდან მომდინარეობს. მავანი იტყვის, — დაფიქრდით, — რამდენი რამ უნდა შეისწავლოს კაცმა, ვისაც უნდა ექიმი გახდეს! ეს მართებულიცაა, რომ იგი ამას სწავლობს; მაგრამ ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ვისწავლოთ იგივე და ამასთან ერთად კიდევ ის, რასაც სწავლობს ყველა, ვისაც იურისტობა უნდა და მასთან ერთად კიდევ ისიც ვისწავლოთ, რაც მომავალმა მხატვარმა და ა. შ. ეს ხომ ჩვენს ძალებს აღემატება! — ცხადია! ეს ჩვენ, უდაოდ, არ შეგვიძლია, მაგრამ ჩვენ არც ის გვჭირდება, რომ შემოქმედებითნი ვიყოთ, ჩვენთვის საჭიროა, გაგვაჩნდეს განსჯის უნარი. მივიდეთ ისეთ მდგომარეობამდე, რომ, თუმცა მოღვაწეობის ნება მივცეთ ავტორიტეტს, მაგრამ ასევე შეგვეძლოს ავტორიტეტის განსჯა. ამას ჩვენ არ ვსწავლობთ; ამ თვისებას ჩვენ ყველა სპეციალობასთან შეხებით როდი ვიძენთ, არამედ იმ რაღაციდან გამომდინარე, რასაც ჩვენი გაგების, განსჯითი ძალის ყოვლისმომცველად ჩამოყალიბება შეუძლია, ამის წყალობით ვიძენთ განსჯის შესაძლებლობას. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოხდეს ცალკეულ სპეციალობათა მატერიალისტური გაცნობიდან, არამედ — სულის ყოვლისმომცველი შემეცნებიდან.

სულისმეცნიერება ცენტრალური შემეცნება უნდა იყოს. რადგანაც იგი არა მხოლოდ განგვანათლებს ადამიანის განვითარებაში არსებულ ურ-

თიერთკავშირებში, არამედ განგვივითარებს ჯანსაღ გაგებას იმ სახის აზრების მეშვეობით, რომელიც მას გააჩნია და რომელიც დღეს უფრო დიდი სიღრმეებიდან უნდა იქნეს მოზიდული, ვიდრე ბერძნულ-რომაულ კულტურულ ეპოქაში, ატლანტიდისშემდგომ მეოთხე კულტურულ პერიოდში იქნებოდა მოზიდულ-გამომზეურებული. ათასგვარი მეცნიერულიდან მომდინარე სხვა ცნებების ჩამოყალიბების, წარმოდგენების შექმნის სახე, რომელიც სულისმეცნიერებისათვის არის საჭირო, იმას კი არ გვავალდებულებს, გავხდეთ ავტორიტეტები ამა თუ იმ სფეროში, არამედ — გავხდეთ განსჯის უნარიანნი. თუ რატომ არის ეს ასე, თანდათან უკეთ გამოჩნდება, რადგანაც ადამიანის სამშვინველში არსებობენ იდუმალებით მოცული ძალები და ეს იდუმალებით მოცული, ეს მისტერიალური ძალები ადამიანის სამშვინველს აკავშირებენ სულიერ სამყაროსთან და ამ კავშირით (რომელიც იქმნება ადამიანის სამშვინველსა და სულიერ სამყაროს შორის, იმის მეოხებით, რომ ჩვენ სულისმეცნიერებას შევეხებით) მხოლოდ ავტორიტეტის წინაშე დგომისას თავს ნებას ვაძლევთ, გამოვჩნდეთ განსჯის უნარიანნი. ჩვენ არ გვეცოდინება ის, რაც ავტორიტეტმა იცის; მაგრამ თუ ავტორიტეტმა რაღაც იცის და ცალკეულ შემთხვევაში ამა თუ იმ საქციელს სჩადის, ჩვენ გვექნება მისი განსჯის უნარი.

ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, როგორც ისეთ რამეს, რაც სულისმეცნიერების საშუალებით მოდის, ვინაიდან ის არა მხოლოდ მოძღვრავს ადამიანებს, არამედ განსჯისუნარიანად ხდის მათ ამ მიმართებაში. ეს ნიშნავს, რომ იგი ჯერ აზრთა თავისუფლების შესაძლებლობას გვაძლევს, ვინაიდან ჯერ მხოლოდ აზრთა დამოუკიდებლობა მოგვეთხოვება. სულისმეცნიერებაში ნებას მეტსაკუთრებად კი არ გვხდის, არამედ გვაძლევს უნარს, განვსაჯოთ ის, რაც მედიკოსების საშუალებით შემოიჭრა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ სწორად ჩავუღრმავდებით სულისმეცნიერებას. ერთხელ თუ გავიცნობიერებთ იმას, რასაც მე ახლა ვგულისხმობ, მაშინ ბევრი, ძალიან ბევრი რამ გახდება გასაგები ატლანტიდისშემდგომი მეხუთე ეპოქის გამაჯანსაღებელი ძალების შესახებ. რადგანაც იმით, რასაც მე აქ ზოგადად ვგულისხმობ, სულისმეცნიერება ადამიანურ გაგებას მოდელს უცვლის, ადამიანი ხდება განსჯის უნარიანი და გამოათავისუფლებს გაგების ძალას საკუთარი მშვინვიერი ცხოვრებისაგან. მხოლოდ ამის გზით შეუძლია მას ჭეშმარიტად მოიპოვოს აზროვნებრივი თავისუფლება.

თუ ნებას მომცემთ, ამ აზრს კიდევ უფრო ხატოვნად, იმაგინაციური ფორმით წარმოგიდგენთ. სულისმეცნიერებაში გვესმის ნამდვილი სულიერი სამყაროს, კონკრეტული სულიერი სამყაროს, ელემენტარული არსებების შესახებ, რომელიც გარს გვარტყია; გვესმის ანგელოსთა, მთავარანგელოზთა და ა. შ. იერარქიების შესახებ. ჩვენთვის სამყარო კონკრეტული სულიერი შინაარსებით ანუ სულიერი ძალებითა და არსებებითაა დასახლებული. ამ არსებებისათვის, სულიერ სამყაროებში რომ ცხოვრობენ, სულ ერთი როლია, ვიცით თუ არა ჩვენ მათი არსებობის შესახებ. ეს მათთვის მეტ-ნაკლებად სულ ერ-

თი იყო ატლანტიდისშემდგომ მეოთხე პერიოდში, მაგრამ მეხუთე პერიოდში ეს უკვე აღარ არის სულ ერთი. ეს იმის მსგავსია, თითქოს მათ, გარკვეულწილად, სულიერი საკვები აკლდებოდეთ, მაშინ, როცა ადამიანებმა აქ, მიწაზე მათ შესახებ არაფერი იციან. სულიერი სამყარო სავსებით ბუნებრივ კავშირში იმყოფება აქაურ, ფიზიკურ მიწიერ სამყაროსთან. ყოველივე ეს უფრო გასაგები გახდება, თუ ვიტყვი კიდევ ერთ რამეს, რაც ახლა თქვენ ალბათ პარადოქსად მოგეჩვენებათ, მაგრამ ეს სრული სიმართლეა. მართალია, დღეს ბევრი რამის თქმა ჯერ კიდევ არ შეიძლება, მაგრამ ზოგიერთი ჭეშმარიტება მაინც უნდა ითქვას, რადგან ადამიანებმა ამ ჭეშმარიტებების გარეშე არ უნდა იცხოვრონ.

როგორც ხედავთ, აქ, დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთათვის სწორია იმის თქმა, რომ გოლგოთის მისტერიით ქრისტე შემოვიდა მიწიერ ცხოვრებაში და მას შემდეგ იქ იმყოფება. გარკვეული გრძნობის თვალსაზრისით, ეს შეიძლება განვიხილოთ, როგორც მიწიერი ცხოვრების ბედი, რომ ქრისტე შევიდა მასში. მაგრამ ახლა წარმოვიდგინოთ თავი ანგელოზთა მდგომარეობაში (ეს პოზიცია ჩემს აღმოჩენას არ წარმოადგენს, ეს ის პოზიციაა, რაც ნამდვილი ოკულტური მკვლევარისათვის რეალური რამეა), ანუ გადავსახლდეთ ანგელოზთა მდგომარეობაში. მაშინ რაღაც სხვა განიცდება ამ სულიერ სფეროში; სწორედ საპირისპირო რამ განიცდება! ქრისტემ დატოვა საკუთარი სფერო და ადამიანებთან წავიდა. ანგელოზებმა შეიძლება უთხრან საკუთარ თავს: ქრისტე გოლგოთის მისტერიის გზით გავიდა ჩვენი სამყაროდან. — ამის გამო მათ აქვთ დამწუხრების საფუძველი, ისევე როგორც ადამიანებს შეუძლიათ ეს განმკურნებელი თვალსაზრისით მიიღონ, რამეთუ ქრისტე მივიდა მათთან, სანამ ადამიანები ფიზიკურ სხეულში ცხოვრობენ. ესეც აზრთა რეალური მსვლელობა გახლავთ, და ის, ვინც ნამდვილად იცნობს სულიერ სამყაროს, იცის, რომ ანგელოზთათვის არსებობს ერთადერთი ხსნა, მათთვის სწორია, რაც მე ვთქვი, ანუ, რომ ადამიანები ქვემოთ, მიწაზე თავიანთ ფიზიკურ სხეულში ქრისტეს აზრებით ცხოვრობენ და ქრისტეს აზრი ანგელოზებისაკენ შუქივით ასხივებს ზევით: გოლგოთის მისტერიიდან მოყოლებული შუქივით ბრწყინავს ზევით, ანგელოზებისაკენ. ადამიანები ამბობენ: ქრისტე შემოვიდა ჩვენში და შეგვიძლია ისე განვვითარდეთ, რომ ქრისტემ იცხოვროს ჩვენში. — „არა მე, არამედ ქრისტე ჩემში". ანგელოზები კი ამბობენ: ის ჩვენი უშინაგანესიდან, ჩვენივე სფეროსათვის განგვეშორა და გვიბრწყინებს ქვემოდან ზემოთ, როგორც მრავალი ვარსკვლავი ცალკეულ ადამიანთა ქრისტესმიერ აზრებში; აქ ჩვენ მას კვლავ შევიცნობთ, რამეთუ იგი ასხივებს გოლგოთის მისტერიიდან მოყოლებული. — ეს რეალური ურთიერთობაა სულიერ სამყაროსა და ადამიანურ სამყაროს შორის, რომელიც გამოხატულებას პოულობს იმის მეოხებით, რომ იმ ჩვენ სულიერ არსებებს გარდა, ასევე ცხოვრობენ სულიერ სამყაროში, შეეძლოთ დიდი მოწონებით, კმაყოფილებითა და სისავსით თვალის მიპყრობა იმ აზრებისათვის, რაც ჩვენ შეიძლება გაგვაჩნდეს მათი სამყაროს შესახებ. მათ მხოლოდ მაშინ შეუძლიათ დაგვეხმარონ, თუ

ჩვენ ვიფიქრებთ მათზე. იმ შემთხვევაშიც, კი როცა სულიერ სამყაროში ნათელმხილველ ჭვრეტამდე ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია, დიახ, მათ შეუძლიათ ჩვენი შველა, თუ მათ შესახებ ჩვენ ვიცით. ვსწავლობთ რა სულისმეცნიერებას, სანაცვლოდ ჩვენთან მოდის შველა სულიერი სამყაროდან. ის, რასაც ჩვენ ვსწავლობთ, მხოლოდ შემეცნებას კი არ წარმოადგენს, ეს თავად მაღალ იერარქიათა არსებებია, ჩვენ რომ გვეხმარებიან, როცა ჩვენ ვიცით მათ შესახებ. მაშასადამე, ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდში, როცა ავტორიტეტებიდან შორს ვდგავართ, ჩვენთვის გამაჯანსაღებელია ის, რომ გაგვაჩნია არა მარტო ადამიანური გაგება, არამედ ისიც, რის ქმედებასაც სულიერი არსებები მოისურვებენ ჩვენს გაგებაში, თუკი მათ შესახებ ვიცით. ისინი გვხდიან უნარიანს ავტორიტეტის განსასჯელად. სულიერი სამყარო გვეხმარება ჩვენ. ჩვენ იგი გვჭირდება, ამიტომ უნდა ვიცოდეთ მის შესახებ და იგი ცნობიერად მივიღოთ. ეს გახლავთ მესამე რამ, რაც უნდა მოვიდეს ატალანტიდისშემდგომი მეხუთე პერიოდისათვის.

პირველი, არის ადამიანთა სოციალური გაგება, მეორე — აზრთა თავისუფლების მიღწევა, მესამე — ცოცხალი ცოდნა სულიერი სამყაროს შესახებ სულისმეცნიერების მეოხებით. ეს სამი რამ უნდა იყოს ატალანტიდისშემდგომი მეხუთე პერიოდის დიდი, რეალური იდეალი. სოციალური ცხოვრების სფეროში უნდა მოვიდეს სოციალური გაგება; რელიგიისა და სამშვინველთა მსგავს თანაცხოვრებაში — აზრთა თავისუფლება; შემეცნების სფეროში კი უნდა მოვიდეს სულის შემეცნება. სოციალური გაგება, აზრთა თავისუფლება, სულის შემეცნება — ეს არის სამი დიდი მიზანი, იმპულსი ატლანტიდისშემდგომი მეხუთე ეპოქისა. ამ სინათლით უნდა განვვითარდეთ, რადგანაც ისინი წარმოადგენენ ჩვენი ეპოქის ნამდვილ მანათობელთ. ზოგიერთი ადამიანი ინტენსიურად გრძნობს, რომ მსგავსი რამ საჭიროა, კერძოდ, იმას, რომ უნდა დაფუძნდეს თანამედროვე ერთად ცხოვრების რაღაც სხვა სარე, რომ უნდა მოვიდნენ სხვა ცნებები. მაგრამ საბოლოო შედეგები კეთილი ნებიდან, ან ადამიანის შემეცნებიდან მომდინარეობს. ეს ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ სწორედ იმ ურთიერთობაში, რომლითაც ადამიანები სულისმეცნიერების ანუ ანთროპოსოფიისაკენ მიისწრაფიან. ამ დროს ზედმეტია იმაზე ფიქრი, რომ სულისმეცნიერებას, თეოსოფიას ან ანთროპოსოფიას ბოროტი განზრახვით, ცილს სწამებენ. ან კიდევ, რომ მას, რაიმე სხვა მოსაზრებით, მტრულად უპირისპირდებიან. ჩვენ უნდა ვიფიქროთ მართალ ნებაზე, რომელიც საკმაოდ მოიპოვება ამჟამინდელ კაცობრიობაში, მართალ ნებაზე, რომელიც იქითკენ მიდის, რათა შექმნას ისეთი იმპულსები კაცობრიობაში, ატლანტიდისშემდგომი მეხუთე პერიოდის სწორ იმპულსებში რომაა საძიებელი. აბა დავფიქრდეთ, რამდენი ადამიანი-„რეფორმები" ჩნდებიან სრულიად სხვადასხვა სფეროებში, რამდენი სოციალური მოძღვარი თუ სხვა სახის სოციალური მქადაგებელი (ისევ და ისევ სოციალური მქადაგებელნი), აღმოცენდნენ არათეოლოგიური ან არარელიგიური წრეებიდან. როგორ მოხდა ყოველივე ეს; როგორ მოხდა, რომ ის სწორად საუკეთესოზე საუკეთესო ნებით არის გაცოცხლებუ-

ლი! მას სურს ადამიანები წაიყვანოს რაღაც ისეთისკენ, საითაც ცხოვრება მიგვაქანებს ჩვენს დროში! კეთილი ნება მრავალგზის მოქმედებს, და ამ მომენტში უნდა შევეხოთ იმას, რაც იგულისხმება კეთილი ნებისა და არა ბოროტი ნების ქვეშ. მაგრამ ეს კეთილი ნება მხოლოდ ზოგად მსჯელობად დარჩება, ან, თუნდაც, ესოდენ ცხელი გრძნობებით გამსჭვალული ვერაფერს გააწყობს, თუ არ გაცოცხლდება შემეცნება, რომელიც მხოლოდ სულისმეცნიერებიდან შეიძლება მოდიოდეს. ნათა სამმა დიდმა იდეალმა შეძლოს განხორციელება: სოციალური გაგება ანუ ადამიანთა სოციალური გაცნობა, აზრთა თავისუფლება და სულის შემეცნება. მაგრამ დღესდღეობით ამის სათავეებამდე ადამიანთა გაგებამ ვერც ერთხელ ვერ მიაღწია, გარდა იმ პატარა ჯგუფისა, რომელმაც სულისმეცნიერების მსოფლმხედველობის შიგნით მოიყარა თავი.

ამ მხრივ დღეს შეგვიძლია დავაკვირდეთ არაერთ მშვენიერ შემეცნებას, რომელთაც კეთილი განზრახვა აქვთ. მსურს ამის შესახებ ერთი რამ გიამბოთ, რომელიც, როგორც ამბობენ, „შემთხვევით“, სინამდვილეში კი კარმის მეშვეობით მომეცა. ერთ-ერთ ვიტრინაში ვიპოვე პატარა წიგნი, რომელიც გარკვეული შთაბეჭდილების გამო, რასაც სათაური ახდენდა, ვიყიდე. მასში ლაპარაკი იყო თანამედროვე ადამიანზე, თუ რას ეძებს ეს ადამიანი და რა შთაბეჭდილებების ქვეშ იზრდება; ნათქვამი იყო იმაზე, რამდენი რამ არსებობს დღევანდელ სამყაროში, რაც ამ თანამედროვე ადამიანს აყალიბებს, რაც მის სიცოცხლის კომფორტულს ხდის, ცხოვრებას უადვილებს. თუ როგორ გახდა ცხოვრება სახალისო გარკვეული მოხერხებულობის გავლენით, რაც მაგალითად, ახალმა ორთქლის ძალამ, უახლესმა ელექტროობამ მოიტანა; ყოველივე ეს აქ გახლდათ ნათქვამი. შემდეგ კი მკვეთრად ხაზგასმული გახლდათ ის, რომ, მართალია, თანამედროვე ადამიანი თავბრუდამხვევ, გაცილებით უფრო დინამიურ ცხოვრებაში მოვიდა, ვიდრე ეს წინა ეპოქაში იყო, მაგრამ რაოდენ გამდიდრდა მისი ცხოვრება. ყოველივე ეს ნათქვამია გარკვეული სიხარულით, გულითადობით; ახალი დროის მნიშვნელოვან სულიერ გამოვლინებებზე ნათქვამია, თუ რა უპირატესობები აქვს თანამედროვე ადამიანს აღრეული ეპოქების დაბინდული, მოსაწყენი, ინსტინქტებიანი ცხოვრების საპირისპიროდ. შემდეგ კი სწორად არის ასახული ის, რაც მე აქამდე დავახასიათე, როგორც ატლანტიდისშემდგომი მეხუთე ეპოქის სიძნელეები; მხოლოდ არ არის გაცნობიერებული, რომ ეს სწორედ ატლანტიდისშემდგომი მეხუთე ეპოქის ათვისებისა და მისი მოთხოვნიდან გამომდინარეობს, რაც ცნობიერი სამშვინველის ჩამოყალიბებაში გამოიხატება. ამ წიგნში ეს მთლად ნათლად და გარკვევით არ არის დანახული. ამაზე ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ, მაგრამ გულწრფელად კი უნდა იქნეს აღქმული. წიგნში წერია: „უცნაურია: ჩვენი დროის შინაგანი ქმნადობის პროცესის აღწერისას შეგვეძლო გამოვსულიყავით სიცოცხლის სიხარულიდან, არსებობის ხალისიდან. ღრმად წასულ შინაგან მშვინვიერ გასაჭირზე ქვემოთ ვისაუბრებთ. რასაც აქ მცირე მასშტაბით განვიცდით, ფართო მასშტაბით გადამწყვეტია ჩვენი დროისათვის“. — „მცირეში“ ის გულისხმობს იმ ადგილს, სადაც ის კონკ-

რეტულად ცხოვრობს. — „ესაა შეუდარებელი კულტურული სისავსე, სიცოცხლის განვითარება იმგვარი ძალითა და მშვენიერებით, რომელსაც მთელს ისტორიაში ნაკლებად თუ მოეძებნება ანალოგი; ამავე დროს მშვინვიერი გასაჭირი, რომელიც სულ უფრო მატულობს და ხალხთა მთელ რიგ ფენებს მოიცავს“.

მას შემდეგ, რაც მან ეს სწორად გაიზიარა, მიმოიხილავს ბევრ სხვადასხვა რამეს, ამჯერად არა მხოლოდ მშვინვიერი გასაჭირის უსუსური დახასიათებით შემოიფარგლება, არამედ იქითკენ მიდის, რომ სწორი გზა მოიძებნოს ახალი კაცობრიობის იმპულსების მართებულად წარმართვისათვის. ამ ნაირგვარ ამბებს შორის გვიხასიათებს იმასაც, რასაც თეოსოფიას უწოდებს, და მოგვითხრობს, თუ როგორ გაეცნო თავად თეოსოფიას. ამ შემთხვევაში ჩვენს მრავალ მოწინააღმდეგეთა შორის ვხედავთ ერთს, ისეთს, რომელიც ამ თეოსოფიას თავისუფალი ნებით უპირისპირდება, საუკეთესო ნებით, იმ ნებით, რომ მართლაც გაეცნო ყოველივეს, რომელსაც იგი მართლაც გაეცნო და ეს ჩვენთვის სწორედ ამიტომ არის ინტერესის საგანი. ამ ყოველივეს უბრალო ბრიყვული მოსაზრებით კი არ წარმოგიდგენთ, რათა მაინცდამაინც რაღაცა წარმოვადგინო, არამედ ნამდვილად მნიშვნელოვანი და არსებითია, რომ ჩვენ ჩვენი სულისმეცნიერების გარეგნულ ცხოვრებასთან ასეთ პოზიტიურ ურთიერთკავშირზეც ვზრუნავთ.

ამ კაცმა ილაპარაკა, რომ ამ მისტიკას, რომელიც სინამდვილეში „მისტიკამდე“ არ მიდის, ამავე დროს სურს ცხოვრების გასაღრმავებლად წვლილის შეტანა მშვინვიერი გასაჭირის თავიდან ასაცილებლად, შემდეგ ამბობს: „მისტიკის გვერდით დგას თეოსოფია. არიან ადამიანები, რომლებიც მასში მხოლოდ ერთ გამოვლინებას ხედავენ, რაც იმის მაუწყებელია, რომ ფასეული ძალების ადგილას სუროგატები ჩაისვას, ან ისეთები, რომლებიც მასში მხოლოდ სინკრეტიზმთან და აკლექტიზმთან დამოკიდებულებას ხედავენ“. ე. ი. ყოველგვარი რელიგიური მრწამსებისა და მსოფლმხედველობების ჯამთან. ისინი, ვინც სულისმეცნიერებას ახლოს არ ეკარებიან, ხომ იმაზე ლაპარაკობენ, რომ მასში უნდა გაღვივდეს გნოსტიკიზმი და ა. შ.; მაგრამ ეს ადამიანი კიდევ უფრო შორს მიდის. მაშასადამე, იგი ამბობს: ისინი, „ვინც მასში მხოლოდ სინკრეტიზმთან და ეკლექტიზმთან კავშირს პოულობენ, ინდივიდუალური მიდრეკილების შესაბამისად, ერთმანეთში ურევენ თანამედროვე ცხოვრების ნაკლებად ნათელ თანმხლებ მოვლენებს ცრურწმენასთან, სპირიტიზმთან, სულების ხილვასთან, სიმბოლიზმთან და მსგავს საიდუმლოთა მეშვეობით ადამიანთათვის გამოხატულ მომხიბვლელ სულიერ თამაშობებთან. — მისთვის კი ეს ასე არაა. — ეს ნიშნავს ამ მოძრაობისადმი უსამართლობას, თუ მასში გამოხატული, ღრმად შინაგანი ურთიერთობებისა და ფასეულობების აღიარება არ ჯსურს“. ე. ი. ჩვენ წინაშეა კეთილმოსურნე ადამიანი, რომელიც ამბობს: „ჩვენ მათ გაგების, შტაინერის ირგვლივ შეკრებილ წრეში მაინც, უფრო მეტად უნდა ვეცადოთ, სულ ცოტა როგორც რაღაც რელიგიური მოძრაობა საკუთარ თანამედროვეთა შორის, თუნდაც არა წარმომავლო-

ბითი, არამედ სინკრეტული სახის, მაგრამ მაინც, მთელი ცხოვრების სიღრმისადმი მიმართული". — ვიმედოვნებ, კაცი, რომელსაც ესოდენ კეთილი ნება აქვს, წარმომავლობამდეც მივა.

„შესაძლოა იგი განვიხილოთ, როგორც მოძრაობა, რომელიც ადამიანის ზეგრძნობად ინტერესებს აკმაყოფილებს. ჩვენ მასში, უპირველეს ყოვლისა, შეგვიძლია დავინახოთ მოძრაობა, რომელიც ადამიანებს მათ წინაშე მდგომი ზნეობრივი პრობლემების თვითგააზრებაზე მიუთითებს, და მიმართულია, წვრთნის მეშვეობით, შინაგანი გარდასახვისაკენ, თვითაღზრდაზე ტკივილამდე ყურადღების გამახვილების გზით". — როგორც მოგახსენეთ, მე ამას ვკითხულობ არა რაღაც ბრიყვული შეგრძნებიდან გამომდინარე, არამედ გამომდინარე იმ მოსაზრებათაგან, რაც ანთროპოსოფიაზე საერთოდ თქმულა, და სწორედაც რომ არ გახლავთ უმნიშვნელო ის, რომ ჩვენ ამგვარ მსჯელობასაც ვეცნობით: — „საკმარისია მხოლოდ შესავლის წაკითხვა შტაინერის წიგნში „თეოსოფია", რომ შეამჩნიო, თუ რა სერიოზულობით არის აქ ადამიანი საკუთარი ზნეობრივი განმარტების და სრულყოფისათვის წვრთნისაკენ მოწოდებული. რა თქმა უნდა, ეს არის ზეცნობიერისაკენ მიმართული შემდგომი მსჯელობა და წარმოადგენს რეაქციას მატერიალიზმის წინააღმდეგ". — ახლა კი იქნება ის, რაზეც გთხოვთ, განსაკუთრებით გაამახვილოთ ყურადღება: — „ამ დროს ის აღვილად კარგავს ჭეშმარიტების საფუძველს და მაღლდება ჰიპოთეზებში, ნათელმხილველურ ფანტაზიებში, ოცნებების საუფლოში, ისე, რომ მას აღარ გააჩნია საკმაო ძალა ცხოვრების ინდივიდუალური და სოციალური მოწყობის რეალობისათვის. მაგრამ ჩვენ ისევ და ისევ უნდა ჩავთვალოთ (და იძულებულნიც ვართ ჩავთვალოთ), რომ თეოსოფია არის რაღაც მაკორექტირებელი ძალა თანამედროვეობის ქმნადობის პროცესში."

მაშასადამე, ერთადერთი, რაც ამ კაცს არ მოსწონს, არის ამაღლება სულის შემეცნებისაკენ, კონკრეტული, რეალური სულის შემეცნებისაკენ; ეს ნიშნავს, რომ მას სურს ის, რაც თეოსოფიიდან შეიძლება (როგორც თავადაც თქვის) მომდინარეობდეს, იმპულსები ადამიანის მორალური სრულყოფისათვის; მაგრამ იგი ჯერ კიდევ ვერ შეიმეცნებს, რომ ეს შეიძლება მოვიდეს მხოლოდ ატლანტიდისშემდგომ მეხუთე ეპოქაში ნამდვილი, კონკრეტული სულის შემეცნებიდან. იგი ვერ ცნობს ფესვებს; მას სურს ნაყოფი ფესვების გარეშე. ის ვერ ცნობს მთელ ამ ურთიერთმიმართებას. არადა, სწორედ ეს ადამიანი გახლავთ მეტად საინტერესო, რადგან მანაც, როგორც ჩანს, მთელი გულით დაამუშავა ჩემი წიგნი „თეოსოფია", და მაინც ბოლომდე ვერ ხვდება, რომ ერთი არ არსებობს მეორის გარეშე. მას სურს თავი მოაჭრას ამ წიგნს და ტანი კი შეინარჩუნოს; რადგან ამ ტანს იგი განიხილავს, როგორც ჯერ კიდევ რაღაც ღირებულს.

ეს გახლავთ ის, რასაც კავშირი აქვს ჩემ მიერ ცოტა ხნის წინ დახასიათებულ ფენომენთან. კერძოდ, რომ საჭიროა სოციალური გაგება, აზრთა თავისუფლება, რაც ამგვარ ადამიანებს უკვე ესმით, ხოლო მესამის, — სულის შემეცნების, რომელიც ჩვენი ატლანტიდისშემდგომი მეხუთე პერიოდისათვის ძირითად საფუძველს უნდა ქმნიდეს, — აღიარება მათ ჯერ კიდევ არ სურთ;

იგი ისეთი რამაა, სადამდეც მისვლა მათ ჯერ არ შეუძლიათ. ეს გახლავთ სულისმეცნიერული მსოფლმხედველობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა; ამ მიმდინარეობის ამოცანაა აგრეთვე, საამისოდ გაგების გამოღვიძება. ადამიანებს ჯერ კიდევ მრავალმხრივ ფანტასტიკად მიაჩნიათ სულიერ სამყაროებში წვდომა; ისინი ვერ ხედავენ, რომ სულიერ სამყაროთა შემეცნების დაკარგვა სწორედ მატერიალიზმმა და მასთან დაკავშირებულმა გაგების უქონლობამ მოიტანა, აგრეთვე მატერიალისტურმა ცხოვრებამ და ახალი დროის მატერიალისტურმა შეხედულებებმა. სწორედ კეთილდღეობის მოსურნეებისაგან უნდა ვისწავლოთ, როგორ გაუჭირდებათ ადამიანებს, დღეს კიდევ უფრო მეტად, აღიარონ კონკრეტულ სულიერ სამყაროთა აუცილებლობა. აქედან გამომდინარე, ჩვენ კიდევ უფრო მეტად უნდა შევეცადოთ გაგების მიღწევას ისეთი იმპულსებისათვის, რომლებზედაც, მაგალითად, მე დღევანდელ მოხსენებაში ვისაუბრე.

ბროშურას, რაზეც მოგახსენებთ, ჰქვია „აღმოცენებულ პრობლემათა და ამოცანათა აზრობრივი სამყარო". როგორც ავღნიშნე, ის მე „შემთხვევით" ჩამივარდა ხელში, რადგანაც უკვე 1914 წელს გამოსულა ჰამბურგში Rauhen Haus-ის სააგენტოში და წარმოადგენს 1913 წლის 23 სექტემბერს ჰამბურგში კონგრესზე — (თემაზე: შინაგანი მისიისათვის) წაკითხულ მოხსენებას პროფესორ დოქტორ ფრიდრიხ მალინგის მიერ. როგორც ვთქვი, მე ის რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი წიგნის მაღაზიის ვიტრინაში შემთხვევით აღმოვაჩინე და ძალიან მიკვირს, რომ ჩვენი წრიდან სწორედ ამ წიგნის შესახებ არავის არაფერი უთქვამს; რადგანაც მისი გამოსვლის შემდეგ, ე. ი. ჯერ კიდევ 1914 წელს, შესაძლოა იგი ვინმეს ხელში ჩავარდნოდა. მეტად საჭიროც კია, რომ ჩვენ სწორედ სხვადასხვა სფეროებში მიმავალ ათასგვარ გზებზე დღეს უკვე ვიზრუნოთ. უნდა გვეზრუნა ერთ ნიუანსზე, რომელიც გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება ჩვენი მიმდინარეობის ფუჭი ლანძღვისა და დაცინვის სახით, მაგრამ ჩვენ იმაზე ზრუნვაც შეგვეძლო, როცა მართლა ეძებენ გაგებას (როგორც ამ შემთხვევაში), რომლის მაგალითზეც ჩვენ სწორედაც რომ შეგვიძლია ვისწავლოთ, თუ რა სიძნელეები აქვს ადამიანს ჯერ კიდევ დღეს, როცა ის ჭეშმარიტ გაგებას ეძებს.

დღევანდელი მოხსენება იქითკენ მინდოდა წარმემართა, რომ მეჩვენებინა, რომელი უნდა იყოს სამი დიდი იდეალი, კონკრეტული იდეალები ატლანტიდისშემდგომი მეხუთე ეპოქისათვის: ადამიანთა კონკრეტული, სოციალური გაგება, აზრთა თავისუფლება, სულის შემეცნება. ამ სამმა კონკრეტულმა იდეალმა მომავალში მეცნიერებებს უნდა მისცეს მიმართულება. მათ უნდა განმარტონ და განწმინდონ ცხოვრება; უნდა მისცენ მორალს იმპულსები ფართო მასშტაბით, რათა ორიენტირებისა და მიმართულების მაჩვენებლად, სიცოცხლეში შეღწევით, ცხოვრების მფარველად გვევლინებოდნენ თანამედროვე კაცობრიობის შიგნით. მაგრამ ვერ განხორციელდება პირველი ორი მოთხოვნა — სოციალური გაგება და აზრთა თავისუფლება, — თუ მას მესამე, სულის შემეცნება არ დაერთო თან, რადგანაც უნდა განვითარდეს ცნობიერი სამშვინველი. ამ ცნობიერ სამშვინველს

თავის უმაღლეს საფეხურად უკვე აქვს თვითსული, რომელიც ატლანტიდისშემდგომ მეექვსე პერიოდში უნდა ჩამოყალიბდეს. ის ვერ განვითარდება, თუ არ მომზადდა ადამიანის იმგვარი დამოუკიდებლობა, რომელიც ცნობიერი საშშვინველის განვითარებით მიიღწევა. ეს გახლავთ ის, რაც ჩვენ ჩვენი სულისმეცნიერული მისწრაფებისას უნდა გავითვალისწინოთ, კერძოდ, რასაც ჩვენ აბსტრაქტულ ჭეშმარიტებად შევიმეცნებთ, თავის თავში მართლაც ჯადოსნურ ძალას შეიცავს, რომელიც უნდა გამოხსნილ-განთავისუფლებულ იქნეს მხოლოდ იმისათვის, რომ მთელ ცხოვრებას ნათელი მოეფინოს. თითოეული ადამიანი, სადაც არ უნდა იდგეს იგი, მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში, პრაქტიკული საქმიანობის რომელიმე დარგში, თუნდაც რაიმე უმნიშვნელო სამსახურში, თუ შას საკუთარ სფეროში იმის გამოცოცხლება შეუძლია, რასაც ჩვენს შეკრებებში აბსტრაქტულ ჭეშმარიტებად ვიღებთ (ისე, როგორც უნდა იყოს კიდეც), მაშინ იგი ჩვენი დროის უდიდესი ამოცანების თანაშემოქმედი გახდება. მაშინ ადამიანის საშშვინველში შემოიჭრება სიხარულის განცდა, სიხარულის იმგვარი გრძნობა, რომელიც მხოლოდ მხიარული ზედაპირულობა კი არ არის, არამედ ამავე დროს დაკავშირებული იქნება იმ სერიოზულობასთან, რომელსაც არ სურს დაგვანებოს ცხოვრებით მხოლოდ ტკბობა და რომელიც ჩვენ ცხოვრებაში ბეჯით მშრომელებად გვაქცევს.

ამ თვალსაზრისით, უკვე ნახსენები სამი კონკრეტული სოციალური იდეალი და შემეცნებითი იდეალები იქცევა იმგვარ რამედ, რაც ცნობიერ საშშვინველს მისცემს უნარს, ატლანტიდისშემდგომ მესუთე ეპოქაში ახლებურად იქნეს გაგებული გოლგოთის მისტერია, რათა მივიღოთ ქრისტე და რეალურად დავუკავშირდეთ სულიერ სამყაროს. გავეცნოთ, თუ როგორ დგანან ისინი მიწიერი განვითარების ამ ცენტრალური იმპულსის, ქრისტეს იმპულსის მიმართ. ეს ჩვენთვის გახდება ქრისტეს იმპულსი მხოლოდ იმ აზრთა გავლენით, რომლებიც სულიერი სამყაროდან ჩამოედინება მიწიერ ყოფიერებაში, რადგანაც მიწის არსებობაში, გოლგოთის მისტერიიდან მოყოლებული, აზრებს შეუძლიათ ადამიანის საშშვინველში გაბრწყინება: ნათელი ვარსკვლავებივით მანუგეშებლად, რაზეც უკვე მოგახსენეთ, თავად ანგელოზთა სამყარომდე შეუძლიათ ზევით ნათება, ანგელოზთა მიმართ, რომლებმაც დაკარგეს ქრისტე თავიანთ სფეროში, რათა იგი ადამიანთა აზრების სფეროდან გამონათებული იხილონ.

არა, სულის შემეცნება ისეთი რამ როდია, რომელიც შეიძლება ფანტასტიკად წარმოვიდგინოთ; სულის შემეცნება არის ისეთი რამ, რომელიც პირველ რიგში იმ ჭეშმარიტებაზე გავლენის მოსაპოვებლად მიისწრაფის, რომლიდანაც შესაძლოა მშვინვიერი გასაჭირი, — რაც ატლანტიდისშემდგომ მეხუთე პერიოდთან, როგორც აუცილებელი რამ, ისეა დაკავშირებული, — წარმოიქმნას. აი, რაზე მსურდა დღეს თქვენთან საუბარი. იმედია, ყოველივე ამას დავინახავთ არც თუ ისე შორეულ მომავალში ისევ და ისევ ჩვენსავე ქალაქში. მე ვიმედოვნებ, რომ იქამდე ჩვენს აზრებს თავს მოვუყრით და ჩვენი მოძრაობის შესაფერისად ამ მიმართულებითაც განვაგრძობთ მუშაობას.

მის ჰასე

ძილი და სიზმარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთარგმნელები:

ნინო ციცქიშვილი
ფატმან ქოიავა

წინამდებარე წიგნი შედგენილია მსოფლიოში ცნობილი მედიუმის მის ჰასეს მიერ. ეს ნაშრომი წიგნად ითქმის ერთი საუკუნის უკან, 1912 წელს გამოიცა ვარშავაში რუსულ ენაზე, შემდგომ, 1990 წელს რეპრინტული გამოცემა განხორციელდა მოსკოვში.

ადამიანის ინტერესი შეუცნობელი შეგრძნებებისა თუ ხილვების მიმართ ყოველთვის ძლიერი იყო, ამიტომ მიაწერდნენ სიზმარს წინასწარმეტყველურ თუ ზებუნებრივ თვისებებს.

„ძილი და სიზმარის" კრებულში, რომელშიც ათასზე მეტი სიზმარია „გაშიფრული", შეძლებისდაგვარად არის ახსნილი სიზმრების არსი და განმეორებადი ხილვების მნიშვნელობა...

~~სიზმრების გაცხადებამდე ჯერ ჰ. შილერ-შკოლნიკს მოეუსმინოთ...~~

ძილი ადამიანში, ისევე, როგორც ყოველ ცოცხალ არსებაში, გამოწვეულია დაღლილობით, დაქანცულობით, რაც ქმნის დასვენებისა და სიმშვიდის მოთხოვნილებას. ძილის დროს ადამიანისა და ცხოველის დაღლილ-დაქანცულ ორგანიზმს და ყოველ ასოს უბრუნდება აუცილებელი სისხარტე და ძალა ახალი მოქმედებისა, რომლისგანაც შედგება ცხოვრება.

ნერვული დაქანცულობა იწვევს სისხლის მიმოქცევის შენელებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ყველა სასიცოცხლო ფუნქციის მოდუნებას. ამის კვალად ყურადღება და ნებისყოფა იფანტება და დგება ოვიწყება — ძილი.

ადამიანი როცა იძინებს, წყვეტს კავშირს გარესამყაროსთან, ნაწილობრივ კარგავს საკუთარი ყოფიერების შეცნობის უნარს, გარშემომყოფი საგნები და მოვლენები მასზე აღარ ახდენენ ზეგავლენას. მხოლოდ ტვინი განაგრძობს მუშაობას, რომელიც სიზმრებს და ზმანებებს წარმოშობს.

ძილის დროს ნერვები წყვეტენ ტვინის შეგრძნებების გადმოცემას. ორგანოთაგან, უპირველესად, იღლება მხედველობა, თვალი ყველაზე უფრო საჭიროებს დასვენებას, სიმშვიდეს და ძილს.

მთელი სხეული ერთდროულად არ იძინებს იმ დროს, როცა დაქანცული ორგანოების ნაწილი იძინებს.

სიზმრებისა და ზმანებების საფუძველიც სწორედ ეს არის.

თანდათან ორგანოები მშვიდდება და დეგება ღრმა და წყნარი ძილი. რამდენიმე საათის შემდეგ ისინი [illegible] ძალას მოიკრებენ და კვლავ საქმიანობას მიეცემიან, ხოლო დაღლილი თვალი განაგრძობს დასვენებას, იწყება გარკვევა ხშირად კარგად დახსომებულის, სიზმრისა...

ნერვული დაავადებანი და სხვა სხეულებანი მიზეზია უძილობისა, ძილის გაკრთომისა, არადანსალი სიფხიზლე, ან პირიქით, ღრმა და მძიმე ძილი იწვევს ძილქუშს, ხოლო ზოგ, იშვიათ შემთხვევაში — ლეთარგიას (საღათას ძილს).

სიზმარი არის შედეგი მახსოვრობის მოქმედებისა და წარმოსახვისა, რომელიც თავისუფალია სხვა შესაძლებლობებისა და გრძნობის მონაწილეობისაგან, ამიტომ აზრის მიხედვით სიზმრები სხვადასხვანაირია და ძალიან ცოტა აქვთ საერთო მასთან, რაც, შესაძლებელია, სინამდვილეში მოხდეს.

სნეულებს, დიდი შრომით დაქანცულებს, ხშირად სიზმრები საშიში, მძიმე და შემაშფოთებელი აქვთ.

როცა ერთ-ერთი ორგანო დაღლილი, გაღიზიანებული ან დაავადებულია, ადამიანს მშვიდად არ სძინავს, ხოლო მსუბუქი შეგრძნებები სიზმარში უდიდეს ძალად გარდაისახებიან.

მაგალითად, ჩავლილი ეტლის ბორბლების ხმაური წარმოისახება ჭექა-ქუხილად ან სროლად. რწყილის კბენა — ვეებერთელა და საშინელი გველის კბენად და ა. შ.

სიზმარი თავისებურად, თითქმის ყოველთვის, ადამიანის საზოგადოებრივი, ფიზიკური მდგომარეობის გონებრივი განვითარების, ტემპერამენტისა და ასაკის ტოლფარდია.

მდიდარს ეზმანება სიმდიდრე და კმაყოფილება, ღარიბს — შრომა, გასაჭირი, დამცირება, ხვეწნა-ვედრება და სხვ. მსახიობს — სცენა, მაყურებელი, ტაში, სხეულს — საავადმყოფო, ექიმები, წამლები და ა. შ.

პოეტის სიზმრები არასოდეს ეზმანება მეწაღეს, ღატაკი ვერასოდეს ნახავს მილიონერის სიზმარს.

საშინელი, მძიმე და ცუდი სიზმრები შესაძლოა გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზით: მღვიძარებისას, რაიმე შემთხვევისა გამო მიღებული ძლიერი მთაბეჭდილებით, რომელიმე საყურადღებო მოვლენაში მონაწილეობით და ბოლოს, ნაყროვანებით ან შიმშილით, მოუხერხებელი საწოლით ან ძილის დროს სხეულის უხერხული მდგომარეობის გამო.

ამიტომ ბევრ სიზმარს წინასწარმეტყველური, რეალური განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებისა გჯეროდეს, თუ მნიშვნელობა ენიჭება.

უაზრობაა, ყოველნაირი სიზმრის ახდენის ან მისთვის არ გაითვალისწინე ის გარემოება და მიზეზები, რომელმაც ეს ზმანება წარმოშვა. მაგრამ, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ზოგი სიზმარი მეტად წინასწარმეტყველურია. ყველა ქვეყნისა და დროის ისტორიაში არსებობს მრავალი ფაქტი იმისა, რომ სიზმრები წინასწარმაუწყებელნი ყოფილან მნიშვნელოვანი მოვლენებისა, რაც გაიძულებს, დაფიქრდე ამ საკითხზე. სიზმრები მოიცავს თავის თავში ბევრ საერთოს ზმანებებთან.

უმეტეს შემთხვევაში, გამართლებულია ნათელმხილველობის ნიჭით დაჯილდოვებულ ადამიანთა სიზმრები, რომლებიც ხშირად ვერც კი გრძნობენ ამ ნიჭს. დღემდე აუხსნელია წინასწარმეტყველური ზმანებები. მეცნიერებას არ ძალუძს წინასწარმეტყველურ და კოშმარულ სიზმრებს შორის ზღვრის დადგენა.

დამტკიცებულია, რომ სიზმრები ნაყოფია სხვადასხვაგვარი შეგრძნებისა, რომლებიც მღვიძარებისას აღიბეჭდება ადამიანის გონებაში, რომ ასევე, სიზმარი დამოკიდებულია შინაგან პირობებზე, გარემოებაზე, ჰაერზე, კომფორტზე, აგრეთვე: მძინარის ფიზიკურ და ზნეობრივ მდგომარეობაზე.

ძილის დროს ტვინის შეუცნობელი მოქმედების შედეგად წარმოიშვება იდუმალი ძალა წინასწარგანჭვრეტისა და ზოგი სიზმარი აღმოჩენაა და წინასწარმაუწყებელი საგანგებო მოვლენებისა.

სიზმრებს უძველეს დროში დიდად აფასებდნენ, მიაწერდნენ ღვთიურ მნიშვნელობას, მათში უხილავ სულთა და ანგელოზთა მონაწილეობას ჭვრეტდნენ. რამდენიმე მნიშვნელოვანი წესი არსებობს იმ პირთათვის, რომლებიც ცდილობენ სიზმრების საიდუმლოს ახსნას, ეს წესები შემდეგია:

1. ნანახი სიზმარი გაღვიძებისთანავე ზუსტად და მკაფიოდ უნდა უამბო არა მტერს, არამედ საუკეთესო და ჭკვიან მეგობარს.

2. არ დაეცე სულით და სასო არ წარგიკვეთოს თვით საშინელმა სიზმარმაც კი, წყნარად და მოთმინებით ელოდე მის ასრულებას. ზოგჯერ ძალზე საშიშსა და სევდიან სიზმარს სავსებით სხვანაირი მნიშვნელობა აქვს და ბედნიერი მოვლენების მაუწყებელია.

3. კარგად რომ დაიხსომო სიზმარი, ყოველ კვირა უნდა შეიცვალო სასთუმალი, ე. ი. ყოველი შვიდი დღის მერე თავი უნდა დადო იქ, სადაც ფეხები გქონდა.

დილით ნაზმანებ სიზმარს მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ ახალ დაძინებულზე.

კვირის მნიშვნელოვან სიზმრად ითვლება შაბათ ღამის ზმანება.

ერთხელ უკვე ნანახი სიზმარი ყოველთვის არ ახდება და ამიტომ მეტი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ მხოლოდ იმ სიზმრებს, რომლებიც სამგზის მეორდებიან.

ზოგი სიზმარი თავისი მნიშვნელობით საკუთარ ეწინააღმდეგება იმას, რაც გესიზმრება, ხოლო, ზოგი პირიქით, ცხოვრებისეულ მოვლენებს წარმოსახავს. ამიტომ სიზმრის ახსნისა და განმარტებისთვის მიმართეთ მხოლოდ ჭკვიან და კეთილ ადამიანებს, თავი აარიდეთ ბოროტ და უმეცარ განმმარტებლებს.

სიზმრები, ჩვეულებრივ, ცხადდება მეორე დღიდან ცხრა თვის შუალედში.

დღის სიზმრებს, უმეტეს შემთხვევაში, არ შეიძლება რაიმე მნიშვნელობა მიენიჭოს, და საერთოდ, დღის სიზმრები ძალიან იშვიათად სრულდება.

სიზმრები საღამოს 8-დან ღამის 12 საათამდე მეტისმეტად გაჭიანურებულ დროში ცხადდება.

12 საათიდან შუაღამის 3 საათამდე ნაზმანები 3 თვეში ახდება. 3 საათიდან განთიადამდე ნასიზმრი ძალიან სწრაფად ცხადდება. წინასწარმეტყველური სიზმრები ცოტას თუ ეზმანება და იშვიათად, რის გამოც, არ გირჩევთ ყველანაირ სიზმარს ჩაეძიოთ.

სიზმრის უსაზღვროდ დაჯერება ცრუმორწმუნეობის საფეთო გზაზე გაგიყვანთ, შეშფოთვარე ცხოვრების შიშს ჩაგინერგავთ.

ჰ. შილერ-შკოლნიკი,
ფსიქო-ფრენოლოგი.

თვის რიცხვების მიხედვით სიზმრის აცხადების შესაძლებლობა

ეს სიზმართა წიგნი შედგენილია ცნობილი მედიუმისა და სხვათა აზრების წამკითხველის, მისს-ჰასეს მიერ ძველი და უახლესი, მეტნაკლებად სარწმუნო და სანდო წყაროების მიხედვით.

წიგნი სახმარად მოსახერხებელი რომ ყოფილიყო, სიზმრები ანბანზეა გაწყობილი. ყველა სიზმარი არ სრულდება და არც ერთნაირად ცხადდება.

სიზმრის აცხადების შესაძლებლობას განსაზღვრავს თვის რიცხვი, თუ როდის ნახეთ სიზმარი. ყოველი მომდევნო რიცხვი აითვლება ახალი მთვარიდან.

შემოთავაზებულ ცხრილში საჭიროა იპოვოთ შესაბამისი რიცხვი იმ დროისა, როცა სიზმარი ნახეთ და იქვე, გასწვრივ აღნიშნულია, ასრულდება თუ არა იგი.

თვის დღეები

1 — სიზმარი ამ დღეს ცხადდება ზუსტად და სიკეთესვიჭადის.
2 — სიზმარი ცრუა და არაფერს ნიშნავს
3 — სიზმარი სწრაფად აცხადდება
4 — სიზმარი არც ისე ჩქარა აცხადდება
5 — სიზმარი კარგის ნიშანია
6 — სიზმარი კი აცხადდება, მაგრამ მოგვიანებით
7 — ბეჯნიერი სიზმარია, მაგრამ არ არის საჭირო ვინმეს გაანდო
8 — სიზმარი სურვილის ასრულებას მოასწავებს
9 — სიზმარი ასრულდება, მაგრამ უსიამოვნებასაც ელოდე
10 — სიზმარი სრულდება
11 — სიზმარი 11 დღეში ასრულდება და სიხარულს გპირდება
12 — სიზმარი სწრაფად და კეთილად აგიცხადდება
13 — სიზმარი უსიამოვნებას მოასწავებს
14 — უილბლო სიზმარია
15 — სიზმარი სწრაფად და ძალიან კარგად აცხადდება
16 — სიზმარი არ ასრულდება და არც არაფერს ნიშნავს
17 — სიზმარი წარმატებას გპირდება და 20 დღეში ახდება
18 — სიზმარი მოგებასა და განახლებას გპირდება
19 — სიზმარი ოჯახურ დავიდარაბას მოასწავებს
20 — სიზმარი სწრაფად აცხადდება
21 — სიზმარი აცხადდება მოგვიანებით, მაგრამ სიმდიდრეს ეწევი
22 — სიზმარი უსიამოვნებას წინასწარმეტყველებს
23 — სიზმარი სწრაფად აგიცხადდება
24 — სიზმარი სასიხარულოა და მალეც ასრულდება
25 — სიზმარი ცრუა
26 — სიზმარი კმაყოფილებასა და გუნებიანობას მოასწავებს
27 — სიზმარი უაზროა, არაფრისმთქმელი და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს
28 — სიზმარი განიშნებს, დაბრკოლება გექნებაო და 30 დღეში აცხადდება
29 — სიზმარი არ აცხადდება
30 — ფანტასტიკური სიზმარია და არც ყოველთვის ცხადდება
31 — სატრფიალო გამარჯვებისა და ტკბობის მომასწავებელი სიზმარია და 15 დღეში აგიხდება

ᲡᲘᲢᲧᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Ა

ᲐᲑᲐᲖᲐᲜᲐ ნახო, სუფთა წყალში იბანაო — სიყვარულსა და საქმეში სიკეთე ნახო; ცარიელი — უიღბლობა, სენი და ზარალია
ᲐᲑᲐᲜᲝ — უძლურება, უიმედობა და სიცრუეა
ᲐᲑᲐᲢᲘ ნახო — კეთილდღეობა და სიხარულია
ᲐᲑᲔᲑᲘ ნახო და გადაყლაპო — ფაღარათს ნიშნავს
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ — სარფიან ვაჭრობას გპირდება
ᲐᲑᲐᲠᲐᲙᲘ — მტერთან უსიამოვნო საუბარია
ᲐᲒᲝᲜᲘᲐ — ბედნიერებას, ჯანმრთელობას, სიმდიდრეს ნიშნავს
ᲐᲒᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ, ᲐᲒᲣᲠᲘ — უძრავი ქონება შეიძინო
ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ — ჭორები, სიცრუე და ცუდი ამბავია
ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲘ ინახულო — ბედს ეწიო
ᲐᲕᲐᲖᲐᲙᲔᲑᲘ ნახო — ჩხუბი და აყალმაყალია
ᲐᲕᲑᲐᲠᲝᲖᲘ — ძვირფასი რამ იპოვნო
ᲐᲕᲔᲯᲘ — ახალი და სუფთა — მშვიდი და კეთილი ცხოვრებაა, ძველი, ჭუჭყიანი და დამტვრეული — სნეულება, ნაღველი და სევდაა
ᲐᲖᲚᲣᲓᲘ მოიზომო — ქორწილია
ᲐᲘᲕᲐᲜᲘ — ეჭვიანობაა და სიყვარულს საფრთხე ემუქრება
ᲐᲘᲡᲘ — ყოველგვარ საქმეში ხელი მოგემართოს
ᲐᲙᲕᲐᲜᲘ — საყვარელ შვილთან ერთად სევდიანი ამბავი გადაგხდეს
ᲐᲙᲠᲝᲑᲐᲢᲘ — თანამდებობის დაკარგვას ელოდო
ᲐᲚᲐᲛᲘ — დიდი კეთილი საგმირო საქმეები, პატივი და დიდებაა
ᲐᲚᲒᲝᲛᲘ — მხიარულებას ნიშნავს
ᲐᲚᲘ — დიდი ნერვიულობის მომასწავებელია
ᲐᲚᲘᲝᲜᲘ — ძალიან კარგია, ბედნიერ, ხალისიან ცხოვრებას მოასწავებს
ᲐᲚᲛᲐᲡᲘ — ნიშანია სიმდიდრისა და ოჯახური ბედნიერებისა
ᲐᲚᲣᲒᲐᲚᲘ — მალულ სიყვარულსა და მრუშობას ნიშნავს
ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ (ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲐ) ნახო — თავყრილობაში გაერიო
ᲐᲛᲑᲝᲠᲡ ᲧᲝᲤᲓᲔ — მშვიდობასა და მეგობრობას, კეთილდღეობას ნიშნავს
ᲐᲛᲝᲠᲫᲐᲚᲘ — შეყვარებულის ღალატია
ᲐᲛᲤᲘᲗᲔᲐᲢᲠᲘ — დიდი თავყრილობა და სასიხარულო ამბავია
ᲐᲜᲐᲜᲐᲡᲘ ნახო — ყოველ საქმეში იღბალისა და წარმატების საწინდარია
ᲐᲜᲑᲐᲜᲘ — მეცნიერებაში წარმატება მოიპოვო

ანგელოზი — ბედნიერების, სიხარულის და სულიერი სიმშვიდის ნიშანია
ანდამატი (მაგნიტი) — დიდ კაცთან დაახლოება და მეგობრობაა
ანძა — ჯილდო მიიღო და დაწინაურდე
არაყი ნახო — თავი აგტკივდეს, დალიო — გაბარტახდე, სიღარიბე და შეურაცხყოფა გდევდეს
არფა — ჭორი და სიცრუეა
არწივი ნახო — დიდება, პატივი, ქონება მოგეცეს
ასანთი — შეჭირვების, ცოდვილობისა და ჩხუბის ნიშანია
ასული შენი ნახო — დავიდარაბა, საზრუნავი და წყენაა
ატამი ჭამო ან მოწყვიტო — სარფიანი საქმეა, სიმდიდრეა
აუჰციონი — დანაკარგს ნიშნავს
აფთიაქი ან აფთიაქარი ნახო — ავადმყოფობა და შეჭირვება განაგდო, თუ ჯანმრთელი ხარ — ავად გახდე
აფიშა — ცრუ ამბავია
აჭლემი ნახო — გმირობა, სიმამაცე და დიდება გელოდეს
აღლუმი ჯარისა ნახო — კარგი ამბავი გაიგო
აღმართზე ახვიდე — წინააღმდეგობა დაძლიო და ყველაზე ამაღლდე
ახალ წელს შეხვდე — ახალი სარფიანი საქმე წამოიწყო და ცელი მოგემართოს

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ძნელაძე — მარადი მგზავრი

პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ გივი ძნელაძეს, 75 წელი შეუსრულდებოდა. ცოტა ხნის უკან სული დიდების მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაივანა. წავიდა დიდ სულეთში ერთი შესანიშნავი, უწყინარი პოეტი, ოჯახის მამა, მეუღლის, ქალბატონ ლამარას უფალტო ქმარი, მეგობრობის განსახიერება.

1982 წელს ბატონი გივი თავის ერთტომეულის წინასიტყვაობაში წერს: „ეს წიგნი რომ გამოვა, მე უკვე ნახევარი საუკუნისა და ხუთი წლის ვიქნები. აკაკი წერეთელის ლექსის ერთი ფრაზა რომ ჩავიღიღინო — **„ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ“** — თან გულში იმედით ჩაკითხვა: **„ნახევარი კიდევ გასალევია“**-მეთქი, — თავის მოტყუება იქნება...

ბატონო გივი, აქ შეცდომას უშვებთ, არადა არა, ეს თავის მოტყუება არ არის, თქვენი კაცობა და ღვთის მადლით ბოძებული კალმის ოსტატობა მთელ თქვენს საძმოსა და მადლიერ მკითხველს სჯერა. „მარადი მგზავრის“ ავტორი მეორე ნახევრის გასავლელს კი არა, ასობით მეორე ნახევრებს გაუძღვებს...

პოეტი ერთ ლექსში ასე გველაპარაკება:

„დრომ უეცრად გადიგრგვინა სივრცის უდაბნოეთი...
სად ვარ!.. ვინ ვარ!.. სად მივდივარ!.. ან საიდან მოვედი!..
ღამე თავზე ჩამოაწვა სოფლებსა და ქალაქებს...
კაცი არ ხარ? ღმერთი არ გწამს? — გ ა მ ო მ ე ლ ა პ ა რ ა კ ე!“..

რაღაი გამოლაპარაკებაზე მიდგა საუბარი, მარადი მგზავრის ტვირთით მოსიარულე კაცზე, ერთს გავიხსენებ, ჩემი და ბატონი გივის პირველ შეხვედრას.

დავიწყებ ასე: მთიან რაჭაში ვცხოვრობდი, ვსწავლობდი სკოლაში. საშუალო მოსწავლედ ვითვლებოდი, ვწერდი ლექსებს, ჩანახატებს, ვეროვებდი ხალხურ ლექსებსა და ანდაზებს. ერთი სიტყვით ლიტერატურით ვიყავი დაინტერესებული. ლექსებს პოემა მივუმატე, ჩავიდე ჯიბეში (სხვა ლექსებიც მქონდა სათადარიგოდ), და მარტის არდადეგებზე თბილისში ჩამოვედი. „ცისკრის“ რედაქციის მისამართი კი ვიცოდი და სწორედ იქ მისვლა ჩავიდე გულში, ჩემი „შემოქმედების“ მიტანა იქ გადავწყვიტე. გამოვალ დეიდაჩემის სახლიდან, დავადგები პლეხანოვის გამზირს, რაღაცნაირი შემართებით მივუახლოვდები რედაქციის კიბის საფეხურებს და მუხლი მეკვეთება. კარგა ხანს ვდგავარ სადარბაზოში, ჭერე ისევ უკან ვბრუნდები, არდადეგების ბოლო დღეა, რაჭაში უნდა

წავიდე, არა და რედაქციის კარი ვერ შევაღე და, საერთოდ, ოცხალი ნამდვილი პოეტი სახეზე არც მენახა... ისევ მივუყვები გამჭირს, გზად ჩემს სოფლელ ბიჭს შევხვდი, პატარა პური ვჭამეთ, ცოტაც დალიეთ, კარეთ გამოვედით და ახლა გულმოცემული მივადექი რედაქციას, შევაღე კარი, პატარა ოთახში რამოდენიმე კაცი იყო, ორნი ფანჯარასთან თამაშობდნენ... ჩემთვის არავის ეცალა, დაძაბულ სვლებს დასცქეროდნენ. მერე ერთმა მომხედა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა, რამ შეგაწუხაო, მითხრა, ვუთხარი ჩემი სტუმრობის მიზეზი. აბა, მანახეო, მეც ხელის კანკალით გავუწოდე ჩემი „შემოქმედება", ფანჯარასთან მივედით, გადაფურცლა ჩემი „პოემა", მერე ლექსები წაიკითხა. რომელ კლასში სწავლობო, საიდან ხარო, თბილად გამომკითხა. მეცხრე კლასში ვარ, რაჭიდან ვარ-მეთქი. ოჰ, რა კარგია, ერთ რაჭველს გაგაცნობ, მურმან ლეგბანიძეს, აგერ ზის, ტარიელ ჭანტურიას ეთამაშება ჭადრაკს. მე თვითონ გივი ძნელაძე ვარ, მითხრა და მერე წარმადგინა... კარამდე მომაცილა, კიდევ მითხრა რაღაც დარიგებები, ბევრი იმუშავე, ქალაქში ჩამოსვლას მაინცდამაინც ნუ იჩქარი, ხერიპე რაჭის მთა და ბარის სიკეთე...

გავიდა დრო, ახალგაზრდა ჭაბუკმა, „ცისკრის" რედაქტორის, ალანსულ ჩარკვიანის (მთავარი რედაქტორი იყო მაშინ), გივი ძნელაძის, ტარიელ ჭანტურიას, გივი გეგეჭკორის, რეზო ჭეიშვილის, ოტია პაჭკორიას და თამაზ წივწივაძის „ცისკარში" დავიწყე სამსახური... „ცისკარი" მაშინ აკადემია იყო... იმ დღიდან მოყოლებული, მამა-შვილივით მოვდიოდით აქამომდე მე და ბატონი გივი და მთელი „ცისკარი"...

ბატონი გივი ღმერთის მორწმუნე პოეტი იყო და იქნება შემდგომაც, თავდაჯერებით სჯეროდა მისი სიძლიერის, მისი სიკეთისა, — მზეს რომ არ მოაკლებდა მის ქვეყანას...

პოეტი ევედრება ღვთის წყალობით განგებას — (ლექსი „ცხოვრების დღე").

„ნუ დაღამდები, მხურვალე დღეო,
გემუდარები, გეღაღადები!
გთხოვ: საღამომდე გასძელი, დღეო,
გთხოვ: შუადღისას ნუ დაღამდები!"

პოეტი თავის სოფელ ბურნათზე დიდად შეყვარებული იყო, მისთვის იქ ჩასვლა მისი სულის ზეიმი იყო (რამდენჯერმე მე თვითონ ვახლდი სოფლად და მომსწრე ვარ ყველა მისი სიყვარულის გამხელისა და ქმოციებისა).

პოეტი სიხარულსა და საკუთარ გულის წყრომას ასე გამოხატავს:

„გამიღე, კარი გამიღე!.. სოფელო ჩემო!
— დიდხანს? ო, არა! ათ-თორმეტ დღეს დავრჩები ალბათ...
მითხარით რამე ახალი, მითხარით, ძმებო!
— დავიგვიანე? ნუღარ მკითხავთ ქალაქის ამბავს!.."

პოეტი მთელი ცხოვრება შემართულია, იცის პირველ რიგში დედის სიყვარული, დედასამშობლოსი, საძმოსი, სამეგობროსი. ბატონ გივის ეს ლექსი ეგებ მიესადაგოს წინა ფრაზებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„... ადამიანებს ერთი გვყავს დედა, —
კაცთა მარადი სახეა მიწა!
მიწა თუ გიყვარს — მითხარი ჯერ და,
მერე მე გეტყვი: რა გწამს და ვინ გწამს!

ბატონი გივი ერთ ლექსში ამბობს, (ლექსს ჰქვია „მთვარიანი ზაფხული იყო“).

„როგორც მიწიდან ამოსკდება ვულკანი უცებ,
შენი სახელი ისე მინდა ამოვიძახო!“

სიყვარულში, მის უზადო სიწმინდეში ჩაფლული პოეტი ერთ ლექსს ასე აგრძელებს:

„ო, სიცოცხლეო! — გაზაფხულზე ამღერებულო,
ნედლი ფოთლებით მომეგრილე მხურვალე მკერდზე“...

ბატონო გივი, პირველი გაზაფხული დაიწყო უთქვენოდ, პირველი გაზაფხული მარადისობის გზაზე...

ვაჟა ჩოგოდელი

№ 1003
503

3-2003

2003-503

ფასი 2 ლარი

n 3574/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

780/3
2003
3

სკოლა

2003

1-2